

მ. რამიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა


გურიის, სამეგრელოს და აჭარის
ვახის ჯიშები

М. А. Рамшвили

Сорта виноградных лоз
Гурии, Мегрелии и Аджарии


თბილისი

1923



Министерство Сельского Хозяйства
Грузинской ССР.




Груз. Ордена Трудового Красного Знамени
сельхоз. институт 

М. А. Рамишвили

Сорта
виноградных лоз
Гурии, Мегрелии и Абхазии




Предисловие и редакция
действительного члена
Академии Наук Грузинской ССР
профессора Н. Н. Кецохели



Издательство „Техника да Шрома“

19 • Т б и л и с и • 48 •



ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ
სოფლის მეურნეობის სამინისტრო

შრომის წითელი დროშის ორდენის [redacted]
საქართველოს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტი

მ. კამიშვილი

გურიის, სამეგრელოს და აჭარის
ვაზის ჯიშები



K 336
5

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
ნამდვილი წევრის
პროფესორ ნ. კუცხოველის
წინასიტყუვანობით და რედაქციით



გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა“
თბილისი . 48



საკუთარულ მასწავლებლის, მევენახეობის დარგის
გამორჩენილი მთავრის, საქართველოს მეცნიერებათა
აკადემიის ნამდვილი წევრის, პრფესორ **სოლომონ
მიხეილის-ძე ჩოლოყაშვილის** ხსოვნას ვუძღვნი
ამ წიგნს.

ა ვ თ რ ა

Памяти дорогого учителя, выдающегося
деятеля в области виноградарства, действи-
тельного члена Академии наук Грузинской
ССР, профессора **Соломона Михайловича
Чолокашвили** посвящаю настоящий труд.

А В Т О Р



ქართული
ბიბლიოთეკა

რ ე ლ ა ქ ო რ ი ს ა ბ ა ნ

1938—39 წ. [redacted] საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში გადაწყდა XI ტომიანი საქართველოს კულტურული ფლორის ატლასის ფერადოვნად დასურათებული ტომების გამოცემა. გარდა ამისა გადაწყვეტილი იყო, როგორც ატლასის დამზადრე, გამოცემულიყო მასალების სერია კულტურული ფლორის შესასწავლად, რომელიც დასურათებული იქნებოდა უმთავრესად ფოტოსურათებით. ამ სერიაში შევიდოდა ის მასალაც, რომელიც ატლასში შესაძლებელია არ შესულიყო სხვადასხვა მოსაზრებით. ერთი პირველი ნაბიჯთაგანი ამ მხრივ ვაზის ჯიშების აღწერილობათა გამოცემა იყო. მიზანშეწონილად იქნა ცნობილი გამოცემულიყო: გურია-აჭარის, სამეგრელო-აფხაზეთის, რაჭა-ლეჩხუმის, იმერეთის, ქართლის, კახეთის და სხვათა ჯიშები ცალცალკე. ამ ტომებიდან შეირჩეოდა ატლასის 2 ტომის მასალა.

პირველ რიგში გამოსაცემად მასალა დაამზადა დოც. მ. რამიშვილმა. წიგნის დამზადებას დიდი შრომა უძღოდა წინ: ყოველ ჯიშის აღგილობრივ ნახვა, შესწავლა და აღწერა. მ. რამიშვილმა არ დაიშურა არც ენერგია და არც ცოდნა იმისათვის, რომ ვაზის აღწერილობანი სრული და ზუსტი ყოფილიყო.

პირველი საგამომცემლო გეგმა შეიცვალა. პირველ ტომში აჭარისა და გურიის ჯიშების გარდა შედის სამეგრელოს ჯიშებიც.

განზრახული იყო ამ სერიის პირველი ტომი (ე. ი. აჭარა-გურია-სამეგრელოს ჯიშები) 1941 წელს გამოსულიყო. მაგრამ ცნობილ მიზეზების გამო გამოცემა დაგვიანდა.

ყოველი კულტურული მცენარე ამგვარად უნდა შევისწავლოთ, აღწეროთ, დაფიქსიროთ გამოსაცემად და გამოვცეთ. ყოველგვარ პრაქტიკულ მუშაობას წინ ისტორიულად გამოიმუშავებული მასალის შესწავლა უნდა უსწრებდეს.

ამ სერიას ვაზით ვიწყებთ. ეს შემთხვევითი როდია, ვაზი ჩვენში ერთერთი უძველესი კულტურაა-საქართველო, რომ ძველთაგან მევენახეობისა და მეღვინეობის ქვეყანა იყო ეს საერთოდ ცნობილია. ჯერ კიდევ არგონავტებს კოლხიდაში აეტის სასახლეში შადრვენები დახვედრიათ, რომლიდანაც ღვინო სჩქედდა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთერთი მტკიცე დასაყრდენი ძველად მეღვინეობა და მევენახეობა იყო (ჯავახ. ეკ. ისტ.) და სწორედ ამიტომ უცხო დამპყრობნი, როდესაც სცდილობდნენ საქართველო ეკონომიურად დაექვეითებინათ პირველად ვენახებს გააჩეხებდნენ ხოლმე (აგრეთვე ხილსა, კაკლსა და თუთას); ასე მოიქცა რამდენჯერმე თემურლენგი, შაჰაბაზი და სხ.

მაგრამ ნიკიფორე ირბახისა არ იყოს „Но Грузия хорошая страна она быстро устроится“¹⁾ საქართველო თავისი ბუნებრივი პირობების თავისებურებისა, კულტურების მრავალფეროვანებისა, ზალხის გამრჯელობისა და საერთო კულტურული დონის სიმადლის გამო, კვლავ მალე აღსდგებოდა ხოლმე. ამის დამადასტურებელია თუნდაც ცნობილი ფრანგი ვაჭრისა და მოგზაურის შარდენის ცნობა საქართველოს შესახებ:

„არც იმისთანა ქვეყანა მოიპოვება, სადაც იმდენს და ისეთ ს კარგს ღვინოს სვამდნენ ვაზი იქ ხეებზე აღის, როგორც კოლხიდაში. ტფილისიდან ბლომად მიაქვთ ღვინო შაჰისათვის სომხეთში, მიდიაში, ისპაჰანში. ცხენის საპალნე ღვინო ღირს 8 ფრანკი. მე ვამბობ უკეთეს ღვინოზე, თორემ ცოტა მდარე ღვინო არც ამის ნახევარი ფასობს. ყველა სხვა სანოვაგეც ღვინის ფასის შესაბამისად ძვირი არ არის“ (შარდენი გვ. 83).

¹⁾ მოახსენებდა ნიკიფორე ირბაზი რუსეთის მეფე ალექსი მიხეილის-ძეს, შაჰაბაზის მიერ ქართლ-კახეთის აოხრების შემდეგ.

მეორე ადგილას იგივე ავტორი ამბობს სამხრეთ საქართველოზე (ხემოქართლი).

„რთველი იყო როდესაც გავიარე. ეშოულობდი ყურძენს, მაქარსა და მშვენიერ მველ ღვინოს. ღვინო იქ იაფია. ზოგან სამ გირვანქა ღვინოს ერთ ეკიუთ იყიდით, რადგანაც სოფლები ვერა ჰყიდნიან იმდენ ღვინოს, რამდენის დაყენებაც შეუძლიანთ“ (შარდენი მშვენიერ მველ).

უნდა გავითვალისწინოთ, რომ შარდენი საქართველოში მოგზაურობდა ისეთ არაერთ და მავანელ დროს, როგორც იყო მეჩვიდმეტე საუკუნე და მიუხედავად ამისა ხალხის კეთილდღეობა მაინც თავის სიმადლეზე მდგარა. საგარეო ვაჭრობასაც ეწეოდა და ხარკსაც როგორც სჩანს ღვინოთაც იხდიდა.

მევენახეობა იმდენად მნიშვნელოვანი და ძირითადი კულტურა იყო, რომ ვახუშტი ბატონიშვილმა, როდესაც თავის „საქართველოს აღწერილობაში, საქართველოს კულტურული და ველური მცენარეულობის ზონები გამოყო, მეორე ზონა სწორედ ვაზის ზონას დაუთმო“ (ჯავახ. ეკ. ისტ.).

საქართველოს ბუნებრივი პირობების მიხედვით გამოყვანილი იყო ვაზის ჯიშები. ეს ჯიშები სავსებით შეეთანაბრებოდა იმ მიკრორაიონებს, რომლისთვისაც ეს გამოყვანილი ჯიშები იყო: კლარჯეთისათვის, მესხეთისათვის, იმერეთისათვის, გურიისათვის, სამეგრელო-აფხაზეთისათვის, ქართლისათვის, კახეთისათვის. ჯერჯერობით ქართული ვაზის ჯიშების ცოცხალი კოლექცია, რომელიც შეკრებილია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობის ინსტ-ის ვენახში 500-მდე ჯიშს შეიცავს. ალბად ეს რიცხვი კიდევ გაიზრდება. მაშინ, როდესაც საქართველოს ვაზის ფონდი უფრო გულდასმით იქნება გადათვალისწინებული.

აკად. ივ. ჯავახიშვილს საქ. ეკონომ. ისტორიის II ტომში 420 ჯიშში მოჰყავს:

„სახელდობრ ზემომოყვანილი მიმოხილვიდან სჩანს, რომ ჰერეთში სულ 8 შავი და თეთრი ჯიშია, კახეთში 17 შავი, 36 თეთრი და 13-ის ფერის შესახებ ცნობა არ მოგვეპოვება, სულ კი 66 სახელწოდება, ქვემო ქართლში ანუ ბორჩალოში 2, შიდა ქართლში 18 შავია, 20 თეთრი ანუ სულ 38-ია. მესხეთში 3 შავია, 2 თეთრია, სულ 5-ია. იმერეთში 20 შავია და 22 თეთრია, სულ 42-ია. რაჭაში — 25 შავია და 34 თეთრია, სულ 59-ია. ლეჩხუმში 16 შავი და 20 თეთრია — სულ 36-ია. სამეგრელოში 37 შავი და 16 თეთრია, სულ 53-ია. გურიაში — 41 შავი და 18 თეთრია, სულ 59-ია. აჭარაში 14 შავი და 12 თეთრია, სულ 26-ია. შავშეთ-კლარჯეთში 13 შავია და 13 თეთრია, სულ 26-ია.

ამნაირად საქართველოს ყველა თემებში საერთოდ 420 ჯიშ სახესხვაობათა სახელწოდება ყოფილა გადარჩენილი“.

(ჯავახ. ეკ. ისტ. გვ. 471).

მიუხედავად იმისა, რომ აკად. ჯავახიშვილის მოსაზრებანი დიდი კვლევის შედეგია, იგი არ წარმოადგენს მაინც სრულ მასალას, რადგან ამ შრომის გამოქვეყნების შემდეგ მრავალი ახალი ცნობა იქმნა კიდევ მოპოვებული. ასე მაგალითად მესხეთ-ჯავახეთისათვის აკად. ჯავახიშვილს მოყვანილი არა აქვს: თავცეცხლა, კლერტმაგარა, არიჭული, ბეჟანა და სხ. ასევეა სხვა რაიონების მიმართაც.

მსკოვანმა მეცნიერმა ქართული ვაზი შეისწავლა გამოქვეყნებულ ლიტერატურულ წყაროების მეშვეობით ცხადია მან მხედველობაში მიიღო ის, რაც უკვე მოხსენებული იყო. პირადად რაიონების კვლევა მის ამოცანას არ წარმოადგენდა. შემდეგმა კვლევამ დაამტკიცა, რომ მრავალი ჯიშ ჯერ კიდევ აღწერელია.

როგორც ზევეითაც აღვნიშნე ვენახი ყოველთვის იყო ქართული დოვლათის ერთერთი მთავარი ნაწილი. ამის ნათელი გამომსახველია ხალხური ფოლკლორიც:

„სიდდრო შავგვრემანობით არ დაიწუნო სიძია,
სოფელში მოდი იკითხე გრძელი ვენახი ვისია“

(ხალხური პოეზია).

ისტორიული დოკუმენტები უფრო მკვეთრად ადასტურებენ ამ დებულებას.

„... ჩვენის ნება - წადილით ჩვენი სამკვიდრო მარანი მოგყიდეთ ყოვლის კაცისაგან უცილგებელი, თავის სამოცდა ათის ქვევრითა, მარანის გვერდით ოთახი რომ აკრავს იმ ოთახითა“.

(საქ. სიძ. ტ. II. 1736 12.VI. გვ. 382, № 339).

ხალხსაც უყვარდა ვენახი, უვლიდა მას და არაფერს არ იშურებდა მისთვის.

„დიდ ვენახში მივედიოდი ბარითა და ნიჩაბითა,
ზევით ბაგამ დამიძახა, აქ მობრძანდი მე რა ვითხრა,
შენ სასუქი მომიშადადე თითო ჯინი თითო ძირსა,
ისეთ მტევანს გავიკეთებ არ ჩავიდეს გოდრის პირსა“.

(ხალხური პოეზია).
ქართული
ენების
სამეცნიერო
ინსტიტუტი

იცოდა როგორ მოეელო მისთვის.

„ვენახი კარგა იქნება თონით ღრმად გათოხნილია,
ყოველთვის დაკრფვის ღროსა მას მტევანი აქვს სხვილია,
გათოხნილი ვენახისა ღარში გამოდის სხვილია.
გათოხნავ ვენახისა, მძიმედ ჩამოდის, წვრილია,
მაგრამ სწორე უნდა ვითხრა ღვინო ის უფრო ტკბილია“.

(უმიკ. გვ. 326).

სიგელგუჯრებში ან ნასყიდობის წიგნში განსაკუთრებულად აღნიშნულია შოვლის ღრო და წესები, მთავარ მუშაობის დროს ერთგვარ შეღავათებს ითვალისწინებენ ნასყიდობის წიგნებში.

„... ღვერეთს, ტიკინაძე. რისაც მქონებელი იყო: სახასო ზვრის მესამედი, ზეთ კერძი ახალშენი იყო, ცოტა მისის კორდითა, მესამედი ზვრის გზა ასე გაგვიჩენია: ნებვისა და მუშის ღროსა, სენიას ყმის სამძღვარს აქეთი, შეიაროს თამაზამა და სოსიამა ვერ დაუშალოს და სიმწიფის დროს თავისის კერძის ღობიდაჲ იაროს“...

(საქ. სიძ. II გაცოდის წიგნი. 1674. № 198, გვ. 239).

„შემოგწირეთ... თქვენ ყოველად პატრონსა ხატსა მაცხოვრისასა ქვემო ვარსიმაშვილის ვენახი, ესიტაშვილს რომ უქირავს იმის გარდა ნონიაშვილების ვენახი საკულუხოთ, რომე ძველთაგანვე თქვენი ყოფილიყო, ისრე რომე აიწყოდეს, ოთხი პატრონსა და მეზუთე საყდარს მოეხმარებოდეს“.

„ვენახი კარგა შეინახოს რთვლამდის და რთველში იქ მდგომ კაცს უჩვენოს და თუ ავად შეინახოს, სამართლიანის საქმით გარახდევინებდნენ“.

(საქ. სიძ. I გუჯ. 1705. № 133, გვ. 126).

ღვინო ქართველი კაცისათვის სასუქვარი იყო ქირშიც, ლხინშიც და მუშაობაშიც:

„ვენახსა განაპირასა ჩაურიგებენ მანასა,
ვინც ღვინოს დაგვალევიან იმას მოუმკით ყანასა“.

(ღლონტი, ქართ. ფოლკ.).

„დაიცა, მივალთ გრილოში, ჯამი დარიგდეს თიხისა,
ვენახის სათოხნელითა გული დამიწყებს ღიღინსა,
დავკრათ და მიწა ვაბრუნოთ, როგორც ნანგრევი ციხისა,
დასხდნენ და ღვინო დასხეს, მოსდევს სხვილ სხვილი ჯამითა,
ერთმანეთს ეუბნებიან: ასე აიესე ჯანიითა“.

(უმიკ. გვ. 325).

ასეთ ხალხურ ლექსთა და თქმათა მოყვანა მრავლისა შეიძლება. ფეოდალურსა და ბატონყმურ წყობილების დროს გადასახადი ვენახის შემოსავლისა დიდი იყო. გარდა კულუხისა ყმას ევალებოდა ვენახში მუშაობა, ქვევრის რეცხვა, მარნის მოწყობა და სხვ.

„... ასე რომა გაგათარხნეთ და წყალობა ვიყავით: არა ჩვენი, არა, სახელმწიფო სათხოვარი, არა კოდის პურა, არა ღალა, არა კულუხი; არა ჩვენი ხენა, არა მკა, არა ღეწვა, არა ზვარში მუშაობა, არა ქვევრის რეცხვა და სხ... გევალებოდეს“.

(დოკუმ. სითარხ. წიგნი 1626—50 წ. № 24, გვ. 20).

„ჯავახიშვილთა... დაგიმტკიცეთ სოფელი ავეკეთი და იის—ციხე. და ასრე ხელშეუბ-
ლებლად გვიბოძებია, რომე ჩვენგან არა ეთხოვებოდეს საჯინიბია, არა აბორსალართა, არა ბა-
ზიერთა, არა საელნო, არა ციხის მუშაობა და ზუართა მუშაობა, არასთანა შემოსაწერი და
სათხოვარი არა ეთხოვებოდეს, არა გორული, და ატენური, ყოველის სათხოვრისაგან ხელმო-
ხსნილი გუიბოძებია“ (სიგელი მეფე გიორგი XI-ისა ჯავახიშვილებისადმი მიცემული).

(საქ. სიძ. ტ. II. 1463 წ. 2/IX. გვ. 19, № 12).

აქ საინტერესოა გარდა ზვართა მუშაობისა გორული და ატენური. გორული ესაა ხარკი გორის სასახლისათვის და ატენური ატენში ზვრებში სამუშაოდ გაღებული ხარჯი.

ძველთაგანვე ვაზის ბაღის აღსანიშნავად გადავიდა თანამედროვე სიტყვა „ვაზის“ აღნიშნული სახელი: ვენახი. ვენახის აღსანიშნავად იხმარებოდა და იხმარება: ვენახი და ზვარი. ზვარი როგორც სჩანს არის დიდი ვენახი და წარმოშობილია „ზვარე-დან, —სამხრეთის განათებულ ფერდოსაგან, „ზვარე/ზვარე“. ესეც საინტერესო მომენტი. ზვარი შეძლებულთა სიგელგუჯრებში გვხვდება, ე. წ. ეპიკურული დიდი მამულ-დედული გააჩნდათ, ვენახს აშენებდნენ უეჭველად ზვარე ადგილებში (აბაღაზრდა ვენახი იწოდებოდა და იწოდება: „აბაღაზრდა“ და „ბაგა“.

„შუა ბოლნისს მამის ჩვენის ნასყიდი ზვარია, ქვემო-ბოლნისის რუს ზეთი და ქვეითი მხარი, იოანეს ზვარი ერთი, ორლობე, ქვემო კაცია ღრეული ვენახში თავის სამართლიანის სამძღვრით, როგორც ჩვენ გვკვიროდეს, ნიგვზითა, ხილითა, შესავლითა, გასავლითა...“
(საქ. სიძ. II ნ. წ. 1635 3/XI — № 336, გვ. 379).

და ასე მრავლად:
„ესე რომა მოგვიდეს ჩემი ალალი მამული ჩემი ბაგის ჩასწვრივა, გვერდზედა შენისა მიწისა და სხ“.
(საქ. სიძ. II ნ. წ. 1807 წ. № 440, გვ. 176).
„ასრე რომე თქუენის ყმის მამასახლისის ანდრიაშვილისაგან მიწა ვიყიდეთ ზუნგალს და აბაღაზრდა ჩავყარეთ და დაგვექირა და გასასყიდათ მოვიწოდეთ“.
(საქ. სიძ. II ნასყიდობის წიგ. 1666 წ. გვ. 131, № 106).

ფრიად მნიშვნელოვანია ის რომ მამულდედული ჩვენს მეურნეს დაყოფილი ჰქონდა კატეგორიებით: სახნავ-სათესი, საბოსტნე, სავენახე და სხ. სახნავ-სათესში ის ვენახს ან ბაღს არ გააშენებდა. ამათვის გამოყოფილი იყო უფრო კარგი, შესაფერისი, მოვლილი მამული, რომელსაც განსაკუთრებით უვლიდა სანამდე ვენახს ან ბაღს გააშენებდა და ამიტომ ძვირადაც ფასობდა. ეს საერთოდ მეურნეობის მაღალ-დონეზე დგომის ნიშანია.

„... ან რაც ცხნარში ჩემი კერძი და წილი არის, ან აშენებული პარტახი მათისმითა, ბარითა, სახნავითა, უხნავითა, წყლითა, წყლისპირითა საწისქვილითა, ვენახითა, სავენახოთა, სახლითა, კარითა, მისადეგითა, საძმლითა, კალოთა, საძებრითა, უძებრითა ... ყოვლის კაცის მიუ-დავებლად მოგვიდეთ“.
(საქ. სიძ. II ნასყ. წ. 1727 2/XII, № 293, გვ. 341).

„... მოგვიდეთ... ამას გარდა ჯავშანიანში ჩემი წილის სახნავითა, უხნავითა, ტყითა, ველითა სავენახითა...“
(საქ. სიძ. II ნასყ. წიგ. 1709. № 181, გვ. 224).

„... ასრე რომე მოგვიდეთ ვენახი... და კიდევ ჩემის ნება წადილითა ამის კარში ზვრის თავსა თქვენგან ნასყიდი სავენახე მიწა“...
(საქ. სიძ. II. 1799 28/VII, № 146, გვ. 177).

სავენახე მიწა განსაკუთრებულად იყო დაბეგრული.
„მიწა სავენახე გლიხას ხელში (მყოფი) ძველი დავთრის თანახმად იძლევა გამოსაღებს ბეპრეს“.
(გურჯისტანის ვილ. დიდი დავთარი, გვ. 354).

მამულ-დედულში გამორჩეული იყო აგრეთვე ნაზვრევი და ნავენახარი. მას განსაკუთრებული ფასიცა და მოვლაც ჰქონდა, ნასყიდობის წიგნებში და სიგელგუჯრებში ცალკეულად იხსენიებიან:

„გიბოდეთ მიწა ყარაღაჯულში ოთხის დღისა... კიდევ ამის გარეთ გიბოდეთ ხანდაკს ჩვენი ნაზვრევი და მამუკას შეილის ნავენახევი“.
(საქ. სიძ. II, გვ. 91. № 67, 1670 წ.).

ამ ამონაწერიდანაც სჩანს, რომ ძველად ვენახსა და ზვარს ურთიერთისაგან არჩევდნენ.

„ასე რომე დამექირა და მოგვიდეს ჩემი სამკვიდრო, რაც ჩემი წილია ქალაზედ, შენს ნასყიდსა ვენახთან ჩემი ნავენახობი ზეთ თავის ტყითა ხობიის პირამდის“.
(საქ. სიძ. I ნასყ. წიგნი. 1725 წ. გვ. 85, № 74).

ვენახის მოვლა მაღალ საფეხურზე იყო ძველად აყვანილი. მისი საქიროებისათვის შემოღებული იყო დამხმარე მეურნეობის გაჩენა, შექმნა. ესენი იყვნენ სასარენი და საჯალჯენი. ამავე დროს სასარე ორგვარი იყო, თვით ვენახის მახლობლად სპეციალურად გაშენებული და ქალის ტყეში გამოყოფილი.

„მოგვიდეთ ჩვენი მკვიდრი მამული სასახლე არჯევანული მამული მისით სახნავითა, ნაფუძრითა, მითთა, ბარითა, კალითა, სახარითა, საჯალჯითა, საკაფითა, წყლითა, წისქვილითა, მისითა შესავლითა და გასავლითა ყოვლითურთ უნაკლოდ“.

(საქ. სიძ. ტ. I. 1609 წ. 7/IV, გვ. 51, № 40).

„მოგვიდეთ თაფანს ერთი მთელი საკომლო ტაველაშვილის მამული, მიწითა, სახნავითა, ჭხნავითა, სარწყავითა, ურწყავითა, ვენახითა, ნიგზნარითა, ხილნარითა, წყლითა და რუთა, მისის შესამატითა, მისის სამართლიანის სამძღვრითა, მთითა, ბარითა და ხასარითა. სახლითა, კართა, ქვევრ-მარნითა, საწნახელითა, შესავლითა და გასავლითა, სამარხილის შესავლის გზითა, საწყლის პიროთი, საფიხხულითა, საოჩხითა, საკულ-მოძრითა, საოსაროთა, საორავლოთა, მისის სამართლიანის საქმით და სამძღვრითა მოგვიდეთ და ავიღევით ფასი სრული და უკლებელი, რითაც ჩვენი გული შეჯერდებოდა.“

(დოკ. 1718 წ. გვ. 178, 179)

იმ მხარეში სადაც ასეთი კულტი იყო შევენახეობისა და ერთერთი საფუძველი ეკონომიკისა, ცხადია მელვინეობასაც თავის მიმართულება ექნებოდა. ეს გამოსახულია საკმაოდ კარგად ხალხურ ფოლკლორშიც.

„ღვინო კი მათრობელი სჯობს, ძალი თეოზე მყეფავი, ვაჟკაცი მწყნარი სჯობია, რომ გაჭირდება მკეხარი.“ (ხალხ. პოეზია).

ასეთი მაგალითების მოტანა კიდევ შეიძლებოდა. პატივდებული ყოფილა მაგარი, ვაჟკაცი ღვინო. ჩვენი ღვინოების ტიპიც ხომ ასეთია. ეს საუკუნეების მანძილზე შემუშავებული ტიპია (კახური ღვინო, სვირული, ქართლური და სხვ.).

საერთო მიმართულება ასეთი იყო, მაგრამ რაიონების მიხედვით, იმდენად, რამდენადაც რაიონის ბუნებრივი პირობები, რაიონის მიხედვით გამოყვანილ ვაზის ჯიშები, და ხშირად თვით რაიონის ეთნოგრაფიული და ეკონომიური წყობა სხვაგვარი იყო, თავისებურს, სპეციფიკურს ღვინოებს აყენებდნენ, რაც ჩვენს ძველ ლიტერატურაშიც და ხალხურ ფოლკლორშიც საკმაოდ მკაფიოდ არის ასახული. აი თუნდაც:

„ღმერთმანი ბოდბიხვეური ღვინო დადგება სქელია, ასეთი ღვინო დადგება წითელი ლალის ფერია.“ (უმეკ. 326).

„ველისციხის ღვინოები შავი არის და სქელია, იმით დამთვრალი კაცები ტკბილსა ხმაზედა მღერია.“ (უმეკ. 326).

ვახუშტი ბატონიშვილი ყოველ რაიონისათვის, სადაც კი მას შეუმჩნევია თავისებური და აღსანიშნავი ღვინო უეჭველად მოიხსენიებს:

„აქავ ღვინო კონდოლისა წარჩინებული.“ (ვახუშტი გვ. 316).

„... და ახმეტის ღვინო კეთილი.“ (ვახუშტი გვ. 320).

„ამას ზევით ატენი, მცირე ქალაქი... არს ციხე მაღალ კლდესა ზედა ნაშენი, დიდი, და ციხის გორის სამხრეთით, არს საცივი ვითარცა მყინვარი, სადაც დგება ღვინო წარჩინებული.“ (ვახუშტი გვ. 200).

„დასავლეთ არმაზისა არს ციხე დიდი, სდის დასავლით ხევი ძეგვისა, სდის სხალდიდს, მიერთვიან მტკვარს სამხრიდამ. არს ღვინო დამბალი ბუნებური კეთილი.“ (ვახუშტი გვ. 194).

„თრიალეთს... ტკბილს მოიტანენ ბარიდამ, ჩაასხამენ აქა, დადგების ღვინო და კეთილ-გემოიანი.“ (ვახუშტი გვ. 160).

„და არს ქვეყანა ესე სვირი, მდინარეთა კიდურნი კბოდოვანი, ფლატოვანი, ჭილიანი, მთის კერძო ვაკე და აყრილ ტყიანი. ნიგზნარ-ხილიანი, ვენახოვანი, ხეთა ზედა ასულნი, რომელსა უწოდებენ მაღლარსა ანუ ბაბილოსა. ღვინო მრავლად და კარგი.“ (ვახუშტი გვ. 386).

გურიას

„ვენახნი მაღლარნი, ღვინო კეთილი, მსუბუქი და შემრგო, გემოიანი-სუნიანი მრავლად.“ (ვახუშტი გვ. 418).

ოდიშს

„ვენახი მაღლარნი, ღვინო მსუბუქი და კარგი, აქა არს ღვინო ზარდაგი ფერისათვის ეგრეთ წოდებული, ფრიად კეთილი, ძალიანი და ქებული ყოველთა შინა“ (ვახუშტი).

ასეთ ამონაწერთა მოტანა მრავლისა შეიძლება და უკვე აქედან სჩანს, რომ ყოველ ჩვენს რაიონს თავისებური სპეციფიკური ღვინო ჰქონია.

სხვა წყაროებიც მრავლად მოიხსენიებენ სხვადასხვა ტიპის ღვინოს.

პლატონ იოსელიანს გიორგი მეფის ცხოვრების აღწერილობაში მოჰყავს მისი სუფრის ავკარგიც, რომლისთვისაც იმოწმებს ქობულაშვილის ქალის წერილს:

გიორგი XIII „იყო დიდი მლოცავი და მარბვის შემნახავი და შემარბულე. ყოველის ბიწიერებასა (მოშორებული) უყვარდა მდიდარი სადილი, თუმცა სძრახავდნენ, რომ ერთამ ბევრს საჭმელს მიირთმევსო, მაგრამ ჩემი ქმარი ფიცით ამბობდა, რომელიც სადილისად სულ იმა სახლშია, რომ რაც ერთის კაცის სამყოფია მეტს არ მიირთმევსო; მაგრამ მლოცავი უყვარს, რომ სადილი ეშლებოდეს და ღვინოს უფრო მომეტებულსას მაგრამ ისეთს ღვინოს მიირთმევდა, რომ ეხლა სადღა იშოვება ამისათვის ღვინო. იმათი სასმელი ღვინოს ვენახი უნდა აბეჩხარი ყოფილიყო, ესეიგი დაუბარავი და პატივი დაუყრელი, ამისათვის რომ ძალიან ცოტა გამოვიდოდა კარგი“.

„მეფის სასახლის ღვინოს ქება რო დავწერე. ის ღვინო იყო ზემო ხოდაშნისა ზვრისა, რომელიც რუსებმა გაჰყიდეს და ერთმა გამყრელიძემ იყიდა“...

(ბარბაღე ქობულაშვილის წერილი. პლ. იოსელიანი. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა გვ. 61).

ქართლის ღვინოებიც მრავალ დოკუმენტში ფრიად დიდი ქებითაა მოხსენებული. შეიძლება ითქვას, რომ დიდი შრომის დახარჯვა კი უხდებოდა ქართლელ მეურნეს, რათა დაეძლია ბევრჯერ არახელსაყრელი ბუნებრივი პირობები. აქ რომ კარგი ღვინო არ ყოფილიყო არც ამას იზავდა.

„მერმე ოქმი აუღია მანუჩარ მდივანს. პეტრე ავალიშვილი იასაული არის, რუისის ვენახზედ ხელი აუმართეო და სიგელებიც წაართვიო... ხომ მოგეხსენებათ თრთვილმა წაახდინა წელს ცოტა რამ, შერჩა, საწუშაოს ფასიც არ გამოვა. ჩემთვის მიმუშავნია, არას მუშაკს ხელი არ მოეკრება, იმდენი თქვენი წყალობა მაქვს, რამდენი ბეითალმანი ვენახი კარგი ჩვენს სამსოფელში იყოს, იმუშაოს და თავისთვის ჰქონდეს“...

(საქ. სიძ. III არზა ირაკლი II-სადმი 1789. № 547, გვ. 528).

ხალხური:

„უფალმა იესე ქრისტემ ქვეყანას ხელი დარია,
მაისში თოვლი მოვიდა, დასცა იანვრის ძალია,
თიბათვემ რთვილი გააგდო. ვაი ქვეყანას ბრალია,
ვენახები წაგვიხდინა, ლობიო ხომ დამძრალია.
სიმინდი ბევრი მოვიდა ყველას უდგია ზარია,
ამ უცოლშვილო ბიჭებსა ცეცხლზე დაუსხა წყალია,
„ახლა რილათ ვქნათ ქორწილი, რით გავახილოთ თვალია“.

(უმბიკ. 231).

მიუხედავად ამისა შრომობდნენ და ღვინოც მრავლად მოჰყავდათ. ტყვიაველი შემამულე სწერს ერეკლე მეფეს:

„აწ ვედრება ესე არს: იმ ყმასა და მამულზე ხელი აგვიმართავს და ორმოც კოკა ღვინო საც სხვასა გვთხოვენ, ათი კოკა ღვინო ოსისა გვედგა, ის წაგვართვეს და იმ ოცდაათის კოკისათვის გვალონებენ“.

(საქ. სიძ. III. 1793 წ. № 195, გვ. 173).

„ჩვენი ბრძანება არის. თავლიდარო ფირან, მერმე შენ რომ სამს გორელს კაცს თურამეტს თუმანზე დაგაყენეთ მაგ თურამეტის თუმნის ანგარიშში, ასორ მოცდაათი კოკა ღვინო გამუართვი და ჯორები გამოგვიგზავნია, ზოგი აქა გამოგზავნეთ და ზოგი მანდვე შეგვინახე. ეს ასე ახლავე გაარიგე. ღვინო არა გვაქუს“.

(მეფე ბაქარ.)

ამიაზე აწერია

„რაც ტიკები მოუნდეს ეგეც მანდ იშოვეთ“.

(საქ. სიძ. III. ბრძანება ბაქარ მეფის 1717 — 1719, № 431, გვ. 413).

მეფეებს, რომელთაც კახეთიც ეპყრათ, ქართლში მრავლად ჰქონდათ ვენახები, ამისათვის ცალკე გამოსაღებიც კი ყოფილა ატენურის სახელწოდებით.

დარეჯან დედოფალს ქართლში მრავლად ჰქონდა ვენახები, დიდ თანხებსაც ხარჯავდა ამისათვის, თუმც ბოლოს, როცა რუსთამეფობამ მოიკიდა ფეხი ვენახები დაუზარალდა.

„ალიდან გიახელ, ქრცხინ ვაღს ზვრის სასთელოდ და რაღა მოვახსენო თქვენს სიმაღლეს ამ ზვრის აბეჩხარობა ამ ზაფხულ რუსების ცხენები და თან სხვა მოსაქმეთ თავადი“.

შვილებისა, სხვისადასხვისა სულ ამგებულნი ჰყოლიათ ამ ზეარშია. გაუფუჭებიათ... რასაც მიუსწარ კი აღარ წამიხდევინებია რა. ზეარს გამოვიდა სამოცდარვა კოკა ნახევარი".
(საქ. სიძ. III. მოხსენება ბევთარეგ მდივნისა დედოფლისადმი 1801. № 362, გვ. 345).

ამგვარად ისტორიული წყაროების მიხედვით შეგვიძლიან დავაზუსტოთ თუ რომელ რაიონში როგორ ყოფილა გავრცელებული ვენახი და რა ტიპის ღვინოები კეთდებოდა. ღვინოსათვის ზოგი ვადაზრუნველია, ზოგი ისტორიის უკუღმართობამ მოსპო. ასეთივე ბედი ეწვია მესხეთის და საერთოდ სამხრეთის მევენახეობა-მღვინეობას. მესხეთის მევენახეობის აღსადგენად მრავალი დოკუმენტი მოგვეპოვება. მათ შორის დოკ. ს. ჯიქიას მიერ გამოცემული გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი. მთელი მესხეთის და ჯავახეთის ნაწილი 1000 მეტრის სიმაღლემდე ზღვის დონედან და ზოგჯერ ზევითაც სავენახე ზოლათ არის დასახული და მრავალი ვენახია მოხსენებული. სახელმწიფო ხარჯში ვენახის შემოსავალს დიდი ხვედრითი წონა აქვს. (იხ. ცხრ.).

გურჯისტანის ვილაეთში ვენახის ხარკის რაოდენობა

გამოსაღების დასახელება	ახალციხის ლივა	ხერთვისის ლივა	ახალქალაქის ლივა	ჩალდისის ლივა	ფოტოვის ლივა	პეტრეს ლივა	ფანაგის ლივა	დიდი არტაანის ლივა	სულ
ხორბალი	908.332	341.950	337.610	279.770	233.950	24000	307.470	522.950	2.995.332
ქერი	932.940	305.120	300.720	243.960	196.940	26000	332.056	397.846	2.635.532
ჭვავი	116.700	338.240	41.400	21.972	6.384	—	4.246	3.080	231.116
შირა	90.400	4.200	10.400	400	3.000	500	29.600	15.000	194.540

ეს უკვე ნათლად ამტკიცებს, რომ ახლად დაპყრობილ მესხეთში მევენახეობას დიდი ხვედრითი წონა ჰქონია. მაშინდრობამ იგი გამოდევნა, მაგრამ სულ კი არ მოსპო. მეცხრამეტე საუკუნეში და მეოცის დასაწყისში მესხეთ-ჯავახეთში ყოფილა ჯერ კიდევ ისეთი ჯიშები, რომელნიც ეხლა აღარცკი სჩანან.

ზემოთქმული მასალა და მისგვარი მრავალი, რომელიც უხვად მოიპოვება ჩვენს ძველ მწერლობაში, სიგელგუჯრებში და სხვა დოკუმენტებში და წყაროებში, აგრეთვე ხალხურ მდიდარ ფოლკლორში მიგვიჩვენებენ იქითკენ თუ სად რაგვარი ტიპის ან სახის ღვინო ყოფილა გავრცელებული; მაგრამ დასახული მუშაობისათვის მარტო ამ ცნობებით დაკმაყოფილება არ შეიძლება.


საქართველოს ბუნებრივი პირობების შესწავლამ, მისმა მცენარეული საფარის გეოგრაფიამ ბევრი საინტერესო ცნობა მოგვცა. მაგალითად ძეძვიანი ფორმაციები ერთერთი საუკეთესო ინდიკატორია მევენახეობის გასაადგილებლად, მაგრამ ესაა საერთო, ზოგადი ინდიკატორი.

ძეძვი გავრცელებულია მუხრანის ვაკეზეც და მის მიდგმა ფერდობებზე, მაგრამ ზოგან მაგ., დამპალოს ფერდობებზე გარდა ძეძვისა გავრცელებულია აგრეთვე ერთი საინტერესო ველის მცენარე, რომელსაც „იორდანეს სალამი“ ეწოდება (*Paeonia tenuifolia*). ამის გამო, დამპალოს ღვინო განსხვავდება მუხრანის ვაკის ღვინოსაგან. ეს შემთხვევითი როდი აღმოჩნდა. ოძისის ვენახების მიდამოებში გვხვდება იგივე იორდანეს სალამი. იორდანეს სალამი გვხვდება აგრეთვე: მეჯვრისხევში, ფლავისმანში და სხ. და ყველგან, სადაც იორდანეს სალამია, ვენახებია გაშენებული. იქაური ღვინოებიც განსხვავებულნი არიან. ბევრგან, სადაც ამბობენ, კარგი ღვინო იცისო, იორდანეს სალამია გავრცელებული, მაგრამ ყოველივე ამას შესწავლა უნდა.

ეს მხოლოდ ერთერთი მაგალითია.

საქართველოს ვახის ჯიშების შესწავლა ფრიად მნიშვნელოვანი და საქირო საქმეა. მიუხედავად იმისა, რომ თითქოს ამ დარგს საქართველოში დიდი ხანია ყურადღებას აქცევდნენ, გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. მრავალი ჩვენი ჯიში მეცნიერებისათვის უცნობია. მრავალი ჯიში წარმოიშობა და ყალიბდება ამჟამადაც. ყოველივე ამას კი სჭირდება დაკვირვება და შესწავლა.

დოკ. მ. რამიშვილის შრომა წინამორბედი უნდა გახდეს ამ ტიპის სხვა შრომების გამოცემისა.



ОТ РЕДАКТОРА

В 1938-39 г. Грузинский сельскохозяйственный институт [] приступил к изданию атласа культурной флоры Грузии. Кроме атласа было решено издать серию работ — «Описание и география культурных растений Грузии». Эту серию решено было начать с виноградной лозы. Стали подбирать материал по ампелографии Гурии и Аджарии, Мегрелии и Абхазии, Рача и Лечхуми, Имеретии, Карталинии, Кахетии и т. д.

В первую очередь был подготовлен к печати материал доц. М. Рамишвили, но первоначальный план был изменен и в первую книгу, кроме сортов винограда Гурии и Аджарии, включили также сорта Мегрелии. Доц. Рамишвили провел гигантскую работу, на месте произрастания приводимых в книге сортов он лично вел наблюдения и исследования.

Книга была передана в типографию в 1941 г., но по понятным причинам издание было отложено до окончания войны.

Издание материала для полной ампелографии имеет большое значение. Виноградная лоза для Грузии типичная и основная культура. Она и раньше имела огромное значение в жизни грузинского народа. Значимость виноградной лозы и вина запечатлена и в исторических документах, и в фольклоре, и в обычаях.

Издавна Грузия, как известно, была виноградарской и винодельческой страной.

«Молча вступили аргонавты во двор царского жилища. Здесь, осененные густолиственными, тенистыми виноградными лозами, стояли четыре фонтана; из одного струилось молоко, из другого — вино, из третьего — благовонное масло, из четвертого — чистая, кристально-прозрачная вода; зимой та вода была тепла, а летом холодна, как лед». (Мифы кл. древности. Штоля, т. 1887 г.).

В старину одной из прочных баз сельского хозяйства Грузии служили виноградарство и виноделие (акад. И. А. Джавахишвили — Экономическая история Грузии). Этим и объясняется, что, вторгшись в Грузию, завоеватели (Тамерлан, Шах-Абас и др.) приказывали своим войскам вырубать виноградники, а заодно с ними плодовые сады, тутовые и ореховые насаждения.

Но благодаря богатству и своеобразию природных условий, разнообразию возделываемых культур, трудолюбию народа и высокому культурному уровню, Грузия, обычно, быстро оправлялась от вторжений и восстанавливала хозяйство.

«Но Грузия (Картли) хорошая страна, она быстро устроится» не без основания сказал в своем докладе Никифор Ирбах великому князю Руси, Алексею Михайловичу спустя недолго после разорения Карталинии и Кахетии повелителем Ирана Шах-Абасом.

Небезынтересны в этом отношении также сведения французского купца Шардена, путешествовавшего в XVII веке в странах ближнего Востока и, в частности, по Грузии.

«...можно с уверенностью сказать, что нет другой страны, где найдутся столь прекрасные фрукты, как в Грузии. Не найдется также страны, в которой пьют в таком количестве и такое прекрасное вино. Лоза здесь вьется по деревьям, также как в Колхиде.

Из Тбилиси доставляется вино в большом количестве для шаха в Армению, Мидию, Исфаган. «Сапане»¹⁾ вина стоит 8 франков. Я имею в виду наилучшие вина, а качественно несколько уступающие им идут меньше, чем за половину этой цены. На остальные продукты цены, по сравнению с вином, также не высоки»²⁾.

В другом месте тот же автор пишет про южную Грузию (верхняя Карталиния) следующее:

¹⁾ Мера вина.

²⁾ Путешествие господина кавалера Шардена по Персии и другим странам Востока (на грузин. языке). Тбилиси. Сухелгами, 1935, стр. 83.

„Я проехал во время сбора урожая. Мне доводилось покупать виноград, маджари (молодое бродящее вино — Н. К.) и прекрасное старое вино. Вино там стоит дешево. В некоторых местах три фунта вина можно купить за одно вью, так как сельчанам не удается распродать все то количество вина, которое они могут приготовить. Виноград они не собирают полностью, оставляя его гнить на лозах“.

Нужно заметить, что Шарден¹⁾ путешествовал по Грузии в годину бедствий и смут и тем не менее, как видно, благосостояние страны было на значительной высоте.

„Значимость виноградарства, как основной и ведущей культуры в Грузии подтверждается и тем обстоятельством, что царевич Вахушти в своей „Географии Грузии“ при определении зон культурных и дикорастущих растений страны вторую зону отвел именно культуре виноградной лозы“²⁾.

Сообразно с естественными условиями Грузии были выведены определенные сорта винограда, вполне соответствовавшие тем микрорайонам, для которых они выводились. Были специфические сорта для Кларджети, Месхети, Имеретии, Гурии, Мегрелии, Абхазии, Карталинии и Кахетии. Живая коллекция грузинской лозы, собранная в винограднике Института виноградарства Академии наук Груз. ССР, насчитывает до 500 сортов. Надо полагать, что это количество значительно возрастет в результате более тщательного пересмотра и изучения фонда грузинских лоз.

Акад. И. А. Джавахишвили во II томе своей „Экономической истории Грузии“ перечисляет 420 сортов лозы.

„...из приведенного обзора видно, что в Эрети всего 8 черных и белых сортов, в Кахетии—17 черных, 36 белых сортов, о цвете 13 сортов сведений не имеется, всего же 66 наименований, в Нижней Карталинии или Борчало 2 сорта, во внутренней Карталинии—18 черных и 20 белых сортов, а всего 38. В Месхети—3 черных, 2 белых, всего 5 сортов. В Имеретии—20 черных и 22 белых, всего 42 сорта. В Раче—25 черных и 34 белых, всего 59. В Лечхуми—16 черных и 20 белых, всего 36. В Мегрелии—37 черных и 16 белых, всего 53. В Гурии 41 черных и 18 белых, всего 59. В Аджарии—14 черных и 12 белых, всего 26. В Шавшет-Кларджети—13 черных и 13 белых, всего 26.

Таким образом, в провинциях Грузии до наших дней сохранилось 420 наименований, присвоенных разновидностям виноградных сортов“³⁾.

Данные, приводимые акад. Джавахишвили в результате длительного изучения, не представляют, однако, исчерпывающего материала, поскольку после опубликования его труда выявлены новые данные. Так, например, им упущены следующие сорта, существующие в Месхет-Джавахеции: „Тавцецхла“, „Клертмагара“, „Аричула“, „Бежана“ и др. Кроме того литература, по видимому, не могла охватить все сортовое разнообразие и потому не удивительно, что у И. Джавахишвили упоминаются не все сорта.

Как указывалось и выше, одним из основных факторов достатка и зажиточности Грузии были виноградники. Ясные указания на это содержит в себе изустное народное творчество.

„Теща! не бракуй зятя потому, что он смугл;

Поди и попроси в деревне, кому принадлежит большой виноградник“⁴⁾.

„Восемь ароб вина даст мне мой виноградник“⁵⁾, — не без гордости говорит грузин в стихотворении.

Еще резче подтверждают указанное положение исторические документы:

„По доброй своей воле мы продали Вам принадлежащий нам по наследству, никем непрекаемый „марани“ с семидесятью кувшинами и прилегающей к нему комнатой“ (Древности Грузии, т. II, 1736, 12/IV, стр. 382, № 339).

Народ с любовью относился к винограднику, ухаживал за ним, не щадя своих сил.

„Шел я по большому винограднику с заступом и лопатой“.

„Сверху „бага“⁶⁾ окликнул меня: „Подойди-ка сюда, вот что скажу тебе“:

„Ты приготовь мне по одной куче удобрения на каждый куст лозы“.

„И у меня вырастут такие крупные гроздья, которых в отверстие „годори“⁸⁾ не протиснуть“⁹⁾.

¹⁾ Шарден, *op. cit.*, стр. 54.

²⁾ Акад. И. А. Джавахишвили — Экономическая история Грузии, т. II, 1934, Тбилиси (на груз. языке).

³⁾ Акад. И. А. Джавахишвили, стр. 471.

⁴⁾ „Народная поэзия“ (на груз. яз.), Тбилиси, Сахелгами, 1934 г. стр. 42.

⁵⁾ „Грузинская народная поэзия“ (на груз. яз.), Тбилиси, 1937, стр. 326.

⁶⁾ „Марани“ — винный погреб, винодельня.

⁷⁾ Об'яснение см. на 7 стр.

⁸⁾ „Годори“ корзина цилиндрической формы, емкостью до 1/2 центнера.

⁹⁾ „Народная поэзия“, стр. 142.

Народ умел ухаживать за виноградником, знал способы его возделывания.

„Виноградник будет хорош, если его глубоко мотыжить.

При сборе урожая всегда в нем крупные гроздья.

От мотыженного виноградника при давке винограда по жерди течет обильный сок.

От немотыженного сок идет медленно, мелко.

Впрочем, от немотыженного вино получается лучшее, крепкое¹⁾.

В жалованных и уставных грамотах, в дарственных и запродажных записях подчеркивается время и способы ухода за виноградником; запродажные записи предусматривают определенные нормы при производстве главных работ.

„У Чичинадзе в Гверети... третья часть царского „звари“²⁾, в верхней своей части представляла собой „ахалшени“³⁾ с небольшим зеленым лугом. Дорогу на эту третью часть „звари“ мы устанавливаем следующим образом: во время подвоза удобрения и главных работ ходить по сию сторону межи крепостники Сехиния, Тамаз и Сосиа не вправе препятствовать этому. В период поспевания винограда (Чичинадзе) должен ходить через забор своей части“.

(Древн. Грузии II, Устав дележа, 1674, № 198, стр. 239).

„Пожили мы... вам пречистому образу (Христа) Спасителя нижний виноградник Варсимашвили, что в пользовании у Эситашвили, а кроме того виноградник Нониашвили... в виде „кулухи“⁴⁾, как исстари принадлежащий Вам; четыре доли должны отмеряться владельцу, а пятая—церкви на ее потребу.

До урожая виноградник надлежит содержать хорошо и во время сбора показать его присутствующим и в случае плохого ухода, подвергнуть приставленного к винограднику справедливому взысканию“⁵⁾.

Вино для грузина было необходимой утехой в радости, в горе, во время работы и отдыха.

„Кто даст нам выпить, тому пожнем мы ниву“⁶⁾.

„Подожди же, сядем в тени, обнесут там глиняные чаши с вином, замурлыкает мое сердце, оживу от этого я и потянет меня мотыжить виноградник“.

„Ударим мотыгой и перекопаем землю, как развалины крепости“.

„Расселись и налили вина, полные чаши ходят вокруг“.

„Пирующие друг другу говорят: „преисполнитесь здоровьем, подобно этой чаше“!

Можно было бы привести, в виде иллюстрации, множество других песен, стихотворений, сказаний и пр. из фольклорного материала.

В феодальную эпоху крепостные, кроме уплаты „кулухи“, обязаны были работать в помещичьем винограднике, мыть винные кувшины, приводить в порядок „марани“ и пр.

„...таким образом, мы освободили вас и оделили милостью: отныне не вменяем Вам в обязанность ни нашу, ни государственную подать, ни „кодис пури“⁷⁾, „гала“⁸⁾, ни „кулухи“, ни пахать для нас, ни жать, ни работать в винограднике, ни мыть винные кувшины и т. д.“⁹⁾.

„...за вами, Джавахишвили... мы утвердили селение Авкети и крепость Па и неприкосновенно пожаловали мы их вам, так что не будет требоваться от вас ни конюшенная, ни табунная, ни сокольничья, ни... служба, а также работа по возведению крепости и возделыванию виноградника, никаких вспомоществований и подателей не требовать, ни равно „Горули“ и „Атенури“¹⁰⁾, даруем Вам их в свободном от всяких налогов“¹¹⁾.

В этом документе, кроме работы по винограднику, интересны для нас термины „Горули“ и „Атенури“. Первый из них обозначает подать в пользу царского двора в Гори, второй—расходы по оплате работ в Атенских царских виноградниках.

Небезынтересно также остановиться на терминах „венахи“ и „звари“ существующих в грузинском языке еще исстари для обозначения сада, состоящего из виноградных лоз. В отличие от „венахи“, под которым подразумевается обычный виноградник, „звари“ употребляется в отношении виноградника больших размеров. Само это слово произошло от „маваре“, что значит: место где солнце

¹⁾ Грузинская народная поэзия“ стр. 325.

²⁾ „Звари“ большой виноградник подр. см. ниже, на стр. 7.

³⁾ „Ахалшени“— вновь разведенный виноградник.

⁴⁾ „Кулухи“—церковная натуральная подать вином.

⁵⁾ „Древности Грузии“, грамота 1705 г. № 133, стр. 125.

⁶⁾ „Грузинская народная поэзия“, стр. 325.

⁷⁾ Кодис-пури—подымная подать в размере 4¹/₂ пуд.

⁸⁾ „Гала“—натуральная подать с урожая хлеба.

⁹⁾ Тарханная грамота, 1926—50; № 24, стр. 20.

¹⁰⁾ Объяснения, см. несколько ниже.

¹¹⁾ Жалованная грамота царя Георгия XI фамилии Джавахишвили. Древности Грузии, т. II, 1463 г. 2/IX, стр. 19, № 12

держится дольше, (южный склон), а потому наиболее благоприятно для разведения виноградника. Наименование „звари“ встречается в грамотах знатных людей, т. е. лиц, располагавших большими поместьями, а, следовательно, имевших возможность делать выбор разводить виноградник исключительно на тех участках, которые были расположены на солнечной стороне „мзваре“, поскольку здесь получались значительно лучшие вина.

Для обозначения вновь насажденного виноградника и поныне существуют синонимические термины „ахалшени“ и „бага“.

В среднем Болниси находится „звари“, купленный нашим отцом, в Нижнем Болниси и вниз от канала находится „звари“ Иоанна, далее прогон, а за ним виноградник Какия Греули со своими законными границами и орешником, фруктовыми насаждениями, доходами и расходами, кои принадлежали нам¹⁾. „... таким образом продал я тебе свое непререкаемое имение здаль моего „бага“, примыкающего к твоей земле и пр.²⁾ „... так что от Вашего крепостника, старшины Андришвили, мы купили землю в Хунгули и развели „ахалшени“ и по встретившейся нужде вознамерились его продать“³⁾.

Весьма характерно, что встарь хозяйственник подразделял свое имение, в зависимости от вида эксплуатации последнего, на категории, так например, земли под пашню назывались „сахнав-сатеси“, под огород „сабостне“, под виноградник „савенахе“, под мельницу — „сацисквиле“ и проч. В „сахнав-сатеси“ (пашня), он не разводил виноградника. Для этой цели выделялся более соответствующий и лучший участок, который до разведения на нем виноградника или фруктового сада обрабатывался владельцем и ценился дороже. Это один из показателей высокого культурного уровня.

„...или все, что в Цхнари составляет мою долю и часть со всеми строениями и пустырем, вместе с горой, низиной, пахотными угодьями, девственной землей, водой, прибрежьями „сацисквиле“, виноградником, „савенахе“, домом, под'ездными путями, саманником, гумном, удобными, неудобными землями... продали мы вам без всякого притязания на них со стороны кого-бы то ни было“⁴⁾.

„...продали мы вам... кроме того составляющие мою долю в Джавшаниани „сахнави“ (пашня), лес, луг, необрабатываемый участок, „савенахе“.

„Таким образом, продали мы вам виноградник, а также по своей доброй воле „савенахе“, расположенный выше моего „звари“...“⁵⁾.

Земли, годные под виноградник („савенахе“) облагались особо.

„Савенахе“, находящийся в пользовании у Глаха, дает подать и „бахра“⁶⁾, согласно старым приходо-расходным реестрам⁷⁾.

В имениях в особую категорию выделялись „назвреви“ — запустелый участок земли, где раньше был разведен „звари“ (большой виноградник) и „навенахари“ — такой же запустелый участок бывшего виноградника. Эти земли, пользовавшиеся особым уходом и ценившиеся высоко, в запродажных записях упоминаются порознь одна от другой.

„Мы пожаловали Вам в Карагаджули четыре „дгиури“⁸⁾ земли... и кроме сего пожаловали мы вам в Хандаки собственно нам принадлежащий „назвреви“, а также „навенахари“, которым пользовался Мамуков сын“⁹⁾.

„...таким образом, ввиду возникшей нужды, продал я тебе свое наследственное имение, составляющее мою долю в прибрежном лесу, около купленного тобою виноградника, выше моего „навенахеви“, со своим лесом до берега Хопи“¹⁰⁾.

Уход за виноградником встарину в Грузии стоял на таком высоком уровне, что для его нужд были заведены особые подсобные лесные хозяйства к которым относились: а) „сасаре“ — буквально предназначенный для таркала. Этот тип хозяйства имел в виду изготовление таркалов и кольев, необходимых для виноградных лоз, в качестве боковых опор, и б) „саджалдже“ участок под колючий кустарник (необходимый для обнесения изгородей)¹¹⁾.

¹⁾ Древн. Груз. II, книга заprod. запис. 1635 г. 3/XII, № 336, стр. 379.

²⁾ Древн. Груз. II, книга заprod. запис. 1807 г. № 440, стр. 476.

³⁾ Древн. Груз. книга заprod. записей, 1663 г. стр. 131, № 106.

⁴⁾ Древн. Грузия, книга заprod. запис. 1727 г. 2/XII, № 293, стр. 34.

⁵⁾ Древн. Грузия II, книга заprod. запис. 1709, № 181, стр. 224.

⁶⁾ Древн. Грузия II, 1699 28/VII, № 146, стр. 177.

⁷⁾ Бахра — натуральная повинность в размере 1/10 с урожая хлеба.

⁸⁾ Пространный реестр Гурджистанского валайета, стр. 354.

⁹⁾ „Дгиури“ — мера площади земли в 4—5 тыс. кв. метров.

¹⁰⁾ Древн. Груз. II стр. 91, № 67, 1670 г.

¹¹⁾ Древн. Грузия, I, реестр заprod. запис. 1725 г., стр. 85, № 74.

У грузинских царей было немало виноградников, не только в Кахетии, но и в Карталинии; для нужд карталинских виноградников существовала специальная подать, под названием „атенури“⁴.

Супруга Ираклия II владела большим количеством виноградников, на которые она тратила огромные суммы. Впоследствии, с утверждением русского владычества на Кавказе, эти насаждения испортились и погибли.

„Я приехал из селения Али в Крцинвали на сбор урожая. Что же мне доложить Вашему величеству о запустении этого „звари“⁵“.

Этим летом содержались в нем на привязи лошади русских, других царских чиновников из князей...

Все что уцелело, остается у меня в сохранности. От „звари“ получилось шестьдесят восемь с половиною „кока“ (вина)⁶ 1).

Таким образом, на основе исторических данных можно уточнить порайонные типы приготовлявшихся в прошлом вин и характер распространения последних. Одни из этих сортов сохранились и поныне, а другие исчезли, благодаря превратностям истории. Такая участь постигла Месхетию и вообще южную часть Грузии. Для восстановления картины состояния в прошлом виноградарства имеется много документов, в том числе изданный С. Джикия труд „Пространный реестр Гурджистанского вилайета“.

Вся Месхетия и частично Джавахети, находящиеся до высоты 1000 метров над уровнем моря, местами и выше, представлена в указанной книге как виноградная зона.

Доходы виноградников занимали в ту пору в государственном бюджете значительное место (см. таблицу).

Размер налогов с виноградников в Гурджистанском вилайете.

Наименование налога	Ахал- пихская лива	Хертвис- ская лива	Ахалка- лакская лива	Чалдис- ская лива	Фотов- ская лива	Петров- ская лива	Панав- ская лива	Диди-Ар- таанская лива	ВСЕГО
Пшеница	908.832	341.950	337.610	279.770	233.950	24.000	307.470	522.950	2.995.332
Ячмень	932.305	305.120	300.720	243.960	196.940	26.000	232.056	997.846	2.635.532
Рожь	116.700	338.240	41.400	21.072	6.384	—	4.246	3.080	231.116
Шира ²⁾	90.400	4.200	10.400	400	3.000	500	29.600	15.000	194.540

Данные таблицы являются показателем того, что в экономике отнятой у Грузии Месхетии виноградарство занимало большой удельный вес. Правда, мусульманство стало его преследовать, но не уничтожило окончательно. В XIX веке и в начале XX в. здесь все еще встречались такие сорта винограда, которые впоследствии исчезли. Так, например, „Тавцецкла“, „Цхенис дзудзу“, „Меликуда“, „Хариствала“, „Клертмагара“, „Аричули“, „Андриули“, „Бежана“.

Приведенный материал, а равно обильные аналогичные данные, содержащиеся в исторических актах, грамотах и прочих документах, а также в сокровищнице народного творчества в фольклоре дают ясные указания на то, где и какие типы вин были распространены в прошлом в Грузии. Но для поставленной нами задачи этого далеко не достаточно.

Изучение естественных условий нашей страны, географии, ее растительного покрова дали нам много интересных сведений. Например, формации держи-дерева являются одним из лучших индикаторов для определения районов виноградарства. Но это лишь общий индикатор.

Держи-дерево встречается, напр., в Мухранской долине и на прилегающих к ней склонах. Но местами, например, на склонах Дампало наряду с держи-деревом распространено интересное степное растение — узколистый пион (*Paeonia tenuifolia*) грузинское название „иорданес салами“. Вот именно этим вином Дампало разнятся от вин Мухранской равнины. Это, как видно, не случайное явление. В окрестностях Одзисских виноградников встречается указанное растение.

Оно встречается также в Меджврисхеви, Плависмани. Всюду, где только имеются виноградники в полосе распространения пиона узколистного, местные вина отличаются своей специфичностью.

¹⁾ Древности Грузии, III, донесение Бегтабег мдивани царице, 1901 г. № 362, стр. 345.

²⁾ „Шира“ вообще фруктовый сок, в данном случае — виноградный.

Существует мнение, что при наличии указанного вида пеона получается хорошее вино. Но этот вопрос еще не изучен достаточно.

Проф. Г. Церетели — грузинское слово „гвино“ разъясняет следующим образом:

„Как известно, слово „вино“ во многих языках Европы и Азии представлено одной и той же основой: русск. „вино“, немец. wein, франц. vin, англ. wine, восходящие к латинскому vinum, греч. oivos. С другой стороны, оно встречается и в семитических языках: ассиро-вавилонское tnu, древне-еврейское yautin, арабск. waïn и т. д. Но отсутствие в восточных индо-европейских языках родственного корня свидетельствует, по мнению крупнейших авторитетов индо-европейского языковедения (А. Томсон, Общее языковедение), о том, что оно не индо-европейского происхождения. Не является оно также семитическим по своему происхождению, как указывают семитологи (см., напр., Gesenius-Ruhle, Herbräisches und Aramaisches Handwörterbuch, 1915, стр. 299). Поэтому уже давно возникло предположение, что оно грузинского происхождения.“ (Бецольд). В последнее время проф. Г. В. Церетели удалось установить некоторые факты, свидетельствующие о грузинском происхождении этого слова. Грузинскому gwino—ღვინო, которое восходит к более древнему win—ვინ в мегрельском, должно было соответствовать, по законам сравнительной грузинской грамматики gini (подобно тому, как грузинскому wini соответствует мегрельское ginli).

Эта форма в мегрельском не сохранилась (сейчас в мегрельском употребляется заимствованное с грузинского gwini—ღვინი, но зато встречается в армянском, подобно тому, как мегрельское ჯინი соответствует грузинскому მწერო сохранилось в армянском), а это обстоятельство является очень важным для истории указанного слова. Если грузинами и армянами это слово было бы позаимствовано из одного общего источника, то оно звучало бы одинаково на этих языках и в армянской форме слова не было бы выявлено закономерное мегрельское соответствие грузинскому (g) win — (f). Тот факт, что армяне заимствовали это слово у грузинских племен, а не у семитов (у индоевропейцев они не могли его заимствовать, потому что в восточных индоевропейских языках его не было), свидетельствует о путях распространения этого слова от грузинского, в котором он связан с другими словами, как ვენახი—ვენახი „виноградник“ и буквально „винное дерево“, или „винное растение“, мегрельское lagwanl ლა-გვანო — букв. „предназначенное для вина (груз.) სავან-ე — ქვევრი „кувшин для хранения вина. Все эти факты говорят о том, что это слово свидетельствует о высоком уровне сельско-хозяйственной культуры.


Генетический анализ же самого растения даст еще более интересный материал для довольно ценных выводов. Сортирование и в этом отношении имеет большое значение, особенно такое полное и подробное, какое проделал товарищ М. Рамишвили.

Н. Кецохели

შემოკლებანი — СОКРАЩЕНИЯ

1. ჯავახ. ეკონ. ისტ. — ივ. ჯავახიშვილი. საქ. ეკონომიური ისტორია, II ტ., თბილისი. 1935.
Ив. Джавахишвили, экономическая история Грузии, т. II, Тбилиси 1935.
2. საქ. სიძე. — საქართველოს სიძველენი. ექ. თაყაიშვილის რედაქციით I, II და III ტ.
Древности Грузии, под редак. Такайшвили, т. т. I, II и III.
3. უმიკ. ხალხ. სიტყ. — პ. უმიკაშვილი ხალხური სიტყვიერება. 1937.
П. Умикашвили, Народная поэзия. 1937 (народная словесность).
4. ქართ. შაირ. — ალ. დლონტი. ქართული შაირები. 1941.
Ал. Глонти. Карталинские частушки. 1941.
5. დოკუმ. — დოკუმენტები საქართველოს სოციალურ ისტორიიდან ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. 1937.
Документы, из социальной истории Грузии, под редакцией Н. Бердзенишвили.
6. ხალხ. პოეზია. — ხალხური პოეზია. თბილისი. 1935.
Народная поэзия. Тбилиси. 1935.





ა მ ტ რ ი ს ა ბ ა ნ

სადირექტივო ორგანოების ისტორიული დადგენილებანი ჩვენს ქვეყანაში მევენახეობისა და ხარისხოვანი მელვინეობის შემდგომი განვითარების შესახებ მეტად საპატიო ამოცანას გვაკისრებს, რათა ფართოდ დაენერგოთ და განვაფითაროთ სოფლის მეურნეობის ეს ძვირფასი დარგი მევენახეობის მთელ რიგ ახალ რაიონებში.

ვაზის ჯიშთა წესიერად შერჩევის საფუძველზე მევენახეობა ფართოდ ვითარდება საბჭოთა კავშირის ჩრდილოეთ რაიონებში და ამრიგად, ვენახის გავრცელების ძველი საზღვრები მნიშვნელოვნად ფართოვდება ჩრდილოეთისაკენ. ამ მხრივ უდიდესი დამსახურება მიუძღვის ჩვენი ქვეყნის სახელოვან მეცნიერს, უდიდეს ბიოლოგს ივანე ვლადიმერის-ძე მიჩურინს. მან ხანგრძლივი საკვლევადიებო მუშაობის საფუძველზე დაარღვია საუკუნეებით დაკანონებული ვაზის გავრცელების საზღვარი და ყინვაგამძლე ჰიბრიდების შექმნით გავრცელების შესაძლებლობა მისცა მევენახეობის დარგს საბჭოთა კავშირის ჩრდილოეთ რაიონებში. ამრიგად, ჩვენს ქვეყანაში გავრცელებულ მრავალ ასეულ ვაზის აბორიგენულ ჯიშს ი. ვ. მიჩურინმა ახალი ჯიშები შექმნა და მით გადაჭრა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ჩრდილოეთ რაიონებში მდებარე საწარმოო ცენტრების ყურძნით უზრუნველყოფის პრობლემა. ი. მიჩურინის სწავლების საფუძველზე ამჟამად მრავალი მცდელი მუშაობს ვაზის ახალი ჯიშების გამოყვანაზე და უკანასკნელ წლებში შექმნილია მრავალი ახალი ჯიში, როგორც ჩრდილოეთ რაიონებისათვის, ისე სამხრეთისათვის.

აქვეა აღსანიშნავი ის გარემოებაც, რომ უხსოვარი დროიდან ჩამოყალიბებული ვაზის ადგილობრივი ჯიშები, რომლებიც მრავლად არის წარმოდგენილი საბჭოთა კავშირის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებში, უკანასკნელ პერიოდამდე თითქმის შეუსწავლელი იყო. მაგრამ ცალკეული რესპუბლიკებისა და ოლქების სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებათა მეოხებით, ჩვენს ქვეყანაში გავრცელებული აბორიგენული ასორტიმენტი საფუძვლიანად იქნა დამუშავებული და გაფორმებული მონოგრაფიების სახით. გარდა ამისა, მევენახეობის ძირითად რაიონებში შეიქმნა ჯიშთა გეოგრაფიული ნარგაობა და გამოსაცდელი ნაკვეთები, სადაც თავმოყრილია ვაზის ჯიშთა მდიდარი აბორიგენული ასორტიმენტი.

საკავშირო ამპელოგრაფიის მიხედვით*) საბჭოთა კავშირში 1180-მდე ვაზის ჯიშთა გავრცელებული. აქედან საქართველოს სსრ-ში 400-ზე მეტი ჯიშთა, აზერბაიჯანში—200-მდე, სომხეთში—90-მდე, შუააზიაში—200-მდე, ბესარაბიაში—30-მდე, ყირიმში—50-მდე, დაღესტანში—150-მდე, ქვემო ვოლგის მხარეში—20-მდე, და დონის ყუბანისა და თერგის რაიონებში—40-მდე.

ზემოთქმულიდან ნათლად ჩანს, რომ ვაზის ჯიშთა სიმრავლით განსაკუთრებით საქართველოს სსრ გამოირჩევა; აღნიშნულ ტერიტორიაზე ვაზის აბორიგენული ჯიშები წარმოდგენილია ენდემურ ჯგუფებად, რომელთა როგორც მორფოლოგიური, ისე სამეურნეო თვისებანი მკვეთრად არიან განსხვავებული ურთიერთისაგან.

ვაზის ჯიშთა გავრცელების მხრივ საქართველოს რაიონებს შორის საყურადღებო მხარეს წარმოადგენს შავი ზღვის სანაპირო ზონა, კერძოდ: სამეგრელო, გურია და აჭარა, როგორც ვაზის კულტურის ერთ-ერთი ძირითადი კერა.

წინამდებარე შრომა შედგენილია იმ მასალების საფუძველზე, რომლებიც შეკრებილი და დამუშავებულია ავტორის მიერ გურიის, სამეგრელოსა და აჭარის რაიონებში 12 წლის განმავლობაში.

ჯერ კიდევ 1931 წელს, განვიზრახეთ გაცნობობით აღნიშნულ რაიონებს და აღგვერიცხა გადარჩენილი ვაზის აბორიგენული ჯიშები. ეს მუშაობა გაგრძელდა 1932—33 წლებშიაც, ხოლო 1934 წლიდან შეუდგებით ვაზის ჯიშების დეტალურ შესწავლასა და აღწერას.

ჯიშების აღწერას ვაწარმოებდით მათი წარმოშობისა და გავრცელების არეალის აღნუსხვით, აგრეთვე ბოტანიკური, აგრობიოლოგიური და სამეურნეო დახასიათებით. ამათგან ზოგიერთ სამუშაოს ადგილებზე ვასრულებდით, ხოლო მექანიკურ-ქიმიური ანალიზების ჩატარებას და სანიმუშო ლვინო-მასალის დამზადებას ვაწარმოებდით ლ. პ. ბერიას სახელობის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში.

*) Ампеლოграфия СССР. Министерство вкусовой промышленности СССР. Пищепромиздат, т. I Москва, 1946.


1939 წლისათვის მიღებული შედეგები დავამუშავეთ და 1940 წელს გავაფორმეთ შრომის სახით. ამავე წელს აკადემიკოს ნ. კეცხოველის ინიციატივით აღნიშნული შრომა გადაეცა გამოსაქვეყნებლად გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა“-ს. ამ მხრივ მუშაობა დაწყებული იყო, მაგრამ 1941 წელს, სამაშულო ომის გამო შრომის ბეჭდვა შეფერხდა.


1942—44 წლებში შრომაში შევიტანეთ შემდეგი დამატებითი საკითხები: რაიონების გეომორფოლოგიური და ეკოლოგიური დახასიათება, ნევენახეობის თანამედროვე მდგომარეობის აღწერა განვითარების პერსპექტივებით და სტანდარტული ასორტიმენტის დადგენა ცალკეული მიკროზონების მიხედვით; ავტოტექნიკის ჯიშების უფრო დეტალური დახასიათება.

აღწერილი ჯიშების მტევნისა და ფოთლის ნიმუშები შრომაში ფოტოსურათების სახით არის წარმოდგენილი (ნატურალური სიდიდის $\frac{1}{2}$ — $\frac{1}{3}$). სასურველი იყო მათი მხატვრულად გაფორმება, მაგრამ ეს ტექნიკურ დაბრკოლებათა გამო არ მოხერხდა. ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს ამპელოგრაფიის გამოქვეყნების დროს ეს ნაკლიც გამოსწორებული იქნება.

ვაჩის ჯიშთა ყვავილების სურათები გადაღებულია ცეისის მიკროსკოპით ოკულ. 7, ობიექტ. 3, სახატი აპარატი AB-თი. შეასრულა დოც. ნ. დ. ჩახნაშვილმა. ყურძნის მტევნების და ფოთლების ფოტოსურათები და ხედები გადაიღო მხატვარმა-ფოტოგრაფმა გ. ნ. სოშალსკიმ.

დასასრულ სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია გულითადი მადლობა გადავუხადო საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ნ. ნ. კეცხოველს, რომელმაც ნევენახეობის დარგისადმი უდიდესი სიყვარულით გაუკაფა გზა წინამდებარე შრომას და მისცა გამოქვეყნების შესაძლებლობა.





УДК 634.001.01
634.001.01

О Т А В Т О Р А

Исторические постановления директивных органов о дальнейшем развитии виноградарства и качественного виноделия, обязывает нас широко внедрить и развить данную отрасль сельского хозяйства в новых районах нашей страны.

На основе подбора сортов виноградарство широко распространяется в северных районах СССР и, таким образом, значительно передвигаются к северу старые границы этой ценнейшей отрасли сельского хозяйства.

В этой области неоценимые заслуги принадлежат великому русскому ученому — биологу Ивану Владимировичу Мичурину. В результате долгих и упорных исканий и экспериментов он опроверг ложное представление о невозможности распространения виноградной лозы за пределами укоренившихся границ и, на основе внедрения морозоустойчивых гибридов, выведенных им, виноградарство и в северных районах нашло значительное развитие.

К существующим аборигенным сортам винограда И. В. Мичурин, таким образом, добавил новые сорта, разрешив тем самым вопрос обеспечения производственных центров севера нашей Великой Родины свежим виноградом, добытым в тех же районах. На основе учения И. Мичурина, в настоящее время многие исследователи работают по выведению новых сортов и за последние годы получены новые сорта, как для северных, так и южных районов.

Следует отметить также, что аборигенные сорта винограда, распространенные в южных и юго-восточных районах СССР, до последнего времени не были изучены в должной мере. В настоящее время научно-исследовательскими учреждениями отдельных республик изучены почти все аборигенные сорта винограда и оформлены в виде монографии. Кроме того, в основных районах виноградарства заложены географические и сортоиспытательные участки, где сосредоточен богатый ассортимент виноградных лоз.

По данным «Ампелографии СССР*»), Советский Союз насчитывает до 1180 сортов винограда, из коих на долю Грузинской ССР приходится свыше 400 сортов, Азербайджанской ССР — до 200, Армянской ССР — до 90, по Средней Азии — до 200, по Бессарабии — до 30, в Крыму — до 50, в Дагестане — до 150, в Нижнее Поволжье — до 20, на Дону, Кубани и в окрестностях Терека — до 40.

На территории Грузинской ССР аборигенные сорта винограда представлены эндемическими группами, морфологические и хозяйственно-технологические признаки которых резко отличаются друг от друга.

В отношении распространения сортов винограда в Грузинской ССР большое внимание уделяется Черноморскому побережью, в частности Мегрелии, Гурии и Аджарии, как старейшим очагам этой культуры.

Настоящий труд составлен на основе материалов, полученных в результате моих работ в районах Гурии, Мегрелии и Аджарии в течение 12 лет.

Еще в 1931 г. кафедрой виноградарства Груз. схи [REDACTED] было поручено мне ознакомиться с указанными районами и учесть сохранившиеся до нашего времени аборигенные сорта. Эта работа продолжалась и в 1932 — 1933 гг., а с 1934 г. я принялся за детальное изучение и описание сортов виноградной лозы.

*) Ампелография СССР. Министерство пищевой промышленности СССР. Пищепромиздат, т. I, Москва 1946

Описание сортов производилось с учетом их происхождения и ареала распространения, а также с ботанической, агробиологической и хозяйственной характеристикой. С этой целью часть работы выполнялась на местах, механическо-химические же анализы, а равно подготовка образцов винома- териала производилась в Грузинском с.-х. институте [REDACTED]

Полученные материалы были разработаны к 1939 г., а в следующем году получили они оформ- мление в виде труда, который в том же 1940 г. по инициативе акад. Н. Н. Кецохели был пере- дан в издательство „Техника да Шрома“. Начатое печатание было приостановлено в 1941 году в связи с Отечественной войной.


В 1942—1944 гг. я обогатил свой труд внесением в него следующих вопросов: физиологи- ческая и экологическая характеристика районов, современное состояние виноградарства и перспекти- вы его развития, установление стандартных ассортиментов в соответствии с микрорайонами, а также более детальная характеристика сортов виноградной лозы. В результате проделанной работы, пред- лагаемый труд значительно увеличился в объеме, а поставленные вопросы получили более углублен- ное освещение.

Образцы гроздей и листьев изученных сортов представлены в труде, в виде фотоснимков. К сожалению, по техническим причинам не удалось их художественное оформление цветными красками. Надеюсь восполнить этот пробел при издании Ампелографии Грузии.

Рисунки цветов виноградной лозы исполнены доц. Н. Д. Чахнашвили микроскопом Цейса, окул. 7^x, объектив 3, аппаратом АВ. Фотоснимки виноградных гроздей и листьев сделаны фотографом- художником Г. Н. Сошальским ($\frac{1}{2}$ — $\frac{1}{2}$ натур. вел.).

В заключение считаю своим приятным долгом привести глубокую благодарность ревнителю на- шего сельского хозяйства—зам. председателя Совета Министров Грузинской ССР З. Н. Кецохели попечением которого настоящая работа появилась в свет.





შესავალი

მევენახეობა-მელვინეობას გურიის, სამეგრელოსა და აჭარის სოფლის მეურნეობაში უძველესი ისტორია აქვს და სოფლის მეურნეობის დარგებს შორის მას ძველი დროიდანვე მეტად საპატიო ადგილი ეჭირა. ამას მოწმობს ძველი ნაშთები: მრავლად გაბნეული საწნახლები, უზარმაზარი ქვევრები და ძველი ხელსაწყო-იარაღები, რომლებიც მრავალ სოფელში ამჟამადაც მოიპოვება.

გარდა ამისა, მევენახეობა — მელვინეობის შესახებ გურია — სამეგრელოში არსებობს ხალხური სასიძღვრო ლექსები და თქმულებანი, რომელიც ამჟამადაც გავრცელებულია მოსახლეობაში.)

მრავალ მწერალს და მოგზაურს მიუქცევია ყურადღება გურია — სამეგრელოში ამ დარგისათვის და შესაფერი ადგილიც დაუთმია თავის ნაშრომებში. ცნობილია, რომ ადგილობრივი მნიშვნელობის ღვინოები საკმაოდ დიდი რაოდენობით მზადდებოდა და ნაწილობრივ რუსეთის ქალაქებშიაც გაჰქონდათ.

✦ გურია — სამეგრელოში მევენახეობა ფართოდ იყო განვითარებული უფრო ზეგან ფერდობ-ადგილებში (გურიაში — ჩოხატაურისა და მახარაძის რაიონებში; სამეგრელოში — ცხაკაიას, ზუგდიდის, გეგეკორის, ჩხოროწყუსა და წალენჯიხის რაიონებში). მასობრივად იყო გავრცელებული ვაზის ადგილობრივი ჯიშები, რომელთაგან ზოგიერთი მეტად მაღალხარისხოვან მასალას იძლეოდა ღვინისათვის (გურიაში — ჩხავერი, ჯანი, ტუმუტა; სამეგრელოში — ოჯალეში, ჭვიტილური, გოდაათური და სხვ.). მოხსენებულ მხარეებში ვენახს აშენებდნენ მასობრივად მაღლარის ან ოლიხნარის სახით, რომლებსაც, მიუხედავად მოუვლელობისა, მაინც საკმაო მოსავლიანობა ახასიათებდა.)

✦ სოკოვან ავადმყოფობათა (ნაცარი, ჭრაქი) და შემდეგ ფილოქსერის შემოჭრამ განადგურებამდე მიიყვანა გურია — სამეგრელოს მევენახეობა (1850—1895 წლებში); ამ მოვლენასთან ბრძოლის ტექნიკა არ იყო იმ დროს სათანადო სიმაღლეზე დაყენებული, რის გამოც ვაზის ადგილობრივი ჯიშები თითქმის განადგურდა. მოსახლეობამ მოაშენა ამერიკული ჯიშის-იზაბელა („ადესა“), რომელმაც შეიძლება ითქვას, ნაწილობრივ შეამსუბუქა მძიმე მდგომარეობა: როგორც მეტად მოსავლიანმა და ავადმყოფობისა და მავნებლების მიმართ შედარებით უფრო გამძლე ჯიშმა-იზაბელამ ერთგვარი უპირატესობა დაიმსახურა. მაგრამ ამავე დროს მან დიდად შეუწყო ხელი ვაზის ადგილობრივი ჯიშების გადაშენებას. დროთა განმავლობაში „ადესას“ ჯიშმაც განიცადა ფილოქსერის ზემოქმედება, რის გამოც მისი მოსავლიანობა საგრძნობლად შემცირდა. ამრიგად მევენახეობის განვითარების საქმე გურია-სამეგრელოს რაიონებში დიდ განსაცდელში ჩაყარდა.)

✦ ადგილობრივმა მოსახლეობამ მიმართა უკანასკნელ ლონისძიებას და 1900-იან წლებიდან მოჰკიდა ხელი იმერული ჯიშების მოშენებას დაბლარების სახით. მაგრამ, ვინაიდან წინასწარ სათანადო მოსამზადებელი მუშაობა არ ტარდებოდა ნიადაგისა და საძირე ჯიშების შერჩევის ხაზით, ამიტომ ბევრ შემთხვევაში ამ საქმიანობამ სათანადო შედეგი ვერ გამოიღო.

დაბლარი ვენახების შემდგომი ფართო განვითარება გურია-სამეგრელოში 1930 — 31 წლიდან იწყება. სარგავი მასალა ნამყენების სახით შემოზიდულ იქნა უმთავრესად იმერეთიდან და ამრიგად მასობრივად გავრცელდა იმერული ჯიშები და ძირითადად კი ცოლიკოური. ამ პერიოდიდან დაწყებული დაბლარი მევენახეობის განვითარებას დასახელებულ რაიონებში უფრო მტკიცე საფუძველი ჩაეყარა და სავენახე ნიადაგების შერჩევა და მომზადება ვენახის გასაშენებლად, ნამყენი ვაზების გაშენება და მათი შემდგომი მოვლა უმრავლეს შემთხვევაში უფრო დაკვირვებით წარმოებდა.)

✓ წარსულში მევენახეობა — მეღვინეობა ფართოდ იყო გავრცელებული აგრეთვე ქვემო აჭარაში, განსაკუთრებით გურიის მოსაზღვრე სოფლებში (სოფ. ქობულეთი, მუნაესტატი, ხუცუბანი, სამება, კვირიკე, აქისთავი, აღამბარი და სხვ.), ასევე შუა და ზემო აჭარაში (სოფ. ქედა, ზენდიდი, მეძიბნა, სიბალიძეები, ვაიო, ზვარე, ქვანა, შუახვევი, უჩამბა, სხალთა, ფურთიო, ჩაო, აღმე და ხულოს მუდამარები).

თურქეთის მიერ ამ მხარის დაპყრობისა და მოსახლეობის გამუსულმანების შემდეგ (XVII საუკუნე) აჭარაში ერთბაშად დაეცა მევენახეობა-მეღვინეობა, დარჩა მხოლოდ მალღარი ვენახები — მუსულმანი ფართობები, რომლის მოსავალს მხოლოდ ყურძნად იყენებდნენ.

ამავე დროს თურქეთთან კავშირის დაჭერის შემდეგ მოსახლეობამ ხელი მიჰყო თურქული ვაზის ჯიშების მოშენებას, რომელთა ნაშთებს ამჟამადც მრავლად ვხვდებით ზემო აჭარაში (ჯიშები: ჩაუში, ლივანურა, მისკიეთა). მიუხედავად ამისა ვაზის ადგილობრივი ჯიშები ამ მხარეში კარგად არის შენახული, რაც, ჩვენის აზრით, მიეწერება ამ მხარეში სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის შედარებით მოგვიანებით გავრცელებას.)

ეჭვს გარეშეა, რომ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ადგილობრივ პირობებთან შეგუებული ვაზის აბორიგენული ჯიშები დიდ განძს წარმოადგენს და მათი დაბლარად მოშენება ფილოქსერის გამძლე საძირეებზე უსათუოდ დადებით შედეგებს მოგვცემს, მაგრამ ჯიშთა სათანადო შეფასებისათვის საჭიროა მათი ამპელოგრაფიული შესწავლა, ხოლო დასასტანდარტებლად — საწარმოო ჯიშების სისტემაში მოყვანა.

ადგილობრივი ვაზის ჯიშების აღწერის დროს გამოირკვა, რომ გურიაში ითვლებოდა 60-მდე, სამეგრელოში 55-მდე და აჭარაში 50-მდე ვაზის ჯიშები. აღწერის შედეგად კი დადისტურდა, რომ დარჩენილია გურიაში — 20, სამეგრელოში — 14 და აჭარაში — 40 ჯიშები; დანარჩენი ჯიშების მხოლოდ სახელწოდებებია შერჩენილი მოსახლეობაში.


+ ✓ აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გურიის, სამეგრელოსა და აჭარის რაიონებში ამჟამად გადარჩენილი ვაზის ადგილობრივი ჯიშები მხოლოდ თითო-ორი ძირის სახით მოიპოვება და ისიც მეტ წილად მალღარების სახითაა წარმოდგენილი, რომელთა მოვლა-პატრონობა მეტად გამწვანებულია ვაზების დიდ სიმალღეებზე განვითარების გამო. ამის შედეგად მათი მოსავლიანობაც მხოლოდ წლის ამინდების ხელშემწყობ პირობებზეა დამოკიდებული. გამონაკლისს წარმოადგენს აჭარის ზემო რაიონები, სადაც ზოგიერთი ჯიშის ეგზემპლარები (თეთრი, ბროლა, ქოდი, ცენისძუძუ და სხვ.) კიდევ საკმაოდ დიდი რაოდენობით არის გავრცელებული.

ადგილობრივი ვაზის ჯიშების აღწერა წარმოებდა ძირითადად მალღარ ვაზებზე, გარდა ზოგიერთი ჯიშისა (ჩხავერი, ბადაგი, ჯანი, ნაკაშიძის ჯანი, მტევანდიდი, სხილათუბანი, ორონა, ჭუმუტა, ოჯალეში, პანეში, ავშილური, აფხაზურა, ჩეჭიბეში, საწურაფი, ხოფათური), რომლებიც მხოლოდ ამ უკანასკნელ წლებში ნამყენების სახით დაბლარად იქნა გაშენებული.)

ყველა ამის გამო წინამდებარე შრომა შეიძლება სრულყოფილი არ იყოს, მაგრამ ის სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ წარმოდგენა ვიქონიოთ, თუ რა ღირებულების მქონეა გურიის, სამეგრელოსა და აჭარის რაიონებში ამჟამად გავრცელებული და ჩვენს მიერ აღწერილი ვაზის აბორიგენული ჯიშები.

ვიდრე ჯიშების დახასიათებას შევუდგებოდეთ, საჭიროა მოკლედ განვიხილოთ გურიის სამეგრელოსა და აჭარის რაიონების გეომორფოლოგიური და ეკოლოგიური პირობები, მევენახეობის თანამედროვე მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები.





1. ბ უ რ ი ა

გურია მდებარეობს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. აღმოსავლეთით მას საზღვრავს იმერეთი, დასავლეთით — შავი ზღვა, სამხრეთით — გურია — აჭარის ქედი და ჩრდილოეთით — მდ. რიონის დაბლობი. ადმინისტრაციული დარაიონების მიხედვით გურია შეიცავს ჩოხატაურის, მახარაძისა და ლანჩხუთის რაიონებს. გურიის ტერიტორიის უმეტესი ნაწილი, როგორც ეს მოხსენებულია აგრეთვე პროფ. ალ. ჯავახიშვილის შრომაში (4), მთაგორიანია და დასერილია მრავალი მთებითა და გორაკებით. აქედან მნიშვნელოვანია გურიის ქედი (ნიგოთის ქედი), რომელიც იწყება აჭარის მთებიდან, ჰყოფს გურიას იმერეთისაგან და შემდეგ მდ. რიონის პარალელურად დასავლეთით მიიმართება. გურიის ქედს უმთავრესად ახასიათებს მეტად დაქანებული ფერდობები (40°) და დასერილია ხევებითა და პატარა მდინარეებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ჩრდილო მხარე, რომელიც მეტად დაქანებულია ეშვება კოლხიდის დაბლობზე. გურიის ქედის სამხრეთით — მდ. სუფსის, ბახვისწყლისა და ნატანების ხეობებში მდებარე მთისა და გორაკოვან ზოლებს შედარებით ნაკლები დაქანებები ახასიათებს. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ზოგიერთი მთა, მათ შორის აღსანიშნავია ნასაკირალის მთა, რომელსაც მდ. სუფსისაკენ მიმართული ძლიერ დაქანებული ფერდობები ახასიათებს.

აღნიშნულ ხეობათა გორაკები ჯაჭვისებრი სისტემით ებჯინება გურია-აჭარის ქედის სიმაღლეებს. მათი დახრილობა წარმოდგენილია ჰორიზონტის მხარეების თითქმის ყველა მიმართულებით და ზღვის დონედან ისინი აღწევენ სიმაღლით 300 — 700 მეტრამდე.

გურიის აღმოსავლეთ ნაწილის მთისპირი ზოლი მეტად დასერილია სხვადასხვა სიმაღლის სერებითა და გორაკებით, რომელთა ფერდობები უმეტეს შემთხვევაში საგრძნობ დაქანებას აღწევენ (40 — 45°). ამათგან აღსანიშნავია წიფნარა-საყუავესტყის, ბურნათ — კოხნარისა და ქვაყუდე-ქოკნარის სერები და გორაკები. გურიის დაბლობი ზონა გურიის ქედით ორ დიდ მასივად იყოფა: ქედის ჩრდილო. მხარეზე მდებარეობს მდ. რიონისა და ფიჩორის დაბლობი, ხოლო სამხრეთით — მდ. სუფსისა და ნატანების ბარი.

მდ. სუფსის ბარი იწყება ჩოხატაურთან ახლოს, სოფ. დაბლაციხიდან და აქედან ცოტათი ქვემოლ, გორა-ბერეგოყლის ზონაში, თითქმის სამკილომეტრამდე სიგანით მიიმართება სოფ. სუფსამდე, სადაც იგი კოლხეთის დაბლობს უერთდება. სუფსის ბარი მხოლოდ დასავლეთით არის გაშლილი, დანარჩენი მხრიდან კი შემოფარგულია სხვადასხვა სიმაღლის მთებითა და გორაკებით.

გურიის დასავლეთ ნაწილში მნიშვნელოვანია მდ. ნატანების ბარი, მისი სიგანე მდ. ბეუეის შესართავამდე აღწევს 7 კილომეტრს; ამის შემდეგ ის ვიწროვდება, ხოლო ზღვასთან მიახლოებით ისევე ფართოვდება.

ნატანების ბარი შექმნილია მდ. ნატანებისა და ბეუეის მოქმედებით. ამ ბარზე მდებარეობს ქ. მახარაძე და მის ირგვლივ მდებარე სოფლები. ეს დაბლობი დასავლეთ ნაწილში მნიშვნელოვნად არის დაქობებული. გურია უხვად არის დაფენილი მდინარეებით, რომელთაგან თავიანთი სიდიდით მნიშვნელოვანია: სუფსა, ნატანები, ფიჩორი. სუფსა და ნატანები ერთვის შავ ზღვას, ხოლო ფიჩორი — პალიასტომის ტბას. დანარჩენი მდინარეებიდან აღსანიშნავია: ხევისწყალი, გუბაზოული, ბახვისწყალი, ბეუეი, აჩისწყალი და ქოლოკი.

გურიის ტერიტორიის გეოლოგიური აგებულება და ნიადაგების მოკლე მიმოხილვა

გურიის ტერიტორიის გეოლოგიური აგებულება, მსგავსად დასავლეთ საქართველოს მთელი სუბტროპიკული ზონისა, მეტად სხვადასხვაგვარია და, როგორც ამას პროფ. მ. საბაშვილი აღნიშნავს „მჭიდროდ არის დაკავშირებული ზედაპირის ელემენტების წარმოქმნასა და მათ ხნოვანებასთან.“ ამ მხარის გორაკოვანი ზოლი შედგება სხვადასხვა ხნოვანების მესამეული ქანებისაგან, როგორც მერგელოვანი თიხები, მერგელები, ეოცენის თიხა, კირქვიანი ქვაქვიშები, პლიოცენის თიხები და ქვიშაქვები.

აღმოსავლეთ გურიის მთისპირა გორაკოვანი ზოლის ძირითადი მასა დაფიქლებული თიხიანი ქვიშაქვების, მერგელებისა და კირქვებისაგან შედგება. დაფიქლებული თიხიანი ქვიშაქვები უფრო ქარბადაა წარმოდგენილი ამ მასივების სამხრეთ პერიფერიაზე. მერგელოვანი ფაციესი კოხნარ-ზემოხეთის ზონაში ძირითადად არის განვითარებული, ხოლო შედარებით ნაკლებად არის განვითარებული ნოლა-ქვაყუდეს ზონაში. გურიის ქედის კალთებზე და განსაკუთრებით მის ზემო ნაწილში ძირითადად განვითარებულია ეოცენის ტუფის ანდეზიტური წყება. საკუთვრივ ანდეზიტები ფართოდ არის წარმოდგენილი ქედის ჩრდილოეთ ზონაში — ჩიხათ-ჯურუყვეთ-ებალაურის მიდამოებში, ანდეზიტები გვხვდება აგრეთვე თავისი ტუფური ფაციესით ქედის სამხრეთ მხარეზე-ჩოხატაურისა და აკეთ — ძიმითის ზონაში.

განახლება (ამალღება) — სამება — ჩოხხათის ზონაში უფრო მერგელოვან ფაციესს ვხვდებით.

მერგელებისა და საერთოდ კარბონატული ქანების დიდი მასივები არის განვითარებული სოფ. შრომის, ბაილეთის, კახურისა და ახალსოფლის მიდამოებში (ნასაკირალის ზონა). ამ ქანებზე ხსენებულ ადგილებში განვითარებულია საკმაოდ სქელი გამოფიტვის ქერქი, წარმოდგენილი თეთრი თიხებით.

გეოლოგიური აგებულების ცვალებადობის შესაბამისად გურიის ნიადაგებს დიდი სიჭრელე ახასიათებს.

საქართველოს ტენიანი ზონის ნიადაგების დახასიათება მოცემულია პროფ. მ. საბაშვილის შრომაში (5). მოხსენებული ავტორის მიხედვით, გურიის რაიონებში ყველაზე მეტად გავრცელებულია წითელმიწა ნიადაგები და მათი სუსტად გაეწერებული სახესხვაობანი.

ამ ტიპის ნიადაგები ძირითადად ფერდობებზეა წარმოდგენილი და ყველაზე დიდი მასივი მოიპოვება ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე, ჩაისუბნის, მახარაძის, შრომის, მელექედურის, ბასილეთის, მამათის, ნაგომარ-მალაღეწერისა და სხვათა მიდამოებში. ჰუმუსიანი ჰორიზონტი 15 — 20 სანტიმეტრის სისქემდე აღწევს, რაც ხშირად მერყეობას განიცდის ზედაპირის გადარეცხვის მიხედვით, რის შედეგადაც საკვებ ნივთიერებათაგან საკმაოდ გაღარიბებულია. მექანიკური შედგენილობის მიხედვით მათ ახასიათებს სუსტი სტრუქტურურობა და ცალკე ფენების მიხედვით განირჩევიან საშუალო და მძიმე თიხნარი შედგენილობით. წითელმიწა ნიადაგები გურიის რაიონებში ძირითადად გამოყენებულია ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციებისათვის. ალაგალაგ ამ ტიპის ნიადაგებზე ვენახიც არის გავრცელებული.

ნიადაგების შემდგომი სახესხვაობანი, რომელიც გურიის რაიონებში, საკმაოდ დიდ მასივებად არის წარმოდგენილი ყომრალმიწა და ყვითელმიწა ნიადაგებია. თავიანთი თვისებებით ამ ტიპის ნიადაგები უახლოვდება წითელმიწა ეწერისტიპის ნიადაგებს და უფრო მეტად შეესაბამება ამ მხარის გორაკოვან რელიეფს, შეიცავს მცირე სისქის ჰუმუსოვან ჰორიზონტს, ზოგ ადგილებში საკმაოდ გამოსახული სტრუქტურით, და განვითარებულია უკარბონატო ან მცირე კარბონატულ ფიქალებზე. მეტ შემთხვევაში ყომრალი და ყვითელი მიწები ხასიათდება თიხიანი და მძიმეთიხიანი შედგენილობით. კენკოვან ფენებზე განვითარების შემთხვევაში მათ ძლიერი ხირხატიანობა ახასიათებს.

ეს ნიადაგები საკმაოდ დიდ მასივებად გვხვდება ჩოხატაურის რაიონის აღმოსავლეთ ნაწილში, სახელმწიფო შარაგზის სამხრეთით, და ამავე რაიონის დასავლეთ ზონაში განახლება (ამალღება) — ზომლეთის მიმართულებით; შემდეგ იგი მცირე მასივად მიიმართება ლანჩხუთის რაიონის მთისპირა გორაკოვან ზოლში გურიის ქედის სამხრეთ კალთებზე ძიმით-მამათ-ჯიხანჯირ-ჩოხხათის მიდამოებში და უფრო მცირე ზოლად — ნატანების ზონაში.

ამ ტიპის ნიადაგებზე ვაზს დამაკმაყოფილებელი ზრდა-განვითარება ახასიათებს, ხოლო ყურძნის პროდუქცია არა მაღალხარისხოვანია, რის გამოც აქაურ ვენახებიდან მიღებული პროდუქცია განკუთვნილია ორდინარული ტიპის ღვინოების დასამზადებლად.

გურიის ტერიტორიის მთისპირა ზონაში საკმაოდ დიდი მასივები გვხვდება სუსტად განვითარებული მცირე სისქის და ალაგალაგ ჩამორეცხილი ნიადაგებისა-მთის ქანების გადაშიშვლებით. აღნიშნული

ნიადაგები უმეტეს შემთხვევაში მეტად მცირედ ან სრულიად არ არის დაფარული მცენარეულობით. იგი გავრცელებულია საკმაოდ დიდ მასივად ჩოხატაურის რაიონის აღმოსავლეთ ნაწილში (ფარცხა-ჩოხატაურის ზონა — ბურნათის მთის სახელწოდებით). დასამუშავებელი ფენის სიმცირე და ზოგ შემთხვევაში ფენის არ-არსებობა არ იძლევა შესაძლებლობას სოფლის მეურნეობის კულტურათა ფართოდ წარმოებისათვის.

გურიის მთისპირა და გარემომცველი მთების ზოლში მცირე მასივების სახით გავრცელებულია ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები. მათ უჭირავთ ამ მხარის 10 — 15°-ით დამრეცი ფერდობები. ამ ტიპის ნიადაგები ურთიერთისაგან შეფერვითა და გამოტუტვის ხარისხით, ხირხატიანობითა და შრის სისქით განსხვავდება. სოფ. ბაღდათის ზონაში მდ. ნატანების მარჯვენა მხარეზე საკმაოდ მოზრდილი მასივის სახით გავრცელებულია კირქვებზე განვითარებული დეგრადირებული და ალუვიურ სუსტად გაწვრებული ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები. იგი ნასაკირალის ზონაშიც არის წარმოდგენილი. სოფ. დაბლაციხის, საყვავისტყის, ხიდისთავის, განახლების (ამაღლება), გოგორეთის, შრომის, ზედობნის, ჯუმათის, მამათის, ნიგვზიანისა და ჩოხატაურის მიდამოებში ლაქების სახით გავრცელებულია მერგელებზე განვითარებული მცირე სისქის ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები და მათი ჩამორეცხილი სახესხვაობანი, ზედაპირზე მერგელების გადაშიშვლებით.

სოფ. კოხნარის, საჭამიასერის, ნოლის, ბასილეთის, სამღვთოს, შრომის, გოგორეთის, ჩოხატაურისა და ჯიხანჯირის მიდამოებში მომცრო მასივების სახით გვხვდება მერგელებზე განვითარებული დეგრადირებული ნეშომპალა-კარბონატული (გამოტუტული) ნიადაგები. გურიის ვენახების მომეტებული ნაწილი დაბლარების სახით ძირითადად ამ ტიპის ნიადაგებზე არის განვითარებული და თეთრი სუფრის ღვინოების დასამზადებლად ის საკმაოდ ხარისხოვან მასალას იძლევა.

გურიის დაბლობ ზონაში გვხვდება ეწერი ტიპის ნიადაგები, რომელიც უმთავრესად გავრცელებულია მეორე და მესამე აკუმულატორულ ტერასებზე.

მდ. სუფსის ხეობაში — ჩაისუბნის (ჯვარცხმა), გორა-ბერეგოულის, ხიდისთავის, ბახვისწყლის ხეობაში — ნაგომარ-ბახვის შორის და მახარაძეში — ანასეულის ზონაში გავრცელებულია სუსტი ეწერი ნიადაგები, ხოლო მდ. სუფსის გასწვრივ ჩოხატაურის რაიონში — სოფ. გუთურის, მახარაძის რაიონში — სოფ. ეწერის და ლანჩხუთის რაიონში — რკინისგზის გადამა გავრცელებულია საშუალო ეწერი ნიადაგები.

მოხსენებული ნიადაგები, როგორც დაბლობ ზონაში მდებარე, ვაზისათვის გამოუსადეგარია. ისინი ძირითადად განკუთვნილია სიმინდის, ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა წარმოებისათვის.

მდ. სუფსის ხეობის დაბლობ ზონაში — მდინარის გასწვრივ, სოფ. გორა-ბერეგოულიდან სოფ. სუფსამდე და აგრეთვე მახარაძის რაიონის დაბლობ ზონაში, დიდ მასივად არის გავრცელებული ალუვიური ნიადაგები. ალუვიური ნიადაგების მრავალფეროვანი სახეებიდან ძირითადად გავრცელებულია ალუვიური-უკარბონატო, საშუალო ან დიდი სისქის და საშუალო ან მსუბუქი თიხოვანი შედგენილობით. მევენახეობისათვის მოხსენებული ნიადაგები გამოუსადეგარია.

ამრიგად, გურიის რაიონებში გავრცელებული მრავალი სახის ნიადაგებიდან მევენახეობის ფართოდ განვითარებისათვის და, რაც მთავარია, ხარისხოვანი პროდუქციის მიღებისათვის შესაძლებელია ძირითადად გამოყენებულ იქნას მერგელიანი და ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები, რომლის საკმაოდ მასივები, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, მოპოვება სოფ. კოხნარ-საჭამიასერის, ფარცხმა-ჩოხატაურის და საყვავისტყე-ციხეს მიდამოებში. წითელ მიწებზე და ეწერ ნიადაგებზე გაშენებული ვენახები შედარებით მდარე მასალას იძლევა და მათი პროდუქცია გამოყენებული უნდა იქნას ორდინარული ღვინოების დასამზადებლად.

გურიის ტერიტორიის აგროკლიმატური დახასიათება

როგორც ცნობილია, დასავლეთ საქართველოს ნოტიო სუბტროპიკულ ზონაში საუკეთესო კლიმატური პირობებია ძვირფას სუბტროპიკულ კულტურათა ფართოდ განვითარებისათვის; მაგრამ პარალელურად სათანადო ყურადღება ექცევა აგრეთვე მევენახეობასაც. ნიადაგურ თავისებურებასთან ერთად, ვაზის ხარისხოვანი პროდუქციის მოსავლიანობისათვის საჭიროა ზომიერი ტენიანობა სავეგეტაციო პერიოდის პირველ ნახევარში, ხოლო ზომიერი სიმშრალე — ყურძნის სიმწიფის

პერიოდში. გურიის დაბლობ და ზღვის სანაპირო ზოლში მალალტენიანობის გამო ყურძნის მარცვლი უხვად ივსება წყლით. შაქრის კონცენტრაცია კლებულობს და ამის შედეგად პროდუქცია უხარისხო გამოდის. მხოლოდ ამ მხარის მთისპირა რაიონებში, სადაც ტენიანობა მცირდება და უხვობა ბესდება ვაზისათვის რეპროდუქციის პირობები, ყურძნის ხარისხიც უკეთესდება და მისგან საყვანებელი ღვინის ღირსებაც მატულობს.

დოც. კ. კელენჯერიძის მიერ დამუშავებული მასალების მიხედვით (8), გურიის რაიონებში, აგროკლიმატური მაჩვენებლების შესაბამისად, შეიძლება გამოიყოს: 1) საჭამიასერის, 2) დაბლაციხის, 3) ასკანა-შემოქმედის, 4) შრომა-მერიის, 5) გურიის ქედის ჩრდილოეთით მდებარე და 6) ამავე ქედის სამხრეთით მდებარე ზონები.

საჭამიასერის აგროკლიმატური მაჩვენებლები ვრცელდება დაახლოებით ჩოხატაურის რაიონში — იმერეთის სასაზღვრო ზონიდან — ფარცხამდე; დაბლაციხის ზონა ამავე რაიონის სოფ. დაბლაციხიდან — საყვავისტყე - ჩოხატაურამდე (ჩათვლით); ასკანა-შემოქმედის ზონა (მახარაძის რაიონში) — ასკანა-ბახვი-შემოქმედამდე; შრომა-მერიის — ამავე რაიონის მერია-ნატანებამდე, ზედობანისა და შრომის ჩათვლით. გურიის ქედის ჩრდილო მხარე დაახლოებით ერთგვარი აგროკლიმატური მაჩვენებლებით ხასიათდება და იგი ვრცელდება ჭყონაგვარადან — სუფსამდე (ლანჩხუთის რაიონში), ხოლო ამ ქედის სამხრეთით მდებარე ზონა — ამავე რაიონის სოფ. აკეთიდან — აკანა-მამათისა და ჩოხხათის ჩათვლით. ამგვარი დარაიონება აგროკლიმატური მაჩვენებლების დადგენისათვის, ცხადია, მიახლოებითაა, მაგრამ მას შეუძლია მაინც მოგვცეს საკმაო წარმოდგენა გურიის კლიმატის შესახებ. გურიის რაიონების აგროკლიმატური მაჩვენებლები მოცემულია 1 ცხრილში.

1. საჭამიასერის ზონა ჩოხატაურის რაიონის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს და ეკვრის იმერეთს. ამრიგად, ზღვის სანაპირო ზოლს იგი საკმაოდ დაცილებულია, რის გამოც შემცივებული ტენიანობით ხასიათდება. ზღვის დონიდან ამ ზონის სიმაღლე 200 — 250 მეტრამდე აღწევს. ინტერპოლაციით მიღებული მაჩვენებლების მიხედვით, მაისიდან სექტემბრის ჩათვლით, ტემპერატურის ჯამი ამ ზონის ვაკე ადგილებში 3055°-ს აღწევს, ხოლო ფერდობებზე, სადაც ვენახების ძირითადი მასივებია გაშენებული, იგი მატულობს და 3265°-მდე აღის. ასეთი ტემპერატურული რეჟიმი, როგორც ცნობილია, სავსებით საკმარისად ჩაითვლება ამ ზონაში ხარისხოვანი ღვინოების მისაღებად.

გურიის რაიონის აგროკლიმატური მაჩვენებლები

ცხრილი 1

თვის აგროკლიმატური მაჩვენებლები	ტ ე მ პ ე რ ა ტ უ რ ა					ნალექები მმ-ში					ტენის სრული ბალანსი					ტენით უზრუნველყოფის კოეფიციენტი					
	V	VI	VII	VIII	IX	V	VI	VII	VIII	IX	V	VI	VII	VIII	IX	V	VI	VII	VIII	IX	
ჩოხატაურის რაიონი	ა) კოხნარ-საჭამიასერის	16.5	19.8	21.8	22.4	19.3	70	85	74	70	90	22	25	10	2	37	1.4	1.4	1.1	1.0	1.7
	ბ) ჩოხატაურ-დაბლაციხის	16.2	19.4	21.4	21.7	19.0	60	86	129	133	210	-21	14	13	14	91	0.7	0.9	1.0	1.1	2.2
ს	ა) ასკანა-ბახვის	16.0	19.4	21.9	22.4	19.3	66	106	166	193	255	-18	3	24	38	143	0.8	1.0	1.2	1.3	2.4
	მერია-შრომის	16.4	19.8	22.2	22.2	19.0	75	105	160	185	245	-10	-6	21	32	144	0.9	0.9	1.2	1.2	2.4
დ	გ ანასეულ-ლიხაურის	15.7	19.3	21.2	21.6	18.9	65	95	145	150	230	-0.9	1	21	33	125	0.9	1.0	1.2	1.3	2.2
ლანჩხუთის რაიონი	ა) გურიის ქედის სამხრეთი მხარე	15.8	19.6	22.0	22.3	19.2	69	158	204	267	264	-11	24	48	67	158	0.8	1.2	1.3	1.5	2.5
	ბ) გურიის ქედის ჩრდილოეთი მხარე	15.8	19.1	21.0	21.3	18.5	75	116	185	219	259	-8	3	39	59	162	0.9	1.0	1.3	1.3	2.6

ტენის ბალანსი, რომელიც წარმოადგენს სხვაობას ატმოსფერულ ნალექთა და თვით მცენარის მიერ აორთქლებული წყლის სხვაობას შორის, გვიჩვენებს, რომ ივლისისა და აგვისტოს თვეები და განსაკუთრებით აგვისტოს თვე გვალვით ხასიათდება (ჰიდროთერმიული კოეფიციენტი ნახსენებ თვეში 1.0-ს არ აღემატება).

2. დაბლაციხის ზონა მდებარეობს ჩოხატაურის რაიონში და საქამიასერთან შედარებით შავი ზღვის გავლენის ქვეშ იმყოფება. ამ ზონის სიმაღლე ზღვის დონიდან დაახლოებით 150 — 180 მეტრამდე აღწევს. ნალექთა წლიური საშუალო ჯამი აღის 1540 მმ-დე. ამრიგად, ამ ზონაში ტენიანობა საკმაოდ მაღალია, მაგრამ ვენახების ფერდობ ადგილებზე გაშენების შემთხვევაში ტენის უარყოფითი გავლენა მცირდება. სწორედ ამით აიხსნება, სხვა მაჩვენებლებთან ერთად (ნიადაგი, ტემპერატურათა ჯამი), ამ ზონაში ფერდობი ადგილებიდან მიღებული ყურძნის საკმაოდ მაღალი ხარისხობა.

ტენით უზრუნველყოფის კოეფიციენტი მაისის თვეში უდრის 0.7-ს, რაც ამ თვეში ტენის მაჩვენებელია; აგვისტოს თვე ხასიათდება ზომიერი ტენით (1.1) და სექტემბრის თვეში ტენის ბალანსი საგრძნობლად მატულობს (2.2), რაც ყურძნის ხარისხზე უარყოფით გავლენას უნდა ახდენდეს. მაგრამ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აქაური წვიმა მეტწილად თქვეშის ხასიათისაა და მოსული ნალექი ფერდობ ადგილებზე არ დგება. ამრიგად, ვენახის ნიადაგები მცირე რაოდენობით ინარჩუნებს ტენს. რაც ყურძნის ნორმალურად დამწიფებაზე უარყოფით გავლენას არ ახდენს. ნახსენებ ზონაში ტენის შემცირებას ხელს უწყობს აგრეთვე ქარების მოქმედებაც. ამ მხარეში უმთავრესად აღმოსავლეთის (ზენა) და დასავლეთის (ქვენა) ქარები ჰქრის. აღმოსავლეთის ქარები ფიონისებურია. მათი სიხშირე დიდია გაზაფხულსა და შემოდგომაზე. ზოგჯერ მათ მოაქვთ თბილი და ხან ცხელი ჰაერის მასები (35°-მდე), რაც ვაზის ფიზიოლოგიური ფუნქციების თავისებურებაზე უარყოფით გავლენას ახდენს. დაბლაციხის და მის მომდევნო ზონაში მეტწილად გავრცელებულია ზომიერი და სუსტი ფიონები. დასავლეთის ქარები ძირითადად ადრე გაზაფხულზე და შემოდგომის პერიოდშია. გაზაფხულზე ეს ქარები ზოგ შემთხვევაში იწვევს ახლად გამოტანილი ყლორტების მოწვა-დაზიანებას ვინაიდან ცივი ჰაერის მასების მოზიდვით ხასიათდება.

ტემპერატურული რეჟიმი ზაფხულზე და შემოდგომის დასაწყისისათვის ამ ზონაში საკმაოდ მაღალია და ზოგ შემთხვევაში შეიძლება 38°-მდე მიაღწიოს.

აბსოლუტური მაქსიმუმი ცალკე თვეების მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა: აპრილში - 32.5°, მაისში - 32.2°, ივნისში - 31.8°, ივლისში - 36.0°, აგვისტოში - 35.4°, სექტემბერში - 38.0° და ოქტომბერში - 29.1°.

ვაზის სავეგეტაციო პერიოდში აქტიური ტემპერატურის ჯამი ვაკე ადგილებში აღწევს 2990°-ს. ხოლო ფერდობებზე ეს ჯამი მატულობს და იგი 3240°-მდე აღის, რაც სავსებით საკმარისია ვაზის როგორც ცალკეული ბიოფაზების ნორმალურად დასამთავრებლად, აგრეთვე ყურძნის კარგად დასამწიფებლად.

მახარაძის რაიონი ჩოხატაურთან შედარებით უფრო მეტად ექვემდებარება შავი ზღვის გავლენას, ვინაიდან ზღვასთან უფრო ახლოს იმყოფება; ამის გამო მეტია როგორც ატმოსფერული ნალექები, ისე ჰაერის შედარებითი ტენიანობაც.

3. ანასელ-ლიხაურის ზონის სიმაღლე ზღვის დონიდან აღწევს 157 — 165 მეტრამდე. ატმოსფერული ნალექების წლიური საშუალო 1705 მმ-დე აღის. სავეგეტაციო პერიოდის ხუთი თვის მანძილზე (V — IX) ტემპერატურათა ჯამი ვაკე ადგილებში 2960°-ია, სამხრეთისაკენ დაბრუნდ კალთებზე კი სიბოხს ჯამი მატულობს და იგი 3210°-მდე აღწევს.

ტენით უზრუნველყოფის კოეფიციენტი მაისის თვეში ნაკლებია (0.9), შემდგომ თვეებში კი მატულობს და სექტემბერში 2.2-ს აღწევს.

საერთოდ ამ ზონაში მაისისა და ივნისის თვეები გვალვიანია, ივლისი და აგვისტო — ზომიერად ტენიანი, ხოლო სექტემბერი — ქარბტენიანი. შემოდგომის პერიოდში მომეტებული ტენიანობა უარყოფით გავლენას ახდენს ყურძნის ხარისხზე და სწორედ ამით აიხსნება ამ მხარის ღვინოების არამალახარისხიანობა. ქარების მოქმედება ამ მხარეში საკმაოდ დიდია. უფრო მეტად განვითარებულია აღმოსავლეთის ქარები. წლის სეზონების მიხედვით ფიონების სიხშირე აღწევს: ზამთარში 14%-ს, გაზაფხულზე — 78%-ს, ზაფხულში — 6%-ს და შემოდგომაზე — 20%-ს.

ამ ზონის დაბლობ ადგილებში ზამთრობით ხშირია ტემპერატურული ინვერსიები, რაც 15 — 18°-მდე აღწევს. ამის გამო დაბლობი ადგილების შერჩევა ვენახების გასაშენებლად არავითარ შემთხვევაში არ უნდა წარმოებდეს, მით უმეტეს, რომ დაბლობ ადგილებს მოჭარბებული ტენიანობა ახასიათებს.

4. ასკანა-შემოქმედის მიკრორაიონი მახარაძის რაიონის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს და მისი სიმაღლე ზღვის დონიდან 120 — 150 მეტრამდე აღწევს (ბახვი ეს სიმაღლე 120 მეტრს

უდრის). სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში ხუთი თვის ტემპერატურის ჯამი (V—IX) 3030°-ს უდრის, ხოლო ფერდობებზე 3280°-მდე აღწევს, რაც სრულიად საკმარისად უნდა ჩაითვალოს ყურძნის ნორმალურად დამწიფებისათვის და ვაზის ვეგეტატიური ნაწილების დასასრულებლად. ამ ზონაში მაის-ივნისის თვეები გვალვიანობით ხასიათდება, ივლის-აგვისტოში ტენის კოეფიციენტი მატულობს, ხოლო სექტემბერში იგი 2,4-მდე აღწევს. წლიური ნალექებიც საკმაოდ დიდია და საშუალოდ 1906 მმ-ს უდრის. ამის გამო აუცილებლად საჭიროა ვენახების გაშენება წარმოებდეს სამხრეთ-აღმოსავლურ კალთებზე.

ქარების მოქმედება თითქმის ისეთივეა, როგორც ანასეულ-ლიხაურის ზონაში.

5. შრომა-მერიის ზონა უშუალოდ შავი ზღვის გავლენის ქვეშ იმყოფება, რის გამოც ნალექების წლიური საშუალო ჯამი 2040 მმ-მდე აღწევს.

ტემპერატურული რეჟიმი ასკანა-შემოქმედის მსგავსად, საგრძნობლად მაღალია. სავეგეტაციო პერიოდის 5 თვის მანძილზე (V—IX) აქტიურ ტემპერატურათა ჯამი ვაკე ადგილებში 3043°-მდე აღწევს, ხოლო ამავე ზონის სამხრეთით მიმართულ კალთებზე იგი მატულობს და 3293°-მდე აღის, რაც ყურძნის ნორმალურად დამწიფებისათვის და ვაზის ვეგეტატიური ნაწილების დასასრულებლად სრულიად საკმარისად უნდა ჩაითვალოს. ტენით უზრუნველყოფის კოეფიციენტი მაისის თვეში აღწევს 0,9 — ს, ივნისში — 0,9 -ს, ივლისში — 1,2 -ს, აგვისტოში — 1,2 -ს, და სექტემბერში — 2,4 -ს. ამრიგად შემოდგომის პერიოდი ქარბი ტენიანობით ხასიათდება (2,4) და წვიმიან დღეთა რიცხვი შემოდგომაზე 18-ს აღწევს. ამის შედეგად ჰაერის შეფარდებითი ტენიანობაც დიდდება (სექტემბერში უდრის 84% -ს და ოქტომბერში — 82% -ს).

ამრიგად, მიუხედავად ნორმალური ტემპერატურული რეჟიმისა, მოქარბებული სინოტივის მოქმედების შედეგად ყურძნის პროდუქცია ნაკლები ღირსების დგება. ყურძენი უხვად იყვინთება წყლით, მცირდება შაქრის კონცენტრაცია და შედეგად მიიღება მცირე სხეულისა და ნაკლებ შინაარსიანი ღვინოები.

შემოდგომის პერიოდში ფიონების (ზენა) მოქმედება შემცირებულია (2%), დასავლეთის ანუ ქვენა ქარების მოქმედება კი გაძლიერებულია. დასავლეთის ქარებს თან სდევს უხვი წვიმები.

6. სუფსა-ლანჩხუთის ზონა გურიის ქედის ჩრდილო მხარეზე მდებარეობს. მისი სიმაღლე ზღვის დონიდან 10 — 150 მეტრს აღწევს.

სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში ხუთი თვის (V—IX) ტემპერატურის ჯამი 3027°-ს უდრის, ხოლო მთელი სავეგეტაციო პერიოდისა — 4251°-ს. (ცხრ. 1).

ატმოსფერული ნალექების წლიური საშუალო ჯამი 1979 — 2000 მმ-დე აღწევს. ტენით უზრუნველყოფის კოეფიციენტის მსვლელობა ადასტურებს, რომ მაისის თვე გვალვიანობით ხასიათდება (0,8); ივნის-ივლის-აგვისტოს თვეებში იგი თანდათანობით მატულობს და სექტემბრის თვეში 2,5-ს აღწევს. ამრიგად აგვისტო-სექტემბრის თვეებს ქარბი ტენიანობა ახასიათებს.

ფიონისებური დენების მოქმედებით ქარბი ტენიანობა ნახსენებ ზონაში მნიშვნელოვნად მცირდება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შემოდგომის პერიოდში შეფარდებითი ტენიანობა მაინც მაღალია და იგი აგვისტო-ოქტომბრის თვეებში საშუალოდ 80% -ს უახლოვდება.

გურიის ქედის ჩრდილო ზონაში განვითარებულია მძლავრი, ზომიერი და სუსტი ფიონები, რომელთა სიხშირე აღწევს: მძლავრის — 2% -ს, ზომიერის — 30% -ს და სუსტის — 68% -ს. ამათგან განსაკუთრებით უარყოფით გავლენას მცენარეებზე მძლავრი ფიონების მოქმედება ახდენს. საერთოდ ფიონების მოქმედება მოხსენებულ ზონაში მცირეა ზაფხულში და შემოდგომაზე და ძლიერდება ზამთარში და გაზაფხულზე.

7. აცანა-ჩოჩხათის ზონა ზღვის დონიდან 30 — 155 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს.

ტემპერატურის ჯამი ხუთი თვის (V—IX) სავეგეტაციო პერიოდის მანძილზე 2929°-ს აღწევს, ხოლო მთელი სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში — 4018°-მდე აღის. სიმაღლესთან შეფარდებით ტემპერატურული რეჟიმი მცირდება, მაგრამ არა დიდად.

ატმოსფერული ნალექების წლიური საშუალო ჯამი 2000მმ-დე აღწევს, სიმაღლესთან ერთად მატულობს ნალექთა რაოდენობა და ამრიგად ტენით უზრუნველყოფის კოეფიციენტიც გადიდებულია. განსაკუთრებით ქარბიტენიანობა ახასიათებს სექტემბრის თვეს (2,6), რაც ყურძნის მარცვალში წყლისრაოდენობის გადიდებისა და შაქრიანობის შემცირებას იწვევს, ფიონების მოქმედება ამ ზონაში მნიშვნელებულია.



რთველი მაღლარზე
Сбор винограда на маглари

ზუკრის მევენახეობის თანამედროვე მდგომარეობა

საქართველოს სსრ სოფლის-მეურნეობის სამინისტროს ცნობით დაბლარი ვენახების საერთო ფართობი გურიაში 1945 წლისათვის შეადგენდა 1028 ჰექტარს, ხოლო ამერიკული ვაზის სადედე — 13.82 ჰექტარს. მევენახეობა ძირითადათ განვითარებულია ჩოხატაურის რაიონში და შედარებით მცირე მასივებად არის წარმოდგენილი მახარაძისა და ლანჩხუთის რაიონებში.

ჯიშობრივი შედგენილობის მხრივ გურიის ვენახებში წამყვანი ადგილი იმერულ-საქართველოს უკავია (95%). ამ ჯიშმა უკანასკნელ პერიოდში მოსახლეობის სამართლიანი პატივისცემა დაიმსახურა, ვინაიდან მას ახასიათებს სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ რიგიანი გამძლეობა, კარგი ზრდა-განვითარება, ნორმალური მოსავლიანობა და ამ მხარის მთელ რიგ მიკრორაიონებში ხარისხოვანი პროდუქცია.

ვენახების ძირითადი მასივები გურიაში გავრცელებულია მთისპირა ზონაში და ცალკე რაიონების მიხედვით შეიძლება შემდეგნაირად დავაჯგუფოთ:

1. ჩოხატაურის რაიონი. 1945 წლისათვის დაბლარი ვენახების საერთო ფართობი შეადგენდა 541 ჰექტარს და ამერიკული ვაზის სადედე — 8.6 ჰექტარს.

ვენახების მასივები ნახსენებ რაიონში განლაგებულია მდ. სუფსის, გუბაზოულისა და ხევისწყლის ხეობებში. მდ. სუფსის ხეობაში აღსანიშნავია მისი მარჯვენა მხარე, დაწყებული სოფ. დაბლაციხიდან ზომლეთამდე ძირითადათ შემდეგ სოფლებში: ბუკისციხეში, დაბლაციხეში, საყვავისტყეში, ფარცხმაში, ახალსოფელში, გოგოლეისუბანში, სამებაში, ვანში, ზომლეთში; სოფ. ციხეს ზემოდ სურების მიმართულებით დაბლარი ვენახები გავრცელებული არაა. მოხსენებული სოფლებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა დაბლაციხის მევენახეობის ზონა, სადაც ხელშემწყობ ეკოლოგიურ პირობათა მოქმედების შედეგად მიიღება მაღალი ღირსების პროდუქცია ხარისხოვანი სუფრული ტიპის ღვინოების დასამზადებლად.

ამ ხეობის მარცხენა მხარეში მნიშვნელოვანია იანოულ-ბერეგოულის მევენახეობის ზონა შემდეგი სოფლებით: იანოული, ქვემო-ონჭიქეთი, ქვემო-ერკეთი, გუთური, ვაზიანი, ჩაისუბანი, ინტაბუეთი, ბერეგოული. აქედან ხარისხოვანი პროდუქციით გამოირჩევა იანოულის მიკრორაიონი, რომელიც, მსგავსად დაბლაციხის მიკროზონისა, იძლევა ხარისხოვან პროდუქციას სუფრული ტიპის ღვინოების დასამზადებლად. სოფ. იანოულს ზემოდ ვენახების გავრცელების არეალი მეტად შეზღუდულია.

მდ. გუბაზოულის ხეობაში საყურადღებოა მის მარჯვენა მხარეზე ახალშენ — ხევის, ხოლო მარცხენა მხარეზე - ბუკნარ-ხევის მევენახეობის ზონა შემდეგი სოფლებით: ახალშენი, ხიდისთავი, ზენობანი, შუბანი, ზემო-ერკეთი (კოხი), ბეოლიეთი, ხევი, ბუკნარი, ქვენობანი, ბასილეთი, ქაჭიეთი. სოფ. ხევის ზემოდ დაბლარი ვენახების გაშენებას არ მისდევენ და ეს ბუნებრივია, ვინაიდან ეკოლოგიური პირობები და განსაკუთრებით აქტიურ ტემპერატურათა ჯამის სიმცირე გვიან მოწვევის უნარიანი ჯიშების გავრცელებისათვის საშუალებას არ იძლევა.

საერთოდ გუბაზოულის ხეობაში არსებული ცოლიკოურის ჯიშით შემდგარი ვენახებიდან მიღებული პროდუქცია არამაღალხარისხოვანია; მისგან მზადდება ორდინარული ღირსების და მხოლოდ ადგილობრივი მოხმარების ღვინოები. ეს ძირითადათ გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ამ მხარის ნიადაგები წითელი მიწების გაფწერებული სხვაობებია, რომელშიაც კალციუმის კარბონატები უმნიშვნელო რაოდენობით მოიპოვება; ამას ზედ ერთვის შემოდგომის პერიოდში ჰიდროთერმიული კოეფიციენტის ზრდა, რაც მარცვალში წყლის გადიდებას და შაქრიანობის შემცირებას იწვევს.

მდ. ხევისწყლის ხეობა იმერეთის მოსაზღვრედ მდებარეობს. ჩოხატაურის რაიონში შედის მისი მხოლოდ მარცხენა მხარე. ამ ზონაში განსაკუთრებით გამოირჩევა კოხნარ-საქამიასერის მევენახეობის ზონა შემდეგი სოფლებით: ბურნათი, კოხნარი, ნაკადული, ქვემოხეთი, ჩომეთი, ვანთიანი, მამულარი და კალაგონი.

კოხნარ-საქამიასერის მიკრორაიონი განსაკუთრებული ღირსების მასალას იძლევა თეთრი ხარისხოვანი სუფრული ტიპის ღვინოების დასამზადებლად და ამ მხრივ იგი მეტად საყურადღებო უბანია ჩოხატაურის რაიონში მევენახეობის წარმოების თვალსაზრისით. პროდუქციის ასეთი მაღალხარისხიანობა გამოწვეულია ამ ზონაში მერგელებზე განვითარებული ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგების არსებობით. გარდა ამისა, ზღვიდან საკმაოდ დაცილების გამო ეს ზონა ხასიათდება შედარებით ნაკლები ნალექიანობით და ამის შედეგად ჰიდროთერმიული კოეფიციენტის სიმცირით. ყურძნის სიმწიფის

პერიოდში ჰიდროთერმიული კოეფიციენტი 1.7-ს არ აღემატება. ამავე დროს აქტიურ ტემპერატურათა ჯამიც სავსებით ხელშემწყობია ყურძენში შაქრიანობის დასაგროვებლად.

✓ ჩოხატაურის რაიონში, კოლიკოურს გარდა, მცირე ნარგავების სახით გავრცელებულია დაბლარად იმერული ჯიშები: ციკა, ძველშავი, (ძელშავი) მგალობლიშვილი, რომლებიც იძლევა პროდუქციას მხოლოდ ორდინარული ღვინოების დასამზადებლად. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ჯიშების ყურძენს ცალკე არ ამზადებს და დაწურვის დროს კოლიკოურს ურევს. სოფ. დაბლაციხესა და გორა-ბერეჯოულში სას.-სამეურნეო ტექნიკუმის ტერიტორიაზე გავრცელებულია ვაზის ჯიში „ოჯალეშის“ მსხვილფეხობით. ჩვენს მიერ მრავალი წლის მანძილზე წარმოებულ დაკვირვებათა შედეგათ დადასტურდა, რომ იგი არაიდენტიურია მეგრული ოჯალეშისა, როგორც ბოტანიკური თვისებებით, ისე აგრეთვე აგრობიოლოგიური და სამეურნეო-ტექნოლოგიური თავისებურებით.

ადგილობრივი ვაზის ჯიშების მალღარები მხოლოდ თითო-ორი ძირების სახით არის გადაჩენილი, რომელთა მოსავლიანობა უშუალოდ წლის ამინდის პირობებზეა დამოკიდებული. სამაგიეროდ ზოგიერთი ადგილობრივი ჯიში სადღესოდ აღდგენილია და გავრცელებულია დაბლარად მცირე მასივების სახით: გორა ბერეჯოულში — სას.-სამეურნეო ტექნიკუმის ტერიტორიაზე, დაბლაციხეში, ფარცხასა და საქამისაერში (კალაგონში).

ფიქრობთ, რომ ხარისხოვანი მეღვინეობის წარმოების მიზნით რაიონის მევენახეობის შემდგომ განვითარებას საფუძვლად დაედება ადგილობრივ სახელგანთქმულ ვაზის ჯიშთა ფართოდ დანერგვა.

2. მახარაძის რაიონი. დაბლარი ვენახების საერთო ფართობი 1945 წლისათვის შეადგენდა 249 ჰექტარს, ამერიკული ვაზის სადღედ — 1,92 ჰექტარს.

ამ რაიონის ძირითადი მასივები ამჟამად განკუთვნილია ჩაისა და სუბტროპიკულ მცენარეთა წარმოებისათვის.

ამ რაიონში ძირითადად სამი ზონაა წარმოდგენილი: ა) დაბლობი, რომელიც მდინარეთა დაბალ ხეობებში და შავი ზღვის სანაპირო ზოლშია მოქცეული, ბ) მთისპირა ზონა, რომელიც ძირითადად მდინარეთა ხეობების კალთებზე მდებარეობს, და გ) მაღალმთიანი ზონა, რომელიც გურია-აჭარის ქედს ეკვრის.

მევენახეობის წარმოების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია რაიონის ხეობათა მთისპირა ზონა. აქედან აღსანიშნავია მდ. სუფსის, ბახვისწყლისა და ნატანების ხეობები.

მდ. სუფსის ხეობის მარცხენა ზონაში დაბლარი ტიპის ვენახები გავრცელებულია ნაგომარ — შრომის ზონის შემდეგ სოფლებში: ნაგომარი, ახალსოფელი, ბაილეთი, გურიანთა, მერია, კახური, კონკათი, ზედობანი, შრომა, ვაკე, თხინვალი, ხრიალეთი, ომფარეთი; ხეობის მარჯვენა ზოლში აღსანიშნავია: ძიმითის, სილაურისა და ჯუმათის მიკროუბნები.

აღნიშნულ ზონაში კოლიკოურისაგან მზადდება ორდინარული ხასიათის ღვინოები, მცირე სხეულით, საკმაო ან საკმაოზე მცირე ალკოჰოლის შემცველობითა და ნაკლები ექსტრაქტიულობით. ყურძენის პროდუქციის ნაკლები ღირსება მოხსენებულ ზონაში გამოწვეულია ნიადაგებში კალციუმის კარბონატების სიმცირით, რასაც ზედერთვის ატმოსფერული ნალექების სიუხვე და ამის შედეგად ყურძენის მოწყვეის პერიოდისათვის ჰიდროთერმიული კოეფიციენტის ზრდა. მევენახეობის შემდგომი განვითარება ამ ზონაში ფართოდ უნდა იქნეს წარმოებული მხოლოდ ადგილობრივი მოხმარების ორდინარული ღვინოების დასამზადებლად.

მდ. ბახვისწყლის ხეობაში მევენახეობის წარმოების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ასკანა-ბახვის მევენახეობის ზონა შემდეგი სოფლებით: ასკანა, ვანისქედი, მთისპირი, ზემო ბახვი, შუა ბახვი, ქვემო ბახვი, ფამფალეთი, ნასაკირალი.

მახარაძის რაიონში სწორედ ეს ხეობა არის საინტერესო მევენახეობის თვალსაზრისით და განსაკუთრებით კი ასკანის, ბახვისა, და ნასაკირალის მიკრორაიონები. აქაური ვენახების ნიადაგები შეიცავს კალციუმის კარბონატების საკმაო რაოდენობას. ვენახები ძირითადად დაფენილია სამხრეთით მიმართულ ფერდობებზე, სადაც აქტიურ ტემპერატურათა ჯამი ყურძენის ნორმალურად დაშფიფების სრულ შესაძლებლობას იძლევა. მიუხედავად ატმოსფერულ ნალექთა სიჭარბისა, ეს უკანასკნელი პროდუქციის ხარისხზე მკვეთრ უარყოფით ზეგავლენას ვერ ახდენს, ვინაიდან მოსული წვიმა ნაკვეთების დახვეების გამო მათზე ვერ დგება და ამრიგად ნიადაგის წყლის მოქმედება ამ ფერდობ ადგილებზე მინიმუმამდე ეცემა.



მტევანდილის მაღლარი. ყურძნის მკრეფაეი ემზადება მაღლარზე ასასვლელად
Сорт Мтевандиди на маглари. Сборщик собирается подняться на маглари

მდ. ნატანებისა და ბეუჯისწყლის ხეობებში დაბლარი ვენახები გავრცელებულია შემდეგ სოფლებში: ვაკიჯვარში, ბაღდათში, ცხემლისხილში, უჩხუბში, დვამზუში, ნატანებში, გომში, შემოქმედში, მაკვანეთში, ლიხაურში, ქანიეთში და თვით მახარაძის მიდამოებში. მოხსენებული სოფლებიდან გამოირჩევა ბაღდათის მევენახეობის ზონა, რომელიც კოლიკურისაგან საკმაო ღირსების პროდუქციის იძლევა ადგილობრივი მნიშვნელობის სუფრული ტიპის ღვინოების დასამზადებლად. ამ ზონაში მდებარეობს დაშადდეს საკმაოდ მაღალხარისხოვანი ღვინოები, ვიდრე ამჟამად ვლებულობთ. მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგ შემთხვევაში, მოსავლის გადიდების მიზნით, მიმართავენ ვენახის მორწყვას მტვერითა და სხვა სახის მწიფობის პერიოდში, რაც ისედაც უხვალექიან ზონაში ყურძნის მარცვლის წყლით გაფლენთვის იწვევს; ამით მკირდება შაქრის კონცენტრაცია და ღვინოც დაბალი ღირსებისა დგება.

რაიონის თითქმის ყველა სოფელში, სადაც კი მევენახეობას მისდევენ, ძირითადად დანერგილია იმერული ჯიში კოლიკოური. ამ მხარეში ეს ჯიში, გარდა ზოგიერთი მიკროუბნისა (ასკანა, ბახვი, ნასაკირალი), იძლევა მასობრივი მოხმარების ორდინარულ ღვინოებს. მაგრამ აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ადგილობრივი სახელგანთქმული ვაზის ჯიშები, აკლიმატიზირებული რაიონის ეკოლოგიური პირობებში, საუკუნეთა მანძილზე ამავე ზონებში გაცილებით უკეთესი შედეგიანობით ხასიათდება, განსაკუთრებით რაიონის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ მთისპირა ზონაში (ასკანა, ბახვი, ბაღდათი, შემოქმედი და სხვ.). ამიტომ მევენახეობის შემდგომ განვითარებას სწორედ ადგილობრივი ვაზის ჯიშთა ფართოდ დანერგვა უნდა დაედვას საფუძვლად. საქართველოს საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მიერ სოფ. ბახვის ტერიტორიაზე გაშენებული 14 ჰექტარი ჩხავერის ნარგავები და ბაღდათის ზონაში გაშენებული მტვერანდილის დაბლარი ვენახები ამის დამამტკიცებელ საბუთს წარმოადგენს.

ნახსენებ მეურნეობაში და აგრეთვე ასკანის მიდამოებში ჩხავერისაგან დაშადდებულ ღვინოს აქვს სინაზე, ჰარმონულობა და ყველა ის დადებითი თვისებები, რაც მაღალხარისხოვან სუფრული ტიპის ღვინოებს ახასიათებს.

მახარაძის რაიონის სოფ. შრომის ზონაში და აგრეთვე სოფ. ბაღდათში საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული დაბლარად ვაზის ჯიში „ნაკაშიძის ჯანის“ სახელწოდებით. მას ახასიათებს დიდი მოსავლიანობა და აგრეთვე წვენი უხვი გამოსავლიანობა, რის გამოც მან მოსახლეობაში ერთგვარი პატივისცემა დაიმსახურა. ეს ჯიში შემოტანილია უცხოეთიდან და ის ფრანგული ჯიშის არამონის ვარიაციას წარმოადგენს. „ნაკაშიძის ჯანი“ როგორც დიდმოსავლიანი და წვენი უხვგამოსავლიანი, ამ მხარისათვის უდავოდ ყურადღების ღირსია. მისი მასობრივად დანერგვა მეზობელ სოფლებშიაც მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული, როგორც ადგილობრივი მნიშვნელობის ღვინოების, აგრეთვე ყურძნის წვენი ფართოდ დასამზადებლად.

მ. ლანჩხუთის რაიონი. დაბლარი ვენახების საერთო ფართობი 1945 წლისათვის შეადგენდა 276 ჰექტარს, ამერიკული ვაზის სადღე — 3.3 ჰექტარს. ლანჩხუთის რაიონის ძირითადი მასივი, მსგავსად მახარაძის რაიონისა, განკუთვნილია ჩაის, სუბტროპიკულ და სიმინდის კულტურათა წარმოებისათვის.

მევენახეობის დარგს ამ რაიონში დამხმარე დარგის ხასიათი აქვს. იგი მკირე ან საკმაოდ მოზრდილი მასივების სახით დაბლარად არის წარმოდგენილი გურიის ქედის (ნიგოთის ქედი) როგორც ჩრდილოეთით, აგრეთვე სამხრეთით მიმართულ კალთებზე მთისპირა ზოლში. ამრიგად, ვაზის კულტურის წარმოების თვალსაზრისით შეიძლება განვიხილოთ სამხრეთ და ჩრდილოეთ კალთებზე მდებარე მევენახეობის ზონები.

გურიის ქედის სამხრეთ კალთებზე მდებარე ვენახები მდ. სუფსის ხეობის მარჯვენა მხარის მთისპირა ზონას მისდევს. ამ ზონაში მევენახეობა მეტ-ნაკლები ხვედრითი წონით გავრცელებულია შემდეგ სოფლებში: ქანჭათში, ქვემო და ზემო-აკეთში, აცანაში, მამათსა და გაგურში.

ამ ზონაში ძირითადად დანერგილია იმერული ჯიში კოლიკოური: გვხვდება აგრეთვე მკირე მასივების სახით ან კოლიკოურთან შერევით ჯიშები ციცქა და მგალობლიშვილი.

ტემპერატურული რეჟიმი ამ მხარეში სრულიად საკმარისია როგორც ყურძნის დამწიფებისათვის, ისე აგრეთვე ვაზის ვეგეტატიური ნაწილების შემოსასვლელად. მხოლოდ ნიადაგში არსებული სინოტივის დიდი რაოდენობა და ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა ყურძნის სიმწიფის პერიოდში აღიღებს ტენის უზრუნველყოფის კოეფიციენტს (2.6), რაც იწვევს მარცვალში წყლის რაოდენობის გადიდებასა და შაქრის კონცენტრაციის შემცირებას. გარდა ამისა, ნახსენები ზონის ნიადაგები ან მეტად ღარიბია კალციუმის კარბონატებით, ან მას სრულებით არ შეიცავს. ყოველივე ამის შედეგად ქედის სამხრეთით

მდ. ნატანებისა და ბეუჯისწყლის ხეობებში დაბლარი ვენახები გავრცელებულია შემდეგ სოფლებში: ვაკიჯვარში, ბაღდათში, ცხემლისხილში, უჩხუბში, დვამზუში, ნატანებში, გომში, შემოქმედში, მაკვანეთში, ლიხაურში, ქანიეთში და თვით მახარაძის მიდამოებში. მოხსენებული სოფლებიდან გამოირჩევა ბაღდათის მევენახეობის ზონა, რომელიც კოლიკურისაგან საკმაო ღირსების პროდუქციის იძლევა ადგილობრივი მნიშვნელობის სუფრული ტიპის ღვინოების დასამზადებლად. ამ ზონაში მდებარეობს დაშადდეს საკმაოდ მაღალხარისხოვანი ღვინოები, ვიდრე ამჟამად ვლებულობთ. მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგ შემთხვევაში, მოსავლის გადიდების მიზნით, მიმართავენ ვენახის მორწყვას მტვერითა და სხვა სახის მწიფობის პერიოდში, რაც ისედაც უხვალექიან ზონაში ყურძნის მარცვლის წყლით გაფლენთვის იწვევს; ამით მკირდება შაქრის კონცენტრაცია და ღვინოც დაბალი ღირსებისა დგება.

რაიონის თითქმის ყველა სოფელში, სადაც კი მევენახეობას მისდევენ, ძირითადად დანერგილია იმერული ჯიში კოლიკოური. ამ მხარეში ეს ჯიში, გარდა ზოგიერთი მიკროუბნისა (ასკანა, ბახვი, ნასაკირალი), იძლევა მასობრივი მოხმარების ორდინარულ ღვინოებს. მაგრამ აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ადგილობრივი სახელგანთქმული ვახის ჯიშები, აკლიმატიზირებული რაიონის ეკოლოგიური პირობებში, საუკუნეთა მანძილზე ამავე ზონებში გაცილებით უკეთესი შედეგიანობით ხასიათდება, განსაკუთრებით რაიონის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ მთისპირა ზონაში (ასკანა, ბახვი, ბაღდათი, შემოქმედი და სხვ.). ამიტომ მევენახეობის შემდგომ განვითარებას სწორედ ადგილობრივი ვახის ჯიშთა ფართოდ დანერგვა უნდა დაედვას საფუძვლად. საქართველოს საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მიერ სოფ. ბახვის ტერიტორიაზე გაშენებული 14 ჰექტარი ჩხავერის ნარგავები და ბაღდათის ზონაში გაშენებული მტვერანდილის დაბლარი ვენახები ამის დამამტკიცებელ საბუთს წარმოადგენს.

ნახსენებ მეურნეობაში და აგრეთვე ასკანის მიდამოებში ჩხავერისაგან დაშადდებულ ღვინოს აქვს სინაზე, ჰარმონულობა და ყველა ის დადებითი თვისებები, რაც მაღალხარისხოვან სუფრული ტიპის ღვინოებს ახასიათებს.

მახარაძის რაიონის სოფ. შრომის ზონაში და აგრეთვე სოფ. ბაღდათში საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული დაბლარად ვახის ჯიში „ნაკაშიძის ჯანის“ სახელწოდებით. მას ახასიათებს დიდი მოსავლიანობა და აგრეთვე წვენი უხვი გამოსავლიანობა, რის გამოც მან მოსახლეობაში ერთგვარი პატივისცემა დაიმსახურა. ეს ჯიში შემოტანილია უცხოეთიდან და ის ფრანგული ჯიშის არამონის ვარიაციას წარმოადგენს. „ნაკაშიძის ჯანი“ როგორც დიდმოსავლიანი და წვენი უხვგამოსავლიანი, ამ მხარისათვის უდავოდ ყურადღების ღირსია. მისი მასობრივად დანერგვა მეზობელ სოფლებშიაც მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული, როგორც ადგილობრივი მნიშვნელობის ღვინოების, აგრეთვე ყურძნის წვენი ფართოდ დასამზადებლად.

მ. ლანჩხუთის რაიონი. დაბლარი ვენახების საერთო ფართობი 1945 წლისათვის შეადგენდა 276 ჰექტარს, ამერიკული ვახის სადღე — 3.3 ჰექტარს. ლანჩხუთის რაიონის ძირითადი მასივი, მსგავსად მახარაძის რაიონისა, განკუთვნილია ჩაის, სუბტროპიკულ და სიმინდის კულტურათა წარმოებისათვის.

მევენახეობის დარგს ამ რაიონში დამხმარე დარგის ხასიათი აქვს. იგი მკირე ან საკმაოდ მოზრდილი მასივების სახით დაბლარად არის წარმოდგენილი გურიის ქედის (ნიგოთის ქედი) როგორც ჩრდილოეთით, აგრეთვე სამხრეთით მიმართულ კალთებზე მთისპირა ზოლში. ამრიგად, ვახის კულტურის წარმოების თვალსაზრისით შეიძლება განვიხილოთ სამხრეთ და ჩრდილოეთ კალთებზე მდებარე მევენახეობის ზონები.

გურიის ქედის სამხრეთ კალთებზე მდებარე ვენახები მდ. სუფსის ხეობის მარჯვენა მხარის მთისპირა ზონას მისდევს. ამ ზონაში მევენახეობა მეტ-ნაკლები ხვედრითი წონით გავრცელებულია შემდეგ სოფლებში: ქანჭათში, ქვემო და ზემო-აკეთში, აცანაში, მამათსა და გაგურში.

ამ ზონაში ძირითადად დანერგილია იმერული ჯიში კოლიკოური: გვხვდება აგრეთვე მკირე მასივების სახით ან კოლიკოურთან შერევით ჯიშები ციცქა და მგალობლიშვილი.

ტემპერატურული რეჟიმი ამ მხარეში სრულიად საკმარისია როგორც ყურძნის დამწიფებისათვის, ისე აგრეთვე ვახის ვეგეტატიური ნაწილების შემოსასვლელად. მხოლოდ ნიადაგში არსებული სინოტივის დიდი რაოდენობა და ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა ყურძნის სიმწიფის პერიოდში აღიღებს ტენის უზრუნველყოფის კოეფიციენტს (2.6), რაც იწვევს მარცვალში წყლის რაოდენობის გადიდებასა და შაქრის კონცენტრაციის შემცირებას. გარდა ამისა, ნახსენები ზონის ნიადაგები ან მეტად ღარიბია კალციუმის კარბონატებით, ან მას სრულებით არ შეიცავს. ყოველივე ამის შედეგად ქედის სამხრეთით

მდებარე კალთებზე მიღებული პროდუქცია არ გამოირჩევა მაღალხარისხოვანი თვისებებით და იგი განკუთვნილია ადგილობრივი მოხმარების ორდინარული ხასიათის ღვინოების მისაღებად. დაშადებულ ღვინოს მკირე სხეული და ნაკლები ექსტრაქტიულობა ახასიათებს.

რაიონის ქედის ჩრდილოეთით ვენახები გავრცელებულია მხოლოდ რკინისგზის ლიანდაგზე/ხემოდ. ამ მხარეში აღსანიშნავია ნიგოთ-შუხუთის და ჩიბათ-ჩოჩხათის ზონები. ვენახებზე დასხვებულ ზონებში განლაგებულია მომცრო მასივების სახით და ძირითად ჯიშად წარმოდგენილია მკირეული ცოლიკაური.

დაბლარი ვენახები გავრცელებულია ამ მხარის შემდეგ სოფლებში: ქვიანა, ქყონაგორა, ჩოლობარგი, ნიგოთი, ზემო-და ქვემო-შუხუთი, ლაშისღელე, აგარაკი, ლანჩხუთი, მაჩხვარეთი, ორაგვე, გვიმბალაური, ჯუნეწერი, ზემო-და ქვემო-ჩიბათი, ლესა, ქინათი, ეწერი, ჯურუყვეთი, კიროვი, ნინოშვილი, არჩეული, ნიგვზიანი, ახალი სოფელი, ტაბანათი, ორმეთი, შრომისუბანი, მოედანი, ხორეთი, წითელი უბანი და გულიანი.

ზღვის ჰაერის გავლენა ამ ზონაზე საგრძნობია; ამასთანავე ის ხასიათდება ატმოსფერული ნალექების სიუხვით, რაც, ცხადია, უარყოფით ზეგავლენას ახდენს ყურძნის პროდუქციის ღირსებაზე. მაგრამ ვენახის ნაკვეთების დაქანების გამო სინესტის გავლენა ნაწილობრივ შემცირებულია. ამას ზედ ერთვის ქვიან-ნიგოთის ზონაში მშრალი ზენა ქარების მოქმედება, რომლის მეოხებით სინოტივის ზეგავლენა კიდევ უფრო მცირდება.

საერთოდ დასახლებული მხარის ყურძნის პროდუქცია არ გამოირჩევა მაღალხარისხოვანი თვისებებით და იგი განკუთვნილია ადგილობრივი მოხმარების ორდინარული ხასიათის ღვინოების დასამზადებლად. მაგრამ ცალკეულ მიკროუბნებში შესაძლებელია დაშადდეს აგრეთვე საკმაოდ ხარისხოვანი ღვინოებიც. ასეთ მიკრორაიონებს მიეკუთვნება: ქყონაგორა, ჩოლობარგი, ნიგოთი, ზემო-შუხუთი, შრომისუბანი, მოედანი, ხორეთი, წითელი უბანი და გულიანი. მევენახეობის შემდგომი განვითარებაც ძირითადად დასახლებულ მიკროზონებში უნდა იქნეს წარმოებული.

ისტორიულად ცნობილია, რომ საერთოდ გურიაში, კერძოდ ლანჩხუთის რაიონში ვაზის ადგილობრივი ჯიშები მეტად მაღალკეთილშობილურ პროდუქციას იძლეოდა ხარისხოვანი სუფრული ტიპის ღვინოების დასამზადებლად. სამწუხაროდ, ადგილობრივ ჯიშთა მალღარების მხოლოდ თითო-ოროლა ძირებია გადარჩენილი მთისპირა სოფლებში, რომლებიც მხოლოდ შემთხვევით და წლის ამინდის ხელშემწყობ პირობებში იძლევა მოსავალს.


ხარისხობრივი მევენახეობა-მეღვინეობის წარმოების თვალსაზრისით მომავალში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ძველი ნაცადი ადგილობრივი ჯიშების ფართოდ მომრავლებას ნამყენების სახით, ფილოქსერის გამძლე საძირებზე.

დაბლარი ტიპის ვენახები გურიის რაიონებში გაშენებულია სარზე და იშვიათ შემთხვევაში მავთულზე. ვაზის შტამბი სიმაღლით 30 — 45 სანტიმეტრს აღწევს და ქართული ან გიუს ცალმხრივი წესით არის ფორმირებული.

დაბლარ მევენახეობაზე მასობრივად გადასვლას გურიაში მოკლე ხნის ისტორია აქვს (13 — 16 წელი). მიუხედავად ამისა, ადგილობრივი მოსახლეობა, ვისაც კი ვენახი გააჩნია, დიდი სიყვარულით ეკიდება დაბლარის მოვლა-მოშენების საქმეს. ვენახში ჩასატარებელი სამუშაო ოპერაციები უმეტეს შემთხვევაში სრულდება დაკვირვებით და კალენდარული ვადების დაცვით, როგორცაა: ნიადაგის დამუშავება, გაპატივება, სხვა და მწვანე ოპერაციები. სოკოვან ავადმყოფობათა განვითარებისათვის გურიის რაიონებში მეტად ხელშემწყობი პირობებია უხვი ნალექიანობისა და მომეტებული სითბოს გამო. განსაკუთრებული ხელშემწყობი პირობებია ქრატის (მილდიუ) განვითარებისათვის. ამ მდგომარეობას მოსახლეობა დროულად აქცევს ყურადღებას და წამლობას ბორდოს ხსნარით ატარებს 5 — 7-ჯერ, ხოლო გოგირდით — 2 — 3-ჯერ.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, აგროტექნიკური საქმიანობა ვენახებში ძირითადად მაღალ დონეზე არის დაყენებული. მაგრამ აქვე აღსანიშნავია მთელი რიგი დეფექტებიც, რომელთაც ადგილი აქვს ვენახების ზოგიერთ მასივზე და რომელთა გამოსწორება აუცილებელ საქროებას წარმოადგენს. პირველ რიგში აღსანიშნავია ვაზისათვის დაბალი შტამბის მიცემა.

გურიის უხვნალექიან რაიონებში, სადაც სოკოვან ავადმყოფობათა მოქმედება გაძლიერებულია, დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული ვაზების დაბალ შტამბზე დაყენება და მისი სიმაღლე 65 — 70 სანტიმეტრით უნდა განისაზღვროს.



საქართველოს
სოციალისტური
რესპუბლიკის
სამეცნიერო-კვლევითი
ინსტიტუტი



ჩხავერის დამახასიათებელი ნაკვეთი ბახვის საბჭოთა მეურნეობაში
Характерный участок под Чхавери в Бахвском совхозе



საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
სამსახური



ჩხვერი ფორმირებული ახალგაზრდა ხეზე
Чхавერი, пущенный на молодое дерево




ზოგიერთ ვენახში ადგილი აქვს ვაზების გადაქარბებით დატვირთვას და ფორმის დამახინჯებას. თითოეული ვაზი დაკვირვებით უნდა იხვლებოდეს ინდივიდუალური მიდგომით და მის ღონესთან შეფარდებით, ძირზე ერთი საკავებლის და ღონიერად ზრდის შემთხვევაში კი — ორი საკავებლის დატოვებით.

მეტი მოსავლის მიღების მიზნით ადგილი აქვს ვაზის საესე მწკრივებში ძირების მომრავლებას, რქის გადაწიდვის გზით. ეს წესი ყოველად მიუღებლად უნდა ჩაითვალოს. ვაზის თითოეულ ძირს თავისი განვითარებისათვის გარკვეული კვების არე ესაჭიროება. კვების არეს შემცირების შემთხვევაში ცალკეული ვაზების განვითარება ფერხდება და ამის შედეგად საბოლოო ჯამში მოსავლიანობაც მცირდება. აგროტექნიკური თვალსაზრისითაც ნამყენი ვაზიდან რქის გადაწიდვა მიუღებელია; ვინაიდან რქის საკუთარ ძირზე დაყრდნობის შედეგად იგი მოკლე დროის განმავლობაში ფილოქსერის მსხვერპლი ხდება.

ზოგ ადგილებში ვენახის რიგებში სთესენ სოიას, სიმინდს და აგრეთვე ბოსტნეულს. შუალედი კულტურების თესვა ვენახში დაუშვებლად უნდა იქნას მიჩნეული, ვინაიდან ვაზების დაბურვის გამო აერაცია მცირდება. ეს ხელს უწყობს სოკოვან ავადმყოფობათა გავრცელებას და, გარდა ამისა, ვენახის წიაღის აღარბებს საკვებ ნივთიერებათაგან.

რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაღალი პროდუქციის მიღების მიზნით შემოაღნიშნული დეფექტების გამოსწორება აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს.





II. სამეგრელო

სამეგრელო მდებარეობს საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. აღმოსავლეთით იგი ისაზღვრება იმერეთით, დასავლეთით — შავი ზღვით, სამხრეთით — გურიით და ჩრდილოეთით — სვანეთით და აფხაზეთით. ადმინისტრაციული დარაიონების მიხედვით სამეგრელო შეიცავს: ზუგდიდის, ხობის, აბაშის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ცხაკაიასა და გეგეჭკორის რაიონებს.

ვერტიკალური ზონალობის მიხედვით სამეგრელოს ტერიტორიაზე სამი მთავარი ზონა გამოიყოფა: ა) ზღვის სანაპირო და დაბლობი, ბ) მთისპირა და გ) მაღალმთიანი. სამეგრელოს ტერიტორიის უმეტეს ნაწილს ზღვის სანაპირო და დაბლობი ზონა შეადგენს. ეს ზონა მდებარეობს მდ. ენგურის სამხრეთით მდ. სუფსამდე და შედის კოლხიდის დაბლობის ტერიტორიაში. იგი ამოვსებულია მდ. რიონის, ენგურის, ცივის, ტეხურის და სხვა მდინარეთა ნაფენებით. დადაბლებული ხასიათის გამო აღნიშნული ზონა მეტწილად დაჭაობებულია, რადგან ატმოსფერული ნალექების სიუხვით და ნიადაგის წყლის — ნიადაგის ზედაპირთან სიახლოვეთ ხასიათდება. დადაბლებული ზონის ძირითადი მასივი გამოყენებულია სიმინდის კულტურის წარმოებისათვის.

ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ სამეგრელოს დაბლობი თანდათანობით გადადის მთებისა და გორაკების სისტემაში ანუ მთისპირა ზონაში. ეს უკანასკნელი ჩრდილოეთ-დასავლეთისა და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით მაღალმთიან ზონაში გადადის. მთისპირა ზონის სიმაღლე ზღვის დონიდან 500 მეტრამდე აღწევს. იგი მეტ წილად შეიცავს ნაკლებ წყალგამტარ მერგელიან და თიხნარ ქანებს, რის გამოც წყლის ნაკადების მოქმედებით მეტად დასერილია საკმაოდ ღრმა ხეობებით. ხეების სიღრმე ხშირად 50 — 100 მეტრს აღწევს.

მთისპირა ზონის ფერდობთა დაქანება ძირითადად სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებისაა; მათი დაქანება სხვადასხვაა, დაწყებული 5 — 10°-დან და დამთავრებული 40 — 50°-მდე.

მეტად დახრილი ფერდობები გვხვდება სამეგრელოს ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ტერიტორიაზე, სადაც მდინარეთა ქსელის მოქმედების ძალა მკვეთრად არის გამომჟღავნებული; მაგალითად მდ. ხობის, ცივისა და ტეხურის ხეობებში.

ფერდობების დიდი დახრილობითა და ზედაპირის საკმაოდ ღრმა დახეობით ხასიათდება აგრეთვე ურთას მთა და ეკის ქედი. პირველი მიიმართება აბასთუმან - ხეთას ზემოდ და მეორე — ცხაკაიიდან ნოქალაქევამდე.

სამეგრელოს ტერიტორია უხვად არის დაფენილი სხვადასხვა სიღრმის მდინარეთა ქსელით. აქედან აღსანიშნავია: ენგური, რუხი, ჩხოუში, ინწრა, ჯუმა, ხობი, ოჩხამური, ცივი, ტეხური, ქანისწყალი, ცხენისწყალი, აბაშა, ქაჩხურა და სხვ. ამ მდინარეთაგან თავიანთი სიღრმით მნიშვნელოვანია მდ. ტეხური და ხობისწყალი. ტეხური გამომდინარეობს სვანეთის ქედის კალთებიდან და უერთდება რიონს, ხოლო ხობისწყალი — შავ ზღვას.

სამეგრელოს ტერიტორიის გეოლოგიური აგებულება და ნიადაგების მოკლე მიმოხილვა

სამეგრელოს ტერიტორია ძირითადად შედგენილია ზედა მესამეული და მის შემდგომი ხნოვნების ნალექებით¹. მესამეული დროის ნალექებს ქვეშ უდევს ნუმულიტებიანი კარბონატული წყება, რომელიც თავის მხრივ განლაგებულია ცარცული დროის თეთრ კირქვებზე.

¹ შავი ზღვის სანაპირო ზონის ტერიტორიის გეოლოგიური აგებულების შესახებ ზოგიერთი მასალების მოწოდებისათვის შეადგინა მას მთავარწყნებ დოკუმტ ნ. ი. სხირტლაძეს.

სამეგრელოს მაღალმთიანი ზონა შემდგარია ქვედა მესამეულის — პალეოგენის ნალექებისაგან, ხოლო დაბალ ბორცოვანი ნახევრად ვაკე ტერიტორია — პლიოცენის დანალექ ქანთა კომპლექსისაგან. მათში შედის კონგლომერატები, ნიჟარებიანი მერგელები, ქვიშიანი თიხები და სხვა ადგილად გამომფიტავი მასალა.

მაღალ მთისპირა ზონებში ქვედა მესამეულის ნალექები ცარცულ კირქვებს ეხება, ^{უკანასკნელი} კი შეადგენს საკმაოდ ფართო ზოლს სამეგრელოს მთიან ნაწილში (მდ. ტეხურისა და ^{ქვიშის ხეობის} ზედა ნაწილი).

გეგეჭკორის რაიონის მიმართულებით ცარცულ კირქვებს ფართოდ ეკვრის მერგელები, რომელთა მასივებით ნახსენები რაიონის გორაკოვანი ზოლი საკმაოდ დაფენილია.

ზუგდიდის რაიონში (სოფ. ცაიში, ხეთა, აბასთუმანი) და ცხაკაიას რაიონში ცხაკაიადან-ნოქალაქვეამდე ნალექი ფორმაციები ძირითადათ ცარცული დროის კირქვებით არის წარმოდგენილი. ეს კირქვები მთავარ როლს თამაშობს ეკის შთის აგებულებაში. გარდა კირქვებისა, სამეგრელოს მთისპირა ზონაში (სოფ. სახარბედია, კურზუ) გავრცელებულია კირქვიანი კონგლომერატები.

სამეგრელოს დაბლობი ზონის გეოლოგიური აგებულება გორაკოვანი ზოლის აგებულებისაგან საგრძნობლად განსხვავდება. ის შედგენილია ალუვიური ნაფენებით და ძირითადათ თიხიან და თიხა. ქვიშაქვიანი მასალისაგან შედგება.

ხეობების გასწვრივ ვხვდებით თანამედროვე ალუვიურ ნალექებს. მდ. ტეხურისა და აბაშის ხეობათა ქვედა ნაწილში კარბონატული, ქვიშა-თიხიანი და კირქვიანი ნარიყალისაგან შემდგარი ნაფენებია განვითარებული. სოფ. ბანძასა და გეგეჭკორის მიდამოებში კირქვის კენჭნარი მასალა სჭარბობს.

ხობის, ზუგდიდისა და ცხაკაიას რაიონების ზოგ ნაწილში კონგლომერატებისა და საერთოდ ფხვიერი მასალისაგან შემდგარ ნაფენებზე თიხოვანი ნიადაგის ფენებია განვითარებული. მდინარეთა ქვედა ტერასებზე განვითარებულია ქვიშით მდიდარი ნარიყალი.

ამგვარი შედგენილობის მასივები საკმაოდ დიდ ფართობს იკავებს ხობის, ტეხურისა და სხვა მდინარეთა ხეობებში. მდ. ხობისა და ტეხურის ხეობებში და მათ მთისპირა ზონაში მნიშვნელოვანი ფართობი უჭირავს ალუვიურ ნაფენებს, რომელიც შედგენილობითა და სისქით ურთიერთისაგან საგრძნობლად განსხვავდება. ისინი ძირითადათ შედგება ქვიშა-თიხიანი ნაფენებისაგან, რომელთა ქვეშ ხშირად დაფენილია კენჭოვანი ფენა. ზოგ შემთხვევაში ალუვიური ნაფენები წაფარულია მთის კალთებიდან ჩამოტანილი სხვადასხვა სისქის დელევიური ნაფენებით, რომლებიც მთის კალთების ძირში საკმაოდ სისქეს აღწევს და ხირხატიანობით ხასიათდება.

ამ სახის ნაფენები საკმაოდ ვრცელ მასივებად არის წარმოდგენილი სოფ. ხეთასა და ცაიშის ზონაში.

სამეგრელოს ნიადაგები ამ მხარის გეოლოგიური ცვალებადობის შესაბამისად დიდი სიჭრელით ხასიათდება.

პროფ. საბაშვილის მიხედვით (5) ზუგდიდისა და წალენჯიხის რაიონებში საკმაოდ დიდი მასივების სახით გავრცელებულია წითელმიწა ნიადაგები. იგი დიდ მასივად ჩაწოლილია ნარიყენის ზონაში და აგრეთვე სხვა ადგილებშიაც და ძირითადათ გამოყენებულია ჩაის კულტურისათვის. მას ახასიათებს მკირე სისქის ჰუმუსიანი პორიზონტი და ეს სისქე ნიადაგის ზედაპირის გადარეცხვის მიხედვით ძლიერ მერყეობას განიცდის.

უფრო დიდი მასივების სახით არის წარმოდგენილი წითელმიწა ნიადაგების გაეწერებული სახესხვაობანი ზუგდიდის, ცხაკაიასა და წალენჯიხის რაიონების ფერდობ ადგილებში, რომელთა დაქანება 8 — 10°-მდე აღწევს.

სამეგრელოს ტერიტორიის მთისპირა და მისი გარემომცველი მთების ზოლში ფართოდ არის გავრცელებული ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები. მერგელებზე განვითარებულ ნეშომპალა-კარბონატულ ნიადაგებს გორაკებისა და მათი კალთების ზოლი უჭირავს.

12 — 15° დაქანების ფერდობებზე კირქვებზე განვითარებული ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები უფრო ინტენსიურად არის შეფერილი და მდიდარია ჰუმუსით. ამავე დროს იგი ხირხატიანობით ხასიათდება.

ამ ტიპის ნიადაგები ფართოდ არის გავრცელებული სოფ. ცაიშის, ხეთას, აბასთუმნის, ლეგერსამეს, ნაზოდელავის, კურზუს, უძღურისა, დედადვთისას, მათხოჯისა და სხვა სოფლების მიდამოებში.

სამეგრელოს მთისპირა ზონაში დიდი დაქანების ფერდობებს ჩამორეცხვის შედეგად კირქვების ხშირი გადაშიშვლება ახასიათებს. ამ სახის ნიადაგები ცალკეულ ნაწყვეტებად გვხვდება ურთასა და ეკის ქედზე და აგრეთვე ზუგდიდის რაიონში, სადაც კირქვები ნიადაგის ზედაპირზე გადაშიშვლებული სახით ამოდის. ზუგდიდის, ცხაკაიას, ჩხოროწყუსა და გეგეჭკორის რაიონების მთისპირა ზონაში ცალკეულად არის გავრცელებული მერგელებზე განვითარებული მცირე სისქის ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები და მათი გადარეცხილი სახესხვაობანი მერგელების გადაშიშვლებით. ასეთი ნიადაგები გვხვდება სოფ. ხორშის, უფლისკარის, მაცხოვრისკარის, საგვასალიოს, მახაშის, ქაქვიანის, უჩაშონას, აბასთუმნის, კირცხის, დღვანის, გოგოდანის, თამაკონის, ქვითის, ბომბოთის და სხვა ადგილებში. აღნიშნულ სოფლებში გორაკების კალთებზე გავრცელებულია მერგელებზე განვითარებული დეგრადიული ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები, რომელთა ზედა ჰორიზონტი უომრალი ფერისაა, წვრილ-გორიანობიანი სტრუქტურის, ხოლო ქვედა ჰორიზონტი — რუხი ფერისა და გორიანობიანი სტრუქტურისაა. მექანიკური შედგენილობით გვხვდება თიხიანი და მძიმეთიხიანი სახესხვაობები და პუმუსს მცირე რაოდენობით შეიცავს (3 — 3,5%).

სოფ. ხეთასა და ცაიშის ზონაში მოზრდილ მასივად არის წარმოდგენილი დელევიური ნიადაგები კირნარებზე. ეს ნიადაგები წარმოქმნილია ნეშომპალა-კარბონატულ ნიადაგთაგან შემდგარი ფერდობების გადარეცხვის შედეგად. ამ ნიადაგებს დიდი სისქე და მუქი შეფერვა ახასიათებს. ცხაკაიას სამხრეთისაკენ მიმართული ვაკე ადგილები ამ ნიადაგებით არის დაკავებული. დაბლობი ზოლის ნიადაგებიდან სამეგრელოს რაიონებში საკმაოდ არის გავრცელებული საშუალო და ქალიერ ეწერლებიანი ნიადაგები; იგი ძირითადად წარმოდგენილია ზუგდიდისა და აბაშის რაიონებში (სოფ. ჯოდუჯიანის, ნიკოსიის, ჩხოუშის, წყემის, სეფიეთის და სხვა ადგილებში).

მდ. ტეხურის, ხობის, ცივის, ენგურის ხეობებში ფართოდ არის გავრცელებული ალუვიური ნიადაგები. ნახსენებ ხეობათა ნიადაგები წყვეტილ ზოლებად შეიცავს მცირე რაოდენობის კარბონატებს. კიდევ უფრო ფართოდ არის განვითარებული ამ მხარეში ალუვიური კირქვა-კენჭოვანი ნიადაგები, რომელთა დიდი მასივი მდ. აბაშის ხეობაში ბანძა-გეგეჭკორსა და გულუხეთ — ნოლა-ხობს შორის მდებარეობს.

მდ. ცივის, ხობის, ენგურის ხეობათა ქვედა ტერასებზე გავრცელებულია ალუვიური დაქობებული და უკარბონატო ნიადაგები — სუსტად ლებიანი სახესხვაობებით. ქაობისა და დაქობებული ნიადაგებიდან აღსანიშნავია კორდიან-ლებიანი და ქაობის ლამიანი ნიადაგები. პირველი დიდი მასივის სახით არის ჩაწოლილი კოლხიდის დაბლობის ქვედა ზოლში, ხოლო მეორე — ანარისა და ჭყონის ზონაში.

სამეგრელოს ტერიტორიაზე გავრცელებული ნიადაგების სახესხვაობებიდან მევენახეობის ფართოდ წარმოების თვალსაზრისით გამოსადეგია მხოლოდ მთისპირა ზონის ნიადაგები.

სამეგრელოს ტერიტორიის აგროკლიმატური დახასიათება

აგროკლიმატური დარაიონების მიხედვით სამეგრელოს ტერიტორია მოთავსებულია ტენიან სუბტროპიკულ ზონაში. აღსანიშნავია, რომ მთელი ამ ვრცელი ტერიტორიის მიკროკლიმატი ზონების მიხედვით საგრძნობ ცვალებადობას განიცდის. ასე მაგალითად, სამეგრელოს დაბლობ ზონას ახასიათებს უხვი ატმოსფერული ნალექიანობა და ჰიდროთერმული კოეფიციენტის სიდიდე, აქტიური ტემპერატურის მომეტებული ჯამი და ფიონების საკმაოდ მძლავრი მოქმედება. ტერიტორიის შუა-მთისპირა ზონა დაბლობთან შედარებით ხასიათდება ნაკლები ნალექიანობითა და ჰაერის შედარებითი ტენიანობის სიმცრით, ნიადაგის ზედაპირიდან ნიადაგის წყლის საკმაოდ ღრმად დაშორებით, აქტიურ ტემპერატურათა ზომიერი ჯამითა და ფიონთა შედარებით ნაკლები მოქმედებით. მაღალმთიან ზონაში საგრძნობია ტემპერატურის ჯამის სიმცირე.

მევენახეობის წარმოების თვალსაზრისით საინტერესოა მთისპირა ზონა. აღნიშნულ მხარეს, დაბლობ ზონასთან შედარებით, თითქმის მსგავსი აგროკლიმატური მაჩვენებლები ახასიათებს, მაგრამ ამ ზონის ცალკეული მიკროუბნები ურთიერთთან შედარებით საკმაოდ განსხვავებას იძლევა ძირითადი კლიმატური მაჩვენებლებით. ამიტომ საჭიროა განვიხილოთ ცალკე რაიონების მიხედვით მთისპირა ზონის აგროკლიმატი ძირითადი მიკროუბნების დახასიათებით.

1. ზუგდიდის ზემო მხარე. მეტეორსადგურის გაშპერდის მონაცემების მიხედვით (ცხრ. № 2) ამ ზონის ტემპერატურული რეჟიმი საკმაოდ მაღალია. აქტიური ტემპერატურის ჯამი 5 თვის (V — X)

სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში აღწევს 3116⁰-ს, ხოლო მთელ სავეგეტაციო პერიოდში — 4547⁰-ს.

ზღვის დონიდან ამ ზონის სიმაღლე 140 მეტრით განისაზღვრება. ნალექების წლიური საშუალო ჯამი 1406 მმ-ს აღწევს. ჰიდროთერმული კოეფიციენტი მაისსა და ივნისში მნიშვნელოვნად დაბალია (1.0). ივლისში იგი მცირედ მატულობს (1.1) და აგვისტოში ისევ მცირდება (1.0). სექტემბრის თვეში, როდესაც ყურძნის მწიფობა იწყება, ჰიდროთერმული კოეფიციენტი 1.7-ს აღწევს. არაპარბი ტენიანობის ერთ-ერთ მიზეზად აღნიშნულ რაიონში კონტინენტალური მენტების გავლენა უნდა ჩაითვალოს. მაის-ივნისის თვეებში საგრძნობი გვალვიანობა აიხსნება იმ გარემოებით, რომ ეს ზონა კოლხეთის დაბლობთან, შედარებით, ახლოს მდებარეობს და ფიონისებრი დენების მოქმედება საკმაოდ ძლიერია, რაც ტენის საგრძნობ შემცირებას იწვევს.

2. წალენჯიხის ზონა ჩრდილოეთის მიმართულებით ზუგდიდის რაიონის გაგრძელებას წარმოადგენს. მე-2 ცხრილში წარმოდგენილია ამ მხარის აგროკლიმატური მაჩვენებლები. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი ხუთი თვის (V—IX) სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში ვაკე ადგილებში 2920⁰-ს აღწევს, ხოლო მთელ სავეგეტაციო პერიოდში — 4071⁰-ს. ფერდობ ადგილებზე, სადაც ვენახების ძირითადი მასივებია წარმოდგენილი, აქტიური ტემპერატურათა ჯამი 5 თვის სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში მატულობს და აღწევს 3220⁰-მდე, რაც საესებით საკმარისია საგვიანო ჯიშების ყურძნის დასამწიფებლად.

წლიური ნალექების საშუალო ჯამი ამ მხარეში 1884 მმ-მდე აღწევს. ტენით უზრუნველყოფის კოეფიციენტები მაისიდან სექტემბრამდე, ზუგდიდის ზემო ზონასთან შედარებით, მნიშვნელოვნად მაღალია, მაგრამ არა მოკარბებული, რომ ვახის პროდუქციაზე უარყოფითი გავლენა მოახდინოს.

სამეგრელოს რაიონების აგროკლიმატური მაჩვენებლები

ცხრ. 2

რაიონები და ზონები	ტ ე მ პ ე რ ა ტ უ რ ა					ნ ა ლ ე ქ ე ბ ი					ტენის სრული ბალანსი					ტენით უზრუნველყოფის კოეფიციენტი				
	V	VI	VII	VIII	IX	V	VI	VIII	XI	V	VI	VII	VIII	IX	V	VI	VII	VIII	IX	
1 ზუგდიდის ზემო მხარე	16.8	20.1	22.1	22.7	20.1	99	133	160	147	145	5	5	14	-1	60	1.0	1.0	1.1	1.0	1.7
2 წალენჯიხის ზონა	16.1	18.7	20.7	21.4	18.5	128	181	195	175	202	34	53	52	31	104	1.4	1.4	1.4	1.2	1.9
3 ჩხოროწყუ-ახუთის ზონა	16.0	19.7	21.8	22.2	19.8	97	130	157	144	142	4	8	37	0	37	1.0	1.1	1.1	1.0	1.4
4 ცხაკაია-ძველი სენაკის ზონა	17.1	20.5	22.4	22.3	20.2	43	77	106	143	116	31	-33	-16	8	36	0.6	0.7	0.9	1.1	1.3
5 გეგეჭკორის შუა ზონა	17.7	20.7	23.0	23.4	20.4	91	146	171	114	119	3	14	15	-8	41	0.9	1.1	1.1	0.9	1.5

მაისი, ივნისი და ივლისი საკმაო ტენიანობით ხასიათდება (1.4); აგვისტოში ტენის კოეფიციენტი მცირდება (1.2), ხოლო სექტემბრის თვეში ტენის ზრდა აიხსნება წალენჯიხის ზონის შედარებით მაღალი ჰიპსომეტრიული მდებარეობით. სიმაღლის შესაბამისად ტემპერატურული რეჟიმი მცირდება, ხოლო ატმოსფერული ნალექები მატულობს და ამის გამო ტენით უზრუნველყოფის კოეფიციენტიც დიდდება.

დასახელებულ ზონაში განვითარებულია აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქარები. დასავლეთის ქარებს თანსდევს წვიმები, ხოლო აღმოსავლეთისა მშრალია და ნიადაგის ქარბი ტენისაგან გამოშრობას იწვევს.

3. ჩ ხ ო რ ო წ ყ უ ს ზ ო ნ ა. ახუთის მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემების მიხედვით (ცხრ. 2) დასახელებული ზონა ზღვის დონიდან მდებარეობს 210 მეტრის სიმაღლეზე (სოფ. ახუთი).

აქტიურ ტემპერატურათა ჯამი ხუთი თვის (V—IX) სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში 3045⁰-ს აღწევს, ხოლო მზით უხვად განათებულ კალთებზე, სადაც ვენახების ძირითადი მასივებია წარმოდგენილი, ტემპერატურის ჯამი 300⁰-მდე მატულობს და ამრიგად 3345⁰-მდე აღწევს.

სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში აღწევს 3116⁰-ს, ხოლო მთელ სავეგეტაციო პერიოდში — 4547⁰-ს.

ზღვის დონიდან ამ ზონის სიმაღლე 140 მეტრით განისაზღვრება. ნალექების წლიური საშუალო ჯამი 1406 მმ-ს აღწევს. ჰიდროთერმული კოეფიციენტი მაისსა და ივნისში მნიშვნელოვნად დაბალია (1.0). ივლისში იგი მცირედ მატულობს (1.1) და აგვისტოში ისევ მცირდება (1.0). სექტემბრის თვეში, როდესაც ყურძნის მწიფობა იწყება, ჰიდროთერმული კოეფიციენტი 1.7-ს აღწევს. არაპარბი ტენიანობის ერთ-ერთ მიზეზად აღნიშნულ რაიონში კონტინენტალური მენტების გავლენა უნდა ჩაითვალოს. მაის-ივნისის თვეებში საგრძნობი გვალვიანობა აიხსნება იმ გარემოებით, რომ ეს ზონა კოლხეთის დაბლობთან, შედარებით, ახლოს მდებარეობს და ფიონისებრი დენების მოქმედება საკმაოდ ძლიერია, რაც ტენის საგრძნობ შემცირებას იწვევს.

2. წალენჯიხის ზონა ჩრდილოეთის მიმართულებით ზუგდიდის რაიონის გაგრძელებას წარმოადგენს. მე-2 ცხრილში წარმოდგენილია ამ მხარის აგროკლიმატური მაჩვენებლები. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი ხუთი თვის (V—IX) სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში ვაკე ადგილებში 2920⁰-ს აღწევს, ხოლო მთელ სავეგეტაციო პერიოდში — 4071⁰-ს. ფერდობ ადგილებზე, სადაც ვენახების ძირითადი მასივებია წარმოდგენილი, აქტიური ტემპერატურათა ჯამი 5 თვის სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში მატულობს და აღწევს 3220⁰-მდე, რაც საესებით საკმარისია საგვიანო ჯიშების ყურძნის დასამწიფებლად.

წლიური ნალექების საშუალო ჯამი ამ მხარეში 1884 მმ-მდე აღწევს. ტენით უზრუნველყოფის კოეფიციენტები მაისიდან სექტემბრამდე, ზუგდიდის ზემო ზონასთან შედარებით, მნიშვნელოვნად მაღალია, მაგრამ არა მოკარბებული, რომ ვახის პროდუქციაზე უარყოფითი გავლენა მოახდინოს.

სამეგრელოს რაიონების აგროკლიმატური მაჩვენებლები

ცხრ. 2

რაიონები და ზონები	ტ ე მ პ ე რ ა ტ უ რ ა					ნ ა ლ ე ქ ე ბ ი					ტ ე ნ ი ს ს რ უ ლ ი ბ ა ლ ა ნ ს ი					ტ ე ნ ი თ უ ზ რ უ ნ ვ ე ლ ყ ო ფ ი ს კ ო ე ფ ი ც ი ე ნ ტ ი				
	V	VI	VII	VIII	IX	V	VI	VIII	XI	V	VI	VII	VIII	IX	V	VI	VII	VIII	IX	
1 ზუგდიდის ზემო მხარე	16.8	20.1	22.1	22.7	20.1	99	133	160	147	145	5	5	14	-1	60	1.0	1.0	1.1	1.0	1.7
2 წალენჯიხის ზონა	16.1	18.7	20.7	21.4	18.5	128	181	195	175	202	34	53	52	31	104	1.4	1.4	1.4	1.2	1.9
3 ჩხოროწყუ-ახუთის ზონა	16.0	19.7	21.8	22.2	19.8	97	130	157	144	142	4	8	37	0	37	1.0	1.1	1.1	1.0	1.4
4 ცხაკაია-ძველი სენაკის ზონა	17.1	20.5	22.4	22.3	20.2	43	77	106	143	116	31	-33	-16	8	36	0.6	0.7	0.9	1.1	1.3
5 გეგეჭკორის შუა ზონა	17.7	20.7	23.0	23.4	20.4	91	146	171	114	119	3	14	15	-8	41	0.9	1.1	1.1	0.9	1.5

მაისი, ივნისი და ივლისი საკმაო ტენიანობით ხასიათდება (1.4); აგვისტოში ტენის კოეფიციენტი მცირდება (1.2), ხოლო სექტემბრის თვეში ტენის ზრდა აიხსნება წალენჯიხის ზონის შედარებით მაღალი ჰიპსომეტრიული მდებარეობით. სიმაღლის შესაბამისად ტემპერატურული რეჟიმი მცირდება, ხოლო ატმოსფერული ნალექები მატულობს და ამის გამო ტენით უზრუნველყოფის კოეფიციენტიც დიდდება.

დასახელებულ ზონაში განვითარებულია აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქარები. დასავლეთის ქარებს თანსდევს წვიმები, ხოლო აღმოსავლეთისა მშრალია და ნიადაგის ქარბი ტენისაგან გამოშრობას იწვევს.

3. ჩ ხ ო რ ო წ ყ უ ს ზ ო ნ ა. ახუთის მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემების მიხედვით (ცხრ. 2) დასახელებული ზონა ზღვის დონიდან მდებარეობს 210 მეტრის სიმაღლეზე (სოფ. ახუთი).

აქტიურ ტემპერატურათა ჯამი ხუთი თვის (V—IX) სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში 3045⁰-ს აღწევს, ხოლო მზით უხვად განათებულ კალთებზე, სადაც ვენახების ძირითადი მასივებია წარმოდგენილი, ტემპერატურის ჯამი 300⁰-მდე მატულობს და ამრიგად 3345⁰-მდე აღწევს.

ატმოსფერული ნალექების წლიური საშუალო ჯამი 1298 მმ-მდე აღის. ტენით უზრუნველყოფის კოეფიციენტების მსვლელობა გვიჩვენებს, რომ მაისის თვე გვალვიანია, ივნის-ივლისის თვეებში იგი ოდნავ დიდდება (1.1), ხოლო აგვისტოს თვეში ისევ მცირდება (1.0). ყურძნის სიმწიფის პერიოდში ტენი კვლავ მატულობს, მაგრამ არა დიდად, რაც ყურძნის ნორმალურ მომწიფებას ხელს უწყობს. ჰიდროთერმული კოეფიციენტების სიდიდით აღნიშნული ზონა ძლიერ უახლოვდება შუა იმერეთის მევენახეობის ზონას.

ხოროწყუს ზონაში, განსაკუთრებით ახუთის მიკროუბანში, შედარებით ზომიერად ტენიანობა და ერთგვარი სიმშრალეც აიხსნება, უმთავრესად, სამეგრელოს მთისპირა მასივზე კონტინენტალური ჰავის პირობების უფრო მეტი გავლენით და სამხრეთ კალთებზე, სადაც ვენახებია გაშენებული, მზის ინსოლაციის შედარებით მაღალი ძაბვით.

4. ცხაკაიას ზონა მდებარეობს მდ. აბაშისა და ტეხურის ხეობაში. მევენახეობის წარმოების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მისი მთისპირა ზონა. როგორც მე-2 ცხრილიდან ჩანს, დასახელებული ზონის ტემპერატურული რეჟიმი სავსებით საკმარისია ყურძნის დასამწიფებლად. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი ხუთი თვის სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში (V — IX) 3173°-ს აღწევს; ფერდობებზე იგი მატულობს და 3473°-მდე აღის, ხოლო მთელი სავეგეტაციო პერიოდის მანძილზე 4515°-მდე აღწევს.

წლიური ნალექების საშუალო რაოდენობა 1287 მმ-ს უდრის. ჰიდროთერმული კოეფიციენტების მიხედვით მაისის, ივნისისა და ივლისის თვეები გვალვიანია (V — 0,6, VI — 0,7 და VII — 0,9), რაც კონტინენტალური ჰავის გავლენას მიეწერება. იგი უშუალოდ უახლოვდება კოლხეთის დაბლობს, სადაც ფიონისებრი დენები საგრძნობლად არის განვითარებული, განსაკუთრებით გაზაფხულზე და აგრეთვე ზაფხულშიაც. ამის გამო ტენის ბალანსი უარყოფითია (V — 31, VI — 33 და VII — 16). აგვისტოში ატმოსფერული ნალექების გადიდების გამო მატულობს ტენის ბალანსი და ამ თვეში იგი 8-ს აღწევს, ხოლო სექტემბერში — 36-ს. ამრიგად, აგვისტო და სექტემბერი ზომიერი ტენიანობით ხასიათდება (VIII — 1.1 და IX — 1.3), რაც ყურძნის ნორმალურად დამწიფებას და პროდუქციის ხარისხობრივ გაუმჯობესებას ხელს უწყობს.

5. გეგეჭკორის შუა ზონის აგროკლიმატური მაჩვენებლები ძლიერ უახლოვდება წულუკიძის ზონის მონაცემებს, ამიტომ ვსარგებლობთ ამ უკანასკნელის კლიმატური მაჩვენებლებით.

მევენახეობის წარმოების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მთისპირა ზონა, სადაც ამჟამად ვენახების საკმაოდ დიდი მასივებია განლაგებული.

ტემპერატურული რეჟიმი აღნიშნულ ზონაში სრულიად საკმარისია როგორც ყურძნის ნორმალურად დასამწიფებლად, ისე ვეგეტატიური ნაწილების დროულად შემოსასვლელად. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი ხუთი თვის სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში 3221°-ს აღწევს, ხოლო მთელი სავეგეტაციო პერიოდისა — 4595°-ს.

წლიური ნალექების საშუალო რაოდენობა 1584 მმ-მდე აღის.

მაისის თვეში ტენის ბალანსი უარყოფითია და იგი 3-ს აღწევს; ივნის-ივლისის თვეებში ნალექების გადიდების გამო ტენის ბალანსიც მატულობს და აღწევს ივნისში 14-ს, ხოლო ივლისში — 15-ს. აგვისტო გვალვიანობით ხასიათდება და ამრიგად ტენის ბალანსიც უარყოფითია (— 18); სექტემბერში ნალექები კვლავ მატულობს და ტენის ბალანსი 41-მდე აღწევს.

გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში საკმაოდ განვითარებულია ფიონისებრი დენები, რასაც ზოგ შემთხვევაში თან სდევს ტემპერატურის სწრაფი აწევა. აგვისტოს თვეში იგი 23 — 24°-მდე აღის, მაქსიმალური ტემპერატურა ხშირად 35°-ს აღემატება. ტემპერატურის ასეთი სწრაფი აწევა ზოგ შემთხვევაში ვაზის ნაყოფის დაზიანებას იწვევს.

სამეგრელოს მევენახეობის თანამედროვე მდგომარეობა

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სამეგრელოს დაბლობი ზონის ნიადაგები არახელსაყრელ ეკოლოგიურ პირობათა გამო მევენახეობის საწარმოებლად სრულიად გამოუსადეგარია. ამ დაბლობ ზონაში ვაზი მხოლოდ თითო-ორი ძირის ან მეტად მცირე მასივების სახით არის წარმოდგენილი და იძლევა ადგილობრივი მოხმარების უზინაარსო, მსუბუქსა და ნაკლებ შენახვის უნარის მქონე ღვინოებს.



ოჯალეშის ყურძნის კრეფა მაღლარზე
Сбор винограда Оджалеши на маглари



საწარმოო ხასიათის მევენახეობა ამჟამად საკმაოდ ვრცელი მასივების სახით არის წარმოდგენილი სამეგრელოს მხოლოდ მთისპირა რაიონებში, და მომავალშიაც ახალი ვენახების გაშენება სწორედ ამ ზონაში უნდა წარმოებდეს. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ სამეგრელოს მთისპირა ზონა შეიცავს ძირითადად სამხრეთისაკენ და სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მიმართულ, მზით უხვად განათებულ ადგილებს. დაბლობ ზონასთან შედარებით მას ახასიათებს ატმოსფერული ნალექების სიმცირე და ძირითადად წარმოდგენს კირქვებსა და ტკილებზე (მერგელებზე) განვითარებულ ნიადაგებს. სწორედ ამგვარი ტიპის ნიადაგებმა გაუთქვა სახელი სამეგრელოს ღვინოებს.

საქართველოს
საგარეო
მინისტროს
განცხადება

✓ ამჟამად სამეგრელოში დაბლარი ტიპის მევენახეობაა განვითარებული. ვენახები 95% -მდე იმერული ჯიში ცოლიკოურისაგან შედგება.

ზუგდიდის ზედა ზონის, წალენჯიხის, ჩხოროწყუსა და გეგეჭკორის რაიონებში ამ ჯიშის პროდუქციიდან მზადდება საკმაოდ, და ზოგიერთ მიკროუბანში კი სავსებით, მაღალხარისხოვანი სუფრული ტიპის ღვინოები. ვენახებში, ცოლიკოურის ნარგავთა შორის, ან ცალკე, მცირე მასივების სახით, გავრცელებულია ჯიშები: ციცქა, ძველშავი, (ძელშავი) რკო და სხვ., რომელთა მოსავალს ცალკე ღვინოდ არ ამზადებენ და მას ხშირად ცოლიკოურთან ერთად სწურავენ.

ადგილობრივი ვაზის ჯიშები დაბლარად, მცირე მასივების სახით, არის ამჟამად წარმოდგენილი; ამათგან ძირითადად გავრცელებულია: ოჯალეში, პანეში, ავშილური, ჭვიტილური.

უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო მეგრულმა წითელყურძნიანმა ჯიშმა — ოჯალეშმა და მის გავრცელებას ამჟამად ფართო ადგილი ეთმობა, განსაკუთრებით მდ. ტეხურის ხეობაში.

დაბლარი ვენახები სამეგრელოს რაიონებში, მსგავსად გურიისა, დაყრდნობილია სარებზე, იშვიათ შემთხვევაში — მავთულზე და ქართული ან ცალმხრივი გიუოს წესით არის ფორმირებული.)

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით ვენახების საერთო ფართობი სამეგრელოში 1945 წლისათვის შეადგენდა 2787 ჰექტარს, ხოლო ამერიკული ვაზის სადედე — 31.98 ჰექტარს.

ცალკეული რაიონების მიხედვით მევენახეობის მდგომარეობა სამეგრელოში შემდეგ სურათს იძლევა:

1. ზუგდიდის რაიონი. დაბლარი ვენახების საერთო ფართობი 1945 წლისათვის აღწევდა 688 ჰექტარს, ხოლო ამერიკული ვაზის სადედე — 5.1 ჰექტარს.

რაიონის დაბლობი ზონა — სოფ. კოკი, განმუხური, ანაკლია, ერგეტა, დიდინეძი, დარჩელი, კიროვი, ორულუ, ახალკახათი, ორსანტია და ნაწილობრივ კახათი, ოქტომბერი, შამგონა და ცაიში საწარმოო ხასიათის მევენახეობისათვის გამოუსადეგარია, ვინაიდან ამ ზონაში მიღებული პროდუქცია იძლევა დაბალხარისხოვან მასალას სუფრული ტიპის ღვინოების დასამზადებლად. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ყურძნის მწიფობის პერიოდში ამ ზონაში ჰიდროთერმული კოეფიციენტი მკვეთრად იზრდება, რაც ყურძნის მარცვალში წყლის რაოდენობას ადიდება და ამის შედეგად შაქრის კონცენტრაციას საგრძნობლად ამცირებს. გარდა ამისა, მზის ინსოლაცია აქ ნაკლებია, ნიადაგის წყალი ნიადაგის ზედაპირთან ახლოა და თვით ნიადაგური პირობებიც შეუფერებელია ხარისხოვანი პროდუქციის მისაღებად. ამ ზონის ნიადაგები ძირითადად საშუალო ან ძლიერ ეწერებს წარმოდგენს.

ხარისხოვანი პროდუქციის წარმოების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია რაიონის მთისპირი ზონა. იგი პირველი ზონის გაგრძელებაა და წალენჯიხის რაიონის საზღვრამდე მიიმართება.

ზღვის დონიდან ამ ზონის სიმაღლე 70—350 მეტრამდე აღწევს. მისი ზედაპირი მრავლად არის დასერილი ხევებით და ძირითადად სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ დახრილ ფერდობებს შეიცავს.

დაბლარი მევენახეობა ძირითადად განვითარებულია ზუგდიდის, ოდიშის, ჭკადუაშის, ჩხორის, რუხის, ნარაზენის, კორცხელის, ახალსოფლის, აბასთუმნის, ჭითაწყაროს, ურთას, ზედაეწერის, ორჯონიკიძის (ყულიშკარი), გრიგოლიშის, ჭაქვინჯის, კახათის, ხეცერას, რიყის და ენგურის მიდამოებში. ამათგან ვენახების შედარებით დიდი მასივებია გაშენებული ჯიხასკარის, ორჯონიკიძის (ყულიშკარი), ახალსოფლის, ჭითაწყაროს, აბასთუმნის, გრიგოლიშის, ჭაქვინჯის, ნარაზენის, ჭკადუაშის, ჩხორის, ოდიშისა და თვით ზუგდიდის მიდამოებში.

არასაწარმოო ხასიათის მევენახეობა, და ისიც მცირე მასივების სახით, გავრცელებულია ოქტომბრის, ცაიშის, შამგონის, ორსანტიისა და ახალკახათის მიდამოებში.

იმ მიკრორაიონებიდან, რომლებიც ამ რაიონში ცოლიკოურისაგან ხარისხოვან ღვინოებს იძლევა აღსანიშნავია ჭკადუაშისა და კორცხელ-რიყის მევენახეობის ზონები. ამ უბნებში დამზადებულ ღვინოს



საკმიელას უუროძნის კრეფა მალლარზე
Сбор винограда Сакмиела на маглари

თერმული კოეფიციენტის სიმცირე და მასობრივად გავრცელებული ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგების არსებობა. ✓

3. ჩხოროწყუს რაიონი მდებარეობს წალენჯიხის სამხრეთ-აღმოსავლეთით და მთელი მისი ტერიტორიით მოთავსებულია სამეგრელოს მთისპირა და მთიან ზონაში.

დაბლარი ვენახების საერთო ფართობი დასახელებულ რაიონში შეადგენს 514 ჰექტარს, ხოლო ამერიკული ვაზის სადედე — 8.4 ჰექტარს. ფართობის 95% შედგება იმერული ჯიში ^{ქრისტეშვილის} საგან.

მსგავსად წალენჯიხისა, ჩხოროწყუს რაიონში ორი ძირითადი ზონა შეიძლება გამოიყოს: ა) მთისპირა და ბ) მაღალმთიანი.

მევენახეობის წარმოების თვალსაზრისით საყურადღებოა მხოლოდ მთისპირა ზონა.

ვენახები დასახელებულ ზონაში გავრცელებულია მდ. ხობისწყლის და ოჩხომურის ხეობათა შემდეგ სოფლებში: ახუთში, მუხურში, კირცხში, ჯოღაში, ხაბუმეში, ჩხოროწყუში, ქვედა ჩხოროწყუში, ნაფიჩხოუში, ზუშში, ლეწურწუმეში, თაიაში, ნაკიანსა და ლესიქინეში.

სოფ. ახუთი, ჯოღა ნაფიჩხოუ და ნაკიანი მდებარეობს მდ. ოჩხომურის მარცხენა ნაპირზე; მდ. ხობისწყლის მარჯვენა მხარეზე მდებარეობს სოფ. ლეწურწუმე, ზუში და კირცხი, ხოლო მარცხენა მხარეზე — სოფ. ლესიქინე, ჩხოროწყუ, ქვედა ჩხოროწყუ და თაია. ამავე მდინარის ორივე მხარეზე მდებარეობს სოფ. ხაბუმე და მუხური.

აღნიშნული მიკრორაიონებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახუთის, კირცხის, ჯოღას, მუხურისა და ლეწურწუმეს ზონები, სადაც შესაძლებელია მიღებულ იქნეს სავსებით კეთილდღირსებიანი მასალა მაღალხარისხოვანი თეთრი სუფრული ტიპის ღვინოების დასამზადებლად. ხარისხოვანი პროდუქციის მიღებას აქ ხელს უწყობს აქტიურ ტემპერატურათა ჯამის ნორმალობა, რაც უზრუნველყოფს როგორც ყურძნის სრულ დამწიფებას, ისე ვაზის ვეგეტატიური ნაწილების დროულად მომწიფებას.

აქტიურ ტემპერატურათა ჯამი ამ მიკრორაიონებში სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში აღწევს 3345⁰-მდე. გარდა ამისა, იგი ზღვის ჰავის გავლენას საკმაოდ აცილებულია, რის შედეგად მნიშვნელოვნად მცირდება ჰიდროთერმული კოეფიციენტი; ეს გარემოება კი იწვევს ყურძნის მარცვალში წყლის მარაგის სტაბილობას და შაქრის კონცენტრაციის მნიშვნელოვნად გადიდებას.

ნიადაგური თავისებურება ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს წარმოადგენს ყურძნის პროდუქციის გასაუმჯობესებლად და მაშასადამე მაღალხარისხოვანი ღვინოების მისაღებად. ამ მხარის ნიადაგები თავიანთი შედგენილობით მერგელებზე განვითარებულ ნეშომპალა-კარბონატულ სახეობებს წარმოადგენს, რაც საშუალებას იძლევა მიღებულ იქნეს ხარისხოვანი პროდუქცია სუფრული ტიპის ღვინოების დასამზადებლად.

ვაზის კულტურის გავრცელების საზღვარი ჩრდილოეთით მიიმართება ნაფიჩხოუ-მუხურის ზონაში. ამ ზონის ზემოთ წარმოდგენილია მაღალმთიანი ტერიტორია, სადაც ტემპერატურათა ჯამის სიმცირის გამო სავიანო ჯიშების გავრცელება შეუძლებელია.

4. ცხაკიას რაიონი. დაბლარი ვენახების საერთო ფართობი 1945 წლისათვის შეადგენდა 384 ჰექტარს, ხოლო ამერიკული ვაზის სადედე — 2. 31 ჰექტარს.

დასახელებულ რაიონში შეიძლება გამოიყოს სამი ძირითადი ზონა: ა) დაბლობი, ბ) მთისპირა და გ) მაღალმთიანი.

რაიონის დაბლობი ზონა საწარმოო ხასიათის მევენახეობისათვის სრულიად გამოუსადეგარია. მსგავსად ზუგდიდის რაიონის დაბლობი ზონისა, იგი ხასიათდება ქვენიადგის წყლის სიახლოვეთ და ამის გამო მოჭარბებული ტენიანობით. საერთოდ გაზაფხულზე და განსაკუთრებით კი შემოდგომაზე, როდესაც ყურძნის მწიფობის პერიოდი იწყება, მკვეთრად იზრდება ჰიდროთერმული კოეფიციენტი, რაც ხელს უწყობს მარცვალში წყლის დიდი ოდენობით დაგროვებას და უკანასკნელი კი, მასში არსებული შაქრის კონცენტრაციის შემცირებას.

ამასთანავე ამ ზონის ნიადაგები ძირითად მასივში საშუალო ან ძლიერ ეწერებს და ალავ ალუვიურ დაქობებულ და უკარბონატო სახეობებს შეიცავს.

ყოველივე ამის შედეგად ამ ზონაში მიღებული ყურძნის პროდუქცია შესამჩნევად დაბალი ღირსებისაა — მომეტებულად წყლიანი და მცირე შაქრიანი; მისგან დამზადებულ ღვინოს სიმჩატე, ალკო-

პოლის მცირე შემცველობა, არაპარმონიულობა, მომეტებული მეავიანობა, ნაკლებ შენახვისა და ტრანსპორტაბელობის უნარი ახასიათებს.

საწარმოო ხასიათის მევენახეობა აღნიშნულ რაიონში წარმოდგენილია მის მთისპირ ზონაში. ვენახების საკმაოდ მოზრდილი მასივები გავრცელებულია მდ. ტეხურისა და ცივის ხეობათა შუა და ზემო წელში როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა მხარეზე.

მდ. ტეხურის ხეობის მარცხენა მხარეზე ვენახები ძირითადად გავრცელებულია სოფ. მარჯვენა და წყემის მიდამოებში, ხოლო მარჯვენა მხარეზე — ცხაკაიას, შხეფის, ძველი სენაკის, ნაქალაქევის, ბელო-მისა და ლეძაძამეს მიდამოებში.

მდ. ცივის მარჯვენა მხარეზე ვენახები გავრცელებულია სოფ. ხორშის, პირველი მაისისა და ზანას მიდამოებში, ხოლო მდინარის მარცხენა ნაპირზე — სოფ. ეკის, უშაფათისა და ფოცხოს მიდამოებში.

✓ ხარისხოვანი მევენახეობა - მეღვინეობის წარმოების თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ძველი სენაკი-ნაქალაქევის და ფოცხო-უშაფათის მიკრორაიონები. დასახელებულ მიკრორაიონებში მიღებული ყურძნის პროდუქტია იძლევა მაღალხარისხოვანი სუფრული ტიპის თეთრ ღვინოებს, რომელსაც ლამაზი ფერი, კარგად განვითარებული ბუკეტი, პარმონიულობა, შენახვის უნარი და ტრანსპორტაბელობა ახასიათებს (განსაკუთრებით ფოცხო-უშაფათის ზონაში). ამას ხელს უწყობს როგორც ეკოლოგიურ ფაქტორთა კომპლექსის შეთანაწყობილი მოქმედება (აქტიურ ტემპერატურათა საკმაოდ მაღალი, ყურძნის მწიფობის პერიოდში ჰიდროთერმული კოეფიციენტის სიმცირე, ტვირთვით და ცარცზე განვითარებული ნეშომპალა-კარბონატული წიაღისეულის არსებობა), ისე მზით უხვად განათებული სამხრეთისაკენ დახრილი ექსპოზიციები. ✓

+ ✓ ადგილობრივი ვაზის ჯიშის დაბლარები ამჟამად თითო-ორი სახითაა წარმოდგენილი, მხოლოდ ამ უკანასკნელ პერიოდში დაწყებულია მეგრული ვაზის ჯიშის — ოჯალეშის გავრცელება.

ისტორიულად ცნობილია, რომ აღნიშნული რაიონი ძველთაგან განთქმული იყო, ე. წ. კვიტილურის ჯიშით, რომლიდანაც ფოცხო-უშაფათის ზონაში მასობრივად ამზადებდნენ მაღალხარისხოვანი სუფრული ტიპის თეთრ ღვინოებს. ამჟამად ამ ჯიშის დაბლარები არ მოიპოვება, მაღლარად კი მხოლოდ თითო-ორი სახით არის იგი გადარჩენილი.

აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს კვიტილურის ჯიშის აღდგენა და მისი ფართოდ დანერგვა ცხაკაიას რაიონის მთის-პირა ზონაში. საუკუნეთა განმავლობაში აღზრდილი და აკლიმატიზებული რაიონის ეკოლოგიურ პირობებში იგი სავსებით გაამართლებს იმედებს და თეთრყურძნიან ვაზის ჯიშთა შორის, როგორც მოსავლიანი და ხარისხოვანი პროდუქციის მომცემი, საპატიო ადგილს დაიკავებს.)

ნ. გეგეჭკორის რაიონი მევენახეობის წარმოების თვალსაზრისით ერთ-ერთ მნიშვნელოვან ზონას წარმოადგენს.

1945 წლისათვის ვენახების ფართობი ამ რაიონში შეადგენდა 692 ჰექტარს, ხოლო ამერიკული ვაზის სადედე 14.8 ჰექტარს.

დასახელებული რაიონი სამ ძირითად ზონად შეიძლება დაიყოს: ა) დაბლობ ზონად, რომელიც ეკვრის აბაშისა და ცხაკაიას რაიონების ტერიტორიას, ბ) მთისპირა და გ) მაღალმთიან ზონად.

დაბლობი ზონა, რომელიც ხეობათა ქვემოწელში მდებარეობს, ეკოლოგიურ პირობათა შეუფერებლობის გამო საწარმოო ხასიათის მევენახეობის განვითარებისათვის გამოუსადეგარია. ამ ზონაში მცირე მასივების ან თითო-ორი სახით განვითარებული ვაზები დაბალი ღირსების პროდუქციას იძლევა და მისგან დამზადებული ღვინო სრულიად უბრალო, უშინაარსო და ტრანსპორტაბელობას მოკლებულია.

საწარმოო ხასიათის მევენახეობა დასახელებულ რაიონში ძირითადად გავრცელებულია ხეობათა შუა და ზემოწელში; მისი გავრცელების საზღვარი სოფ. კურზუს ზონაში წყდება.

დაბლარი ვენახები ძირითადად გაშენებულია რაიონის 24 სოფელში, რომელნიც ვიწრო ან საკმაოდ განიერი ზოლით, მხოლოდ წყვეტილ უბნებად, მიიმართებიან მდ. ტეხურისა და აბაშის ხეობის მარჯვენა და მარცხენა ნაპირებზე, სოფ. კურზუმდე. აქედან აღსანიშნავია: კურზუს, ტაღერის, დიდი ჭყონის, დოშაკის, სალხინოს, ენოთის, გაჭედილის, კიწიას, გურძემის, თამაკონის, ინჩხურის, ნახუ-ნაოს, გეგეჭკორის, ხუნწის, სერგიეთის, აბედათის, ნაგვაზაოს, ლეხაინდრაოს, ბანძის, ნაჯახოვოს, ონო-ლიას, ვედიტკარის და ქოლევის მიკრორაიონები.

დასახელებული მიკრორაიონებიდან ვენახების ფართობის სიდიდით გამოირჩევა: სალხინოს, გეგეჭკორის, ნაგვაზაოს, ხუნწის, თამაკონის, ბანძისა და ქოლევის მიკრორაიონები.



საქართველო
სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემია



ოჯალეშის ნაკვეთი ჩოველის წინ
Вид участка под Оджалеши перед сбором



აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ რაიონის ეკოლოგიური პირობები და ნაკვეთების ექსპო-
ზიცია, განსაკუთრებით მდ. ტეხურისა და აბაშის ხეობათა შუა ზონაში, სრულ შესაძლებლობას
იძლევა მაღალხარისხოვანი თეთრი და აგრეთვე წითელი სუფრული ტიპის ღვინოების ფართოდ წარმოე-
ბისათვის.

ამ ზონის ნიადაგები, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, ძირითადად შედგენილია მერგელებსა
და კირქვებზე განვითარებული ნეშომპალა კარბონატული სახესხვაობებით, რაც ყურძნის პროდუქციის
ციის ხარისხობრივ გაუმჯობესებას მეტად უწყობს ხელს. გარდა ამისა, აგროკლიმატური მაჩვენებლებიც
შეთანაწყობილად მოქმედებს პროდუქციის ხარისხობრივ გაუმჯობესებაზე. ასე, მაგალითად, ტემპერა-
ტურული რეჟიმი მთელი სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში სავსებით საკმარისია: აქტიურ ტემპერა-
ტურათა ჯამი ხუთი თვის განმავლობაში (V — IX) აღწევს 3221⁰-ს, ხოლო მთელი სავეგეტაციო
პერიოდში — 4595⁰-ს.

ატმოსფერული ნალექების ჯამი წლის განმავლობაში 1584 მმ-მდე აღწევს. ყურძნის მწიფობის
პერიოდში ჰიდროთერმული კოეფიციენტი მცირეა. ამის შედეგად წყლის დენა მარცვალში მცირდება
და შაქრის კონცენტრაცია მატულობს.

მომეტებული ნალექებიც კი, რომელიც პერიოდულად ახასიათებს დასახლებულ რაიონს, ყურძნის
პროდუქციის ღირსებაზე უარყოფით გავლენას ვერ ახდენს, ვინაიდან ვენახის ნაკვეთების დახრილობის
გამო წვიმის წყალი ადვილად ირეცხება ხევებში და ნიადაგი ზედმეტი ნალექისაგან თავისუფლდება.
ამას ხელს უწყობს აგრეთვე დახრილ ნაკვეთებზე შხის სხივების უხვი მოქმედებაც, რაც ნიადაგის
ადვილად გამოშრობას იწვევს.

წითელი ღვინოების წარმოებით სამეგრელოში გვეგეკორის რაიონი ძველთაგანვე ცნობილი.
როგორც ზემოთ გვქონდა მოხსენებული, სალხინოს ზონაში მიურატის მიერ 1889 წელს გაშენებული
ოჯალეში იძლეოდა მეტად მაღალხარისხოვან პროდუქციას წითელი სუფრული ტიპის ღვინოების
დასამზადებლად. დღესაც ამ ზონაში საკოლმეურნეო მასივზე გაშენებული ოჯალეშის ჯიში იძლევა
სავსებით კეთილღირსებიან მასალას ხარისხოვანი სუფრული ტიპის ღვინოების დასამზადებლად¹⁾.
ამიტომ მევენახეობის შემდგომ განვითარებას დასახლებულ რაიონში საფუძვლად უნდა დაედვას
წითელყურძნიანი ოჯალეშის ფართოდ დანერგვა.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ დაბლარ მევენახეობაზე მასობრივად გადასვლას სამეგრელოს
რაიონებში მცირე გამოხაკლისს გარდა, მსგავსად გურიისა, დიდი ხნის ისტორია არა აქვს (13 — 15 წ.).
მიუხედავად, ამისა, ადგილობრივი მოსახლეობა ამ მხრივ საკმაოდ დიდ ცოდნას იჩენს და სიყვარულით
ეკიდება დაბლარი ვენახის მოვლა-მოშენებას. აგროტექნიკური ოპერაციები უმრავლეს შემთხვევაში
ხარისხოვნად და კალენდარული ვადების დაცვით ტარდება. თუმცა ზოგიერთ ნაკვეთში ადგილი აქვს
დეფექტებსაც. ასე, მაგალითად:

ა) ღონის მიუხედავად, მეტი მოსავლის მიღების მიზნით, ვაზებს ზედმეტად ტვირთავენ, რასაც
შედეგად ძირების დაკნინება-დაბეჩავება და საბოლოო ჯამში მოსავლის შემცირება მოსდევს.

ბ) ზოგიერთ შემთხვევაში ცალკეული ნაკვეთებისათვის არ უწარმოებიათ შესაფერის და ვარგისიან
საძირეთა შერჩევა; ამის შედეგად ზოგან ნაწყენი ვაზების განვითარება და მოსავლიანობა არადამაკ-
მაყოფილებელია.

გ) ზოგ შემთხვევაში ვენახები გაშენებულია ფერდობ და საკვები ნივთიერებებით ღარიბ ნიადაგებზე,
ამის გამო ვაზების განვითარებაც ასეთ ნიადაგებზე არადამაკმაყოფილებელია. ადგილობრივი მოსახლეობა,
ცხადია, აწარმოებს ნაკვეთების პერიოდულ განოყიერებას, მაგრამ არა სათანადო წესების დაცვით:
სასუქი ვენახში შეაქვთ უშუალოდ ძირთან — ვაზის შტამბთან ახლოს გაკეთებულ ორმოებში. როგორც
ცნობილია, ვაზი ნიადაგის ფენებში ბადისებრად ავითარებს თავისი ფესვების სისტემას, რომელთა
შემწოვი ზონა, მასზე არსებული ბუსუსებით, მნიშვნელოვნად არის დაცვილებული შტამბიდან.
ამგვარად, ვაზის ძირთან — ერთ ადგილას მიყრილი სასუქი ვაზის მიერ თითქმის გამოუყენებელი რჩება
(შეიძლება იგი ნაწილობრივ მეზობელი ვაზის ფესვების სისტემის მიერ იქნას მხოლოდ გამოყენებული).
ფესვთა სისტემის მიერ სასუქის რაციონალურად გამოყენების მიზნით აუცილებელ საჭიროებას წარ-
მოადგენს ვენახში სასუქის მოთანტუით შეტანა და შეტანის უმაღლვე ჩაბარვა ან ჩათოხნა.

¹⁾ სადევგუსტაციო კომისიის მიერ, რომელშიაც მონაწილეობდნენ აკად. სოლ. ჩოდოვაშვილი, პროფ. კ. მოდებაძე და პროფ. ვ.
ღვალაძე, ოჯალეშის ღვინო თავისი მაღალი ღირსებით გათანაბრებულ იქნა კახეთის — ანაგის ზონის ღვინოებთან.

დ) საქარმილამო ნაკვეთებზე ვენახის რიგებში აღგილი აქვს შუალედი კულტურების თესვას სიმინდის, სოიას და სხვათა სახით. სამეგრელოს პირობებში ვენახის რიგებში გამოთესილი შუალედი კულტურები საკმაოდ მძლავრ განვითარებას აღწევს, რაც ვაზების დაბურვა-დაჩრდილვას იწვევს. ამ უკანასკნელს შედეგად მოსდევს ვენახში აერაციის შენელება, სოკოვან ავადმყოფობათა განვითარება და ყურძნის არანორმალური დაშაქრიანება. გარდა ამისა, შუალედი კულტურები საგრძნობლად აღარბებს ნიადაგს საკვებ ნივთიერებათაგან. ამიტომ კატეგორიულად უნდა აიკრძალოს ვენახის რიგებში ყოველგვარი კულტურის გამოთესვა და მთელ სავეგეტაციო პერიოდში ნიადაგი ხნულ ნასვენ მდგომარეობაში უნდა იმყოფებოდეს.





მალღარიდან ჩამოშვებული ურძნით სავსე გიდელი იკლება გოდორში
Из специальной корзинки, употребляемой во время сбора (местн. назван.— „гидели“)
снятый на маглари виноград сбрасывается в цилиндрическую корзину (местн. назван.—
„годори“)



ქართული
ენების
საქართველო

აჭარის ასსრ

აჭარის ასსრ მდებარეობს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში და გეომორფოლოგიური თავისებურებით იყოფა ორ ურთიერთისაგან მკვეთრად განსხვავებულ მხარედ: ა) შავი ზღვის სანაპიროდ და ბ) აჭარისწყლის ხეობად.

პროფ. ალ. ჯავახიშვილისა და მ. საბაშვილის მიხედვით (4, 5) შავი ზღვის სანაპირო რაიონი შეიძლება გაიყოს ორ ქვერაიონად: ა) დაბალ აკუმულატორულ ზღვის სანაპიროდ და ბ) მთისპირა ზონად.

მთელი ეს მასივი იწყება შავი ზღვის ნაპირიდან და მიიმართება აღმოსავლეთით. ჩრდილოეთიდან მას საზღვრავს გურია-აჭარის ქედი, ხუცუბნის მაღლობებიდან ხინოს მთამდე. აღმოსავლეთით — ქობულეთისა და ჩაქვის ქედები ყოროლის სათავემდე და სამხრეთით — ჩაქვის ქედის მთის ტოტები, რომლებიც მდ. ყოროლის წყალსა და ქოროხის ქვემო წელში მდებარეობს.

აჭარის დაბლობი ზონა შედგება ზღვის პირის და მდინარეების აკუმულატორული ტერასებისაგან და იგი საკმაოდ ვრცელი მასივის სახით გამოსახულია ქობულეთის რაიონში მდ. ჩოლოქსა და კინტრიშს შუა და კახაბერის ზონაში — მდ. ქოროხის ორივე მხარეზე.

ამ დაბლობთა ზონის უმეტესი ნაწილი წარმოადგენს დაქაობებულ მასივებს, ვინაიდან ქარბტენიან პირობებში იმყოფება.

მთისპირა ზონა მრავალი ქედითა და გორაკით არის დაფარული, რომელთა ექსპოზიცია და ზღვის დონიდან დაცილება სხვადასხვაგვარია (50 — 200 მ).

აღმოსავლეთით მდებარე ქედები, რომლებიც შავი ზღვისაკენაა დახრილი, დაღარულია ჩაქვის, კინტრიშისა და ყოროლისწყლის ხეობით.

კინტრიშსა და ჩაქვისწყალს ყოფს ქობულეთის ქედის დასავლეთი ნაწილი, ხოლო ჩაქვისა და ყოროლის ხეობებს — ჩაქვის ქედის ტოტი. ამ ნაწილში მდებარე დაბალი გორაკოვანი ზოლი მოთავსებულია მაღალი ქედების შტოებს შორის ზღვის დონიდან 50 — 100 მეტრის სიმაღლეზე და გაშლილია ზღვას მხარისაკენ. აქედან აღსანიშნავია ჩაქვის, ციხისძირისა და ქობულეთის მთისპირა მასივი (ხუცუბან - კვირიკეს ზონა).

აჭარისწყლის ხეობა მიემართება ხულო-ქედის მიმართულებით მის მთელ სიგრძეზე და სოფ. აჭარისწყალთან მთავრდება.

ჩრდილოეთის მხრიდან კინტრიშის ხეობის ზოლში იგი ისაზღვრება ქობულეთის ქედით, აღმოსავლეთით — არსიანის ქედით, სამხრეთით — შავშეთის ქედით და დასავლეთით ხეობას მარჯვენა მხრიდან გასდევს ჩაქვის ქედი, რომელიც ამ ხეობის ქვემოწელში ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით ვრცელდება.

ხეობის სიმაღლე ზღვის დონიდან თანდათანობით მატულობს: ქედაში იგი აღწევს 275 მეტრს, ხოლო ხულოში — 1000 მეტრს აღემატება.

მდ. აჭარისწყლის სათავე არსიანის ქედიდან იწყება და აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიიმართება. ხეობის ორივე მხარე უმეტეს შემთხვევაში მეტად დაღრმავებულია და ხშირი ფოთლოვანი ტყეებით არის შემოსილი.

ამ ხეობას მრავალი მომკრო მდინარე უერთდება, განსაკუთრებით მის ზემოწელში, რომელთაგან მნიშვნელოვანია მარცხენა მხრიდან სხალთას და მერისის ხეობები, ხოლო მარჯვენა მხრიდან — ჭვანას ხევი.

მდ. აჭარისწყლის და აგრეთვე მისი შენაკადების ხეობებში დავაკებული ადგილები მეტად მკირე მასივების სახით მოიპოვება და ხეობის ნაპირიდანვე მათ ორივე მხარეზე უმეტეს შემთხვევაში ამაღლებული სერები გადმომდგარი, რომელთა ფუძე მეტად დახრილი დაქანებით მდინარის სანაპიროს ებჯინება.

4. მ. რამიშვილი.

ადმინისტრაციული დარაიონების მიხედვით აქარის ასსრ შეიცავს: ქობულეთის, ბათუმის, ქედისა და ხულოს რაიონებს. ქობულეთისა და ბათუმის რაიონები მოთავსებულია შავი ზღვის სანაპირო ზოლში (ქვემო აქარა), ხოლო ქედისა და ხულოს რაიონები — აქარისწყლის ხეობაში (ზემო აქარა).

აქარის ტერიტორიის გეოლოგიური აგებულება და ნიადაგების მოკლე მიმოხილვა

აქარის დაბალი აკუმულატორული ზღვის სანაპირო ზოლის აგებულებაში მონაწილეობს ეოცენის ვულკანოგენური ფორმაციები. ამ ფორმაციებში ფართოდ არის განვითარებული ანდეზიტების ტუფები, მათი ბრექჩიები და შიგა გამფენები.

მდ. კინტრიშის, ჩაქვისა და ყოროლის ხეობების ზონა მთლიანად აგებულია ამგვარი ხასიათის ვულკანოგენური ქანებით, რომელთა შორის უფრო გაბატონებულია ანდეზიტ-ბაზალტების, მათი ტუფებითა და ტუფ-ბრექჩიებით.

აღნიშნული ვულკანოგენური ფორმაცია აღმოსავლეთითაც გრძელდება ჩაქვის ქედის გასწვრივ და კინტრიშის ხევის შუაწელში.

კინტრიშის ხევის ორივე მხარე შედგენილია ამ ფორმაციაში შემავალი ანდეზიტ-ბაზალტებით და მათი ტუფებით.

სოფ. ურთხნალის მიდამოებში გავრცელებულია ქვედა ტუფოგენი ნალექები, რომელთაც ზემოთ ანდეზიტები, ტუფები და კარბონატულ ქანთა კომპლექსი ცვლის.

აქარისწყლის ხეობის აგებულებაში მონაწილეობას ღებულობს ეოცენის დროის ვულკანოგენი და დანალექი ფორმაციები. მაგალითად, აქარისწყლის შესართავიდან ქედამდე ძირითადად წარმოდგენილია ტუფოგენი მასალა ანდეზიტ-ბაზალტებითა და მათი გამფენებისაგან შემდგარი მასალით.

სოფ. მახუნცეთის მიდამოებში ვულკანოგენურ მასალას ტუფოგენი ქვიშაქვები ცვლის. ასეთივე სურათი გრძელდება მთელი ხეობის გასწვრივ.

ქედას ზემოთ, სოფ. ახალდაბა-კვანას მიდამოებში, ეოცენის ქვედა ნაწილია წარმოდგენილი შრეებრივი წყებით, რომელიც ტუფოგენ ქვაქვიშებს და კრისტალურ ტუფებს შეიცავს.

ხეობის ზემო ნაწილში, მდ. სხალთას და მერეთის ქვედა ნაწილში, შუა ეოცენის ტლანქ შრეებრივი მასიური ტუფო-ბრექჩიები და ანდეზიტების გამფენებისაგან შემდგარი წყება განვითარებული.

გეოლოგიური აგებულების ცვალებადობით აქარის ნიადაგები საკმაოდ დიდი სიჭრელით ხასიათდება. პროფ. საბაშვილის შრომის მიხედვით (5) აქარის ზღვის სანაპირო ზოლში ძირითად მასივს წარმოადგენს წითელმიწა ნიადაგები და მათი სუსტად გაფრებული სახესხვაობანი.

წითელმიწა ნიადაგები იწყება ქობულეთიდან და რკინიგზის გადაღმა სამხრეთ ზოლში ვრცელი მასივების სახითაა ჩაწოლილი ციხისძირის, ჩაქვის, აგარის, ბათუმის, ახალშენის, კახაბერის მიდამოებში — ერგემდე. აღნიშნული ნიადაგები განკუთვნილია ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა ფართოდ წარმოებისათვის.

ზღვის სანაპირო ზოლში ალაგ-ალაგ და მდინარეთა ხეობებში (ქოროხის, ყოროლის, ჩაქვისა და სხვ.) არის ალუვიური უკარბონატო ნიადაგების საკმაოდ დიდი მასივები, ხოლო თვით ზღვის სანაპირო ზოლში (რკინიგზის გადაღმა — ზღვისკენ), დაწყებული მდ. ნატანებიდან მახინჯაურის მიმართულებით, დაკავებულია ქვიშიანი და ქვიშიან-ლორლიანი ნიადაგებით.

აქარის ტერიტორიაზე ეწერტიების ნიადაგებს მეორეხარისხოვანი ადგილი უჭირავს და მხოლოდ ქობულეთის რაიონის დაბლობზეა გავრცელებული.

დაბლობი ზონის ნიადაგებიდან აღსანიშნავია ეწერლებიანი ნიადაგები, რომელსაც მდ. ოჩხამურის მარჯვენა მხარის ვაკის ზოლში, რკინიგზის ორივე მხრიდან და კახაბერის მალლობზე, საკმაოდ დიდი სივრცე უჭირავს.

ნექანიკური შედგენილობით ზედა ფენები წარმოადგენს მძიმე თიხნარს, ხოლო ქვედა ფენები-თიხას. ამავე დაბლობ ზონაში ვხვდებით ქაობის ლამიან ნიადაგებს და მეტად თუ ნაკლებად დაქაობებულ ალუვიურ ნიადაგებს.

მდ. ოჩხამურის მარცხენა მხარეზე, რკინიგზის ლიანდაგსა და ზღვის სანაპიროს შორის, ძირითადად გავრცელებულია ქაობის ტორფიანი ნიადაგები. ამავე ზოლში ქობულეთსა და ახალსოფელს შორის (რკინიგზის გადაღმა - ზღვისკენ) ქაობის ტორფიან ნიადაგებთან ერთად გვხვდება ეწერი ნიადაგები.

ზღვის სანაპირო ზოლის გორაკოვან ნაწილში თითქმის მთელ სიგრძეზე — ქობულეთიდან ერგე-
მდე — გავრცელებულია სუსტად განვითარებული, მცირე სისქის, ალავ ჩამორეცხილი ნიადაგების
კომპლექსი, მცირე სისქის ყვითელი მიწითა და ყომრალი ნიადაგებით.

ქ. ბათუმის საგარეუბნო ზონაში, ერგესა და ახალშენის მიმართულებით, მცირე მასივების სახით
გავრცელებულია დელუვიური ნიადაგები.

ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგების მასივები, აჭარის ტერიტორიაზე არ მოიპოვებულა
აჭარისწყლის ხეობის ზოლის ნიადაგები შედარებით ნაკლებად არის შესწავლილი. გიგანტური
პროფ. საბაშვილის სადისერტაციო შრომაში (10) მოკლედ არის დახასიათებული აჭარისწყლის
ხეობის ორივე მხარის მთის ტყიანი ზოლი. აღნიშნულ ზოლში, დასახელებული ავტორის მიხედვით,
გვხვდება მუქი და ღია ყომრალი და მთის ეწერი ნიადაგები.

ხეობის ქვემო ზონაში სქარბობს ყომრალ ნიადაგები, რომელიც თავისი თვისებებით წარმოადგენს
გარდამავალ საფეხურს სუბტროპიკული ზონის წითელ-და ყვითელმიწა ნიადაგებიდან მთის ტყიანი
ზოლის ნიადაგებში. ზღვის დონიდან 1000 — 1200 მეტრის სიმაღლეზე ეს ნიადაგები ფართო მასი-
ვების სახითაა წარმოდგენილი. თავისი მექანიკური შედგენილობით ისინი თიხნარ და მძიმე თიხნარ
სახესხვაობებს წარმოადგენს, რომელთაც უმეტეს შემთხვევაში ხირხატიანობაც ახასიათებს.

ხეობის მეტად დახრილ ფერდობებზე მცირე მასივების სახით გვხვდება სუსტად განვითარებული
ყომრალი ნიადაგების სხვაობანი და ალავ ძლიერ ჩამორეცხილი (ეროდირებული) ნიადაგები.

ღია ყომრალი და მთისპირა ტყიანი ზონის ნიადაგები განვითარებულია დანალექ ჯიშებზე,
ხასიათდება მცირე სისქით, ლორღიანობით და გაეწრების მკვეთრი გამოხატულებით.

ბ. კლოპოტოვსკის მიხედვით (11), დასახელებული ნიადაგები ზემო აჭარაში ლითოგენური
ხასიათისაა და შეიძლება მიეკუთვნოს სუსტ ეწეროვან ნიადაგებს. მათ შორის სქარბობს ძლიერ ხირხა-
ტიანი, გამოტუტული, მცირე ჰუმუსიანი, მცირე სიღრმის, ფხვიერი და სხვადასხვაგვარად შეფერილი
სახესხვაობანი.

აჭარისწყლისა და მისი შენაკადების ხეობათა სანაპირო ზოლში ვიწრო მასივის სახით წარმო-
დგენილია აგრეთვე ალუვიური ნიადაგები.

აჭარისწყლის ხეობათა კალთების კონფიგურაცია, მათი ძლიერად დაქანების გამო, უმეტეს შემთხვე-
ვაში საშუალებას არ იძლევა სას.-სამეურნეო კულტურათა ფართოდ წარმოებისათვის; მხოლოდ ნაკ-
ლებად დაქანებული ფართობებით ყომრალი ნიადაგები გამოყენებულია სიმინდის, თამბაქოსა და ხეხილის
კულტურათა საწარმოებლად. ამავე ზონაში მცირე მასივების სახით ვხვდებით დაბლარი ტიპის მვე-
ნახეობას. ნიადაგის სიღრმეც ცვალებადობას განიცდის დაქანებისა და სას.-სამეურნეო კულტურა-
თა ხასიათის მიხედვით.

აჭარის ტერიტორიის აგროკლიმატური დახასიათება

აჭარის ასრ ტერიტორია საქართველოს ტენიან-სუბტროპიკულ ზონაში მდებარეობს. მიუხე-
დავად ზღვასთან სიახლოვისა, ამ მხარის ცალკეული ზონების მიკროკლიმატი ურთიერთისაგან მკვეთ-
რად განსხვავდება. ასე, მაგალითად, ქობულეთის რაიონში (სოფ. ალამბარი) წლიური ნალექების
საშუალო ჯამი 2292 მმ-ს აღწევს; მის მეზობლად მდებარე ქ. ბათუმის ზონაში ატმოსფერული ნა-
ლექები 3000 მმ-მდე აღის; აჭარისწყლის ხეობაში (ქედის რაიონში) ბათუმიდან 40-ოდე კილომეტ-
რის დაცილებით ატმოსფერული ნალექების საშუალო ჯამი 1570 მმ-ს არ სცილდება, ხოლო აჭა-
რისწყლის ხეობის ზემოწელში (ხულოში) იგი საგრძნობლად მცირდება და წლიურად 1245 მმ-ს
არ აღემატება. ასევე ითქმის ცალკეული მიკროუბნების მიხედვით აქტიურ ტემპერატურათა ჯამზე
და ტენით უზრუნველყოფის კოეფიციენტის სიდიდეზე.

ატმოსფერული ნალექების სიუხვის გამო მევენახეობის წარმოება აჭარის ტერიტორიაზე დასაშვებია
მხოლოდ მის მთისპირა ზონაში, სადაც ნაკვეთების საგრძნობლად დახრილობისა და დახვეების გამო
მოქარბებული ნალექი ვერ ჩადის ნიადაგის ფენებში და მისი მომეტებული ნაწილი ნაკვეთს ნიაღვრის
სახით სცილდება.

ცალკეული რაიონების მიხედვით აჭარის ასრ აგროკლიმატი შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდება:

1. ქობულეთის რაიონი. როგორც მე-3 ცხრილიდანაც ნათლად ჩანს, ამ ზონის ტემპერა-
ტურული რეჟიმი საკმაოდ მაღალია.

სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 4279⁰-მდე აღწევს; მაგრამ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ვაზის ყვავილობის პერიოდში (მაის-ივნისი) საშუალო ტემპერატურა 15 — 18⁰-ს არ აღემატება, რის გამოც ქობულეთის რაიონში ვაზის ყვავილობის დაწყება თითქმის ერთი კვირით გვიანდება.

აქტიურ ტემპერატურათა ჯამი ხუთი თვის სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში სრულიად საკმარისია როგორც ვეგეტატიური ნაწილების დასასრულებლად, ისე ყურძნის ნორმალურად დასასრულებლად.

რაიონი ხასიათდება ატმოსფერული ნალექების სიუხვით. იგი მატულობს ივლისში, ხოლო აგვისტოში, და განსაკუთრებით სექტემბერში, საგრძნობლად დიდდება. ამას ადასტურებს სექტემბრის ტენის ბალანსი რომელიც აღწევს 163-მდე, და აქედან გამომდინარე ტენით უზრუნველყოფის კოეფიციენტი (2.5).

ზღვის სანაპირო ზოლში ტენის ბალანსი კიდევ უფრო მეტია და იგი 3-ს აღემატება, განსაკუთრებით ბათუმის სასაზღვრო ზონასთან.

ამ მაჩვენებლების მიხედვით ხარისხოვანი მეღვინეობის წარმოება ამ რაიონში შეუძლებელია; დასაშვებია მხოლოდ ორდინარული ღვინოების და განსაკუთრებით სუფრის ყურძნის ჯიშების ფართოდ განვითარება.

2. ქედის რაიონს მევენახეობის განვითარების მხრივ უკეთესი აგროკლიმატური პირობები მოეპოვება. ეს ზონა ზღვიდან საკმაოდ დაცილებულია. მისი სიმაღლე ზღვის დონიდან 275 მეტრამდე აღწევს. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი ხუთი თვის სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში (V — IX)

აქარის ახსრ რაიონების აგროკლიმატური მაჩვენებლები

ცხრილი 3

რაიონები	ტ ე მ პ ე რ ა ტ უ რ ა					ნ ა ლ ე ქ ე ბ ი					ტენის სრული ბალანსი					ტენით უზრუნველყოფის კოეფიციენტი				
	V	VI	VII	VIII	IX	V	VI	VII	VIII	IX	V	VI	VII	VIII	IX	V	VI	VII	VIII	IX
ქობულეთის	15.2	18.5	20.8	21.2	20.1	85	105	193	212	274	3	1	38	51	163	1.0	1.0	1.2	1.3	2.5
ქედის	15.9	18.6	21.2	21.7	18.5	64	85	92	80	184	-22	-17	-27	-58	96	0.7	0.8	0.8	0.6	1.9
ხულოს	13.3	15.7	18.1	18.8	15.8	87	90	70	68	105	12	3	-14	-28	48	1.2	1.0	0.8	0.7	1.8

2936⁰-მდეა, ხოლო მთელ სავეგეტაციო პერიოდში 4000⁰-ს აღემატება. ვაზის ყვავილობის პერიოდში საშუალო ტემპერატურა ნორმალურს უახლოვდება, რის გამოც ქობულეთის რაიონთან შედარებით, ქედაში ყვავილობა თითქმის ერთი კვირით ადრე იწყება (ივნისის პირველი დეკადაში).

ატმოსფერული ნალექების საშუალო წლიური ჯამი 1567 მმ-მდე აღწევს. მაისიდან აგვისტომდე (ჩათვლით) რაიონი საგრძნობი გვალვიანობით ხასიათდება. ტენის ბალანსი მაისში უარყოფითს გვიჩვენებს (- 22); ასევე უარყოფითია იგი ივნისში (- 17), ივლისსა (- 27) და აგვისტოში (- 58). ტენით უზრუნველყოფის კოეფიციენტიც აღნიშნულ თვეებში მეტად შემცირებულია, განსაკუთრებით კი აგვისტოში (0.6). სექტემბერში ატმოსფერული ნალექების მომატებასთან დაკავშირებით, დიდდება ტენის ბალანსი ვენახში (96) და ტენის უზრუნველყოფის კოეფიციენტი 1.9-ს აღწევს.

ხარისხოვანი მეღვინეობის წარმოების თვალსაზრისით ქედის რაიონში აუცილებელია ვენახების გაშენება წარმოებდეს სამხრეთით დახრილ ფერდობ ადგილებზე, სადაც სითბოს ჯამი შედარებით მომეტებულია და ნაკვეთთა დახრილობის გამო ნიადაგში არსებული ტენიც საგრძნობლად შემცირებული.

3. ხულოს რაიონი (ცენტრი — ხულო) ასიოდე კილომეტრით არის დაცილებული შავი ზღვიდან და ზღვის დონიდან მისი სიმაღლე 1000 მეტრზე მეტით განისაზღვრება. ამის გამო ამ რაიონის აგროკლიმატური მაჩვენებლები ზღვის სანაპირო ზოლის კლიმატისაგან მკვეთრად განსხვავდება.

ტემპერატურული რეჟიმი ხუთი თვის სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში (V — IX) 2501⁰-მდე აღწევს. მაისი და ივნისი ტემპერატურათა მცირე ჯამით ხასიათდება (V — 13.3⁰ და VI — 15.7⁰). ტემპერატურა შემდეგ თვეებში მატულობს, მაგრამ არა დიდად; ივლისში იგი აღწევს 18.1⁰-ს, აგვისტოში — 18.8⁰-ს, ხოლო სექტემბერში ისევ კლებულობს და დადის 15.8⁰-მდე.

ქედის რაიონთან შედარებით ვაზის ყვავილობა 4 — 5 დღით დაგვიანებით იწყება და გრძელდება 15 — 20 დღემდე, რაც გამოწვეულია იენისის თვეში ტემპერატურული რეჟიმის სიმცირით (15.7°).

ატმოსფერული ნალექების წლიური ჯამი 1245 მმ-დე აღწევს. მაისისა და იენისის თვეებში ტენის ბალანსი ვენახში დადებითს გვიჩვენებს (V — 12-ს და იენისში — 3-ს); ივლის — აგვისტოს თვეებში იგი საგრძნობლად მცირდება და უარყოფითია (VII-ში — 14 და VIII-ში — 28); ხოლო სექტემბერში ისევ დადებითია (48). ამის მიხედვით ტენით უზრუნველყოფის კოეფიციენტი მცირეა: მაისში იგი აღწევს 1.2-ს, იენისში — 1.0-ს, ივლისში — 0.8-ს, აგვისტოში — 0.7-ს და სექტემბერში — 1.8-ს.

როგორც ამ ციფრობრივი მასალებიდან ჩანს, რაიონს არ ახასიათებს მოქარბებული ტენიანობა, მაგრამ ტემპერატურული რეჟიმის სიმცირის გამო გვიან მწიფობის უნარის მქონე ჯიშების (კოლიკოურის, ციციკის) ყურძნის სრული დამწიფება მეტად ძნელდება. ამის გამო მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული საადრეო ყურძნის ჯიშების ფართოდ დანერგვა, განსაკუთრებით მისი შუა ზონის ზემოდ და ისიც ძირითადად სამხრეთისაკენ დაბრუნდნად ფერდობებზე.

აჭარის მევენახეობის თანამედროვე მდგომარეობა

აჭარის ასსრ სთფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით დაბლარი ვენახების საერთო ფართობი 1945 წლისათვის შეადგენდა 160 ჰექტარს, ხოლო ამერიკული ვაზის სადედე — 5.3 ჰექტარს.

✓ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აჭარაში, განსაკუთრებით მის ზემო მხარეში, მოსახლეობას XVII საუკუნის დამდეგიდან მაჰმადიანური სარწმუნოების გავლენით აკრძალული ჰქონდა ღვინისა და საერთოდ სპირტული სასმელების სმა, ამის გამო მევენახეობა-მეღვინეობის დარგის წარმოება ამ მხარეში საუკუნეთა მანძილზე შეფერხებული იყო.

მევენახეობა-მეღვინეობის აღდგენა-განვითარებისათვის აქ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან შეიქმნა სათანადო პირობები. აჭარის ხელმძღვანელი ორგანოების მიერ გადადგმულ იქნა პრაქტიკული ნაბიჯები დაბლარი მევენახეობის განსავითარებლად აჭარის წყლის ხეობაში და კობულეთის მთისპირა ზონაში. ამის შედეგად სულ მოკლე ხანში მრავალ ადგილას ვენახების საკმაოდ მოზრდილი მასივები გაშენდა.

✓ 1934 წლამდე ამ მხარეში ერთი ჰექტარი დაბლარი ვენახიც არ მოიპოვებოდა, 1945 წლისათვის კი 160 ჰექტარი დაბლარი ვენახი იყო გაშენებული. ამრიგად, დაბლარი მევენახეობის წარმოებას აჭარის რაიონებში მეტად მცირე ხნის ისტორია აქვს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ადგილობრივი მოსახლეობა დიდი ხალისით, სიყვარულითა და დაკვირვებით ეკიდება ვაზის მოვლა-მოშენების საქმეს.

პირველი საცდელ-საჩვენებელი ნაკვეთი აჭარაში მოეწყო 1934 წელს სოფ. ქედაში ერთ ჰექტარამდე ფართობზე. გაშენებულ იქნა როგორც ადგილობრივი, ისე შემოტანილი ვაზის ჯიშები. ამ ნაკვეთიდან მიღებულმა პროდუქციამ და აგრეთვე ვაზების ზრდა-განვითარებამ ცხადყო აჭარაში მევენახეობის დარგის წარმოების შესაძლებლობა.

აჭარის დაბლობი ზონის ტერიტორია (ზღვის სანაპირო ზოლი) ნიადაგის წყლის სიახლოვისა და ატმოსფერული ნალექების სიუხვის გამო, გამოუსადეგარია მევენახეობის ფართოდ წარმოებისათვის. ამ ზონაში თითო-ორიოდა ძირის სახით გაშენებული ვაზები იძლევა მდარე ღირსების მასალას უბრალო ღვინოების დასამზადებლად.

მევენახეობის საწარმოებლად მნიშვნელოვანია აჭარის ტერიტორიის მთისპირა ზონა და იგი დღეს სწორედ ამ ნაწილში ვითარდება.

დაბლარი ვენახების ძირითადი მასივი შედგება იმერული ჯიში კოლიკოურისაგან (90 — 95 %). გარდა კოლიკოურისა, ქედის რაიონში საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული ადგილობრივი ჯიში საწური და ზოგ ადგილას გურიის ჯიში — ჩხავერი.

კოლიკოური ამ მხარეში ნორმალური ზრდა-განვითარებით ხასიათდება და ის მთელ რიგ მიკროუბნებში იძლევა საკმაოდ ხარისხივან მასალას ორდინარული ტიპის ღვინოების დასამზადებლად. საწური წითელყურძნიანი ჯიშია; მას დიდი მოსავლიანობა და წვნის უხვი გამოსავლიანობა ახასიათებს; ის საკმაოდ კარგი ხარისხის მასალას იძლევა ადგილობრივი მნიშვნელობის ორდინარული ტიპის ღვინოების დასამზადებლად.

✓ აბორიგენული ვაზის ჯიშთა მალღარები აქარის ტერიტორიაზე უფრო ფართოდ არის წარმოდგენილი, ვიდრე საქართველოს სხვა რაიონებში. 12 წლის მანძილზე (1932 — 1944 წ. წ.) ჩვენ მიერ წარმოებული ექსპედიციური და ზოგიერთ წელს სტაციონარული მუშაობის შედეგად ნაპოვნი და ამპელოგრაფიული მეთოდებით შესწავლილია 40 ადგილობრივი ვაზის ჯიშის.

ადგილობრივ ჯიშთა სიმრავლე ამ მხარეში, ჩვენის აზრით, დაბლარი ვენახების გვიან დასახლებით და, ამის შედეგად, სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის დაგვიანებით გავრცელებით აიხსნება.

ადგილობრივი ვაზის ჯიშთა გავრცელების საზღვარი აქარაში ზღვის დონიდან 2130 მ სიმაღლეზე აღწევს. ასე, მაგალითად, ხულოს რაიონში, წიწვიან ტყეთა მასივში, ხშირად გვხვდება ადგილობრივ ჯიშთა მალღარები, რომელთა ზრდა-განვითარება და მოსავლიანობა დამაკმაყოფილებელია.

ამ უკანასკნელ წლებში ფართოდ გავრცელდა ვაზის დაავადებანი და მავნებლები, რის შედეგადაც მალღარების საგრძნობი ნაწილი დაზიანდა, ნაწილი კი სრულდებით დაიღუპა. ამას ხელი შეუწყო კიდევ იმ გარემოებამ, რომ მათი მოვლა-მოშენება, ვაზის დიდ სიმაღლეზე განვითარების შედეგად, მეტად გაძნელებულია. ამის გამო, არსებული მალღარები მხოლოდ შემთხვევით, და წლის ამინდის ხელშემწყობ პირობებში, იძლევა მოსავალს.)

ცალკე რაიონების მიხედვით მევენახეობის წარმოება აქარაში შემდეგ სურათს იძლევა:

1. ქობულეთის რაიონი. დაბლარი ვენახების საერთო ფართობი 1945 წლისათვის შეადგენდა 3.8 ჰექტარს, ამერიკული ვაზის სადედე — 1.0 ჰექტარს.

რაიონის ძირითადი მასივი, წითელმიწა ნიადაგებისა და მათი გაფრებული სახესხვაობის სახით, განკუთვნილია ჩაისა და სუბტროპიკულ მცენარეთა ფართოდ წარმოებისათვის. მაგრამ რაიონის მთისპირა ზონა, განსაკუთრებით გურიის მოსაზღვრე ტერიტორია, საკმაოდ დიდი მასივების სახით, სადაც ციტრუსების განვითარებისათვის არახელსაყრელი ეკოლოგიური პირობებია, ქმნის შესაძლებლობას ვაზის კულტურის ფართოდ დანერგვისათვის. ამის დამადასტურებელია ამ ზონაში არსებული დაბლარი ვენახების მცირე მასივები და საკმაოდ დიდი რაოდენობით შერჩენილი ადგილობრივი ვაზის ჯიშთა მალღარები, რომელიც ხასიათდება ნორმალური ზრდა-განვითარებითა და მოსავლიანობით და საკმაოდ ხარისხოვან პროდუქციას იძლევა.

ქობულეთის მთისპირა ზონაში მევენახეობის წარმოების თვალსაზრისით აღსანიშნავია ხუცუბან-კვირიკეს, ქაქუთ-აქის და მუხაესტატე-ალამბარის ზონები, რომლებსაც აქვთ შემდეგი მიკროუბნები: ჩაქვისთავი, ქაქუთი, აჭი, მუხაესტატე, ხუცუბანი, სამება, კვირიკე, ჩაისუბანი, ხალა, ალამბარი, სახალვაშო და აქისთავი.

რაიონში არსებული დაბლარი ვენახები მხოლოდ ცოლიკოურის ჯიშისაგან შედგება. ატმოსფერული ნალექების სიუხვე (2292 მმ. წლიურად), ჰიდროთერმული კოეფიციენტის სწრაფი ზრდა ყურძნის მწიფობის პერიოდში (2.5 — სექტემბერში) და ნიადაგში კალციუმის კარბონატების უქონლობა არ იძლევა შესაძლებლობას ხარისხოვანი მეღვინეობის წარმოებისათვის. ამ მხარის პროდუქცია შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობის ორდინარული ტიპის ღვინოების დასამზადებლად.

მევენახეობის შემდგომ განვითარებას ქობულეთის რაიონში, ჩვენის აზრით, საფუძვლად უნდა დაედვას ძირითადად სუფრის ყურძნის ჯიშების ფართოდ წარმოება, რომ მან ყურძნის პროდუქციით უზრუნველყოს როგორც ადგილობრივი მოსახლეობის, ისე ამ რაიონში არსებული მრავალი სანატორიუმისა და დასასვენებელი სახლის მოთხოვნილებანი. ამის საფუძველი დასახელებულ რაიონში ჩვენ უკვე მოგვეპოვეთ. ადგილობრივი თეთრყურძნიანი ვაზის ჯიშის კლარჯული, რომელიც სუფრის ყურძნის მანძილზე ამ მხარეში აღზრდილი და აკლიმატიზებულია, მეტად ძვირფას სუფრის ყურძნის ჯიშს წარმოადგენს; მასში მოცემულია ყველა ის დადებითი თვისება (გარეგნული სილამაზე, გემოვნებითი თვისებები, შენახვის უნარიანობა, ტრანსპორტაბელობა, უხვი მოსავლიანობა, ვაზის მძლავრიზრდა-განვითარება), რაც მაღალხარისხოვანი თეთრყურძნიანი სუფრის ყურძნის ჯიშს უნდა ახასიათებდეს.

2. ბათუმის რაიონი. დაბლარი ვენახების საერთო ფართობი 1945 წლისათვის შეადგენდა 9.8 ჰექტარს, ხოლო ამერიკული ვაზის სადედე — 2.3 ჰექტარს.

დაბლარი ვენახები ბათუმის რაიონში მეტად მცირე ნაკვეთებად არის გაშენებული მის მთისპირა ზონაში; 0.5 ჰექტარამდე იგი წარმოდგენილია აგრეთვე კახაბერის ტერიტორიაზე.

ადგილობრივი შემადგენლობის მიხედვით გვხვდება მხოლოდ იმერული ჯიშის ცოლიკოური, რომელიც ამ ზონაში ღვინისათვის უფრო მდარე ღირსების პროდუქციას იძლევა, ვიდრე ქობულეთის რაი-



საწურავის რთველი აჭარაში
Сбор сорта Сацурави в Аджарии

ონში. ამის მთავარი მიზეზია მეტად უხვი ნალექიანობა, რომელიც ამ რაიონს ახასიათებს მთელი წლის განმავლობაში და ჰიდროთერმული კოეფიციენტის სწრაფი ზრდა ყურძნის შეთვალეებისა და მწიფობის პერიოდში, როდესაც ეს უკანასკნელი 3 — 3.5-მდე აღწევს. არსებულ დაბლარი ვაზის ნაგებებს მოსახლეობა გულდასმით უვლის და ყველა სახის სამუშაო ოპერაციას დროულად ატარებს.

უხვი ნალექიანობისა და სითბოს გადიდებული ჯამის შედეგად ფართოდ ვრცელდება სუფრის ავადმყოფობანი, განსაკუთრებით კრაქი (მილდიუ), რის გამოც ვენახი 7 — 8-ჯერ წამლობის საჭიროებას განიცდის. ვაზის სანერგეში (კახაბერის ტერიტორიაზე) ბორღოს ხსნარით წამლობას სავეგეტაციო პერიოდის 5 თვის განმავლობაში 25 — 30-ჯერ ატარებენ.

მსგავსად ქობულეთის რაიონისა, ამ მხარეში ვენახების გაშენებას საფუძვლად უნდა დაედვას სუფრის ყურძნის წარმოება, რომლისაგან მიღებული პროდუქცია უზრუნველყოფს როგორც ქალაქის მოსახლეობის, ისე ამ რაიონში არსებული სანატორიუმების მოთხოვნილებას.

ამ მიზნით სავენახედ გამოყოფილ ტერიტორიაზე ფართოდ უნდა იქნეს დანერგილი ადგილობრივი სუფრის ყურძნის ჯიში კლარჯული ნამყენების სახით, ფილოქსერის გამძლე საძირებზე.

3. ქედის რაიონი. მევენახეობის წარმოების თვალსაზრისით აქარაში განსაკუთრებით აღსანიშნავია აქარისწყლის ხეობაში მდებარე ქედის მევენახეობის ზონა.

დასახლებულ რაიონში ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა წარმოებისათვის ხელშემწყობი ეკოლოგიური პირობები არ არსებობს. დაბლარი მევენახეობის დანერგვამდე ქედის რაიონში ძირითადად სიმინდისა და თამბაქოს კულტურათა წარმოება და აგრეთვე მეცხოველეობა შეადგენდა.

1934 წელს ქედის რაიონის ცენტრალურ ტერიტორიაზე გაშენებულმა საკოლექციო ნაკვეთმა გახადა ამ მხარეში მევენახეობის დარგის ფართოდ დანერგვის შესაძლებლობა, რის შედეგადაც დაბლარი ვენახების საერთო ფართობი ამჟამად 105 ჰექტრამდე აღწევს.

როგორც ზემოდ გვქონდა აღნიშნული, აქარის რაიონების, კერძოდ ქედის ზონის ნიადაგები არ შეიცავს კალციუმის კარბონატების საჭირო რაოდენობას, რაც აუცილებელია ვაზის პროდუქციის ხარისხობრივი გაუმჯობესებისათვის. აქაური ნიადაგები ძირითადად წარმოდგენილია ყოშრალი და მთის ეწერი ტიპის სახეობებით. მაგრამ აქტიურ ტემპერატურათა ნორმალური ჯამი ხუთი თვის სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში (V — IX - 2935⁰), ატმოსფერული ნალექების შედარებითი სიმცირე და განსაკუთრებით ყურძნის მწიფობის პერიოდში ჰიდროთერმული კოეფიციენტის მცირე რაოდენობა (1.9) საშუალებას იძლევა საკმაოდ ხარისხოვანი პროდუქციის მიღებისას. ამის დამადასტურებელია ამ მხარეში გავრცელებული ვენახის მასივები ხეობის როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა ზოლში. ამ ვენახებიდან მიღებული პროდუქცია იძლევა საკმაოდ შინაარსიან, ადგილობრივი მნიშვნელობის როგორც თეთრ, ისე წითელ ღვინოებს (განსაკუთრებით თეთრს).

დაბლარი ვენახები ძირითადად წარმოდგენილია იმერული ჯიშით — ცოლიკოურით, ხოლო ადგილობრივი ჯიშებიდან გავრცელებულია საწური; მცირე ნარგავების სახით გვხვდება აგრეთვე ჯიში ჩხავერი.

ადგილობრივი ვაზის ჯიშთა მალღარები ქედის რაიონში ფართოდ არის წარმოდგენილი. იგი გავრცელებულია აქარისწყლის ხეობის ორივე მხარეზე, აგრეთვე მისი შენაკადების ხეობებში.

ადგილობრივი ჯიშებიდან ყურადღებას იპყრობს, როგორც ხარისხოვანი პროდუქციის მომცემი, ბროლია, ხოფათური, ლივანურა, ცხენისძუძუ, მეკრენჩხი, ბუტკო და სხვ. მალღარები, მეტად დიდ სიმაღლეზე განვითარების გამო, მოკლებულია ყოველგვარ მოვლას და მხოლოდ ამა თუ იმ წლის ამინდის ხელსაყრელ პირობებში იძლევა დამაკმაყოფილებელ მოსავალს.

მევენახეობის წარმოების თვალსაზრისით აღნიშნულ რაიონში საყურადღებოა: ქედა - ზვარეს, დანდალო - ცხმორისის, ქედა - პირველი მაისისა და მერისის ზონები. ძირითადად მათი მიკრორაიონებია: აქარისწყლის ხეობაში — პირველი მაისი, აგარა, ზენდიდი, ქედა, ზესოფელი, ვაიო, ზვარე, ცხმორისი, დანდალო; მერისის ხეობაში — ალიქოღლები, სიხალიძე, მეძიბნა.

დასახლებული მიკრორაიონებიდან ვაზის კულტურის განვითარებისათვის ამჟამად განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სოფ. ზენდიდის, ქედას, ზესოფელის, ვაიოს, ზვარესა და ცხმორისის ზონები.

4. ხულოს რაიონი. დაბლარი ვენახების საერთო ფართობი 1945 წლისათვის შეადგენდა 40.4 ჰ-ს. აღნიშნული რაიონი მდებარეობს აქარისწყლის ხეობის ზემო წელში, ზღვის დონიდან 1100 მეტრის სიმაღლეზე (ხულო).

ამ მხარეშიაც, მსგავსად ქედის რაიონისა, ნიადაგური და კლიმატური პირობების შეუფერებლობის გამო, ჩაისა და ციტრუსოვან კულტურათა წარმოება შეუძლებელია. სოფლის მეურნეობის კულტურე-

ბიდან ამჟამად ძირითადად გავრცელებულია სიმიინდი და თამბაქო; ფართოდ არის გავრცელებული აგრეთვე მეცხოველეობა.

მევენახეობის განვითარების მიზნით ადგილობრივ სამიწათმომქმედო ორგანოებს 1929-30 წელს გაუშენებიათ 0.5 ჰექტარამდე დაბლარი ვენახი 1150 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან (თვით რაიონულ ცენტრში); დაუნერგიათ რამდენიმე იმერული ჯიში, რომელთა შორის ძირითად ნარგავს კოლიკოური წარმოადგენდა.

დაკვირვებამ ცხადყო, რომ, მიუხედავად ვაზების ნორმალურად განვითარებისა, კოლიკოურის ყურძენმა ვერც ერთ წელიწადს ვერ მოასწრო დამწიფება და, ამრიგად, პირველმა კლამ სათანადო შედეგი ვერ გამოიღო.

მევენახეობის დარგის შემდგომი გავრცელება (დაბლარად) ძირითადად 1936 — 37 წლებიდან იწყება. არსებული დაბლარი ვენახების ნორმალურმა განვითარებამ და მიღებული პროდუქციის დამაკმაყოფილებელმა ხარისხმა მისცა ადგილობრივ მოსახლეობას სტიმული უფრო ფართოდ მოეკიდა ხელი მევენახეობის წარმოებისათვის.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, აჭარისწყლის ხეობისა და კერძოდ ხულოს რაიონის ნიადაგები ძირითადად წარმოადგენს მუქი ან ღია ყომრალი და მთის ეწერი ტიპის სახესხვაობებს. მათში კალციუმის კარბონატები არ მოიპოვება და ამავე დროს, ნიადაგის ზედაპირის ჩამორეცხვის შედეგად, ის საკმაოდ გაღარიბებულია საკვებ ნივთიერებათაგან. მაგრამ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დასახელებულ რაიონში ატმოსფერული ნალექების ჯამი საგრძნობლად შემცირებულია (წლიური საშუალო ნალექების ნობა 1245 მმ-ს შეადგენს), ტენის ბალანსი ივლის-აგვისტოს თვეებში უარყოფითს გვიჩვენებს (VII-ში — 14 და VIII-ში — 28). ყურძნის მწიფობის პერიოდში ჰიდროთერმიული კოეფიციენტი მკვეთრად არ იზრდება და იგი სექტემბრის თვეში 1.8 ს არ აღემატება. ტემპერატურული რეჟიმი თითქმის ნორმალურია, რაიონის ქვემო წელში კი სავსებით ნორმალური: ხუთი თვის სავსეგეტაციო პერიოდის განმავლობაში (V — IX) იგი ფერდობებზე 2800⁰-მდე აღწევს. ყოველივე ეს საშუალებას იძლევა მიღებულ იქნას ამ რაიონის მხოლოდ გარკვეულ მიკროუბნებში საკმაოდ ხარისხოვანი თეთრი ღვინოები. ამის დამადასტურებელია რაიონის ვენახებიდან უკანასკნელ წლებში დამზადებული ღვინოები; რომელნიც ზემოთ ჩამოთვლილი თვისებათა მატარებელია.

ადგილობრივ ჯიშთა მალღარები უფრო ფართოდ არის წარმოდგენილი ხულოს რაიონში, ვიდრე ქედაში. მარტო სოფ. ჩაოში ჩვენ მიერ 15 ვაზის ჯიშია აღრიცხული და შესწავლილი.

მალღარები გავრცელებულია როგორც მდ. აჭარისწყლის ხეობის ორივე მხარეზე (განსაკუთრებით კი მის მარცხენა ზოლში), ისე ამ მდინარის შენაკადთა ხეობებშიაც.

ხულოს რაიონში გავრცელებული ადგილობრივი ჯიშის ვაზებიდან ყურადღებას იპყრობს: ჯაფახეთურა, ქოდი, თეთრა, ცენისძუძუ, შავშურა, ქორქაულა, კოლოში, ღვანურა, აღმურა და სხვ.

მალღარი ვაზები მიშვებულია კოცხალ საყრდენებზე და დიდ სიმაღლეზე განვითარების გამო სათანადო მოვლას მოკლებულია.


დაბლარი მევენახეობის წარმოების თვალსაზრისით, სადაც ამჟამად ვენახებია გაშენებული, აღსანიშნავია: ახალდაბა - ჭვანას, ჯაბნიძე - უჩამბას, შუახევი - სხეფის, ფურთიო - სხალთას, ყინჩაურა - წაბლანას, და აღმე - ხულოს ზონები, რომლებსაც შემდეგი მიკროუბნები მოეპოვება: შუახევი, დაბაძველი, სხეფი, ჭვანა, ღუსჭვანა, ტაგიძეები, ახალდაბა, ვარჯანაული, ცინარიძე, სამოლეთი, ჯაბნიძეები, ნიგაზეული, ფურთიო, ნენია, ფაჩხა, ყინჩაურა, ჭვრი, წაბლანა, აღმე და დეკანაშვილები.

ვენახის მცირე მასივი (0.3 ჰექტ.) დაბლარად გაშენებულია აგრეთვე თურქეთის სასაზღვრო მაღალ მთიან ზონაში — ხიხაძირში. აქ დანერგულია იმერული ჯიში კოლიკოური. ვფიქრობთ, რომ აღნიშნული ჯიში, როგორც გვიან მოწვევის უნარის მქონე, ამ ზონაში სასურველ შედეგს ვერ მოგვცემს.

დასახელებული სოფლებიდან მევენახეობის ფართოდ წარმოების თვალსაზრისით შეიძლება გამოიყოს: შუახევის, დაბაძველის, ღუსჭვანას, ახალდაბას, ფურთიოს, ნენიას, ყინჩაურის, ჭვრის და აღმეს მიკროუბნები.

არსებული დაბლარი ვენახები ხულოს რაიონში წარმოდგენილია იმერული ჯიში — კოლიკოურის სახით. ვენახები დაყრდნობილია სარგებზე და ფორმირებული ქართული წესით.

დაკვირვება ცხადყოფს, რომ კოლიკოური, როგორც გვიან მოწვევის უნარის მქონე ხულოს რაიონის ზემო ზონაში სასურველ ეფექტს ვერ იძლევა. სხალთის ხეობაში და აღმე - ხულოს მიდამოებში დამზადებულ კოლიკოურის ღვინოს მცირე სხეული და მომეტებული მყავიანობა ახასიათებს.



ვზის საკლდეკომ ნაკვეთის სერობთ ხედი ქედში (აჰაზა)
Общий вид коллекционного виноградного участка в Кеди (Алжария)



საქართველოს
მეცნიერებათა



საწურავის რთველი ვაზის საკოლექციო ნაკვეთში—ქედაში (აჭარა)
Сбор сорта Сацурави на коллекционном участке—в Кеди (Аджария)

ჩვენის აზრით, კოლიკოურის გავრცელების არეალი უნდა განისაზღვროს მხოლოდ რაიონის ქვემო ზონით, სოფ. შუახევისა და ფურთიოს ჩათვლით. რაიონის ზემო ზონაში მიზანშეწონილად მიგვაჩნია ადრე მოწვევის უნარის მქონე თეთრი ჯიშების დანერგვა. ვფიქრობთ, რომ ფრანგული ჯიში ალიგოტე, რომელიც ფართო გავრცელებას პოულობს საქართველოს მთიან რაიონებში, ხულოს რაიონის ზემო ნაწილშიაც დადებით შედეგებს მოგვცემს. ყოველ შემთხვევაში ამ საკითხს შემდგომი შესწავლა ესაჭიროება.

ადგილობრივი ვაზის ჯიშებიდან ფართოდ შეიძლება დაინერგოს, როგორც ადრე მოწვევის უნარიანი და ხარისხოვანი პროდუქციის მომცემი, თეთრყურძნიანი ჯიში ჯაგაბეთურა და წითლყურძნიანი ჯიში კოდი. მათი მალღარები ხულოს ირგვლივ მდებარე სოფლებში ამჟამად საკმაო რაოდენობით მოიპოვება.





დასკვნები

როგორც ზემოთ გვქონდა მოხსენებული, გურიაში, სამეგრელოსა და აჭარაში ამჟამად ფართოდ არის დანერგილი ჩაისა და სუბტროპიკულ მცენარეთა წარმოება, რამაც არსებითად შესცვალა ამ მხარეთა ძველი სოფლის მეურნეობის სახე და ისინი ძვირფას სუბტროპიკულ კულტურათა მხარედ გადააქცია.

უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებულ რაიონებში და მეტადრე მათ შთისპირა ზონაში მრავლად მოიპოვება კირნარ-ჩონჩხიანი ნიადაგების საკმაოდ დიდი მასივები, რომელზედაც ჩაის კულტურა ვერ ხარობს; ზოგიერთ რაიონში კლიმატური პირობებიც არახელშემწყობია სუბტროპიკულ მცენარეთა წარმოებისათვის. სწორედ ასეთ მიკრორაიონებში ვენახების ფართო მასივებად გაშენება ყოველმხრივ უკეთეს პირობებს შეუქმნის კალმეურნეობებს მკვეთრად გაზარდონ თავიანთი შემოსავალი ამ ძვირფასი კულტურის ფართოდ დანერგვით, მით უმეტეს, რომ ადგილობრივი მოსახლეობა დიდად არის დაინტერესებული მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებით და მის მოვლა-მოშენებას სიყვარულითა და ხალისით ეცილება.

მევენახეობის შემდგომი განვითარება, რასაც, სადირექტივო ორგანოების დადგენილებათა საფუძველზე, ამჟამად განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, წარმართულ უნდა იქნეს მიზანშეწონილად და მოფიქრებულად, ვინაიდან ვენახების გაშენების დროს დაშვებული შეცდომების შემდგომი გამოსწორება უმრავლეს შემთხვევაში შეუძლებელია.

დასახელებულ მხარეებში მევენახეობის განვითარებას საფუძვლად უნდა დაედვას შემდეგ ღონისძიებათა გატარება:

ა) ცალკეული რაიონებისათვის უნდა ჩატარდეს მოსავლის მომცემი ჯიშების დაკვირვებით შერჩევა და მათი განლაგება ამა თუ იმ ზონის ეკოლოგიური პირობების ზუსტად გათვალისწინებით. ეს საკითხი დღეს მეტად აქტუალურია და, შეიძლება ითქვას, მევენახეობის შემდგომი განვითარებაც გურიაში, სამეგრელოსა და აჭარაში უშუალოდ მის სათანადოდ გადაწყვეტაზე არის დამოკიდებული. იმერული ცოლიკოურის ფართოდ დანერგვამ დასახელებულ მხარეებში მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა საერთოდ დაბლარი მევენახეობის ფართოდ განვითარებას და მთელ რიგ მიკრორაიონებში მეტად სასურველი შედეგიც გამოიღო როგორც ზრდა-განვითარებისა და მოსავლის რაოდენობის, ისე პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლების მხრივ (გურიაში — სოფ. საქამიასერი, დაბლაციხე; სამეგრელოში — სოფ. კვადუაში, ახუთი, ფოცხო, უშაფათი, სალხინო და სხვ.).

მაგრამ უნდა ითქვას, რომ აღინიშნული ჯიშის ფართოდ გავრცელება მოხდა აგრეთვე შეუფერებელ მიკრორაიონებშიც, სადაც ამჟამად ცოლიკოურისაგან სრულიად მდარე ღირსების, მცირე სხეულისა და ნაკლებ ჰარმონიული ღვინოები მზადდება.

ამავე დროს მთელი რიგი ადგილობრივი ვაზის ჯიშები, საუკუნეთა მანძილზე აღზრდილი და აკლიმატიზებული, მოხსენებულ მიკრორაიონებში დიდ ყურადღებას იპყრობს და მათი მასობრივად მომრავლება, სათანადოდ შერჩეულ, ფილოქსერის გამძლე საძირებზე, ექვს გარეშეა, გაცილებით უკეთეს შედეგებს მოგვცემს როგორც მოსავლის რაოდენობით, ისე პროდუქციის ხარისხითაც.

ამისათვის აქედანვე საჭიროა ზრუნვა ადგილობრივი ჯიშების საკვირტე მასალის მისაღებად. ამჟამად არსებული ვაზის ადგილობრივ ჯიშთა მალლარები მეტწილად დაკნინებულია, სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის მოქმედების შედეგად. მათი მოვლა კი დიდად ძნელდება, ვინაიდან არსებული მალლარები მეტად დიდ სიმალღეებზეა განვითარებული. საღი საკვირტე მასალის დიდი რაოდენობით მისაღებად საჭიროა არსებული მალლარი ვაზების ირგვლივ ჩატარდეს სათანადო აგროტექნიკური ღონისძიებანი (შემობარვა ძირების ირგვლივ, გაბატივება, მალლარიდან შედარებით

დადაბლება, რომ გაადვილდეს მათი მოვლა ევგეტაციის პერიოდში). ამ გზით შესაძლებელი გახდება მოკლე დროის განმავლობაში მიღებულ იქნეს კარგად განვითარებული და საღი მოსამრავლებელი საკვირტე მასალა.

აქარის მაღალმთიან ზონაში (ხულოს რაიონი) სრულიად უნდა აიკრძალოს კოლიკულის დანერგვა. ამ რაიონში, განსაკუთრებით კი მის ზემო ზოლში, გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ ადრე მწიფობის უნარიანი როგორც ადგილობრივი, აგრეთვე ევროპული ვაზის ჯიშები. ვფიქრობთ, რომ ფრანგული ჯიშები — ალიგატე და შასლა ამ მხარეში მოიპოვებს ფართო განვითარებას.

ბ) როგორც ცნობილია, ნაკვეთის ექსპოზიცია და ნიადაგის მექანიკურ-ქიმიური შედგენილობა ძირითადად პროდუქციის ხარისხის განმსაზღვრელია, განსაკუთრებით დასახელებულ რაიონებში, სადაც ატმოსფერული ნალექების სიუხვეა და ყურძნის მწიფობის პერიოდში პიდროთერმული კოეფიციენტის სიდიდე მკვეთრად მატულობს.

ხარისხობრივი პროდუქციის მიღების მიზნით ძირითადად შერჩეულ უნდა იქნეს სამხრეთით დახრილი ექსპოზიციის მქონე ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები. ორდინარული ღვინოების მისაღებად შესაძლებელია თითქმის ყველა სახის ნიადაგების გამოყენება, მხოლოდ შთისპირა ზონაში და სამხრეთით მიმართულ კალთებზე.

გ) ამერიკული ვაზის საძირგების შერჩევის საკითხი მეტად აქტუალურია გურია-სამეგრელოსა და აქარის რაიონებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ არსებული ვენახის ნარგავები ზოგან შეუფერებელ საძირგებზე დაყრდნობილი და ამგვარ მიკრორაიონებში ვაზების არანორმალურად განვითარება ძირითადად ამით აიხსნება.

კალციუმის კარბონატებით მდიდარ ნიადაგებში საძირგდ გამოყენებულ უნდა იქნეს ბერლანდიერი X რიპარია 5 ბბ, ხოლო კარბონატებით შედარებით ღარიბ ნიადაგებში — რიპარია X რუბესტრის 3306 და 101¹⁴.

დ) დაკვირვებით დადასტურებულია, რომ გურიაში, სამეგრელოსა და აქარაში ვაზის ნამყენების გამოსაყვანად სათბურის მეურნეობის წარმოება სრულიად არ არის საჭირო. ეს მხარეები თავისი ეკოლოგიური პირობებით ბუნებრივ სათბურს წარმოადგენს და ამიტომ ახლად დამზადებული ნამყენები სათბურში გაუტარებლად, უშუალოდ — სანერგეში შეიძლება იქნეს მოთავსებული.

ე) აღნიშნულ რაიონებში ატმოსფერული ნალექების სიუხვის გამო დაბალშტამბიანი ვაზების მწვანე ნაწილები ადვილად იჩაგრება სოკოვან ავადმყოფობათა ზემოქმედებით (განსაკუთრებით კი კრაქით). ამის გამო კატეგორიულად უნდა აიკრძალოს ამ მხარეების ყველა მიკრორაიონში ვაზებისათვის 60 სანტიმეტრზე დაბალი შტამბის მიცემა.

ვ) ვაზების დატვირთვა უნდა წარმოებდეს მხოლოდ ასაკისა და ღონის მიხედვით. ამ ოპერაციას სხვლის პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს. ვაზის ნორმალურად ზრდის შემთხვევაში მას უნდა მიეცეს ერთი სანაყოფე — სამამულით, სანაყოფის 8 — 10 კვირტზე გასხვლით, ხოლო ვაზის ძლიერად ზრდის შემთხვევაში შეიძლება მიცემულ იქნას ორი სანაყოფე ორი სამამულით, თვითოეული სანაყოფის 6 — 8 კვირტზე დატოვებით.

ზ) ვენახში სასუქის მიცემა ვაზის ძირთან ახლოს ორმოში, ნაკლებ რენტაბელური აგროტექნიკური ღონისძიებაა. გადამწვარი სასუქი შეტანილი უნდა იქნეს მხოლოდ მოფანტვით და მოფანტვისთანავე ჩაიბაროს ან ჩაითოხნოს ნიადაგში.

თ) ხშირი წვიმების მოქმედების შედეგად, არის შემთხვევები ვენახში შავი სილამპლის გაჩენისა (Luignardia Bildvelli). ამ ავადმყოფობის სალიკვიდაციოდ აუცილებელია უკანასკნელი ორი წამლობა ჩატარდეს 2⁰/₁₀-იანი ბორდოს ხსნარით.

ი) ვენახში შუალედი კულტურების თესვა (სიმინდის, სოიასი, ბოსტნეულის) პროდუქციის ხარისხზე უარყოფით გავლენას ახდენს; გარდა ამისა, იგი აღარბებს ნიადაგს და ვენახის დაჩრდილვის გამო სოკოვან ავადმყოფობათა გავრცელებაც ძლიერდება. ამიტომ მთელი სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში ვენახის ნიადაგი ხნულ-ნასვენ მდგომარეობაში უნდა იმყოფებოდეს. მცირე მასივებზე ვენახის მწკრივში დასაშვებია ერთ რიგად მხოლოდ დაბალი (კუტი) ღობიოს თესვა. გარდა იმისა, რომ მისგან მოსავალი მიიღება, ღობიოს ფესვთა სისტემა საგრძნობლად ამდიდრებს ნიადაგს აზოტით.

კ) გურიის, სამეგრელოსა და აქარის მევენახეობის რაიონებისათვის აბორიგენული ჯიშებიდან სტანდარტების საბოლოოდ ჩამოსაყალიბებლად აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს დამახასიათებელ მიკრორაიონებში მკვიდრ ვაზის ჯიშთა გამოსაცდელი ნაკვეთების მოწყობა. ასეთი ნაკვეთები მნიშვნე-

ლოცნად გააადვილებს მეღვინეობის თვალსაზრისით აბორიგენული ჯიშების საბოლოოდ შესწავლის საქმეს.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგ შემთხვევაში ხდება ჯიშების სახელწოდებათა აღრევა. სხვადასხვა თვისების მქონე ჯიშები მონათლულია ერთი და იმავე სახელით. ასე, მაგალითად, ზემო გურიაში (ჩოხატაურის რაიონში) გავრცელებულია მეტად საინტერესო ვაზის აბორიგენული ჯიშები — ჯანი. ამავე სახელწოდებით ქვემო გურიაში (მაზარაძის რაიონში) გავრცელებული ვაზის ჯიში, თავისი ამპელოგრაფიული და სამეურნეო-ტექნოლოგიური ნიშან-თვისებებით არსებითად განსხვავდება ჯანისაგან და იგი შეცდომით ატარებს ამ სახელს.

ვაზის სანერგის, სადედისა და ვენახების გასაშენებლად ნაკვეთების შერჩევა-გამოყოფა აგროწესების ზუსტად დაკვირვებით უნდა წარმოებდეს. შერჩევის შემდეგ ვენახის გასაშენებელ ფართობებზე საჭირო აგროტექნიკურ ღონისძიებათა დროულად და წესიერად ჩატარება, ამასთან ერთად, კოლმეურნეთა საფუძვლიანი დახელოვნება მევენახეობის პრაქტიკულ საქმიანობაში, სულ მოკლე დროის განმავლობაში, ფართოდ განავითარებს და ააყვავებს მკვიდრი ნაცადი ჯიშების საფუძველზე, გურიაში, სამეგრელოსა და აჭარაში სოფლის მეურნეობის ამ ძვირფას დარგს — მევენახეობას.

გურიის, სამეგრელოსა და აჭარის რაიონებში ვაზის ჯიშების სტანდარტული ასორტიმენტის დადგენისათვის

საქართველოს მრავალფეროვანი ბუნების წიაღში ვაზის მრავალი აბორიგენული ჯიში მოიპოვება. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ათეული საუკუნეების განმავლობაში ეს ჯიშები ვითარდებოდა, ყალიბდებოდა და გარკვეული ჯგუფი ჯიშებისა ან ცალკეული ჯიში, მისთვის ხელსაყრელ ეკოლოგიურ პირობათა შესაბამისად, თავშესაფარს პოულობდა მსოლოდ ამა თუ ამ რაიონის მიკროუბანში. ამას ხელს უწყობდა ადამიანის შეგნებული მოქმედებაც, რის მეორებითაც საქართველოს გარკვეული ეკოლოგიური პირობებისათვის ვაზის განსაზღვრული ჯიშები საბოლოოდ დადგინდა.

ამის დამამტკიცებელ მაგალითს წარმოადგენს ასორტიმენტის დიფერენცირება ენდემურ ჯგუფებად, საქართველოს სხვადასხვა რაიონის ეკოლოგიურ პირობებთან შეფარდებით, ასეთია, მაგ., კახეთის, ქართლის, მესხეთის (ზემო-ქართლის), იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის, გურიის, სამეგრელოს, აჭარისა და აფხაზეთის ენდემური ჯგუფები.

მოხსენებული რაიონების ვაზის ჯგუფები მკვეთრად განსხვავდება ურთიერთისაგან თავიანთი ამპელოგრაფიული თვისებებით და აგრეთვე აგრობიოლოგიური და სამეურნეო ღირებულებით.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საქართველოში გავრცელებულ ვაზის აბორიგენულ ჯიშთა ნაირსახეობა მათი სამეურნეო დანიშნულების მიხედვით. თვითოეულ რაიონს და მიკრორაიონსაც კი მოეპოვება თავისი საკუთარი სუფრის ყურძნის, საღვინე, ყურძნის წვეწის და საკონიაკე ჯიშები, რომლებიც როგორც მოსავლიანობით, ისე პროდუქციის ხარისხით არა თუ ჩამორჩება ევროპის ქვეყნებში გავრცელებულ ცნობილ ვაზის ჯიშებს, არამედ უმრავლეს შემთხვევაში გაცილებით უფრო მაღალი ღირსების პროდუქციას იძლევა.

ხარისხოვანი საღვინე ჯიშებიდან ასეთია: რქაწითელი, საფერავი, კახური მწვანე, ჩინური, გორული მწვანე, ციცქა, ცოლიკოური, ალექსანდრეული, მუჯურეთული, ქვიტილური, ოჯალეში, უსახელოური, მტევანდიდი, ჩხავერი, ჯანი და სხვ.; სადესერტო ღვინის მიდრეკილებით: კრახუნა, ალექსანდრეული, ხიხვი. სუფრის ყურძნის ჯიშებიდან: გორული, გლდანურა, ქართლის თითა, ხარისთვალა, თეთრი ცხენისძუძუ, შავი ცხენისძუძუ, ბუდეშური, კრახუნა, კლარჯული, თეთრი კამური, ბროლა და სხვ.; უხვმოსავლიანი ჯიშებიდან ორდინარული ღვინოების, ყურძნის წვეწისა და კონიაკის დასამზადებლად: თავკვერი, ასურეთული შავი, ქვაბა, დონდლაბი, ნაკაშიძის ჯანი, საწურავი და სხვ.

ჩვენში შამპანური მეღვინეობის განვითარებასთან დაკავშირებით, ქართული ვაზის ჯიშებიდან უკვე გამოვლინებულია ხარისხოვანი შამპანური პროდუქციის მომცემი ჯიშები, როგორცაა: ჩინური, გორული მწვანე, ციცქა, კაპისტონი, რაჭული მკვიდრი, ამ დანიშნულებით პრესპექტიული ჯიში — ჩხავერი და სხვ.

სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის მავნე მოქმედების შედეგად საქართველოს მევენახეობამ სასტიკი დაქვეითება განიცადა და ამის შედეგად მრავალი ვაზის ჯიში განადგურდა.

ნამყენების წარმოებაზე გადასვლასთან დაკავშირებით, მევენახეობა დროულად დაადგა აღორძინების გზას ჯერ იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმში, ხოლო შემდეგ კახეთში. სწორედ ამით იხსნება ის გარემოება, რომ აღნიშნულ მხარეებში ამჟამად ძირითადად მაინც გვაქვს ჩამოყალიბებული ვაზის საწარმოო ჯიშთა სტანდარტული ასორტიმენტი.

კერძოდ გურიაში, სამეგრელოსა და აჭარაში ადგილობრივ ჯიშთაგან შემდგარი ვენახები წარსულში მალლარად იყო წარმოდგენილი და, ვინაიდან ავადმყოფობათა წინააღმდეგ ბრძოლა მალლარა ვაზებზე შეუძლებელი ხდებოდა, ადგილობრივი ვაზის ჯიშები მასობრივად განადგურდა, ზოგიერთი მათგანი კი სრულიად დაიღუპა. მიუხედავად ამისა, ამ რაიონებში ამჟამად კიდევ არის გადარჩენილი ვაზის აბორიგენული ჯიშები, რომელთა აღდგენა და კულტურულად წარმოება ჩვენს ძირითად და გადაუდებელ ამოცანას უნდა წარმოადგენდეს.

გურიაში, სამეგრელოსა და აჭარაში ამჟამად გადარჩენილი ვაზის აბორიგენული ჯიშები წარმოებით შეიძლება მასობრივად იქნეს გავრცელებული როგორც ხარისხოვანი და ორდინარული ტიპის ღვინოების დასამზადებლად, ისე ხარისხოვანი სუფრის ყურძნის, ყურძნის წვენისა და საკონიაკე მასალის მისაღებად.

ცნობილია, რომ უხსოვარი დროიდან მოყოლებული ამ მხარეთა მკვიდრი მცხოვრებნი მასობრივად მხოლოდ საკუთარ ჯიშებს ავრცელებდნენ და მათი პროდუქციიდან დამზადებული ღვინოები განთქმული იყო საქართველოს გარეშეც (ოჯალეში, ჭვითილური, ჯანი, ჩხავერი, ხოფათური და სხვ.).

გარდა ამისა, აღნიშნული მხარეები ძველთაგანვე ცნობილია სუფრის ყურძნის წარმოებით. ადგილობრივ ვაზის ჯიშთა მოსავლის გვიან დამწიფებასთან დაკავშირებით ხშირად რთველი დეკემბერშიაც გრძელდებოდა და მალლარ ვაზებზე დატოვებული ყურძენი, იანვარ-თებერვალში იკრიფებოდა, იგი ზამთრის პერიოდშიც ინარჩუნებდა თავის დამახასიათებელ გემოს და უხვი ნალექიანობის გამო, უმრავლეს შემთხვევაში, ჭკნობას არ განიცდიდა და არც ზიანდებოდა. დღესაც ხშირად ვხვდებით ამგვარ სურათს: ვაზზე დატოვებული ყურძენი იანვრამდე ძლებს, ხოლო დაკრეფილი — გაზაფხულამდე ინახება.

მიუხედავად იმისა, რომ მალლარად აღზრდის გამო ვაზების მოვლა თითქმის არ წარმოებს, წლის ხელსაყრელი ამინდის პირობებში ასეთი ვაზი ამჟამადაც იძლევა ხარისხოვან პროდუქციას და სავსებით აკმაყოფილებს ხარისხოვანი სუფრის ყურძნის მოთხოვნილებას (ვაზის ზრდა-განვითარებით, მოსავლის რაოდენობით, ყურძნის მაღალი გემოვნებითი თვისებებით, შენახვის უნარიანობით, ტრანსპორტაბელობით, მტყენებისა და მარცვლების სიდიდითა და გარეგნული სილამაზით). ასეთია: კლარჯული, თეთრი კამური, ჯაფახეთურა, ბროლა, ცხენისძუძუ, აჭარის ხარისთვალა, ბათომურა, ჩერგვალი, შეგრული ხარისთვალა და სხვ.

ამრიგად, აღნიშნული მხარეები უცხო ჯიშების შეტანას არ საჭიროებენ. ცხადია, გამონაკლისის სახით დასაშვებია ზოგიერთ მიკრორაიონში უცხო ჯიშის გავრცელება, მაგრამ იგი დიდი სიფრთხილით მხოლოდ მრავალწლიური ცდებისა და დაკვირვების შედეგად უნდა წარმოებდეს.

როგორც ამ შრომის შესავალში გვაქვს მოხსენებული, ცოლიკოურმა მასობრივი გავრცელება მოიპოვა გურიის, სამეგრელოსა და აჭარის რაიონებში და ამჟამად დაბლარი ვენახების 90 — 95% -ს ეს ჯიში შეადგენს. ამ მხარეთა მთელ რიგ მიკრორაიონებში ცოლიკოური უდავოდ მაღალხარისხოვან პროდუქციას იძლევა — ხარისხოვანი თეთრი სუფრული ტიპის ღვინოების დასამზადებლად. მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში მისი გავრცელება აქ დაკვირვებულად არ წარმოებს. ცოლიკოური დიდი სისწრაფით ინერგება როგორც ბარში, ისე მაღალმთიან ზონებში ნიადაგებისა და ექსპოზიციების შეუჩინებლად, და სწორედ ამის შედეგია ამჟამად ამ მხარეებში ცოლიკოურისაგან მიღებული პროდუქციის დაბალი ხარისხი, რის შედეგადაც მისგან დამზადებული ღვინის ხარისხიც მდარეა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენის ღრმა რწმენით, გურიის, სამეგრელოსა და აჭარის რაიონებისათვის ვაზის სტანდარტული ასორტიმენტის დადგენას საფუძვლად უნდა დაედვას ცალკეულ მიკროუბნებში მრავალ საუკუნეთა განმავლობაში აღზრდილ და აკლიმატიზებულ აბორიგენულ ჯიშთა გავრცელება.

ვინაიდან იმერულ ცოლიკოურს მთელ რიგ მიკრორაიონებში მაღალხარისხოვანი პროდუქციის მოცემა ახასიათებს, იგი აღნიშნულ მხარეთა საწარმოო ასორტიმენტის დადგენის დროს ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული.

სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის მავნე მოქმედების შედეგად საქართველოს მევენახეობამ სასტიკი დაქვეითება განიცადა და ამის შედეგად მრავალი ვაზის ჯიში განადგურდა.

ნამყენების წარმოებაზე გადასვლასთან დაკავშირებით, მევენახეობა დროულად დაადგა აღორძინების გზას ჯერ იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმში, ხოლო შემდეგ კახეთში. სწორედ ამით იხსნება ის გარემოება, რომ აღნიშნულ მხარეებში ამჟამად ძირითადად მაინც გვაქვს ჩამოყალიბებული ვაზის საწარმოო ჯიშთა სტანდარტული ასორტიმენტი.

კერძოდ გურიაში, სამეგრელოსა და აჭარაში ადგილობრივ ჯიშთაგან შემდგარი ვენახები წარსულში მალღარად იყო წარმოდგენილი და, ვინაიდან ავადმყოფობათა წინააღმდეგ ბრძოლა მალღარა ვაზებზე შეუძლებელი ხდებოდა, ადგილობრივი ვაზის ჯიშები მასობრივად განადგურდა, ზოგიერთი მათგანი კი სრულიად დაიღუპა. მიუხედავად ამისა, ამ რაიონებში ამჟამად კიდევ არის გადარჩენილი ვაზის აბორიგენული ჯიშები, რომელთა აღდგენა და კულტურულად წარმოება ჩვენს ძირითად და გადაუდებელ ამოცანას უნდა წარმოადგენდეს.

გურიაში, სამეგრელოსა და აჭარაში ამჟამად გადარჩენილი ვაზის აბორიგენული ჯიშები წარმოებით შეიძლება მასობრივად იქნეს გავრცელებული როგორც ხარისხოვანი და ორდინარული ტიპის ღვინოების დასამზადებლად, ისე ხარისხოვანი სუფრის ყურძნის, ყურძნის წვენისა და საკონიაკე მასალის მისაღებად.

ცნობილია, რომ უხსოვარი დროიდან მოყოლებული ამ მხარეთა მკვიდრი მცხოვრებნი მასობრივად მხოლოდ საკუთარ ჯიშებს ავრცელებდნენ და მათი პროდუქციიდან დამზადებული ღვინოები განთქმული იყო საქართველოს გარეშეც (ოჯალეში, ჭვითილური, ჯანი, ჩხავერი, ხოფათური და სხვ.).

გარდა ამისა, აღნიშნული მხარეები ძველთაგანვე ცნობილია სუფრის ყურძნის წარმოებით. ადგილობრივ ვაზის ჯიშთა მოსავლის გვიან დამწიფებასთან დაკავშირებით ხშირად რთველი დეკემბერშიაც გრძელდებოდა და მალღარ ვაზებზე დატოვებული ყურძენი, იანვარ-თებერვალში იკრიფებოდა, იგი ზამთრის პერიოდშიც ინარჩუნებდა თავის დამახასიათებელ გემოს და უხვი ნალექიანობის გამო, უმრავლეს შემთხვევაში, ჭკნობას არ განიცდიდა და არც ზიანდებოდა. დღესაც ხშირად ვხვდებით ამგვარ სურათს: ვაზზე დატოვებული ყურძენი იანვრამდე ძლებს, ხოლო დაკრეფილი — გაზაფხულამდე ინახება.

მიუხედავად იმისა, რომ მალღარად აღზრდის გამო ვაზების მოვლა თითქმის არ წარმოებს, წლის ხელსაყრელი ამინდის პირობებში ასეთი ვაზი ამჟამადაც იძლევა ხარისხოვან პროდუქციას და სავსებით აკმაყოფილებს ხარისხოვანი სუფრის ყურძნის მოთხოვნილებას (ვაზის ზრდა-განვითარებით, მოსავლის რაოდენობით, ყურძნის მაღალი გემოვნებითი თვისებებით, შენახვის უნარიანობით, ტრანსპორტაბელობით, მტყენებისა და მარცვლების სიდიდითა და გარეგნული სილამაზით). ასეთია: კლარჯული, თეთრი კამური, ჯაფახეთურა, ბროლა, ცხენისძუძუ, აჭარის ხარისთვალა, ბათომურა, ჩერგვალი, შეგრული ხარისთვალა და სხვ.


ამრიგად, აღნიშნული მხარეები უცხო ჯიშების შეტანას არ საჭიროებენ. ცხადია, გამონაკლისის სახით დასაშვებია ზოგიერთ მიკრორაიონში უცხო ჯიშის გავრცელება, მაგრამ იგი დიდი სიფრთხილით მხოლოდ მრავალწლიური ცდებისა და დაკვირვების შედეგად უნდა წარმოებდეს.


როგორც ამ შრომის შესავალში გვაქვს მოხსენებული, ცოლიკოურმა მასობრივი გავრცელება მოიპოვა გურიის, სამეგრელოსა და აჭარის რაიონებში და ამჟამად დაბლარი ვენახების 90 — 95% -ს ეს ჯიში შეადგენს. ამ მხარეთა მთელ რიგ მიკრორაიონებში ცოლიკოური უდავოდ მაღალხარისხოვან პროდუქციას იძლევა — ხარისხოვანი თეთრი სუფრული ტიპის ღვინოების დასამზადებლად. მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში მისი გავრცელება აქ დაკვირვებულად არ წარმოებს. ცოლიკოური დიდი სისწრაფით ინერგება როგორც ბარში, ისე მაღალმთიან ზონებში ნიადაგებისა და ექსპოზიციების შეუჩინებლად, და სწორედ ამის შედეგია ამჟამად ამ მხარეებში ცოლიკოურისაგან მიღებული პროდუქციის დაბალი ხარისხი, რის შედეგადაც მისგან დამზადებული ღვინის ხარისხიც მდარეა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენის ღრმა რწმენით, გურიის, სამეგრელოსა და აჭარის რაიონებისათვის ვაზის სტანდარტული ასორტიმენტის დადგენას საფუძვლად უნდა დაედვას ცალკეულ მიკროუბნებში მრავალ საუკუნეთა განმავლობაში აღზრდილ და აკლიმატიზებულ აბორიგენულ ჯიშთა გავრცელება.

ვინაიდან იმერულ ცოლიკოურს მთელ რიგ მიკრორაიონებში მაღალხარისხოვანი პროდუქციის მოცემა ახასიათებს, იგი აღნიშნულ მხარეთა საწარმოო ასორტიმენტის დადგენის დროს ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული.


აქვე ვათავსებთ საწარმოო ასორტიმენტის პირობით ნუსხას გურიის, სამეგრელოსა და აჭარის რაიონებისათვის


დასახელება რაიონის	მცენარეობის ზონები და მიკრორაიონები	მიკრორაიონის ძირითადი მიმართულება	სტანდარტული ჯიშები	დამატებითი ჯიშები	შენიშვნა	
<p>I. გურია</p> <p>1. ჩოხატაურის რაიონი</p>	<p>1. კოხნარი—ხაჭამიახერი:</p> <p>ბურნათი, კოხნარი, ნაკადული, ქვემოხეთი, ჩოხეთი, განთიადი, მამულარი, კალაგონი</p>	<p>1. ხარისხოვანი თეთრი ღვინის წარმოება</p> <p>2. ხარისხოვანი წითელი ღვინის წარმოება</p> <p>3. ორდინარული წითელი ღვინის წარმოება</p> <p>4. სუფრის ყურძენი</p>	<p>ცოლიკოური საკმიელა</p> <p>ჩხავერი ჯანი მტევანდიდი</p> <p>სხილათუბანი ალადასტური</p> <p>კლარჯული თეთრი კამური</p>	 <p>სამეგრელოს თეთრი კამური</p> <p>ჭუმუტა</p> <p>წითლანი</p>		
	<p>2. დაბლაციხე-წომლეო და იანოული-ბერეგოული:</p> <p>1. ბუკისციხე, დაბლაციხე, საყვავისტყე, ფარცხმა, ახალსოფელი, გოგოდეის-უბანი, სამება, ვანი, ზომლეო, იანოული, ქვემო-ონტიკეთი, ქვემო-ერკეთი, გუთური, ვაზიანი, ჩაის-უბანი, ინტაბუფთი, ბერეგოული</p>	<p>1. ხარისხოვანი თეთრი ღვინის წარმოება</p> <p>2. ხარისხოვანი წითელი ღვინის წარმოება</p> <p>3. ორდინარული წითელი ღვინის წარმოება</p> <p>4. სუფრის ყურძენი</p>	<p>ცოლიკოური საკმიელა</p> <p>ჩხავერი ჯანი მტევანდიდი</p> <p>სხილათუბანი ნაკაშიძის ჯანი</p> <p>კლარჯული თეთრი კამური</p>	<p>თეთრი კამური</p> <p>ორონა</p> <p>ალადასტური</p> <p>ალადასტური</p>		
	<p>3. ახალშენი—ხევი და ბუკნარი—ხევი:</p> <p>ახალშენი, ზიდისთავი, ხენობანი, შუბანი, კობა, ბჟოლოეთი, ხევი, ბუკნარი, ქვემოხეთი, ბასილეთი, კაკიეთი</p>	<p>1. თეთრი ღვინის წარმოება</p> <p>2. ხარისხოვანი წითელი ღვინის წარმოება</p> <p>3. სუფრის ყურძენი</p>	<p>ცოლიკოური</p> <p>ჩხავერი მტევანდიდი</p> <p>კლარჯული თეთრი კამური</p>	<p>სხილათუბანი ოფოურა</p> <p>ალადასტური</p>		
	<p>2. მახარაძის რაიონი</p>	<p>1. ნაგომარი—შრომა:</p> <p>ნაგომარი, ახალსოფელი, ბაილეთი, გურიანთა, მერია, კახური, კონკათი, ხედობანი, შრომა, ფაქე, თხინვალი, ხრიალეთი, სილაური, ჯუშათი</p>	<p>1. ორდინარული თეთრი ღვინის წარმოება</p> <p>2. წითელი ღვინის წარმოება</p> <p>3. ორდინარული წითელი ღვინის და ყურძენის წველის წარმოება</p> <p>4. სუფრის ყურძენი</p>	<p>ცოლიკოური</p> <p>ჩხავერი ჭუმუტა</p> <p>ნაკაშიძის ჯანი</p> <p>კლარჯული სამარხი</p>		
		<p>2. ასკანა—ბახვი:</p> <p>ასკანა, ვანის ქედი, მთის პირი, ხემო-ბახვი, შუა-ბახვი, ქვემო-ბახვი, ფამფაღეთი, ნასაკირალი</p>	<p>1. ხარისხოვანი თეთრი ღვინის წარმოება</p> <p>2. ხარისხოვანი წითელი ღვინის წარმოება</p> <p>3. ორდინარული წითელი ღვინის წარმოება</p> <p>4. სუფრის ყურძენი</p>	<p>ცოლიკოური საკმიელა</p> <p>ჩხავერი მტევანდიდი</p> <p>ნაკაშიძის ჯანი</p> <p>კლარჯული, სამარხი</p>	<p>ჭუმუტა ორონა</p>	

რაიონის დასახელება	მევენახეობის ხონები და მიკრორაიონები	მიკრორაიონის ძირითადი მიმართულება	სტანდარტული ჯიშები	დამატებითი ჯიშები	შენიშვნა	
3. ლანჩხუთის რაიონი	3. ნატანებისა და ბუჟუის წყლის ხეობა: ვაკიჯვარი, ბაღდათი, ცხენლისხიდი, უჩხუბი, დეაბზუ, ნატანები, გომი, შემოქმედი, მაკვანეთი, ლიხაური, კანიეთი	1. თეთრი ღვინის წარმოება	ცოლიკოური საკმიელა		 სსრკ-ის მიწათმოქმედების მინისტრის ბიუროს ბეჭედი	
		2. წითელი ღვინის წარმოება	ჩხავერი მტევანდიდი ჭუმუტა			
		3. ორდინარული წითელი ღვინის წარმოება	ნაკაშიძის ჯანი			
		4. სუფრის ყურძენი	სამარნი კლარჯული			
	1. ნიკოთი—შუბუთი და ჩიხათი—ჩოჩხათი:	1. ხარისხოვანი თეთრი ღვინის წარმოება	ცოლიკოური თეთრი კამური			
		2. ხარისხოვანი წითელი ღვინის წარმოება	ჩხავერი მტევანდიდი	ჭუმუტა		
		3. ორდინარული წითელი ღვინის წარმოება	ნაკაშიძის ჯანი			
		4. სუფრის ყურძენი	თეთრი კამური კლარჯული			
	2. ამავე ხონების მიკრორაიონებში:	1. ორდინალური თეთრი ღვინის წარმოება	ცოლიკოური თეთრი კამური			
		2. წითელი ღვინის წარმოება	ჩხავერი მტევანდიდი	ჭუმუტა		
		3. სუფრის ყურძენი	თეთრი კამური კლარჯული			
	3. აკეთი—მამათი: ჭანჭათი, ქვემო-აკეთი, ზემო-აკეთი, აცანა, მამათი, გაგური	1. თეთრი ღვინის წარმოება	ცოლიკოური			
2. წითელი ღვინის წარმოება		ჩხავერი ჯანი	მტევანდიდი			
3. სუფრის ყურძენი		თეთრი კამური კლარჯული				
II. საშობალო 1. შუგდიდის რაიონი	1. ოდიში—ქადალაში და კორცხელი—რიყე: ოდიში, რიყე, კორცხელი, რუხი, აბასლოფელი, ნიკოსია, ახ. აბასთუმანი	1. თეთრი ღვინის წარმოება	ცოლიკოური ჭვიტილური			
		2. წითელი ღვინის წარმოება	ოჯალეში			
		4. სუფრის ყურძენი	ჩერგვალი	შასლა ხარისთვალა		
		2. შუგდიდი — ქაჭინჯი, ნარაზენი—ჯიხასკარი და ცაიში—ქითაწყარი:	1. ორდინარული თეთრი ღვინის წარმოება	ცოლიკოური		
	2. ხარისხოვანი წითელი ღვინის წარმოება		ოჯალეში			
	3. ორდინარული წითელი ღვინის წარმოება		პანეში ავშილური			


რაიონის დასახელება	მევენახეობის ზონები და მიკრორაიონები	მიკრორაიონის ძირითადი მიმართულება	სტანდარტული ჯიშები	დამატებითი ჯიშები	შენიშვნა
2. წალენჯიხის რაიონი	1. ჭანისწყლის ხეობა: ობუჯი, ნაკიდუ, წალენჯინა, ფუქი, (მიქაეა), საჩინო, ჯგალი	4. სუფრის ყურძენი	ჩერგვალი ხარისთვალა	შასლა	შენიშვნა სტანდარტული ჯიშები
		1. ხარისხოვანი თეთრი ღვინის წარმოება	კვიტილური ცოლიკოური	აფხაზურა	
		2. ხარისხოვანი წითელი ღვინის წარმოება	ოჯალეში პანეში		
	3. სუფრის ყურძენი	ჩეჭიბეში ჩერგვალი	შასლა ხარისთვალა		
	2. მდ. ენგურის ხეობა: ჯგარი, ღია ორჯონიკიძე, კალე, მუხაგა, ფაზულანი, კალაღალი	1. ხარისხოვანი თეთრი ღვინის წარმოება	კვიტილური ცოლიკოური		
		2. წითელი ღვინის წარმოება	ოჯალეში		
3. ორდინარული წითელი ღვინის წარმოება		პანეში აშილური			
3. ჩხოროწყუს რაიონი	1. მდ. ხობისწყლის ხეობა ლეწურწყემე, ხუში, კირცხი, ლესიკინე, ჩხოროწყუ, ქვედა-ჩხოროწყუ, თაია, ნაბუმე, მუხური	1. ხარისხოვანი თეთრი ღვინის წარმოება	ცოლიკოური კვიტილური	აფხაზურა	
		2. ხარისხოვანი წითელი ღვინის წარმოება	ოჯალეში პანეში		
		3. სუფრის ყურძენი	ჩერგვალი ჩეჭიბეში		
	2. მდ. ოჩხომურის ხეობა: ახუთი, ჭალა, ნაპირხოლ, ნაკიანი	1. ხარისხოვანი თეთრი ღვინის წარმოება	ცოლიკოური კვიტილური		
		2. ხარისხოვანი წითელი ღვინის წარმოება	ოჯალეში პანეში	აეშილური	
		3. სუფრის ყურძენი	ჩეჭიბეში ჩერგვალი	შასლა	
4. ცხაკაიის რაიონი	1. მდ. ტეზურის ხეობა გეჯეთი, წყემი, ცხაკაია, მხეფი, ძველისენაკი, ნაქალაქევი, ბეთლემი, ლედაძამე.	1. ხარისხოვანი თეთრი ღვინის წარმოება	კვიტილური ცოლიკოური		
		2. ხარისხოვანი წითელი ღვინის წარმოება	ოჯალეში	გოდაათური	
		3. სუფრის ყურძენი	ჩერგვალი	შასლა ხარისთვალა	
	2. მდ. ცივის ხეობა: ხორში, პირველი მაისი, ხანა, ეკი, უმაფათი, ფოცხო.	1. ხარისხოვანი თეთრი ღვინის წარმოება	კვიტილური ცოლიკოური	აფხაზურა	
		2. ხარისხოვანი წითელი ღვინის წარმოება	ოჯალეში	პანეში	
		3. სუფრის ყურძენი	ჩერგვალი ხარისთვალა		
5. გიგაქორის რაიონი	1. მდ. ტეზურის და აბაშის ხეობები: კერხუ, ტალერა, სალხინო, დიდიკოლი, დოშაკი, ვინოთი, გაჭედილი, კიწია, გურძემი, თამაკონი, ინხური, ნახუნოუ	1. ხარისხოვანი თეთრი ღვინის წარმოება	ცოლიკოური კვიტილური		
		2. ხარისხოვანი წითელი ღვინის წარმოება	ოჯალეში	გოდაათური	
		3. სუფრის ყურძენი	ჩერგვალი	შასლა ხარისთვალა	



რაიონის დასახელება	მევენახეობის ზონები და მიკრორაიონები	მიკრორაიონის ძირითადი მიმართულება	სტანდარტული ჯიშები	დამატებითი ჯიშები	შენიშვნა
	ჩემპიკორი, ხუნწი, სერჯიკო, აბედათი, ნაგვახაო, ლეხაიხდრაო, ბანძა, ნაჯანოვო, თხოლია, ვედიტკარი, ქოლფეი	1. ხარისხოვანი თეთრი ღვინის წარმოება	კოლიკოური კვიტალური		 <p>საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტროსთვის</p>
		2. ხარისხოვანი წითელი ღვინის წარმოება	ოჯალეში	გოდაათური	
		3. სუფრის ყურძენი	ჩერგვლი	შასლა ზაოისთვალა	
III. აჭარის ასსრ 1. ქობულეთის რაიონი	ზუცუბანი-კვირიკე, მუხა-ესტატი, ქაქუაი-ლეღვა; ზუცუბანი, სამება, კვირიკე, მუხაესტატი, აჭი, ჩაქვის-თაი, ალაშბარი, ლეღვა	1. ხარისხოვანი თეთრი ღვინის წარმოება	კლარჯული		
		2. ორდინარული თეთრი ღვინის წარმოება	კოლიკოური		
		3. წითელი ღვინის წარმოება	ჩხავერი		
		4. ორდინარული წითელი ღვინის წარმოება	ტაგინურა		
		5. სუფრის ყურძენი	კლარჯული	შასლა	
2. ბათუმის რაიონი	ახალშენი, კაპანდიბი, აჭარისწყალი - მახუნცეთი; ახალშენი, კახაბერი, თხირნალი, კაპანდიბი, აჭარისწყალი, მახუნცეთი	1. ორდინარული თეთრი ღვინის წარმოება	კოლიკოური		
		2. სუფრის ყურძენი	კლარჯული	ბათუმურა შასლა	
3. ქედის რაიონი	1. ქედა-ზვარე და დანდალო - ცხმორისი; აკარა, ხენდიდი, ქედა, ხელოფელი, ვაიო, ზვარე ცხმორისი, დანდალო	1. ხარისხოვანი თეთრი ღვინის წარმოება	ბროლა ზოფათური კოლიკოური		თეთრა
		2. ხარისხოვანი წითელი ღვინის წარმოება	ჩხავერი ბუტკო		ვაიოს საფერავი
		3. ორდინარული წითელი ღვინის და ყურძენის წვენის წარმოება	საჭურავი პოგნილი		
		4. სუფრის ყურძენი	ცხენის ძუძუ	შასლა მეგრუნჩხი	
4. ბულოს რაიონი	2. მერისის ხეობა: ალიკოლდები, სინალიძე, მედიბნა	1. თეთრი ღვინის წარმოება	ბროლა ზოფათური		კოლიკოური
		2. წითელი ღვინის წარმოება	ჩხავერი შავი ლივანურა		
		3. სუფრის ყურძენი	მისკეთა ბროლა	ცხენის-ძუძუ	
6. მ. რამიშვილი.	1. ახალდაბა - ქვანა, ჯაბნიძეები - უჩაშა, შუა-ხევი - ხაფი და ფურთიო; შუახევი, დაბაძველი, ქვანა, დუსქვანა, ტაგინე-ები, ახალდაბა, ვარჯანაუ-ლი, ცინარიძე, სამოლეთი, ჯაბნიძეები, ნიგაზეული, ფურთიო	1. თეთრი ღვინის წარმოება	ჯავ-ნეთურა რინოფათუ კოლიკოური		
		2. წითელი ღვინის წარმოება	ჩხავერი ლივანურა-შავი		ბუტკო
		3. სუფრის ყურძენი	ბროლა ცხენის ძუძუ	შასლა	

რაიონის დასახელება	მევენახეობის ზონები და მიკრორაიონები	მიკრორაიონის ძირითადი მიმართულება	სტანდარტული ჯიშები	დამატებითი ჯიშები	შენიშვნა
	ჩემპიკორი, ხუნწი, სერჯიკო, აბედათი, ნაგვახაო, ლეხაიხდრაო, ბანძა, ნაჯანოვო, თხოლია, ვედიტკარი, ქოლფეი	1. ხარისხოვანი თეთრი ღვინის წარმოება	კოლიკოური კვიტალური		 <p>საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტროსთვის</p>
		2. ხარისხოვანი წითელი ღვინის წარმოება	ოჯალეში	გოდაათური	
		3. სუფრის ყურძენი	ჩერგვ-ლი	შასლა ზაოისთვალა	
III. აჭარის ასსრ 1. ქობულეთის რაიონი	ზუცუბანი-კვირიკე, მუხა-ესტატი, ქაქუაი-ლეღვა; ზუცუბანი, სამება, კვირიკე, მუხაესტატი, აჭი, ჩაქვის-თაი, ალაშბარი, ლეღვა	1. ხარისხოვანი თეთრი ღვინის წარმოება	კლარჯული		
		2. ორდინარული თეთრი ღვინის წარმოება	კოლიკოური		
		3. წითელი ღვინის წარმოება	ჩხავერი		
		4. ორდინარული წითელი ღვინის წარმოება	ტაგინურა		
		5. სუფრის ყურძენი	კლარჯული	შასლა	
2. ბათუმის რაიონი	ახალშენი, კაპანდიბი, აჭარისწყალი - მახუნცეთი; ახალშენი, კახაბერი, თხირნალი, კაპანდიბი, აჭარისწყალი, მახუნცეთი	1. ორდინარული თეთრი ღვინის წარმოება	კოლიკოური		
		2. სუფრის ყურძენი	კლარჯული	ბათუმურა შასლა	
3. ქედის რაიონი	1. ქედა-ზვარე და დანდალო - ცხმორისი; აკარა, ხენდიდი, ქედა, ხელოფელი, ვაიო, ზვარე ცხმორისი, დანდალო	1. ხარისხოვანი თეთრი ღვინის წარმოება	ბროლა ზოფათური კოლიკოური		თეთრა
		2. ხარისხოვანი წითელი ღვინის წარმოება	ჩხავერი ბუტკო		ვაიოს საფერავი
		3. ორდინარული წითელი ღვინის და ყურძენის წვენის წარმოება	საჭურავი პოგნილი		
		4. სუფრის ყურძენი	ცხენის ძუძუ	შასლა მეგრუნჩხი	
4. ბულოს რაიონი	2. მერისის ხეობა: ალიკოლდები, სინალიძე, მედიბნა	1. თეთრი ღვინის წარმოება	ბროლა ზოფათური		კოლიკოური
		2. წითელი ღვინის წარმოება	ჩხავერი შავი ლივანურა		
		3. სუფრის ყურძენი	მისკუთა ბროლა	ცხენის-ძუძუ	
4. ბულოს რაიონი	1. ახალდაბა - ქვანა, ჯაბნიძეები - უჩაშა, შუა-ხევი - ხაფი და ფურთიო; შუახევი, დაბაძველი, ქვანა, დუსქვანა, ტაგინე-ები, ახალდაბა, ვარჯანაუ-ლი, ცინარიძე, სამოლეთი, ჯაბნიძეები, ნიგაზეული, ფურთიო	1. თეთრი ღვინის წარმოება	ჯავ-ნეთურა რიხთვათუ კოლიკოური		
		2. წითელი ღვინის წარმოება	ჩხავერი ლივანურა-შავი		ბუტკო
		3. სუფრის ყურძენი	ბროლა ცხენის ძუძუ	შასლა	

რაიონის დასახელება	მევენახეობის ზონები და მიკრორაიონები	მიკრორაიონის ძირითადი მიმართულება	სტანდარტული ჯიშები	დამატებითი ჯიშები	შენიშვნა
	2. ყინჯაურაწაბლანა და ალმე—ნულა: ნენია, ტაჩბა, ყინჯაური, ქერი, წაბლანა, ალმე, დეკანაშვილები	1. თეთრი ღვინის წარმება	ჯავახეთურა თეთრა ალიგატე		შენიშვნა ქოქსეული კიბული
		2. წითელი ღვინის წარმოება	ჭოდი ალმურა	ქორჭაულა	
		3. სუფრის ყურძენი	ჯავახეთურა თეთრი ლივანურა	შასლა ცხენის ძუძუ	



ВИНОГРАДАРСТВО ГУРИИ, МЕГРЕЛИИ, АДЖАРИИ И АБОРИГЕННЫЕ СОРТА ВИНОГРАДНЫХ ЛОЗ

(краткое изложение)

Виноградарство и виноделие являются древнейшими отраслями сельского хозяйства Гурии, Мегрелии и Аджарии. Об этом свидетельствуют как пережитки старины, так и народные песни и предания, сохранившиеся по настоящее время среди населения.

ნაკვეთთა წვერის კბილები სამკუთხედისებრია, წამახვილებული წვერით; გვხვდება აგრეთვე სამკუთხედისებრი კბილები ამოზნექილი გვერდებითა და მახვილი წვერით ან ხერხკბილა-სამკუთხედისებრი. მეორადი კბილებიც ამავე მოყვანილობისაა.

ფოთლის ქვედა მხარე საკმაოდ არის შებუსვილი მონაცრისფრო ბეწვისებრი ბუსუსით. მისი ზედა მხარე ბადისებრად დანაკეთებულია, იშვიათად წვრილ ბუშტისებრია, გვხვდება აგრეთვე გლუვი ზედაპირის მქონე ფოთლებიც. იგი მოყვანილობით ბრტყელია ან ძაბრისებრ-ღარისებრი; იშვიათად მისი ნაპირები ქვემოთ არის ჩამოშვებული.

მთავარი ძარღვები ღია მწვანეა და საკმაოდ არის დაფენილი მონაცრისფრო ბუსუსით.


ფოთლის ყუნწის შეფარდება შუა მთავარ ძარღვთან უდრის 1.0 — 1.1-ს. ყუნწი ღია მწვანეა და სუსტად არის დაფარული ბუსუსით.

ყვავილი ორსქესიანია, ნორმალურად განვითარებული ზუტკოთი და მტვრიანებით. მტვრიანები საკმაოდ გადახრილია ზუტკოდან, იშვიათ შემთხვევაში ჰორიზონტალურადაა დახრილი. ყვავილში 5 მტვრიანაა. იშვიათად გვხვდება 4. ყვავილედში ყვავილების რაოდენობა 260 — 600 ცალამდე აღწევს. მტევნის ყუნწის საშუალო სიგრძე 4 — 6.5 სმ-ს აღწევს. მტევნის სიგრძე 12 — 14 სმ სიგანე 8 — 10 სმ-ს.

მტევნის საერთო ფორმა ცილინდრულ-კონუსისებრი და იშვიათად ცილინდრულია; გვხვდება უფორმო მტევნებიც. იგი საშუალო სიმკვრივისაა, იშვიათად თხელი. მტევნის ყუნწის მუხლიდან განვითარებული განტოტება ხშირად მტევნის სიგრძის $\frac{2}{3}$ -ს აღწევს. იგი ბალახმაგვარია და ღია მწვანე.

მარცვლის ყუნწის სიგრძე საჯდომი ბალიშით 4 — 6 მმ-ს უდრის. ღია მწვანეა. საჯდომი ბალიშში უფრო ხშირად ვიწრო-კონუსისებრია, იშვიათად განიერ-კონუსისებრი; იგი დაფენილია წვრილი მეჭექებით. მარცვალი საჯდომ ბალიშზე საშუალოდ არის მიმაგრებული.

მარცვალი ღია მწვანეა, მზის მხრიდან მოწითალო-ქარვის ფერი. იგი საშუალო სიდიდის ან საშუალოზე მცირეა; სიგრძით 12.5 — 15.6 მმ-ი და სიგანით 12.3 — 15.5 მმ-ი. ფორმით მომრ-



სურ. 4. საკმიელას ყვავილი.

გვალო, შუა წელში უფრო განიერი, ბოლო მომრგვალებული აქვს და სიმეტრიული. საკმაოდ სქელკანიანია, ტკბილი და სასიამოვნო გემოთი. მარცვლის კანი ფიფქით მცირედ არის დაფარული.

მარცვალში 1 — 3 ცალი წიბწაა; უფრო ხშირად გვხვდება 1 წიბწა. მისი სიგრძე უდრის 7 — 8 მმ-ს, სიგანე 4 — 4.5 მმ-ს. ყავისფერია ან მოყვითალო-წაბლისფერი; მუცლის მხარე კი მოყვითალო. ქალაძა მოგრძო-ოვალურია; იშვიათად სამკუთხედისებრი. იგი მოთავსებულია ზურგის მხარის შუა წელში. ზურგის მხარე გლუვია. ნისკარტის სიგრძე 1 — 1.5 მმ-ს აღწევს.

აგრობიოლოგიური დახასიათება. საკმიელას სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა აღმოსავლეთ გურიის მიკრორაიონებში 240 დღემდე აღწევს. ვაზი გამოღვიძებას იწყებს 1 აპრილიდან. კვირტების გამოფურჩქენა იწყება 5 — 6 აპრილიდან. ყვავილობა იწყება მაისის ბოლოდან და 8 — 10 ივნისამდე მთავრდება. ყურძნის შეთვალება იწყება 10 — 15 აგვისტოდან და მასობრივ მწიფობაში 1 ოქტომბრიდან შედის. ფოთოლცვენა იწყება ნოემბრის პირველ ნახევარში და მთავრდება ნოემბრის ბოლოსათვის.

რქები სრულად დამწიფებას ასწრებს ყურძნის მასობრივი სიმწიფის პერიოდისათვის და ჯიშის დამახასიათებელ ელფერს ღებულობს.

ვაზი ძლიერი ზრდისაა, რასაც იგი ამჟღავნებს ყლორტების პირველადი ზრდის დასაწყისშივე. მიუხედავად მოუვლელობისა (მალღარად აღზრდის გამო სხვლა, გაფურჩქენა, წამლობა და სხვა აგროტექნიკური ოპერაციები არ წარმოებს), ცალკეული რქების სიგრძე ხშირ შემთხვევაში 3 მეტრამდე აღწევს. ახასიათებს უხვი მოსავალიანობა. რქაზე ხშირად ვხვდებით 2 მტევანს. ძველი ნაწილებიდან განვითარებული ყლორტები მოსავალს არ იძლევა.

დაკვირვებით დადასტურდა, რომ აღნიშნული ჯიში გრძელი სხვლის მომთხოვნია. მასობრივად გამრავლების შემთხვევაში საჭიროა მიეცეს ამაღლებული შტამბი და ვაზი დაიტვირთოს რამდენიმე საკავებლით. ამინდის ხელსაყრელ პირობებში მალღარად აღზრდილი ერთი ძირი ვაზის მოსავალი ხშირად 60 — 70 კილოგრამამდე აღწევს.

სოკოვანი ავადმყოფობანი საგრძნობლად ვნებს, განსაკუთრებით კი ნაცარი.

სამეურნეო დახასიათება. საკმიელას მტევნის საშუალო წონა 126 გრამს უდრის. კლერტის წონა 4.2 გრამია, წიბწების წონა უდრის 6.2 გრამს და ჩენჩოს წონა 16.4 გრამს; სულ კლერტის, წიბწებისა და ჩენჩოს წონა უდრის 26.8 გრამს, რაც მტევნის საშუალო წონის 21.3%-ს შეადგენს. დანარჩენი 78.7% წვენია, რაც სავსებით მისაღებად ჩაითვლება საღვინედ განკუთვნილი ჯიშისათვის.

დიდი მტევნის წონა უდრის 166 გრამს და მცირესი კი 95 გრამს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

100 მარცვლის საშუალო წონა 201 გრამს უდრის. წიბწების რაოდენობა 100 მარცვალში 144 ცალამდეა, წონით 6.1 გრამი. [აქედან ერთწიბწიანი შეადგენს 60%-ს, ორწიბწიანი 37%-ს და სამწიბწიანი 3%-ს. კანი რბილობს, იდეილად სცილდება.

ყურძნის სრული სიმწიფის პერიოდში ტკბილის შაქრიანობა 19.8%-ს შეადგენს და საერთო მჟავიანობა 8.5%-ს.

ვაზზე დატოვებული ყურძენი ნოემბრამდე სძლებს. დაკრეფილი კი საზამთროდ არ ინახება.

ყურძნის გემოვნებითი თვისებების, ქიმიური შედგენილობისა და თვით მარცვლის კონსისტენციის მიხედვით, საკმიელა მიეკუთვნება ხარისხოვანი ღვინის ჯიშთა ჯგუფს. ამასთანავე, როგორც უხვმოსავლიანი და სხვა ჯიშებთან შედარებით აღრეულა მწიფობის უნარიანი, იგი ფართო ყურადღების ღირსია. მისი მაობრივად გაშენება, ნამყენების სახით, ფილოქსერის გამძლე საძირებზე, მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ გურიის მთისპირა სოფლებში.

САКМИЕЛА

Листья средней величины, длиной 15.5—18.0 см и шириной 14.5—16.7 см,—округлые или слегка овальные и слабо разрезные.

Черешковая выемка открытая и сводчатой формы, с округлым или плоским дном; встречается также закрытая выемка, а равно лировидной формы с плоским дном. Лопастные выемки состоят из 4 нервов.

Верхние вырезки слабо намечены, или расположены в виде входящего угла; встречаются также вырезки щелевидной формы, с острым дном и узким отверстием. Нижние вырезки едва намечены.

Лист трехлопастный. Угол оконечной лопасти—тупой.

Оконечные зубцы лопастей узкотреугольные или треугольные, с острой вершиной; встречаются и треугольные зубцы, с выпуклыми сторонами и острой вершиной, а также пиловидно-треугольные.

Поверхность листа сетчато-морщинистая, иногда мелкопузырчатая и гладкая; по форме плоская или воронковидно-желобчатая. Пластинка покрыта снизу сероватого цвета паутинисто-волосистым пушком.

Отношение черешка к длине среднего нерва 1.0—1.1; черешок со следами волосков, светлозеленого цвета.

Плодоносные побеги средней толщины, коричневого цвета. Узлы окрашены темнее, чем междоузлия. Длина междоузлий 7—12 см.

Цветы обоеполые.

Появление первых признаков созревания винограда наблюдается в промежутке 1—15 чисел августа; массовое созревание наступает с 1-го октября.

Длина ножки грозди 4—6.5 см, длина грозди—12—14 см, ширина—8—10 см.

Общая форма грозди цилиндрическо-коническая, реже—цилиндрическая, иногда крылатая, средней плотности; встречаются и рыхлые гроздья.

Длина ножки ягод с подушечкой 4—6 мм; ножка зеленого цвета. Подушечка бородавчатая и узко-коническая, реже широко-коническая.

Ягода светлозеленая, а с солнечной стороны янтарного цвета; почти средней величины, длиной 12.5—15.6 мм. и шириной 12.3—15.5 мм.; округлая, посередине широкая, у конца округлая и симметричная. Мякоть более сочная и менее мясистая, с очень сладким и приятным вкусом. Кожица нетолстая.

Количество семян в ягоде 1—3 шт., чаще 1. Длина семени 7—8 мм; семя коричневого или желтокаштанового цвета. Халаза овальная, реже—треугольная. Спинная сторона гладкая. Длина клюва достигает 1—1.5 мм.

Сакмисла — в основном винный сорт. Довольно урожайный. По сравнению с другими сортами поспекает рано, отчего местные жители употребляют его виноград в свежем виде, либо же готовят из него вино. Виноград зимой не сохраняется. До появления грибных заболеваний и филлоксеры „маглари“ Сакмисла культивировался довольно в большом количестве почти по всей Гурии. В настоящее время данный сорт встречается только в единичных экземплярах в сел. Бахви, Вазисубани, Шемокмеди, Лихаури. Сорт заслуживает внимания и разведения вместе с другими интересными сортами Гурии, особенно в восточной и западной ее частях.



საქართველოს
ბოტანიკური ინსტიტუტი

საკმეღა — Сакмиела

ს ა მ ა რ ხ ი



ქართული
ენციკლოპედია

სამარხი თეთრყურძნიანი ჯიშია. ლიტერატურული წყაროების მიხედვით იგი გურიის უძველეს ჯიშად არის ცნობილი. ასე, მაგალითად, აკად. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით (1) „სამარხი ვითარცა ყურძნის შესანახი ჯიშის ზოგადი სახელი ძალიან ძველი უნდა იყოს. მაინცა და მაინც მე-10 საუკუნეზე მერმინდელად მისი მიჩნევა არ შეიძლება იმიტომაც, რომ გურიაში ეს ტერმინი მე-8 — 9 საუკუნეში ქართლ-მესხეთიდან გადახიზნული მოსახლეობისაგან უნდა იყოს შეტანილი“. თვით სახელწოდება „სამარხი“, იმავე ავტორის მიხედვით, შესანახავის აღმნიშვნელი უნდა იყოს, ე. ი. ისეთი ყურძნის ჯიშის დამახასიათებელი სახელია, რომელიც შესანახავადაა განკუთვნილი. ამასვე ადასტურებს აგრეთვე ავრ. ე. ნაკაშიძე (16), რომლის მიხედვით სამარხი საუკეთესო სუფრის ყურძნის ჯიშად ჩაითვლება შენახვის დიდი უნარიანობით.

ჩვენს მიერ მრავალი წლის მანძილზე წარმოებული დაკვირვებით დასტურდება ზემო აღნიშნულ ავტორთა შეხედულება. სამარხი სამართლიანად ჩაითვლება ხარისხოვანი სუფრის ყურძნის ჯიშად როგორც მტევნების გარეგნული სილამაზით, ისე მარცვლის კონსისტენციით და გემოვნებითი თვისებებით.

სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის შემოჭრამდე, როგორც აღმოგვეჩვენა, სამარხი ფართოდ ყოფილა გავრცელებული გურიის რაიონებში და მის პროდუქციას ადგილობრივი მოსახლეობა ყურძნად იყენებდა. ვაზები აღზრდილი იყო მალღარების სახით და, მიუხედავად მოუვლელობისა, საკმაო მოსავლიანობით ხასიათდებოდა. სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის მოქმედების შედეგად აღნიშნული ჯიში თითქმის გადაშენდა და ამჟამად მისი მხოლოდ რამდენიმე ძირი არის გადარჩენილი მალღარების სახით დასავლეთ გურიის მხარეში (მახარაძის რაიონში).

ბოტანიკური აღწერა და სამეურნეო დახასიათება. ზრდის კონუსი მოთეთრო-მონაცრისფროა და უხვად არის დაფენილი თეთრი ფერის ბეწვისებრი ბუსუსით. ახლად გაშლილი პირველი ფოთოლი როგორც ზემოდან, ისე ქვედა მხრიდან ქეჩისებურად არის დაფენილი ბეწვისებრი ბუსუსით. ასეთივე შებუსვა ახასიათებს ფოთლის ყუნწსაც. მომდევნო მეორე და მესამე ნორჩი ფოთლები ზედა მხრიდან მომწვანოა და მცირედ არის შებუსული მოთეთრო ფერის გრძელი ბუსუსებით. შებუსვა შემდგომ მომდევნო ფოთლებზე თანდათანობით ქრება. ქვედა მხრიდან მათი შებუსვა თითქმის ქეჩისებრია. ბუსუსი ბეწვისებრია და მონაცრისფრო, რომელიც მომდევნო ფოთლებზე ნაცრისფერში გადადის.

ახალგაზრდა ყლორტი მრგვალია და თითქმის მწვანე. დაფარულია გრძელი მეჩხერი ბუსუსებით. შებუსვა უფრო ძლიერდება ყლორტის წვერისაკენ.

შემოსული რქა საშუალო სიმსხოსია და ღია ყავისფერი. მუხლები უფრო მუქად არის შეფერილი, მუხლთშორისის სიგრძე აღწევს 8 — 12 სმ-ს.

ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალო სიდიდისაა და საერთო მოყვანილობით მომრგვალო ან განივ-ოვალური. მისი საშუალო სიგრძე აღწევს 13 — 16 სმ-ს და სიგანე — 13.5 — 15.9 სმ-ს. მცირედ დანაკეთულია.

ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ღია და ისრისებრია, იშვიათად — თლისებრი. ზოგ შემთხვევაში გვხვდება დახურული ამონაკვეთი, ვიწრო ელიფსური ნასვრეტით. ამონაკვეთის ნაკვეთები სამი და იშვიათად ოთხი ძარღვისაგან შედგება.

ზედა ამონაკვეთი მცირედ დანაკეთულია. ქვედა ამონაკვეთი უმნიშვნელოდ არის ჩაჭრილი.

ფოთოლი სამნაკვეთიანია. წვერის ნაკვეთი ფოთლის ფირფიტასთან ქმნის ბლაგვ კუთხეს.

ნაკვეთთა წვერის კბილები განიერ-სამკუთხედისებრია, მახვილი წვერით, ან გუმბათისებრია, მომრგვალებული წვერით. მეორადი კბილები მომრგვალო-სამკუთხედისებრია.

ფოთლის ქვედა მხარე საკმაოდ არის შებუსული მონაცრისფრო ბეწვისებრი ბუსუსით. მისი ზედა მხარე გლუვია ან ბადისებურად არის დანაკეთებული. ფირფიტა ბრტყელია, იშვიათად ძაბრმაგვარ-ღარისებრი. მთავარი ძარღვები საკმაოდ არის დაფარული ბეწვისებრი ბუსუსით.

ფოთლის ყუნწის შეფარდება შუა მთავარ ძარღვთან უდრის 0.7 — 0.9-ს. იგი შიშველია და მომწვანო-იისფერი. დასავლეთ გურიაში სამარხი ყვავილობას იწყებს 10 — 12 ივნისიდან და 25 ივნისამდე ამთავრებს. ყვავილი ორსქესიანია, ნორმალურად განვითარებული მტვრიანებით და ბუტკოთი. ყურძნის შეთვალვა იწყება სექტემბრის პირველი რიცხვებიდან და მასობრივ სიმწიფეში მუდის ნოემბრის პირველი რიცხვებიდან.

მტევნის ყუნწის სიგრძე აღწევს 5 — 8 სმ-ს, მტევნის სიგრძე — 16 — 21 სმ-ს, სიგანე 8 — 14 სმ-ს. მისი საერთო ფორმა კონუსისებრია ან ცილინდრულ-კონუსისებრი; განტოტვილია და თხელი. გვხვდება საშუალო სიმკვრივის მტევნებიც. მუხლიდან განვითარებული განტოტვა ხშირად აღწევს მტევნის სიგრძის ნახევარს. მტევნის ყუნწი კლერტით ბალახმაგვარია, ღია მწვანე-მოყვითალო ელფერით.

მარცვლის ყუნწის სიგრძე საჯდომი ბალიშით 6 — 9 მმ-ს აღწევს. ყუნწი მოყავისფროა. საჯდომი ბალიში გლუვია და განიერ-კონუსისებრი. მარცვალი მტკიცედ არის მიმაგრებული საჯდომ ბალიშზე. მარცვალი ღია მწვანეა, მზის მხრიდან ღებულობს მუქ-ქარვისფერს. საკმაოდ სქელკანიანია, მკვრივი რბილობით. მარცვლის კანი მკირედ არის დაფარული ფიფქით.

წიპწის რაოდენობა მარცვალში 1 — 4 ცალს აღწევს, სქარბობს 2 წიპწა. მისი სიგრძე უდრის 7 — 8 მმ-ს, სიგანე — 4 — 5 მმ-ს. ღია ყავისფერია, მოყვითალო ელფერით. ქალაძა მოთავსებულია ზურგის მხარის შუა ნაწილში და მოგრძო-ოვალურია. ნისკარტის სიგრძე 1.5 — 2 მმ-ს აღწევს.

როგორც ხარისხოვანი პროდუქციის მომცემი სუფრის ყურძნის ჯიში, სამარხი ყურადღების ღირსია. მისი მასობრივად გავრცელება მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული გურიის ზეგან და მთისპირა მიკრორაიონებში.

САМАРХИ

Листья средней величины, длиной 13—16 см, шириной 13.5—15.9 см. Слабо разрезные.

Черешковая выемка открытая и стрельчатая; реже сводчатая. Встречается, но редко, закрытая выемка с узко-эллиптическим просветом. Лопастни черешковой выемки состоят из 3-х или 4-х нервов.

Верхние вырезки поверхностные. Нижние вырезки едва намечены.

Лист трехлопастный. Угол оконечной лопасти тупой.

Оконечные зубцы лопастей широко-треугольные с острой вершиной, или куполообразные с округленной вершиной. Вторичные зубцы округлотреугольные.

Поверхность листа гладкая или сетчато-морщинистая, плоская, реже воронковидно-желобчатая. Пластинка листа покрыта снизу волосистым покровом серого цвета.

Отношение черешка к длине среднего нерва 0.7—0.9. Черешок обычно голый, зеленовато-фиолетового цвета.

Цветы обоюпоые.

Появление первых признаков созревания винограда наблюдается в начале сентября; массовое созревание наступает с первого ноября.

Длина ножки грозди достигает 5—8 см, длина грозди — 16—21 см, ширина — 8—14 см. Гроздь коническая или цилиндрическо-коническая, ветвистая, рыхлая, реже средней плотности. Ножка грозди с гребнем травянистая и светлозеленая, с желтоватым оттенком.

Длина ножки ягоды с подушечкой 6—9 мм; сама ножка светлокорицевого цвета. Подушечка гладкая и ширококоническая.

Ягода светлозеленая, с солнечной стороны темноянтарного цвета, средней величины, длиной 14.7 мм и шириной 13.6 мм, посередине широкая и симметричная. Кожица толстая и твердая. Мякоть довольно сочная и мясистая.

Количество семян в ягоде 1—4 шт, чаще 2 шт. Длина семени 7—8 мм, ширина — 4—5 мм; семя светлокорицевого цвета с желтоватым оттенком. Халаза удлинено-овальная. Длина клюва достигает 1.5—2 мм.

Самархи — столовый сорт местного значения. Виноград хорошо сохраняется и транспортоустойчив. До появления грибных болезней и филлоксеры данный сорт имел массовое распространение в виде „маглари“ во многих селах западной Гурии; По свидетельству аборигенов Самархи большей частью сохранялся на зиму, а также приготавливали из него довольно качественное вино для местного потребления. В настоящее время единичные экземпляры этого сорта на „маглари“ встречаются лишь в окрестностях гор. Махарадзе и сел. Шемокмеди. Сорт заслуживает внимания и разведения привитыми саженцами, особенно в предгорных районах Гурии.



სამარხი — Самархи

თ ე თ რ ი მ ა უ რ ი



ქართული
საბჭოთაო
აკადემია

თეთრი მაური გურიის ვაზის აბორიგენული ჯიშია.

მოკლე დახასიათება ამ ჯიშის შესახებ, ჩვენს მიერ მიწოდებული მასალების მიხედვით მოცემულია პროფ. ს. ჩოლოყაშვილის შრომაში (3). აღნიშნული ავტორი თეთრ მაურს აკუთვნებს გურიის დაბალხარისხოვან ღვინის მომცემ ჯიშთა ჯგუფს. აკად. ი. ჯავახიშვილის (1) და P. Vianna-ს (26) შრომებში დასახელებულია აგრეთვე შავყურძნიანი მაურიც, მაგრამ დახასიათება სმათ მოცემული არა აქვთ.

აკად. ი. ჯავახიშვილი ლინგვისტური კვლევის საფუძველზე აყენებს მოსაზრებას გურიის მაურისა და იმერული „ნაურის“ იდენტურობის შესახებ, მაგრამ სათანადო მყარი მასალების უქონლობის გამო აღნიშნული საკითხი შემდგომ დეტალურ კვლევას მოითხოვს.

გურიის და განსაკუთრებით მის აღმოსავლეთ მხარეში ძველთაგან თეთრი მაურის მალღარების აახით არსებობა მტკიცდება მეტად ხნოვანი ვაზის ძირების არსებობით. თვითოეული ასეთი ძირი ამჟამადაც გვხვდება უმთავრესად სოფ. კოხნარის, ფარცხმისა და ვაზისუბნის მიდამოებში. მოხუც პირთა გადმოცემით თეთრი მაური წარსულში ფართოდ არ ყოფილა გავრცელებული, ვინაიდან მისი პროდუქციის ხარისხი ბევრად ჩამორჩებოდა ამავე მხარეში გავრცელებულ სხვა ვაზის ჯიშთა პროდუქციას (ჩხავერი, საკმიელა, კლარჯული, თეთრი კამური და სხვ.). მაურის ყურძენს წარსულში ადგილობრივი მოსახლეობა ძირითადად საქმელად იყენებდა; აგრეთვე მისგან ამზადებდნენ ადგილობრივი მნიშვნელობის საოჯახო სასმელ ღვინოებსაც.

სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის მოქმედების შედეგად თეთრი მაურის მალღარები მეტისმეტად შემცირდა. გადარჩენილი თითო-ორი ძირები ამჟამად გვხვდება მხოლოდ სოფ. კოხნარსა, ზემოფარცხმაში და ვაზისუბანში. ვაზები მალღარად აღზრდის გამო სრულიად უყურადღებოდაა მიტოვებული, რის შედეგადაც ისინი მოსავალს მხოლოდ შემთხვევით პირობებში იძლევა.

ბოტანიკური აღწერა. კვირტები გაშლის პერიოდში თეთრია, მოწითალო ელფერით, და დაფარულია ქეჩისებურად მოთეთრო ფერის ბუსუსით. ახლად გაშლილი პირველი ნორჩი ფოთოლი ღიაშფავანია და ზემოდან დაფარულია მოთეთრო ფერის ბუსუსით, ქეჩისებურად. შემუსვა ქვედა მხრიდანაც ქეჩისებურია, მხოლოდ დასდევს მოწითალო ელფერი. ფოთლის ყუნწი ხშირად მოწითალო-ღვინისფერია და შებუსულია ნაცრისფერი ბუსუსით. მომდევნო მეორე და მესამე ნორჩი ფოთლები ღიაშფავანია. ზედა მხრიდან მეორე ფოთოლი საგრძნობლად არის დაფარული მონაცრისფრო ბუსუსით, განსაკუთრებით ძარღვებს შორის არეებში. მესამე ფოთოლი კი უფრო სუსტადაა დაფარული ბუსუსით. როგორც მეორე, ისე მესამე ფოთლის შემუსვა ქვემოდან ქეჩისებურია, ოდნავ მოწითალო ელფერით. ბუსუსი ბეწვისებურია და მონაცრისფრო.

ახალგაზრდა ყლორტი მრგვალია და საკმაოდ არის დაფარული მონაცრისფრო ბუსუსით. შემუსვა უფრო მატულობს ყლორტის წვერისაკენ და ხშირ შემთხვევაში ამ ზონაში მას მოწითალო ელფერი აქვს.

შემოსული რქა საშუალო სიმსხოსია ან საშუალოზე წვრილი. ღიაწაბლის ფერია. მუხლები უფრო მუქად არის შეფერილი. მუხლთშორისის სიგრძე აღწევს 8 — 13 სმ-ს.

ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალოზე მცირეა; მისი სიგრძე 11.9 — 14.2 სმ-ს აღწევს, სიგანე — 11.1 — 12.2 სმ-ს. იგი მომრგვალო ან ოდნავ ოვალურია.

ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი თალისებურია, ბრტყელი ან ოდნავ მომრგვალო ფუძით; ან ასევე თალისებურია, მხოლოდ თანასწორი გვერდებით.

ფოთლის ზედა ამონაკვეთი ღია და საკმაოდ ჩაჭრილია. ქვედა ამონაკვეთი ძლიერ მცირედ არის ჩაჭრილი.

ფოთოლი სამნაკვეთიანია. წვერის ნაკვეთი ფოთლის ფირფიტასთან ქმნის სწორ კუთხეს, იშვიათად კი ბლავეს.


ნაკეთია წვერის კბილები წესიერ-სამკუთხედისებრია, ან სამკუთხედისებრი მომრგვალებული წვერით, გვხვდება აგრეთვე სამკუთხედისებრი, ამოხნეკილი გვერდებითა და წამახვილებული წვერით-ფოთლის დანარჩენი კბილები ასევე სამკუთხედისებრია მომრგვალებული წვერით, ან ამოხნეკილი გვერდებითა და წამახვილებული წვერით.

ფოთლის ქვედა მხარე ნაბდისებრია; მისი ზედა მხარე ბადისებრად არის დანაოქებული. ზოგჯერ იგი სავსებით გლუვია. ფირფიტა ბრტყელია; იშვიათად ნაპირები ქვემოთ აქვს ჩამოშვებული, მთავარი ძარღვები სუსტად არის შებუსული და ღიაშფანა.

ფოთლის ყუნწის შეფარდება შუა მთავარ ძარღვთან 0.6 — 0.7-ს უდრის. იგი მცირედ შებუსული და ღიაშფანე ვარდისფერია.

ახასიათებს ფუნქციონალურად მდებრობითი სქესის ყვავილები. მტვრიანები მოკლე და მოკაკვილია. ყვავილში 5 მტვრიანაა, გვხვდება, მხოლოდ იშვიათად, 4 მტვრიანაც. ყვავილედში ყვავილების რაოდენობა 110 — 165 ცალამდე აღწევს (სურ. 7).

მტევანი და მარცვალი. თეთრი მაურის მტევნის საშუალო წონა 50 გრამამდე აღწევს. მარცვლების რაოდენობა მტევანზე 35 — 40 ცალამდე მერყეობს. კლერტის წონა შეადგენს 5.4% -ს,



სურ. 7. თეთრი მაურის ყვავილი

კანის — 13.1% -ს, წიბწის — 6.5% -ს და წვენის — 77.2% -ს. 100 მარცვლის წონა 135 გრამია. ყოველ 100 ცალ მარცვალში 169 ცალი წიბწია, რომლის საერთო წონა 8.0 გრამს აღწევს. ერთწიბწიანი მარცვალი შეადგენს 60% -ს, ორწიბწიანი — 20% -ს, სამწიბწიანი — 11% -ს და ოთხწიბწიანი — 9% -ს. დიდი მტევნის წონა უდრის 55 გრამს და მცირესი კი — 32 გრამს. მტევნის ყუნწის სიგრძე 3.5 — 4.5 სმ-ს აღწევს. მტევნის სიგრძე — 7 — 11 სმ-ს, სიგანე — 5.5 — 8 სმ-ს.

მტევნის საერთო ფორმა ცილინდრული ან ცილინდრულ-კონუსისებრია. მტევანი თხელია, იშვიათად საშუალო სიმკვრივის. მტევნის ყუნწი კლერტით ბალახმაგვარია და მომწვანო ფერის.

მარცვლის ყუნწის სიგრძე საჯდომი ბალიშით 4 — 7 მმ. აღწევს. იგი მწვანეა. საჯდომი ბალიში საკმაოდ დამეკვებული და ვიწრო-კონუსისებრია. მარცვალი საჯდომ ბალიშზე სუსტად არის მიმაგრებული.

მარცვალი ღიაშფანეა, თითქმის საშუალო სიდიდის, სიგრძით აღწევს 12.8 — 14.5 მმ-ს და სიგანით 12.4 — 14.2 მმ-ს. იგი თითქმის მრგვალია. შუა წელში განიერი, ბოლო მომრგვალებული აქვს და სიმეტრიულია. მცირედ ხორციანია და უფრო წვნიანი, უბრალო ტკბილი გემოთი. თელკანიანია; მარცვლის კანი ფიფქით მცირედ არის დაფარული.

მარცვალში 1 — 4 ცალი წიბწია. უფრო ხშირად გვხვდება 1 წიბწა. მისი სიგრძე აღწევს 6 — 7 მმ-ს, სიგანე — 3 — 3.5 მმ-ს. იგი მუქი ყავისფერია, მუცლის მხრიდან ღარების გასწვრივ კი მოყვითალო. ქალაძა მოთავსებულია შუა ნაწილში. იგი ოვალურია და იშვიათად მომრგვალო. ნისკარტის სიგრძე 1.5 — 2 მმ-ს აღწევს.

აგრობიოლოგიური და სამეურნეო დახასიათება. თეთრი მაურის საფეგეტაციო პერიოდის საერთო ხანგრძლიობა სოფ. ვახისუბანის ზონაში 220 დღემდე აღწევს. ვახი იღვიძებს აპრილის პირველი რიცხვებიდან. ყვავილობა იწყება 1 ივნისიდან და მთავრდება 15 ივნისამდე. ყურძენი შეთვალებაში შედის აგვისტოს ბოლო რიცხვებიდან და სრულ მწიფობაში — 10 ოქტომბრიდან. ფოთოლცვენა იწყება ნოემბრის შუა რიცხვებიდან და ნოემბრის ბოლომდე მთავრდება.



თეთრი მაური — Тетри Маури

ყურძნის სიმწიფის პერიოდისათვის თეთრი მაურის რქები ასწრებს სრულ მომწიფებას და ამ დროისათვის ჯიშის დამახასიათებელ ელფერს ღებულობს.

ვაზის ზრდა-განვითარება საშუალო ან საშუალოზე მცირეა. იგი მცირე მოსავლიანობით ხასიათდება. მიუხედავად იმისა, რომ რქაზე ხშირად ორი მტევანია განვითარებული, ისინი წონით არ აღემატება 45 — 60 გრამს. ამინდის ხელსაყრელ პირობებში ერთ ძირიდან 8 — 10 კგრ. ყურძენი მოსავლიანობა იხსნება ყვავილების დეფექტურობით, რაც შეიძლება გამოწვევდეს იქნეს მხოლოდ ხელოვნური განაყოფიერების გზით.

როგორც ფუნქციონალურად მდებარეობითი სქესის მქონეს, მაურს ახასიათებს ყვავილცვენა, რაც 35% -მდე აღწევს. მტევანში წვრილი მარცვლების რაოდენობა უდრის 5 — 7% -ს. წვრილი მარცვლები აღწევს სრულ სიმწიფეს და ხშირად წიპწას არ ივითარებს.

სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ აღნიშნული ჯიში სუსტ გამძლეობას იჩენს, განსაკუთრებით ძლიერად ავადდება ქრავისაგან.

მწიფე ყურძნის ტკბილში შაქრიანობა აღწევს 16 — 17% -ს და საერთო შეავიანობა — 8.7% -ს.

თეთრი მაური, როგორც მცირემოსავლიანი და ამავე დროს დაბალხარისხოვანი პროდუქციის მომცემი, ნაკლებ საინტერესოა ჯიშია. მისგან დაყენებული ღვინო მცირე ალკოჰოლიანობის გამო შენახვის უნარს მოკლებულია და ტრანსპორტსაც ვერ იტანს.

ვაზზე დატოვებული ყურძენი არ ინახება, მოკრეფილი კი რამდენიმე დღის შემდეგ ღებება. ამავე დროს ყურძენი ტრანსპორტსაც ვერ იტანს.

როგორც ნაკლებ საინტერესოა ჯიში, თეთრი მაურის გავრცელება დასაშვებია მხოლოდ საკულტურო ნაკვეთებში.

ТЕТРИ МАУРИ (БЕЛЫЙ МАУРИ)

Листья небольшие, длиной 11.9—14.2 см и шириной 11.1—12.2 см; округлые или слегка овальные. Черешковая выемка сводчатая, с плоским или слегка округлым дном, или сводчатая, но равно-сторонняя.

Верхние вырезки открыты и расположены в виде входящего угла. Нижние вырезки едва намечены. Лист трехлопастный. Угол оконечной лопасти прямой, реже тупой.

Оконечные зубцы лопастей треугольные, с округленной вершиной; встречаются также треугольные, с выпуклыми сторонами и острой вершиной. Вторичные зубцы по форме сходны с оконечными зубцами лопастей.

Поверхность листа сетчато-морщинистая или гладкая. По форме плоская, края иногда отогнуты вниз. Пластинка листа покрыта снизу густым войлочным покровом.

Отношение черешка к длине среднего нерва 0.6—0.7; черешок со следами волосков, зеленоватого либо светлорозового цвета. Плодоносные побеги округлые, почти средней толщины и светлокаштанового цвета. Узлы окрашены темнее, чем междоузлия. Длина междоузлий—8—13 см.

Цветы функционально-женские.

Первые признаки созревания винограда наблюдаются в начале сентября; массовое созревание наступает со второй половины октября.

Длина ножки грозди—3.5—4.5 см, длина грозди—7—14 см, ширина—5.5—8 см; количество ягод на грозди 35—40 шт. Общая форма грозди цилиндрическая или цилиндрическо-коническая, рыхлая, реже—средней плотности. Средний вес грозди достигает до 50 гр.

Длина ножки ягоды с подушечкой 4—7 мм.; ножка зеленого цвета. Подушечка достаточно бородавчатая и узкоконическая.

Ягода светлозеленого цвета, средней величины, длиной 12.8—14.5 мм и шириной 12.4—14.2 мм; почти круглая, посередине широкая, у конца округлая и симметричная. Мякоть более сочная и менее мясистая, с обыкновенным простым вкусом; кожица тонкая.

Количество семян в ягоде 1—4 шт., чаще 1. Длина семени 6—7 мм., ширина—3—3.5 мм.; семя темнокоричневого цвета. Халаза овальная, реже округлая. Длина клюва 1.5—2 мм.

Тетри маури—малоурожайный сорт. Виноград не сохраняется и транспорта не выдерживает. Сорт в прошлом не имел массового распространения. Он и в настоящее время не представляет особого интереса, тем более, что дает низкокачественный материал для вин. В настоящее время Тетри-маури в виде маглари встречается только в сел. Кохвари, Земо-Парцхма и в окрестностях Саджевахо.

თ ქ ვ ლ ა უ ა



თქვლაფა — გურიის თეთრყურძნიანი ვაზის აბორიგენული ჯიშია.

წარსულში თქვლაფას გავრცელების არეალი მხოლოდ შუა და ზემო გურიის მთიანეთს შეეზღო. იგი გავრცელებული იყო მალღარების სახით და ყოველგვარი მოვლის გარეშე ხასიათდებოდა საკმაოდ მძლავრი ზრდა-განვითარებით და უხვი მოსავლიანობით. ამჟამად დროს, მომეტებული წვნიანობის გამო, ჯიშს ახასიათებდა მეტად უხვი გამოსავლიანობა, რის გამოც, ადგილობრივი მოსახლეობა თქვლაფას ყურძენს იყენებდა უბრალო ღირსების საოჯახო მოხმარების ღვინოების დასამზადებლად.

სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის მოქმედების შედეგად თქვლაფას მალღარები მეტისმეტად შემცირდა. თითო-ორიოლა ძირების სახით იგი ამჟამად შერჩენილია სოფ. ფარცხმის, ბურნათის, კახნარისა და საქამიასერის მიდამოებში (ჩოხატაურის რაიონში). დაბლარის სახით თქვლაფას რამდენიმე ძირი გვხვდება აგრეთვე საქამიასერში, — სოფ. კალაგონის ვენახებში.

ბოტანიკური აღწერა და სამეურნეო დახასიათება. ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალო სიდიდისაა; სიგრძით აღწევს 12.9 — 17.8 სმ-ს და სიგანით 12.0 — 16.1 სმ-ს; მომრგვალოა ან ოდნავ ოვალური.

ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი უფრო ხშირად თაღისებრია, მომრგვალო ფუძით და თანასწორგვერდებიანი ნაკვეთებით, იშვიათად კი ჩანგისებრია, მომრგვალო ფუძით.

ფოთლის ზედა ამონაკვეთი მცირედ ჩაჭრილია ან საკმაოდ შეჭრილ კუთხეს ქმნის. ქვედა ამონაკვეთი ოდნავადაა ჩაჭრილი.

ფოთოლი სამნაკვეთიანია. წვერის ნაკვეთი ფოთლის ფირფიტასთან სწორ კუთხეს ქმნის.

ნაკვეთთა წვერის კბილები წესიერ-სამკუთხედისებრია, მომრგვალებული წვერით, ან ასევე წესიერ-სამკუთხედისებრია, ამოზნექილი გვერდებითა და წამახვილებული წვერით. მეორადი კბილები ხერხკბილა-სამკუთხედისებრია, წამახვილებული წვერით.

ფოთლის ქვედა მხარე ქეჩისებრად არის დაფარული ბეწვისებრი ბუსუსით. ზედა მხარე ბადისებურად დანაოჭებულია და უფრო ხშირად ძაბრმაგვარ-ღარისებურად არის მოხრილი. გვხვდება აგრეთვე ბრტყელი ზედაპირის მქონე ფოთლებიც.

მთავარი ძარღვები მცირედ არის შებუსუსული და ღიაფერანა, რომელიც ფუძესთან იისფერში გადადის. ფოთლის ყუნწის შეფარდება შუა მთავარ ძარღვთან 0.8 — 1.2-ს უდრის; იგი მცირედ არის შებუსუსული და იისფერია.

ყვავილობა იწყება მაისის ბოლო რიცხვებიდან. ნორჩი ყლორტები ღიაფერანა და მრგვალი. დაფარულია თხელი მონაცისფრო ბუსუსით; შებუსუსვა უფრო ძლიერდება ყლორტის წვერისაკენ.

ყვავილი ორსქესიანია.

შემოსული რქა საშუალო სისხოსია და რუხი მოწითალო ფერის. მუხლები უფრო მუქადაა შეფერილი. მუხლთშორისის სიგრძე 9 — 17 სმ-ს აღწევს.

ყურძნის შეთვალემა იწყება სექტემბრის პირველი ნახევრიდან, ხოლო მასობრივ სიმწიფეში შედის ოქტომბრის ბოლოდან.

დიდი მტევნის ყუნწის სიგრძე აღწევს 4 — 5 სმ-ს, მტევნის სიგრძე — 11 — 14 სმ-ს. სიგანე 7 — 8 სმ-ს, მტევანზე 50 — 70 ცალი მარცვალია. საშუალო მტევნის ყუნწის სიგრძე აღწევს 4 — 5 სმ-ს, მტევნის სიგრძე — 8 — 10 სმ-ს, სიგანე — 6 — 6.5 სმ-ს; მტევანზე 30 — 50 ცალი მარცვალია.

მტევანი თხელია, ზოგჯერ საშუალო სიმკვრივის და ცილინდრული ან ცილინდრულ-კონუსისებრია. მისი ყუნწი კლერტით მწვანეა და ბალახმაგვარი.

მარცვლის ყუნწის სიგრძე საჯდომი ბალიშით 6 — 10 მმ-ს აღწევს; მწვანეა. ბალიში დამეჭმელებულია და ვიწრო-კონუსისებრი. მარცვალი საჯდომ ბალიშზე სუსტად არის მიმაგრებული.

მსხვილი მარცვლის საშუალო სიგრძე აღწევს 17.5 მმ-ს, სიგანე — 15.8 მმ-ს; საშუალო მარცვლის საშუალო სიგრძე აღწევს 15.2 მმ-ს, სიგანე — 13.4 მმ-ს. მარცვალი საშუალო სიდიდისაა,



თქვლაფა — Тквლაпа

ოვალურია, შუა წელში უფრო განიერია, ბოლო მომრგვალებული აქვს და სიმეტრიულია. იგი ღია-მომწვანოა, თხელკანიანი, მეტად წვნიანი და ნაკლებ ხორციანია. მარცვლის კანზე ფიფქი მცირე რაოდენობით არსებობს.

მარცვალში 1 — 4 ცალი წიპწაა, უფრო ხშირად გვხვდება 1 წიპწა. წიპწის სიგრძე აღწევს 6 — 7.5 მმ-ს, სიგანე — 3 — 3.5 მმ-ს. ღია ყავისფერია, მუცლის მხარეს ღარებში ოდნავ მოყვითალო. ქაღალა მოთავსებულია ზურგის მხარის შუა ნაწილში. ფორმით მომრგვალოა ან ოვალური. ზურგის მხარე გლუვია. ნისკარტის სიგრძე უდრის 1.5 — 2 მმ-ს.

თქვლაფა უხემოსავლიანი და მეტად წვნიანი ჯიშია, მაგრამ იძლევა დაბალხარისხოვან ~~მარცვალს~~ ^{მარცვალს} ციას. ამის გამო მისგან დაყენებული ღვინო არ ინახება და ტრანსპორტსაც ვერ იტანს.

ვაზზე დატოვებული ყურძენი არ ინახება, ადრე ღებება, არც დაკრეფილი ინახება.

აღნიშნულ უარყოფითი თვისებების გამო თქვლაფა ინტერესს მოკლებულია და მისი გავრცელება დასაშვებია მხოლოდ საკოლექციო ნაკვეთებში.

Т К В Л А П А

Листья средней величины, длиной 12.9—17.8 см и шириной 12—16.1 см. Округлые или слегка овальные.

Черешковая выемка сводчатая, с равносторонними лопастями и с округлым дном, реже встречается лировидной формы с округлым дном.

Верхние вырезки слабо разрезные или расположены в виде входящего угла. Нижние вырезки едва намечены.

Лист трехлопастный. Угол оконечной лопасти прямой.

Оконечные зубцы лопастей треугольные с округленной вершиной, или же треугольные с выпуклыми сторонами и острой вершиной; встречаются также пилородно-треугольные, с острой вершиной.

Поверхность листа сетчато-морщинистая; по форме воронковидно-желобчатая, реже — плоская. Пластинка листа покрыта снизу густым волосистым покровом.

Отношение черешка к длине среднего нерва 0.8—1.2; черешок со следами волосков и фиолетового цвета.

Плодоносные побеги средней толщины, бурокрасноватого цвета. Длина междоузлий—9—17 см.

Цветы обоеполые.

Первые признаки созревания винограда наблюдаются в промежутке 1—15 чисел сентября; массовое созревание наступает в конце октября.

Длина ножки грозди 4—5 см, длина грозди—8—14 см, ширина—6—8 см; количество ягод на грозди до 70 шт.

Общая форма грозди цилиндрическая или цилиндрическо-коническая, ветвистая и рыхлая. Ножка с гребнем зеленого цвета и травянистая.

Длина ножки ягоды с подушечкой 6—10 мм; Сама ножка зеленого цвета. Подушечка бородавчатая и узко-коническая.

Ягода светлозеленого цвета, средней величины, овальная, длиной 15.2—17.5 мм и шириной 13.4—15.8 мм, посередине широкая; мякоть очень сочная и менее мясистая, с простым вкусом. Кожица тонкая.

Количество семян в ягоде 1—4 шт., чаще 1. Длина семени 6—7.5 мм, ширина—3—3.5 мм, семя светлокорицевого цвета. Халаза округлая или овальная. Спинная сторона гладкая. Длина клюва 1.5—2 мм.

Тквლაпа—урожайный сорт, но дает низкокачественный материал для вина. Вино Тквლაпа не сохраняется и не выдерживает транспорта. Сорт этот интереса не заслуживает.

Данный сорт культивировался в виде „маглари“ в незначительном количестве в восточной Гурии (сел. Амаглеба, Парцхма, Кохнари, Нога). Вторжение грибных заболеваний и филлоксеры обусловили гибель этого сорта и в настоящее время он встречается лишь в единичных экземплярах в сел. Калагони, Парцхма, Кохнари и Бурнати.

ჩ ხ ა ვ ე რ ი



გურიის ვაზის აბორიგენულ ჯიშებს შორის ჩხავერი ძველთაგანვეა ცნობილი, რომელიც მისი ხარისხოვანი საღვინე ჯიში.

ვაზის სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის შემოჭრამდე ჩხავერი მასობრივად იყო გავრცელებული მაღლარების სახით გურიის თითქმის ყველა რაიონში და განსაკუთრებით მის შუა და ზემო ნაწილის მთისპირა სოფლებში. მოხუც პირთა და აგრეთვე ადგილობრივ მომუშავე პრაქტიკოს-მევენახეთა გადმოცემით, წარსულში ადგილობრივი მოსახლეობა ჩხავერისაგან მასობრივად ამზადებდა მაღალხარისხოვან ღვინოს, რომელიც თავისი სინაზით, გემოვნებითა და ალკოჰოლის ნორმალური შემცველობით განთქმული იყო გურიის რაიონებს გარეშეც. ამაზე მიგვითითებს აგრეთვე აკად. ი. ჯავახიშვილი (1), რომლის მიხედვით ჩხავერი მუქ-ვარდისფერ და სასიამოვნო გემოვნების ხარისხოვან ღვინოს იძლეოდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან სოკოვან ავადმყოფობათა გავრცელებამ (კრაქი, ნაცარი) და შემდეგ ფილოქსერის შემოჭრამ გამოიწვია ამ მეტად მნიშვნელოვანი ჯიშის მასობრივი დაღუპვა, მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა იმ დროს არ იყო გაცნობილი ბრძოლის სათანადო მეთოდებს, რის შედეგად მხოლოდ თითო-ორი გადაარჩა მაღლარების სახით გურიის მთისპირა სოფლებში (ლიხაური, მაკვანეთი, ბახვი, ასკანა, დაბლაციხე, ფარცხმა, კახნარი და სხვ.). მათი მოსაველიანობა და მოსაველის ხარისხი ამჟამად მეტად ცვალებადია.

ჩხავერის მაღლარები მცირე ნარგავების სახით გვხვდება აგრეთვე ქედის რაიონშიაც (აჭარა).

ამ უკანასკნელ წლებში, საქართველოს სსრ სამტრედიის ინიციატივით, ჩხავერის ჯიშის აღდგენის მიზნით სოფ. ბახვის (მახარაძის რაიონი) საბჭოთა მეურნეობაში გაშენდა 14 ჰექტარამდე ჩხავერი. ვაზები დაბლარად არის დაყენებული და დამყნობილი ამერიკულ საძირეებზე. დაბლარი ჩხავერის მცირეოდენი ნარგავები გვხვდება აგრეთვე ცალკეულ მეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე მახარაძისა და ჩოხატაურის რაიონებში. აჭარის ასრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით 1935 წელს ქვედაში მოეწყო ვაზის საკოლექციო ნაკვეთი, სადაც ნამყენ ჩხავერს დაბლარის სახით $\frac{1}{4}$ ჰექტარამდე ფართობი აქვს დათმობილი.

ბოტანიკური აღწერა. კვირტები გაშლის პერიოდში ღიამოთეთროა, მოწითალო ელფერით. ზრდის კონუსი მოთეთრო-მოწითალოა და სქლად არის დაფარული თეთრი ფერის ბეწვისებრი ბუსუსით, რომელიც ხშირად მოწითალო-ღვინისფერში გადადის.

პირველი ახლად გაშლილი ფოთოლი ზედა მხრიდან სქლად არის დაფარული თეთრი ფერის ბეწვისებრი ბუსუსით; ფოთლის ნაპირები და განსაკუთრებით კბილების ფუძე კი მოწითალო-ღვინისფერია. ქვემოდან ფოთოლი ქეჩისებურად არის დაფენილი მოთეთრო ფერის ბეწვისებრი ბუსუსით, რომელსაც ალაგ-ალაგ ემჩნევა მოწითალო ელფერი. ფოთლის ყუნწი მოწითალოა და საკმაოდ არის დაფარული მოთეთრო-მონაცრისფრო ბეწვისებრი ბუსუსით. მომდევნო მეორე ფოთოლი ზედა მხრიდან ღიამწვანეა, განსაკუთრებით ძარღვების გასწვრივ, მოწითალო-ბრინჯაოსებრი ელფერით და დაფენილია თხელ ფენად მონაცრისფრო ბეწვისებრი ბუსუსით; შებუსვა უფრო ძლიერდება ძარღვების გასწვრივ. ქვედა მხრიდან შებუსვა ქეჩისებრია, მოთეთრო-მოწითალო ელფერით. ფოთლის ყუნწი მომწვანო-იისფერია და მცირედ არის დაფარული მონაცრისფრო ბეწვისებრი ბუსუსით. მესამე და მეოთხე ფოთლები ღიამწვანეა, ზედა მხრიდან მოყვითალო-მოიისფრო, რომელიც ხშირად მოიისფრო-ბრინჯაოსებრი ელფერში გადადის. მცირედ არის დაფარული მონაცრისფრო ბეწვებით. ქვედა მხრიდან შებუსვა ქეჩისებრია. ბუსუსი მესამე ფოთოლზე მოთეთრო-მონაცრისფრო, მოწითალო ელფერით და მეოთხეზე კი — მონაცრისფრო. ფოთლის ყუნწი უმნიშვნელოდ არის დაფარული მონაცრისფრო ბუსუსით.

ახალგაზრდა ყლორტი ღიამწვანეა და მზის მხრიდან მოიისფრო, ოდნავაა დაფარული მონაცრისფრო ბეწვისებრი ბუსუსით. შებუსვა უფრო ძლიერია ყლორტის წვერისაკენ.

შემოსული რქა საშუალო სისბოსია ან საშუალოზე მცირე; მოწითალო-ყავისფერია. მუხლთშორისის სიგრძე 8.5 — 15 სმ-ს აღწევს. მუხლები უფრო მუქად აქვს შეფერილი.


ზრდამთავრებული ფოთოლი ღიაშფავანია, ფორმით მომრგვალო და მცირედ დანაკვეთილი. საშუალო სიდიდისაა. მისი სიგრძე აღწევს 16.8 — 18.4 სმ-ს და სიგანე 14.8 — 17.3 სმ-ს.

ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი უფრო ხშირად ჩანგისებრია, ფუძე კი მომრგვალო ან მცირედ-ქაქი რილი; გვხვდება აგრეთვე თაღისებრი ამონაკვეთი, ჩაღრმავებული ან კვადრატული ფუძით.

ზედა ამონაკვეთი უფრო ხშირად მცირედ არის ჩაქრილი, იშვიათად — საკმაოდ ჩაქრილი ან ჩანგისებრი მახვილი ფუძით. ქვედა ამონაკვეთი ოდნავ არის ჩაქრილი.

ფოთოლი სამნაკვეთიანია. წვერის ნაკვეთი ფოთლის ფირფიტასთან ქმნის სწორ კუთხეს, იშვიათად — ბლაგვს.

ნაკვეთთა წვერის კბილები უფრო ხშირად სამკუთხედისებრია, მომრგვალებული წვერით; გვხვდება აგრეთვე კბილები ისევ სამკუთხედისებრი მხოლოდ ამოხნეკილი გვერდებითა და წამახვილებული წვერით, ან ხერხკბილისებრ-სამკუთხედისებრი, ცალგვერდ ჩაზნეკილი.



სურ. 10. ჩხავერის ყვავილი.

ფოთლის ქვედა მხარის შებუსება ქეჩისებრია. მისი ზედა მხარე გლუვია ან ბადისებურად არის დანაკვეთილი. ფოთლის ზედაპირი ბრტყელია; გვხვდება ძაბრმაგვარად მოხრილი ან ნაპირებით ქვემოთ ჩამოშვებული ფოთლებიც.

ფოთლის ყუნწის შეფარდება შუა მთავარ ძარღვთან 1 — 1.2-ს უდრის. ყუნწი შიშველია და ღიაშფავანე ან მოწითალო-ღვინისფერი. ფოთლის ნაპირი კბილებით ზედა მხრიდან ხშირად შეფერილია ღიაყვითელფერად.

ყვავილი ორსქესიანია, ნორმალურად განვითარებული ბუტკოთი და მტვრიანებით. ყვავილში 5 მტვრიანაა. იშვიათად გვხვდება 4 და 6 მტვრიანა. მტვრიანები თითქმის ორჯერ გრძელია ბუტკოზე და საკმაოდ გადახრილია ბუტკოდან. ზოგ ყვავილში მტვრიანები თითქმის ჰორიზონტალურადაა დახრილი. ყვავილების რაოდენობა ყვავილედში 200 — 360 ცალს აღწევს (სურ. 10).

მტევნის ყუნწის სიგრძე 5 — 7 სმ-ს უდრის. მტევანი საშუალო ან საშუალოზე მცირეა, სიგრძით 10 — 15 სმ. და სიგანით 7 — 12 სმ. მარცვლების რაოდენობა მტევანზე 90 — 100 ცალამდე აღწევს. დიდი მტევნის სიგრძე უდრის 17 სმ-ს და სიგანე 12 სმ-ს; მცირე მტევნის სიგრძე — 10 სმ-ს, სიგანე კი — 7 სმ-ს.

მტევნის საერთო ფორმა უფრო ხშირად ცილინდრულ-კონუსისებრია. ზოგ შემთხვევაში ცალფრთიანია. აგებულებით თხელია; გვხვდება აგრეთვე საშუალო სიმკვრივის მტევნებიც. მტევნის ყუნწი 1/3-მდე გახვეებულია, დანარჩენი ნაწილი ბალახმაგვარია და მოშფავანო ფერის.

მარცვლის ყუნწის სიგრძე საჯდომში ბალიშით 5 — 7 მმ-ს აღწევს, მწვანეა. ბალიშში დამეკეჭებულია და ვიწრო-კონუსისებრი; იშვიათად გვხვდება განიერ-კონუსისებრიც. მარცვალი საჯდომ ბალიშზე საკმაოდ მტკიცედ არის მიმაგრებული.

მარცვალი მუქი წითელ-ვარდისფერია, საშუალო სიდიდის ან საშუალოზე მცირე. მისი სიგრძე აღწევს 11 — 13.5 მმ-ს და სიგანე 10.8 — 13.2 მმ-ს. იგი თითქმის მრგვალია. შუა წელში უფრო

განიერი, ბოლო მომრგვალებული აქვს და სიმეტრიულია. მსხვილი მარცვლის სიგრძე აღწევს 13.5 მმ-ს და სიგანე 13.2 მმ-ს; საშუალო მარცვლის სიგრძე აღწევს 11 მმ-ს და სიგანე — 10.8 მმ-ს. მარცვლის კანი არასქელია. რბილობი საკმაოდ ხორციანია და წვნიანი, ტკბილი და სასიამოვნო გემოთი. მარცვლის კანი ფიფქით (ცვილი) საკმაოდაა დაფარული.

მარცვალში 1 — 4 ცალი წიპწაა, სჭარბობს 2 წიპწა. იგი ფორმით მოგრძო-მსხლისებრია, რომელიც ნისკარტისაკენ თანდათანობით ვიწროვდება. წიპწის სიგრძე აღწევს 6 — 7 მმ-ს, სიგანე — 3.5 მმ-ს. მუქი ყავისფერია, ხოლო მუცლის მხრიდან ღარებში — მოყვითალო. ქალაქაში მოხარბობს ზურგის მხარის შუა ნაწილში; ფორმით მოგრძო-ოვალურია. ზურგის მხარე გლუვია. ნისკარტის ფუძე მოყვითალო და წვერი კი მუქი ყავისფერია. მისი სიგრძე 1.5 მმ-ს აღწევს.

აგრობიოლოგიური დახასიათება. ჩოხატაურისა და მახარაძის რაიონებში ჩხავერის სავეგეტაციო პერიოდის საერთო ხანგრძლივობა 235 — 245 დღეს აღწევს. მრავალწლიან დაკვირვებათა საშუალო მონაცემების მიხედვით ვაზის გაღვიძება იწყება მარტის ბოლო რიცხვებიდან, კვირტების წამობერვა-გაფურჩქვნა კი აპრილის პირველი რიცხვებიდან. ყვავილობა იწყება ივნისის პირველი რიცხვებიდან და 14 — 15 ივნისამდე მთავრდება. ყურძენი შეთვალვას იწყებს სექტემბრის პირველ ნახევარში და მასობრივ სიმწიფეში ნოემბრის პირველი რიცხვებიდან შედის. შემოდგომის შეფერვას ფოთლები ჩვეულებრივ დებულობს ნოემბრის პირველ ნახევარში. ფოთოლცვენას ჩხავერი იწყებს ნოემბრის მეორე ნახევრიდან და დეკემბრის პირველი რიცხვებისათვის ამთავრებს. აღნიშნულ რაიონებში შემოდგომის ყინვები არ იცის. ზოგ შემთხვევაში ფოთლების ნაადრევად ჩამოცვენა გამოწვეულია სოკოვან ავადმყოფობათა და განსაკუთრებით ჭრაქის მოქმედებით.

შემოდგომის თბილი პერიოდის მოქმედების გამო ვაზის მწვანე ნაწილები ყურძნის სიმწიფის პერიოდში უკვე მთლიანად მწიფდება. მხოლოდ ზოგ შემთხვევაში რქის წვერები სრულ მომწიფებას ვერ ასწრებს ვეგეტაციის გახანგრძლივებისა და სოკოვან ავადმყოფობათა მოქმედების შედეგად.

ვაზის საერთო ზრდა-განვითარება საშუალოა. ცალკეული რქების სიგრძე ზოგ შემთხვევაში 2.5 მეტრამდე აღწევს.

მოსავლის პირველი ნიშნები ჩხავერს მესამე წლიდან ახასიათებს, სრულ მოსავლიანობაში კი ის შედის 4 — 5 წლიდან. როგორც ავღნიშნეთ, მაღლარად აღზრდილი ჩხავერის მოსავლიანობა მერყევია. მხოლოდ სათანადო მოვლის შედეგად ერთ ძირ მაღლარს შეუძლია მოგვცეს 30 — 40 კგ. ყურძენი; დაბლარად კი მისი მოსავლიანობა აღწევს 1.5 — 2 კგ. მოსავლიანობის კოეფიციენტი 1.5-ს უდრის.

მიუხედავად იმისა, რომ ჩხავერი ხასიათდება ნორმალურად განვითარებული ყვავილებით, ზოგ წლებში, არაბელსაყრელი ამინდის პირობების მოქმედებით ყვავილი სცივია, რაც 10% -მდე აღწევს ხოლმე.

სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ ჩხავერის გამძლეობა მეტად ნაკლებია. განსაკუთრებით სუსტ გამძლეობას იჩენს ის ჭრაქის მიმართ, რის გამოც ადგილობრივი მოსახლეობა ხშირად გაურბის მის მასობრივ გამრავლებას. მოსავლისა და აგრეთვე ვაზის მწვანე ნაწილების საღად შენარჩუნების მიზნით, აუცილებელია ჩხავერის ნარგავების დამატებით 1 — 2-ჯერ შეწამვლა ბორდოს ხსნარით, როგორც სანერგეში, ისე ვენახში.

ზოგ წლებში, ყურძნის სრული სიმწიფის პერიოდში, ხანგრძლივი წვიმების მოქმედების შედეგად მარცვლები მასობრივად ავადდება Botritis -ით, რაც ღვინის ხარისხზე უარყოფით გავლენას ახდენს. მრავალწლიან დაკვირვებათა საფუძველზე დადასტურებულია, რომ როგორც ვაზის საერთო ზრდა-განვითარებისათვის, ისე ხარისხოვანი პროდუქციის მიღებისათვის მიზანშეწონილია ჩხავერის გაშენება მზით განათებულ, კირის საკმაოდ შემცველ ფერდობ ნიადაგებზე. გურიის რაიონებში ზამთრის ყინვების მოქმედებაც მინიმალურია; ვაზი იღვიძებს დროულად და მწვანე ნაწილების განვითარებაც ნორმალურად მიმდინარეობს. ატმოსფერული ნალექების საშუალო რაოდენობა წლიურად 2000 მმ-დე აღწევს და, მიუხედავად ასეთი მოქარბებული ტენიანობისა, როგორც ვაზის რქები, ისე მოსავალიც მომწიფებას ნორმალურად ასწრებს.

სამეურნეო-ტექნოლოგიური დახასიათება. ჩხავერის მტევნისა და მარცვლის მექანიკური ანალიზი შემდეგ სურათს იძლევა: მტევნის საშუალო წონა 133.4 გრამს უდრის. მტევანზე საშუალოდ 100 მარცვალია. საშუალო მტევნის კლერტის წონა 5.56 გრამს უდრის; წიპწების წონა უდრის 7.1 გრამს, კანის წონა — 16.6 გრამს. წვენის გამოსავლიანობა საკმაოდ დიდი ახასიათებს და

იგი აღწევს 73.9 — 80.06% -მდე, საშუალოდ 77.41%, ხოლო ნარჩენები კლერტის, წიპწისა და ქაქის სახით 22.11% -ს შეადგენს.

დიდი მტევნის წონა უდრის 251.9 გრამს, მცირესი კი — 79.8 გრამს.

100 მარცვლის საშუალო წონა 125 — 135 გრამს უდრის. 100 მარცვალში 150 ცალამდე წიპწაა, აქედან ერთ წიპწიანი მარცვლები შეადგენს 14% -ს, ორწიპწიანი — 52% -ს, სამწიპწიანი — 29% -ს და ოთხწიპწიანი — 5% -ს.

გურიის სხვადასხვა რაიონებიდან საანალიზოდ შეკრებილი ყურძნის ტკბილის კუთრი წონა 1.090 — 1.095 უდრის. შაქრის რაოდენობა 19.5 — 21.0% -ს შეადგენს. საერთო მჟავიანობა — 8.1 — 9.6% -ს; ღვინის მჟავა — 3.0 — 3.6. PH — 2.82 — 2.98.

ჩხავერის რთველი მეტად გვიან მიმდინარეობს (10 — 15 ნოემბრიდან). მიუხედავად ამისა, შაქრის აბსოლუტური შემცველობა დიდათ არ იზრდება, რაც აიხსნება შემოდგომის პერიოდში ხანგრძლივი წვიმების გამო მარცვლებში წყლის დაგროვებით. ტკბილს ნორმალური მჟავიანობა ახასიათებს, რაც ევროპული ტიპის სუფრის ღვინოების დასამზადებლად საკვებით მისაღებად უნდა ჩაითვალოს.

ჩხავერის ღვინო შემდეგი ნიშნებით ხასიათდება: იგი ღიავარდისფერია, ნაზი და საკმაოდ ჰარმონიული, ალკოჰოლისა და სიმჟავის ნორმალური შემცველობით.

ღვინის ქიმიური ანალიზის მიხედვით მისი კუთრი წონა 0.9967 — 0.9970 -ს უდრის, ალკოჰოლი — 11.2 — 11.4% -ს, საერთო მჟავიანობა — 6.5 — 7.5% -ს, მქროლავი მჟავიანობა — 0.51 — 0.62% -ს, ალდეგიდები — 0.012 — 0.017, PH — 3.22 — 3.27, ექსტრაქტი — 25.75 — 26.64, ტანინი — 0.88 — 1.08 — შაქარი — 0.910 — 1.400 და გლიცერინი — 5.65 — 6.19.

როგორც აღნიშნულიდან ჩანს, ჩხავერის ღვინოს ახასიათებს ალკოჰოლის საკმაო შემცველობა და ოდნავ მომეტებული, მაგრამ სასიამოვნო მჟავიანობა. ტანინის რამდენიმედ მომეტებული ოდენობა გამოწვეულია ტკბილის ქაქაზე დადუღებით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩხავერი ძლიერ საგვიანო ჯიშთა ჯგუფს ეკუთვნის. შაქრის ნორმალურ რაოდენობას ყურძენი მხოლოდ ნოემბრის პირველი რიცხვებისათვის აგროვებს, რის გამოც ხარისხოვანი პროდუქციის მიღების მიზნით აუცილებელია მისი რთველი ნოემბრის პირველ ნახევარში ჩატარდეს.

ორგანოლექტიური თავისებურებით ჩხავერის პროდუქცია შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც ძირითადი საკუბაეე მასალა ჰარისხოვანი შამპანური ღვინის დასამზადებლად.

ვაზზე დატოვებული ყურძენი დაუქნობლად სძლებს დეკემბრამდე, დაკრეფილი კი ადრე გაზაფხულამდე ინახება.

როგორც ხარისხოვანი პროდუქციის მომცემი საღვინე ჯიში, ჩხავერი ფართო ყურადღების ღირსია. ამ ვაზის ზრდა-განვითარებაზე და მის პროდუქციის ხარისხზე წარმოებული დაკვირვება იძლევა იმის სრულ შესაძლებლობას, რომ ჩხავერი ფართოდ იქნეს გავრცელებული გურიისა და აჭარის მთის-პირა რაიონებში, ნამყენების სახით, ფილოქსერის გამძლე საძირებზე.

Ч Х А В Е Р И

Листья округлые, слабо разрезные, средней величины, длиной 16.8 — 18.4 см и шириной 14.8 — 17.3 см.

Черешковая выемка открытая, часто лировидной формы, с округлым дном. Лопать черешковой выемки состоит из трех нервов; встречается также сводчатая выемка с острым, глубоким или квадратным дном.

Верхние вырезки часто поверхностные или расположены в виде входящего угла; реже встречаются средней глубины. Нижние вырезки едва намечены.

Лист трехлопастный. Угол оконечной лопасти прямой, реже тупой.

Оконечные зубцы лопастей чаще треугольные, с закругленной вершиной; встречаются также зубцы треугольные, с выпуклыми сторонами и острой вершиной, или пилевидно-треугольные и одно-сторонне выпуклые.

Поверхность листа гладкая или сетчато-морщинистая с отогнутыми вниз краями, или плоская. Пластинка листа покрыта снизу густым войлочным покровом.

Отношение черешка к длине среднего нерва 1 — 1.2; черешок обычно голый и виннокрасного цвета.

Края листьев и зубчики с верхней стороны окрашены в светложелтоватый цвет.

Плодоносные побеги красновато-коричневого цвета, средней толщины; длина междоузлия 8.5 — 15 см. Узлы окрашены темнее, чем междоузлия.

Цветы обоеполые.

Появление первых признаков созревания винограда наблюдается с наступлением сентября, массовое созревание происходит в первых числах ноября.

Длина ножки грозди 5 — 7 см. Гроздь средней или малой величины, длиной 10 — 15 см и шириной 7 — 12 см; число ягод на грозди варьирует от 90 до 100 шт.

Общая форма грозди цилиндрическо-коническая, иногда крылатая, рыхлая; встречаются также грозди средней плотности.

Ножка ягоды зеленого цвета, длина ножки с подушечкой 7 мм; подушечка бородавчатая, по форме узкоконическая, реже широко-коническая.

Ягода цвета темнокрасной розы, средней или менее средней величины, длиной 11 — 13.5 мм и шириной 10.8 — 13.2 мм, посередине широкая и у конца округлая; кожица довольно толстая, мякоть довольно мясистая, сочная и сладкая, с приятным вкусом.

Количество семян в ягоде 1 — 4 шт., чаще — 2. Длина 6 — 7 мм, ширина 3 — 3.5 мм; семя темно-коричневого цвета, с брюшной стороны желтоватая. Халаза удлинено-овальная с незначительной выпуклостью, спинная сторона гладкая; длина клюва достигает 1.5 мм.

Чхавери винный сорт, довольно урожайный и местное население очень ценит его. Дает качественный материал для вина. Вино характеризуется нежностью, тонким букетом и значительной крепостью — 12°. Полагаем, что оно даст качественный материал и для шампанского производства. Виноград хорошо сохраняется.

Вторжение грибных заболеваний и появление филлоксеры обусловили массовую гибель этого основного и ценного сорта Гурии, в результате чего в настоящее время Чхавери встречается в виде „маглари“ только в единичных экземплярах. В последние годы Самтрестом Грузии в сел. Бахви организована совхоз специально для культуры сорта Чхавери. Наблюдения показывают, что Чхавери заслуживает внимания и массового разведения почти во всех микрорайонах Гурии и Аджарии исключительно привитыми саженцами на соответствующих американских подвоях.



ქართული
ენციკლოპედია



ჩხავერი -- Чхавერი

ბ ა ლ ა ბ ი

ბადაგი გურიის ვარდისფერყურძნიან აბორიგენულ ჯიშთა ჯგუფს ეკუთვნის. მისი პროდუქტია ძირითადად განკუთვნილია ადგილობრივი მნიშვნელობის ხარისხოვანი ღია-ვარდისფერი ლეინოების დასამზადებლად.

სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის გავრცელებამდე ბადაგის მალღარები მასობრივად იყო გაშენებული შუა და ზემო-გურიის მთისპირა სოფლებში და გავრცელების არეალით იგი ჩხავერის ნარგავებს არ ჩამორჩება. როგორც გადმოგვცემენ, ადგილობრივი მოსახლეობა ბადაგისაგან ამზადებდა ადგილობრივი მნიშვნელობის ოდნავ მოტკბო, ნახ და სასიამოვნო სასმელ სუფრული ტიპის ღვინოებს.

ზოგიერთ პირთა მიხედვით, აღნიშნული სახელწოდება ჯიშს მიღებული უნდა ჰქონდეს ყურძენში შაქრის უხვად დაგროვების გამო და რომ იგი განკუთვნილი ყოფილა საბადაგო ჯიშად. ჩვენს მიერ მრავალი წლის მანძილზე წარმოებული დაკვირვებით აღნიშნული მოსახრება არ დასტურდება. სრული მწიფობის პერიოდში ბადაგის ყურძენში შაქრიანობა ჩვეულებრივ $19 - 23\%$ - მდე აღწევს, რაც საერთოდ ნორმალურ მოვლენად ითვლება გურიის რაიონებში გავრცელებული ვაზის აბორიგენული ჯიშებისათვის.

სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის ფართოდ გავრცელების შედეგად ბადაგი თითქმის გადაშენდა. გადარჩენილია მხოლოდ მისი რამდენიმე ძირი, ამალღებული ხეივნების სახით, შუა გურიაში, სოფ. ბაღდათში. მათი ზრდა-განვითარება და მოსავლიანობა ამჟამად საესეებით დამაკმაყოფილებელია.

ბოტანიკური აღწერა. ზრდის კონუსი მოწითალო ფერისაა; სიწითლე უფრო ინტენსიურია ზედა მხრიდან და დაფარულია ხშირი თეთრი ფერის ბუსუსით. ახლად გაშლილი პირველი ფოთოლი როგორც ზედა, ისე ქვედა მხრიდან ქეჩისებრად არის დაფენილი მოთეთრო ფერის ბეწვისებრი ბუსუსით. კბილების ფუძესთან და ალაგ-ალაგ ძარღვებს შორის არეში აქვს მოწითალო ელფერი. მომდევნო მეორე და მესამე ნორჩი ფოთლები ზედა მხრიდან თხლად არის დაფარული მოთეთრო-მონაცრისფრო ბეწვისებრი ბუსუსით. მეორე ფოთოლს კბილანებთან ახასიათებს მცირეოდენი მოწითალო ელფერი. ქვედა მხრიდან მათი შებუსვა ქეჩისებრია; ბუსუსი მონაცრისფრო-მოთეთრო და ბეწვისებრია.

ახალგაზრდა ყლორტი ღიამწვანეა, ცალ მხარეზე ოდნავ მოწითალო ელფერით. იგი საკმაოდ სქლად არის დაფარული მონაცრისფრო ბეწვისებრი ბუსუსით. შებუსვა უფრო ძლიერდება ყლორტის წვერისაკენ.

შემოსული რქა საშუალო სიმსხოსი და მოყვითალო-ყავისფერია. მუხლები უფრო მუქად აქვს შეფერილი. მუხლთშორისის სიგრძე $6 - 10$ სმ-ს აღწევს.

ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალო სიდიდისაა და საერთო მოყვანილობით მომრგვალო ან ოდნავ ოვალური. იგი მცირედ დანაკეთულია. მისი საშუალო სიგრძე აღწევს $15.3 - 15.5$ სმ-ს და სიგანე — $14.2 - 15.5$ სმ-ს.

ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ჩანგისებრია, მომრგვალო ან მახვილი ფუძით, ან ისრისებრია და ღრმა, თანასწორი გვერდებით; იშვიათად მთლიანად დახურულია და უნასვრეტო.

ფოთლის როგორც ზედა, ისე ქვედა ამონაკვეთი მცირედ არის ჩაქრილი.

ფოთოლი სამნაკვეთიანია. წვერის ნაკვეთი ფოთლის ფირფიტასთან ქმნის ბლაგვ კუთხეს, იშვიათად — სწორს.

ნაკვეთთა წვერის კბილები სამკუთხედისებრია, მახვილი წვერით, ან ასევე სამკუთხედისებრია, ამოზნექილი გვერდებითა და მახვილი წვერით; გვხვდება აგრეთვე ხერხკბილა-სამკუთხედისებრი კბილები. მეორადი კბილები ხერხკბილა-სამკუთხედისებრია ან სამკუთხედისებრი, მახვილი წვერით; იშვიათად ისევ სამკუთხედისებრია, მხოლოდ ამოზნექილი გვერდებითა და მახვილი წვერით.


ფოთლის ქვედა მხარე დაფარულია ნაცრისფერი ხშირი ბუსუსით. მისი ზედა მხარე გლუვია, ზოგჯერ ბადისებრად არის დანაკეთებული. ფოთლის ზედაპირი ბრტყელი ან ძაბრმაგვარ-ღარისებრი მოყვანილობისაა.

მთავარი ძარღვები ღიაშფანა და საკმაოდ არის დაფარული მონაცრისფრო ბუსუსით. ფოთლის ყუნწის შეფარდება შუა მთავარ ძარღვთან 0.8 — 0.9-ს უდრის. იგი ღიაშფანა, რომელიც ფუძესთან გადადის წითელ-ღვინისფერში და ძლიერ მცირედ არის დაფენილი თხელი ბეწვისებრი ბუსუსით.

ყვავილი ორსქესიანია, ნორმალურად განვითარებული ბუტკოთი და მტვრიანები. ყვავილში 5 მტვრიანაა, გვხვდება, მხოლოდ იშვიათად, 4 და 6 მტვრიანაც. ყვავილების რაოდენობა ყვავილედში 700 ცალამდე აღწევს (სურ. 12).

მტევნის ყუნწის სიგრძე 4.5 — 6 სმ-ს აღწევს. მტევანი საშუალო სიდიდისაა, სიგრძით 11 — 19 სმ და სიგანით 5 — 9 სმ დიდი მტევნის სიგრძე უდრის 19 სმ-ს და სიგანე 9 სმ-ს, ხოლო მცირე მტევნის სიგრძე — 12 სმ-ს, სიგანე კი — 5 — 6 სმ-ს.

მტევნის საერთო ფორმა ცილინდრული ან ცილინდრულ-კონუსისებრია. მტევნის ყუნწს მცირე მანძილზე ახასიათებს გახევება; მისი დანარჩენი ნაწილი და კლერტი ბალახმაგვარია და ღიაშფანე. მტევანი თხელია. ხშირ შემთხვევაში ახასიათებს განტოტვა, რაც მტევნის სიგრძის $\frac{1}{3}$ -მდე აღწევს ხოლმე.



სურ. 12. ბადავის ყვავილი

მარცვლის ყუნწის სიგრძე საჯდომი ბალიშით უდრის 5 — 7 მმ-ს; იგი ღიაშფანაა. საჯდომი ბალიში დამეჭვებულობა და განიერ-კონუსისებრი. მარცვალი საკმაოდ მტკიცედ არის მიმაგრებული საჯდომ ბალიშზე.

მარცვალი მუქი-ვარდისფერია (ბრეში — ადგილობრივი სახელწოდება), საშუალო ან საშუალოზე დიდი. მისი სიგრძე აღწევს 15 — 19 მმ-ს, სიგანე — 14.6 — 18.2 მმ-ს. ფორმით მომრგვალოა, შუა წელში უფრო განიერი, ბოლო მომრგვალებული აქვს და სიმეტრიულია. მსხვილი მარცვლის სიგრძე აღწევს 16.5 — 19 მმ-ს, სიგანე — 16.2 — 18.2 მმ-ს; საშუალო მარცვლის სიგრძე აღწევს 15 — 16 მმ-ს, სიგანე — 14.6 — 15.6 მმ-ს. მარცვალი სქელკანიანი და საკმაოდ წვნიანია, სასიამოვნო ტკბილი გემოთი. მარცვლის კანზე ფიფქი (ცვილი) საკმაო რაოდენობით არის დაფენილი.

მარცვალში 1 — 4 ცალი წიპწაა, უფრო ხშირად გვხვდება 3 წიპწა. ყოველ 100 მარცვალში საშუალოდ 200 — 250 ცალი წიპწაა. მისი სიგრძე აღწევს 6.5 — 7 მმ-ს, სიგანე — 3 — 4 მმ-ს, ყავისფერია, მუცლის მხარეს ღარებში კი გადაჰკრავს მოყვითალო ელფერი. ქალაძა მოთავსებულია ზურგის მხარის შუა წელში. ფორმით ის მოგრძო-ოვალურია და ზურგის მხარე გლუვი აქვს. ნისკარტის სიგრძე 1.7 მმ-ს აღწევს.

აგრობიოლოგიური დახასიათება. მახარადის რაიონის სოფ. ბაღდათის ზონაში ბადავის სავეგეტაციო პერიოდის საერთო ხანგრძლივობა 250 — 259 დღეს უდრის. წარმოებულ დაკვირვებათა საშუალო მონაცემების მიხედვით, ვაზის გაღვიძება მარტის ბოლო რიცხვებში იწყება, ხოლო კვირტების გაფურჩქვნა — აპრილის პირველ დეკადაში. ყვავილობა იწყება 2 — 3 ივნისიდან და 15 ივნისამდე მთავრდება. ყურძენი შეთვალვას იწყებს აგვისტოს ბოლო რიცხვებში და მასობრივ სიმწიფეში ოქტომბრის ბოლოდან შედის. ფოთოლცვენა იწყება ნოემბრის ბოლო რიცხვებიდან და 15 დეკემბრამდე მთავრდება.

შემოდგომის ხანგრძლივი და თბილი ამინდების მოქმედების შედეგად ვაზის მწვანე ნაწილები ყურძნის სიმწიფის პერიოდისათვის უკვე ასწრებს (რულ მომწიფებას). ზოგ შემთხვევაში რქის წვერების მომწიფება ფერხდება სოკოვან ავადმყოფობათა მოქმედების გამო.

ვაზის ზრდა-განვითარება საშუალოზე ძლიერია ან ძლიერი. ცალკეული რქის სიგრძე ხშირ შემთხვევაში 2.5 — 3 მეტრამდე აღწევს.

მოსავლის პირველი ნიშნები ბადაგს მესამე წლიდან ახასიათებს, ხოლო სრულ მსხვერპლურად 4 — 5 წლიდან შედის. დაბლარად აღზრდილი ბადაგის მოსავალი ერთ ძირზე ზრდა-მწიფებას აღწევს, ამაღლებული ფორმით (ოლიხნარი) დაყენებული ძირის მოსავლიანობა კი 8 — 10 კგ-ს აღემატება.

მრავალი წლის მანძილზე წარმოებული დაკვირვებით დადასტურებულია, რომ რაოდენობით მეტი და ხარისხოვანი პროდუქციის მიღების მიზნით უმჯობესია ბადაგის ფორმირება ამაღლებულ შტამბზე, ე. წ. ოლიხნარის წესით, 3 — 4 სანაყოფე რქის დატოვებით. ამ წესით ფორმირების შემთხვევაში ვაზებს შორის მანძილი 2.5 — 3 მეტრით უნდა განისაზღვროს.

ზოგ წლებში არახელსაყრელი ამინდების გამო ყვავილი სცივია და ყვავილცვენა 10 — 15% -მდე აღწევს ხოლმე.

სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ ბადაგის გამძლეობა მცირეა, მაგრამ ჩხვერთან შედარებით იგი უფრო მეტ გამძლეობას იჩენს, განსაკუთრებით კრატის მიმართ.

ვაზის ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის, აგრეთვე ჯანსაღი და ხარისხოვანი პროდუქციის მიღებისათვის, მიზანშეწონილია ბადაგის ვაზებისათვის შერჩეულ იქნეს სამხრეთისაკენ და სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მიმართული ფერდობები წყალგამტარი ქვენიდავით და კალციუმის კარბონატების საკმაო შემცველობით. გურიის რაიონებში, კარბი ნალექების მოქმედების გამო (1.500 — 1.700 მმ.) ვაკე ადგილებში ნიადაგის წყალი მეტად მალლა იწვევს; ამას შეუძლია დამლუბველად იმოქმედოს ვაზის როგორც ზრდა-განვითარებაზე, ისე მოსავლის ხარისხზედაც. ამიტომ ვაკე ადგილებში უნდა ვერიდოთ როგორც სხვა ჯიშების, ისე კერძოდ ბადაგის მოშენებასაც.

გურიის შთისპირა რაიონებში ზამთრისა და გაზაფხულის ყინვების მოქმედება მინიმალურია, რის შედეგადაც ბადაგის ვაზის გამოღვიძება და გაზაფხულიდან მისი მწვანე ნაწილების განვითარება სავსებით ნორმალურად და დაუბრკოლებლად მიმდინარეობს.

სამეურნეო-ტექნოლოგიური დახასიათება. ბადაგის მტევნის საშუალო წონა 193.7 გრამს უდრის. მტევანზე საშუალოდ 86 ცალი მარცვალია, წონით 185.0 გრამი. საშუალო მტევნის კლერტის წონა 7.6 გრამს უდრის, ერთი კილოგრამი ყურძნის წიპწების წონა აღწევს 8.5 გრამს, ხოლო კანის (ჩენჩოს) წონა — 22.6 გრამს. წვენის გამოსავლიანობა საშუალოდ 77.2% -ს უდრის. ნარჩენები კლერტის, წიპწისა და ჩენჩოს სახით 22.6% -ს შეადგენს.

დიდი მტევნის წონა უდრის 234 გრამს, მცირესი კი — 117 გრამს.

100 მარცვლის საშუალო წონა 210 გრამს შეადგენს, წიპწების რაოდენობა 100 მარცვალში 242 ცალამდეა. აქედან ერთწიპწიანი მარცვლები შეადგენს 7% -ს, ორწიპწიანი — 25% -ს, სამწიპწიანი — 39% -ს და ოთხწიპწიანი — 17% -ს. პართენოკარპიული და მცირე ზომის მარცვლები ხშირად უწიპწოა, რაც დაახლოებით 12% -ს შეადგენს.

ბადაგის ტკბილის კუთრი წონა უდრის 1.102; შაქრის რაოდენობა აღწევს 20.5 — 23.0% -ს, საერთო მჟავიანობა — 10% -ს, ღვინის მჟავა — 4.2, PH — 2.79.

ბადაგის ღვინო შემდეგი ნიშნებით ხასიათდება: იგი ვარდისფერია, — კომშისებრი, ელფერით ჰარმონიული, თავისებური სპეციფიკური არომატით. როგორც სპეციფიკური ნიშანთვისების მქონე (ფერისა და გემოვნების მხრივ), ბადაგი განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ადგილობრივი მნიშვნელობის სუფრული ტიპის ღვინოებს შორის.

ღვინის ქიმიური ანალიზის მიხედვით მისი კუთრი წონა უდრის 0.9940, ალკოჰოლი — 12.7; საერთო მჟავიანობა — 8.4, მქროლავი მჟავები — 0.60, აღდგენილები — 0.024, PH — 3.09, ექსტრაქტი — 25.36, ტანილები — 0.88, შაქარი — 0.880, გლიცერინი — 7.10.

როგორც აღნიშნული მონაცემებიდან ჩანს, ბადაგის ღვინო საკმაოდ ალკოჰოლიანია (12.7%) და ნორმალურად მჟავიანი (8.4). მქროლავი მჟავების რაოდენობა (0.60) მაჩვენებელია ღვინის სისაღის. ექსტრაქტისა და გლიცერინის რაოდენობა მასში სავსებით დამაკმაყოფილებელია.

წესიერად მოვლის შემთხვევაში ბადაგს დიდი მოსავლიანობა ახასიათებს. ყლორტზე მასობრივად ვითარდება ორი-სამი მტევანი. მარცვლები მტევანზე უთანაბროდ მწიფდება. წვრილმარცვლიანობა ჯიშს მცირედ ახასიათებს.

ვაზზე დატოვებული ყურძენი დეკემბრის ბოლომდე სძლებს, დაკრეფილი კი, როგორც გადმოგვცემენ, ადრე გაზაფხულამდე ინახება.

როგორც ადგილობრივი მნიშვნელობის ორიგინალურ თვისებათა მქონე და მსოფლიო მნიშვნელობის პროდუქტის მომცემი საღვინე და სუფრის ყურძნის ჯიში, ბადაგი ფართო ყურადღების ღირსია და მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული მისი მასობრივად გავრცელება ნამყენების სახით, შუა და ზემო გურიის მთისპირა მიკრორაიონებში.

Б А Д А Г И

Листья средней величины, длиной 15.3 — 16.5 см и шириной 14.2 — 15.5 см; округлые или же слегка овальные.

Черешковая выемка лировидная, с острым дном. Лопасть черешковой выемки состоит из трех нервов. Встречается также стрельчатой формы, а также глубокая и равносторонняя форма.

Верхние вырезки слабо намечены, реже расположены в виде входящего угла. Нижние вырезки едва намечены.

Лист трехлопастный. Угол оконечной лопасти тупой, реже прямой.

Оконечные зубцы лопастей треугольные, с острой вершиной, или треугольные с выпуклыми сторонами и острой вершиной. Краевые зубцы треугольно-пиловидные или треугольные, с острой вершиной.

Поверхность листа гладкая или сетчато-морщинистая, по форме же плоская, встречаются также листья воронковидно-желобчатой формы.

Отношение черешка к длине среднего нерва 0.8 — 0.9. Черешок листа зеленого цвета, переходящего у основания в виннокрасный цвет и покрыт следами волосков.

Плодоносные побеги средней толщины, коричневого цвета; узлы окрашены темнее, чем междоузлия. Длина междоузлий достигает 6 — 10 см.

Цветы обоеполые.

Появление первых признаков созревания винограда наблюдается в начале сентября; массовое созревание наступает в конце октября.

Длина ножки грозди 3 — 6 см; длина грозди 11 — 19 см; ширина 5 — 9 см; количество ягод на грозди до 86 шт.

Общая форма грозди цилиндрическая или цилиндрическо-коническая, рыхлая.

Длина ножки ягоды с подушечкой 5 — 7 мм. сама ножка светлозеленого цвета. Подушечка бордавчатая и широко-коническая (дисковидная).

Ягода темнорозового цвета, средней или выше средней величины, длиной 15 — 19 мм и шириной 14.6 — 18.2 мм. округлая и симметричная. Кожица толстая. Мякоть довольно сочная и мясистая, с приятным сладким вкусом.

Количество семян в ягоде 1 — 4 шт., чаще — 3. Длина семени 6.5 — 7 мм; ширина 3 — 4 мм. Халаза удлинненно-овальная, спинная сторона гладкая. Длина клюва достигает 1.7 мм.

Бадаги — винный сорт; годен и для стола. Обильно урожайный. Виноград хорошо сохраняется в продолжение всей зимы. Дает качественный материал со специфическим вкусом и ароматом для приготовления вин массового потребления. До появления грибных заболеваний и филлоксеры, „маглари“ сорта Бадаги встречался почти повсеместно, как в восточной, так и в западной Гурии и местные жители приготавливали из него живые и энергичные вина, а также сохраняли виноград на зиму. В настоящее время данный сорт встречается лишь в единичных экземплярах на „даблари“ и „хеивани“ в сел. Багдади. Сорт заслуживает особого внимания и массового разведения вместе с другими интересными сортами в предгорных районах средней и верхней Гурии.



ბადაგი — Бадаги



გურიის წითელყურძნიანი ვაზის აბორიგენულ ჯიშებს შორის ჯანს წარსულში პირველი ადგილი ეკუთვნის, როგორც მაღალხარისხოვანი და სხეულიანი მასალის მომცემ საღვინე ჯიშს, დღესაც გურიის მთელ რიგ მიკრორაიონებისათვის იგი ძირითად ჯიშად არის მიჩნეული. მაღალხარისხოვან გემოვნებითი თვისებებთან ერთად ჯანის ყურძენს ახასიათებს მეტად მაღალი ტრანსპორტაბელობა და შენახვის დიდი უნარიანობა (გვიან გაზაფხულამდე). ამიტომ იგი შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე ხარისხოვანი სუფრის ყურძნის ჯიშად.

XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე ჯანის მაღლარები მასობრივად იყო გავრცელებული შუა და ზემო გურიის რაიონებში და რთველს ხშირად ზამთრის პერიოდში აწარმოებდნენ. სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის შემოჭრამ გაანადგურა მისი ნარგავები, რის შედეგადაც მხოლოდ თითო-ორი-ლა ძირები გადარჩა მაღლარების სახით გურიის მთისპირა სოფლებში. ზოგიერთ მეურნეთა ინიციატივით ამ ჯიშის გადარჩენის და აღდგენის მიზნით 1905 — 1906 წლებში ჩოხატაურის რაიონში გაშენებულ იქნა ნამყენი ვაზებით ჯანის ნაკვეთები. მათი მცირე ნაწილი ამჟამადაც არსებობს და, მიუხედავად ხნოვანებისა, საკმაო ზრდა-განვითარებითა და მოსავლიანობით ხასიათდება.

ჯანის გავრცელების არეალი გურიაში ამჟამად მეტად შეზღუდულია, რაც აიხსნება პირველ ყოვლისა სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ შედარებით გამძლე ამერიკული ჯიშის იზაბელას („აღესა“) და უხვმოსავლიანი იმერული ჯიშის ცოლიკოურის მასობრივად გავრცელებით და აგრეთვე იმ გარემოებითაც, რომ საერთოდ ეს ჯიში შედარებით მცირე მოსავლიანობით ხასიათდება; მიუხედავად მისი მრავალმხრივი დადებითი თვისებებისა, ადგილობრივი მოსახლეობა ჯანის მასობრივად გავრცელებით ჯერჯერობით ნაკლებად არის დაინტერესებული.

შუა და ქვემო გურიაში (სოფ. ბახვი, ბაღდათი, შრომა და სხვ.) ფართოდ არის გავრცელებული ძლიერ მოსავლიანი ჯიში, ე. წ. ნაკაშიძის ჯანი. აღნიშნული ჯიში თავისი ამპელოგრაფიული და სამეურნეო-ტექნოლოგიური თვისებებებით არსებითად განსხვავდება გურიის ჯანისაგან (იხ. ნაკაშიძის ჯანი). ადგილზე წარმოებულმა გამოკვლევამ ცხადჰყო, რომ ეს ჯიში სოფ. შრომაში (მახარაძის რაიონი) პირველად შემოიტანა ყოფ. მემამულემ ნაკაშიძემ და, როგორც უხვმოსავლიანი, იგი შემდგომ მასობრივად გავრცელებულა მეზობელ სოფლებშიც. მრავალი წლის მანძილზე წარმოებული დაკვირვებით დადასტურდა, რომ ნაკაშიძის ჯანი არამონის ვარიეტის წარმოადგენს.

ბოტანიკური აღწერა. ზრდის კონუსი თეთრია, მცირედ მოწითალო ელფერი. დაფენილია ქეჩისებურად თეთრი ფერის ბეწვისებრი ბუსუსით. პირველი ახლად გაშლილი ფოთოლი ზემოდან ღია მწვანე-მოყვითალოა. ფირფიტის კიდეებს და კბილებს ხშირად სდევს სიწითლე. დაფენილია საკმაოდ სქლად თეთრი-მონაცრისფრო ბეწვისებრი ბუსუსით, ქვედა მხარე კი ქეჩისებურადაა დაფარული თეთრი ფერის ბუსუსით, რომელსაც ხშირად წითელი ელფერი გადაჰკრავს. ფოთლის ყუნწი მოიისფროა და საკმაოდ სქლად არის დაფენილი ნაცრისფერი ბუსუსით. მომდევნო მეორე და მესამე ნორჩი ფოთლები ზემოდან ძარღვების გასწვრივ ღია მწვანეა და ფირფიტას ხშირად მოწითალო-იისფერი გადაჰკრავს. მცირედ არის დაფენილი ნაცრისფერი ბეწვისებრი ბუსუსით. ძარღვების გასწვრივ შებუსვა უფრო ძლიერდება. მათი ქვედა მხარე ქეჩისებრია, ხოლო ბუსუსი ბეწვისებრი. მეორე ფოთოლზე ეს შებუსვა მოთეთრო-მონაცრისფროა და მესამეზე კი — ნაცრისფერი.

ახალგაზრდა ყლორტი (16 — 18 სმ) ღია მწვანეა, ცალ მხარეზე ხშირად მოწითალო-მოიისფრო ელფერით. იგი მცირედ არის დაფარული ნაცრისფერი ბეწვისებრი ბუსუსით. შებუსვა უფრო ძლიერდება ყლორტის წვერისაკენ. ყლორტის წვერი ხშირად მოწითალო-იისფრად არის შეფერილი.

შემოსული რქა თითქმის საშუალო სიმსხოსია. მუხლშორისის სიგრძე 10 — 17 სმ-ს უდრის. ღია წაბლისფერი ან მუქი მოწითალოა. მუხლები უფრო მუქად არის შეფერილი. რქას სდევს ყავისფერი სუსტი ზოლები.

ზრდადამთავრებული ფოთოლი მომრგვალოა ან ოდნავ განივ-ოვალური. იგი მცირედ ან საკმაოდ დანაკვეთულია. მისი სიგრძე აღწევს 16.7 — 20.3 სმ-ს და სიგანე — 15.5 — 20.2 სმ-ს.


ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ღია და ფორმით ჩანგასებრია, მახვილი ფუძით, ან თხრისებრი მომრგვალო ან ბრტყელი ფუძით. გვხვდება აგრეთვე უკუ კვერცხისებრი ამონაკვეთი მცირედ/მიახლოებული ნაპირებით.

ფოთლის ზედა ამონაკვეთი მცირედ ჩაჭრილია ან საკმაოდ შეჭრილ კუთხეს ^{ქვემოთ} ~~ქვემოთ~~ ^{ქვემოთ} ჩანგისებრია, თითქმის პარალელური გვერდებითა და მომრგვალო ფუძით. ამონაკვეთის ფუძეზე ზოგ შემთხვევაში განვითარებულია ერთი უბრალო კბილი. ქვედა ამონაკვეთი ოდნავ არის ჩაჭრილი.

ფოთოლი სამნაკვეთიანია. წვერის ნაკვეთი ფოთლის ფირფიტასთან ქმნის ბლაგვ კუთხეს, იშვიათად — სწორს.

ნაკვეთთა წვერის კბილები მომრგვალო-სამკუთხედისებრია ან სამკუთხედისებრი, ოდნავ ამოხეჩილი გვერდებითა და წამახვილებული წვერით. გვხვდება აგრეთვე კბილები მომრგვალო-ხერხბილისებრი მოყვანილობისა. მეორადი კბილებიც ამავე მოყვანილობისაა.

ფოთლის ზედა მხარე გლუვია, იშვიათად ბადისებურად არის დანაოჭებული. მისი ზედაპირი ბრტყელია, ზოგჯერ ძაბრისმაგვარ-ღარისებურად არის მოხრილი. ქვედა მხრიდან დაფარულია მონაცრისფრო



სურ. 14. ჯანის ყვავილი.

ბეწვისებრი ბუსუსით. მთავარი ძარღვები მცირედ არის შებუსუსული და ღია მწვანე ფერისაა, ფუძესთან კი წითელ-ღვინისფერში გადადის.

ფოთლის ყუნწი შიშველია. იშვიათ შემთხვევაში ის უმნიშვნელოდ არის დაფარული ბეწვისებრი ბუსუსით. ფერად ღია მწვანეა, რომელიც ცალ მხარეზე წითელ-ღვინისფერში გადადის. სიგრძით იგი ფოთლის შუა ძარღვის თითქმის თანატოლია.

ყვავილი ორსქესიანია, ნორმალურად განვითარებული ბუტკოთი და მტვრიანებით. მტვრიანები საკმაოდ გადახრილია ბუტკოდან და თითქმის ორჯერ გრძელია ბუტკოზე. ყვავილში 5 მტვრიანაა, იშვიათად გვხვდება 4 და 6 მტვრიანაც. ყვავილების რაოდენობა ყვავილედში 150 — 300 ცალამდე აღწევს.

მტევნის ყუნწის სიგრძე 5 — 8 სმ-ს აღწევს. ყურძნის სრული სიმწიფის პერიოდში იგი თითქმის მუხლამდე გახევეებულია, რის გამოც რქას ძნელად სცილდება და რთველის დროს საჭიროებს დანას. ყუნწის დანარჩენი ნაწილი და კლერტი ბალახმაგვარია და ღია მწვანე.

მტევანი საშუალოზე მცირე ან მცირეა. დიდი მტევნის სიგრძე აღწევს 9 — 13 სმ-ს, სიგანე — 7 — 11 სმ-ს, მტევანზე 40 — 70 ცალი მარცვალია. საშუალო მტევნის სიგრძე აღწევს 7 — 10 სმ-ს, სიგანე — 6 — 7 სმ-ს, მარცვლების რაოდენობა მტევანზე 40 ცალამდეა. მტევნის ფრთა ხშირად თვით მტევნის სიგრძისაა. მისი საშუალო წონა 69.1 გრამს უდრის.

მტევნის საერთო ფორმა ცილინდრული და ზოგჯერ ცილინდრულ-კონუსისებრია, ფრთიანი და ზოგ შემთხვევაში განტოტვილი ან უფორმო.

მარცვლის ყუნწის სიგრძე საჯდომი ზალიშით 5 — 8 მმ-ს აღწევს. საჯდომი ბალიში დამებტეპებულია და განიერ-კონუსისებრი. მარცვალი საჯდომ ბალიშზე მტკიცედ არის მიმაგრებული.

მარცვალი მუქი ლურჯია (თითქმის შავი), საშუალო სიდიდის. მისი საშუალო სიგრძე უდრის 13.7 მმ-ს და სიგანე — 12.5 მმ-ს. ფორმით ოვალურია, შუა წელში განიერი, ბოლო მომრგვალებული აქვს და სიმეტრიულია. მარცვლის კანზე ფიფქი საკმაოდ სქლად არის დაფენილი. მარცვალი სქელკანიანია. მარცვლის რბილობი მეტად ხრახუნა და საღეჭია, რაც აღნიშნული ჯიშის დამახასიათებელ ნიშანთვისებად ითვლება. ახასიათებს წვეწის მცირე გამოსავლიანობა. საკმაოდ ტკბილი და სასიამოვნო გემოსია. რბილობი წიპწას ძნელად სცილდება. შემფერავი ნივთიერება მარცვლის რბილობში არ მოიპოვება.

წიპწების რაოდენობა მარცვალში აღწევს 1 — 4 ცალს, სქარბობს 1 წიპწა, მისი სიგრძე უდრის 6.5 — 8 მმ-ს, სიგანე — 3 — 4 მმ-ს. ღია წაბლისფერიდან გადადის ყავისფერში. მუცლის ღარებში ხშირად გადაკრავს ოდნავ მოყვითალო ელფერი. ქალაქა მოთავსებულია ზურგის მხარის შუა ნაწილში; ფორმით სამკუთხედისებრია და იშვიათად ოვალური. ზურგის მხარე გლუვია. ნისკარტის წვერი მოყავისფროა. მისი სიგრძე 1.5 — 2 მმ-ს უდრის.

აგრობიოლოგიური დახასიათება. ზემო გურიის მხარეში ჯანის სავეგეტაციო პერიოდის საერთო ხანგრძლივობა 236 — 249 დღემდე აღწევს. ვაზის გამოღვიძება იწყება მარტის ბოლო რიცხვებიდან, კვირტების წამობერვა-გამოფურჩქვნა — აპრილის პირველი რიცხვებიდან. ყვავილობას იწყებს ივნისის პირველი რიცხვებიდან და 15 ივნისამდე მთავრდება. ყურძნის შეთვალება იწყება 20 — 25 აგვისტოდან და სრულ მწიფობაში 22 ოქტომბრიდან შედის. საშემოდგომო შეფერვას ფოთლები ჩვეულებრივ იღებს ნოემბრის პირველ ნახევარში. ფოთოლცვენა იწყება ნოემბრის მეორე ნახევრიდან და მთავრდება დეკემბრის პირველ რიცხვებში.

ჩოხატაურის რაიონში, თბილი შემოდგომის მოქმედების შედეგად, სავეგეტაციო პერიოდი გახანგრძლივებულია. მიუხედავად ამისა, ვაზის მწვანე ნაწილები სრულ მომწიფებას აღწევს უკვე ყურძნის სრული მწიფობის პერიოდში და რქები ამ დროისათვის ჯიშის დამახასიათებელ ელფერს ღებულობს.

ვაზის ზრდა-განვითარება საშუალოა. ცალკეული რქების განვითარება ხშირად 2 — 2.5 მეტრამდე აღწევს.

მოსავლის პირველ ნიშნებს ჯანი იძლევა დარგვიდან მესამე წელს, სრულ მოსავლიანობაში კი შედის 4 — 5 წლიდან. ახასიათებს მცირე მოსავლიანობა. დაბლარად ფორმირებული ერთი ძირი ვაზის მოსავალი 600 — 800 გრამამდე აღწევს. მოსავლიანობის კოეფიციენტი 1.1 უდრის. რქაზე ხშირად გვხვდება ერთი მტევანი, იშვიათად ორი. მცირე მოსავლიანობასთან ერთად მას ახასიათებს აგრეთვე წვეწის მცირე გამოსავლიანობაც. ყვავილცვენას და დაწვრილმარცვლიანებას მცირედ განიცდის. ძველი ნაწილებიდან განვითარებული ყლორტები ჩვეულებრივად უმოსავლოა.

სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ ამ ჯიშის გამძლეობა სუსტია.

ატმოსფერული ნალექების სიუხვე, ჰაერის მომეტებული ტენიანობა და საკმაოდ მაღალი ტემპერატურა გურიის რაიონებში მეტად ხელსაყრელ პირობებს ქმნის სოკოვან ავადმყოფობათა მასობრივი გავრცელებისათვის, განსაკუთრებით მდინარეთა სანაპიროებზე და დადაბლებულ ვაკე ადგილებში. ამიტომ ამ ვაზის კულტურის წარმოებისათვის შერჩეული უნდა იქნეს მზით განათებული სამხრეთით დახრილი ფერდობები, კალციუმის კარბონატების ნორმალური შემცველობით.

ზემო გურიის მთისპირა მიკრორაიონებში ზამთრის ყინვების მოქმედება მცირეა (საშუალოდ — 4.7 6,2°; მხოლოდ ზოგ წლებში აღწევს იგი — 10.5°-მდე), რაც ვაზის განვითარებაზე უარყოფითად სრულიად არ მოქმედებს. გაზაფხულის ყინვების მოქმედებაც უმნიშვნელოა. ვაზის გამოფურჩქვნა და შემდგომი განვითარება სავსებით ნორმალურად მიმდინარეობს.

სამეურნეო-ტექნოლოგიური დახასიათება. ჯანის ყურძნის მექანიკური ანალიზი შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდება: მტევნის საშუალო წონა 69.1 გრამს უდრის. საშუალო მტევანზე 47 ცალი მარცვალია, წონით 64.5 გრამი. კლერტის საშუალო წონა 5.25 გრამია, მტევნის წიპწების წონა 4.25 გრამს აღწევს და ჩენჩოსი — 21.65 გრამს. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული; ჯანს წვეწის მცირე გამოსავალი ახასიათებს და იგი საშუალოდ 54.94%-მდე აღწევს. ნარჩენები კლერტის, წიპწისა და ჩენჩოს სახით 45.04 გრამს შეადგენს.

მსხვილი მტევნის წონა 112 გრამს აღწევს და მცირესი კი — 52 გრამს.

100 მარცვლის საშუალო წონა 144 გრამს უდრის. 100 მარცვალში 124 ცალი წიპწაა, წონით 8.8 გრამი. ერთწიპწიანი მარცვლები შეადგენს 58%-ს, ორწიპწიანი — 27%-ს, სამწიპწიანი — 14%-ს და ოთხწიპწიანი — 1%-ს. 100 მარცვლის კანის წონა 28.31 გრამს შეადგენს.

მრავალი წლის მანძილზე წარმოებული ანალიზების საშუალო მონაცემების მიხედვით ტკბილის კუთრი წონა უდრის 1.090 — 1.100 -ს, შაქრიანობა აღწევს 20.6 — 23.2%-მდე და საერთო მეთაიანობა — 6.8 — 9.1%-მდე.

ჯანის ღვინო შემდეგი ნიშნებით ხასიათდება: იგი საკმაოდ შეფერილია, სქელი, სხეულური, ექსტრაქტი მდიდარი და ჰარმონიული სასიამოვნო გემოთი.

ღვინის ქიმიური შემადგენლობა შემდეგია: კუთრი წონა აღწევს 0.9970 — 0.9976, უფკუჭუჭლი — 11.9 — 12.1, საერთო მეთაიანობა — 7.1 — 8.0%, მქროლავი მეთაიანობა — 9.65 — 0.73. PH 3.45-3.55, 29 ექსტრაქტი — 29.40 — 31.32, ტანიდები — 1.95 — 2.15, შაქარი — 0.515 — 0.720, გლიცერინი — 6.15 — 6.93.

როგორც აღნიშნული ანალიზებიდან ჩანს, ჯანის ღვინო ნორმალურად ალკოჰოლიანია (11.9° — 12.1°) და ამავე დროს მცირედ მეთაიანი (7.1 — 8.0). ტანიდების ცოტათი მომეტებული რაოდენობა გამოწვეულია ტკბილის ჯაჭვზე დადუღებით. მქროლავი მეთაიებისა და გლიცერინის რაოდენობა ღვინის შემადგენლობისათვის სასებით ნორმალურად უნდა ჩაითვალოს.

ჯანის ყურძენს ახასიათებს შენახვის დიდი უნარიანობა და ტრანსპორტაბელობა.

როგორც მოვიხსენიეთ, ჯიშის უარყოფითი თვისებებიდან აღსანიშნავია მისი მცირე მოსავლიანობა და წვეწის მცირე გამოსავლიანობა. მაგრამ, მისაღებია რა მხედველობაში მთელი რიგი დადებითი ნიშნები (ღვინის მაღალი ხარისხი, გემოვნებითი თვისებები, ყურძნისა და ღვინის მაღალი ტრანსპორტაბელობა და ყურძნის შენახვის დიდი უნარი მთელი ზამთრის პერიოდში), აღნიშნულმა ჯიშმა გურიის წითელყურძნიანი ვაზის ჯიშებს შორის საპატიო ადგილი უნდა დაიჭიროს და იგი ფართოდ უნდა გავრცელდეს აღმოსავლეთ გურიის რაიონებში.

ვფიქრობთ, რომ გასამრავლებელი საკვირტე მასალის წესიერად შერჩევის გზით შესაძლებელი გახდება ჯანის მოსავლიანობის გაზრდაც.

მარცვლის კანისა და რბილობის განსაკუთრებული სიმკვრივის გამო ჯანის ჯიში დიდ ინტერესს წარმოადგენს აგრეთვე გენეტიკის თვალსაზრისითაც.

Д Ж А Н И

Листья средней величины, округлые и слабо разрезные; длиной 16.7 — 20.3 см и шириной 15.5 — 22.2 см.

Черешковая выемка открытая, лировидная, с острым дном, или сводчатая, с округлым или плоским дном; встречается также выемка обратно яйцевидной формы со слегка налегающими лопастями.

Верхние вырезки широко открыты в виде входящего угла, или лировидной формы, с округлым дном и узким устьем; встречаются также лировидной формы почти с параллельными сторонами и округлым дном. Нижние вырезки выражены очень слабо.

Лист трехлопастный. Угол оковечной лопасти тупой, реже прямой.

Оковечные зубцы лопастей округло-треугольные или треугольные с выпуклыми сторонами и острой вершиной. Встречаются также округло-пиловидные; краевые зубцы лопастей по форме сходны с оковечными зубцами лопастей.

Поверхность листа гладкая, реже сетчато-морщинистая; по форме плоская, иногда воронковидно-желобчатая; снизу — с паутинисто-волосистым пушком серого цвета.

Отношение черешка к длине среднего нерва 0.9 — 1.0; черешок голый, иногда со следами волосков светлокрасного цвета.

Цветы обоеполые.

Плодоносные побеги почти средней толщины. Длина междуузлий 10 — 17 см; междуузлия светлокрасного или темнокрасного цвета, иногда со следами волоском сероватого цвета; узлы окрашены темнее, чем междуузлия. Характеризуются слабо выраженными полосами коричневого цвета.

Появление первых признаков созревания винограда наблюдается в начале сентября; массовое созревание происходит с первых чисел ноября.

Длина ножки грозди 5 — 8 см; длина самой грозди — 7 — 13 см; ширина — 6 — 11 см.

Общая форма грозди цилиндрическая или цилиндрическо-коническая, крылатая и рыхлая; реже встречается гроздь средней плотности, иногда лопастная и безформенная.

Длина ножки ягоды с подушечкой 5 — 8 мм; подушечка бородавчатая и широко-коническая.

Ягода темносиняя, средней величины, овальная, 13.7 — 12.5 мм. в диаметре, посередине широкая и симметричная. Кожица толстая; мякоть очень плотная, хрустящая и менее сочная.



ჯეზო — Джани

Количество семян в ягоде 1 — 4 шт. чаще встречается 1 шт. Длина семени 6.5 — 8 мм, ширина — 3 — 4 мм; семя коричневого цвета. Халаза треугольной формы, реже овальная и выдающаяся; длина клюва достигает 1.5 — 2 мм.

Джани — винный сорт; годен и для стола. Малоурожайный. Среди красных сортов винограда Гурии сорт Джани занимает ведущее место, так как дает превосходный материал для приготовления качественных красных столовых вин, что и подтверждается его грузинским названием («Джани» — здоровье).

До появления грибных заболеваний и филлоксеры сорт Джани, почти повсеместно культивировался в виде «маглари», особенно в верхней Гурии. Виноград, с целью сохранения его на зиму, часто оставлялся на лозах, сбор которых производился в январе месяце. Вторжение грибных заболеваний и появление филлоксеры обусловили массовую гибель этого ценного сорта. В настоящее время Джани нигде не встречается на собственных корнях; только привитые на американских подвоях и то в единичных экземплярах имеются в Чохатаурском районе (в сел. Калагони и Дабла-Цихе).

Как ценный винностоловый сорт, Джани заслуживает особого внимания и массового разведения, особенно в предгорных районах восточной Гурии. Сорт этот не лишен значительного интереса и в генетическом отношении.

მ ტ ე ვ ა ნ დ ი დ ი

მტევანდიდი გურიის წითელყურძნიანი ვაზის აბორიგენული ჯიშია. მისი პროდუქტის განკუთვნილია ადგილობრივი მნიშვნელობის საკმაოდ ხარისხოვანი წითელი სუფრული ტიპის ღვინოების დასამზადებლად.

მტევანდიდის მიხედვით ჯიში თავის სახელწოდებას ვერ ამართლებს. მას უფრო სწორად უნდა ეწოდებინათ საშუალოზე ოდნავ დიდი მტევნები.

მახარაძის რაიონის სოფ. ბაღდათის მევენახეობის ზონაში გავრცელებულია ორი სახელწოდების მტევანდიდი ე. წ. „მამალი“ და „დედალი“ მტევანდიდი. ისინი ურთიერთისაგან საგრძნობლად განსხვავდება. ასე, მაგალითად, „დედალი“ მტევანდიდი დიდმოსავლიანია და უფრო მომსხო მარცვლიანი. ახასიათებს მომრგვალო და მცირედ დანაკვეთული ფოთლები. „მამალი“ მტევანდიდი მცირე მოსავლიანობითა და ძლიერი ზრდით ხასიათდება. ამასთანავე იგი ავითარებს მეტად დატოტვილ მტევნებს მომცრო მარცვლებით და უფრო ღრმად დანაკვეთულ ფოთლებს.

ზემო გურიის ზოგიერთ სოფლებში (ფარცხმა, საქამიასერი, ციხე) მტევანდიდი გავრცელებულია აგრეთვე „აკიდოს“ სახელწოდებით, რაც გურული ტერმინოლოგიის მიხედვით ორმტევნიან რქას ნიშნავს. აკად. ი. ჯავახიშვილი თავის შრომაში (1) გურიის ვაზის აბორიგენული ჯიშების განხილვისას ცალკე ასახელებს „აკიდოს“ ჯიშს, მისი გავრცელების არეალით. ჩვენს მიერ ადგილზე წარმოებული გამოკვლევების მიხედვით დადასტურდა ამ ორ ჯიშთა შორის იდენტიურობა. ამის გამო სახელწოდება „აკიდო“ მტევანდიდის სინონიმად უნდა მივიჩნიოთ. ამასვე ადასტურებს თავის შრომაში აგრეთვე აგრ. ე. ნაკაშიძეც (4).

სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის შემოჭრამდე მტევანდიდი მასობრივად იყო გავრცელებული მაღლარების სახით მთელს გურიაში და განსაკუთრებით მის შუა და ზემო მხარის მთისპირა სოფლებში. მიუხედავად მაღლარებზე მოვლის სიძნელისა, მას ნორმალური ზრდა-განვითარება და მოსავლიანობა ახასიათებდა. ადგილობრივი მოსახლეობა მტევანდიდის პროდუქტის ძირითადად ჯანის ყურძენს ურევდა და ამზადებდა წითელი სუფრული ტიპის ღვინოებს, რომელიც წარსულში „საჯავახოს ღვინის“ სახელწოდებით იყო ცნობილი.

სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის მავნე მოქმედების შედეგად მტევანდიდის ნარგავები თითქმის განადგურდა. თითო-ოროლა ძირების სახით გადარჩენილი მაღლარები ამჟამად მხოლოდ წლის ამინდის ხელსაყრელ პირობებში იძლევა მოსავალს.

ადგილობრივ მცხოვრებ დაინტერესებულ პირთა ინიციატივით 1905 და 1906 წლებში ჩოხატაურისა და მახარაძის რაიონებში (სოფ. საქამიასერი, ციხე, ბაღდათი) გაშენებულ იქნა მტევანდიდის მცირე ნაკვეთები ნამყენი სახით — დაბლარად; ამათგან ნაწილი ამჟამადაც არსებობს და ვაზებს ნორმალური ზრდა-განვითარება და მოსავლიანობა ახასიათებს.

სადღეისოდ მტევანდიდის გავრცელების არეალი გურიის რაიონებში შეზღუდულია. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ მოსახლეობა, ჯერ ერთი, ნაკლებად იცნობს აღნიშნულ ჯიშს და ამასთანავე ურთიერთ მიბაძვის საფუძველზე მასობრივად გავრცელდა იმერული უხვმოსავლიანი ჯიში — კოლიკოური. ნამყენების სახით მტევანდიდი ამჟამად მოიპოვება სოფ. ბაღდათში, ბახვის საბჭოთა მეურნეობაში (მახარაძის რაიონი), დაბლაციხესა, ზემო-ფარცხმასა და კალაგონში (ჩოხატაურის რაიონი).

ბოტანიკური აღწერა. ზრდის კონუსი თეთრია; ცალ მხარეზე გადაჰკრავს მოწითალო ელფერი და ქეჩისებურად არის დაფარული თეთრი ფერის ბეწვისებრი ბუსუსით. ახლად გაშლილი პირველი ფოთოლი ზედა მხრიდან დაფენილია სქლად თეთრი ფერის ბეწვისებრი ბუსუსით, რომელსაც ხშირად წითელი ელფერი გადაჰკრავს. ქვედა მხრიდან ქეჩისებურად არის დაფენილი თეთრი ფერის ბუსუსით. ბუსუსს ხშირად მოწითალო ფერი აქვს. ფოთლის ყუნწიც შეფერილია იმავე ფერის ბუსუსით. მომდევნო მეორე და მესამე ნორჩი ფოთლები ზედა მხრიდან მცირედ შებუსუსულია. შებუსუსა უფრო მეტია ძარღვების გასწვრივ. ბუსუსი მონაცრისფროა და ბეწვისებრი. ქვედა მხრიდან შებუსუსა ქეჩისებრია


და ბუსუსი ბეწვისებრი. მეორე ფოთლის ბუსუსი თეთრი-მონაცრისფროა და მესამესი კი — ნაცრისფერი; ზოგ შემთხვევაში ბუსუსს მონაცრისფერი ელფერი გადაჰკრავს. მესამე და მეოთხე ფოთლის ყუნწი ღიაშფავანია, ცალ მხარეზე მოიისფრო ელფერით, და მცირედ არის დაფარული ბეწვისებრი ბუსუსით.

ახალგაზრდა ყლორტი ცალ მხარეზე ღიაშფავანია. მეორე მხარეზე კი — მოიისფრო. იგი მცირედ არის დაფარული მონაცრისფრო ბეწვისებრი ბუსუსით. შეზუსტა უფრო ძლიერდება ყლორტის წვერისაკენ.

შემოსული რქა საშუალო სისხოსია, ღია მოწითალო-მოყავისფროა და სდევს მუქი ლეები. მუხლები უფრო მუქადაა შეფერილი. მუხლთშორისის სიგრძე 10 — 18 სმ-ს აღწევს.

ზრდადამთავრებული ფოთოლი ღიაშფავანია, მოყვითალო ელფერით; იგი საშუალო სიდიდისაა ან დიდია, მომრგვალო ან ოდნავ ოვალური და მცირედ დანაკვთული. მისი სიგრძე აღწევს 17.9 — 21.5 სმ-ს, სიგანე — 18.6 — 19.5 სმ-ს.

ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ჩანგისებურია, მომრგვალო ან მახვილი ფუძით, და შემდგარია სამი ძარღვისაგან. გვხვდება აგრეთვე ვიწრო-ელიფსური ამონაკვეთები, ურთიერთზე მცირედ გადა-



სურ. 16. მტევანდიდის ყვავილი.

დებული ნაკვეთებით, და ასევე ჩანგისებური, შემდგარი ოთხი ძარღვისაგან, მახვილი ან წამახვილებული ფუძით.

ფოთლის ზედა ამონაკვეთი ღიაა და მცირედ არის ჩაჭრილი; იშვიათად საკმაოდ ჩაჭრილია და მისი ნაპირები მიახლოებულია ერთმანეთზე. ამონაკვეთის ფუძე მახვილი ან მომრგვალოა. ქვედა ამონაკვეთი ღიაა და უმნიშვნელოდ არის ჩაჭრილი.

ფოთოლი სამნაკვეთიანია; მეორადი ნაკვეთები არა აქვს. წვერის ნაკვეთი ფოთლის ფირფიტასთან ბლაგვ კუთხეს ქმნის.

ნაკვეთა წვერის კბილები სამკუთხედისებრია, მცირედ ამოზნექილი გვერდებითა და წამახვილებული წვერით; გვხვდება მომრგვალო-სამკუთხედისებრი და ხერხკბილისებრი ფორმის კბილებიც. მეორადი კბილები ფორმით მთავარი კბილების მსგავსია.

ფოთოლი ბრტყელია; გვხვდება აგრეთვე ძაბრმაგვარ-ღარისებურად მოხრილი და ნაპირებით ქვემოთ ჩამოწეული ფოთლებიც. ფოთლის ზედაპირი გლუვია ან ბადისებურად არის დანაოქვებული. ქვედა მხრიდან მცირედ არის დაფარული მოკლე ბეწვიანი ბუსუსით. მთავარი ძარღვები ოდნავ შეზუსტულია და ღიაშფავანე ფერისაა. ფოთლის ყუნწის შეფარდება შუა მთავარ ძარღვთან უდრის 0.8 — 1.0-ს. იგი შიშველია და ღიაშფავანე ფერისაა.

ყვავილი ორსქესიანია, ნორმალურად განვითარებული ბუტკოთი და მტვრიანებით. მტვრიანები ნორმალურადაა დახრილი ბუტკოდან და თითქმის ბუტკოს სიგრძეს აღწევს. ყვავილში 5 მტვრიანაა, გვხვდება, მხოლოდ იშვიათად, ოთხიც. ყვავილების რაოდენობა ყვავილედში 300 — 500 ცალს აღწევს (სურ. 16).

დიდი მტევნის ყუნწის სიგრძე აღწევს 8 — 12 სმ-ს, მტევნის სიგრძე — 15 — 17 სმ-ს, სიგანე — 11 — 14 სმ-ს, მარცვლების რაოდენობა მტევანზე 100 — 130 ცალია. საშუალო მტევნის სიგრძე აღწევს 12 — 14 სმ-ს, სიგანე — 9 — 12 სმ-ს, მარცვლების რაოდენობა მტევანზე 80 — 90 ცალს შეადგენს.

მტევანი თხელია და ფორმით არასწორ განიერ-კონუსისებრი და განტოტვილი. გვხვდება, მხოლოდ იშვიათად, საშუალო სიმკვრივის მტევნებიც. მტევნის ყუნწი შუამდე გახვეებულია და ღია წითელ-მოყავისფროა. ყუნწის დანარჩენი ნაწილი კლერტით ბალახმაგვარი და ღია მწვანეა. მტევნის ზედა ნაკვთის სიგრძე ხშირად თვით მტევნის სიგრძის ნახევრამდე აღწევს.

მარცვლის ყუნწის სიგრძე საჯდომი ბალიშით 5 — 9 მმ-ს აღწევს. იგი მწვანეა. საჯდომი ბალიშით ოდნავ შეყვითლებულია ღიამწვანე ელფერით; დამეჭვებულია და ვიწრო-კონუსისებრი, იშვიათად კი განიერ-კონუსისებრი. მარცვალი საჯდომ ბალიშზე მტკიცედ არის მიმაგრებული. *საჯდომი ბალიში*

მარცვალი მუქილურჯი ფერისაა (თითქმის შავი), საშუალო სიდიდის, სიგრძით 15.3 მმ და სიგანით 13.4 მმ. მსხვილი მარცვლის სიგრძე აღწევს 17 მმ-ს და სიგანე — 15.8 მმ-ს. მცირე მარცვლის სიგრძე აღწევს 9 მმ-ს და სიგანე — 8 მმ-ს. მარცვალი ფორმით ოვალურია, შუა წელში უფრო განიერი, ბოლო მომრგვალებული აქვს და სიმეტრიულია. იგი სქელკანიანია, სკამოდ ხორციანი და უფრო წვნიანი. ფიფქით (ცვილით) მარცვლის კანი საკმაოდ სქლად არის დაფარული.

მარცვლების მომწიფება მტევანზე უთანაბროდ მიმდინარეობს, რაც მტევანდიდისათვის დამახასიათებელ ნიშანთვისებას წარმოადგენს.

მარცვალში 1 — 4 ცალი წიბწია, სკარბობს 1 წიბწა. მისი სიგრძე აღწევს 7 — 8 მმ-ს, სიგანე — 3 — 4.5 მმ-ს; მოყავისფროა, ხოლო მუცლის მხარეს ღარებში ბაციყვითელი ფერისაა. ქალაძა მოთავსებულია ზურგის შუა ნაწილის ცოტათი ქვემოთ; თითქმის ოვალურია, იშვიათად სამკუთხედისებრი. ზურგის მხარე გლუვია. ნისკარტის წვერი ჟანგისფერია მისი სიგრძე 2 მმ-დე აღწევს.

აგრობიოლოგიური დახასიათება. მტევანდიდის სავეგეტაციო პერიოდის საერთო ხანგრძლივობა ჩოხატაურისა და მახარაძის რაიონებში 211 — 222 დღეს აღწევს, საშუალოდ 216 დღეს. ვაზი გამოღვიძებას იწყებს მარტის ბოლო რიცხვებში. კვირტების გამოფურჩქვნა მიმდინარეობს აპრილის პირველ რიცხვებში. ყვავილობა იწყება მაისის ბოლოდან და მთავრდება 15 ივნისამდე. ყურძენი შეთვალებას იწყებს 26 — 28 აგვისტოდან, მასობრივ სიმწიფეში კი ოქტომბრის ბოლოდან ან ნოემბრის პირველ რიცხვებში შედის. ფოთოლცვენა იწყება ნოემბრის უკანასკნელ დეკადაში და დეკემბრის პირველ რიცხვებში მთავრდება.

მტევანდიდის რქა სრულ სიმწიფეს აღწევს ყურძნის მასობრივი მწიფობის პერიოდისათვის და ამ დროისათვის ჯიშის დამახასიათებელ ელფერს ღებულობს.

ვაზის ზრდა-განვითარება საშუალო ან საშუალოზე ძლიერია. ბალდათისა და დაბლაციხის ზონებში ხელსაყრელ ეკოლოგიურ პირობათა მოქმედების შედეგად ვაზების ზრდა ძლიერია და რქების განვითარება ხშირ შემთხვევაში 2 — 3.5 მეტრამდე აღწევს.

მოსავლის პირველი ნიშნებს მტევანდიდი იძლევა დარგვიდან მესამე წელს; სრულ მსხმოიარობაში ის შედის მეხუთე წლიდან. მაღლარად აღზრდილი ვაზების მოსავლიანობა მეტად ცვალებადია: ამინდის ხელსაყრელ პირობებში ერთი ძირი მაღლარის მოსავალი 50 კგ. აღწევს; დაბლარად აღზრდილი ვაზების მოსავალი ერთი ძირიდან საშუალოდ 2 კგ. არ აღემატება. მოსავლიანობის კოეფიციენტი უდრის 2-ს. რქაზე ხშირად ორი მტევანია. ვაზის ძველი ნაწილებიდან განვითარებული ყლორტები ჩვეულებრივ უმოსავლოა. მტევანდიდს ახასიათებს დაწვრილმარცვლიანება; წვრილი მარცვლები ყურძნის სრული სიმწიფის პერიოდისათვის ასწრებს მომწიფებას.

სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ ჯიში სუსტ გამძლეობას იჩენს, მაგრამ ჩხავერთან, ნაკაშიძის ჯანთან და სხვა ადგილობრივ ჯიშებთან შედარებით უფრო მეტად ამტანია, მეტადრე ნაცრის მიმართ.

გურიის რაიონებში მრავალი წლის განმავლობაში წარმოებული დაკვირვებებით დადასტურებულია, რომ რაოდენობით მეტ და ხარისხოვან პროდუქციის მისაღებად აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მტევანდიდისათვის შეიროჩეს მზით განათებული და სამხრეთისაკენ დახრილი ფერდობები. როგორც ყურძნის, ისე ვაზის მწვანე ნაწილების ავადმყოფობისაგან დაცვისათვის, აგრეთვე მეტი მოსავლის მიღების მიზნით მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული ვაზებისათვის მაღალი შტამბის ზიკვა და ფორმირება ე. წ. ოლიხნარის წესით.

გურიის რაიონებში ზამთრისა და გაზაფხულის ყინვების მოქმედება სრულიად უმნიშვნელოა. ვაზების გამოღვიძება და ყლორტების განვითარება დროულად და სავსებით ნორმალურ პირობებში მიმდინარეობს.

სამეურნეო-ტექნოლოგიური დახასიათება. ყურძნის მექანიკური და ქიმიური ანალიზების მიხედვით მტევანდილის მტევნის საშუალო წონა მერყეობს 196 — 225 გრამამდე, საშუალოდ კი 207 გრამს უდრის. საშუალო მტევანზე 115 ცალი მარცვალია, რაც შეადგენს 95.9%-ს, კლერტი კი — 3.6%-ს. საშუალო მტევანზე ჩენჩო აღწევს 26%-მდე, წიპწა — 4.1%-მდე, წვენი გამოსავალი კი 66.3%-ს შეადგენს. როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, მტევანდილის წვენი გამოსავლიანობა დამაკმაყოფილებელია (66.3%); ნარჩენები კლერტის, წიპწისა და ჩენჩოს სახით შეადგენს სულ 33.7%-ს. დიდი მტევნის წონა უდრის 382 გრამს, მცირესი კი — 150 გრამს.

100 მარცვლის საშუალო წონა 174 გრამია. 100 მარცვალში წიპწების რაოდენობა აღწევს 155 ცალს, აქედან ერთწიპწიანი მარცვლები შეადგენს 57%-ს, ორწიპწიანი — 32%-ს, სამწიპწიანი — 10%-ს და ოთხწიპწიანი — 1%-ს.

ტკბილის ქიმიური ანალიზების საშუალო მონაცემების მიხედვით მისი კუთრი წონა უდრის 1.085 — 1.091-ს, შაქრიანობა 19.6 — 23%-მდეა, საერთო მჟავიანობა — 9.8 — 10.6%-მდე, ღვინის მჟავა — 2.95 — 3.20, PH — 2.91 — 2.96.

მტევანდილის ღვინო მუქივარდისფერია, საკმაოდ მრგვალი და ჰარმონიული ალკოჰოლის ნორმალური შემცველობით (11,1°). ღვინოს ახასიათებს კარგი ტრანსპორტაბელობა და შენახვის უნარიანობა.

ღვინის ქიმიური ანალიზი შემდეგ სურათს იძლევა: კუთრი წონა უდრის 0.9969-ს, ალკოჰოლი — 11.1-ს, საერთო მჟავიანობა — 7.4%-ს, მჭროლავი მჟავები — 0.7-ს, ალდეგიდები — 0.010-ს, PH — 3.41-ს, ექსტრაქტი — 26.71, ტანიდები — 0.9, შაქარი — 0.625 და გლიცერინი — 5.58. ამრიგად მტევანდილის ღვინოს ნორმალური ალკოჰოლის შემცველობასთან ერთად დამაკმაყოფილებელი მჟავიანობაც ახასიათებს.

ვაზზე დაუკრეფავი ყურძენი ინახება დეკემბრის ბოლომდე, ხოლო დაკრეფილი გაზაფხულამდე სძლებს.

როგორც უხვმოსავლიანი და საკმაოდ მაღალხარისხოვანი პროდუქციის მომცემი საღვინე ჯიში, მტევანდილი ყურადღების ღირსია და სავსებით მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული მისი ფართოდ გავრცელება, ნამყენების სახით, ფილოქსერის გამძლე საძირებზე, მეტადრე შუა და აღმოსავლეთ გურიის მხარეში.

М Т Е В А Н Д И Д И

Листья средней величины или крупные; округлые или слегка овальные; длиной 17.9 — 21.5 см и шириной 18.6 — 19.5 см.

Черешковая выемка лировидная, с округлым или острым дном. Лопать выемки состоит из трех нервов. Встречается также узко-эллиптическая выемка со слегка налегающими лопастями и лировидной формы лопасти, которые состоят из 4 нервов, с острым или заостренным дном.

Верхние вырезки открыты и расположены в виде входящего угла; реже встречаются довольно глубокие, с острым или округлым дном. Нижние вырезки хотя открыты, но слабо выражены.

Лист трехлопастный. Вторичных лопастей не имеет. Угол оконечной лопасти тупой.

Оконечные зубцы лопастей треугольные с слегка выпуклыми сторонами и острой вершиной; встречаются также округло-треугольные и пиловидные зубцы.

Поверхность листа сетчато-морщинистая, реже гладкая. Пластинка листа плоская; встречается также воронковидно-желобчатой формы; снизу покрыта слабым волосистым покровом серого цвета.

Отношение черешка к длине среднего нерва 0.8 — 1.0; черешок голый и светлозеленого цвета.

Цветы обоеполые.

Плодоносные побеги средней толщины. Длина междоузлий 10 — 18 см; междоузлия бледно-красноватокоричиевого цвета. Узлы окрашены темнее, чем междоузлия.

Появление первых признаков созревания винограда наблюдается в начале сентября; массовое созревание наступает в конце октября.

Длина ножки грозди 8 — 12 см, длина грозди — 12 — 17 см, ширина — 9 — 12 см; количество ягод на грозди до 130 шт.

Общая форма грозди неправильно — широко-коническая, ветвистая, рыхлая. Иногда средней плотности. Средний вес грозди 207 гр.

Длина ножки ягоды с подушечкой 5 — 9 мм, сама ножка зеленого цвета. Подушечка слегка желтоватая, бородавчатая и узко-коническая, реже широко-коническая (дисковидная).

Ягода черная, средней величины, 15.3—13.4 мм в диаметре. Овальная, посередине широкая, у конца округлая и симметричная. Кожица толстая. Мякоть достаточно сочная и мясистая. Вкус обыкновенный.

Количество семян в ягоде 1—4 шт., чаще 1 шт. Длина семени 7—8 мм, ширина — 3—4.5 мм. Халаза почти овальная, реже треугольная; спинная сторона гладкая. Длина клюва достигает 2 мм.

Мтевандиди — винный сорт, годен также как столовый сорт. Виноград хорошо сохраняется до весны. При хорошем уходе дает обильный урожай.

До появления грибных заболеваний и филлоксеры Мтевандиди, встречался в виде «маглари», во многих деревнях восточной и средней Гурии и жители из него приготавливали довольно качественные красные столовые вина для местного потребления. После вторжения грибных болезней и филлоксеры данный сорт подвергся массовой гибели и в настоящее время встречается на «маглари» лишь в единичных экземплярах. «Даблари» Мтевандиди встречается в Чохатаурском районе в сел. Даблацхе, Калагони, Парцхма, а также в сел. Багдади и Бахвинском совхозе (Махарадзевский район).

Мтевандиди, как довольно качественный винный сорт, заслуживает внимания и массового разведения исключительно привитыми саженцами в предгорных районах средней и восточной Гурии.

ჭ უ მ უ ტ ა

ქუმუტა გურიის წითელყურძნიანი ვაზის აბორიგენულ ჯიშთა ჯგუფს ეკუთვნის. წარსულში იგი ფართოდ იყო გავრცელებული გურიის თითქმის ყველა რაიონში, მეტადრე კი მის მთისპირა მიკრო-რაიონებში. ვაზები აღზრდილი იყო მაღლარად და, მიუხედავად მოვლის სიძნელისა, ნარგავური ზრდა-განვითარებით და მოსავლიანობით ხასიათდებოდა.

აღგილობრივი მოსახლეობა ქუმუტას ყურძენს ძირითადად საკმელად იყენებდა. ქუმუტად იგი განკუთვნილი იყო სუფრის ყურძნის ჯიშად, თუმცა მისგან ღვინოსაც ამზადებდნენ, მხოლოდ არა მასობრივად. ქუმუტას ყურძენს შენახვის დიდი უნარიანობა ახასიათებდა. ვაზზე დატოვებული ყურძენი იანვრამდე სძლებდა და დაკრეფილი კი, როგორც გადმოგვცემენ, გაზაფხულამდე ინახებოდა.

გ. შარაშიძეს თავის გურულ სალექსიკონო მასალებში (22) აღნიშნული აქვს ვაზის ჯიში, სახელწოდებით „ქუმუტა“, რაც მისი აზრით მტევნის სიმკვრივის აღმნიშვნელია. ამას ადასტურებს აგრეთვე აკად. ი. ვ. ჯავახიშვილი ლინგვისტური კვლევის საფუძველზე (1). ჩვენს მიერ ამ ჯიშის მიმართ წარმოებული დაკვირვებანი ადასტურებს ზემოაღნიშნულ ავტორთა შეხედულებას.

სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის გავრცელების შემდეგ ქუმუტას ნარგავები თითქმის განადგურდა და ამჟამად მხოლოდ თითო-ორი ძირების სახით გვხვდება მაღლარად ჩოხატაურის რაიონში — სოფ. კოხნარსა, დაბლაციხესა და ფარცხმაში, აგრეთვე მახარაძის რაიონში — სოფ. ბაღდათში.

ბოტანიკური აღწერა. კვირტები გაშლის პერიოდში მოთეთრო-ნაცრისფერია და მცირე-ოდენი მოწითალო ელფერი სდევს. ზრდის კონუსი მოთეთრო-მოწითალოა და დაფარულია მოთეთრო ფერის ბეწვისებრი ბუსუსით. პირველი ახლად გაშლილი ფოთოლი ზედა მხრიდან მთლიანად დაფარულია თეთრი ფერის ბეწვისებრი ბუსუსით. ფოთლის ნაპირებს როგორც ზემოდან, ისე ქვემოდან გადაპკრავს მცირეოდენი სიწითლე. ქვედა მხრიდან ფირფიტა ქეჩისებრად არის დაფარული თეთრი ფერის ბეწვისებრი ბუსუსით. ფოთლის ყუნწი მთლიანად დაფარულია მოთეთრო-მონაცრისფრო ბუსუსით. მომდევნო მეორე და მესამე ნორჩი ფოთლები ზედა მხრიდან მცირედ არის დაფარული მონაცრისფრო ბეწვისებრი ბუსუსით; მესამე ფოთლს შებუსვა მხოლოდ ძარღვების გასწვრივ აქვს. ქვედა მხრიდან შებუსვა ქეჩისებრია, განსაკუთრებით ძარღვებს შუა. ბუსუსი ბეწვისებრია და მოთეთრო-ნაცრისფერი, მცირეოდენი მოწითალო ელფერით, განსაკუთრებით ძარღვებთან.

ნორჩი ყლორტი (12 — 15 სმ) ღია მწვანეა, ოდნავ მოწითალო ელფერით, და მცირედ არის დაფარული თეთრი-მონაცრისფრო ბეწვისებრი ბუსუსით. შებუსვა უფრო ძლიერდება ყლორტის წვერისაკენ.

შემოსული რქა საშუალო სიმსხოსია. მუხლთშორისის სიგრძე 8 — 15 სმ-ს აღწევს. ღია ყავისფერია, მოწითალო ელფერით. მუხლები უფრო მუქადაა შეფერილი. რქას მცირედი ზოლიანობა ახასიათებს.

ზრდადამთავრებული ფოთოლი მუქი მწვანეა და ფორმით მომრგვალო ან გულისებრი. ძარღვებს მეტი ამობურცვა ახასიათებს. ფოთლის სიგრძე აღწევს 17.8 — 22.0 სმ-ს, სიგანე — 17.6 — 19.7 სმ-ს.

ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ჩანგისებრია, მახვილი ფუძით; იშვიათად ელიფსური. ამონაკვეთის ნაკვეთები შემდგარია სამი ძარღვისაგან, რომელთა ნაპირები ურთიერთზე მცირედ გადადებულია. გვხვდება აგრეთვე კვერცხისებრი ამონაკვეთები, მახვილი ან ბრტყელი ფუძით.

ფოთლის ზედა ამონაკვეთი მცირედ ჩაჭრილია; იშვიათად საკმაოდ არის ჩაჭრილი, ვიწრო ნასვრეტითა და მახვილი ფუძით. ქვედა ამონაკვეთი უმნიშვნელოდაა ჩაჭრილი.

ფოთოლი სამნაკვეთიანია; წვერის ნაკვეთი ფოთლის ფირფიტასთან ქმნის სწორ კუთხეს, იშვიათად — ბლაგვს.

ნაკვეთთა წვერის კბილები სამკუთხედისებრია, წამახვილებული წვერით, ან წესიერ-სამკუთხედი-სებრია, გვხვდება აგრეთვე ასევე სამკუთხედისებრი კბილები, ამოზნექილი გვერდებითა და წამახვილებული წვერით, ან ხერხებილა-სამკუთხედისებრი.

ფოთლის ქვედა მხარე დაფარულია მცირედი ბუსუსით, ზედა მხარე კი გლუვია. ფირფიტა ზოგ შემთხვევაში ბადისებრად და ნაოქვებული. ფოთლის ზედაპირი უფრო ხშირად ძაბრისებრი ან ძაბრისებრი-ღარისებრი მოყვანილობისაა; იშვიათად ბრტყელია. მთავარი ძარღვები შიშველია და ღია მწვანეა.


ფოთლის ყუნწის შეფარდება მთავარ შუა ძარღვთან უდრის 0.9—1.0-ს. იგი შიშველია და ღია მწვანე ან მწვანე-იისფერია.

ყვავილი ორსქესიანია, ნორმალურად განვითარებული ბუტკოთი და მტვრიანებით. მტვრიანები ნორმალურად გადახრილია ბუტკოდან და თითქმის ერთნახევარჯერ გრძელია ბუტკოზე. ყვავილში 5 მტვრიანაა, იშვიათად გვხვდება 4 და 6 მტვრიანაც. ყვავილების რაოდენობა ყვავილედში 300—600 ცალამდე აღწევს (სურ. 18).

მტევნის ყუნწის სიგრძე აღწევს 3—4 სმ-ს, დიდი მტევნის სიგრძე უდრის 11.5—13.5 სმ-ს, სიგანე — 5—7 სმ-ს; საშუალო მტევნის სიგრძე აღწევს 8—9 სმ-ს, სიგანე — 4.5—6 სმ-ს.

მტევნის საერთო ფორმა ცილინდრული ან ცილინდრულ-კონუსისებრია. განტოტვა არ ახასიათებს. ძლიერ მკვრივია; გვხვდება აგრეთვე საშუალო სიმკვრივის მტევნებიც. მტევნის ყუნწი მცირე მანძილზე გახევეებულია. დანარჩენი ნაწილი კლერტით ბალახისებრი და მუქი მწვანეა.

მარცვლის ყუნწის სიგრძე საჯდომი ბალიშით 5—7 მმ-ს აღწევს. იგი მომწვანოა ან ოდნავ მოწითალო-ყავისფერი, საჯდომი ბალიში დამეჭეპებულია და განიერ-კონუსისებრი. მარცვლის მო-



სურ. 18. ჭუმუტას ყვავილი.

გლეჯის დროს საჯდომ ბალიშზე ხშირად რჩება კანის ნაწილი. მარცვალი ბალიშზე მტკიცედ არის მიმაგრებული.

მარცვალი თითქმის შავი ფერისაა, საშუალო სიდიდის ან საშუალოზე მცირე. მისი საშუალო სიგრძე აღწევს 13.3 მმ-ს და სიგანე — 12.2 მმ-ს, ფორმით მომრგვალო ან ოდნავ ოვალურია, შუა წელში განიერი, ბოლო მომრგვალებული აქვს და სიმეტრიულია. სქელკანიანია, უფრო ხორციანი და მცირედ წვნიანი, მომჟავო-ტკბილი სასიამოვნო გემოთი. მარცვლის კანზე ფიფქი მცირე რაოდენობით არის დაფენილი.

მარცვალში 1—4 ცალი წიბწაა, სჭარბობს 2 წიბწა. მისი სიგრძე აღწევს 6—7 მმ-ს, სიგანე 3—4 მმ-ს, ღია ყავისფერია, მუცლის ღარები ოდნავ მოყვითალოა. ქალაბა თითქმის ოვალურია, მცირედ გამოსახულია და ზურგის მხარის შუა ნაწილშია მოთავსებული. ნისკარტის სიგრძე აღწევს 2 მმ-მდე.

აგრობიოლოგიური დახასიათება. შუა და ზემო გურიის სოფლებში ჭუმუტას სავეგეტაციო პერიოდის საერთო ხანგრძლივობა 240—250 დღეს აღწევს. ვაზის გამოღვიძება იწყება მარტის ბოლო რიცხვებიდან. კვირტების გამოფურჩქვნა მიმდინარეობს აპრილის პირველ დეკადაში. ყვავილობა იწყება 4—6 ივნისიდან და 15 ივნისამდე მთავრდება. ყურძნის შეთვალება იწყება აგვისტოს ბოლო რიცხვებიდან, მასობრივ სიმწიფეში ოქტომბრის მიწურულში შედის. ფოთოლცვენა იწყება ნოემბრის ბოლო რიცხვებიდან და 10 დეკემბრამდე მთავრდება.

ჭუმუტას მწვანე ნაწილები სრულ სიმწიფეს აღწევს ყურძნის მასობრივი მწიფობის პერიოდისათვის და რჩები ამ დროისათვის ჯიშის დამახასიათებელ ელფერს ღებულობს.

ვაზის ზრდა-განვითარება საშუალოა. ვაზი სრულ მოსავლიანობაში შედის დარგვიდან მე-4 — 5 წელს. რქაზე უფრო ხშირად გვხვდება ორი მტევანი, იშვიათად ერთი და სამი. ვაზის ძველი ნაწილებიდან განვითარებული ყლორტები ჩვეულებრივ უმოსავლოა.

სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ მცირე გამძლეობას იჩენს. დაკვირვებით დადასტურებულია, რომ ვაზის უკეთესი ზრდა-განვითარებისა და მაღალხარისხოვანი პროდუქციის მიღებისათვის მიზანშეწონილია ჭუმუტას მოშენება მზით განათებულ ფერდობებზე. ნიადაგის მიმართ დიდი მომთხოვნი არაა. ხოლო უკეთესი ღირსების პროდუქციის მიღებისათვის ნიადაგის ნიადაგის მიმართ დიდი მომთხოვნი არაა. ხოლო უკეთესი ღირსების პროდუქციის მიღებისათვის ნიადაგის ნიადაგის მიმართ დიდი მომთხოვნი არაა. ხოლო უკეთესი ღირსების პროდუქციის მიღებისათვის ნიადაგის ნიადაგის მიმართ დიდი მომთხოვნი არაა.

სამეურნეო-ტექნოლოგიური დახასიათება. ჭუმუტას მტევნის წონა მერყეობს 140 — 252 გრამამდე, საშუალოდ 185 გრამამდე აღწევს. საშუალო მტევანზე მარცვლების რაოდენობა 100 — 112 ცალია, წონით 164 — 178 გრამი. კლერტის წონა 8.6 გრამია, წიპების წონა — 11.6 გრამი, ჩენჩოსი — 32.6 გრამი. სულ კლერტის, წიპებისა და ჩენჩოს წონა უდრის 52.8 გრამს, რაც საშუალო მტევნის წონის 28.5%-ს შეადგენს.

დიდი მტევნის წონა აღწევს 252 გრამამდე, მცირესი — 140 გრამია. 100 მარცვლის საშუალო წონა აღწევს 133 გრამამდე. 100 მარცვალში 220 ცალამდე წიპაა, წონით 8.6 გრამი. აქედან ერთწიპიანი მარცვლები შეადგენს 20%-ს, ორწიპიანი — 49%-ს, სამწიპიანი — 29%-ს და ოთხწიპიანი — 2%-ს.

მრავალი წლის მანძილზე მიღებული მასალების მიხედვით ტკბილში შაქრიანობა აღწევს 19.5 — 20.8%-ს და საერთო შაქრიანობა — 9.8 — 10.6%-ს.

ჭაჭაზე დაყენებული ჭუმუტას ღვინოს ახასიათებს მუქი მოწითალო შეფერვა, პიგმენტის საკმაო შემცველობით. იგი საკმაოდ სხეულიანია, ტანინოვანი და პარმონიული, ოდნავ მომწკლარტო გემოთი. აღნიშნული მასალების მიხედვით და აგრეთვე ადგილობრივ მომუშავე გამოცდილ მეურნეთა დასკვნით, გურიის პირობებისათვის ჭუმუტა ხარისხოვანი ღვინის მომცემ ჯიშად ჩაითვლება. იგი აგრეთვე საყურადღებოა, როგორც სუფრის ყურძნის ჯიში. ყურძენს ახასიათებს როგორც ხანგრძლივი შენახვის უნარი, ისე ტრანსპორტაბელობა.

ჩამოთვლილ დადებით თვისებათა გამო ჭუმუტა ფართო ყურადღების ღირსია და მიზანშეწონილია მისი მასობრივად გავრცელება ნამყენების სახით, მეტადრე აღმოსავლეთ და შუა გურიის მთისპირა მიკრორაიონებში.

ЧУМУТА

Листья средней величины, округлые или сердцевидные, длиной 17.8 — 22 см и шириной 17.6 — 19.7 см.

Черешковая выемка лировидная, с острым дном. Лопать черешковой выемки состоит из трех нервов. Встречается также эллиптическая, с соприкасающимися лопастями, или яйцевидная, с острым или плоским дном.

Верхние вырезки слабо намечены или расположены в виде входящего угла; иногда встречаются довольно глубокие вырезки с узким просветом. Нижние вырезки едва намечены.

Лист трехлопастный. Угол оконечной лопасти прямой, реже тупой. Оконечные зубцы лопастей треугольные, с острой или округлой вершиной. Встречаются также треугольные зубцы, с выпуклыми сторонами и острой вершиной. Вторичные зубцы листа чаще треугольные с выпуклыми сторонами и острой вершиной, или треугольно-пиловидные.

Поверхность листа гладкая, реже сетчато-морщинистая; по форме воронковидная или желобчатая, реже плоская.

Отношение черешка к длине среднего нерва 0.9 — 1.0; черешок голый и светлозеленого цвета.

Плодоносные побеги средней толщины 6 — 10 мм в диаметре; длина междоузлий 8 — 15 см, междоузлия светлокорицевого цвета с красноватым оттенком, со следами волосков. Узлы окрашены темнее, чем междоузлия.

Цветы обоеполые.

Появление первых признаков созревания винограда наблюдается в конце августа; массовое созревание происходит со второй половины октября.

Длина ножки грозди 3—4 см, длина грозди—8—14 см, ширина—5—7 см. Количество ягод на грозди 100—112 шт.

Общая форма грозди цилиндрическая или цилиндрическо-коническая; гроздь очень плотная; встречаются и средней плотности.

Длина ножки ягоды с подушечкой 5—7 мм; ножка зеленоватого цвета. Подушечка бородавчатая и широко-коническая.

Ягода почти черная, средней или меньше средней величины, длиной 13.3 мм, шириной 12.8 мм, у конца округлая и симметричная. Кожица толстая; мякоть малосочная и более мясистая.

Количество семян в ягоде 1—4 шт, чаще—2. Длина семени 6—7 мм, ширина—3—4 мм. Халаза почти овальная и мало выдающаяся. Длина клюва достигает до 2 мм.

Чумута—столовый сорт; дает также качественный материал для приготовления столовых вин местного потребления. Виноград хорошо сохраняется и выдерживает транспорт. При соответствующем уходе дает обильный урожай.

Вторжение грибных заболеваний и филлоксеры обусловили массовую гибель этого ценного сорта и в настоящее время он встречается лишь в единичных экземплярах в виде „маглари“ в предгорных микрорайонах восточной и средней Гурии.

Сорт заслуживает особого внимания и массового разведения привитыми саженцами, особенно в предгорных районах восточной и средней Гурии.





ჭუმუტა — Чумута

ს ხ ი ლ ა თ უ ბ ა ნ ი

გურიის წითელყურძნიან ჯიშებს შორის სხილათუბანი ძველი დროიდანვეა ცნობილი. წარსულში იგი ფართოდ ყოფილა გავრცელებული მაღლარების სახით, განსაკუთრებით ზემო გურიის, მიკრორაიონებში. მის პროდუქციას იყენებდნენ საკმაოდ ხარისხოვანი სუფრული ტიპის ღვინოების დასამზადებლად.

ადგილობრივ მცხოვრებ მოხუც პირთა გადმოცემით, ეს სახელწოდება აღნიშნულ ჯიშს მიკუთვნებული უნდა ჰქონდეს მის მკვირვ მტევნებში პაწაწინა მწერების დაბუდების გამო, რომელთაც გურული ტერმინოლოგიით „სხილებს“ ეძახიან. თუ რამდენად სწორია ამგვარი განმარტება, ძნელი წარმოსადგენია, მითუმეტეს, რომ ჩვენს მიერ მრავალი წლის მანძილზე წარმოებული დაკვირვებით მტევნებში არავითარი მწერები არ შეგვიმჩნევია. აკად. ი. ჯავახიშვილი თავის შრომაში (1), უკეთებს რა ანალიზს სხილათუბანის სახელწოდებას, განმარტავს, რომ იგი უნდა იყოს ფონეტიკური სახე-ნაცვალის რცხილათობანის (სოფ. რცხილათოუბნიდან). ამავე შრომაში აკად. ჯავახიშვილი იძლევა რცხილათობანის ჯიშის მოკლე დახასიათებას, აკუთვნებს მას იმერულ ჯიშთა ჯგუფს, რომელიც წარსულში გავრცელებული ყოფილა სამხრეთ იმერეთში და მდ. ცხენისწყალის სანაპიროზე — სოფ. ხოპის მიდამოებში. აკად. ჯავახიშვილის მიერ დასახელებული რცხილათობანის ჯიშის ბოტანიკური აღწერისა და სამეურნეო-ტექნოლოგიურ დახასიათებათა უქონლობა (ამჟამად რცხილათობანი იმერეთში არ არსებობს), არ გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ გურიის სხილათუბანის და იმერული რცხილათობანის იდენტურობა. მოხსენებული ავტორი სხილათუბანის ჯიშს ადარებს აგრეთვე რაჭულ წითელყურძნიან ჯიშს „რცხილს“, რომელიც, მისივე დასკვნით, უგუველია უნდა იყოს რცხილათობანის ბოლომოკვეცილი ფორმა. როგორც ვხედავთ, არსებული მასალები არ გვაძლევს შესაძლებლობას დავადგინოთ საბოლოოთ სხილათუბანის სახელწოდების წარმოშობა და მისი სადაურობა, რის გამოც იგი მეცნიერული კვლევა-ძიების საფუძვლებზე შემდგომ დამატებით შესწავლას საჭიროებს.

სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის მოქმედების შედეგად სხილათუბანის მაღლარები გურიის რაიონებში ამჟამად მთლიანად განადგურებულია. ზოგიერთ დაინტერესებულ მეურნეთა თაოსნობით ჩოხატაურის რაიონში 1905 და 1906 წლებში გაშენებულ იქნა სხილათუბანის ვენახები ნამყენების სახით, დაბლარად, რომელთაგან ნაწილი ამჟამადაც არსებობს. ვაზები ნორმალურ ზრდა-განვითარებით და ამასთანავე უხვი მოსავლიანობით ხასიათდება.

სადღეისოდ სხილათუბანის გავრცელების არეალი შეზღუდულია და იგი გვხვდება ნამყენების სახით მხოლოდ ჩოხატაურის რაიონის მთისპირა სოფლებში (სოფ. გორა-ბერეგოულსა, დაბლაციხესა, საყვავისტყესა, ფარცხმასა, და საქამიასერში) და ბახვის საბჭოთა მეურნეობაში (მახარაძის რაიონი).

ბოტანიკური აღწერა. კვირტები გაშლის პერიოდში თითქმის წითელია და დაფარულია სქლად ბეწვისებრი ბუსუსით. ზრდის კონუსი მოთეთრო მუქი წითელი ფერისაა. პირველი ახლად გაშლილი ფოთლი ზემოდან ღიაშვანეა, მოყვითალო ელფერით. ნაპირები კბილებით მთლიანად წითელ-იისფერია. სქლად არის დაფარული მოთეთრო-მონაცრისფრო ბეწვისებრი ბუსუსით. ქვედა მხრიდან ქეჩისებურადაა დაფენილი თეთრი-მოწითალო ფერის ბეწვისებრი ბუსუსით. ფოთლის ყუნწი მოწითალო-იისფერია და დაფენილია სქლად მონაცრისფრო ბუსუსით. მომდევნო მეორე და მესამე ნორჩი ფოთლები ზედა მხრიდან მუქიწითელი ან წითელია, მოიისფრო ელფერით. მხოლოდ ძარღვების გასწვრივ ღიაშვანე. მეორე ფოთლი მცირედ და მესამე კი უმნიშვნელოდ არის დაფარული ბუსუსით. ქვედა მხრიდან მათი შებუსვა ქეჩისებრია. ბუსუსი ბეწვისებრია და ნაცრისფერი. მთელ ფირფიტას ქვემოდან მოწითალო-ღვინის ან მუქი მოწითალო-იისფერი გადაჰკრავს.

ახალგაზარდა ყლორტი მცირედ ან საკმაოდ არის დაფარული ბეწვისებრი ბუსუსით. შებუსვა უფრო ძლიერდება ყლორტის წვეროსაკენ. ყლორტი ღიაშვანეა და წვეროსაკენ ხშირად გადაჰკრავს მოწითალო-იის ან წითელ-ღვინის ელფერი.


შემოსული რქა საშუალო სისხოსია. მუხლშორისის სიგრძე აღწევს 8 — 15 სმ-ს, ღიაყავისფერია, მოწითალო ელფერით. მუხლები უფრო მუქად არის შეფერილი. რქას მცირედი ზოლიანობა ახასიათებს. ზრდადამთავრებული ფოთოლი მომრგვალო ან ოდნავ ოვალურია. მისი სიგრძე აღწევს 15.4 — 21.0 სმ-ს სიგანე — 14.8 — 20 სმ-ს.

ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი დახურულია ვიწრო ან განიერი ელიპსური ნაპრალით. გვხვდება აგრეთვე ჩანგისებრი ფორმის ღია ამონაკვეთები, რომლის ნაკვეთები შემდგარია მსხვილი და მკვრივი ძარღვისაგან, ორივე შემთხვევაში მახვილი ან მომრგვალო ფუძით.

ზედა ამონაკვეთი ღიაა და მცირედ ჩაქრილი. იშვიათად დახურულია, ვიწრო ან განიერი ელიპსური ნაპრალით, რომლის ფუძე მომრგვალო ან მახვილია. ქვედა ამონაკვეთი უმნიშვნელოდ არის ჩაქრილი.

ფოთოლი სამნაკვეთიანია; გვხვდება სრულიად დაუნაკვეთავი ფოთლებიც. წვერის ნაკვეთი ფოთლის ფირფიტასთან ქმნის სწორ კუთხეს, იშვიათად — ბლაგვს.

ნაკვეთა წვერის კბილები სამკუთხედისებრი ან ვიწრო-სამკუთხედისებრია, წაგრძელებული წვერით; გვხვდება აგრეთვე ასევე სამკუთხედისებრი კბილები, ამოხეჩილი გვერდებითა და წამახვილებული წვერით. მეორადი კბილები მთავარი კბილების მსგავსია. ფოთლის ნაპირები კბილებით ყვითელ-მწვანე ფერისაა, რაც უნდა მიეწეროს ქლოროფილის მარცვლების დეფორმაციას მომწიფების პერიოდში.



სურ. 20. სხილათუბანის ყვავილი.

ფოთლის ქვედა მხარე ქეჩისებრია. მისი ზედა მხარე გლუვია ან ბადისებურად დანაოჭებული, იშვიათად წვრილ-ბუშტისებრი. ფოთოლი ბრტყელი ან ძაბრმაგვარ-ღარისებრი მოყვანილობისაა. მთავარი ძარღვები მცირედ შებუსუსულია, ბაციმწვანე ფერისაა და ფუძესთან ღიავარდის ან წითელ-ღვინისფერს ღებულობს.

ფოთლის ყუნწის შეფარდება მთავარ შუა ძარღვთან უდრის 0.8 — 1.1-ს. იგი შიშველია ან ოდნავ შებუსუსული და ღია წითელ-ღვინისფერისაა.

ყვავილი ორსქესიანია, ნორმალურად განვითარებული მტვრიანებით და ბუტკოთი. მტვრიანები საკმაოდ გრძელია ბუტკოზე და ზოგ შემთხვევაში მისგან საგრძნობლად გადახრილია, ყვავილში 5 მტვრიანაა; ხშირია აგრეთვე 6 მტვრიანაც, ხოლო იშვიათად კი 4. ყვავილების რაოდენობა ყვავილედში 350 — 550 ცალამდე აღწევს (სურ. 20).

მტევნის ყუნწის სიგრძე აღწევს 3.5 — 4.5 სმ-ს, დიდი მტევნის საშუალო სიგრძე უდრის 13 — 14 სმ-ს, სიგანე — 9 — 12 სმ-ს საშუალო მტევნის სიგრძე უდრის 10 — 12 სმ-ს, სიგანე — 7 — 9 სმ-ს.

მტევანი ცილინდრული ან ცილინდრულ-კონუსისებრია, საშუალო სიდიდის, იშვიათად ფრთიანი. ძლიერ მკვრივია. სიმკვრივის გამო მტევანზე მარცვლები ურთიერთზე მოწოლით შეხვეტილებია და ხშირად დაკარგული აქვს თავისი ფორმა. მტევნის ყუნწი ბალახისმაგვარია, იშვიათად გახვეებულია მუხლამდე. მტევანი საკმაოდ მტკიცედ არის მიმაგრებული რქაზე.

მარცვლის ყუნწის სიგრძე საჯდომი ბალიშით აღწევს 5 — 7 მმ-ს. იგი მწვანეა. საჯდომი ბალიშით დამეკეპებულია და ხშირ შემთხვევაში ვიწრო-კონუსისებრია. მარცვალი საჯდომ ბალიშზე საკმაოდ მტკიცედაა მიმაგრებული.

მარცვალე შავია, საშუალო სიდიდის. მისი სიგრძე აღწევს 15.9 მმ-ს, სიგანე — 14.2 მმ-ს. ფორმით მომრგვალო ან ოდნავ ოვალურია, შუაწელში უფრო განიერი, ბოლო მომრგვალებული აქვს და სიმეტრიულია. თითქმის თხელკანიანია, ნაკლებ ხორციანი და უფრო წვნიანი. მარცვლეს კანი საკმაოდ არის დაფარული ფიფქით (ცვილით). შემფერავი ნივთიერება კანში ბლომად მოიპოვება. რბილობაში კი არაა. კანი რბილობს ადვილად სცილდება, ხოლო რბილობი წიპწას ძნელად.

მარცვალეში 1 — 4 ცალი წიპწაა, სქარბობს 3 წიპწა. წიპწის სიგრძე აღწევს 6.5 მმ-ს, სიგანე — 3 — 3.5 მმ-ს. ქალაძა მოთავსებულია ზურგის მხარის თითქმის შუა ნაწილში და იგი კარგად არის გამოსახული, ფორმით მოგრძო-ოვალურია. წიპწა მოყავისფროა, მუცლის მხრიდან კი ნისკარტის ფუძისაკენ მოყვითალო ელფერი გადაჰკრავს. ზურგის მხარე გლუვია. ნისკარტის წვერი ღია მოყავისფროა, სუსტი მოყვითალო ელფერით. მისი სიგრძე 1.5 — 2 მმ-ს აღწევს.

აგრობიოლოგიური დახასიათება. სხილათუბანის სავეგეტაციო პერიოდის საერთო ხანგრძლიობა, ჩოხატაურის რაიონში, 250 — 260 დღეს აღწევს. ვაზი გამოღვიძებას იწყებს მარტის ბოლო რიცხვებში. კვირტების წამოზრდა-გაფურჩქვნა მიმდინარეობს 5 — 6 აპრილიდან. ყვავილობა იწყება მაისის ბოლოდან ან ივნისის დასაწყისიდან და 14 — 15 ივნისამდე გრძელდება. ყურძნის შეთვალევა იწყება 18 — 23 აგვისტოდან, მასობრივ მწიფობაში ოქტომბრის შუა რიცხვებიდან შედის, ფოთოლცვენა ჩვეულებრივ იწყება ნოემბრის მეორე ნახევრიდან და 8 — 10 დეკემბრამდე მთავრდება.

ვაზის რქები სრულ მომწიფებას ასწრებს ყურძნის მასობრივი სიმწიფის პერიოდისათვის და ჯიშის დამახასიათებელ ელფერს ღებულობს.

ვაზის ზრდა-განვითარება საშუალო ან საშუალოზე ძლიერია; ხშირ შემთხვევაში მას ახასიათებს მრავალი დამატებითი ყლორტისა და ნამხრვევის განვითარება.

სხილათუბანი სრულ მოსავლიანობაში შედის 4 — 5 წლიდან. იგი ხასიათდება უხვი მოსავლიანობით. ერთ რქაზე ხშირად ორი და სამი მტევანი გვხვდება, იშვიათად ერთი. ერთი ძირი დაბლარად აღზრდილი ვაზის მოსავალი აღწევს საშუალოდ 2 — 2.5 კილოგრამს. გვხვდება აგრეთვე ვაზები 3 კილოგრამამდე მოსავლით. მოსავლიანობის კოეფიციენტი უდრის 2.2-ს. ვაზის ძველი ნაწილებიდან განვითარებული ყლორტები უმოსავლოა.

სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ სხილათუბანი სუსტ გამძლეობას იჩენს, განსაკუთრებით მგრძობიარეა ნაცრის მიმართ.

ყვავილცვენა და დაწვრილმარცვლიანება არ ახასიათებს.

ჩოხატაურის რაიონის სხვადასხვა ზონებში გაშენებულ სხილათუბანის ნარგავებზე წარმოებული დაკვირვებით ცხადი ხდება, რომ როგორც ვაზის ზრდა-განვითარება ისე პროდუქციის მაღალი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების მიღება შესაძლებელია ამ ჯიშის გაშენებით სამხრეთით მიმართულ ღრმა, ღონიერ, კენკნარ არამძიმე ნიადაგებზე. ჯიში ადვილად ეგუება როგორც მოკლე ისე გრძელ სხვლას, ერთი ან ორი სანაყოფეს დატოვებით.

სამეურნეო-ტექნოლოგიური დახასიათება. სხილათუბანის მტევნის საშუალო წონა 126.4 გრამს აღწევს. მარცვლების რაოდენობა მტევანზე საშუალოდ 115 ცალია, წონით 120.2 გრამი. საშუალო მტევნის კლერტის წონა უდრის 5.16 გრამს, წიპწების წონა — 8.1 გრამს და ჩენჩოსი — 19.6 გრამს. სულ კლერტის, წიპწებისა და ჩენჩოს წონა უდრის 32.86 გრამს, რაც მტევნის საშუალო წონის 25.9%-ს შეადგენს. მაშასადამე, დანარჩენი, ე. ი. 74%-მდე წვეწვებზე მოდის, რაც სავსებით მისაღებად ჩაითვლება საღვინედ განკუთვნილი ჯიშისათვის.

დიდი მტევნის წონა აღწევს 256.5 გრამამდე, მცირესი კი — 91.5 გრამამდე.

100 მარცვლის საშუალო წონა უდრის 115 გრამს. მასში წიპწების რაოდენობა 255 ცალამდეა, წონით 11.5 გრამი. აქედან ერთწიპწიანი მარცვლები შეადგენს 26%-ს, ორწიპწიანი — 26%-ს, სამწიპწიანი — 40%-ს და ოთხწიპწიანი — 6%-ს. ზოგ შემთხვევაში გვხვდება უწიპწო მარცვლებიც, რაც დაახლოებით 2%-ს შეადგენს. 100 მარცვლის კანის წონა 20 გრამამდე აღწევს.

მწიფე ყურძნის ტკბილში შაქრიანობა აღწევს 19.2 — 19.7%-მდე და საერთო მჟავიანობა — 7.6%-მდე.

1936 წელს საქარის საცდელ სადგურში ენოქიმიკოს ვ. დემეტრაძის მიერ (19) ჩატარებულ იქნა სხილათუბანის ღვინის ქიმიური ანალიზი. მასალა მიღებული იყო სოფ. ბუკისციხიდან (ჩოხატაურის რაიონი), დაკრეფილი 15 ნოემბერს. ვ. დემეტრაძის მიერ წარმოებული ანალიზების მიხედვით ღვინის კუთრი წონა უდრის 0.9926; ალკოჰოლი მოცულობით შეადგენს 14.20%-ს.

100 კუბ. სმ. ღვინო შეიცავს გრამებში: ალკოჰოლს—11.32, საერთო მჟავიანობას—0.764, მქროლავ მჟავებს—0.116, არამქროლავ მჟავებს—0,618, ექსტრაქტს—1,940, ნაცარს — 0.213, შაქარს — 0.023, გლიცერინს — 0.739, ტანინს 0.120, ღვინის მჟავას — 0.261, ფოსფორის მჟავას — 0.049.

მოხსენებული ანალიზების მიხედვით, გვიან დაკრეფილი სხილათუბანის ყურძენი იძლევა მომეტებული ალკოჰოლიან ღვინოს (14.2%), ცოტათი მომეტებული მჟავიანობით (0.764%). აღნიშნულ მომეტებულ ალკოჰოლიანობასთან შეფარდებით ექსტრაქტის რაოდენობა (1.94) უნდა ჩეჩქვეფილადარებით მცირედ. ღვინო ხასიათდება უმნიშვნელო შაქრიანობით (0.02%) და მცირე მჟავიანობით, რაც სხილათუბნის ღვინის ნორმალური მდგომარეობის მაჩვენებელია.

აღნიშნული მასალების მიხედვით და აგრეთვე ჩვენს მიერ ადგილზე წარმოებულ დაკვირვებათა საფუძველზე, სხილათუბანი სამართლიანად წარმოადგენს ადგილობრივი მნიშვნელობის საკმაოდ ხარისხიანი პროდუქციის მომცემ ღვინის ჯიშს. ამსთანავე, როგორც უხვმოსავლიანი და წვეწის დიდგამოსავლიანი, იგი ფართო ყურადღების ღირსია, რის გამოც მიზანშეწონილია მისი მასობრივად გავრცელება შუა და ზემო გურიის მთისპირა მიკრორაიონებში, ნამყენების სახით სათანადოთ შერჩეულ ფილოქსერის გამძლე საძირებზე.

С Х И Л А Т У Б А Н И

Листья средней величины, длиной 15.4—21.0 см, шириной 14.8—20.0 см; округлые или слегка овальные.

Черешковая выемка закрытая, с узким или широко-эллиптическим просветом, или лировидная. Лопасть выемки состоит из 3-х или 4-х нервов, в обоих случаях с острым дном.

Верхние вырезки открытые и расположены в виде входящего угла, или закрытые, с узко эллиптическим просветом.

Лист трехлопастный; встречаются также и цельные листья. Угол оконечной лопасти прямой, реже — тупой.

Оконечные зубцы лопастей треугольные или узко-треугольные, и вытянуты в острие. Встречаются также зубцы треугольные, с выпуклыми сторонами и острой вершиной. Края листьев с зубчиками окрашены в желтоватозеленый цвет.

Поверхность листа гладкая или сетчато-морщинистая, иногда мелкопузырчатая; по форме воронковидно-желобчатая или плоская. Пластинка листа покрыта снизу густым войлочным покровом.

Отношение черешка к длине среднего нерва 0.8—1.1; черешок голый или со следами волосков, виннокрасного цвета.

Плодоносные побеги средней толщины. Длина междуузлий достигает до 15 см; междуузлия светлокорицевого цвета. Узлы окрашены темнее, чем междуузлия.

Цветы обоеполые.

Появление первых признаков созревания винограда наблюдается со второй половины августа; массовое созревание наступает в средних числах октября.

Длина ножки грозди 3.5—4.5 см. Гроздь средней величины, длиной 10—14 см и шириной 7—12 см; число ягод на грозди достигает от 110 до 130 шт.

Общая форма грозди цилиндрическая или цилиндрическо-коническая, иногда крылатая. Очень плотная. Средний вес грозди достигает 126.4 гр.

Длина ножки ягоды с подушечкой 5—7 мм, ножка зеленого цвета. Подушечка бородавчатая и узко-коническая.

Ягода черная, средней величины, длиной 15 мм и шириной 14.2 мм; округлая или слегка овальная, посередине широкая и симметричная. Кожица почти тонкая. Мякоть более сочная и менее мясистая; вкус обыкновенный.

Количество семян в ягоде 1—4 шт., чаще — 3. Длина семени—6.5—7.2 мм, ширина—3—3.5 мм. Халаза удлинено-овальная; спинная сторона гладкая; длина клюва достигает 2—2.2 мм.

Схилатубани — винный сорт; обильно урожайный. Дает довольно качественный материал для приготовления вин местного потребления. Виноград не сохраняется.

До появления грибных заболеваний и филлоксеры „маглари“ сорта Схилатубани встречался почти во всех селах средней и восточной Гурии, и местные жители готовяли из него довольно качественные красные столовые вина. В настоящее время Схилатубани в виде „маглари“ не встречается; „даблари“ данного сорта, разведенные привитыми саженцами, имеются в Чохатаурском районе (сел. Горабережоули, Парцхма, Дабла-Цихе, Калагони), а также в Бахвинском совхозе (Махарадаевский район).

Сорт заслуживает особого внимания и массового разведения, особенно в предгорных районах восточной и средней Гурии.



სხილათუბანი — Схилатубани

ო რ მ ნ ა

ორონა გურიის წითელყურძნიანი აბორიგენული ჯიშია. ფილოქსერისა და ხოკოვან/ ავად-
მყოფობათა შემოსევამდე იგი ფართოდ ყოფილა გავრცელებული როგორც ზემო, ესეც მთავრობის
მიკრორაიონებში მაღლარების სახით და, როგორც გადმოგვცემენ, ადგილობრივი მისხარეობის-
გან ამზადებდა საკმაოდ ხარისხოვან მუქ-ვარდისფერ ღვინოებს. ამჟამად ორონას მაღლარები ძლიერ
მცირე რაოდენობით გვხვდება მახარაძის რაიონში — სოფ. შემოქმედში. ნამყენების სახით იგი გავ-
რცელებულია ჩოხატაურის რაიონის სოფ. ფარცხმაში და მახარაძის რაიონის სოფ. ბაღდათში, სადაც
ამ ჯიშის ზრდა-განვითარება, მოსავლიანობა და ყურძნის ხარისხი სავსებით დამაკმაყოფილებელია.

ბოტანიკური აღწერა. კვირტები გაშლის პერიოდში მოწითალო-ყანგისფერია. ზრდის
კონუსი მოწითალოა და დაფენილია ქეჩისებურად თეთრი ფერის ბეწვისებრი ბუსუსით. ახლად გაშ-
ლილი პირველი ფოთოლი როგორც ზედა, ისე ქვედა მხრიდან უხვად არის დაფარული თეთრი
ფერის ბუსუსით. ზედა მხრიდან მას ახასიათებს მოყანგისფრო-ბრინჯაოსებრი შეფერვა. მომდევნო
მეორე ნორჩი ფოთოლი შედარებით უფრო მცირედ არის დაფარული ბუსუსით და მესამე — კიდევ
უფრო მცირედ. ქვედა მხრიდან მათ უხვი შებუსვა ახასიათებს. ბუსუსი მოთეთრო-ნაცრისფერია, რო-
მელიც შემდგომ ფოთლებზე ნაცრისფერში გადადის.

ახალგაზრდა ყლორტი მრგვალია და ღია მწვანეა, ცალ მხარეზე ოდნავ მოიხსტრო ელფერით.
საკმაოდ არის დაფარული მონაცრისფრო ბეწვისებრი ბუსუსით. შებუსვა უფრო ძლიერია ყლორტის
წვერისაკენ.

შემოსული რქა საშუალო სიმსხოსია, მოყავისფრო და სადა. მუხლშორისის სიგრძე 8 — 11 სმ-ს
აღწევს.

ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალო სიდიდის, ოდნავ ოვალურია ან მომრგვალო. მისი
საშუალო სიგრძე აღწევს 16.1 სმ-ს და სიგანე — 15.6 სმ-ს. მცირედ დანაკეთულია; გვხვდება სა-
კმაოდ დანაკეთული ფოთლებიც.

ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი უფრო ხშირად ღია და ჩანგისებრია. ამონაკვეთის ნაკვეთები სამი
ძარღვისაგანაა შემდგარი. გვხვდება აგრეთვე დახურული კვერცხისებრი ამონაკვეთი, მიახლოებული ან
ურთიერთზე საკმაოდ გადადებული ნაკვეთებით.

ფოთლის ზედა ამონაკვეთი უფრო ხშირია მცირედ არის ჩაქრილი. იშვიათად გვხვდება საკმაოდ
ჩაქრილი ჩანგისებრი მოყვანილობის ამონაკვეთები, ფუძეზე განვითარებული ერთი უბრალო კბილით.
ქვედა ამონაკვეთი უმნიშვნელოდ არის ჩაქრილი.

ფოთოლი სამნაკვეთიანია. მეორადი ნაკვეთები მას არ აქვს. წვერის ნაკვეთი ფოთლის ფირფიტა-
სთან ქმნის ბლაგვ კუთხეს.

ნაკვეთთა წვერის კბილები სამკუთხედისებრია, მახვილი წვერით. გვხვდება ხერხკბილა-სამკუთხე-
დისებრი კბილებიც, ცალგვერდ-ამოხნეკილი და მახვილი წვერით. მეორადი კბილები სამკუთხედისე-
ბრია, მახვილი და იშვიათად კი მომრგვალებული წვერით. იშვიათად გვხვდება ისევ სამკუთხედისებრი
მხოლოდ ამოხნეკილი გვერდებითა და მომრგვალებული წვერით.

ფოთლის ქვედა მხარე ქეჩისებრია, ზედა მხარე კი გლუვი. ფოთლის ნაპირები უფრო ხშირად
ქვემოთ არის ჩამოშვებული და იშვიათად ღარისებურადაა მოხრილი. მთავარი ძარღვები ღია მწვანეა
და დაფარულია ბეწვისებრი ბუსუსით.

ფოთლის ყუნწის შეფარდება შუა მთავარ ძარღვთან უდრის 0.9 — 1.1-ს. იგი შიშველია და
ღია მწვანეა.

ყვავილი ორსქესიანია, ნორმალურად განვითარებული მტვრიანებით და ბუტკოთი. ყვავილში 5
მტვრიანაა, გვხვდება აგრეთვე 4 და 6 მტვრიანაც. ყვავილების რაოდენობა ყვავილედში 600 — 650
ცალამდე აღწევს.

მტევნის ყუნწის სიგრძე უდრის 5 — 6 სმ-ს, მტევნის სიგრძე 14 — 20 სმ-ს და სიგანე — 10 — 14 სმ-ს, მარცვლების რაოდენობა მტევანში 145 — 255 ცალამდე აღწევს.

მტევანი ცილინდრული ან ცილინდრულ-კონუსისებრია. მეტად მკვრივია. სიმკვრივის გამო მტევანი ხშირად მოხრილია. ზოგ შემთხვევაში მას მუხლიდან მეორადი მტევანი უვითარდება, რაც მტევნის სიგრძის ნახევრამდე აღწევს. მტევნის ყუნწი ბალახმაგვარია, ღიაშფანე და მუცლად დახრილი ელფერი გადაპკრავს.

მარცვლის ყუნწის სიგრძე საჯდომი ბალიშით აღწევს 4 — 6 მმ-ს; ღიაშფანეა. საჯდომი ბალიშით დამეჭვებულა და განიერ-კონუსისებრი. ბალიშის ბოქვოები შეღებილია წითელ-ღვინისფრად. მარცვლის მოგლეჯის დროს ბალიშზე რჩება კანის მკირვოდენი ნაწილები. მარცვლი საჯდომ ბალიშზე საკმაოდ მტკიცედ არის მიმაგრებული.

მარცვლი თითქმის შავი ფერისაა და საშუალო სიდიდის. მისი საშუალო სიგრძე აღწევს 13.45 მმ-ს, სიგანე — 12.73 მმ-ს, ოდნავ ოვალურია, შუა წელში უფრო განიერი, ბოლო მომრგვალებული აქვს და სიმეტრიულია. სქელკანიანი და ხრამუნაა, სასიამოვნო ტკბილი გემოთი. მარცვლის კანი ცვილით უხვად არის დაფარული.

წიპწის რაოდენობა მარცვალში აღწევს 1 — 4 ცალს, სქარბობს 2 წიპწა. წიპწის სიგრძე უდრის 6 — 7 მმ-ს, სისხო — 3 — 3.5 მმ-ს, მოწითალო-ყავისფერია. მუცლის ღარები კი მოყვითალოა. ქალაძა მოთავსებულია ზურგის მხარის შუა წელში. ფორმით მოგრძო-ოვალურია, ზურგის მხარე გლუვია; ნისკარტის სიგრძე 2 მმ-დე აღწევს.

აგრობიოლოგიური დახასიათება. ორონას სავეგეტაციო პერიოდის საერთო ხანგრძლიობა, სოფ. ბაღდათის ზონაში (მახარაძის რაიონი), 260 დღემდე აღწევს. ვაზი გამოღვიძებას იწყებს მარტის ბოლოდან ან აპრილის პირველ რიცხვებში. კვირტების გამოფურჩქვნა მიმდინარეობს 7 — 8 აპრილიდან. ყვავილობა იწყება 5 — 6 ივნისიდან და 15 — 16 ივნისამდე მთავრდება. ყურძნის შეთვალეობა იწყება აგვისტოს ბოლოდან ან 1 სექტემბრიდან და მასობრივ მწიფობაში შედის ნოემბრის პირველ რიცხვებიდან. ფოთოლცვენა იწყება 20 ნოემბრიდან და 5 დეკემბრამდე მთავრდება.

რქები სრულ მომწიფებას ასწრებს ყურძნის მასობრივი სიმწიფის პერიოდისათვის და ამ დროისათვის ჯიშის დამახასიათებელ ელფერს დებულობს.

ვაზის ზრდა-განვითარება საშუალოა. ახასიათებს უხვი მოსავლიანობა. რქაზე მასობრივად განვითარებულია ორი მტევანი, იშვიათად — ერთი. დაბლარად აღზრდილი ერთი ძირის მოსავალი ხშირად 3 კილოგრამამდე აღწევს. გვხვდება აგრეთვე ვაზები 4 — 5 კილოგრამამდე მოსავალით. ვაზის ძველი ნაწილებიდან განვითარებული ყლორტები ჩვეულებრივ უმოსავლოა.

სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ ორონა საკმაოდ გამძლეობას იჩენს.

ჯიშს ყვავილცვენა არ ახასიათებს. მტევანზე ზოგ შემთხვევაში გვხვდება არადასრულებული მარცვლებიც. მათი მომწიფება ნორმალურად მიმდინარეობს და ხშირ შემთხვევაში შეიცავს ერთ წიპწას. წვრილი მარცვლების საერთო რაოდენობა დაახლოებით 2 — 4 %-მდე აღწევს.

ორონა ადვილად ეგუება საშუალო სხვლას, ერთი ან ორი საკვებლის დატოვებით. მოკლე სხვლის დროსაც იგი კარგ შედეგებს იძლევა, ხოლო მოსავალი შედარებით ნაკლები ახასიათებს.

როგორც დაკვირვებიდან დასტურდება, ორონა როგორც რაოდენობრივ ისე ხარისხობრივ მაღალ პროდუქციას იძლევა სამხრეთისაკენ მიმართულ არამძიმე და კალციუმის კარბონატების შემცველ ნიადაგებზე.

სამეურნეო-ტექნოლოგიური დახასიათება. ორონას მტევნის საშუალო წონა აღწევს 257.4 გრამს. კლერტის საშუალო წონა 12.0 გრამია, წიპწების წონა — 13.0 გრამი და ჩენჩოსი — 38.0 გრამი. სულ კლერტის, წიპწებისა და ჩენჩოს წონა უდრის 63.0 გრამს, რაც მტევნის საშუალო წონის 25.6 %-ს შეადგენს. დანარჩენ მასას წვენი შეადგენს, რაც სავსებით მისაღებად ჩითვლება საღვინედ განკუთვნილი ჯიშისათვის.

დიდი მტევნის წონა 365 გრამს აღწევს, მკირესი კი — 150 გრამს.

100 მარცვლის საშუალო წონა 140.0 გრამია. წიპწების რაოდენობა 100 მარცვალში 210 ცალამდეა, წონით 6.5 გრამი. აქედან ერთწიპწიანი მარცვლები შეადგენს 21.0 %-ს, ორწიპწიანი — 5.2 %-ს, სამწიპწიანი — 2.3 %-ს და ოთხწიპწიანი — 4.0 %-ს. კანი ხორცს (რბილობს) ძნელად სცილდება.

ყურძნის სრული მწიფობის პერიოდში ტკბილში შაქრიანობა აღწევს 19 — 22 %-მდე და საერთო მჟავიანობა — 7.5 — 8.9 %-მდე.



ტრამბა — Орона

ორონას ღვინის ქიმიური ანალიზი შემდეგია: კუთრი წონა უდრის 0.9961-ს, ალკოჰოლი მოცულობით შეადგენს 11.2⁰/₀-ს, საერთო მჟავიანობა — 6.33⁰/₀-ს, მქროლავი მჟავიანობა — 1.36⁰/₀-ს, ღვინის მჟავა — 1.89⁰/₀-ს, ექსტრაქტი — 28.5⁰/₀-ს, გლიცერინი — 9.1⁰/₀-ს, შაქარი ინვერსიული — 0.6⁰/₀-ს, ტანიდები — 2.9⁰/₀-ს, აღდევნილები — 0.006⁰/₀-ს და PH — 3.74⁰/₀-ს.

როგორც აღნიშნული მასალიდან ჩანს, ორონას ღვინოს ახასიათებს ნორმალური ალკოჰოლიანობა (11.2⁰), რაც სრული სიმწიფის პერიოდში ყურძენში შაქრის საკმაო ოდენობის დაგროვების აიხსნება. ამასთანავე ექსტრაქტის რაოდენობაც თითქმის საკმაოდ უნდა ჩაითვალოს. ღვინო უმნიშვნელო შაქრიანობით ხასიათდება (0.6⁰/₀) და არა მომეტებული მქროლავი მჟავიანობით (1.36⁰/₀).

ქაქაზე დადუღებული ორონას ღვინო მუქი მოვარდისფრო და ექსტრაქტულია, ამავე დროს საკმაოდ სხეულის მქონე და ხალისიანი სასმელია. ჩაითვლება ადგილობრივი მნიშვნელობის მასობრივი მოხმარების სუფრის ღვინოდ.

მოხსენებული მასალების მიხედვით ჯიში ორონა მიეკუთვნება საკმაოდ ხარისხოვან პროდუქციის მომცემ ღვინის ჯიშთა ჯგუფს. ამასთანავე, როგორც უხვმოსავლიანი, იგი ყურადღების ღირსია და მისი გაშენება დაბლარად, ნამყენების სახით, ფილოქსერის გამძლე საძირეებზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია როგორც შუა, ისე ზემო გურიის მთისპირა მიკრორაიონებში.

О Р О Н А

Листья средней величины, длиной 16.1 см и шириной 15.6 см; слабо овальные или округлые.

Черешковая выемка чаще открытая и лировидной формы. Лопasti черешковой выемки состоят из 3-х нервов. Встречается также закрытая выемка яйцевидной формы, с соприкасающимися или налегающими лопастями.

Верхние вырезки часто поверхностные и расположены в виде входящего угла; реже встречаются лировидной формы. Нижние вырезки слабо намечены.

Лист трехлопастный. Угол оконечной лопасти тупой.

Оконечные зубцы лопастей треугольные, с острой вершиной. Встречаются также и треугольно-пиловидные, односторонние - выпуклые, с острой вершиной. Вторичные зубцы треугольной формы, с острой и реже с округлой вершиной; встречаются опять треугольные с выпуклыми сторонами и округлой вершиной; реже — треугольно-пиловидные.

Поверхность листа гладкая, чаще с отогнутыми вниз краями, иногда желобчатая. Пластинка листа покрыта снизу густым войлочным покровом.

Отношение черешка к длине среднего нерва 0.9 — 1.1; черешок голый и светлозеленого цвета.

Плодоносные побеги средней толщины и коричневого цвета. Длина междоузлий достигает 8 — 11 см.

Цветы обоеполые.

Первые признаки созревания винограда наблюдаются в начале сентября; массовое созревание наступает с 1 ноября.

Длина ножки грозди 5 — 6 см, длина грозди — 14 — 20 см, ширина — 10 — 14 см. Количество ягод на грозди — 145 — 255 шт. Средний вес грозди достигает 257.4 гр.

Общая форма грозди цилиндрическая или цилиндрическо-коническая. Очень плотная. Ножка грозди с гребнем травянистая и светлозеленая.

Длина ножки ягоды с подушечкой 4 — 6 мм; ножка светлозеленая. Подушечка бородавчатая и широко-коническая.

Ягода черная, почти овальная, средней величины, длиной 13.45 мм и шириной 12.73 мм, посередине широкая, у конца округлая и симметричная. Кожица толстая, но хрустящая, мякоть довольно сочная и мясистая, с приятным сладким вкусом.

Количество семян в ягоде 1 — 4 шт., чаще — 2. Длина семени 6 — 7 мм, ширина — 3 — 3.5 мм. Халаза удлинненно-овальная. Длина клюва достигает 2 мм.

Орона — обильноурожайный сорт. Дает довольно качественный материал для приготовления красных столовых вин массового потребления. До появления грибных болезней и Филлоксеры, сорт Орона культивировался в виде „маглари“ почти повсеместно, как в восточной, так и в западной Гурии. В настоящее же время „маглари“ этого сорта встречается лишь в единичных экземплярах в Махарадзевском районе (сел. Шемокмеди). „Даблари“ данного сорта имеются в том же районе в сел. Багдади. Сорт заслуживает внимания и массового разведения в предгорных микрорайонах, верхней и средней Гурии.

ო ფ მ უ რ ა

ოფოურა გურიის წითელყურძნიანი აბორიგენული ჯიშია. ზემო გურიის სოფლებში მას „მაგარას“ - აც ეძახიან (სოფ. მეწიეთი, ფარცხა). ადგილობრივ მცხოვრებ მოხუც პირთა აღმოსაჩენით „მაგარას“ სახელწოდება ჯიშს მიკუთვნებული ჰქონია მარცვლების სიმკვრივისა და სიგრძლივად შენახვის უნარის გამო.

სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის შემოქრამდე ოფოურა ფართოდ ყოფილა გავრცელებული მაღარების სახით ზემო გურიის მთისპირა სოფლებში (ფარცხა, ამაღლება, ხიდისთავი, მეწიეთი). როგორც გადმოგვცემენ, ადგილობრივი მოსახლეობა მისგან სასიამოვნო სასმელ და ხალისიან ღვინოს ამზადებდა. ხშირად მის მოსავალს საკმელად იყენებდნენ და ამ მიზნით ყურძენს ან ვაზებზე სტოვებდნენ დაუკრეფავად, და კრეფას საჭიროების მიხედვით აწარმოებდნენ, ან ინახავდნენ აკიდობის სახით მთელი ზამთრის პერიოდში.

სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის მოქმედების შედეგად ოფოურას ნარგავები მაღარების სახით თითქმის განადგურდა. ამჟამად გვხვდება მისი რამდენიმე ძირი მაღარად მხოლოდ სოფ. მეწიეთში (ჩოხატაურის რაიონში).

ბოტანიკური აღწერა. ზრდის კონუსი მოწითალო-ყანგისფერია და უხვად არის დაფარული ბეწვისებრი ბუსუსით. ახლად გაშლილი პირველი ფოთოლი ზედა მხრიდან ღია მწვანეა, მოყვითალო ელფერით, და საკმაოდ შებუსუსულია; ქვედა მხრიდან იგი დაფენილია ქეჩისებრად, თეთრი ფერის ბუსუსით. ფოთლის ყუნწი საკმაოდ სქლად არის დაფარული თეთრი-მონაცრისფრო ბუსუსით. მომდევნო მეორე და მესამე ნორჩი ფოთლები ზედა მხრიდან ღია მწვანეა, მოწითალო ელფერით, და საკმაოდ არის დაფარული ბეწვისებრი ბუსუსით. ქვედა მხრიდან მათი შებუსუსვა ქეჩისებრია. ბუსუსი ბეწვისებრია და თეთრი-მონაცრისფრო, ხოლო კბილები ყვითელ-მოყანგისფროა. როგორც მეორე, ისე მესამე ფოთლის ყუნწი საკმაოდ არის დაფარული ბეწვისებრი ბუსუსით.

ახალგაზრდა ყლორტი (12 — 15 სმ.) მრგვალია და საკმაოდ არის დაფარული მოთეთრო-ნაცრისფერი ბუსუსით.

შემოსული რქა საშუალო სიმსხოსია. მუხლთშორისის სიგრძე 7 — 12 სმ-ს აღწევს. რქა მოყვითალო-ყანგისფერია. მუხლები უფრო მუქადაა შეფერილი.

ზრდადამთავრებული ფოთოლი მომრგვალოა და საშუალოზე მცირე. მისი სიგრძე 11.0 — 12.1 სმ-ს აღწევს და სიგანე — 10.7 — 11.7 სმ-ს.

ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ისრისებრია, ფუძე მომრგვალოა. ამონაკვეთის ნაკვეთები შემდგარია სამი ძარღვისაგან. გვხვდება აგრეთვე ჩანგისებრი ამონაკვეთები, მომრგვალო ან ბრტყელი ფუძით.

ფოთლის ზედა ამონაკვეთი უფრო ხშირად ღიაა და მცირედ ჩაჭრილი; ზოგჯერ ასევე ღიაა, მაგრამ საკმაოდ შექრილი. ქვედა ამონაკვეთი ოდნავ არის ჩაჭრილი.

ფოთოლი სამნაკვეთიანია. წვერის ნაკვეთი ფოთლის ფირფიტასთან ქმნის ბლაგვ კუთხეს, იშვიათად — სწორს.

ნაკვეთთა წვერის კბილები სამკუთხედისებრია, ამოზნექილი გვერდებითა და წამახვილებული ან მომრგვალო წვერით. ზოგჯერ-მომრგვალო-სამკუთხედისებრი და მომრგვალო-ხერხკბილისებრია. მეორადი კბილები წესიერ-სამკუთხედისებრია, მომრგვალებული წვერით, ან ამოზნექილი გვერდებით და წამახვილებული წვერით. გვხვდება აგრეთვე ხერხკბილისებრი ფორმის კბილებიც, ცალი მხრიდან ამოზნექილი გვერდით.

ფოთლის ქვედა მხარე ქეჩისებრად არის დაფარული ბეწვისებრი ბუსუსით, ზედა მხარე გლუვია ზოგჯერ ბადისებურადაა დანაოქებული. ფოთლის ზედაპირი ბრტყელია; გვხვდება ნაპირებით ქვემოთ ჩამოწეული ფოთლებიც. მთავარი ძარღვები სუსტადაა შებუსუსული და ღია მწვანეა.

ფოთლის ყუნწის შეფარდება შუა მთავარ ძარღვთან უდრის 0.6 — 0.9 - ს. იგი შიშველი და ღია წითელ-ღვინისფერია.

ყვავილი ფუნქციონალურად მდებრობითია. ყვავილში 5 მტვრიანაა, იშვიათად გვხვდებ 4 და 6 მტვრიანაც. მტვრიანები მოკლე და მოკაკულია, იშვიათად ჰორიზონტალურადაა დახრილი. ყვავილების რიცხვი ყვავილედში 220 ცალამდე აღწევს.

მტევნის ყუნწის სიგრძე 3 — 5 სმ-ია, მტევნის საშუალო სიგრძე — 9 — 13 სმ-ის, სიგანე — 5 — 7 სმ-ი. მარცვლების რაოდენობა მტევანზე 40 — 70 ცალამდეა. მტევანს განუყოფელი ახასიათებს.

მტევანი ცილინდრულ-კონუსისებრი და საკმაოდ მკვრივია. მტევნის ყუნწი სიმწიფის პერიოდში გახვეებულია თითქმის მუხლამდე, ხოლო კლერტი მწვანეა.

მარცვლის ყუნწის სიგრძე საჯდომი ბალიშით აღწევს 4 — 6 მმ-ს. მწვანეა. საჯდომი ბალიშით დამეკვებებულია და განიერ-კონუსისებრი. მარცვალი საჯდომ ბალიშზე მტკიცედაა მიმაგრებული.

მარცვალი თითქმის შავია. საშუალო სიდიდის ან საშუალოზე მცირე. მისი საშუალო სიგრძე აღწევს 12.5 — 15 მმ-ს, და სიგანე 11.2 — 14.4 მმ-ს. ფორმით მომრგვალოა, შუა წელში უფრო განიერია, ბოლო მომრგვალებული აქვს და სიმეტრიულია. სქელკანიანია, საკმაოდ ხორციანი და წვნიანი, სასიამოვნო ტკბილი გემოთი. მარცვლის კანზე ფიფქი (ყვილი) მცირე რაოდენობითაა დაფენილი.

მარცვალში 1 — 4 ცალი წიპწაა, სქარბობს 2 წიპწა. წიპწის სიგრძე აღწევს 6 — 6.5 მმ-ს, სიგანე — 2.5 — 3.5 მმ-ს. ღია-ყავისფერია, მუცლის მხარეს ღარებში კი მოჯანგისფრო. ქალაძა მოთავსებულია ზურგის მხარის შუაწელში; ფორმით ოვალურია. ზურგის მხარე გლუვია, ნისკარტის სიგრძე აღწევს 1 — 1.5 მმ-ს; მისი წვერი მუქიმოყვითალოა და მოკლე.

აგრობიოლოგიური და სამეურნეო დახასიათება. ჩოხატაურის რაიონის სოფ. მეწიეთის ზონაში ოფოურას სავეგეტაციო პერიოდის საერთო ხანგრძლივობა 260 — 270 დღეს უდრის. ვაზი გამოღვიძებას იწყებს მარტის მეორე ნახევრიდან. კვირტების გამოფურჩქვნა მიმდინარეობს 5 — 6 აპრილიდან. ყვავილობა იწყება ივნისის პირველი რიცხვებიდან და 16 — 17 ივნისამდე მთავრდება. ყურძნის შეთვალება იწყება სექტემბრის პირველ ნახევარში და მასობრივ სიმწიფეში შედის ნოემბრის შუა რიცხვებიდან. ფოთოლცვენა იწყება 25 ნოემბრიდან და 10 დეკემბრამდე მთავრდება.

რქები სრულ მომწიფებას ასწრებს ყურძნის სიმწიფის პერიოდშივე და ამ დროისათვის ჯიშის დამახასიათებელ ელფერს ღებულობს. მათი წვერის ზონა ზოგ შემთხვევაში მოუმწიფებელი რჩება, რაც აიხსნება მოვლას გართულებით ვაზების მაღლარად აღზრდის გამო (მაღლარად აღზრდილ ვაზების სხვლას, წამლობასა და ფურჩქვნის ოპერაციებს გურიაში ჩვეულებრივ არ აწარმოებენ).

ვაზის ზრდა-განვითარება საშუალოა. თუ ამინდი დაუდგა, კარგი მოსავალი იცის; რქაზე მასობრივად გვხვდება 2 — 3 მტევანი, იშვიათად ერთი. სათანადო მოვლის შედეგად ერთი ძირი მაღლარი ვაზის მოსავალი 30 — 40 კილოგრამამდე აღწევს.

ვაზის ძველი ნაწილებიდან განვითარებული ყლორტები უმოსავლოა.

სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ ოფოურა სუსტ გამძლეობას იჩენს.

ოფოურას ამჟამად არსებული მაღლარები გაშენებულია ჩრდილოეთისაკენ დახრილ, მეტად დაფერდებულ ეწერის ტიპის ნიადაგებზე. უმეტეს შემთხვევაში ყურძენი ამ პირობებში ავადდება, რაც საგრძნობ უარყოფით გავლენას ახდენს როგორც მოსავალზე, ისე მის ხარისხზედაც. ჩვენი დაკვირვებით, ოფოურა გაცილებით უფრო მაღალხარისხოვან პროდუქციას მოგვცემს სამხრეთ ან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ დახრილ მზით უხვად განათებულ ფერდობებზე და ნეშომპალა კარბონატული ტიპის ნიადაგებზე. ამასთანავე ერთად სასურველია იგი ფორმირებული იქნეს ამაღლებული შტამბით (1.5 მ) ე.წ. ოლიხნარისებრი წესით, რაც მეტად გააადვილებს როგორც ვაზების მოვლას სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში, აგრეთვე ამ წესით დატვირთვის შედეგად საგრძნობლად გაიზრდება მოსავალიც.

როგორც საკმაოდ ხარისხოვანი პროდუქციის მომცემი საღვინე ჯიში, ოფოურა ყურადღების ღირსია. მისი გავრცელება ნამყენების სახით, მიზანშეწონილია მეტადრე ზემო გურიის მთისპირა მიკრორაიონებში.

О П О У Р А

Листья меньше средней величины, длиной 11.0 — 12.1 см и шириной 10.7 — 11.7 см; почти округлые.

Черешковая выемка стрельчатая, с округлым или острым дном. Встречаются также выемки лировидной формы с округлым или плоским дном.

Верхние вырезки открытые и расположены в виде входящего угла. Нижние вырезки едва намечены.

Лист трехлопастный. Угол конечной лопасти тупой, реже — прямой.

Оконечные зубцы лопастей треугольные с выпуклыми сторонами и острой вершиной; встречаются также округло-пиловидные. Краевые зубцы листа треугольные, с округленной вершиной или с выпуклыми сторонами и острой вершиной; встречаются также зубцы пиловидной формы, только односторонне - выпуклые.

Поверхность листа гладкая или сетчато-морщинистая; по форме плоская; край кистей иногда отогнуты вниз; пластинка листа покрыта снизу густым войлочным покровом.

Отношение черешка к длине среднего нерва 0.6 — 0.9; черешок голый и виннокрасного цвета.

Плодородные побеги средней толщины и голые. Длина междоузлий 7—12 см; междоузлия желтоватокоричневого цвета. Узлы окрашены темнее, чем междоузлия.

Цветы функционально - женские.

Первые признаки созревания винограда наблюдаются в средних числах сентября; массовое созревание наступает со второй половины ноября.

Длина ножки грозди 3—5 см, длина грозди — 9—13 см, ширина — 5—7 см, количество ягод на грозди — 40—70 шт.

Общая форма грозди цилиндрическо-коническая; гроздь средней плотности.

Длина ножки ягоды с подушечкой 4—6 мм; сама ножка зеленоватого цвета. Подушечка бородавчатая и по форме широко-коническая.

Ягода темнокрасная (почти черная), длиной 12.5—15 мм и шириной 11.2—14.4 мм. Ягода средняя или меньше средней величины, у конца округлая и симметричная; кожица толстая; мякоть довольно сочная и мясистая, с приятным сладким вкусом.

Количество семян в ягоде 1—4 шт, чаще — 2. Длина семени 6—6.5 мм, ширина — 2.5—3.5 мм. Халаза овальная, спинная сторона гладкая. Длина клюва достигает 1—1.5 мм.

Опоура — красный винный сорт; годен также как столовый сорт. Виноград хорошо сохраняется. При хорошем уходе дает обильный урожай.

До появления грибных заболеваний и филлоксеры „маглари“ Опоура довольно в большом количестве встречались в восточной Гурии. Местные жители изготовляли из него вина довольно хорошего качества, часто сохраняли и виноград на зиму. В настоящее время единичные экземпляры сорта Опоура, в виде „маглари“ встречаются в верхней Гурии (в сел. Мецieti). Сорт заслуживает внимания и разведения вместе с другими интересными сортами, особенно в предгорных районах верхней Гурии.



ქართული
ენციკლოპედია



ოფორა — Офора

სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის შემოჭრამდე წითლანი გავრცელებული იყო მალლარების სახით ზემო გურიის მთისპირა სოფლებში. სხვა აბორიგენულ საინტერესო ჯიშებთან შედარებით, მისი გავრცელების არეალი ამ მხარეში შეზღუდული ყოფილა და ის მხოლოდ წარვერს ხარისხით მოიპოვებოდა.

როგორც ვაღმოგვეცემენ, ამ ჯიშის პროდუქციას ადგილობრივი მოსახლეობა იყენებდა მკურნალობის ნარეული ტიპის საოჯახო ღვინოების დასამზადებლად; მას იყენებდნენ აგრეთვე, როგორც საკუპავე მასალას სხვა ჯიშებთან შერევით. ზოგ შემთხვევაში ყურძენს დაუკრეფავად სტოვებდნენ ვაზებზე და საჭიროების მიხედვით ჰკრეფდნენ — დეკემბრისა და იანვრის თვეებში.

ჩვენს მიერ წარმოებული დაკვირვებები ცხადყოფს, რომ წითლანის ჯიში, როგორც მოსავლიანობით, ისე მოსავლის ხარისხით, ფართო ღირებულებას მოკლებულია და წარსულში მისი გავრცელების მცირე არეალი ალბათ ამით უნდა აიხსნას; მით უმეტეს, რომ გურიაში აბორიგენული ვაზის ჯიშების სიმრავლე საშუალებას აძლევდა ადგილობრივ მოსახლეობას შეერჩია მასობრივ გავრცელებისათვის საუკეთესონი, გურიას ეკოლოგიურ პირობებთან შეფარდებით. წითლანის მალლარები ამჟამად მხოლოდ ერთეული ძირების სახით არის გადარჩენილი ჩოხატაურის რაიონის მთისპირა სოფლებში (კობნარი, ფარცხმა, განახლება); მათი მოსავლიანობა და მოსავლის ხარისხი მეტად ცვალებადია, რაც უშუალოდ დაკავშირებულია წლის ამინდის პირობებთან. ვაზების მალლარად აღზრდის გამო მათი მოვლა არ წარმოებს და ძირითადად კმაყოფილდებიან ხოლმე 2 — 3 წელიწადში ერთხელ ცოცხალი საყრდნების გასხვლით, რომელზედაც აღზრდილია თვით ვაზები.

ბოტანიკური აღწერა. კვირტები გაშლის პერიოდში მოთეთრო-ნაცრისფერია, გასაშლელი ფოთოლაკების ნაპირები მოწითალო. ზრდის კონუსი სქლად არის დაფარული მოთეთრო-ნაცრისფერი ბეწვისებრი ბუსუსით და მოწითალო ელფერი გადაჰკრავს. ახლად გაშლილი პირველი ნორჩი ფოთოლი ზედა მხრიდან მთლიანად დაფარულია მოთეთრო-მონაცრისფრო ბუსუსით და ხშირად მოწითალო ფერი სდევს. ქვედა მხრიდან ქეჩისებრად არის დაფარული ბუსუსით. ფოთლის ყუნწი შებუსუსული და მოწითალო-ღვინისფერია. მისი მომდევნო მეორე და მესამე ნორჩი ფოთლები ზედა მხრიდან საკმაოდ ან საკმაოზე მცირედაა შებუსუსული. შებუსვა შემდეგ ფოთლებზე თანდათანობით მცირდება, ქვედა მხრიდან შებუსვა მთლიანია და ქეჩისებრი. ბუსუსი მოთეთრო-ნაცრისფერია და ბეწვისებრი, მოწითალო ელფერით.

ახალგაზრდა ყლორტი მრგვალია და საკმაოდ დაფარული მონაცრისფრო ბუსუსით. შებუსვა ძლიერდება ყლორტის წვერისაკენ.

შემოსული რქა მუქიმოწითალოა და საშუალო სიმსხოსი. მუხლები უფრო მუქად არის შეფერილი. მუხლთშორისის სიგრძე 12 — 17 სმ-აღწევს.

ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალო სიდიდისაა და მომრგვალო ან ოდნავ განივ-ოვალურია. მისი სიგრძე 17.8 — 20.2 სმ-ია, სიგანე — 16.9 — 20.9 სმ-ია.

ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ისრისებრია, მომრგვალო ფუძითა და თანასწორი გვერდებით, ან ასევე ისრისებრია მახვილი ფუძითა და გაშლილი ნაპირებით. გვხვდება აგრეთვე კვადრატული ფორმის თალისებრი ამონაკვეთი, გაშლილი ნაპირებითა და ბრტყელი ფუძით. იშვიათად ამონაკვეთის ფუძეზე განვითარებულია ერთი კბილი.

ფოთლის ზედა ამონაკვეთი ღიაა და მცირედ ან საკმაოდ ჩაჭრილი; ქვედა ამონაკვეთი ძლიერ მცირედ არის ჩაჭრილი.

ფოთოლი სამნაკვეთიანია. წვერის ნაკვეთი ფოთლის ფირფიტასთან ქმნის სწორ კუთხეს, იშვიათად — ბლაგვს.

ნაკვეთთა წვერის კბილები უფრო ხშირად სამკუთხედისებრია, მომრგვალებული წვერით, ან ასევე სამკუთხედისებრია ამოზნექილი გვერდებითა და წამახვილებული წვერით. გვხვდება აგრეთვე ხერხ-

საქართველოს
სამეცნიერო
აქადემიის
ბიბლიოთეკა



წითლანი — ციტლანი

ვახი საშუალო ზრდა-განვითარებით ხასიათდება. ვეგეტაციის დასასრულს რქები სიგრძით 2 — 2.5 მეტრამდე აღწევს. სოკოვანი ავადმყოფობანი დიდად ვნებს, მეტადრე ნაცარი.

წითლანის გავრცელება დასაშვებად მიგვაჩნია მხოლოდ საინტერესო აბორიგენულ ჯიშებთან რვეით, ადგილობრივი მოხმარების ორდინარული ტიპის ღვინოების დასამზადებლად. მისი დახურვა მიზანშეწონილია უფრო ზემო გურიის მთისპირა მიკრორაიონებში.

თარგმანი
სიბუჩქოვნის

Ц И Т Л А Н И

Листья средней величины, длиной 17.8 — 20.2 см и шириной 16.9 — 20.9 см; округлые или слегка овальные.

Черешковая выемка стрельчатая, равносторонняя, с округлым дном; встречается также сводчатая выемка — квадратной формы и с плоским дном.

Верхние вырезки открытые и слабо-разрезные, иногда расположены в виде входящего угла. Нижние вырезки едва намечены.

Лист трехлопастный. Угол оконечной лопасти прямой, реже — тупой.

Оконечные зубцы лопастей треугольные, с округленной вершиной, или треугольные но с выпуклыми сторонами и острой вершиной. Встречаются также пиловидно-треугольные или просто треугольные зубцы.

Вторичные зубцы по форме сходны с оконечными зубцами лопастей.

Поверхность листа сетчато-морщинистая, реже — гладкая; по форме плоская или воронковидная, края иногда отогнуты вниз. Пластинка листа покрыта снизу густым войлочным покровом.

Плодоносные побеги средней толщины, темнокрасного цвета. Узлы окрашены темнее, чем междоузлия. Длина междоузлий достигает 12 — 17 см.

Цветы обоеполые.

Появление первых признаков созревания винограда наблюдается в начале сентября; массовое созревание наступает в конце октября.

Длина ножки грозди 4.5 — 6 см, длина грозди — 10 — 14 см, ширина 7 — 9 см, количество ягод на грозди — 50 — 80 шт.

Общая форма грозди цилиндрическо-коническая, рыхлая. Средний вес грозди достигает 100 — 150 гр.

Длина ножки ягоды с подушечкой 5 — 8 мм, сама ножка зеленого цвета. Подушечка бородавчатая и узко-коническая.

Ягода темно-краснорозового цвета, длиной 11.8 — 13.5 мм и шириной 11.2 — 12.8 мм; округлая, средняя или меньше средней величины, у конца округлая и симметричная. Кожица толстая; мякоть довольно сочная и мясистая. Вкус обыкновенный.

Количество семян в ягоде 1 — 4 шт., чаще — 2. Длина семени составляет 6 — 7 мм, ширина — 3 — 4 мм, темно-сероватокоричневого цвета. Халаза овальная, спинная сторона гладкая. Длина клюва достигает 2 — 2.5 мм.

До появления грибных заболеваний и филлоксеры „маглари“ сорта Цитлани встречались только в предгорных районах верхней Гурии. Местные жители выделявали из его продукции обычные вина местного потребления; иногда оставляли виноград на лозах и сбор производили по надобности зимой. Под влиянием грибных болезней и филлоксеры данный сорт подвергся массовой гибели. В настоящее время единичные экземпляры сорта Цитлани на „маглари“ встречаются лишь в Чохатаурском районе, в сел. Кохвари, Парцума и Ганахлаба (Амаглеба).

ა ლ ა დ ა ს ტ უ რ ი



ალადასტური წითელყურძნიანი საღვინე ჯიშია. მისი მოკლე აღწერილობა მოცემული აქვთ თავიანთ შრომებში ე. ნაკაშიძეს და გ. შარაშიძეს (16, 22). მათ მიერ აღადასტურებული არებულისა გურიის ვაზის ჯიშად.

აკად. ივ. ჯავახიშვილი თავის შრომაში (1), ლინგვისტური კვლევის საფუძველზე, ალადასტურს ადარებს რაქაში გავრცელებულ „ანადასტურს“ და მიაჩნია ის ამ უკანასკნელის ფონეტიკურ სახენაცვალოდ. ვინაიდან ჯერ კიდევ ამ საკითხთან დაკავშირებით სათანადო მასალები არ მოგვეპოება, ამიტომ, როგორც ამას დიდი მეცნიერი აღნიშნავს, ამ ჯიშის სადაურობა ჯერჯერობით გაურკვეველი რჩება.

გურიის სხვა ძირითად აბორიგენულ ჯიშებთან ერთად ალადასტურს წარსულში ფართო გავრცელება ჰქონია, მეტადრე ზემო გურიის თითქმის ყველა სოფელში. ამას ადასტურებს ამჟამად ამ მხარეში მრავალ ადგილას შერჩენილი, როგორც მეტად ხნოვანი, ისე ახალგაზრდა ნარგავები მაღლარად აღზრდილ ალადასტურისა (სოფ. ჩოხატაურსა, ფარცხმასა, დაბლაციხესა, საყვავისტყესა, კოხნარსა, ბურნათში და სხვ.).

ალადასტურის ნარგავები მაღლარებისა და ხეივნების სახით საკმაოდ დიდი რაოდენობით ყოფილა გავრცელებული და იგი დღესაც გვხვდება გურიის მოსახლდრე ქვემო იმერეთის ზონაშიაც, მეტადრე სამტრედიისა და ვანის რაიონების მთისპირა სოფლებში. როგორც ქვემო იმერეთში, ისე გურიისაშიც ალადასტურის მაღლარები ამჟამად გაცილებით მეტი რაოდენობით არის გავრცელებული, ვიდრე სხვა აბორიგენები, რაც სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ ამ ჯიშის შედარებითი გამძლეობით აიხსნება.

როგორც წარსულში, ისე ამჟამაც ადგილობრივი მოსახლეობა ალადასტურის ყურძენს ძირითადად მასობრივი მოხმარების საკმაოდ ხარისხოვანი ღვინოების დასამზადებლად იყენებს, თუმცა ზოგ სოფელში ყურძენს ვაზებზე სტოვებენ და საჭიროების მიხედვით კრეფენ იანვარ-თებერვლის თვეებში. ყურძენს ხშირად აკიდობენ სახითაც ინახავენ, რომელიც დაუზიანებლად სძლებს გაზაფხულამდე.

ალადასტურს ზოგ სოფელში ეძახიან „შავ კამურს“, მაგრამ, გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ შავი კამური არსებითად განსხვავდება ალადასტურისაგან, როგორც მკვეთრად გამოსახული სპეციფიკური გემოთი, ისე ამპელოგრაფიული ნიშანთვისებებითაც.

ბოტანიკური აღწერა. გაშლის პერიოდში კვირტები მოთეთრო-მოყანგისფროა. ზრდის კონუსი თეთრია, მოწითალო ელფერით, და ქეჩისებრად არის დაფარული თეთრი ფერის ბეწვისებრი ბუსუსით. ახლად გაშლილი პირველი ფოთოლი ზედა მხრიდან ღია მწვანეა, მოყვითალო ელფერით, და საკმაოდ სქლად არის დაფარული თეთრი-მონაცრისფრო ბუსუსით. ქვედა მხრიდან იგი ქეჩისებრად და დაფარული ბუსუსით და ფირფიტაში ახასიათებს სიწითლე. ფოთლის ყუნწი თეთრი-მონაცრისფრო ბუსუსით არის დაფარული და წითელი ელფერი გადაჰკრავს. მომდევნო მეორე და მესამე ნორჩი ფოთლები ღია მწვანეა, მოიისფრო ელფერით. ზედა მხრიდან მცირედ შებუსუსულია, ქვედა მხრიდან შებუსუსა ქეჩისებრია. ბუსუსი მეორე ფოთოლზე მოთეთრო-ნაცრისფერია, მესამეზე კი -- ნაცრისფერი. ორივე შემთხვევაში ბუსუსი ბეწვისებრია და ხშირად ახასიათებს სიწითლე.

ახალგაზრდა ყლორტი მრგვალია, ღია მწვანე და ძლიერ მცირედ არის დაფენილი მონაცრისფრო ბეწვისებრი ბუსუსით. შებუსუსა თანდათანობით ძლიერდება ყლორტის წვერისაკენ, რომელსაც ხშირად მოწითალო ელფერი გადაჰკრავს.

შემოსული რქა საშუალო სიმსხოსი და მუქიწაბლის ფერია. მუხლთშორისის სიგრძე 10 — 18 სმ-ს აღწევს. მუხლები უფრო მუქადაა შეფერილი. რქას სდევს სუსტი ყავისფერი ზოლები. ვაზზე რქები ძლიერად ვითარდება.

ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალოზე დიდია და მომრგვალო ან ოდნავ ოვალური. მისი სიგრძე აღწევს 16.6 — 20.3 სმ — ს, სიგანე — 16.6 — 19.2 სმ - ს.

ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ჩანგისებრია მახვილი ფუძით და კიდურები შემდგარია ოთხი ან სამი ძარღვისაგან. ზოგ შემთხვევაში ფუძეზე განვითარებულია ერთი ან ორი უბრალო კბილი.

ზედა ამონაკვეთი საკმაოდ ჩაქრილია, მიახლოებული ნაპირებითა და ვიწრო ნასვრეტით, რომლის ფუძე მახვილია; გვხვდება აგრეთვე კვერცხისებრი ფორმის ამონაკვეთი ფუძეზე განვითარებული ერთი კბილით. ფოთლის ქვედა ამონაკვეთი ღია და საკმაოდ ჩაქრილია.

ძირითადი ნაკვეთები სამია, იშვიათად — ხუთი. წვერის ნაკვეთი ფოთლის ფირფიტასთან მჭიდროდ ეკვრება ვილ კუთხეს ქმნის.


ნაკვეთთა წვერის კბილები სამკუთხედისებრია. მათი გვერდები ამოზნექილია და წვერი წამახვილებული ან მომრგვალო-სამკუთხედისებრი. ფოთლის დანარჩენი კბილები უფრო ხშირად მომრგვალო-სამკუთხედისებრია, ამოზნექილი გვერდებითა და წამახვილებული წვერით.

ფოთლის ქვედა მხარე ქეჩისებრია, ზედა მხარე კი გლუვია. მოყვანილობით ბრტყელი ან ძაბრისებრ-ღარისებურადაა მოხრილი.

მთავარი ძარღვები საკმაოდ შებუსუსულია და ღია მწვანეა.

ფოთლის ყუნწის შეფარდება შუა მთავარ ძარღვთან უდრის 0.6 — 1.0-ს; იგი მცირედ შებუსუსულია და ალუბლის ფერისაა.

ყვავილი ორსქესიანია, ნორმალურად განვითარებული ბუტკოთი და მტვრიანებით. მტვრიანები ნორმალურადაა გადახრილი ბუტკოდან დაწითქმის ორჯერ გრძელია ბუტკოზე. ყვავილში 5 მტვრი-



სურ. 26. ალადასტურის ყვავილი.

ანაა, გვხვდება აგრეთვე 4 და 6, ხოლო იშვიათად 7 მტვრიანაც. ყვავილების რაოდენობა ყვავილედში 300 — 900 ცალამდე აღწევს (სურ. 26).

დიდი მტევნის ყუნწის სიგრძე აღწევს 8 — 11 სმ-ს, მტევნის სიგრძე — 18 — 20 სმ-ს, სიგანე — 9 — 11 სმ-ს. საშუალო მტევნის ყუნწის სიგრძე აღწევს 7 — 10 სმ-ს, მტევნის სიგრძე — 12 — 16 სმ-ს, სიგანე — 6 — 9 სმ-ს.

მტევანი ცილინდრულ-კონუსისებრია ან ცილინდრული; იგი საკმაოდ მკვრივია. მტევნის ყუნწი ბალახისებრია, მომწვანოა და ახასიათებს მუხლამდგ გახევება. მტევანი რქას ძნელად სცილდება.

მარცვლის ყუნწის სიგრძე საჯდომი ბალიშით 6 — 9 მმ-ს აღწევს. მწვანეა. საჯდომი ბალიში დამეჭეჭებულია და განიერ-კონუსისებრი. მარცვალი საჯდომ ბალიშზე მტკიცედ არის მიმაგრებული.

მარცვალი შავია, საშუალო ან საშუალოზე მსხვილი. მისი საშუალო სიგრძე აღწევს 17.6 მმ-ს, სიგანე — 14.9 მმ-ს, ოვალურია ან მოგრძო, შუა წელში განიერი, ბოლო მომრგვალებული აქვს და სიმეტრიულია. სქელკანიანია. კანი რბილობს; ადვილად სცილდება. საღებავი ნივთიერება რბილობში არ არის. საკმაოდ ხორციანია და აგრეთვე წვნიანი, ჩვეულებრივი ტკბილი გემოთი. მარცვლის კანი მცირედ არის დაფარული ფიფქით (ცვილით).

მარცვალში 1 — 4 ცალი წიბწაა, სქარბობს 2 წიბწა. მისი სიგრძე აღწევს 6 — 7.5 მმ-ს, სიგანე — 2.5 — 3.5 მმ — ს. ღია ყავისფერია, მუცლის მხრიდან ღარებში კი — მოყვითალო. ქალაძა ნაკლებ გამოსახულია და მოთავსებულია ზურგის მხარის თითქმის შუა ნაწილში. ფორმით მოგრძო-ოვალურია და იშვიათად სამკუთხედისებრი. ზურგის მხარე გლუვია. ნისკარტი მოყავისფროა და მისი სიგრძე 1.5 — 2.0 მმ-ს აღწევს.

აგრობიოლოგიური დახასიათება. ალადასტურის სავეგეტაციო პერიოდის საერთო ხანგრძლივობა ჩოხატაურის რაიონის მთისპირა მიკრორაიონებში 240 — 245 დღეს აღწევს. ვაზის გამოღვიძე-

ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ჩანგისებრია მახვილი ფუძით და კიდურები შემდგარია ოთხი ან სამი ძარღვისაგან. ზოგ შემთხვევაში ფუძეზე განვითარებულია ერთი ან ორი უბრალო კბილი.

ზედა ამონაკვეთი საკმაოდ ჩაქრილია, მიახლოებული ნაპირებითა და ვიწრო ნასვრეტით, რომლის ფუძე მახვილია; გვხვდება აგრეთვე კვერცხისებრი ფორმის ამონაკვეთი ფუძეზე განვითარებული ერთი კბილით. ფოთლის ქვედა ამონაკვეთი ღია და საკმაოდ ჩაქრილია.

ძირითადი ნაკვთები სამია, იშვიათად — ხუთი. წვერის ნაკვთი ფოთლის ფირფიტასთან მჭიდროდ ეკვრება ვილ კუთხეს ქმნის.


ნაკვთთა წვერის კბილები სამკუთხედისებრია. მათი გვერდები ამოზნექილია და წვერი წამახვილებული ან მომრგვალო-სამკუთხედისებრი. ფოთლის დანარჩენი კბილები უფრო ხშირად მომრგვალო-სამკუთხედისებრია, ამოზნექილი გვერდებითა და წამახვილებული წვერით.

ფოთლის ქვედა მხარე ქეჩისებრია, ზედა მხარე კი გლუვია. მოყვანილობით ბრტყელი ან ძაბრისებრ-ღარისებურადაა მოხრილი.

მთავარი ძარღვები საკმაოდ შებუსუსულია და ღია მწვანეა.

ფოთლის ყუნწის შეფარდება შუა მთავარ ძარღვთან უდრის 0.6 — 1.0-ს; იგი მცირედ შებუსუსულია და ალუბლის ფერისაა.

ყვავილი ორსქესიანია, ნორმალურად განვითარებული ბუტკოთი და მტვრიანებით. მტვრიანები ნორმალურადაა გადახრილი ბუტკოდან დაწითქმის ორჯერ გრძელია ბუტკოზე. ყვავილში 5 მტვრი-



სურ. 26. ალადასტურის ყვავილი.

ანაა, გვხვდება აგრეთვე 4 და 6, ხოლო იშვიათად 7 მტვრიანაც. ყვავილების რაოდენობა ყვავილედში 300 — 900 ცალამდე აღწევს (სურ. 26).

დიდი მტევნის ყუნწის სიგრძე აღწევს 8 — 11 სმ-ს, მტევნის სიგრძე — 18 — 20 სმ-ს, სიგანე — 9 — 11 სმ-ს. საშუალო მტევნის ყუნწის სიგრძე აღწევს 7 — 10 სმ-ს, მტევნის სიგრძე — 12 — 16 სმ-ს, სიგანე — 6 — 9 სმ-ს.

მტევანი ცილინდრულ-კონუსისებრია ან ცილინდრული; იგი საკმაოდ მკვრივია. მტევნის ყუნწი ბალახისებრია, მომწვანოა და ახასიათებს მუხლამდგ გახევება. მტევანი რქას ძნელად სცილდება.

მარცვლის ყუნწის სიგრძე საჯდომი ბალიშით 6 — 9 მმ-ს აღწევს. მწვანეა. საჯდომი ბალიში დამეჭეჭებულია და განიერ-კონუსისებრი. მარცვალი საჯდომ ბალიშზე მტკიცედ არის მიმაგრებული.

მარცვალი შავია, საშუალო ან საშუალოზე მსხვილი. მისი საშუალო სიგრძე აღწევს 17.6 მმ-ს, სიგანე — 14.9 მმ-ს, ოვალურია ან მოგრძო, შუა წელში განიერი, ბოლო მომრგვალებული აქვს და სიმეტრიულია. სქელკანიანია. კანი რბილობს; ადვილად სცილდება. საღებავი ნივთიერება რბილობში არ არის. საკმაოდ ხორციანია და აგრეთვე წვნიანი, ჩვეულებრივი ტკბილი გემოთი. მარცვლის კანი მცირედ არის დაფარული ფიფქით (ცვილით).

მარცვალში 1 — 4 ცალი წიბწაა, სქარბობს 2 წიბწა. მისი სიგრძე აღწევს 6 — 7.5 მმ-ს, სიგანე — 2.5 — 3.5 მმ — ს. ღია ყავისფერია, მუცლის მხრიდან ღარებში კი — მოყვითალო. ქალაძა ნაკლებ გამოსახულია და მოთავსებულია ზურგის მხარის თითქმის შუა ნაწილში. ფორმით მოგრძო-ოვალურია და იშვიათად სამკუთხედისებრი. ზურგის მხარე გლუვია. ნისკარტი მოყავისფროა და მისი სიგრძე 1.5 — 2.0 მმ-ს აღწევს.

აგრობიოლოგიური დახასიათება. ალადასტურის სავეგეტაციო პერიოდის საერთო ხანგრძლივობა ჩოხატაურის რაიონის მთისპირა მიკრორაიონებში 240 — 245 დღეს აღწევს. ვაზის გამოღვიძე-

ბა იწყება აპრილის პირველი რიცხვებიდან, კვირტების გამოფურჩქვნა — 7 — 8 აპრილიდან, ყვავილობა — ივნისის პირველი რიცხვებიდან და 15 ივნისამდე მთავრდება. ყურძენი შეთვალვას იწყებს სექტემბრის პირველი რიცხვებიდან და სრულ მწიფობაში შედის ოქტომბრის ბოლოდან. ფოთოლცვენა იწყება ნოემბრის შუა რიცხვებში და ნოემბრის ბოლო რიცხვებისათვის მთავრდება.

ვაზის მწვანე ნაწილები ყურძნის სრული სიმწიფის პერიოდისათვის უკვე მთლიანად მწიფდება და რქები მასობრივად დებულობს ჯიშის დამახასიათებელ ელფერს.

ვაზის საერთო ზრდა-განვითარება საშუალოზე ძლიერია. სავეგეტაციო პერიოდის მანძილზე რქების სიგრძე ხშირ შემთხვევაში 3.5 — 4 მეტრს აღწევს.

სრულ მოსავალში ალადასტური შედის მეხუთე წლიდან. ახასიათებს უხვი მოსავლიანობა. ცალკეულ რქებზე ხშირად გვხვდება 2 მტევანი. სათანადო მოვლის შედეგად ერთი ძირი მაღლარად აღზრდილი ვაზის მოსავალი 40 — 50 კილოგრამამდე აღწევს.

გურიის ვაზის აბორიგენულ ჯიშთა შორის ალადასტური სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ მეტი გამძლეობით ხასიათდება, განსაკუთრებით უფრო მეტ გამძლეობას იგი კრაქის მიმართ იჩენს.

სამეურნეო დახასიათება. ალადასტურის მტევნის საშუალო წონა 200 გრამს აღწევს. მტევანზე 80 — 120 ცალი მარცვალია (საშუალოდ — 85), წონით 185.5 გრამი. მტევნის კლერტის საშუალო წონა 9.4 გრამს უდრის, წიპწების — 10.4 გრამს, კანის — 35.8 გრამს. წვენის გამოსავლიანობა საშუალოდ აღწევს 71.8%-მდე და ნარჩენები კლერტის, ჩენჩოსა და წიპწის სახით 28.2%-ს შეადგენს.

100 მარცვლის საშუალო წონა 220 გრამამდე აღწევს. 100 მარცვალში 259 ცალამდე წიპწაა, წონით 15 გრამი. აქედან ერთწიპწიანი მარცვლები შეადგენს 7%-ს, ორწიპწიანი — 41%-ს, სამწიპწიანი — 39%-ს, ოთხწიპწიანი — 12%-ს და ხუთწიპწიანი 1%-ს.

ყურძნის მწიფობის პერიოდში მასში შაქრიანობა აღწევს 19 — 20%-მდე და საერთო მცვეიანობა — 8.5 — 9%-მდე. მიუხედავად იმისა, რომ ალადასტურის ყურძნის კრეფა გვიან წარმოებს (ოქტომბრის ბოლოს და ნოემბრის დასაწყისში), შაქრის მატება მასში არ ემზნევა და იგი 20%-ს არ სცილდება.

აფხაზურას მტევნის საშუალო წონა აღწევს 245 გრამს. დიდი მტევნის წონა 370 გრამია, მცირე — 130 გრამი. მტევანზე მარცვლების რაოდენობა მერყეობს 100 — 120 ცალამდე. ახასიათებელი უხვი გამოსავლიანობა (80.9%). საშუალო მტევანში კლორტი შეადგენს 3.4%-ს, კანი — 9.3%-ს, წიპწა — 6.3%-ს.

ყურძნის სრული სიმწიფის პერიოდში შაქრიანობა მასში აღწევს 19 — 20%-მდე და საერთო მჟავიანობა — 8.5 — 9.5%-მდე.

ყურძენი შენახვის უნარს მოკლებულია.

აფხაზურას დადებითი თვისებებიდან აღსანიშნავია მისი უხვი მოსავლიანობა, წვენის უხვი გამოსავლიანობა და აგრეთვე ვაზის საკმაოდ დიდი გამძლეობა სოკოვან ავადმყოფობათა და განსაკუთრებით ნაცრის მიმართ. ამიტომ აღნიშნული ჯიში უდავოდ ყურადღების ღირსია და მიზანშეწონილად მიგვაჩნია მისი გავრცელება ზემო სამეგრელოს სოფლებში, მხოლოდ ნამყენების სახით, ფილოქსერის გამძლე საძირებზე.

ლენხუმის მევენახეობის რაიონებში მცირეოდენი ნარგავების სახით გავრცელებული ვაზის ჯიში აფხაზურას სახელწოდებით, წითელყურძნიანია და მეგრულ აფხაზურასთან მას კავშირი არა აქვს.

АБХАЗУРА

Листья средней величины, длиной 16.1 см и шириной 16.0 см. По форме округлые или слегка эллиптические.

Черешковая выемка открытая и лировидной формы, с острым или округлым дном. Лопать черешковой выемки состоит из трех нервов. Встречается также выемка сводчатой формы и с плоским дном.

Верхние вырезки почти лировидные, с параллельными сторонами и округлым или острым дном. Встречаются также открытые вырезки, едва немечающиеся, или в виде входящего угла. Нижние вырезки открытые и расположены в виде входящего угла, реже встречаются лировидной формы и с округлым дном.

Лист трех и реже пятилопастный. Угол оконечной лопасти прямой, реже тупой.

Оконечные зубцы лопастей чаще треугольные, с острой вершиной, или треугольно-пиловидные, с острой или закругленной вершиной. Остальные зубцы лопастей треугольные, с острой или округлой вершиной. Встречаются также треугольные зубцы с выпуклыми сторонами и острой вершиной.

Поверхность листа сетчато-морщинистая, по форме плоская или края отогнуты вниз; иногда желобчатой формы. Пластинка листа покрыта снизу войлочным покровом серого цвета.

Отношение черешка к длине среднего нерва 0.7 — 0.8. Черешок красновато-розового цвета, со слабым покровом паутиннообразных волосков.

Плодоносные побеги средней толщины, коричневого цвета и со следами волосков. Узлы окрашены темнее, чем междоузлия. Длина междоузлий достигает 7 — 12 см.

Цветы обоеполые.

Появление первых признаков созревания винограда наблюдается в конце августа; массовое созревание наступает с первого ноября.

Длина ножки грозди 3.5 — 7 см, длина самой грозди — 12 — 16.5 см, ширина грозди — 10.5 — 13 см, количество ягод на грозди до 120 шт.

Общая форма грозди цилиндрическо-коническая, иногда крылатая. Очень плотная; встречаются грозди и средней плотности.

Длина ножки ягоды с подушечкой составляет 5 — 7 мм; ножка зеленого цвета. Подушечка бородавчатая, темнокоричневого цвета и широко-коническая.

Ягода светлозеленая, со стороны солида желтовато-янтарного цвета; средней величины и по форме округлая, длиной 11.5 — 14.5 мм, шириной 11.3 — 14.3 мм; посередине широкая, у конца округлая и симметричная. Кожица почти тонкая; мякоть более сочная и менее мясистая, с кисловатым, но приятным вкусом.

Количество семян в ягоде 1 — 3 шт, чаще 2. Длина семени 6 — 7 мм, ширина — 3 — 4 мм; семя светлокаштанового цвета. Халаза почти округлая. Длина клюва достигает 1.5 — 2 мм.


Абхазура — белый винный сорт. Не местного происхождения; по всей вероятности занесен из Абхазии, что подтверждается его названием. Старые столетние лозы данного сорта в настоящее время встречаются в Цаленджихском районе; в этом же районе (в сел. Накифу) имеется несколько кустов Абхазура, привитых на Рупестрис Дюло; рост и плодоношение этих лоз удовлетворительны. Полагаем, что из Абхазура можно получить довольно качественное вино для местного потребления.

Сорт заслуживает внимания и разведения, вместе с другими ценными сортами, особенно в верхней части Мегрелии.

3117333-11
3117333-11



ქართული
ენციკლოპედია



აფხაზურა — Абхазура

ჩ ე ზ ი ზ ე შ ი

ჩეჭიფეში მეგრული სიტყვაა და ნიშნავს „თეთრ წვრილს“. ამ სახელწოდებას იგი სავსებით ამართლებს, ვინაიდან სხვა ადგილობრივ ჯიშებთან შედარებით, ივითარებს უფრო მომცრო და ნაზი აგებულების მარცვლებს. მიეკუთვნება სამეგრელოს თეთრყურძნიანი ვაზის ჯიშთა ჯგუფს.

სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის შემოჭრამდე აღნიშნული ჯიში, როგორც ზემო სამეგრელოს მიკრორაიონებში მალღარების სახით მასობრივად ყოფილა გავრცელებული. როგორც გადმოგვცემენ, ადგილობრივი მოსახლეობა მისგან ძირითადად ამზადებდა ღვინოს, რომელიც ხასიათდებოდა ალკოჰოლის საკმაო შემცველობით (10.5—11%) და ჰარმონიულობით. ღვინოს მეტწილად იყენებდნენ მაჭრობის პერიოდშივე, სავიანო ჯიშების რთველის წარმოების დროს.

აკად. ივ. ჯავახიშვილის (1) მიხედვით, ჩეჭიფეში ფონეტიკური სახელწვლილება უნდა იყოს ზემო აჭარაში გავრცელებულ „ქეჭიბერა“-სი. ჩვენს მიერ ორივე ჯიშის შესწავლისა და ურთიერთთან შედარების შედეგად დადასტურდა მათი არაიდენტურობა.

მოხსენებული ჯიშების მთავარი განმასხვავებელი ნიშანთვისებები შემდეგში გამოიხატება: ჩეჭიფე შის ფოთლები საკმაოდ ღრმად არის დანაკვთული და ქვედა მხრიდან დაფარულია ქეჩისებრად ბეწვისებრი ბუსუსით. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი უფრო ხშირად ღრმა ისრისებრია. ყვავილი პერმოფროდიტულია, ნორმალურად განვითარებული მტვრიანებით და ბუტკოთი. მარცვალი ოვალურია, საშუალოზე მცირე, უფრო წვნიანი, სასიამოვნო ტკბილი გემოთი. წიპწების რაოდენობა მარცვალში მერყეობს 1—3-მდე. დანიშნულებით იგი საღვინე ჯიშია. როგორც საადრეო, შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე სუფრის ყურძნად. ქეჭიბერას ფოთლები მცირედ დანაკვთულია და ქვემოდან უმნიშვნელოდ არის დაფარული ბეწვისებრი ბუსუსით. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ელიფსურია. ყვავილი ფუნქციონალურად მდებრობითია, მოკლე-მოკაკვილი მტვრიანებით. მტევანში წვრილი მარცვლების რაოდენობა 70%-მდე აღწევს. მარცვალი მომრგვალოა, თხელკანიანი და მეტად წვნიანი, უბრალო ტკბილი-მომეაფო გემოთი. წიპწის რაოდენობა მარცვალში აღწევს 1—4 ცალამდე. ჯიში ინტერესს მოკლებულია, როგორც შედარებით მდარე პროდუქციის მომცემი.

ამჟამად სამეგრელოს რაიონებში ჩეჭიფეშის გავრცელების არეალი მეტად შემცირებულია და იგი გვხვდება ერთეული ძირის სახით—მალღარად. მათი ზრდა-განვითარება და მოსავალი წლის ამინდის ხელსაყრელ პირობებზე არის დამოკიდებული. ნამყენების სახით—დაბლარად, ჩეჭიფეშის ნარგავები გვხვდება წალენჯიხის რაიონში—სოფ. ნაკიფეში. ნაკვეთი გაშენებულია 1936 წელს. ვაზები საშუალო ზრდა-განვითარებით, საშუალო მოსავლიანობითა და პროდუქციის საკმაოდ მაღალი ხარისხით ხასიათდება.

ბოტანიკური აღწერა. ზრდის კონუსი ქეჩისებრად არის დაფარული მოთეთრო-მოწითალო ფერის ბეწვისებრი ბუსუსით. ახლად გაშლილი პირველი ფოთოლი ზედა მხრიდან მოწითალო-იისფერია, ძარღვების გასწვრივ კი—ღია მწვანე და საკმაოდ სქლად არის დაფარული მოთეთრო-მონაცრისფრო ბეწვისებრი ბუსუსით. ქვედა მხრიდან ფირფიტა ქეჩისებრად არის დაფარული თეთრი-მონაცრისფრო ბუსუსით და საგრძნობლად გადაჰკრავს მოწითალო ელფერი. განსაკუთრებით ფირფიტის ნაპირებზე. ფოთლის ყუნწი მოწითალოა და საკმაოდაა დაფარული თეთრი-მონაცრისფრო ბუსუსით. მომდევნო მეორე და მესამე ნორჩი ფოთლები ზედა მხრიდან მოწითალო-იისფერია; მეორე ფოთოლი ზემოდან მცირედ შებუსვილია და მესამე კი თითქმის შიშველი. როგორც მეორე, ისე მესამე ფოთლის ქვედა მხრიდან შებუსვა ქეჩისებრია. ბუსუსი ბეწვისებრია და მოთეთრო-ნაცრისფერი. უფრო მოზრდილ ფოთლებზე ბუსუსი ნაცრისფერში გადადის.

ახალგაზრდა ყლორტი ღია მწვანეა და ცალ მხარეზე დასდევს მოწითალო-იისფერი. საკმაოდ არის დაფარული მონაცრისფრო ბეწვისებრი ბუსუსით. შებუსვა უფრო ძლიერდება ყლორტის წვერისაკენ. ყლორტის წვერი ხშირ შემთხვევაში მოწითალოა.

შემოსული რქა საშუალო ან საშუალოზე წვრილია, მუქი ყავისფერი, ოდნავ მოწითალო ელფერით. მუხლთშორისის სიგრძე აღწევს 7—12 სმ-ს.

ზრდა-დამთავრებული ფოთოლი საშუალო სიდიდისა ან საშუალოზე მცირეა და საერთო მოყვანილობით მომრგვალოა. ღია მწვანე ფერისაა. საკმაოდ დანაკეთულია, გვხვდება ღრმად დანაკეთული ფოთლებიც. ფოთლის საშუალო სიგრძე აღწევს 14.6 სმ-ს, სიგანე 14.5 სმ-ს.


ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ღრმა ისრისებრია, თანასწორი გვერდებით. გვხვდება მხოლოდ იშვიათად, ჩანგისებრი ფორმის ამონაკვეთები, მახვილი ფუძით.

ზედა ამონაკვეთი ღია და ხშირად საკმაოდ ჩაჭრილი; ზოგჯერ ნასვრეტისებრი ან წამახვილებული ფუძით. ქვედა ამონაკვეთი ღია და მცირედ ჩაჭრილი, იშვიათად საკმაოდ ჩაჭრილია.

ფოთოლი სამ და იშვიათად ხუთნაკეთიანია. წვერის ნაკეთი ფოთლის ფირფიტასთან ქმნის ბლავკუთხეს, ზოგჯერ სწორს.

ნაკეთთა წვერის კბილები სამკუთხედისებრია, ამოზნექილი გვერდებითა და მახვილი ან წამახვილებული წვერით. გვხვდება აგრეთვე ხერხბილა-სამკუთხედისებრი კბილებიც, ცალგვერდ-ჩაზნექილი. ფოთლის დანარჩენი კბილები მთავარი კბილების მსგავსია.

ფოთლის ქვედა მხარე ქეჩისებრად არის დაფარული მონაცრისფრო ბუსუსით. ზედა მხარე უფრო ხშირად ბადისებრად არის დანაკეთებული; იშვიათად გლუვია. ფოთლის ზედაპირი ბრტყელია ან



სურ. 38. ჩეხოვეშის ყვავილი.

ნაპირებ-ჩამოწეული. მთავარი ძარღვები ღია მომწვანოა და მცირედ არის შებუსხვილი მონაცრისფრო ბუსუსით.

ფოთლის ყუნწის შეფარდება შუა მთავარ ძარღვთან უდრის 0.6—0.9-ს. იგი ღია მწვანეა და ფუძესთან მოწითალო-ღვინისფერში გადადის. მცირედ არის დაფარული ბეწვისებრი ბუსუსით.

ყვავილი ორსქესიანია, ნორმალურად განვითარებული მტვრიანებით და ბუტკოთი. ყვავილში 6 მტვრიანაა, გვხვდება აგრეთვე 4 და იშვიათად 6 მტვრიანაც. ყვავილების რაოდენობა ყვავილედში 150—190 ცალამდე აღწევს (სურ. 38).

მტევნის ყუნწის სიგრძე აღწევს 3.5—4.5 სმ-ს, მტევნის სიგრძე 9—14.5 სმ-დეა, ხოლო სიგანე—5—7 სმ-დე.

მტევნის საერთო ფორმა ცილინდრულ-კონუსისებრია. საშუალო სიმკვრივისაა; გვხვდება თხელი აგებულების მტევნებიც. მტევნის ყუნწი და კლერტი ბალახისებრია და მომწვანო ფერისაა.

მარცვლის ყუნწის სიგრძე საჯდომი ბალიშით აღწევს 4—9 მმ-ს. იგი მწვანეა. ბალიში დამეკვებულია და განიერ-კონუსისებრი. მარცვალი საჯდომ ბალიშზე მტკიცედ არის მიმაგრებული.

მარცვალი ღია ქარვისფერია; საშუალოზე მცირე და ფორმით ოვალური. მისი საშუალო სიგრძე აღწევს 11.5—14.5 მმ-ს, სიგანე—10—12 მმ-ს. შუა წელში უფრო განიერია, ბოლო მომრგვალებული აქვს და სიმეტრიულია. თითქმის თხელკანიანია, უფრო წვნიანი და ნაკლებ ხორციანი, სასიამოვნო ტკბილი გემოთი. მარცვალი მცირედ არის დაფარული ცვილით.

მარცვალში 1—3 ცალი წიპწაა, უფრო ხშირად გვხვდება 2 წიპწა; წიპწის სიგრძე აღწევს 5.5—6 მმ-ს, სიგანე 2.5—3 მმ-ს. იგი მოყავისფროა. ქალაძა მოთავსებულია ზურგის შუა ნაწილში და ფორმით თითქმის ოვალურია. ზურგის მხარე გლუვია. ნისკარტის სიგრძე აღწევს 1—1.5 მმ-ს.

აგრობიოლოგიური დახასიათება. წალენჯიხის რაიონის სოფ. ნაკიფუს ზონაში ჩეჭიფეშის სავეგეტაციო პერიოდის საერთო ხანგრძლივობა 240 დღემდე აღწევს. ვაზის გაღვიძება იწყება მარტის ბოლოდან. კვირტების გამოფურჩქვნა მიმდინარეობს 4—5 აპრილიდან, ყვავილობა იწყება მაისის ბოლო რიცხვებიდან და 10 ივნისამდე მთავრდება. ყურძენი შეთვალვას იწყებს აგვისტოს მეორე ნახევრიდან და მასობრივ სიმწიფეში შედის ოქტომბრის პირველ რიცხვებში. ფოთოლცვენა ჩვეულებრივ იწყება ნოემბრის პირველ ნახევარში და ამავე თვის ბოლო რიცხვებში მთავრდება.

სამეგრელოში გავრცელებული ვაზის აბორიგენულ ჯიშებთან შ დარებით ჩეჭიფეში თითქმის ერთი თვით ადრე მწიფდება, რასაც ამ მხარის რაიონებისათვის უალრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ დროისათვის ვაზის დანარჩენი ჯიშები მხოლოდ შეთვალვების პროცესშია და ამიტომ ჩეჭიფეშის პროდუქცია შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ყურძნად, ისე ადგილობრივი მნიშვნელობის მასობრივი მოხმარების ღვინოების დასამზადებლად.

ჩეჭიფეშს საშუალო ზრდა ახასიათებს. სავეგეტაციო პერიოდის დასასრულისათვის მისი რტები სიგრძით 1.5—2 მეტრამდე აღწევს.

ყურძენის სიმწიფის პერიოდისათვის რტები აღწევს სრულ მომწიფებას და ამ დროისათვის ჯიშის დამახასიათებელ ელფერს ღებულობს.

მოსავლის პირველ ნიშნებს იგი იძლევა მესამე წელს და ზოგჯერ მეორე წელსაც. სრულ მოსავლიანობაში 4—5 წლიდან შედის.

ახასიათებს საშუალო მოსავლიანობა. ქართული წესით ფორმირებული ერთი ძირი ვაზის მოსავალი აღწევს 1—1.5 კგ-ს. რტაზე ხშირად ორი მტევანია და იშვიათად ერთი. მტევნები რტაზე უთანაბროდ ვითარდება.

სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ იგი სუსტ გამძლეობას იჩენს, განსაკუთრებით ძლიერ ავადდება კრაქით.

სამეურნეო დახასიათება. ჩეჭიფეში დანიშნულებით საღვინე ჯიშია, მაგრამ მისი პროდუქცია, წარმატებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს სუფრის ყურძნადაც. ღვინო ჩეჭიფეშისა ღია მოჩაღისფროა, ალკოჰოლს შეიცავს 10.5—11%-მდე, საკმაოდ პარმონიულია და სასიამოვნო სასმელი. პრაქტიკოს მევენახეთა გადმოცემით ამ ჯიშის ღვინო ხანგრძლივად არ ინახება და ნაკლებ ტრანსპორტაბელურია.

დიდი მტევნის წონა აღწევს 140 გრამს და მცირესი—75 გრამს. საშუალოდ იგი 105 გრამია. მტევანზე მარცვლების რაოდენობა მერყეობს 45—90 ცალამდ. საშუალო მტევანზე კლერტი შეადგენს 4%-ს, კანი—16.2%-ს, წიბწა—5.8%-ს და წვენი—74%-ს.

100 მარცვლის წონა 130 გრამამდე აღწევს. 100 მარცვალში 179 ცალამდე წიბწაა, წონით 7.8 გრამი. ერთწიბწიანი მარცვლები შეადგენს 33%-ს, ორწიბწიანი—55%-ს და სამწიბწიანი—12%-ს.

ყურძენის სრული სიმწიფის პერიოდში შაქრიანობა მასში აღწევს 19.5—20%-მდე და საერთო მჟავიანობა 9.8%-ს შეადგენს.

როგორც ადრეულა და ამავე დროს საკმაოდ ხარისხოვანი პროდუქციის მომცემი საღვინე ჯიში, ჩეჭიფეში ყურადღების ღირსია და მისი გავრცელება ნამყენების სახით მიზანშეწონილია სამეგრელოს მთისპირა მიკრორაიონებში.

Ч Е Ч И П Е Ш И

Листья средние или меньше средней величины, длиной 14.6 см и шириной 14.5 см; по форме округлые.

Черешковая выемка глубоко стрельчатая и равносторонняя, встречается и лировидная, с острым дном.

Верхние вырезки открытые и чаще расположены в виде входящего угла; встречаются также вырезки щелевидные, с острым или с заостренным дном. Нижние вырезки очень слабо выражены.

Лист трех а реже пятилопастный. Угол оконечной лопасти тупой, реже прямой.

Оконечные зубцы лопастей треугольные, с выпуклыми сторонами и острой или округленной вершиной; встречаются также пиловидно-треугольные зубцы, односторонне выпуклые. Вторичные зубцы сходны с оконечными зубцами лопастей.

Поверхность листа гладкая или сетчато-морщинистая. По форме плоская, края иногда отогнуты вниз. Пластинка листа покрыта снизу войлочным покровом серого цвета.

Отношение черешка к длине среднего нерва 0.6 — 0.9; черешок зеленоватого цвета, со следами волосков; у основания переходит в красноватовинный цвет.

Плодоносные побеги меньше средней толщины; темнокоричневого цвета. Длина междоузлий достигает 7 — 12 см.

Цветы обоеполые.

Появление первых признаков созревания винограда наблюдается со второй половины августа; массовое созревание наступает в начале октября.

Длина ножки грозди 3.5 — 4.5 см; длина грозди 9 — 14.5 см; ширина грозди 5 — 7 см; количество ягод на грозди 45 — 90 шт.

Общая форма грозди цилиндрическо-коническая; гроздь средней плотности, реже рыхлая; ножка грозди с гребнем травянистая и зеленоватого цвета.

Длина ножки ягоды с подушечкой 4 — 9 мм, сама ножка зеленого цвета. Подушечка бородавчатая и широко-коническая.

Ягода светлоянтарного цвета, меньше средней величины или средняя, длиной 11.5 — 14.5 мм, шириной 10 — 12 мм. Овальная, посередине широкая, у конца округлая и симметричная. Мякоть довольно сочная и мясистая, с обыкновенным сладким вкусом. Кожица нетолстая.

Количество семян в ягоде 1 — 3 шт, чаще 2. Длина семени 5.5 — 6 мм, ширина 2.5 — 3 мм, коричневого цвета. Халаза овальная. Длина клюва достигает 1 — 1.5 мм.

Чечипеши белый винный сорт, годен и для стола.

До появления грибных заболеваний и филлоксеры сорт Чечипеши в массовом виде культивировался в верхних районах Мегрелии, и местные жители использовали продукцию в основном в свежем виде, а также приготавливали вино и в молодом же возрасте (мачари) потребляли его. Под действием грибных болезней и вредителя филлоксеры, сорт Чечипеши подвергся массовой гибели. Уцелевшие его единичные экземпляры в настоящее время встречаются в верхней Мегрелии.

Сорт, как сравнительно рано поспевающий, заслуживает внимания и разведения привитыми саженцами в предгорных микрорайонах Мегрелии на соответствующих американских подвоях.



საქართველო
ენციკლოპედია



ჩეჭიფეში — Чечипеши



ჩეში სამეგრელოში გავრცელებული თეთრყურძნიანი საღვინე ჯიშია.

აკად. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით (1), „ჩე ში, ჩე-საგან ნაწარმოები, მეგრული მხოლო-
ბითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვაა და ამნაირად თეთრისა-ს ნიშნავს“.

თეთრას ან თეთრი ყურძნის სახელწოდებით საქართველოს თითქმის ყველა რაიონში ვხვდებით ვაზის სხვადასხვა ჯიშს, რომლებიც მხოლოდ ფერით ემსგავსებიან ერთმანეთს, ხოლო ამპელოგრაფიული ნიშან-თვისებებით და სამეურნეო დანიშნულებით მკვეთრად განსხვავდებიან. ასეთია აქარული თეთრა, კაიკაციშვილის თეთრა, თეთრი კამური, თეთრი ყურძენი, წულუკიძის თეთრა და სხვ. მეგრული ჩეში ანუ თეთრისა-ც თავისი ამპელოგრაფიული ნიშნებით არსებითად განსხვავდება ზემოაღნიშნული ჯიშებისაგან.

ადგილობრივ მოხუც პირთა გადმოცემით ირკვევა, რომ ჩეში წარსულში ფართოდ ყოფილა გავრცელებული სამეგრელოს როგორც მთიან, ასე ვაკე ადგილებში. მის პროდუქციას მოსახლეობა ღვინის დასამზადებლად იყენებდა და ღვინო ჩეშისა, როგორც საკმაოდ მაღალხარისხოვანი, ცნობილი ყოფილა სამეგრელოს გარეთაც.

სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის მოქმედების შედეგად ჩეშის მალღარები თითქმის განადგურდა. თითო-ორი ძირის სახით ის კიდევ გვხვდება გეგეჭკორის და ცხაკაიას რაიონებში. მალღარად აღზრდის გამო ვაზების მოვლას არ აწარმოებენ, რის შედეგადაც მოსავლიანობა მეტად ცვალებადია. მხოლოდ ამინდის ხელსაყრელ პირობებში იძლევა საკმაოდ უხვსა და ხარისხოვან პროდუქციას. ნამყენების სახით დაბლარად მისი მცირეოდენი ნარგავები მოიპოვება საღვინოს ზონაში, ვაზების ზრდა-განვითარება სავსებით დამაკმაყოფილებელია და ყურძნის ხარისხიც საკმაოდ მაღალი.

ბოტანიკური აღწერა. კვირტები გაშლის პერიოდში მოთეთროა, ოდნავ მოწითალო ელფერით და საგრძნობლად არის დაფარული ბეწვისებრი ბუსუსით. ზრდის კონუსი ღია მწვანეა, მოწითალო ელფერით. სიწითლე უფრო მეტად ახასიათებს გასაშლელი ფოთოლაკების კბილანებს და ზრდის კონუსის წვერსაც. პირველი ახლად გაშლილი ფოთოლი ზედა მხრიდან ღია მწვანეა და საკმაოდ სქლად არის დაფარული მონაცრისფრო-თეთრი ბეწვისებრი ბუსუსით. ფოთლის ნაპირები კბილანებით ღვინისფერია. ქვედა მხრიდან შებუსვა ქეჩისებრია, პერიფერიისაკენ საგრძნობლად ემჩნევა წითელი ელფერი. მომდევნო მეორე ფოთოლი ზედა მხრიდან მუქი წითელია და მცირეოდენად არის დაფარული მონაცრისფრო ბეწვისებრი ბუსუსით. ქვედა მხრიდან ქეჩისებრად არის შებუსვილი. მესამე და მეოთხე ფოთოლზე შებუსვა ზედა მხრიდან მცირდება, ხოლო ქვედა მხარეზე ისევ ქეჩისებრია.

ახალგაზრდა ყლორტი ღია მწვანეა და მომრგვალო. მცირედ არის შებუსვილი ბეწვისებრი ბუსუსით. შებუსვა უფრო ძლიერდება ყლორტის წვერისაკენ.

შემოსული რქა საშუალო სიმსხოსია. ყავისფერია, ოდნავ მოწაბლისფრო ელფერით. მუხლები უფრო მუქად არის შეფერილი. მუხლთშორისის სიგრძე 8 — 12 სმ-ს აღწევს.

ზრდადამთავრებული ფოთოლი სიდიდით საშუალოზე მცირეა და მცირედ ოვალური. მისი საშუალო სიგრძე აღწევს 13 — 14 სმ-ს, სიგანე — 11.1 — 13.5 სმ-ს.

ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ღია და უფრო ხშირად ჩანგისებრია. ზოგჯერ ისრისებრია, თანასწორი გვერდებით და ჩაჭრილი ფუძით.

ზედა ამონაკვეთი ხშირად დახურულია მიახლოებული ან საკმაოდ ღრმად გადადებული ნაკვეთებით. ამონაკვეთი ნასვრეტისებრია, ზოგჯერ კვერცხისებრი. ქვედა ამონაკვეთი უმნიშვნელოდ არის ჩაჭრილი.

ფოთოლი სამნაკვეთიანია. წვერის ნაკვეთი ფოთლის ფირფიტასთან ქმნის სწორ კუთხეს, იშვიათად ბლაგვს.

ნაკვეთთა წვერის კბილები სამკუთხედისებრია მახვილი ან მომრგვალებული წვერით, ზოგჯერ ხერხკბილა სამკუთხედისებრია და გუმბათისებრი. მეორეული კბილები მთავარი კბილების მსგავსია.

ყვავილი ორსქესიანია, ნორმალურად განვითარებული მტვრიანებითა და ბუტკოთი. ყვავილში უფრო ხშირად 5 მტვრიანაა. ზოგჯერ 4 და 6 მტვრიანაც გვხვდება. ყვავილედში ყვავილების რიცხვი 350 ცალამდე აღწევს.

მტევნის ყუნწის სიგრძე 4 — 5.5 სმ-ია; მტევნის სიგრძე 13 — 15 სმ, სიგანე 6 — 7.5 სმ. მარცვლების რაოდენობა მტევანზე 60 — 120 ცალამდე მერყეობს.

მტევანი ცილინდრული ან ცილინდრულ-კონუსისებრია, საშუალო სიმკვრივეს მტევანებზე. მტევნის ყუნწი კლერტით ბალახისებრია და ღია მწვანე. ყურძნის სრული მწიფობის პერიოდში კლერტი მცირე მანძილზე ხევდება და თითქმის რქის ფერს ღებულობს.

მარცვლის ყუნწის სიგრძე საჯდომი ბალიშით 4 — 6 მმ-ია. ღია მწვანეა, მოყავისფრო ელფერით. საჯდომი ბალიშით დამეკვებებულია და განიერ-კონუსისებრი; ზოგჯერ ვიწრო-კონუსისებრია. მარცვალი საჯდომ ბალიშზე საკმაოდ მტკიცედ არის მიმაგრებული.

მარცვალი ღია მწვანეა, მზის მხარეზე მოქარვისფრო ელფერით. მისი საშუალო სიგრძე უდრის 12 — 15 მმ-ს, სიგანე 11.8 — 14.9 მმ-ს, ფორმით მომრგვალოა, შუა წელში უფრო განიერი და სიმეტრიული. საკმაოდ სქელკანიანია და წვნიანი სასიამოვნო ტკბილი გემოთი. მარცვლის კანი საკმაოდ დაფარული ფიფქით (ცვილით).

მარცვალში 1 — 4 ცალი წიპწაა, სქარბობს 2 წიპწა. წიპწის სიგრძე აღწევს 6.5 — 7.0 მმ-ს, სიგანე 2.5 — 3.0 მმ-ს. მოყავისფროა, მუცლის მხარეზე ღარებში ოდნავ მოყვითალო ელფერით. ქალაძა მოთავსებულია ზურგის მხარის თითქმის შუა წელში. ფორმით ქალაძა სამკუთხედისებრია და მცირედ არის გამოსახული. ნისკარტის სიგრძე 1.2 — 1.5 მმ-ს აღწევს.

აგრობიოლოგიური და სამეურნეო დახასიათება. გეგექკორის რაიონის სოფ. სალხინოს ზონაში ჩეშის სავეგეტაციო პერიოდის საერთო ხანგრძლიობა კვირტების გამოღვიძებიდან ფოთოლცვენის დამთავრებამდე 248 დღეს უდრის. კვირტების გამოღვიძება იწყება 6 — 8 აპრილიდან. ყვავილობის პირველი ნიშნები ემჩნევა 2 — 4 ივნისიდან და მთავრდება 15 ივნისამდე. ყურძნის შეთვალევა იწყება აგვისტოს მეორე ნახევარში და მასობრივ სიმწიფეში შედის ოქტომბრის 15-დან. ფოთოლცვენა იწყება 10 — 15 ნოემბრიდან და მთავრდება დეკემბრის პირველ რიცხვებში.

ვაზი საშუალო ან საშუალოზე ძლიერი ზრდისაა. ყურძნის სრული მწიფობის პერიოდში რქები აღწევს სრულ მომწიფებას და ამ დროისათვის ჯიშის დამახასიათებელ ელფერს ღებულობს. ნორმალურ ზრდასთან ერთად კარგი ამინდის პირობებში ჩეშს საკმაოდ უხვი მოსავლიანობა ახასიათებს. რქაზე მასობრივად ორი მტევანი ვითარდება, ზოგჯერ — ერთიც. ერთი ძირი მალღარის მოსავალი 20 — 25 კგ-ს აღწევს. დაბლარად აღზრდილი ვაზი 2 — 2.5 კგ ყურძენს იძლევა.

სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ ჩეში მეტად სუსტ გამძლეობას იჩენს. განსაკუთრებით ძლიერ ავადდება ნაცრით. ცუდ ამინდში სოკოვან ავადმყოფობათა მასობრივად გავრცელების შემთხვევაში ჩეშის მოსავალი მინიმუმამდე ეცემა და ამასთანავე მწვანე მასაც ნადგურდება. ამის შედეგად რქები შუას ზემოთ წვერისაკენ სრულიად მოუმწიფებელი რჩება და ზამთრის ყინვების გავლენით იღუპება.

სამეურნეო დანაშნულებით ჩეში საკმაოდ ხარისხოვან საღვინე ვაზის ჯიშთა ჯგუფს ეკუთვნის. ექვს გარეშეა, რომ დაბლარზე გადაყვანილი და სათანადოდ მოვლილი მოგეცემს რაოდენობრივად და ხარისხობრივად მაღალი ღირსების პროდუქციას. მხოლოდ აუცილებელია რათა მის გასაშენებლად შერჩეულ იქნეს მზით უხვად განათებული ფერდობი ადგილები და კალციუმის კარბონატების საკმაოდ შემცველი ნიადაგები. ამგვარი ნიადაგები საკმაოდ ვრცელი მასივების სახით მოიპოვება ცხაკაისა და გეგექკორის რაიონებში.

ყურძნის მექანიკური ანალიზების მიხედვით მტევნის საშუალო წონა 98 გრამამდეა. 100 მარცვლის წონა 125 გრამია, აქედან კანი შეადგენს 13.2 გრამს. 100 მარცვალში 180 ცალი წიპწაა, წონით 7.1 გრამი. კლერტის საშუალო წონა 5.1 გრამია, ხოლო წვენის გამოსავალი 75.5%-ს აღწევს.

ყურძნის სრული მწიფობის პერიოდში შაქრიანობა 20.5%-მდეა, ხოლო საერთო მთავრობა 9.1%-მდე.

მეგრულ თეთრყურძნიან ვაზის ჯიშებს შორის ჩეში ყურადღებას იპყრობს, როგორც საღვინე ჯიში. იგი საუკუნეთა განმავლობაში აკლიმატიზებულია სამეგრელოს ეკოლოგიურ პირობებში და, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, საკმაოდ ხარისხოვან პროდუქციასაც იძლევა. ამიტომ მისი მასობრივად გაშენება მიზანშეწონილად მიგვაჩნია სამეგრელოს მთისპირა მიკრორაიონებში ნამყენების სახით სათანადოდ შერჩეულ ამერიკულ საძირეებზე.



საქართველო
ენციკლოპედია



ფიგ. 20 — Чеша

Ч Е Ш И

Листья меньше средней величины, длиной 13 — 14 см и шириной 11.1 — 13.5 см. Слегка овальные.

Черешковая выемка открытая и лировидная; иногда стрельчатая и равносторонняя.

Верхние вырезки чаще закрытые с приближающимися или надвигающимися лопастями и слабо-эллиптическим просветом, иногда яйцевидные. Нижние вырезки едва намечены.

Лист трехлопастный. Угол оконечной лопасти прямой, реже тупой.

Оконечные зубцы лопастей треугольные, с острой или округленной вершиной, иногда треугольно-пиловидные и куполообразные. Вторичные зубцы по форме сходны с оконечными зубцами лопастей.

Цветы обоеполые.

В Гегечкорском районе появление первых признаков созревания винограда Чешы наблюдается во второй половине августа; массовое созревание наступает с 15-го октября.

Длина ножки грозди 4 — 5.5 см, длина грозди — 13 — 15 см, ширина — 6 — 7.5 см. Количество ягод на грозди от 60 до 120 шт.

Общая форма грозди цилиндрическая или цилиндрическо-коническая, средней плотности, иногда рыхлая. Ножка грозди с гребнем травянистая и светлозеленая.

Длина ножки ягоды с подушечкой 4 — 6 мм, сама ножка светлозеленая. Подушечка бородавчатая и широко-коническая, иногда узко-коническая.

Ягода светлозеленая, со стороны солнца янтарного цвета, длиной — 12 — 15 мм и шириной 11.8 — 14.9 мм; округлая, посередине широкая и симметричная. Кожица довольно толстая, мякоть сочная с приятным сладким вкусом.

Количество семян в ягоде 1 — 4 шт, чаще 2 шт. Длина семени 6.5 — 7 мм, ширина 2.5 — 3.0 мм; семя коричневого цвета. Халаза треугольная и слабо выражена. Длина клюва достигает 1.2 — 1.5 мм.

Чешы винный сорт местного значения. Довольно урожайный. От грибных болезней сильно страдает. Встречается в виде маглари в предгорных селах Мегрелии.

Сорт заслуживает полного внимания и разведения в средней и верхней части Мегрелии исключительно привитыми саженцами на соответствующих американских подвоях.

ო ჯ ა ლ ე შ ი

სამეგრელოს წითელყურძნიანი ვაზის ჯიშებს შორის ოჯალეში ძველთაგანვე ცნობილია, როგორც წარსულში, ისე ამჟამადაც მისი პროდუქცია განკუთვნილია მაღალხარისხოვანი წილელი სუფრის ტიპის ღვინოების დასამზადებლად.

ადგილობრივად შესწავლის საფუძველზე და აგრეთვე ლიტერატურული წყაროების მიხედვით დასტურდება, რომ ოჯალეში სამეგრელოს უძველესი ჯიშია და თავისი ბოტანიკური და აგრობიოლოგიური ნიშანთვისებებით პონტოს მხარის ვაზის ჯიშთა წყებას ეკუთვნის. ამის დამამტკიცებელია აგრეთვე, როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს მისი სახელწოდებაც „ოჯალეში“, ე. ი. „ვაზის მაღალარობის გამომხატველი მეგრული ტერმინი“ (1).

აღმოსავლეთ გურიის მხარეში (სოფ. დაბლაციხე, საყვავისტყე, გორაბერეგოული) საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული წითელყურძნიანი ჯიში „ოჯალეშის“ სახელწოდებით. ჩვენს მიერ აღნიშნული ჯიშის შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ გურიაში გავრცელებულ „ოჯალეშს“ არავითარი კავშირი არა აქვს ნამდვილ მეგრულ ოჯალეშთან და ის „ოჯალეშის“ სახელწოდებას შეცდომით ატარებს.

სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის შემოჭრამდე ოჯალეში მეტად ფართოდ ყოფილა გავრცელებული შუა და ზემო სამეგრელოს მიკრორაიონებში და წითელ ყურძნიანი ვაზის ჯიშებს შორის წამყვანი ადგილი ჰქონია დაკავებული. მოხუც პირთა გადმოცემით, ადგილობრივი მოსახლეობა ოჯალეშის ყურძნიდან ამზადებდა ხარისხოვან წითელი სუფრული ტიპის ღვინოებს. ამასვე ადასტურებენ აგრეთვე თავიანთ შრომებში აკად. ივ. ჯავახიშვილი (1) და ე. ნაკაშიძე (16). როგორც გადმოგვცემენ, სამეგრელოს და გურიის მთავრები წარსულში ხშირად აწყობდნენ ხოლმე მასობრივ შეჯიბრებას თავიანთი სახელგანთქმული ღვინოებით (სამეგრელოდან — ოჯალეშით და გურიიდან — ჯანით).

ამჟამად ოჯალეშის გავრცელების არეალი მეტად შეზღუდულია. მისი მაღალარობი მხოლოდ ერთეული ძირების სახით მოიპოვება შუა სამეგრელოს მთისპირა მიკრორაიონებში, რომლებიც მოუვლელობის შედეგად დაკნინებულია და მხოლოდ წლის ამინდის ხელსაყრელ პირობებში იძლევა მოსავალს. ნამყენების სახით — დაბლარად, ოჯალეში 14 ჰექტარამდე გ² შენებულია გეგეკორის რაიონში, სოფ. სალხინოს ზონაში.

სადირექტივო ორგანოების დადგენილებათა საფუძველზე ოჯალეშის მასობრივ გავრცელებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა და ეს ჯიში ამჟამად ფართოდ ინერგება გეგეკორის, ცხაკაიასა და ზუგდიდის მთისპირა მიკრორაიონებში.

ბოტანიკური აღწერა. კვირტები გაშლის პერიოდში მოთეთროა, ოდნავ მოწითალო ელფერიით. ახლად გაშლილი პირველი ნორჩი ფოთოლი ზემოდან ღია მწვანეა, მოყვითალო ან მუქი მოწითალო ელფერიით, და სქლად არის დაფარული თეთრი ფერის ბეწვისებრი ბუსუსით. ფირფიტის ქვედა მხარე ქეჩისებრად არის დაფარული თეთრი ფერის ბუსუსით, რომელსაც ნაპირებისაკენ გადაჰკრავს მოწითალო ელფერი. ფოთლის ყუნწი დაფარულია თეთრი ფერის ბეწვისებრი ბუსუსით. მისი მომდევნო მეორე და მესამე ნორჩი ფოთლები ზედა მხრიდან მოწითალო-იისფერია. ფირფიტის კბილები და ძარღვები ღია მომწვანო ფერისაა. შებუსვა მეორე ფოთოლს ზემოდან საკმაოდ ემჩნევა, მესამეს კი მცირედ. ქვედა მხრიდან ქეჩისებრი შებუსვა ახასიათებს.

ახალგაზრდა ყლორტი მცირედ არის დაფარული მონაცრისფრო ბეწვისებრი ბუსუსით. შებუსვა ძლიერდება ყლორტის წვერისაკენ. ყლორტი მრგვალია, ცალ მხარეზე მწვანე და მეორე მხარეზე მოწითალო-იისფერი.

შემოსული რქა მუქი მოყვითალოა. საშუალო სიმსხოსი, დიამეტრით 7 — 9 მმ-მდე. მუხლთშორისის სიგრძე აღწევს 7 — 12 სმ-ს. იგი მცირედ არის დაფარული მონაცრისფრო ბუსუსით.


ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალო სიდიდისაა, სიგრძით 15.2 სმ და სიგანით 16.6 სმ. ოდნავ განივ-ოვალური ან თითქმის მომრგვალო. მცირედ დანაკვთულია. ფირფიტის ზედა მხარე წერილ-ბუშტისებრია ან ბადისებურად დანაკვთული. მოყვანილობით ძაბრმაგვარ-ღარისებრია; იშვია-

თად ბრტყელი ან ნაპირებით ქვემოთ ჩამოშვებული. ფოთლის ქვედა მხარე ქეჩისებრად არის დაფარული მონაცრისფრო ბუსუსით.

ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ისრისებრია, უფრო ხშირად თანასწორ-გვერდებიანი. გვხვდება აგრეთვე ამონაკვეთი ასევე ისრისებრი, უფრო ჩაღრმავებული ფუძით.

ხედა ამონაკვეთი მცირედ ჩაჭრილია ან საკმაოდ შეჭრილი კუთხით ხასიათდება. ქვედა კვეთი უმნიშვნელოდ არის ჩაჭრილი.

ნაკვეთთა წვერის კბილები სამკუთხედისებრია, ამოზნექილი გვერდებითა და მახვილი წვერით. გვხვდება აგრეთვე სამკუთხედისებრი კბილები, მომრგვალებული წვერით და ხერხკბილა-სამკუთხედისებრი, ცალგვერდჩაზნექილი. მეორადი კბილებიც ამავე მოყვანილობისაა.



სურ. 40ა. მეგრული ოჯალეშის ყვავილი.

ფოთლი სამნაკვეთიანია. წვერის ნაკვეთი ფოთლის ფირფიტასთან ქმნის ბლაგვ კუთხეს, იშვიათად — სწორს.

ფოთლის ყუნწის შეფარდება შუა მთავარ ძარღვთან უდრის 0.8 — 1.1-ს. ყუნწი ძლიერ მცირედ არის დაფარული ბუსუსით. მოწითალო-ღვინისფერია, რომელიც ფუძესთან იისფერში გადადის.

ყვავილი ორსქესიანია, ნორმალურად განვითარებული მტვრიანებით და ბუტკოთი. ყვავილში 5 მტვრიანაა, გვხვდება აგრეთვე 6 და იშვიათად 4 მტვრიანაც. ყვავილების რაოდენობა ყვავილედში აღწევს 200 — 350 ცალს (სურ. 40).

მტევნის ყუნწის სიგრძე აღწევს 5 — 7 სმ-ს. მტევანი საშუალოზე მცირეა, სიგრძით 8 — 14 სმ და სიგანით 5 — 10 სმ. მარცვლების რაოდენობა მტევანზე აღწევს 75 ცალს. დიდი მტევნის სიგრძე აღწევს 16 სმ-ს, მცირესი — 7.5 სმ — ს.

მტევნის საერთო ფორმა ცილინდრულ-კონუსისებრია და ხშირად ფრთიანი. ფრთის სიგრძე თვით მტევნის სიგრძის ნახევარს აღწევს. საშუალო სიმკვრივისაა; გვხვდება თხელი მტევნებიც. მტევნის ყუნწი 1/3-ით გახვეებულია; დანარჩენი ნაწილი და კლერტი ბალახისებრია და ღია მწვანე, რომელიც მოწითალო-ღვინისფერში გადადის.

მარცვლის ყუნწის სიგრძე საჯდომი ბალიშით აღწევს 4 — 6 მმ-ს, იგი მომწვანო ან მოწითალო-ღვინისფერია. საჯდომი ბალიში დამეკვებებულია და განიერ-კონუსისებრი. მარცვალი საჯდომ ბალიშზე მტკიცედ არის მიმაგრებული.

მარცვალი მუქი ლურჯია (თითქმის შავი), საშუალო სიდიდის ან საშუალოზე მცირე. მისი საშუალო სიგრძე აღწევს 13.4 მმ-ს, სიგანე — 12.5 მმ-ს. ოდნავ ოვალურია. მსხვილი მარცვლის სიგრძე აღწევს 15 მმ-ს, სიგანე — 14.4 მმ-ს; წვრილი მარცვლის სიგრძე აღწევს 10 მმ-ს, სიგანე — 9.5 მმ-ს. მარცვალი შუა წელში განიერია, ბოლო მომრგვალებული აქვს და სიმეტრიულია. საკმაოდ სქელკანიანია. კანი რბილობს, ადვილად სცილდება. საკმაოდ წვნიანია. მტევანში მარცვლები უთანაბროდ მწიფდება, რაც ოჯალეშის დამახასიათებელი ნიშანთგისებაა. მარცვალი საკმაოდაა დაფარული ცვილით.

მარცვალში 1 — 4 ც. წიპწაა, უფრო ხშირად გვხვდება 2 წიპწა. წიპწის სიგრძე აღწევს 6 — 7 მმ-ს, სიგანე — 3 — 3.5 მმ-ს. ღია ყავისფერია, მუცლის მხრიდან კი ღარების გასწვრივ მოყვითალო. ქალაძა

ოვალურია და მკირედ გამოსახული; მოთავსებულია თითქმის ზურგის შუა ნაწილში, ზურგის მხარე გლუვია. ნისკარტის სიგრძე აღწევს 2 მმ-დე. თითქმის ყველა თესლის ნისკარტის წვერი მოყავისფრო-მოშავო ლაქებით არის დაფარული.

აგრობიოლოგიური დახასიათება. გეგეკორის რაიონის სოფ. სალხინოს ზონაში ოჯალეშის სავეგეტაციო პერიოდის საერთო ხანგრძლივობა 244 დღემდე აღწევს. ვაზის გაღვივება მარტის ბოლო რიცხვებიდან, კვირტების გაშლა — 5 აპრილიდან, ყვავილობა იწყება მარტის ბოლო რიცხვებიდან და ივნისის 10 — 15-მდე მთავრდება. შეთვალვას იწყებს 10 სექტემბრიდან ბრივ სიმწიფეში შედის 10 ნოემბრიდან. ფოთოლცვენა იწყება ნოემბრის მეორე ნახევრიდან და მთავრდება დეკემბრის პირველი რიცხვებისათვის.

გეგეკორის რაიონში სითბოს დიდი ჯამისა და ნალექების სიუხვის შედეგად სავეგეტაციო პერიოდი ხანგრძლივია. ოჯალეშის რქები სრულ მომწიფებას აღწევს ყურძნის მასობრივი სიმწიფის პერიოდისათვის და ჯიშის დამახასიათებელ ელფერს ღებულობს.

ვაზის ზრდა-განვითარება საკმაოდ ძლიერია. ერთწლიანი რქები სავეგეტაციო პერიოდის დასასრულისათვის სიგრძით 2 მეტრამდე აღწევს.

მოსავლის პირველ ნიშნებს ოჯალეში იძლევა მესამე წლიდან და სრულ მოსავლიანობაში შედის მეხუთე წლიდან.

მაღლარად აღზრდილი ოჯალეშის მოსავალი ცვალებადია, რაც უშუალოდ არის დაკავშირებული სავეგეტაციო პერიოდში წლის ამინდის პირობებთან. საშუალოდ ერთი ძირი მაღლარი ვაზის მოსავალი 30 კგ-მდე აღწევს. დაბლარად აღზრდილი ოჯალეშის მოსავლიანობა მკირეა და 1 — 1.2 კგ-მდე აღწევს. რქაზე ხშირად ორი მტვეანია, თითქმის თანაბარი განვითარების.

სალხინოს კოლმეურნეობის ცნობით, ერთი ჰექტარიდან ოჯალეშის მოსავლიანობა 35 ცენტნერამდე აღწევს. ვაზის ძველი ნაწილებიდან წარმოშობილი ყლორტები ჩვეულებრივ უმოსავლოა. ყვავილცვენას ჯიშში მხოლოდ მკირე ოდენობით განიცდის. წვრილმარცვლიანობა მას ახასიათებს, რაც 5% -მდე აღწევს. ყურძნის სრული სიმწიფის პერიოდისათვის წვრილი მარცვლები მწიფდება ნორმალურად და ჯიშის დამახასიათებელ ელფერს ღებულობს.

სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ ოჯალეშის გამძლეობა მეტად სუსტია.

მაღალხარისხოვანი პროდუქციის მიღების მიზნით ოჯალეშისათვის საუკეთესო ადგილმდებარეობად უნდა ჩაითვალოს მზით განათებული ფერდობები და ნეშომპალა, კალციუმის კარბონატებით საკმაოდ შემცველი ნიადაგები. ასეთი ნიადაგების საკმაოდ დიდი მასივებია მდ. ტეზურის ხეობაში (სოფ. სალხინო, თამაკონი, ქაჩხურა და მისი მომდევნო სოფლები). მოხსენებულ ადგილებში და განსაკუთრებით სალხინოს მიკრორაიონში დამზადებული ოჯალეშის ღვინო განთქმულია თავისი მაღალხარისხოვანი თვისებებით.

მრავალი წლის მანძილზე წარმოებულ დაკვირვებათა მიხედვით დასტურდება, რომ მაღლარად აღზრდილი ოჯალეში საკმაოდ დიდ მოსავალს იძლევა, დაბლარად გადაყვანილი და ქართული წესით ფორმირებული კი მკირე მოსავლით ხასიათდება. მეტი მოსავლისა და ამასთანავე ხარისხოვანი პროდუქციის მიღებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია ოჯალეშის ფორმირება წარმოებულ იქნეს ოლიხნარის წესით, მასზე რამდენიმე საკავებლის დატოვებით.

ოჯალეში მეტად საგვიანო მოწვევის ჯიშთა ჯგუფს ეკუთვნის. მის რთველს სამეგრელოში ჩვეულებრივ დეკემბრის პირველ დეკადაში აწარმოებენ. ჩვენს მიერ მრავალი წლის მანძილზე წარმოებულ დაკვირვებათა საფუძველზე ირკვევა, რომ ოჯალეშის რთველი თავისუფლად შეიძლება წარმოებულ იქნეს ნოემბრის მეორე ნახევრიდან, ვინაიდან ყურძენი ამ დროისათვის უკვე სავსებით მწიფეა. მაგრამ უფრო დაგვიანებით რთველის გადატანა მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ვინაიდან ამის შედეგად ყურძენში არსებული წყალი მკირდება და შაქრის კონცენტრაცია იზრდება, რაც ღვინის ხარისხზე, ცხადია, დადებითად მოქმედებს.

სამეურნეო-ტექნოლოგიური დახასიათება. ოჯალეშის მტვენის საშუალო წონა 110 — 115 გრამს აღწევს. მტვეანზე მარცვლების რაოდენობა მერყეობს 70 — 75 ცალამდე. საშუალო მტვეანში კლერტი შეადგენს 4.5 — 5.3% -ს, კანი — 22 — 23.8% -ს, წიპწა — 3 — 3.4% -ს და წვენი — 68 — 69.5% -ს.

დიდი მტვენის წონა იღწევს 227 გრამს და მკირესი — 85 გრამს.

100 მარცვლის საშუალო წონა 148 გრამია. წიპწის რაოდენობა ყოველ 100 მარცვალში 195 ცალამდე, საშუალო წონით 7.2 გრ. აქედან ერთწიპწიანი მარცვლები შეადგენს 24% -ს, ორწიპ-

წიანი — 46% -ს, საწიპწიანი — 26% -ს და ოთხწიპწიანი — 4% -ს. გვხვდება, მხოლოდ იშვიათად, უწიპწო მარცვლებიც, რაც 1 — 1.5% -მდე აღწევს.

მწიფე ყურძნის ტკბილის კუთრი წონა უდრის 1.084 — 1.091, შაქრიანობა — 20.2 — 22.3% -ს და საერთო მჟავიანობა — 8.8 — 9.2% -ს.

ქაქაზე დაყენებული ოჯალეშის ღვინო ხასიათდება კარგი შეფერვით, წითელი ღვინის დამახასიათებელი სისქით, ექსტრაქტულობით, საკმაო ჰარმონიულობითა და ენერგიულობით. აღნიშნული თვისებებით ოჯალეშის ღვინო ალაზნის მარჯვენა მხარის კახური წითელი ღვინის ტიპს უახლოვდება.

ღვინის ქიმიური ანალიზები შემდეგ სურათს იძლევა: კუთრი წონა უდრის 1.9981, ალკოჰოლი — 13.4, საერთო მჟავიანობა — 8.7, მქროლავი მჟავიანობა — 0.43, აღდეჰიდები — 0.25, PH — 3.07, ექსტრაქტი — 35.57, ტანინი — 3.69, შაქარი — 1.120 და გლიცერინი — 8.33.

როგორც მოხსენებული მასალებიდან ჩანს, ოჯალეშის ღვინო ხასიათდება ალკოჰოლის დიდი შემცველობითა და მცირე შაქრიანობით. ამასთანავე ღვინოს ნორმალურზე მომეტებული საერთო მჟავიანობაც ახასიათებს. მქროლავი სიმჟავეების მცირე ოდენობა ღვინის სისადის მაჩვენებელია. ღვინის დადებითი თვისებების მაჩვენებელია აგრეთვე მასში არსებული გლიცერინისა და ექსტრაქტის ნორმალური რაოდენობაც.

ოჯალეშის ღვინოს შენახვის კარგი უნარი და ამასთანავე ტრანსპორტაბელობა ახასიათებს. სოფ. სალხინოს მეურნეობის ყოფილი მემამულე ა. მიურატი ოჯალეშისაგან სპეციალურად ამზადებდა ღვინოს მარკით: „Odjalèche“ „Vignobles S. A. Madame la princesse A. Murat“, რომელსაც იგი საქართველოს ფარგლებს გარეშეც ასაღებდა.

ვაზზე დატოვებული ოჯალეშის ყურძენი დეკემბრის ბოლომდე ძლებს, მხოლოდ ჭკნება. დაკრეფილი ყურძენი გაზაფხულამდე ინახება.

როგორც მაღალხარისხოვანი პროდუქციის მომცემი საღვინე ჯიში, ოჯალეში ფართო ყურადღების ღირსია და მისი მასობრივად გავრცელება ნამყენების სახით დაუბრკოლებლივ უნდა იქნეს წარმოებული შუა და ზემო სამეგრელოს მიკრორაიონებში.

როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, გურიაში და კერძოდ ჩოხატაურის რაიონში გავრცელებულია ვაზის ჯიში „ოჯალეშის“ სახელწოდებით. აღნიშნულ ჯიშზე წარმოებულმა დაკვირვებამ ცხადჰყო, რომ იგი არსებითად განსხვავდება სამეგრელოს ოჯალეშისაგან, როგორც ბოტანიკური და აგრობიოლოგიური, აგრეთვე სამეურნეო-ტექნოლოგიური ნიშანთვისებებით.

გურიაში მცხოვრებ მოხუც პირთა გადმოცემით, დასახელებული ჯიში 1900-იან წლებში პირველად გაუვრცელებია ჩოხატაურის რაიონში — სოფ. ახალსოფელში, ყოფილ მემამულე ივანე ერისთავს. ადგილობრივ ვაზის ჯიშებთან შედარებით, როგორც აღრეულა მწიფობის უნარიანს მიუქცევია მოსახლეობის ყურადღება, რის შედეგადაც იგი საკმაოდ ფართოდ გავრცელებულა აღმოსავლეთ გურიის რაიონებში.

ამჟამად გურიაში აღნიშნული ჯიში გავრცელებულია მხოლოდ ჩოხატაურის რაიონში. ნამყენების სახით რამდენიმე ჰექტარზე იგი გვხვდება სოფ. დაბლაციხეს, საყვავისტყეს, ფარცხმასა და გორაბერეკოულში (სას.-სამ. ტექნიკუმის ტერიტორიაზე).

გურიაში გავრცელებული „ოჯალეში“ შემდეგი ნიშნებით ხასიათდება: ზრდის კონუსი მოყვითალო-ნარინჯისებრია, მოიისფრო ელფერით. ზრდის კონუსიდან მოყოლებით ახლად გაშლილი პირველი ორი ფოთოლაკი ქვედა მხრიდან საკმაოდ სქლად არის დაფარული მოთეთრო ფერის ბეწვისებრი ბუსუსით. მომდევნო მესამე და მეოთხე ნორჩ ფოთლებზე შებუსვა საგრძობლად მცირდება, ხოლო მეხუთე და მეექვსე ფოთლებზე თითქმის ქრება.

ახალგაზრდა ყლორტი მომრგვალოა და ღია მწვანე, მოიისფრო ელფერით. იგი მცირედ არის დაფარული მოთეთრო-ნაცრისფერი ბეწვისებრი ბუსუსით. შებუსვა უფრო ძლიერდება ყლორტის წვერისაკენ.

შემოსული რქა საშუალო სიმსხოსია (8 — 9 მმ) და მოყვავისფრო. მუხლები უფრო მუქად არის შეფერილი. მუხლთშორისის სიგრძე 7 — 12 სმ-ს აღწევს.

ზრდადამთავრებული ფოთოლი ღია მწვანეა, ოდნავ მოყვითალო ელფერით. საშუალოზე მცირე სიდიდისაა და საერთო მოყვანილობით ოდნავ ოვალური. ღრმად დანაკვთულია.

ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი მასობრივად დახურულია და ფორმით განიერ ნაპრალისებრი, ურთიერთზე საკმაოდ ღრმად გადადებული ნაკვეთებით.




ზემო ამონაკვეთი ღრმად ჩაქრილია და მის ფუძეზე ხშირად განვითარებულია ერთი უბრალო კბილი. ქვემო ამონაკვეთი საკმაოდ ღრმად არის ჩაქრილი.

ფოთოლი ხუთნაკვეთიანია. ნაკვეთა წვერის კბილები უფრო ხშირად სამკუთხედისებრია ან ხერხ-კბილა-სამკუთხედისებრი. მეორადი კბილები მსგავსია მთავარი კბილებისა.

ფოთლის ქვედა მხარე უმნიშვნელოდ არის დაფარული მონაცრისფრო ბეწვისებრი ბუსუსით. შებუსვა უფრო შესამჩნევია ძარღვების გასწვრივ.

ყვავილი ორსქესიანია ნორმალურად განვითარებული ბუტკოთი და მტკვრიანი მტკვრიანა ბუტკოს სიგრძისაა და ზოგიერთ შემთხვევაში მისგან საგრძნობლად არის გადახრილი. ყვავილში მასობრივად 5 მტკვრიანაა; ხშირად გვხვდება 6 და იშვიათად კი 4 მტკვრიანა (სურ. 40ბ).



სურ. 40ბ. გურიაში გავრცელებულ „ოჯალეშის“ ყვავილი.

მტკვნის საერთო ფორმა ცილინდრულ-კონუსისებრია. საშუალო ან საშუალოზე მცირე, ხშირ შემთხვევაში ახასიათებს ფრთა. აგებულებით საშუალო სიმკვრივისაა ან თხელი.

მარცვალი თითქმის შავია, საშუალო სიღიღის ან საშუალოზე მცირე; ფორმით მრგვალი, საკმაოდ სქელკანიანი, უფრო წვნიანი და ნაკლებ ხორციანია, ჩვეულებრივი ტკბილი გემოთი.

მარცვალში 1 — 4 ც. წიპწაა. უფრო ხშირად გვხვდება 2 წიპწა.

ჩოხატაურის რაიონში „ოჯალეში“ს სავეგეტაციო პერიოდის საერთო ხანგრძლიობა 245 დღემდე აღწევს. ვაზი გამოღვიძებას იწყებს მარტის ბოლოდან. ყვავილობაში შედის მაისის დამლევს და ამთავრებს 10 — 12 ივნისამდე. ყურძენი შეთვალვას იწყებს აგვისტოს მეორე ნახევრიდან და მასობრივ მწიფობაში შედის სექტემბრის ბოლო რიცხვებში.

ვაზის საერთო ზრდა-განვითარება საშუალოა.

მოსავლის პირველ ნიშნებს იძლევა დარგვიდან მეორე წელს, ხოლო სრულ მსხმოიარობაში შედის მეოთხე წლიდან. ზოგიერთ წლებში არახელსაყრელ ამინდების მოქმედებით ჯიში განიცდის მცირეოდენ ყვავილცვენას და დაწვრილმარცვლიანებას, რაც 6 — 8% -მდე აღწევს.

სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ მცირე გამძლეობას იჩენს; განსაკუთრებით იგი ადვილად ავადდება ქრავით.

კარგი მოვლის პირობებში ხასიათდება საშუალო მოსავლიანობით, ყლორტზე მასობრივად ორ მტევანს ივითარებს. ერთი ძირის მოსავალი 1.5 — 1.8 კგ-ს აღწევს. საშუალო მოსავალთან ერთად ხასიათდება წვენის საკმაოდ უხვი გამოსავლიანობით. მისგან დაყენებული ღვინო ღია წითელი ფერისაა, თხელი, სიმკვრივით 10 — 10.5°-მდე; თავისი ძირითადი თვისებებით იგი ორდინარული, მასობრივი მოხმარების ღვინის ტიპს მიეკუთვნება.

О Д Ж А Л Е Ш И

Листья средней величины, длиной 15.2 см и шириной 16.6 см; по терек — овальные или почти округлые.

Черешковая выемка стрелчатая и равнобедренная; встречаются выемки также стрелчатой формы, но глубокие.

Верхние вырезки слабо выражены, иногда расположены в виде входящего угла. Нижние вырезки очень слабо намечены.



ოჯალეში — Оджалеш



ქართული
ენციკლოპედია



ოჯალეში (გურული) — Оджалеши (гуринский)

Лист трехлопастный. Угол оконечной лопасти тупой, реже прямой.

Оконечные зубцы лопастей треугольные, с выпуклыми сторонами и острой вершиной; встречаются также треугольные с округленной вершиной или треугольно-пиловидные, односторонне выпуклые. Вторичные зубцы по форме сходны с окончными зубцами лопастей.

Поверхность листа мелкопузырчатая или сетчато-морщинистая; по форме воронковидно-желобчатая, реже плоская. Иногда края листьев отогнуты вниз.

Отношение черешка к длине среднего нерва 0.8 — 1.1; черешок со следами волосков ватовинного цвета, переходящего у основания в фиолетовый.

Плодоносные побеги темножелтого цвета, средней толщины — 7 — 9 мм в диаметре; длина междоузлий достигает 7 — 12 см; покрыты следами волосков сероватого цвета.

Цветы обоеполые.

Появление первых признаков созревания винограда в верхней Мегрелии наблюдается с 10 сентября. Массовое созревание наступает с 10 — 15 ноября.

Длина ножки грозди 5 — 7 см, длина грозди — 8 — 14 см, ширина — 5 — 10 см; количество ягод на грозди до 75 шт.

Общая форма грозди цилиндрическо-коническая, иногда крылатая, достигающая до половины длины грозди; средней плотности; встречаются и рыхлые грозди.

Длина ножки ягоды с подушечкой 4 — 6 мм, зеленого или виннокрасного цвета. Подушечка виннокрасного цвета, бородавчатая и широко-коническая (дисковидная).

Ягода почти черная, длиной 13.4 мм и шириной 12.5 мм, слегка овальная, средней величины, посередине широкая и симметричная. Кожица довольно толстая, легко отделяющаяся от мякоти; довольно сочная и мясистая. Ягоды в грозди часто созревают неравномерно, что является характерным признаком сорта Оджалеси.

Количество семян в ягоде 1 — 4 шт., чаще — 2. Длина семени 6 — 7 мм, ширина — 3 — 3.5 мм. семя светлокорицевого цвета. Халаза овальная. Спинная сторона гладкая. Длина клюва достигает 2 мм. Верхушки клюва почти у всех семян покрыты черными пятнами.

До проявления грибных заболеваний и филлоксеры, Оджалеси в виде „маглари“ культивировался почти повсеместно в Мегрелии и, как передают, местные жители из него приготавливали столовые красные вина весьма высокого качества. В настоящее время местное население очень ценит Оджалеси и среди аборигенных мегрельских сортов винограда ему отдается предпочтение, ввиду того, что данный сорт дает превосходный материал для приготовления высококачественных, энергичных, гармоничных, с высокими вкусовыми качествами, красных столовых вин.

Перечисленные положительные качества вина Оджалеси не раз были подтверждены дегустациями как на месте (сел. Салхино), так и при кафедре виноградарства СХИ Грузии имени Л. П. Берия — в 1937 — 38 и 1939 годах.

Вторжение грибных заболеваний и филлоксеры обусловили массовую гибель этого ценного сорта и в настоящее время его единичные экземпляры встречаются в виде „маглари“ лишь в предгорных районах Мегрелии, в некоторых же местностях под названием — Шонури. „Даблари“ Оджалеси до 14 га имеется в сел. Салхино. За последние годы данный сорт получил широкое распространение во многих селах Гегечкорского, Цхакаевского и Зугдидского районов.

Оджалеси, как ценный винный сорт, заслуживает особого внимания и массового разведения привитыми саженцами исключительно в предгорных микрорайонах средней и верхней Мегрелии.

პანეში მეგრული წითელყურძნიანი ვაზის აბორიგენული ჯიშია.

ადგილობრივ მოხუცთა გადმოცემით წარსულში პანეშის მალღარები ფართოდ ყოფილა გავრცელებული სამეგრელოს მთისპირა მიკრორაიონებში, განსაკუთრებით მდ. ტეხურისა და ანგურის ხეობებში. მოსახლეობა მისგან ამზადებდა ძირითადად მასობრივი მოხმარების ლეიწვევების პროდუქციას ყურძნადაც იყენებდნენ. ყურძენს ვაზზე სტოვებდნენ დაუკრეფავს და საჭიროების შემთხვევაში აკრეფდნენ ან აკიდობის სახით ინახავდნენ მას მთელი ზამთრის განმავლობაში.

პანეშის მოკლე დახასიათება მოცემულია აკად. ივ. ჯავახიშვილის (1) და აგრონომ ვ. ნაკაშიძის (16) შრომებში. აღნიშნული ავტორები პანეშს აკუთვნებენ დაბალხარისხოვან ვაზის ჯიშთა ჯგუფს. P. Viaila-ს მიხედვით (26) იგი სუფრის ყურძნის ჯიშს უნდა წარმოადგენდეს.

სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის მოქმედების შედეგად პანეშის მალღარები თითქმის განადგურდა. ამჟამად გადარჩენილია მხოლოდ მისი ერთეული ძირები, მალღარების სახით, წალენჯიხის რაიონში. ვაზები საკუთარ ძირზეა დაყრდნობილი, და ზოგიერთი მათგანი ხნოვანებით 100 — 150 წლამდე აღწევს. ამერიკულ საძირებზე დამყნობილი პანეშის დაბლარები ამჟამად ზუგდიდის მიდამოებში და წალენჯიხის რაიონის სოფ. ნაკიფუს ტერიტორიაზე გვხვდება. დაბლარი ვაზების ზრდა-განვითარება სავსებით ნორმალურია. ამასთანავე მათ ახასიათებს უხვი მოსავლიანობა და პროდუქციის საკმაოდ მაღალი ხარისხი.

ბოტანიკური აღწერა. პირველი, ახლად გაშლილი ფოთოლი ღია მწვანეა; ქეჩისებრად დაფენილი თეთრი ბუსუსით, პერიფერიაში მცირეოდენი სიწითლით. ფოთლის ყუნწი მთლიანადაა დაფარული ბეწვისებრი ბუსუსით ქეჩისებრად და სიწითლე გადაჰკრავს. მისი მომდევნო მეორე ნორჩი ფოთოლი ღია მწვანეა, მოყვითალო ელფერით, და ზედა მხრიდან საკმაოდ სქლად არის დაფარული თეთრი-მონაცრისფრო ბუსუსით. ქვედა მხრიდან კი მისი შებუსვა ქეჩისებრია, მხოლოდ პერიფერიისაკენ დასდევს მცირეოდენი სიწითლე. მესამე ნორჩი ფოთოლი შეფერვით და შებუსვით მეორე ფოთლის მსგავსია, ხოლო ზედა მხრიდან ბუსუსი უფრო მცირედ ახასიათებს და ისიც ძარღვების გასწვრივ.

ახალგაზრდა ყლორტი მრგვალია და საკმაოზე მეტად არის დაფარული მონაცრისფრო-თეთრი ბეწვისებრი ბუსუსით. შებუსვა უფრო ძლიერდება ყლორტის წვერისაკენ. ყლორტის წვერს ხშირად მოწითალო ელფერი გადაჰკრავს.

შემოსული რქა საშუალო სიმსხოსია, ყავისფერი და უმნიშვნელოდ არის დაფარული მონაცრისფრო ბეწვისებრი ბუსუსით. მუხლთშორისის სიგრძე 10 — 16 სმ-ს აღწევს. რქას მუქი წვრილი ზოლები ახასიათებს.

ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალოზე დიდია, სქელი და საერთო მოყვანილობით მცირედ ოვალური, საკმაოდაა დანაკვეთული. მისი საშუალო სიგრძე აღწევს 16.7 სმ-ს, სიგანე — 15.9 სმ-ს.

ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი დახურულია და კვერცხისებრი. ნაკვეთები საკმაოდაა გადაღებული ურთიერთზე. ამონაკვეთის ფუძე მომრგვალო ან ბრტყელია; გვხვდება აგრეთვე იშვიათად, ჩანგისებრი ამონაკვეთი, საში ან ოთხი ძარღვისაგან შემდგარი და მომრგვალო ფუძით. იშვიათ შემთხვევაში ამონაკვეთის ფუძეზე განვითარებულია ერთი ან ორი უბრალო კბილი.

ზედა ამონაკვეთი უფრო ხშირად მთლიანადაა დახურული და ახასიათებს ვიწრო-ელიფსური ნასვრეტი. იშვიათად ღიაა, მცირედ ჩაჭრილი კუთხით. ქვედა ამონაკვეთი მცირედ არის ჩაჭრილი.

ფოთოლი სამ და იშვიათად ხუთნაკვეთიანია. წვერის ნაკვეთი ფოთლის ფირფიტასთან ქმნის სწორ კუთხეს, ზოგჯერ — ბლაგვს.


ნაკვეთთა წვერის კბილები სამკუთხედისებრია, ამოზნექილი გვერდებითა და მახვილი წვერით; გვხვდება ხერხებილა-სამკუთხედისებრი ან მომრგვალო-ხერხებილისებრიც. მეორეული კბილები სამკუთხედისებრია, მომრგვალებული წვერით, ან ასევე სამკუთხედისებრი, ამოზნექილი გვერდებითა და წამახვილებული წვერით; იშვიათად ხერხებილა-სამკუთხედისებრია.

ფოთლის ქვედა მხარე საკმაოდ სქლად არის დაფარული ბეწვისებრი ბუსუსით. ზედა მხარე უფრო ხშირად მსხვილბუშტისებრია ან ბადისებურადაა დანაოქებული; გვხვდება აგრეთვე ტალღისებრი ზედაპირის მქონე ფოთლებიც. ფოთლის ზედაპირი ღარისებრი მოყვანილობისაა ან ნაპირებ-ჩამოწვეული; იშვიათად დაბრისებრ-ღარისებრია. მთავარი ძარღვები საკმაოდ შებუსვილია და ღია მწვანე.



ფოთლის ყუნწის შეფარდება შუა მთავარ ძარღვთან 0.8 — 9-ს უდრის. იგი მცირედია შებუსვილი და ღია მწვანეა, რაც ფუძესთან ღვინისფერში გადადის.

ყვავილი ორსქესიანია, ნორმალურად განვითარებული ბუტკოთი და მტვრიანებით. მტვრიანები თითქმის ორჯერ გრძელია ბუტკოზე და ნორმალურადაა გადახრილი ბუტკოდან. ზოგ მტვრიანას ახა-



სურ. 42. პანეშის ყვავილი.

სიათებს ძლიერი გადახრა. ყვავილში 5 მტვრიანაა, იშვიათად 4 და 6. ყვავილების რაოდენობა ყვავილედში აღწევს 500 — 900 ცალამდე (სურ. 42).

მტევნის ყუნწის სიგრძე 4 — 6 სმ-ია, მტევნის სიგრძე — 11 — 14.5 სმ, სიგანე — 7 — 11 სმ.

მტევნის საერთო ფორმა ცილინდრულ-კონუსისებრია. საშუალო სიმკვრივისაა. ახასიათებს ფრთა, რაც მტევნის სიგრძის ნახევარს აღწევს. მტევნის ყუნწი თითქმის შუამდე გახევეებულია. ყუნწის დანარჩენი ნაწილი და თვით კლერტი ბალახისებრი და ღია მწვანეა.

მარცვლის ყუნწის სიგრძე საჯდომი ბალიშით აღწევს 5 — 7 მმ-ს. იგი მწვანეა. საჯდომი ბალიშის ბოქოები შეღებილია მუქ ღვინისფერად. მარცვლის მოგლეჯის დროს ბალიშზე რჩება კანის ნაწილები.

მარცვალი თითქმის შავია, საშუალო ან საშუალოზე დიდი. მისი სიგრძე აღწევს 15.0 მმ-ს, სიგანე — 14.2 მმ-ს. მსხვილი მარცვლის სიგრძე 18 მმ-ია, სიგანე — 17.0 მმ, მცირე მარცვლის სიგრძე 11 მმ, სიგანე — 10.2 მმ. მარცვალი მცირედ ოვალურია, შუა წელში უფრო განიერი, ბოლო მოპრგვალეული აქვს და სიმეტრიულია. საკმაოდ სქელკანიანია (კანი ადვილად იღეჭება) და წვნიანი. შემფერავი ნივთიერება რბილეთელში არ არის, კანში კი იგი საკმაო ოდენობით მოიპოვება. მარცვლის კანზე ცვილი საკმაო ოდენობითაა დაფენილი.

მარცვალში 1 — 4 ცალი წიპწაა, სჭარბობს 2 წიპწა. წიპწის სიგრძე აღწევს 6 — 7.5 მმ-ს, სიგანე — 3 — 4.5 მმ-ს. მუქი ყვისფერია, მოყვითალო-მწვანე ელფერით. ქალაძა თითქმის ოვალურია და მოთავსებულია ზურგის მხარის შუა ნაწილში ან ცოტაოდნად ქვემოთ. იგი მცირედ არის გამოსახული. ზურგის მხარე გლუვია. ნისკარტი მოყვითალო-მწვანეა, სიგრძით 1 — 1.5 მმ.

აგრობიოლოგიური დახასიათება. წალენჯიხის რაიონის სოფ. ნაკიფუს მიკროზონაში პანეშის სავეგეტაციო პერიოდის საერთო ხანგრძლიობა 244 დღემდე აღწევს. ვაზის გამოღვიძება იწყება მარტის ბოლოდან, კვირტების გამოფურჩქვნა — აპრილის პირველი რიცხვებიდან. ყვავილობა იწყება 1 ივნისიდან და ნორმალურ პირობებში 12 — 15 ივნისამდე მთავრდება. ყურძნის შეთვალევა იწყება აგვისტოს ბოლო რიცხვებში ან 1 სექტემბრიდან და მასობრივ სიმწიფეში შედის 20 ოქტომბრიდან. ფოთოლცვენა ჩვეულებრივ იწყება 10 — 12 ნოემბრიდან და ნოემბრის ბოლო რიცხვებში მთავრდება.

ვაზის საერთო ზრდა-განვითარება საშუალოა. სავეგეტაციო პერიოდის დასასრულისათვის ცალკეული რქების განვითარება სიგრძით 1.5 — 2 მეტრამდე აღწევს.

მოსავლის პირველ ნიშნებს პანეში იძლევა დარგვიდან მესამე წელს; სრულ მოსავლიანობაში შედის მეხუთე წლიდან. ახასიათებს საკმაოდ უხვი მოსავლიანობა. რქაზე უფრო ხშირად ორი მტევანია, იშვიათად სამიც. მოსავლიანობის კოეფიციენტი უდრის 1.8-ს. დაბლარად აღზრდილი ერთი ძირი ვაზის მოსავალი 2.5 — 3 კგ-ს აღწევს.

ცუდი ამინდის პირობებში პანეში განიცდის ყვავილცვენას, რაც 15%-მდე აღის მტკირე რაოდენობით (2 — 3%) მტევანს ახასიათებს აგრეთვე დაწვრილმარცვლიანება.

სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ პანეშის გამძლეობა სუსტია; განსაკუთრებით მტკირე მტევანების იჩენს იგი კრაქის მიმართ.

წალენჯიხის რაიონის პირობებში პანეში სრულებით არ ზიანდება ზამთრისა და გაზაფხულის ყინვების მოქმედებით. ვაზი დროულად იღვიძებს და მისი ვეგეტაცია ნორმალურად მიმდინარეობს.

წალენჯიხის რაიონში წარმოებულ დაკვირვებათა მიხედვით ირკვევა, რომ აღნიშნული ჯიში შედარებით ხარისხოვან მასალას იძლევა სამხრეთით დახრილ, მზით განათებულ ფერდობებზე და კალციუმის კარბონატების შემცველ ნიადაგებზე.

სამეურნეო-ტექნოლოგიური დახასიათება. პანეში დანიშნულებით საღვინე ჯიშია. წალენჯიხის რაიონის სოფ. ნაკიფუში ამ ჯიშიდან დამზადებული ღვინო ხასიათდება ალკოჰოლის ნორმალური შემცველობით, საკმაო ჰარმონიულობითა და ხალისიანი მკაფიანობით, რაც ორდინარული ტიპის ღვინის მოთხოვნილებას სავსებით აკმაყოფილებს. იგი საყურადღებოა აგრეთვე როგორც ადგილობრივი მნიშვნელობის სუფრის ყურძნის ჯიში. ყურძენი კარგად ინახება თითქმის მთელი ზამთრის განმავლობაში.

ყურძნის მექანიკური ანალიზების მიხედვით მტევნის საშუალო წონა აღწევს 192.8 გ-ს. მარცვლების რაოდენობა მტევანზე 100 — 105 ცალია. მტევანში კლერტი შეადგენს 4.0%-ს, კანი — 18.8%-ს, წიპწა — 4.0%-ს და წვენი — 73.8%-ს. ამრიგად, პანეშის წვენის გამოსავლიანობა საკმაოდ დიდია, რაც საღვინედ განკუთვნილი ვაზის ჯიშისათვის სავსებით ნორმალურად უნდა ჩაითვალოს.

დიდი მტევნის წონა 250 გრამია და მცირესი — 105 გრამი. მარცვლების რაოდენობა მტევანზე პერყეობს 90 — 135 ცალამდე, საშუალოდ 105 ცალია.

100 მარცვლის წონა 180 გრამს აღწევს. 100 მარცვალში 184 ცალი წიპწაა, საშუალო წონით 8.8 გრამი. ერთწიპწიანი მარცვლები შეადგენს 36%-ს, ორწიპწიანი — 46%-ს, სამწიპწიანი — 16%-ს, ოთხწიპწიანი 2%-ს.

ყურძნის სრული სიმწიფის პერიოდისათვის ტკბილში შაქრიანობა 19 — 20%-მდეა, საერთო მკაფიანობა — 9.8 ‰.

როგორც უხვმოსავლიანი და საკმაოდ ხარისხოვანი პროდუქციის მომცემი ჯიში, პანეში უდავოდ ყურადღების ღირსია და მიზანშეწონილად მიგვაჩნია მისი მასობრივად გავრცელება შუა და ზემო სამეგრელოს მთისპირა მიკრორაიონებში.

П А Н Е Ш И

Листья средней величины или крупные, длиной 16.7 см и шириной 15.9 см; слегка овальные.

Черешковая выемка закрытая и яйцевидная, с навлегающими лопастями и с округлым или острым дном. Встречаются также выемки лировидной формы, лопасти которых состоят из 3-х или 4-х нервов.

Верхние вырезки чаще закрыты и имеют узко-эллиптический просвет; реже открыты и расположены в виде входящего угла. Нижние вырезки слабо намечены.

Лист 3-х и реже 5-ти лопастный. Угол оконечной лопасти прямой, реже — тупой.

Оконечные зубцы лопастей треугольные с выпуклыми сторонами и острой вершиной; встречаются также треугольно-пиловидные и округло-пиловидные. Вторичные зубцы треугольные, с выпуклыми сторонами и острой вершиной, реже треугольно-пиловидные.

Поверхность листа чаще крупно-пузырчатая или сетчато-морщинистая, реже гладкая. По форме воронковидно-желобчатая или желобчатая. Встречаются также листья, края которых отогнуты вниз. Пластинка листа покрыта снизу паутинисто-волосистым покровом.

Отношение черешка к длине среднего нерва 0.8 — 0.9; черешок голый, иногда со следами волосков и светлозеленого цвета, переходящего у основания в виннокрасный цвет.

Плодоносные побеги коричневого цвета и слегка покрыты волосками серого цвета. Средней толщины. Узлы окрашены темнее, чем междоузлия. Длина междоузлий достигает 10 — 16 см.



ქართული
ენციკლოპედია



პანეში — Paneshi

Цветы обоеполые.

Первые признаки созревания винограда наблюдаются в начале сентября; массовое созревание наступает с 20 — 25 октября.

Длина ножки грозди 4—6 см, длина грозди 11—14.5 см, ширина—7—11 см, количество ягод на грозди 100—105 шт.



количество
крылатая; крыло

Общая форма грозди цилиндрическо-коническая, средней плотности, иногда крылатая, достигает до половины длины грозди.

Длина ножки ягод с подушечкой 5—7 мм, зеленого цвета. Подушечка бородавчатая и широко-коническая.

Ягода почти черная, средняя или выше средней величины, слегка овальная, посередине широкая, у конца округлая и симметричная; мякоть довольно сочная, с простым, обыкновенным вкусом. Кожица довольно толстая.

Количество семян в ягоде 1—4 шт. Чаще 2. Длина семени 6—7.5 мм, ширина—3.5—4.5 мм, семя темнокоричневого цвета с желтоватым оттенком. Халаза почти овальная. Спинная сторона гладкая. Длина клюва достигает 1—1.5 мм.

До появления грибных болезней и филлоксеры „маглари“ Панеши культивировался в массовом виде по ущельям рек Ингури и Техури, где при обыкновенном уходе на „маглари“ получали довольно большой урожай. Виноград часто оставляли на лозах и сбор производили зимой. Местные жители из Панеши выделяли столовые вина довольно высокого качества с слегка кисловатым, но приятным вкусом. После появления грибных болезней и филлоксеры сорт подвергся массовой гибели. Уцелевшие его единичные экземпляры встречаются лишь в верхней Мегрелии. „Даблари“ Панеши в незначительном количестве имеется около Зугдиди и в Цаленджихском районе в сел. Накифу.

Как урожайный и вместе с тем дающий довольно качественный материал для приготовления столовых вин местного потребления, сорт Панеши заслуживает внимания и разведения привитыми саженцами в предгорных районах средней и верхней Мегрелии.

ა ვ შ ი ლ უ რ ი



ავშილური ანუ აბშილური მეგრული წითელყურძნიანი საღვინე ჯიშია.

უტყუარი მასალები სამეგრელოს რაიონებში ავშილურის წარმოშობის შესახებ არაა ცნობილი. ადგილობრივ მოხუც პირთა გადმოცემით აღნიშნული ჯიში სამეგრელოს რაიონებში შემოტანილი უნდა იყოს ვინმე ავშილავეს მიერ, რომელსაც თავის მეურნეობაში გაუშენებია იგი მალღარების სახით და იქიდან, როგორც უხვმოსავლიანი, ფართოდ გავრცელებულა ზემო სამეგრელოს რაიონებში, შემომტანის გვარის — ავშილავეს სახელწოდებით (ავშილავეა, აქედან ავშილური).

შესწავლის შედეგად, ჯიშის მორფოლოგიურ და აგრობიოლოგიურ ნიშანთვისებათა საფუძველზე, საშუალება გვაქვს ვიფიქროთ, რომ ავშილური პონტოს მხარის წარმოშობისაა და იგი მეგრულ აბორიგენულ ვაზის ჯიშთა ჯგუფს უნდა ეკუთვნოდეს.

სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის შემოჭრამდე აღნიშნული ჯიში მასობრივად ყოფილა გავრცელებული მალღარების სახით სამეგრელოს მთისპირა რაიონებში. ჯიშს ახასიათებდა საკმაოდ ძლიერი ზრდა-განვითარება და უხვი მოსავლიანობა. როგორც გადმოგვცემენ, ადგილობრივი მოსახლეობა ავშილურის პროდუქციას იყენებდა მასობრივი მოხმარების სუფრული ტიპის ღვინოების დასამზადებლად.

ავშილურის თანამედროვე გავრცელების არეალი მეტად შეზღუდულია. მისი მალღარები მხოლოდ თითო-ორი ძირის სახით არის გადარჩენილი წალენჯიხისა და ჩხოროწყუს რაიონებში. მალღარად აღზრდის გამო იგი თითქმის უყურადღებოდაა მიტოვებული. ამის შედეგად მოსავლიანობა მეტად ცვალებადია და პროდუქციის ხარისხიც დაბალია. დაბლარების სახით ნამყენი ავშილური გავრცელებულია წალენჯიხის რაიონში სოფ. ნაკიფუს მიდამოებში და აგრეთვე ქ. ზუგდიდის ტერიტორიაზე.

ბოტანიკური აღწერა. ზრდის კონუსი მოთეთრო-მოწითალო-იისფერია. სქარბობს მოთეთრო-მოწითალო ფერი. დაფენილია ქეჩისებრად მოწითალო-თეთრი ბეწვისებრი ბუსუსით. ახლად გაშლილი პირველი ნორჩი ფოთოლი ზედა მხრიდან მოწითალო-იისფერია, აღნავ მომწვანო ელფერით და საკმაოდ სქლად არის დაფარული მოთეთრო-ნაცრისფერი ბეწვისებრი ბუსუსით. უნწი მოწითალო-იისფერია და საკმაოდ დაფარული მონაცრისფრო ბუსუსით. მომდევნო მეორე ნორჩი ფოთოლი ზედა მხრიდან მოწითალო-იისფერია და დაფარულია მონაცრისფრო ბუსუსით. ქვედა მხრიდან შებუსვა ქეჩისებრია. ბუსუსი მონაცრისფრო-თეთრია, მოწითალო ელფერით. მესამე ნორჩი ფოთოლი ზედა მხრიდან ღია მწვანეა, ძარღვები კი ღია წითელი და მცირედ არის შებუსული მონაცრისფრო ბუსუსით, უფრო მეტად ძარღვების გასწვრივ. ქვედა მხრიდან შებუსვა ქეჩისებრია. ბუსუსი ნაცრისფერია და მცირეოდენი სიწითლე გადაჰკრავს.

ახალგაზრდა ყლორტი მრგვალია, ცალ მხარეზე ღია მწვანე და ცალზე მოწითალო-იისფერი. მცირედ არის დაფარული მონაცრისფრო ბუსუსით. შებუსვა უფრო ძლიერდება ყლორტის წვერისაკენ. ყლორტის წვერებს ყვავილობის პერიოდში ახასიათებს მეტად ძლიერი ზრდა, გრძელი მუხლთშორისები და ორად განტოტვილი პწკალები, ხოლო მათ წვერს მასობრივად მოწითალო-ბრინჯაოსფერი გადაჰკრავს.

შემოსული რქა საშუალო სიმსხოსია და მუქი ყავისფერი. მუხლები უფრო მუქად არის შეფერილი. მუხლთშორისის სიგრძე აღწევს 10 — 15 სმ-ს.

ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალო სიდიდისაა და საერთო მოხაზულობით თითქმის ოვალური. გვხვდება მომრგვალო ფოთლებიც. ფოთლის საშუალო სიგრძე აღწევს 19.5 სმ-ს, სიგანე — 17.7 სმ-ს.

ფოთლის უნწის ამონაკვეთი ღიაა და უფრო ხშირად ჩანგისებრი, მახვილი ფუძით. გვხვდება აგრეთვე ისრისებრი და, იშვიათად, დახურული ამონაკვეთებიც ვიწრო ნასვრეტით.

ზედა ამონაკვეთი ღია და ჩანგისებრი მოყვანილობისაა, მომრგვალო ფუძით ან კვერცხისებრია, მომრგვალო ფუძით. ქვედა ამონაკვეთი ღია და საკმაოდ ჩაქრილია ან ჩანგისებრი, მომრგვალებული ფუძით. იშვიათად კი მცირედ ჩაქრილია, წამახვალეებული ფუძით.


ფოთოლი სამ და ხუთნაკვეთიანია. წვერის ნაკვეთი ფოთლის ფირფიტასთან ქმნის სწორ კუთხეს, იშვიათად — ბლაგვს.

ნაკეთია წვერის კბილები სამკუთხედისებრია, ამოზნექილი გვერდებითა და მახვილი წვერით. გვხვდება აგრეთვე ასევე სამკუთხედისებრი, მომრგვალო წვერით, და ხერხკბილა-სამკუთხედისებრი, ცალმხრივ ამოზნექილი გვერდებითა და მახვილი წვერით. მეორეული კბილები უფრო ხშირად ხერხკბილა-სამკუთხედისებრია, ამოზნექილი გვერდებით და წამახვილებული წვერით, იშვიათად ხერხკბილისებრია, ცალმხრივ ამოზნექილი გვერდებით.

ფოთლის ქვედა მხარე ქეჩისებრია. ზედა მხარე გლუვია; გვხვდება ბადისებრად დანაოჭებული ზედაპირის მქონე ფოთლებიც. ფირფიტა ხშირად ნაპირებჩამოწეულია, იშვიათად ძაბრისებრი მოყვანილობისაა.

მთავარი ძარღვები მკირედ შებუსულია და ღია მწვანე, რაც ფუძესთან ღია იისფერში გადადის. ფოთლის ყუნწის შეფარდება შუა მთავარ ძარღვთან უდრის 0.8 — 1.0-ს. იგი შიშველია, ღია მომწვანო, ხოლო ფუძესთან ღია იისფერში გადასული.

ყვავილი ფუნქციონალურად მდედრობითია. მტვრიანები მეტად მოკლე და მოკაკულია. ყვა-



სურ. 44. ავშილურის ყვავილი.

ვილში 5 მტვრიანაა, იშვიათად 4. ყვავილების რაოდენობა ყვავილედში 300 — 550 ცალამდე აღწევს (სურ. 44).

მტევნის ყუნწის სიგრძე აღწევს 4 — 7 სმ-ს, მტევნის სიგრძე — 12 — 16 სმ-ს, სიგანე — 6 — 8.5 სმ-ს.

მტევნის საერთო ფორმა ცილინდრულ-კონუსისებრია. საშუალო სიმკვრივისაა, ახასიათებს ფრთა, რომელიც თითქმის მტევნის სიგრძის ნახევარს აღწევს. ზოგ შემთხვევაში მტევნის ყუნწი გაბეჭვებულია მუხლამდე. კლერტი ბალახისებრია და მომწვანო.

მარცვლის ყუნწი საჯდომი ბალიშით აღწევს 5 — 7 მმ-ს. მომწვანოა. ბალიში დამეჭეჭებულია და განიერ-კონუსისებრი. მარცვალი საჯდომ ბალიშზე საკმაოდ მტკიცედ არის მიმაგრებული.

მარცვალი მუქი წითელია (ბრეში), საშუალო სიდიდის ან საშუალოზე დიდი. მისი სიგრძე აღწევს 15.7 მმ-ს, სიგანე — 15.0 მმ-ს. თითქმის მომრგვალო ან ოდნავ ოვალურია. შუა წელში უფრო განიერია, ბოლო მომრგვალებული აქვს და სიმეტრიული. მარცვლები მტევანში თანაბრად არ მწიფდება. სრული სიმწიფის პერიოდში მტევანში რჩება თითო-ორჯერ მოუმწიფებელი მარცვალი. საკმაოდ სქელკანიანია, უფრო წვნიანი და ნაკლებ ხორციანი, უბრალო ტკბილი გემოთი. მარცვალი საკმაოდ არის დაფარული ცვილით.

მარცვალში 1 — 4 ცალი წიპწაა, ხშირად გვხვდება 2 წიპწა. წიპწის სიგრძე აღწევს 7.5 — 8 მმ-ს, სიგანე — 3.5 — 4 მმ-ს. იგი ღია ყავისფერია, მოყვითალო-მოწაბლისფრო ელფერით. მუცლის მხრიდან ლარებში მოყვითალოა. ქალაძა მოთავსებულია ზურგის მხარის შუა წელში და მეტად სუსტადაა გამოსახული. ფორმით მოგრძო-ოვალურია. ზურგის მხარე გლუვია. ნისკარტი ოდნავ მოყვითალოა. მისი სიგრძე აღწევს 1.5 — 2 მმ-ს.

აგრობიოლოგიური დახასიათება. წალენჯიხის რაიონის სოფ. ნაკიფუს ზონაში ავშილურის სავეგეტაციო პერიოდის საერთო ხანგრძლიობა 245 დღემდე აღწევს. ვაზი გამოღვიძებას იწყებს მარტის უკანასკნელ რიცხვებში. კვირტების გამოფურჩქვნა მიმდინარეობს აპრილის პირველიდან. ყვავილობა იწყება 4 — 5 ივნისიდან და 15 — 16 ივნისამდე მთავრდება. ყურძენი შეთვალვას იწყებს

1 სექტემბრიდან და მასობრივ სიმწიფეში შედის 1 ნოემბრისათვის. საშემოდგომო შეფერვას ფოთლები ნოემბრის პირველი რიცხვებიდან ღებულობს. ფოთოლცვენა იწყება ნოემბრის მეორე ნახევრიდან და დეკემბრის პირველ რიცხვებში მთავრდება.

შემოდგომის ხანგრძლივი სითბოს მოქმედების შედეგად ვაზის რქები ყურძნის სრულ სიმწიფის პერიოდისათვის სრულ მომწიფებას ასწრებს და ამ დროისათვის ჯიშის დამახასიათებელ ელფერს ღებულობს.

შეკრებილი
გამწიფი

ვაზის საერთო ზრდა-განვითარება საშუალო ან საშუალოზე მეტია.

მოსავლის პირველ ნიშნებს ავშილური იძლევა დარგვიდან მესამე წელს, ხოლო სრულ მოსავლიანობაში 4 — 5 წლიდან შედის.

ავშილური უხვმოსავლიანია. ქართული წესით ფორმირებული ვაზის მოსავალი 2 — 2.5 კგ - ს აღწევს. მოსავლის კოეფიციენტი მერყეობს 1.6 — 2.0 - მდე, საშუალოდ უდრის 1.8 - ს. მოსავლიანობის გაზრდა შესაძლებელია ყვავილების ხელოვნური განაყოფიერების გზით და აგრეთვე ვაზის არსებული ფორმირების შეცვლით.

ვაზს ახასიათებს ყვავილცვენა. მტევანში წვრილი მარცვლების რაოდენობა 7 — 8% - მდე აღწევს. სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ ავშილურის გამძლეობა სუსტია; განსაკუთრებით სუსტ გამძლეობას იჩენს იგი ქრატის მიმართ.

სამეურნეო დახასიათება. დანიშნულებით ავშილური საღვინე ჯიშია. მისი პროდუქცია წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული ადგილობრივი მნიშვნელობის ორდინარული ტიპის ღვინოების დასამზადებლად.

მტევნის საშუალო წონა აღწევს 217.3 გრამს. მარცვლების რაოდენობა მტევანში მერყეობს 80 — 85 ცალამდე. მტევანში კლერტი შეადგენს 3.4% - ს, კანი — 13.8% - ს, წიბწა — 4.5% - ს, წვენი — 78.3% - ს.

დიდი მტევნის წონა უდრის 305 გრამს, მცირესი 105 გრამს.

ყურძნის სრული მწიფობის პერიოდში შაქრიანობა მასში აღწევს 20.8% - მდე და საერთო მჟიანობა — 7.7 — 8.7% - მდე.

დაკრეფილი ყურძენი ხანგრძლივად არ ინახება.

როგორც დიდმოსავლიანი, წვენის უხვგამოსავლიანი და ამავე დროს საკმაოდ ხარისხოვანი პროდუქციის მომცემი საღვინე ჯიში, ავშილური ყურადღების ღირსია და მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიზნული მისი ფართოდ გავრცელება სამეგრელოს მთისპირა სოფლებში, ნამყენების სახით, ფილოქსერის გამძლე საძირებზე. მხოლოდ აუცილებელია იგი გაშენდეს პერმოფროდიტული ყვავილების მქონე ვაზის ჯიშთა შორის.

ავშილურის ყურძნის პროდუქცია წარმატებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს ყურძნის წვენის დასამზადებლადაც.

А В Ш И Л У Р И

Листья средней величины, длиной 19.5 см и шириной 17.7 см.

Черешковая выемка открытая и лировидной формы, с острым дном; реже — стрельчатая и закрытая, с узким просветом.

Верхние вырезки открытые и лировидной формы с округлым дном; встречаются и закрытые вырезки яйцевидной формы и с округлым дном. Нижние вырезки открыты и чаще лировидной формы, с острым дном, или же расположены в виде входящего угла, с острым или округлым дном.

Лист трех и пятилопастный. Угол оконечной лопасти прямой, реже — тупой.

Оконечные зубцы лопастей треугольные с выпуклыми сторонами и острой вершиной; встречаются опять треугольные, но с округлой вершиной. Вторичные зубцы чаще треугольно-пиловидные, с выпуклыми сторонами и острой вершиной; встречаются пиловидные, односторонне - выпуклые.

Поверхность листа гладкая, реже сетчато-морщинистая; края листьев отогнуты вниз, иногда воронковидно - желобчатой формы.

Отношение черешка к длине среднего нерва 0.8—1.0; черешок голый и светло-зеленого цвета.

Плодоносные побеги темно-коричневого цвета. Узлы окрашены темнее, чем междоузлия. Длина междоузлий достигает 10 — 15 см.

Цветы функционально женские.



ავშილური — Авшилури

Появление первых признаков созревания винограда наблюдается в начале сентября; массовое созревание наступает с 1 ноября.

Длина ножки грозди 4—7 см, длина грозди—12—16 см, ширина—6—8.5 см; количество ягод на грозди 80—85 шт.

Общая форма грозди цилиндрическо-коническая, средней плотности, иногда крылатая; киль часто достигает до половины длины грозди.

Длина ножки ягоды с подушечкой 5—7 мм, сама ножка зеленого цвета. Подушечка бородавчатая и широко-коническая.

Ягода темнокрасная, средней величины или крупная, длиной 15.7 мм и шириной 15.0 мм; почти округлая или слегка овальная, посередине широкая, у конца округлая и симметричная. Мякоть довольно сочная и мясистая. Кожица толстая, легко отделяющаяся от мякоти.

Количество семян в ягоде 1—4 шт, чаще 2. Длина семени 7.5—8 мм, ширина—3.5—4 мм; семя светлокорицевого или желтоватокоричневого цвета. Халаза овальная или немного удлинённая; спинная сторона гладкая. Длина клюва достигает 1.5—2 мм.

Авшилури—красный винный сорт. Довольно урожайный. До появления грибных болезней и филлоксеры встречался в большом количестве в районах Цаленджиха и Чхороцку. Местные жители приготовляли из него столовые вина для местного потребления. Вторжение грибных болезней и филлоксеры обусловили массовую гибель этого сорта и в настоящее время встречаются лишь единичные его экземпляры в виде „маглари“. „Даблари“ сорта Авшилури имеется на коллекционном участке около г. Зугдиди и в сел. Накифу (Цаленджихский район).

Авшилури, как дающий довольно качественный материал для приготовления вин массового потребления, заслуживает внимания и разведения вместе с другими интересными сортами, особенно в предгорных районах Мегрелии.

ხ ა რ ი ს თ ვ ა ლ ა



ხარისთვალა ანუ „ხოჯისთოლა“, როგორც მას სამეგრელოში ეძახიან, თეთრყურძნიანი ვაზის ჯიშია.

საქართველოს სხვადასხვა რაიონში გავრცელებულ ხარისთვალას ჯიშებიდან შეგრული ხარისთვალა მკვეთრად განსხვავდება თავისი ბოტანიკური ნიშან-თვისებებით და ამრიგად იგი სავსებით დამოუკიდებელ ჯიშს წარმოადგენს.

სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის გავრცელებამდე ეს ჯიში გავრცელებული ყოფილა მაღლარებად სამეგრელოს მთისპირა რაიონებში. მის მოსავალს ადგილობრივი მოსახლეობა ძირითადად ყურძნად იყენებდა. ამჟამად ხარისთვალას ერთეული ძირები მაღლარად არის გადარჩენილი გეგეკორისა და ცხაკაიას რაიონებში. ვაზების მოსავლიანობა მეტად ცვალებადია და ძირითადად დამოკიდებულია წლის ამინდის ხელსაყრელ პირობებზე. ნაშყენების სახით ამ ჯიშის მკირვოდენი ნარგავები მოიპოვება სოფ. სალხინოს მეურნეობაში; მათი ზრდა-განვითარება, მოსავლიანობა და მოსავლის ხარისხი სავსებით დამაკმაყოფილებელია.

ბოტანიკური აღწერა და სამეურნეო დახასიათება. ხარისთვალას ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალო სიდიდის ან საშუალოზე დიდია და საერთო მოყვანილობით ოდნავ განივოვალური. გვხვდება აგრეთვე სიგრძივ-ოვალური და მომრგვალო მოყვანილობის ფოთლებიც. საკმაოდ ან საკმაოზე მეტად დანაკვეთულია. ფოთლის საშუალო სიგრძე აღწევს 17.7 სმ-ს, სიგანე — 17.8 სმ-ს.

ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი დახურულია და ელიფსური მოყვანილობა აქვს. ამონაკვეთის ნაკვეთები შემდგარია სამი ძარღვისაგან, რომლებიც ურთიერთზე საკმაოდ გადადებულია, ან შემდგარია ოთხი ძარღვისაგან და ნაკვეთები ურთიერთთან მიახლოებულია. გვხვდება აგრეთვე ჩანგისებრი მოყვანილობის ამონაკვეთები, მომრგვალო ფუძით. რომელთა ნაკვეთები შემდგარია სამი ძარღვისაგან.

ზედა ამონაკვეთი ღიაა და ძლიერ ღრმადია ჩაქრილი; ფორმით ჩანგისებრია, მომრგვალო ფუძით და შეხებულები ან ღრმად გადადებული ნაკვეთებით. გვხვდება ვიწრო-ნასვრეტისებრი ამონაკვეთიც. ქვედა ამონაკვეთიც ღრმად არის ჩაქრილი.

ფოთოლი ხუთნაკვეთიანია. წვერას ნაკვეთი ფოთლის ფირფიტასთან ქმნის ბლაგვ კუთხეს, იშვიათად — სწორს.

ნაკვეთთა წვერის კბილები უფრო ხშირად სამკუთხედისებრია, ამოზნექილი გვერდებითა და წამახვილებული ან მომრგვალებული წვერით. გვხვდება ხერხისებრი მოყვანილობის კბილებიც, ამოზნექილი გვერდებითა და წამახვილებული წვერით. მეორადი კბილები მთავარი კბილების მსგავსია.

ფოთლის ქვედა მხარე ქეჩისებრია. ზედა მხარე ბადისებრად არის დანაკვეთილი. იშვიათად გლუვია. ფოთოლი ბრტყელია; გვხვდება ძაბრისებრ-ღარისებრად მოხრილი ფოთლებიც.

მთავარი ძარღვები მთლიანად დაფარულია მონაცრისფრო ბუსუსით. ღია მწვანეა. ფუძესთან კი იისფერში გადასული.

ფოთლის ყუნწის შეფარდება შუა მთავარ ძარღვთან უდრის 0.8 — 0.9 -ს. იგი შიშველია და მოწითალო-იისფერი.

შემოსული რქა საშუალო სიმსხოსია და მუქი მოყვითალო. მუხლები უფრო მუქადაა შეფერილი. მუხლთშორისის სიგრძე აღწევს 8 — 16 სმ-ს.

ყურძენი შეთვალებას იწყებს სექტემბრის პირველ დეკადაში. მასობრივ სიმწიფეში ნოემბრის პირველი რიცხვებიდან შედის.

დიდი მტევნის ყუნწის სიგრძე აღწევს 5 — 6 სმ-ს, სიგრძე — 14 — 17 სმ-ს, მტევნის სიგანე — 9 — 11 სმ-ს. მტევანზე 50 — 60 ცალი მარცვალია.

საშუალო მტევნის ყუნწის სიგრძე აღწევს 4.5 — 6 სმ-ს, მტევნის სიგრძე — 12 — 14 სმ-ს, სიგანე — 8 — 11 სმ-ს. მტევანზე 30 — 40 ცალი მარცვალია. მტევანს ახასიათებს დატოტვა, რომელიც თვით მტევნის სიგრძის ნახევარს აღწევს.



ქართული
ენციკლოპედია



ხარისთვალა (მეგრული) — Хариствала (мегрельский)

მტევნის საერთო ფორმა ცილინდრულ-კონუსისებრია. საშუალო სიმაკვრივისაა. მტევნის ყუნწი ვაგვებულია მუხლამდე; დანარჩენი ნაწილი კლერტით მოწაბლისფროა და ბალახისებრი.

მარცვლის ყუნწი საჯდომი ბალიშით აღწევს 8-12 მმ-ს, ღია მწვანეა. საჯდომი ბალიშით დამეკვებულია და განიერ-კონუსისებრი. მარცვალი საჯდომ ბალიშზე მტკიცედ არის მიმაგრებული.

მსხვილი მარცვლის საშუალო სიგრძე აღწევს 20 — 23 მმ-ს, სიგანე — 19.8 — 22.9 მმ-ს. საშუალო მარცვლის საშუალო სიგრძე აღწევს 18 — 20 მმ-ს, სიგანე — 17.5 — 20 მმ-ს.

მარცვალი მსხვილია. ფორმით მომრგვალო, შუა წელში განიერი და სიმეტრიულია. მარცვლის კანი სქელია. მეტად ხორციანია და მცირედ წვნიანი. ცვილით ანუ ფიფქით მცირედ არის დაფარული.

მარცვალში 1 — 3 ცალი წიბწაა, ხშირად გვხვდება 2 წიბწა. ყოველ 100 მარცვალში საშუალოდ 230 — 240 ცალი წიბწაა. წიბწის სიგრძე აღწევს 6 — 7 მმ-ს, სიგანე — 3 — 3.5 მმ-ს. ღია ყავისფერია. ქლაძა მოთავსებულია ზურგის მხარის შუა წელში; ფორმით ოვალურია. ზურგის მხარე გლუვია. ნისკარტის სიგრძე აღწევს 2 მმ-ს.

როგორც მოსავლიანი და საკმაოდ ხარისხოვანი პროდუქციის მომცემი სუფრის ყურძნის ჯიში, ხარისთვალა ყურადღების ღირსია და მისი გავრცელება ნამყენების სახით მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მეტადრე ზუგდიდის, ცხაკიასა და გეგეკორის რაიონების მთისპირა მიკრორაიონებში.

Х А Р И С Т В А Л А

Листья средней величины или крупные, длиной 17.6 см., и шириной 17.7 см; попереk слегка овальные или округлые.

Черешковая выемка эллигическая, с надвигающимися или с соприкасающимися лопастями. Лопастни черешковой выемки состоят из 3-х или 4-х нервов. Встречаются также выемки лировидной формы с округлым дном, лопастни которых состоят из трех нервов.

Верхние вырезки открытые, очень глубокие, лировидные, с округлым дном; встречаются также вырезки с узким просветом. Нижние вырезки тоже глубокие.

Лист пятилопастный. Угол оконечной лопасти тупой, реже — прямой.

Оконечные зубцы лопастей чаще треугольные, с выпуклыми сторонами. Встречаются также пило-видные, односторонне выпуклые и с острой вершиной. Вторичные зубцы треугольные, с выпуклыми сторонами и острой вершиной.

Поверхность листа сетчато-морщинистая, реже — гладкая. По форме плоская или воронковидно-желобчатая. Пластинка листа покрыта снизу густым волосистым покровом.

Отношение черешка к длине среднего нерва 0.8 — 0.9; черешок голый и красноватофиолетового цвета.

Плодоносные побеги средней толщины темножелтоватого цвета. Узлы окрашены темнее, чем междоузлия. Длина междоузлия 8 — 16 см.

Появление первых признаков созревания винограда наблюдается в начале сентября; массовое созревание наступает в первых числах ноября.

Длина ножки грозди 4.5 — 6 см, длина грозди 12 — 17 см, ширина 8 — 11 см; количество ягод на грозди до 60 шт.


Общая форма грозди цилиндрическо-коническая и крылатая; средней плотности.

Длина ножки ягоды с подушечкой 8 — 12 мм, сама ножка светлозеленого цвета. Подушечка бородавчатая и широко-коническая.

Ягода темнорозовая, крупная, длиной 18 — 23 мм и шириной 17.5 — 22.9 мм; округлая, посредине широкая и симметричная. Кожица толстая; мякоть менее сочная и более мясистая.

Количество семян в ягоде 2 — 3 шт., чаще — 2. Длина семени 6 — 7 мм, ширина 3 — 3.5 мм, семя светло-коричневого цвета. Халаза овальная. Спинная сторона гладкая. Длина клюва достигает 2 мм.

Хариствала — столовый сорт местного значения. Довольно урожайный. Встречается в единичных экземплярах в сел. Салхино (Гегечкорский район) и Дзвели Сенаки (Цхაკаевский район). Сорт заслуживает внимания и разведения привитыми саженцами в предгорных районах Гегечкори, Зугдиди и Цхაკая исключительно для местного потребления.



აჭარის ვაზის ჯიშები

ბ რ ო ლ ა

ბროლა აჭარაში გავრცელებული თეთრყურძნიანი საღვინე ჯიშია.

ლიტერატურული მასალები ამ მხარეში ბროლას წარმოშობის შესახებ არ მოგვეპოვება. აკადემიკოსი ჯავახიშვილის (1) და ს. ნ. ტიმოფეევის (21) შრომებში აღნიშნულია მხოლოდ სახელწოდება და მისი გავრცელების არეალი.

ჯიშის მორფოლოგიური და აგრობიოლოგიური თავისებურება, აგრეთვე მისი წმინდა ქართული სახელწოდება „ბროლა“ (ბროლიდან) აღასტურებს ამ ჯიშის აბორიგენობას პონტოს მხარისათვის, კერძოდ კი აჭარის რაიონებისათვის.

ექვს გარეშეა, რომ სახელწოდება ბროლა მიკუთვნებული აქვს ჯიშს მისი მარცვლების გამჭვირვალობისა და სილამაზის გამო. ყურძნის სრული მწიფობის პერიოდში მისი მარცვლები მეტად ლამაზ შეფერვას ღებულობს, კანი გამჭვირვალე ხდება, მკვეთრად გამოსახული ქსოვილებით.

სოკოვან ავადმყოფობათა (ქრაქი, ნაცარი) გავრცელებამდე ბროლა მასობრივად ყოფილა დანერგული მალღარების სახით შუა და ზემო აჭარის რაიონებში. მის პროდუქციას ადგილობრივი მოსახლეობა ძირითადად იყენებდა ყურძნად ან ამზადებდა მისგან ყურძნის წვენს და ბექმეზს. სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის მოქმედების შედეგად ბროლას მალღარები მასობრივად განადგურდა და ამჟამად მხოლოდ თითო-ორი ძირის სახით არის იგი ვადარჩენილი ხულოსა და ქედის რაიონებში. ვაზები მოუვლელია, ვინაიდან აღზრდილია მეტად მალაღ ხეებზე (15—20 მ) და ამიტომ მხოლოდ წლის ამინდის ხელსაყრელ პირობებში იძლევა ხარისხოვან მოსავალს.

ბოტანიკური აღწერა. კვირტები გაშლის პერიოდში მოთეთრო-მოწითალოა და ქეჩისებრად არის დაფარული მონაცრისფრო-თეთრი ბუსუსით. ახლად გაშლილი პირველი ფოთოლი ზედა მხრიდან მომწვანო-მოწითალოა და ორივე მხრიდან ქეჩისებრი შებუსვა ახასიათებს. პირველი ფოთლის მომდევნო მეორე და მესამე ნორჩი ფოთლები ზედა მხრიდან მომწვანო-იისფერია, მოწითალო ელფერით, და როგორც ზემოდან, ისე ქვემოდან დაფარულია მონაცრისფრო-მოთეთრო ბეწვისებრი ბუსუსით. შემდგომ მოზრდილ ფოთლებზე ბუსუსი მცირდება და ნაცრისფერში გადადის.

ახალგაზრდა ყლორტი მრგვალია და ღია მწვანე. მცირედ არის დაფარული თეთრი-მონაცრისფრო ბუსუსით. შებუსვა უფრო მატულობს ყლორტის წვერისაკენ.

შემოსული რქა თითქმის საშუალო სიმსხოსია, ყავისფერია, მუხლებიც ასეთივე ფერისაა. მუხლო-შორისის სიგრძე აღწევს 6—12 სმ-ს.

ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალო სიდიდისაა და საერთო მოყვანილობით მომრგვალო ან განივ-ოვალური; მტირედ დანაკვეთელია. ფირფიტის საშუალო სიგრძე აღწევს 14.2—15.3 სმ-ს, სიგანე — 14.5—15.5 სმ-ს.


ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ჩანგისებრია, მომრგვალო ფუძით. ამონაკვეთის ნაკვეთები შედგება სამი ან ოთხი ძარღვისაგან. ამონაკვეთის ფუძეზე ზოგ შემთხვევაში განვითარებულია ერთი უბრალო კბილი.

ზედა ამონაკვეთი უფრო ხშირად ღიაა და მცირედ ჩაჭრილი; იშვიათად ნასვრეტისებრი. ქვედა ამონაკვეთი ოდნავ არის ჩაჭრილი.

ფოთლი სამ ნაკვთიანია. წვერის ნაკვთი ფოთლის ფირფიტასთან ქმნის ბლაგვ კუთხეს.

ნაკვთთა წვერის კბილები სამკუთხედისებრია, მახვილი წვერით. გვხვდება აგრეთვე სამკუთხედი-
სებრი კბილები, მომრგვალებული წვერით, და ხერხკბილა-სამკუთხედისებრი. მეორადი კბილები
სამკუთხედისებრია, წამახვილებული ან მომრგვალებული წვერით, გვხვდება ხერხკბილისებრიც, ერთ
მხარეს ამოზნექილი გვერდით.

ფოთლის ქვედა მხარე საკმაოდ შებუსვილია. მისი ზედაპირი გლუვია და უფრო ხშირად ბრტყელი,
ან ძაბრისებრ-ღარისებურად არის მოხრილი. მთავარი ძარღვები ღია მწვანეა და საკმაოდ შებუსვილი.



სურ. 47. ბროლას ყვავილი.

ფოთლის ყუნწის შეფარდება შუა მთავარ ძარღვთან უდრის 0.6 — 0.9 -ს. იგი შიშველია და ღია მწვანე, ხოლო ფუძესთან იისფერში გადადის.

ყვავილი ორსქესიანია, მხოლოდ მასობრივად ფუნქციონალურად მდებრობითი სქესისაა. ყვა-
ვილში 5 და 4 მტვრიანაა, იშვიათად — 6; ყვავილების რაოდენობა ყვავილედში 160 — 270 ცალამდე
აღწევს (სურ. 47).

მტევნის ყუნწის სიგრძე აღწევს 4 — 5 სმ-ს, მტევნის სიგრძე — 13 — 17 სმ-ს, სიგანე —
6 — 9.5 სმ-ს; მტევანზე მარცვლების რაოდენობა აღწევს 95 — 100 ცალამდე.

მტევნის საერთო ფორმა ცილინდრული ან ცილინდრულ-კონუსისებრია; ზოგ შემთხვევაში გან-
ტოტვილი. მტევანი თხელია; იშვიათად საშუალო სიმკვრივისაა. მტევნის ყუნწი კლერტით ბალახისებ-
რია და მწვანე.

მარცვლის ყუნწის სიგრძე საჯდომი ბალიშით აღწევს 4 — 5 მმ-ს, ფერად მწვანეა. საჯდომი ბა-
ლიშში გლუვია, იშვიათად დამეჭეჭებული და თითქმის განიერ-კონუსისებრი. მარცვალი საჯდომ ბა-
ლიშზე საკმაოდ მტკიცედ არის მიმაგრებული.

მარცვალი ღია მწვანეა, საშუალო სიდიდის, სიგრძით 14.5 — 18 მმ და სიგანით 14.2 — 17.8 მმ.
მომრგვალოა, შუა წელში უფრო განიერი, ბოლო მომრგვალებული აქვს და სიმეტრიულია. საკმაოდ
სქელკანიანია, საკმაოდ ხორციანი და უფრო წვნიანი, სასიამოვნო ტკბილი გემოთი. მარცვლის კანი
მცირედ არის დაფარული ცვილით.

მარცვალში 1 — 4 ცალი წიპწაა, უფრო ხშირად გვხვდება 2 წიპწა. წიპწის სიგრძე აღწევს
6 — 7 მმ-ს, სიგანე — 3 — 3.5 მმ-ს. ღია ყავისფერია, მუცლის მხარეზე ღარებში კი მოყვითალო. ქა-
ლაძა მოთავსებულია ზურგის მხარის შუა წელს ცოტათი ქვემოთ; ფორმით მოგრძო-ოვალურია. ნის-
კარტი მოყვითალოა და სიგრძით აღწევს 1.5 მმ-ს.

აგრობიოლოგიური დახასიათება. ქედის რაიონში ბროლას სავეგეტაციო პერიოდის
საერთო ხანგრძლიობა 230 — 235 დღეს აღწევს. ვახის გამოღვიძება იწყება მარტის დასასრულს.
კვირტების გამოფურჩქვნა მიმდინარეობს 8 — 10 აპრილიდან. ყვავილობის პირველი ნიშნები ემჩნევა
5 — 7 ივნისიდან და მასობრივ ყვავილობაში შედის 11 — 12 ივნისიდან. ამინდის ხელსაყრელ პირო-
ბებში ყვავილობა 20 ივნისისათვის მთავრდება. ყურძნის შეთვალევა იწყება 1 სექტემბრიდან და მა-

სობრივ მწიფობაში შედის 15 ოქტომბრიდან. ფოთოლცვენა ნორმალურ პირობებში იწყება ნოემბრის პირველ დეკადაში და დეკემბრის პირველ რიცხვებში მთავრდება.

ბროლა საშუალო ზრდა-განვითარებით ხასიათდება. მაღლარად აღზრდილ ვაზებზე ცალკეული რქების განვითარება ხშირად 1.5 მეტრამდე აღწევს.

წლის ამინდის ხელსაყრელ პირობებში ბროლას ერთი ძირი მაღლარი იძლევა 30 კმ ვერძებს და ზოგ შემთხვევაში მეტსაც. ექვს გარეშეა, რომ აგროტექნიკური ოპერაციების თავის დროზე და ხარისხობრივად შესრულების შედეგად საგრძნობლად გაიზრდება როგორც მოსავლიანობა და ხარისხობრივად ღუქის ხარისხი.

ვაზის ძველი ნაწილებიდან განვითარებული ყლორტები ჩვეულებრივ უმოსავლოა. ჯიში განიცდის ყვავილცვენას, რაც საშუალოდ 15%-მდე აღწევს. მტევანში დაწვრილმარცვლიანებას აქვს ადგილი, მხოლოდ მცირე რაოდენობით.

სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ ბროლა სუსტ გამძლეობას იჩენს და განსაკუთრებით ძლიერ ავადდება ჭრაქით.

მოსავლის გადიდებისა და პროდუქციის ხარისხობრივად გაუმჯობესების მიზნით სავალდებულოდ უნდა იქნეს მიზნული ბროლას გამრავლება ნამყენებით; ვაზების გაშენება უნდა წარმოებდეს სამხრეთით დახრილ მხით განათებულ ფერდობებზე, ფორმირება კი — ამალღებულ შტამბით, ე. წ. ოლიზნარული წესით. ნორმალურად დაყვავილების მიზნით სასურველია მისი გაშენება ჰერმოფროდიტული ყვავილების მქონე ვაზის ჯიშთა შორის.

სამეურნეო დახასიათება. აჭარის თეთრყურძნიანი ვაზის საღვინე ჯიშებს შორის ბროლა უდავოდ ფართო ყურადღების ღირსია, ვინაიდან მისი პროდუქცია წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული ადგილობრივი მნიშვნელობის ხარისხოვანი თეთრი სუფრის ღვინოების დასამზადებლად.

ბროლას ყურძნის მექანიკური და ქიმიური ანალიზების მიხედვით მისი მტევნის საშუალო წონა აღწევს 73 გრამს. დიდი მტევნის წონა 90 გრამია, ხოლო მცირესი — 60 გრამამდე; საშუალო მტევნის კლერტის წონა შეადგენს 4.0%-ს, კანის — 14.0%-ს, წიბის — 4.1%-ს და წვეწის გამოსავალი — 78 — 79%-ს.

100 მარცვლის საშუალო წონა უდრის 115 გრამს. 100 მარცვალში 243 ცალი წიბწია, წონით 7 გრამი. აქედან ერთწიბწიანი მარცვლები შეადგენს 11%-ს, ორწიბწიანი — 41%-ს, სამწიბწიანი — 37%-ს და ოთხწიბწიანი — 11%-ს. წვრილი მარცვლები ხშირად უწიბწოა ან 1 — 2 განუვითარებელ წიბწას შეიცავს.

ყურძნის სრული მწიფობის პერიოდისათვის შაქრიანობა მასში აღწევს 19.1 — 20.5%-ს, საერთო მჟავიანობა — 9‰-ს.

შუა და ზემო აჭარის რაიონებში მევენახეობის შემდგომ განვითარებას საფუძვლად უნდა დაედგას ბროლას მასობრივად გავრცელება ნამყენების სახით, სათანადოდ შერჩეულ, ფილოქსერის გამძლე საძირეებზე.

Б Р О Л А

Листья почти средней величины, длиной 14.2—15.3 см и шириной 14.5—15.5 см; поперек слегка овальные и слабо разрезные.

Черешковая выемка лировидная и с округлым дном. Лопости черешковой выемки состоят из трех нервов.

Верхние вырезки открытые и слабо намечены, реже щелевидной формы. Нижние вырезки едва намечены.

Лист трехлопастный. Угол оконечной лопасти тупой.

Оконечные зубцы лопастей треугольные, с острой или округленной вершиной; реже треугольно-пиловидные. Вторичные зубцы тоже треугольные с острой или округлой вершиной; реже пиловидные и односторонние - выпуклые.

Поверхность листа гладкая; по форме плоская или воронковидно-желобчатая. Снизу покрыта паутинисто-волосистым пушком.

Отношение черешка к длине среднего нерва 0.6 — 0.9; черешок голый и зеленого цвета, переходящего у основания в фиолетовый цвет.

Плодоносные побеги средней толщины, коричневого цвета. Длина междоузлий достигает 6 — 12 см. Цветы обоеполые, но функционально женские.



ბროლა — Брoла

Появление первых признаков созревания винограда наблюдается в начале сентября; массовое созревание наступает с 15 октября.

Длина ножки грозди 4—5 см, длина грозди — 13—17 см; ширина — 6—9.5 см. Количество ягод на грозди — 95—100 шт.

Общая форма грозди цилиндрическая или цилиндрическо-коническая; реже — ветвистая, рыхлая, иногда средней плотности. Ножка грозди с гребнем травянистая и зеленого цвета.

Длина ножки ягоды с подушечкой 4—5 мм, сама ножка зеленая. Подушечка гладкая широко-коническая.

Ягода светлозеленая; средней величины, длиной 14.5—18 мм и шириной 14.2—17.8 мм; округлая, посередине широкая, у конца округлая и симметричная. Мякоть довольно сочная и мясистая с приятным, сладким вкусом. Кожица довольно толстая.

Количество семян в ягоде 1—4 шт., чаще — 2. Длина семени 6—7 мм; ширина 3—3.5 мм; семя светлокорицевая; с брюшной стороны желтоватого цвета. Халаза овальная. Длина клюва достигает 1.5 мм.


Брола среднеурожайный сорт. Дает материал для приготовления довольно качественных вин массового потребления. Хорош также для стола. Виноград хорошо сохраняется. Среди аджарских белых сортов Брола заслуживает особого внимания и массового разведения, особенно в районе Кеди. В настоящее время встречаются его единичные экземпляры в виде „маглари“ в сел. Сихалидзе и Медзибна (Кедский район).

და მახვილი წვერით. მეორეული კბილები სამკუთხედისებრია, წამახვილებული ან მომრგვალებული წვერით. გვხვდება ხერსკბილა-სამკუთხედისებრი კბილებიც.

ფოთლის ქვედა მხარე მცირედ შებუსხვილია. ზედა მხარე გლუვია და ზოგჯერ ბადისებრად და დანაოქებული. ფირფიტა ბრტყელია; ზოგჯერ ძაბრისებრ-ღარისებრად და მოხრილი ან ნაპირებით ქვე-
მოთ ჩამოშვებული. მთავარი ძარღვები ღია მწვანეა და მცირედ შებუსხვილი.

ფოთლის ყუნწის შეფარდება შუა მთავარ ძარღვთან უდრის 0.8 — 1.1-ს; იგი შიშველი და მკვრივ მწვანიდან იისფერში გადადის.

ყვავილი ორსქესიანია. ზოგ ყვავილში მტვრიანები საგრძნობლად და გადახრილი ბუტკოდან ან მო-



სურ. 49. ხოფათურის ყვავილი.

კაკულია. ყვავილში 5 მტვრიანაა, გვხვდება 4 და იშვიათად 6 მტვრიანაც. ყვავილების რაოდენობა ყვა-
ვილედში აღწევს 260 — 300 ცალამდე (სურ. 49).

მტევნის ყუნწის სიგრძე 3 — 5 სმ-ია, მტევნის სიგრძე — 13 — 18 სმ, სიგანე — 8 — 9 სმ.

მტევნის საერთო ფორმა ცილინდრულ-კონუსისებრია, განტოტვილი და თხელი. მტევნის ყუნწი
კლერტით ბალახისებრია და ღია მწვანე.

მარცვლის ყუნწის სიგრძე საჯდომი ბალიშით აღწევს 5 — 6 მმ-ს. მწვანეა. საჯდომი ბალიში
დამეჭვებულთა და განიერ-კონუსისებრი, იშვიათად ვიწრო კონუსისებრი. მარცვალი საჯდომ ბალიშზე
საკმაოდ მტკიცედ არის მიმაგრებული.

მარცვალი ღია მწვანეა, მზის მხრიდან მოქარვისფრო ელფერით. საშუალო სიდიდის ან მსხვილია,
სიგრძით 12.8 — 16.8 მმ, სიგანით — 11.2 — 14.5 მმ. ოვალურია, შუა წელში უფრო განიერი-
ბოლო მომრგვალებული აქვს და სიმეტრიულია. საკმაოდ სქელკანიანია, მხოლოდ კანი ხორცთან ერ-
თად აღვილად იღებება. საკმაოდ წვნიანი და უფრო ხორციანია, სასიამოვნო ტკბილი გემოთი. მარცვ-
ლის კანი ცვილით მცირედ არის დაფარული.

მარცვალში 1 — 4 ცალი წიბწაა, უფრო ხშირად გვხვდება 2 და იშვიათად — 4. გვხვდება უწიბ-
წო მარცვლებიც. წიბწის სიგრძე აღწევს 6 — 7.5 მმ-ს, სიგანე — 3.5 — 4 მმ-ს. მოწაბლისფრო-ყავის-
ფერია, მუცლის მხრიდან ღარებში მოყვითალო ელფერით. ქალიძა მოთავსებულია ზურგის შუა ნა-
წილში, ფორმით მოგრძო-ოვალურია და საკმაოდ გამოსახული. ნისკარტის წვერი მუქი ყავისფერია,
ხშირად მოყვითალო ელფერით. მისი სიგრძე აღწევს 2 მმ-ს.

აგრობიოლოგიური დახასიათება. ქედის რაიონში ხოფათურის სავეგეტაციო პერიოდის
საერთო ხანგრძლიობა 230 — 235 დღემდე აღწევს. კვირტების გამოფურჩქვნა იწყება 10 აპრილიდან.
ყვავილობის პირველი ნიშნები ემჩნევა 6 — 7 ივნისიდან და ამინდის ხელსაყრელ პირობებში იგი
17 — 18 ივნისამდე მთავრდება. ყურძნის შეთვალვება იწყება აგვისტოს მიწურულში და მასობრივ მწი-
ფობაში 20 — 25 ოქტომბრიდან შედის. ფოთოლცვენა იწყება ნოემბრის მეორე ნახევრიდან და 1 დე-
კემბრისათვის მთავრდება.

ხოფათურის რქები სრულ მომწიფებას აღწევს ყურძნის მასობრივი მწიფობის პერიოდში და ამ
დროისთვის ჯიშის დამახასიათებელ ელფერს ღებულობს.

ხოფათური ძლიერად მზარდი ვაზის ჯიშია. მიუხედავად მოუვლევლობისა, მისი რქები მაღლარებ-
ზე ხშირად 2.5 — 3 მეტრამდე იზრდება.

ამინდის ხელსაყრელ პირობებში ხოფათური საშუალოზე დიდი მოსავლიანობით ხასიათდება. ერთი ძირი მალლარი ვაზის მოსავალი ხშირად 30 კგ-ს აღწევს. რქაზე 1—2 მტევანია, უფრო ხშირად გვხვდება ერთი მტევანი. ძველი ნაწილებიდან განვითარებული ყლორტები ჩვეულებრივ უმოსავლოა.

ჯიში განიცდის ყვავილცვენას, რაც ზოგ შემთხვევაში 10—15%-მდე აღწევს. მტევანში წვრილი მარცვლების რაოდენობა 5%-ს შეადგენს. წვრილი მარცვლები ხშირად უფრო ადრე მწიფდება, მაგრამ წიპწას არ ავითარებს.

სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ ხოფათური სუსტ გამძლეობას იჩენს და განსაკუთრებით მძიმე ავადდება ქრავით.

მოსავლიანობის ზრდისა და პროდუქციის ხარისხობრივი გაუმჯობესების მიზნით აუცილებელია ხოფათურის გამრავლება წარმოებდეს ნამყენების სახით, მხოლოდ სამხრეთით დაბრილ მზით განათებულ ფერდობებზე. ამავე დროს ვაზების ფორმირება უნდა წარმოებდეს ამაღლებულ შტამბზე, ე. წ. ოლიხნარული წესით ან ფორჩხზე გაშვებით და ვაზის დატვირთვა რამდენიმე საკავებლის დატოვებით. აგროტექნიკურ ღონისძიებათა დროულად და წესიერად გატარებით ხოფათური თავისი პროდუქციის მაღალი ღირსებით უდავოდ პირველ ადგილს დაიკავებს აქარულ თეთრყურძნიან ვაზის ჯიშებს შორის.

სამეურნეო დახასიათება. დანიშნულებით ხოფათური სუფრის ყურძნის ჯიშია და ამ მხრივ იგი სავსებით აკმაყოფილებს მოთხოვნილებას როგორც მტევნებისა და მარცვლების გარეგნული სილამაზით, ისე ყურძნის ტრანსპორტაბელობით, შენახვის უნარიანობითა და მაღალი გემოვნებითი თვისებებით. მისი პროდუქცია წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული აგრეთვე საკმაოდ ხარისხოვანი სუფრის ღვინოების დასამზადებლად.

ყურძნის მექანიკური და ქიმიური ანალიზების მიხედვით ხოფათურის მტევნის საშუალო წონა აღწევს 135 გრამს. მტევანზე საშუალოდ 54 ცალი მარცვალია. მსხვილი მტევნის წონა 175 გრამია, მცირეა — 90 გრამი. საშუალო მტევნის კლერტი შეადგენს 3.3%-ს, კანი — 19.8%-ს, წიპწა — 3.4%-ს და წვეწის გამოსავალი — 74%-ს.

100 მარცვლის საშუალო წონა აღწევს 230 გრამს. 100 მარცვალში 218 ცალი წიპწაა, წონით 6.5 გრამი. აქედან ერთწიპწიანი მარცვლები შეადგენს 12%-ს, ორწიპწიანი — 51%-ს, სამწიპწიანი — 28%-ს, ოთხწიპწიანი — 7%-ს და უწიპწო მარცვლები — 2%-ს.

ყურძნის სრული მწიფობის პერიოდში შაქრიანობა მასში 19.8—20%-მდე აღის, საერთო მჟავიანობა — 9.0%-მდე.

როგორც ხარისხოვანი სუფრის ყურძნის და საღვინე ჯიში, ხოფათური ფართო ყურადღების ღირსია, განსაკუთრებით ქედის, ბათუმისა და ქობულეთის მთისპირა რაიონებისათვის. აღნიშნულ მხარეებში მისი გავრცელება უნდა იქნეს წარმოებული მხოლოდ ნამყენების სახით, სათანადოდ შერჩეულ საძირებზე.

Х О П А Т У Р И

Листья средней или меньше средней величины, длиной 15.8 см и шириной 16.0 см, слегка поперек овальные или округлы. Слабо разрезные.

Черешковая выемка чаще лировидной формы и с округлым дном. Лопасть выемки состоит из трех нервов.

Верхние вырезки слабо намечены, реже расположены в виде входящего угла. Нижние вырезки едва намечены.

Лист трехлопастный. Угол оконечной лопасти тупой.

Оконечные зубцы лопастей треугольные, с округлой вершиной; встречаются также зубцы пилородной формы с загнутой острой вершиной. Вторичные зубцы треугольные, с острой или округлой вершиной; реже — пилородно-треугольные.

Поверхность листа гладкая или сетчато-морщинистая; плоская, реже воронковидно-желобчатая. Пластинка листа юкрыта снизу слабым паутинообразным волокном.

Отношение черешка к длине среднего нерва 0.8—1.0; черешок голый, светлозеленого цвета.

Плодоносные побеги средней толщины, коричневого цвета. Узлы окрашены темнее. Длина междоузлий достигает 10—17 см.

Цветы обоеполые.



ქართული
ენების ინსტიტუტი



ხოფათური — Хопатури

Появление первых признаков созревания винограда наблюдается в конце августа; массовое созревание наступает со второй половины октября.

Длина ножки грозди 3—5 см, длина грозди 13—18 см, ширина — 8—9 см. Количество ягод на грозди в среднем — 54 шт.

Общая форма грозди цилиндрическо-коническая и ветвистая; рыхлая. Ножка грозди с гребнем травянистая, светлозеленого цвета.

Длина ножки ягоды с подушечкой 5—6 мм, сама ножка зеленого цвета. Подушечка чашатая и широко-коническая, иногда узко-коническая.

Ягода светлозеленого цвета, средней величины или крупная; посередине широкая и симметричная. Мякоть довольно сочная и мясистая, с приятным сладким вкусом. Кожица толстая.

Количество семян в ягоде 1—4 шт., чаще — 2. Длина семени 6—7.5 мм, ширина — 3.5—4 мм. Халаза удлинненно-овальная. Длина клюва достигает 2 мм.

Хопатури качественный белый винный сорт; годен и для стола. Довольно урожайный. Виноград хорошо сохраняется и выдерживает транспорт.

В настоящее время данный сорт встречается довольно в большом количестве в виде „маглари“ в окрестностях Кеди и Хуло. Сорт заслуживает внимания и массового разведения исключительно привитыми саженцами в предгорных микрорайонах нижней и средней Аджарии.

თეთრი კაიკაცივილისეული



ქართული
ბიზნიმონიქა

კაიკაცივილისეული აქარის თეთრყურძნიანი ჯიშია. სამეურნეო დანიშნულებით იგი ხარისხიდან სუფრის ყურძნის ჯიშთა ჯგუფს ეკუთვნის.

წერილობითი მასალები აქარის რაიონებში ამ ჯიშის გავრცელების შესახებ არ მოგვეპოვება. ადგილობრივ კვლევის საფუძველზე გამოირკვა, რომ კაიკაცივილისეული წარსულში გავრცელებული ყოფილა მხოლოდ ქობულეთის რაიონში და ამჟამადაც მისი ხნოვანი ძირები მალღარების სახით, ისევე ქობულეთის რაიონის მთისპირა სოფლებში გვხვდება. ვაზის მებატრიანენი ამ ჯიშს „თეთრს“ უწოდებენ, თუმცა მას არავითარი მსგავსება არ აქვს ზემო აქარაში ფართოდ გავრცელებულ თეთრყურძნიან ჯიშთან, რომელსაც იქაც „თეთრს“ უწოდებენ (იხ. თეთრა). როგორც გადმოგვცემენ ეს ჯიში კაიკაცივილისეულის წინაპართ ტყიდან ჩამოუტანიათ და როგორც უზემოსავლიანი, მალღარების სახით ფართოდ გაუფრცვლებიათ თავიანთ ნაკვეთებში. ვინაიდან ჯიშს დაკარგული აქვს თავისი ნამდვილი სახელი, ზემო აქარაში გავრცელებული თეთრისაგან გასარჩევად მას დაფურთვით შემომტანის გვარი - კაიკაცივილი (აქედან კაიკაცივილისეული).

ბოტანიკური აღწერა. კვირტები გაშლის პერიოდში მოთეთრო-მოწითალოა და სქლად არის შებუსვილი ბეწვისებრი ბუსუსით. ასლად გაშლილი პირველი და მეორე ფოთლები ზედა მხრიდან მომწვანოა, მოწითალო ელფერით და საკმაოდ სქლად არის შებუსვილი. ქვედა მხრიდან მათი შებუსვა თითქმის ქერისებრია. ზრდის კონუსიდან მომდევნო მესამე და მეოთხე ფოთლებზე შებუსვა თანდათან მცირდება.

ახალგაზრდა ყლორტი მრგვალია და ღია მწვანე, ოდნავ მოწითალო ელფერით. საკმაოზე მცირედ შებუსვილია; შებუსვა უფრო მატულობს ყლორტის წვერისაკენ.

ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალოზე მცირე ან საშუალო სიდიდისაა. საერთო მოყვანილობით მომრგვალო ან ოდნავ განივ-ოვალურია. მცირედ დანაკეთულია. მისი საშუალო სიგრძე აღწევს 12.8—13.4 სმ-ს, სიგანე—12.4—13.9 სმ-ს.

ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ისრისებრია, მომრგვალო ფუძით. ფუძე შემოფარგლული აქვს ძარღვებით. გვხვდება აგრეთვე ჩანგისებრი ამონაკვეთი, რომლის ნაკვეთის კიდურები შემდგარია სამი ძარღვისაგან და ფუძე მახვილი აქვს.

ზედა ამონაკვეთი მცირედ არის ჩაჭრილი, ან საკმაოდ შეჭრილი კუთხით ხასიათდება. ქვედა ამონაკვეთი მცირედაა ჩაჭრილი.

ფოთოლი სამნაკეთიანია. წვერის ნაკვეთი ფოთლის ფირფიტასთან ქმნის ბლაგვ კუთხეს. იშვიათად—სწორს.

ნაკვეთთა წვერის კბილები სამკუთხედისებრია, მომრგვალებული ან წამახვილებული წვერით; გვხვდება აგრეთვე ხერხებილა-სამკუთხედისებრი კბილებიც. მეორადი კბილებიც ასეთივე მოყვანილობისაა.

ფოთლის ქვედა მხარე მცირედაა შებუსვილი. მისი ზედაპირი ზადისებრად არის დანაკეთული; გვხვდება გლუვი ზედაპირის მქონე ფოთლებიც. ფირფიტა ძაბრისებრ-ღარისებრად არის მოხრილი ან ნაპირებით ზემოთაა აწეული.

მთავარი ძარღვები ძლიერ მცირედ არის შებუსვილი და ღია მწვანეა.

ფოთლის ყუნწის შეფარდება შუა მთავარ ძარღვთან უდრის 0.8 — 1.0-ს; იგი მიშველია და ღია მწვანე, რომელიც ფუძესთან წითელ-ღვინისფერში გადადის.

შემოსული რქა საშუალო სიმსხოსია. ღია ყავისფერია. მუხლები უფრო მუქად არის შეფერილი. მუხლთშორისის სიგრძე აღწევს 7 — 13 სმ-ს.

ყვავილი ორსქესიანია ნორმალურად განვითარებული ბუტკოთი და მტვრიანებით. მტვრიანები მცირეოდნად უგრძესია ბუტკოზე. ყვავილში 5 მტვრიანაა; იშვიათად გვხვდება 4 და 6 მტვრიანაც. ყვავილების რაოდენობა ყვავილედში 310 — 700 ცალამდე აღწევს.

დიდი მტევნის ყუნწის სიგრძე აღწევს 4.5 — 5 სმ-ს, მტევნის სიგრძე — 21 — 25 სმ-ს, სიგანე — 16 — 18 სმ-ს. მტევანზე 130 — 180 ცალი მარცვალია. საშუალო მტევნის ყუნწის სიგრძე აღწევს 4 — 5 სმ-ს, მტევნის სიგრძე — 15 — 18 სმ-ს, სიგანე — 10 — 12 სმ-ს. მტევანზე 90 — 110 ცალი მარცვალია. მტევანს ახასიათებს განტოტვა, რომელიც თვით მტევნის სიგრძის ნახევარს აღწევს.

მტევნის საერთო ფორმა ცილინდრულ-კონუსისებრია, განტოტვილია და საშუალო სიმკვრივის, ზოგჯერ თხელი. მტევნის ყუნწი და თვით კლერტი ბალახისებრია და ღია მწვანე.

მარცვლის ყუნწი საჯდომი ბალიშით აღწევს 7 — 8 მმ-ს. ღია მწვანეა. საჯდომი ბალიშით დაშვებულია და განიერ-კონუსისებრი. მარცვალი საჯდომ ბალიშზე საკმაოდ მტკიცედ არის მიმაგრებული.

მსხვილი მარცვლის საშუალო სიგრძე აღწევს 17.5 — 18.5 მმ-ს, სიგანე — 17.4 — 18.5 მმ-ს, საშუალო მარცვლის საშუალო სიგრძე უდრის 16.4 — 17.5 მმ-ს, სიგანე — 16.2 — 17.4 მმ-ს.

მარცვალი ღია მწვანეა, მოქარვისფრო ელფერიით. საშუალო ან საშუალოზე უფრო მსხვილია. ფორმით მომრგვალო, შუა წელში უფრო განიერი, ბოლო მომრგვალებული აქვს და სიმეტრიულია. საკმაოდ სქელკანიანია, საკმაოდ ხორციანი და წვნიანი, მეტად ტკბილი და სასიამოვნო გემოთი. მარცვლის კანი ფიციკით (ცვილით) მცირედ არის დაფარული.

მარცვალში 1 — 3 ცალი წიბწაა, უფრო ხშირად გვხვდება 1 წიბწა. წიბწის სიგრძე აღწევს 6 — 7 მმ-ს; სიგანე — 3 — 4 მმ-ს. მოწაბლისფროა. ქალაძე მოთავსებულია ზურგის მხარის შუა წელში-ფორმით ოვალურია. ნისკარტის სიგრძე აღწევს 2 მმ-ს.

აგრობიოლოგიური და სამეურნეო დახასიათება. კობულეთის რაიონის მთისპირად მდებარე სოფლებში კაიკაციშვილისეულის სავეგეტაციო პერიოდის საერთო ხანგრძლიობა 245 დღემდე აღწევს. ვაზი კვირტების გამოფურჩქვნას იწყებს 6 — 8 აპრილიდან. ყვავილობის პირველი ნიშნები ემჩნევა 6 — 8 ივნისიდან და ამინდის ნორმალურ პირობებში 18 — 20 ივნისამდე მთავრდება. ყურძნის შეფალება იწყება 20 — 25 აგვისტოდან, ხოლო მასობრივ მწიფობაში ოქტომბრის პირველ რიცხვებში შედის. ფოთოლცვენა იწყება 10 ნოემბრიდან და ამავე თვის ბოლო რიცხვებში მთავრდება.

რქები სრულ მომწიფებას აღწევს ყურძნის მასობრივი მწიფობის პერიოდში და ამ დროისთვის ჯიშის დამახასიათებელ ელფერს ღებულობს.

მალღარად აღზრდის გამო, კაიკაციშვილისეულის ვაზები მოკლებულია სათანადო ნოვლას; მიუხედავად ამისა ჯიშში ძლიერი ზრდა-განვითარებით ხასიათდება და სავეგეტაციო პერიოდის დასასრული-სათვის რქები სიგრძით 2.5 — 3 მეტრამდე აღწევს.

ამინდის ხელსაყრელ პირობებში კაიკაციშვილისეული მეტად უხვი მოსავლიანობით ხასიათდება. ერთი ძირი მალღარი ვაზის მოსავალი ხშირად 40 — 50 კგ-ს აღწევს. რქაზე ხშირად ერთი მტევანია განვითარებული, იშვიათად — ორი. მტევნის წონა საშუალოდ 400 — 500 გრამია და ზოგჯერ ერთ კილოგრამსაც აღემატება. ვაზის ძველი ნაწილებიდან წარმოშობილი ყლორტები მოსავალს არ იძლევა.

სოკოვან ავადმყოფობათა და მეტადრე ნაცრის მიმართ იგი საკმაოდ გამძლეობას იჩენს.

ყურძნის მექანიკური და ქიმიური ანალიზების მიხედვით კაიკაციშვილისეულის მტევნის საშუალო წონა 355 გრამს აღწევს. 100 მარცვლის საშუალო წონა 262 გრამია. 100 მარცვლის კანის წონა 20.1 გრამს აღწევს. კლერტის საშუალო წონა უდრის 6.8 გრამს და წვენიც გამოსავალი 71% -ს შეადგენს. ყოველ ას მარცვალში საშუალოდ 140 ცალი წიბწაა, წონით 7.0 გრამი. აქედან ერთწიბწიანი მარცვლები შეადგენს 55% -ს, ორწიბწიანი — 32% -ს და სამწიბწიანი მარცვლები — 13% -ს.

მწიფე ყურძნის ტკბილობა აღწევს 21.5% -ს და საერთო მჟავიანობა — 9.4% -ს.

სამეურნეო დანიშნულებით კაიკაციშვილისეული სუფრის ყურძნის ჯიშია და ამ მხრივ იგი სავსებით აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, როგორც მტევნების ფორმით, სიდიდით, მარცვლების სიმსხოთი და სილამაზით, აგრეთვე გემური თვისებებით, ყურძნის ტრანსპორტაბელობითა და შენახვის უნარიანობით. მისი პროდუქტია წარმატებით შეიძლება იქნეს აგრეთვე გამოყენებული ხარისხოვანი თეთრი სუფრის ღვინოების დასამზადებლად. ამიტომ კაიკაციშვილისეულმა აქარის თეთრ ყურძნიან ჯიშებს შორის საპატიო ადგილი უნდა დაიკავოს და მისი გავრცელება დაუბრკოლებლივ უნდა იქნას წარმოებული კობულეთისა და ბათუმის რაიონების მთისპირად მდებარე სოფლებში, მხოლოდ ამაღლებული შტამებით და ნამყენების სახით, სათანადო შერჩეულ ამერიკულ საძირებზე.

ТЕТРИ КАИКАЦИШВИЛИСЕУЛИ

Листья меньше средней величины, длиной 12.8—13.4 см и шириной 12.4—13.9 см. Округлые или поперек слегка -овальные. Слабо разрезные.

Черешковая выемка стрельчатая и ограничена нервами. Встречается также лировидная с острым дном, лопасти которой состоят из трех нервов.

Верхние вырезки слабо выражены, реже—расположены в виде входящего угла. Нижние вырезки очень слабо намечены.

Лист трехлопастный. Угол конечной лопасти тупой.

Оконечные зубцы лопастей треугольные, с округленной или острой вершиной, встречаются также зубцы пилевидно-треугольной формы. Вторичные зубцы по форме сходны с окончными зубцами лопастей.

Поверхность листа сетчато-морщинистая, реже гладкая; по форме воронковидно-желобчатая, или краями приподнята вверх.

Отношение черешка к длине среднего нерва 0.8—1.0; черешок голый и светлозеленый, переходящий у основания в виннокрасный цвет.

Плодоносные побеги средней толщины; светлокоричневого цвета. Узлы окрашены темнее. Длина междоузлий достигает 7—13 см.

Появление первых признаков созревания винограда наблюдается с 20—25 августа; массовое созревание наступает в первых числах октября.

Длина ножки грозди 4—5 см, длина грозди—15—25 см, ширина—10—18 см; количество ягод на грозди—90—180 шт.

Общая форма грозди цилиндрическо-коническая и часто ветвистая, средней плотности. Средний вес грозди 400—500 гр. Ножка грозди с гребнем травянистая и светлозеленая.

Длина ножки ягоды с подушечкой 7—8 мм, сама ножка светлозеленая. Подушечка бородавчатая и широко-коническая.

Ягода светлозеленая, средней величины, длиной 16.4—18.5 мм и шириной 16.2—18.5 мм, округлая, посередине широкая, у конца округлая и симметричная. Мякоть довольно сочная и мясистая, с очень приятным сладким вкусом. Кожица довольно толстая. Количество семян в ягоде 1—2 шт., чаще-1. Длина семени 6—7 мм, ширина 3—4 мм. Семя каштанового цвета. Халаза овальная; спинная сторона гладкая. Длина клюва достигает 2 мм.

Тетри Каикацишвилисеули обильно урожайный сорт. Вес одной грозди часто достигает до 1 килограмма. Виноград хорошо сохраняется и выдерживает транспорт. Среди белых аджарских сортов винограда тетри Каикацишвилисеули заслуживает особого внимания и массового разведения привитыми саженцами, особенно в предгорных микрорайонах Кобулетского района.

В настоящее время данный сорт встречается в виде „маглари“ в Кобулетском районе. Владелец называет его „тетри“ (белый). В результате ампелографического изучения выяснилось, что этот сорт не идентичен с распространенным в верхней Аджарии белым виноградом под этим же наименованием а потому, в отличие от верхне-аджарского Тетра, назван по фамилии владельца этого ценного сорта.



ქართული
ენციკლოპედია



კაიკაციშვილისეული თეთრი — Каикацишвилисеული тетри



ამ სახელწოდებით საქართველოს მრავალ რაიონში გვხვდება ვაზის სხვადასხვა ჯიშის მსხვილ-
 თაღ, კახეთში გავრცელებულია თეთრი ყურძენი, რაჭა-ლეჩხუმში — თეთრა წმინდა და თეთ-
 რა, გურიაში — თეთრი შა, სამეგრელოში — ჩეში და აჭარაში — თეთრა. დასახელებული ჯიშების
 შედარებიდან ნათელი ხდება, რომ ისინი ურთიერთისაგან მკვეთრად განსხვავდებიან როგორც ამპე-
 ლოგრაფიული ნიშნებით, ისე ყურძნის პროდუქციის ღირსებით და სამეურნეო დანიშნულებით. მაგ-
 რამ, როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავს აკად. ივ. ჯავახიშვილი (1) „ყურძნის არა ერთი
 ჯიშის განმასხვავებელ სახელწოდებად ქართველ მევენახეს მარცვლის თეთრფერიანობა მიუჩნევია“ და
 ეს სახელებიც საუკუნეთა მანძილზე დაფუძნებულია საქართველოს ზემოაღნიშნულ რაიონებში.

აჭარის ვაზის ამორიგენულ ჯიშებს შორის თეთრა ძველთაგანვე ცნობილია, როგორც საკმაოდ
 მაღალხარისხოვანი პროდუქციის მომცემი სუფრის ყურძნისა და საღვინე ჯიში. იგი წარსულში ფარ-
 თოდ ყოფილა გავრცელებული შუა და ზემო აჭარის რაიონებში და, როგორც გადმოგვცემენ, უხვი
 მოსავლიანობით და პროდუქციის საკმაოდ მაღალი ხარისხით ხასიათდებოდა.

სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის მოკმედების შედეგად თეთრას მაღლარები მნიშვნე-
 ლოვნად შემცირდა, მაგრამ სხვა ადგილობრივ ჯიშებთან შედარებით იგი ამჟამად მაინც საკმაოდ ღირ-
 რაოდენობით არის წარმოდგენილი შუა და ზემო აჭარაში, განსაკუთრებით ხულოს რაიონში (სოფ-
 დეკანაშვილებში, ჩაოში, აღმეში, თურთიოში და სხვ.). მაღლარად აღზრდის გამო ვაზების მოვლა არ
 წარმოებს და მიუხედავად ამისა, თუ კარგი ამინდი დაუდგა, თეთრა უხვსა და ხარისხოვან მოსავალს
 იძლევა.

ბოტანიკური აღერა. კვირტები გაშლის პერიოდში მონაცრისფროა, ოდნავ მოწითალო
 ელფერი. ახლად გაშლილი პირველი ფოთოლი ზედა მხრიდან მომწვანო ღია წითელია და როგორც
 ზედა, ისე ქვედა მხრიდან დაფარულია თითქმის ქეჩისებრად თეთრი-მონაცრისფრო ბუსუსით. პირვე-
 ლი ფოთლის მომდევნო მეორე და მესამე ნორჩი ფოთლები მომწვანო-იისფერია, მოწითალო ელფე-
 რით, და საკმაოდ სქლად არის დაფარული მონაცრისფრო ბეწვისებრი ბუსუსით. როგორც ზემოდან,
 ისე ქვემოდან შებუსვა მომდევნო ფოთლებზე საგრძნობლად მცირდება.

ახალგაზრდა ყლორტი მრგვალია, ერთ მხარეზე მომწვანო და მეორე მხარეზე ღია მოწითალო.
 მცირედ არის დაფარული მონაცრისფრო ბეწვისებრი ბუსუსით. შებუსვა უფრო მატულობს ყლორტის
 წვერისაკენ.

შემოსული რქა საშუალო სიმსხოსია. ყავისფერია. მუხლები უფრო მუქად არის შეფერილი.
 მუხლთშორისის სიგრძე 7 — 15 სმ-ს აღწევს.

ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალო სიდიდისაა და ფორმით მომრგვალო ან ოდნავ ოვალუ-
 რია. საკმაოდ დანაკეთულია. გვხვდება მცირედ დანაკეთული ფოთლებიც. ფირფიტის საშუალო სიგრძე
 აღწევს 14.2 — 17.9 სმ-ს, სიგანე — 14.2 — 17.3 სმ-ს.

ფოთლის ყუნწის ამონაკვეთის კიდეები შედგება ოთხი ძარღვისაგან. ფორმით ჩანგისებრია,
 მომრგვალებული ფუძით, ან უფორმო ისრისებრია; ზოგჯერ დახურულია.

ფოთლის ზედა ამონაკვეთი უფრო ხშირად ღიაა, განიერ-ელიფსური ნასვრეტით, ან დახურულია
 კვერცხისებრი ნასვრეტით და მომრგვალებული ფუძით; გვხვდება მცირედ ჩაქრილი ამონაკვეთებიც.
 ქვედა ამონაკვეთი მცირედ ან საკმაოდაა ჩაქრილი.

ფოთოლი საშნაკეთიანია. წვერის ნაკეთი ფოთლის ფირფიტასთან ქმნის ბლაგვ კუთხეს.
 ნაკეთთა წვერის კბილები სამკუთხედისებრია, წამახვილებული წვერით, ან ხერხებილა-სამკუთხე-
 დისებრია. მეორადი კბილები მთავარი კბილების მსგავსია.


ფოთლის ქვედა მხარე მცირედ არის დაფენილი ბუსუსით, ზედა მხარე კი გლუვია ან ბადისებრად
 დანაკეტილი. ფირფიტა ბრტყელია ან ძაბრისებრ-ღარისებრი მოყვანილობისაა.

მთავარი ძარღვები მცირეოდნადაა დაფარული ბუსუსით და ღია მწვანეა.

ფოთლის ყუნწის შეფარდება შუა მთავარ ძარღვთან უდრის 0.8 — 0.9-ს; იგი შიშველია და ღია მწვანე, რაც თანდათანობით იისფერში გადადის.

ყვავილი ორსქესიანია, ნორმალურად განვითარებული ბუტკოთი და მტვრიანებით, ყვავილში 5 მტვრიანაა, გვხვდება 4 და იშვიათად 6 მტვრიანაც. ყვავილედში ყვავილების რიცხვი 340 ცალიმდე აღწევს (სურ. 52).

დიდი მტევნის ყუნწის სიგრძე აღწევს 3 — 4 სმ-ს, მტევნის სიგრძე — 14 — 15 სმ-ს, სიგანე — 6.5 — 9 სმ-ს. მტევანზე 60 — 120 ცალი მარცვალია. საშუალო მტევნის ყუნწის სიგრძე აღწევს 3 — 4.5 სმ-ს, მტევნის სიგრძე — 10 — 13 სმ-ს, სიგანე — 5.5 — 6 სმ-ს. მტევანზე 35 — 60 ცალი მარცვალია.



სურ. 52 თეთრას ყვავილი

მტევნის საერთო ფორმა ცილინდრულ-კონუსისებრია. საშუალო სიმკვრივისაა; გვხვდება თბელი მტევნებიც. მტევნის ყუნწი და კლერტი ბალახისებრია და ღია მწვანე.

მარცვლის ყუნწის სიგრძე საჯდომი ბალიშით აღწევს 5 — 6 მმ-ს. მწვანეა. საჯდომი ბალიშში გლუვია, იშვიათად დაძეჭვებული და ვიწრო-კონუსისებრი. მარცვალი საჯდომ ბალიშზე საკმაოდ მტკიცედ არის მიმაგრებული.

მსხვილი მარცვლის საშუალო სიგრძე აღწევს 16 — 17.4 მმ-ს, სიგანე — 15.4 — 16.8 მმ-ს, საშუალო მარცვლის საშუალო სიგრძე აღწევს 12.8 — 15.2 მმ-ს, სიგანე — 12.4 — 14.7 მმ-ს.

მარცვალი ღია მწვანეა, საშუალო სიდიდის, ფორმით მომრგვალო ან ოდნავ ოვალური. შუა წელში უფრო განიერია, ბოლო მომრგვალებული აქვს და სიმეტრიულია. საკმაოდ სქელკანიანია, წვნიანი და ხორციანი, სასიამოვნო ტკბილი გემოთი. მარცვლის კანი ფიფქით (ცვილით) მცირედ არის დაფარული.

მარცვალში 1 — 4 ცალი წიბწაა, სქარბობს 3 წიბწა. წიბწის სიგრძე აღწევს 6.5 — 7 მმ-ს, სიგანე — 3 — 4 მმ-ს. მუქი ყავისფერია, მუცლის მხრიდან ღარების გასწვრივ კი ღია მოყვითალოა. ქალაძა მოთავსებულია ზურგის მხარის შუა წელში; ფორმით მოგრძო-ოვალურია და კარგადაა გამოსახული. ნისკარტის სიგრძე აღწევს 1.5 — 2 მმ-ს.

აგრობიოლოგიური და სამეურნეო დახასიათება. ხულოს რაიონის სოფ. ჩაოში, თეთრას სავეგეტაციო პერიოდის საერთო ხანგრძლიობა 246 — 248 დღემდე აღწევს. კვირტების წამობერვა იწყება 1 აპრილიდან. ყვავილობის პირველი ნიშნები ემჩნევა 12 — 13 ივნისიდან და იგი 24 — 25 ივნისამდე მთავრდება. ყურძენი შეთვალვას იწყებს აგვისტოს ბოლოდან და მასობრივ სიმწიფეში შედის 25 — 28 ოქტომბრიდან. ფოთოლცვენა იწყება ნოემბრის შუა რიცხვებში და მთავრდება დეკემბრის პირველ რიცხვებში.

ვაზის ზრდა-განვითარება საშუალოზე ძლიერია. მაღლარად აღზრდის გამო ვაზების მოვლას სრულებით არ აწარმოებენ. მიუხედავად ამისა, წლის ამინდის ხელსაყრელ პირობებში რქები ნორმალურ განვითარებას აღწევს და სავეგეტაციო პერიოდის დასასრულისათვის სიგრძით ხშირად 2 — 2.5 მეტრამდე ვითარდება. რქები სრულ მომწიფებას ყურძნის მასობრივი სიმწიფის პერიოდშივე აღწევს.

თეთრა უხვმოსავლიანი ჯიშია. წლის კარგი ამინდის პირობებში ერთი ძირი მაღლარი იძლევა 50 — 60 კილოგრამ ყურძენს და ზოგ შემთხვევაში მეტსაც. რქაზე ხშირად ორი მტევანი ვითარდება, მხოლოდ არა თანაბარი სიდიდისა. ვაზის ძველი ნაწილებიდან წარმოშობილი ყლორტები უმოსავლიანია.

სამხრეთისაკენ დახრილ ღვრილებში თეთრა გაცილებით მაღალხარისხოვან პროდუქციას იძლევა (აღმეში, ფურთიოში, ვაიოში) და ამიტომ მისი შემდგომი გაშენებაც მხოლოდ სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთით მიმართულ, მზით უხვად განათებულ, ნაკვეთებში უნდა იქნეს წარმოებული. კულტურულ პირობებში ჩაყენებით თეთრა, ცხადია, უფრო მაღალხარისხოვან პროდუქციას მოგვცემს და ამიტომ აუცილებელია მისი მაღლარიდან დაბლარზე გადმოყვანა, ოღონდ ამაღლებული შტამბით, რომ ამით გაადვილდეს, როგორც სხვა და წამლობა, ისე ზაფხულის მწვანე ოპერაციებიც.



თეთრას ყურძენი ტრანსპორტაბელურია და დაკრეფილი კარგად ინახება მთელი ზამთრის განმავლობაში. ვაზზე დატოვებული ყურძენი იანვრამდე ძლებს და არ ქკნება.

მწიფე ყურძენში შაქრიანობა 20% — მდე აღწევს, ხოლო მჟავიანობა 9 — 10% — მდე.

მტევნის საშუალო წონა 158 გრამია. 100 მარცვალი საშუალოდ 203 გრამს იწონის, ხოლო კანი აქედან 18.8 გრამს შეადგენს, 100 მარცვალში 275 წიპწაა, წონით 10.3 გრამი. საშუალო მტევნის კლერტის წონა აღწევს 5.8 გრამს და წვნის გამოსავალი 73.5% -ს.

ამრიგად, თეთრას ვაზებს ნორმალურ ზრდა-განვითარებასთან და უხვმოსავლიანობასთან ერთად ახასიათებს ხარისხოვანი პროდუქცია (შენახვის უნარი და კარგი გემური თვისებები). ამიტომ იგი ფართო ყურადღების ღირსია, განსაკუთრებით ზემო აჭარისათვის, სადაც საგვიანო მოწვევის ვაზის ჯიშების (კოლიკოური, ციცქა, ჩხავერი) დამაკმაყოფილებელ შედეგებს არ გვაძლევს. აღნიშნულ მხარეში თეთრას გავრცელება უნდა მოხდეს ნაწყენების სახით დაბლარად სათანადოდ შერჩეულ, ფილოქსერის გამძლე ამერიკული ვაზის საძირებზე. ხულოს რაიონში მევენახეობის შემდგომ განვითარებას ძირითადად საფუძვლად უნდა დაედვას თეთრას გავრცელება.

Т Е Т Р А (БЕЛЫЙ)

Листья средней величины, длиной 14.2 — 17.9 см и шириной 14.2 — 17.3 см; округлые или слегка овальные.

Черешковая выемка лировидная; с округлым дном или неправильно-стрельчатая. Лопости выемки состоят из 4 нервов.

Верхние вырезки открытые с широко-эллиптическим просветом или же закрытые, с яйцевидным просветом и округлым дном. Встречаются также вырезки слабо разрезные. Нижние вырезки слабо намечены или расположены в виде входящего угла.

Лист трех и реже пятилопастный. Угол оконечной лопасти тупой.

Оконечные зубцы лопастей треугольные, с острой вершиной или треугольно-пиловидные. Вторичные зубцы схожи с оконечными зубцами лопастей.

Поверхность листа гладкая или сетчато-морщинистая; парская, реже воронковидно-желобчатая. Пластинка листа покрыта снизу слабой паутиной.

Отношение черешка к длине среднего нерва 0.8 — 0.9; черешок голый и светлозеленого цвета, переходящего в фиолетовый.

Плодоносные побеги средней толщины. Узлы окрашены темнее, чем междоузлия. Длина междоузлий 7 — 15 см.

Цветы обоеполые.

В Хулойском районе появление первых признаков созревания винограда наблюдается в конце августа, массовое созревание наступает с 25—28 октября.

Длина ножки грозди 3 — 4.5 см, длина грозди — 10 — 15 см, ширина — 5.5 — 9 см. Количество ягод на грозди до 120 шт.

Общая форма грозди цилиндрическо-коническая, средней плотности, иногда рыхлая. Средний вес грозди достигает 158 гр. Ножка грозди с гребнем травянистая и светлозеленая.


Длина ножки ягоды с подушечкой 5 — 6 мм, сама ножка зеленого цвета. Подушечка гладкая, реже — бородавчатая и узкоконическая.

Ягода светлозеленая, средней величины длиной 12.8 — 17.4 мм и шириной 12.4 — 16.8 мм; округлая или слегка овальная, посередине широкая и симметричная. Кожица довольно толстая. Мякоть довольно сочная и мясистая, с приятным сладким вкусом.

Количество семян в ягоде 1 — 4 шт, чаще — 3. Длина семени 6.5 — 7 мм, ширина — 3 — 4 мм; темнокоричневого цвета, с брюшной стороны светложелтого цвета. Халаза удлиненно-овальная. Длина клюва достигает 1.5 — 2 мм.

Тетра — довольно урожайный. По назначению — столовый сорт; годен и для приготовления довольно качественных столовых вин местного потребления. Виноград хорошо сохраняется и выдерживает транспорт. Встречается довольно в большом количестве в виде «маглари» в Хулойском и Кедском районах, в сел. Чао, Фуртио, Деканашвилеби, Зендиди, Сихалидзе, Асамбадзе и в окрестностях Кеда.

Сорт заслуживает внимания и массового разведения исключительно привитыми саженцами, особенно в районах верхней Аджарии.



ЭЛН 19363431
31247110133



საქართველოს
საბუნებისმეტყველო
მეცნიერებათა
აკადემია

თეტრა — Tetra



მისკიეთა

მისკიეთა თეთრყურძნიანი ჯიშია. გავრცელებულია მაღლარების სახით ქედის რაიონში (სოფ. სიხალიძეში, მეძიბნაში და თვით ქედის მიდამოებში).

წერილობითი მასალები აქარაში მისკიეთას წარმოშობის შესახებ არ მოგვეპოვება. ქვემოთადაც აღმოცემით, აღნიშნული ჯიში თურქეთიდან უნდა იყოს შემოტანილი მეცხრამეტე საუკუნის მიწველ ნახევარში. ადგილზე წარმოებული დაკვირვებით და მასალის კაბინეტური დამუშავებით დასტურდება, რომ მისკიეთა ადგილობრივი წარმოშობის არ არის და იგი შემოტანილია უცხოეთიდან.

აკად. ს. კორჯინსკის თავის შრომაში (12) აღწერილი აქვს „მისკეთ“ (Misket) და მას იგი ყირიმულ ჯიშად თვლის. ჩვენ მიერ აქარაში აღწერილ მისკიეთას და კორჯინსკის „მისკეთის“ ურთიერთ შედარებიდან აშკარაა მათი არაიდენტურობა. ასე, მაგ., აქარაში გავრცელებულ მისკიეთას ზრდადამთავრებული ფოთოლი მცირედ ან საკმაოდაა დანაკვეთული, ქვედა მხრიდან თითქმის შეუბუსავია (შებუსვილია მხოლოდ ძარღვების გასწვრივ); ავითარებს საშუალო სიდიდის ცილინდრულ-კონუსისებრი მოყვანილობის მტევნებს, ღია მწვანე მოგრძო მარცვლებით. კორჯინსკის მიერ აღწერილი „მისკეთის“ ფოთოლი კი ღრმადაა დანაკვეთული და ქვედამხრიდან ქეჩისებრი შებუსვით ხასიათდება; ავითარებს საშუალო სიდიდის ცილინდრულ-კონუსისებრი მოყვანილობის და ხშირად განტოტვილ მტევნებს მრგვალი მარცვლებით. მარცვალს ახასიათებს სპეციფიკური მუსკატისებრი არომატი.

საფიქრებელია, რომ ჩვენ მიერ აღწერილი მისკიეთა უნდა წარმოადგენდეს „მისკეთის“ ვარიაციას. რადგან ორივე სუფრის ყურძნის ჯიშთა ჯგუფს ეკუთვნის, ან შესაძლებელია შემომტანის მიერ სულ სხვა ჯიში შეცდომით იყოს მონათლული მისკიეთას სახელწოდებით.

ბოტანიკური აღწერა. კვირტები გაშლის პერიოდში ღია მწვანეა, მოწითალო ელფერიით და საკმაოდაა შებუსვილი. ზრდის კონუსიდან მომდევნო პირველი და მეორე ფოთოლი როგორც ზედა ისე ქვედა მხრიდან საკმაოდაა შებუსვილი. ბუსუსი ბეწვისებრია და მონაცრისფრო-თეთრი. შემდგომ ფოთლებზე (3 და 4) შებუსვა თანდათან მცირდება და ყლორტის ბაზასთან მდებარე ფოთლებზე მხოლოდ ძარღვების გასწვრივ რჩება.

ახალგაზრდა ყლორტი ღია მწვანეა და მცირედ შებუსვილი. შებუსვა უფრო მატულობს ყლორტის წვერისაკენ.

შემოსული რქა მომრგვალო და საშუალო სიმსხოსია. ყავისფერია. მუხლები უფრო მუქად აქვს შეფერილი. მუხლთშორისის სიგრძე 7 — 15 სმ-ს აღწევს.

ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალო სიდიდისაა. საერთო მოყვანილობით, მომრგვალოა მცირედ დანაკვეთული. გვხვდება საკმაოდ დანაკვეთული ფოთლებიც. ფოთლის საშუალო სიგრძე აღწევს 14.5 — 15.8 სმ-ს, სიგანე — 14.5 — 15.6 სმ-ს.

ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი დახურულია და ნაკვეთების კიდურები შემდგარია სამი ძარღვისაგან ან ელიფსური მოყვანილობისა; მათი ნაპირები ურთიერთზე საკმაოდაა გადადებული. გვხვდება ღია ამონაკვეთებიც ჩანგისებრი ფორმისა მომრგვალო ან მახვილი ფუძით; მათი ნაკვეთების კიდურები შემდგარია სამი ძარღვისაგან.

ფოთლის ზედა ამონაკვეთი მცირედაა ჩაქრილი, ზოგჯერ განიერ ნასვრეტისებრია. ქვედა ამონაკვეთი მცირედ ან საკმაოდ არის ჩაქრილი.

ფოთოლი სამნაკვეთიანია. წვერის ნაკვეთი ფოთლის ფირფიტასთან ქმნის ბლაგვ კუთხეს. ნაკვეთთა წვერის კბილები სამკუთხედისებრია, მომრგვალებული ან მახვილი წვერით; გვხვდება აგრეთვე ხერხკბილა — სამკუთხედისებრი კბილები. მეორეული კბილები მთავარი კბილების მსგავსია.

ფოთლის ქვედა მხარე თითქმის შიშველია. მცირეოდენი შებუსვა მხოლოდ ძარღვების გასწვრივ ახასიათებს. ფირფიტის ზედაპირი უფრო ხშირად ბრტყელია ან ძაბრისებრ-ღარისებრად არის მოხრილი.

მთავარი ძარღვები ღია მწვანეა და შიშველი, მხოლოდ ფუძესთანაა შესამჩნევი მცირეოდენი ბუსუსი. ფოთლის ყუნწის შეფარდება შუა მთავარ ძარღვთან უდრის 0.7 — 0.9-ს. იგი შიშველია და ღია მწვანე, ფუძესთან კი იისფერში გადადის.

ყვავილი ორსქესიანი, აწესიერად განვითარებული ბუტკოთი და მტვრიანებით. ყვავილში 5 მტვრიანაა, იშვიათად გვხვდება 4 და 6 მტვრიანაც. ყვავილედში ყვავილების რიცხვი 270 ცალამდე აღწევს. მტევნის ყუნწის სიგრძე 5 — 7 სმ-ია, მტევნის სიგრძე — 10 — 13 სმ, სიგანე — 6 — 9 სმ. მარცვლების რაოდენობა მტევანზე 55 — 90 ცალამდეა.

მტევნის საერთო ფორმა ცილინდრულ-კონუსისებრია, ზოგ შემთხვევაში ფრთხილი, საკმაოდ მკვრივია, გვხვდება თხელი აგებულების მტევნებიც.

მარცვლის ყუნწის სიგრძე საჯდომი ბალიშით აღწევს 5 — 9 მმ-ს. ღია მწვანე-მწიფე-ყვითელი ფერით, საჯდომი ბალიში დამეჭეჭებულია და განიერ-კონუსისებრი, ზოგჯერ ვიწრო-კონუსისებრი. მარცვალი საჯდომ ბალიშზე მტკიცედ არის მიმაგრებული.

მარცვალი ღია მწვანეა, მოყვითალო ელფერით. ფორმით მოგრძო ოვალურია. სიგრძე აღწევს 11 — 13 მმ-ს, სიგანე — 9.5 — 11.2 მმ-ს. საკმაოდ სქელკანიანია, უფრო ხორციანი და ნაკლებ წვნიანი, სასიამოვნო ტკბილი გემოთი. მარცვლის კანი ცვილით საკმაოდ არის დაფარული.

მარცვალში 1 — 4 ცალი წიბწაა, უფრო ხშირად გვხვდება 2 წიბწა. წიბწის სიგრძე აღწევს 6.1 — 7.2 მმ-ს, სიგანე — 3.2 — 3.5 მმ-ს. ღია ყავისფერია, მუცლის მხრიდან ღარების გასწვრივ ოდნავ მოყვითალო ელფერით. ქალაძა მოთავსებულია ზურგის მხარის თითქმის შუა ნაწილში. ფორმით მკვირვდ ოვალურია. ნისკარტის სიგრძე 1.5 მმ-მდე აღწევს.

აგრობიოლოგიური და სამეურნეო დახასიათება. ქედის რაიონის სოფ. სიხალიძეების ზონაში მისკიეთას სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა აღწევს 240 დღემდე. კვირტების გამოღვიძება იწყება 1 — 2 აპრილიდან. ყვავილობის პირველი ნიშნები ემჩნევა 10 — 12 ივნისიდან და მთავრდება 23 ივნისამდე. ყურძნის შეთვალეება იწყება აგვისტოს ბოლოდან და სრულ სიმწიფეში შედის 20 — 25 ოქტომბრიდან. ფოთოლცვენას იწყებს 10 — 12 ნოემბრიდან, ამთავრებს 25 — 28 ნოემბერს.

ვაზი საშუალო ზრდა-განვითარებისაა. მალღარად ზრდის გამო მის მოვლას არ აწარმოებენ და სოკოვანი ავადმყოფობანი (განსაკუთრებით კრაქი) იწვევს მწვანე მასის მასობრივ დაავადებას. ამის შედეგად ხდება ფოთლების ნაადრევად ჩამოცვენა და ყლორტები შუას ზევით ვეღარ ასწრებს სრულ მომწიფებას. სათანადო მოვლის პირობებში ცხადია ეს ნაკლი გამოსწორებული იქნება.

მისკიეთა საშუალო მოსავლიანობით ხასიათდება. წლის კარგი ამინდის პირობებში ერთი ძირი მალღარი იძლევა 30 — 45 კილოგრამ ყურძენს. რქაზე ხშირად ორი მტევანია განვითარებული, მხოლოდ არათანაბარი სიდიდის. ვაზის ძველი ნაწილებიდან წარმოშობილი ყლორტები მოსავლას არ იძლევა. წესიერი მოვლით მისკიეთას მოსავალი შეიძლება მნიშვნელოვნად გადიდდეს. ამიტომ აუცილებელია მისი გამრავლება წარმოებულ იქნეს ნამყენების სახით დაბლარად, მხოლოდ ამაღლებული შტამბით. მევენახეობის აგროწესებით გათვალისწინებული საშუალებები ვეგეტაციის პერიოდში უნდა ჩატარდეს მაღალხარისხოვნად კალენდარული ვადების დაცვით. გარდა ამისა, ხარისხოვანი პროდუქციის მისაღებად აუცილებელია მისკიეთას გაშენება სამხრეთით მიმართულ ფერდობზე. ამგვარი ნაკვეთები ქედის რაიონში მრავალ ადგილას შეიძლება იქნეს გამორჩეული.

სამეურნეო დანიშნულებით მისკიეთა განეკუთვნება ხარისხოვან სუფრის ყურძნის ჯიშთა ჯგუფს. იგი ავითარებს ღამაზი აგებულების საშუალო სიმკვრივის ან თხელ მტევნებს, მოგრძო ღამაზი მარცვლებით. გემური თვისებებითაც სავსებით აკმაყოფილებს სუფრის ყურძნისადმი წაყენებულ მოთხოვნილებას. ყურძენი კარგად ინახება და ამავე დროს ტრანსპორტაბელურია.

მისკიეთას მტევნის საშუალო წონა 108 გრამია, 100 მარცვლის საშუალო წონა აღწევს 170 გრამს. აქედან, კანი შეადგენს 16.5 გრამს. 100 მარცვალში 168 ცალამდე წიბწაა, წონით 5.7 გრამი. საშუალო მტევნის კლერტის წონა 6.1 გრამია. წენის გამოსავალი 71.8% -ს აღწევს.

მწიფე ყურძენში შაქარი 20.5% -მდეა, საერთო მჟავიანობა — 8.8% -მდე.

აქარის თეთრყურძნიან ვაზის ჯიშებს შორის მისკიეთა, როგორც ხარისხოვანი სუფრის ყურძნის ჯიში, ფართო ყურადღების ღირსია. ამიტომ იგი მასობრივად უნდა იქნეს დან რეგული ნამყენების სახით ქედის რაიონის სოფლებში.

М И С К И Е Т А

Листья средней величины, длиной 14.5 — 15.8 см. и шириной 14.5 — 15.6 см, округлы. Черешковая выемка закрытая и эллиптической формы, с достаточно надвигающимися лопастями. Встречается также открытая выемка лировидной формы и с округлым или острым дном. Лопастные выемки состоят из трех нервов.



საქართველოს
ენციკლოპედია



მისკიეტა — Мискиета

Верхние вырезки слабо выражены, реже щелевидной формы. Нижние вырезки едва намечены. Лист трехлопастный; угол оконечной лопасти тупой.

Оконечные зубцы лопастей треугольные с округлой или острой вершиной; реже пилевидно-треугольные. Вторичные зубцы треугольные с острой вершиной или пилевидно-треугольные.

Поверхность листа гладкая и плоская, реже воронковидно-желобчатая. Снизу лист голый, лишь на главных нервах имеются следы волосков.

Отношение черешка к длине среднего нерва 0.7 — 0.9; черешок голый и светло-зеленого цвета, переходящего у основания в фиолетовый.

Плодоносные побеги средней толщины, коричневого цвета. Узлы окрашены темнее, чем междоузлия. Длина междоузлий достигает 7 — 15 см.

Появление первых признаков созревания винограда наблюдается в конце августа; массовое созревание наступает с 20 — 25 октября.

Ягода светло-зеленая, с солнечной же стороны желтовато-янтарного цвета; по форме продолговатая, почти средней величины. Мякоть довольно сочная и мясистая, с очень приятным и сладким вкусом.

Мискиета — белый, качественный столовый сорт. По своим морфологическим признакам не местного происхождения. Единичные экземпляры данного сорта в виде «маглари» встречаются в сел. Сихалидзе и Медзибна (Кедский район).

Среди белых сортов винограда, распространенных в Аджарии, сорт Мискиета заслуживает особого внимания и массового разведения привитыми саженцами в районе Кеди.

თეთრი ლივანურა



ქართული
ენციკლოპედია

თეთრი ლივანურა გავრცელებულია მაღლარების სახით ზემო აჭარაში, სოფ. ჩაოხში და მის შემოგარენში. ადგილობრივ მოხუცთა გადმოცემით, იგი გადმოუტანიათ მათ წინაპრებს 1800-იან წლებში — ლივანიდან. ჯიშის ნამდვილი სახელწოდება დაკარგულა და დაურქმევიათ იმავე კუთხის სახელი (ლივანი და აქედან ლივანურა).

საყურადღებოა ის გარემოება, რომ აჭარაში, კერძოდ, ქედის რაიონში გვხვდება აგრეთვე შავ-ყურძნიანი ლივანურა, რომელიც არსებითად განსხვავდება სოფ. ჩაოხში გავრცელებულ ლივანურასაგან როგორც ფერით, ისე მოსავლიანობით და ყურძნის პროდუქციის ღირსებით. ამიტომ შავ-ლივანურასაგან გასარჩევად მას დავურთეთ ყურძნის ფერის აღმნიშვნელი — „თეთრი“.

წარმოებულმა დაკვირვებამ ცხადჰყო, რომ აღნიშნული ჯიში კარგად შეგუებულია ზემო აჭარის ეკოლოგიურ პირობებს. როგორც წარსულში, ისე ამჟამად ვაზები მაღლარად არის წარმოდგენილი და, მიუხედავად მოუვლელობისა, კარგი ამინდის პირობებში იძლევა უხვ მოსავალს და მაღალ ხარისხოვან ყურძნის პროდუქციას. ნამყენების სახით — დაბლარად, თეთრი ლივანურას რამდენიმე ძირი გაშენებულია სოფ. ქედაში ვაზის საკოლექციო ნაკვეთში. ვაზები ხასიათდება საშუალოზე ძლიერი ზრდა-განვითარებით და საკმაოდ უხვი მოსავლიანობით. მტევნები და მარცვლები გარეგნული სილამაზითა და გემური თვისებებით სავსებით აკმაყოფილებს ხარისხოვანი სუჟურის ყურძნისადმი წაყენებულ მოთხოვნილებას.

ბოტანიკური აღწერა და სამეურნეო დახასიათება. კვირტები გაშლის პერიოდში ღია მწვანეა, გასაშლელი ფოთოლაკების ნაპირები კი — მოწითალო-ყავისფერი. ზრდის კონუსი თითქმის საკმაოდ არის დაფარული მონაცრისფრო ბეწვისებრი ბუსუსით. ახლად გაშლილი პირველი ფოთოლი ზედა მხრიდან მომწვანოა, მოწითალო-მოიისფრო ელფერით. ასეთივე შეფერვა ახასიათებს მის მომდევნო მეორე და მესამე ნორჩ ფოთლებსაც. პირველი ფოთოლი ზედა მხრიდან მცირედ არის შებუსუსული. ბუსუსი ბეწვისებრია და მოთეთრო-ნაცრისფერი. მეორე და მესამე ნორჩი ფოთლის შებუსუსვა უფრო სუსტია. ასევეა ქვედა მხრიდანაც: პირველი ფოთლის შებუსუსვა უფრო ძლიერია, ვიდრე მეორისა და მესამის, რაც შემდგომ ფოთლებს აღარ ემჩნევა.

ახალგაზრდა ყლორტი მრგვალია და ღია მწვანე. მცირედ არის დაფარული მონაცრისფრო ბეწვისებრი ბუსუსით. შებუსუსვა უფრო მეტია ყლორტის წვერისაკენ.

ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალო სიდიდისაა. საერთო მოყვანილობით მცირედ ოვალურიან მომრგვალო. მისი საშუალო სიგრძე აღწევს 15.9 სმ-ს, სიგანე 14.7 სმ-ს. მცირედაა დანაკეთული.

ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ჩანგისებრია. ამონაკვეთის ნაკვეთების კიდურები შემდგარია სამი ან ოთხი ძარღვისაგან. გვხვდება აგრეთვე კვერცხისებრი ფორმის დახურული ამონაკვეთები მიახლოებული ნაპირებით.

ზედა ამონაკვეთი უფრო ხშირად მცირედ ან საკმაოდ შეკრილ კუთხეს ქმნის. ქვედა ამონაკვეთი უმნიშვნელოდ არის ჩაქრილი.

ფოთოლი სამნაკვეთიანია. წვერის ნაკვეთი ფოთლის ფირფიტასთან ქმნის ბლაგვ კუთხეს.

ნაკვეთთა წვერის კბილები სამკუთხედისებრია, მახვილი წვერით. მეორეული კბილები სამკუთხედისებრია, მომრგვალებული ან მახვილი წვერით. გვხვდება ხერხკბილა-სამკუთხედისებრი ფორმის კბილებიც.

ფოთლის ქვედა მხარე შიშველია. ზედა მხარე გლუვია, იშვიათად კი ბადისებრად არის დანაკეთებული. ფირფიტის ნაპირები ქვემოთ არის ჩამოშვებული.

ფოთლის ყუნწის შეფარდება შუა მთავარ ძარღვთან უდრის 0.5 — 0.7-ს. იგი შიშველია და ღია მწვანე, ფუძესთან კი იისფერში გადადის.

ყვავილი ფუნქციონალურად მდებარეობითაა. მტვრიანები მთლიანად მოკლე და მოკაკულია. ყვავილში 5 მტვრიანაა, იშვიათად გვხვდება 4 და 6 მტვრიანაც. ყვავილედში ყვავილების რიცხვი 420 ცალამდეა.

დიდი მტევნის ყუნწის სიგრძე აღწევს 4.5 — 5.5 სმ-ს, მტევნის სიგრძე — 18 — 22 სმ-ს, სიგანე — 8 — 9.5 სმ-ს. საშუალო მტევნის ყუნწის სიგრძე აღწევს 3 — 4.5 სმ-ს, მტევნის სიგრძე — 16 — 17 სმ-ს, სიგანე — 7 — 8 სმ-ს.

მტვეანი ფორმით ცილინდრულ-კონუსისებრი და ზოგ შემთხვევაში ცილინდრულია. ახასიათებს განტოტვა. აგებულებით თხელი, ზოგჯერ საშუალო სიმკვრივისაა. მისი საშუალო წონა 130 გრამია. მტვენის ჯუნჭი კლერტით ბალახისებრია და ღია მწვანე.

მარცვლის ყუნწის სიგრძე საჯდომი ბალიშით აღწევს 5 — 7 მმ-ს. ღია მწვანეა. საჯდომი ბალიშში გლუვი და ვიწრო-კონუსისებრია, იშვიათად განიერ-კონუსისებრი. მარცვალი საჯდომ ბალიშზე/საკმაოდ მტკიცედ არის მიმაგრებული.

მარცვალი ღია მწვანეა, მზის მზრიდან კი—მოყვითალო ქარვისფერი. საშუალოზე მსხვილია. მისი საშუალო სიგრძე 16.1 მმ-ია, სიგანე — 14.5 მმ. მსხვილი მარცვალი სიგრძით 20 მმ-ია, სიმსხოთი — 18.3 მმ. მარცვალი ოვალურია, შუა წელში უფრო განიერი და ბოლო მომრგვალებული. საკმაოდ სტელკანიანი და წვნიანია. კანი მტკიცედ არის დაფარული ფიფქით.

მარცვალში 1 — 3 ცალი წიპწაა, სქარბობს 1 წიპწა. წიპწის სიგრძე უდრის 6.5 — 7 მმ-ს, სიგანე — 3.5 — 4.5 მმ-ს. ღია ყავისფერია, მოყვითალო ელფერით, მუცლის მზრიდან ღარებში თითქმის ყვითელი. ქალაქა მოთავსებულია ზურგის მხარის შუა ნაწილში და ფორმით მომრგვალოა. ნისკარტი მოყვითალოა და სიგრძით 1.5 — 2 მმ-ს აღწევს.

აგრობიოლოგიური და სამეურნეო დახასიათება. ხულოს რაიონის სოფ. ჩაოს ზონაში, თეთრ ლივანურას სავეგეტაცია პერიოდის საერთო ხანგრძლიობა კვირტების გამოღვიძებიდან — ფოთლების დაცვენით 245 დღემდე აღწევს. კვირტების გამოღვიძება იწყება 1 — 2 აპრილიდან, ყვავილობის პირველი ნიშნები ეჩნება 10 — 12 ივნისს და კარგი ამინდის პირობებში 23 — 24 ივნისამდე მთავრდება. ყურძნის შეთვალემა იწყება აგვისტოს ბოლოდან ან სექტემბრის დასაწყისში. მასობრივ სიმწიფეში შედის 28 — 30 ოქტომბრიდან. ფოთოლცვენას იწყებს 10 — 12 ნოემბრიდან და ამთავრებს 28 — 30 ნოემბრისათვის.

სოკოვან ავადმყოფობათა, მეტადრე ქრაქის, მიმართ სუსტ გამძლეობას იჩენს, რის გამოც ცუდი ამინდის პირობებში მასობრივად ავადდება ქრაქით. ამ შემთხვევაში ნაადრევად ცვივა ფოთლები და რქები ველარ ასწრებს სრულ მომწიფებას.

ვაზი საშუალოზე ძლიერი ზრდა-განვითარებისაა. ამინდის ხელსაყრელ პირობებში ცალკეული რქების განვითარება მაღლარზე — 1.5 — 2 მეტრს აღწევს.

სოფ. ჩაო, სადაც ეს ჯიშია გავრცელებული ჩრდილოეთისაკენ, მეტად დახრილ ფერდობზე მდებარეობს, რის გამოც ვაზები არ სარგებლობენ მზის უხვი განათებით. სწორედ ამისი მიზეზია ამ ზონაში თეთრი ლივანურას ყურძენში შაქრების ნაკლები რაოდენობით დაგროვება (17 — 18%); ხოლო ქედას საკოლექციო ნაკვეთში, რომელიც შედარებით უფრო მზით განათებულ ადგილზეა, აღნიშნული ჯიში ყურძნის სრული მწიფობის პერიოდში 20%-მდე შაქარს აგროვებს. აქედან გამომდინარე ხარისხოვანი პროდუქციის მისაღებად აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს თეთრ ლივანურას გაშენება სამხრეთისაკენ მიმართულ, მზით უხვად განათებულ ფერდობებზე. გარდა ამისა, ვინაიდან იგი ძალიან ავადდება სოკოვანი ავადმყოფობანით, საჭიროა მისი დაბლარად გაშენება ამაღლებული შტამბით, მხოლოდ ნამყენების სახით, სათანადოდ შერჩეულ, ფილოქსერის გამძლე საძირებზე.

როგორც აღნიშნული იყო, თეთრი ლივანურას ყვავილები ფუნქციონალურად მდებარეობითაა, ამიტომ აუცილებელია მისი გაშენება წარმოებულ იქნეს ჰერმოფროდიტულ ყვავილების მქონე ვაზის ჯიშთა შორის ან ჩატარდეს ყვავილობის პერიოდში მათი ხელოვნური დამტვერვა.

სამეურნეო დანიშნულებით თეთრი ლივანურა ხარისხოვან სუფრის ყურძნის ჯიშთა ჯგუფს მიეკუთვნება. იგი ავითარებს თხელ, ლამაზი აგებულების მტვენებს და მეტად ლამაზი შეფერვის მარცვლებს, სასიამოვნო მომთავეო ტკბილი გემოთი. ამავე დროს ყურძენი კარგად ინახება და ტრანსპორტსაც იტანს.

თეთრ ლივანურას მტვენის საშუალო წონა 130 გრამია. 100 მარცვლის საშუალო წონა 201 გრამამდე აღწევს, აქედან კანი 16.1 გრამს შეადგენს. 100 მარცვალში 140-მდე წიპწაა, წონით 5.5 გრამი. საშუალო მტვენის კლერტის წონა 5.9 გრამს უდრის, ხოლო წენის გამოსავალი 69.7% მდე აღწევს.

სოფ. ჩაოს პირობებში მწიფე ყურძენში შაქარი 17 — 18% გროვდება და საერთო მეთავეიანობა 9.5% -ს არ აღემატება.

როგორც აღნიშნული მონაცემებიდან მტკიცდება, თეთრი ლივანურა განსაკუთრებული ყურადღების ღირსია და იგი, როგორც ხარისხოვანი პროდუქციის მომცემი სუფრის ყურძნის ჯიში, მასობრივად უნდა იქნეს გავრცელებული შუა და ზემო აჭარის რაიონებში.

Т Е Т Р И Л И В А Н У Р А

Листья средней величины, по форме слегка овальные или округлые, длиной 15.9 см и шириной 14.7 см.

Черешковая выемка лировидная. Лопастей выемки состоят из 3-х или 4-х нервов. Встречается также закрытая выемка яйцевидной формы с соприкасающимися лопастями.

Верхние вырезки чаще поверхностные или расположены в виде входящего угла. Нижние вырезки едва намечены.

Лист трехлопастный. Угол оконечной лопасти тупой.

Оконечные зубцы лопастей треугольные с острой вершиной. Вторичные зубцы тоже треугольные с округлой или острой вершиной. Встречаются также зубцы треугольно-пиловидной формы.

Поверхность листа гладкая или сетчато морщинистая, с отогнутыми вниз краями. Пластинка листа снизу голая.

Отношение черешка к длине среднего нерва 0.5 — 0.7. Черешок голый, светлозеленого цвета, переходящего у основания в фиолетовый.

Цветы функционально женские.

Появление первых признаков созревания винограда наблюдается в конце августа или в начале сентября; массовое созревание наступает в конце октября.

Длина ножки грозди достигает 3 — 5.5 см, длина грозди 16 — 22 см, ширина — 7 — 9.5 см.

Общая форма грозди цилиндрическо-коническая, реже цилиндрическая. Гроздь средней плотности, реже рыхлая. Средний вес грозди достигает до 130 гр. Ножка грозди с гребнем травянистая, светло-зеленого цвета.

Ножка ягоды светлозеленого цвета; длина их с подушечкой 5 — 7 мм. Подушечка гладкая и узкоконическая.

Ягода светлозеленая, с солнечной же стороны желтовато-янтарного цвета, средней величины или крупная, длиной 16.1 мм и шириной 14.5 мм, овальной формы посередине широкая, у конца округлая и симметричная. Кожица толстая. Мякоть довольно сочная и мясистая.

Количество семян в ягоде 1 — 3 шт, чаще — 1 шт. Длина семени 6.5 — 7 мм, ширина 3.5 — 4.5 мм, семя светло-коричневого цвета с желтоватым оттенком. Халаза округлая. Длина клюва достигает 1.5 — 2 мм.

Тетри Ливанура качественный столовый сорт; довольно урожайный. Виноград хорошо сохраняется. Встречается на „маглари“ единичными экземплярами в районе Хуло в сел. Чао. Как передают местные жители, Ливанура не местный сорт и завезен якобы из Ливана.

Сорт заслуживает внимания и разведения привитыми саженцами в предгорных местностях районов Кеда и Хуло.

საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
სამსახური



თეთრი ლივანურა — Тетри Ливанура



შ ა ვ შ უ რ ა

შავშურა თეთრყურძნიანი ჯიშია. გავრცელებულია მალღარების სახით ხულოს რაიონის სოფ. ჩაოს, ფურთიოსა და აღმეს მიდამოებში. ადგილობრივი მოსახლეობა მის მოსავალს უმთავრესად ყურძნად იყენებს, ზოგიერთ შემთხვევაში კი მისგან ამზადებს შესქელებულ ყურძნის წვეწს, ბექმეზისა და ბადაგის სახით.

ადგილობრივ მოხუც პირთა გადმოცემით შავშურა აჭარაში, შავშეთიდან ყოფილა შემოტანილი. ამასვე ადასტურებს აკად. ივ. ჯავახიშვილი (1), მაგრამ მას, სტ. მენთეშაშვილის მიერ მიწოდებული მასალების საფუძველზე, დასახელებული აქვს „შავყურძნიანი შავშური“, რომელიც „მეკრენჩხსა ჰგავს“-ო. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ აჭარაში მრავალი წლის განმავლობაში ვაწარმოებდით ვაზის ადგილობრივი ჯიშების შესწავლას და „შავყურძნიანი შავშური“, ისიც მეკრენჩხის მსგავსი, არ შეგვხვედრია. საფიქრებელია, რომ მკვლევარისათვის ადგილობრივ მცხოვრებთ შეცდომით უნდა ჰქონდეთ მიწოდებული შავი შავშური.

როგორც წარმოებული დაკვირვებიდან ჩანს, შავშურა კარგად შეგუებულია ზემო აჭარის ეკოლოგიურ პირობებს. მალღარად აღზრდის გამო ვაზები მოკლებულია სათანადო მოვლა-პატრონობას, მაგრამ მიუხედავად ამისა, წლის კარგი ამინდის პირობებში ვაზის ვეგეტატიური ნაწილები ნორმალურ განვითარებას აღწევს და საკმაოდ უხვ და ხარისხოვან მოსავალსაც იძლევა.

ბოტანიკური აღწერა. კვირტები გაშლის პერიოდში მონაცრისფროა და დასდევს ღია მწვანე ფერი. ზრდის კონუსი მომწვანო-მოწითალოა, მოიისფრო ელფერიით, და სქლად არის დაფარული ბუსუსით. ახლად გაშლილი პირველი ფოთლის ზედა მხარე მომწვანო-მოწითალოა. სიწითლე უფრო ფოთლის კბილებს ახასიათებს და თითქმის ქეჩისებრად არის დაფარული მონაცრისფრო-თეთრი ბეწვისებრი ბუსუსით. ასეთივე შებუსვა ახასიათებს ფირფიტის ქვედა მხარესაც. პირველი ფოთლის მომდევნო მეორე და მესამე ნორჩი ფოთლის შეფერვა პირველი ფოთლის მსგავსია. ზოგ შემთხვევაში მათ გადაჰკრავს მოიისფრო ელფერი. მეორე ფოთოლი საკმაოდ, მესამე კი მცირედ არის დაფარული ბეწვისებრი ბუსუსით.

ახალგაზრდა ყლორტი მრგვალია და ღია მწვანე. დაფარულია მონაცრისფრო ბეწვისებრი ბუსუსით. შებუსვა უფრო ძლიერდება ყლორტის წვერისკენ.

შემოსული რქა საშუალო სიმსხოსი და ღია ყავისფერია. მუხლები უფრო მუქად არის შეფერილი. მუხლთშორისის სიგრძე 8 — 15 სმ-ს აღწევს.

ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალო სიდიდის ან საშუალოზე მცირეა. საერთო მოყვანილობით მომრგვალო ან ოდნავ განივ-ოვალურია. მცირედაა დანაკეთული. მისი საშუალო სიგრძე აღწევს 12.0 — 17.8 სმ-ს, სიგანე — 11.9 — 18.8 სმ-ს.

ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ისრისებრია, მახვილი ან მომრგვალო ფუძით. ყუნწის ამონაკვეთის ნაკვეთთა კიდეები შედგება სამი ძარღვისაგან. იშვიათად გვხვდება ჩანგისებრი ამონაკვეთი თანასწორი გვერდებით და დახურული ამონაკვეთი ვიწრო ელიფსური ნასვრეტით.

ფოთლის ზედა ამონაკვეთი საკმაოდაა შექრილი; იშვიათად მცირედ არის ჩაქრილი ან კვერცხისებრი მოყვანილობისა, თითქმის მიახლოებული გვერდებითა და მომრგვალო ფუძით. ქვედა ამონაკვეთი მცირედ არის ჩაქრილი.

ფოთოლი სამნაკვეთიანია. წვერის ნაკვეთი ფოთლის ფირფიტასთან ქმნის ბლაგვ კუთხეს.

ნაკვეთთა წვერის კბილები სამკუთხედისებრია, ამოზნექილი გვერდებით და წამახვილებული წვერით ან წესიერ — სამკუთხედისებრია. წამახვილებული წვერით; გვხვდება ხერხებილა-სამკუთხედისებრი კბილებიც. მეორადი კბილებიც სამკუთხედისებრია, წამახვილებული წვერით, ან ხერხებილა-სამკუთხედისებრია.


ფოთლის ქვედა მხარე მცირედაა შებუსვილი, ზედა მხარე კი გლუვია ან ბადისებრად დანაოკებული. ფოთოლი ბრტყელია ან ნაპირებ-ჩამოწეული.

მთავარი ძარღვები მცირედ არის შეზუსვილი და ღია მწვანეა.

ფოთლის ყუნწის შეფარდება შუა მთავარ ძარღვთან უდრის 0.7 — 1.0 - ს. იგი შიშველია და მწვანე, ფუძესთან კი მოწითალო ღვინისფერში გადადის.

ყვავილი ორსქესიანია, ხოლო მასობრივად ფუნქციონალურად მდებრობითი. მტვრიახები სამტვრე ძაფებზე სხედან. ყვავილში 5 და 4 მტვრიანაა, იშვიათად — 6. ყვავილედში 280 — 360 ლამდე ყვავილია (სურ. 56).

ღიდი მტევნის ყუნწის სიგრძე აღწევს 3 — 5 სმ-ს, მტევნის სიგრძე — 14 — 15 სმ-ს, სიგანე — 7 — 9 სმ-ს. მტევანზე 50 — 70 ცალი მარცვალია. საშუალო მტევნის ყუნწის სიგრძე 3 — 5 სმ-ია, მტევნის სიგრძე — 11 — 13 სმ, სიგანე — 5 — 7 სმ. მტევანზე 35 — 50 ცალი მარცვალია.



სურ. 56. შავშურას ყვავილი.

მტევანი ცილინდრულია ან ცილინდრულ-კონუსისებრი და ფრთიანი. აგებულია თხელია. ზოგჯერ საშუალო სიმკვრივისაა; მტევნის ყუნწი და კლერტი ბალახისებრია და ღია მწვანე.

მარცვლის ყუნწის სიგრძე საჯდომი ბალიშით აღწევს 5 — 7 მმ-ს. მწვანეა, საჯდომი ბალიში დამეჭვებულია და განიერ-კონუსისებრი. მარცვალი საჯდომ ბალიშზე საკმაოდ მტკიცედ არის მიმაგრებული.

მარცვალი ღია მწვანეა, მოქარვისფრო ელფერით, საშუალო სიდიდის, ფორმით ოვალური, შუა წელში უფრო განიერი, ბოლო მომრგვალებული აქვს და სიმეტრიულია. მსხვილი მარცვლის საშუალო სიგრძე აღწევს 16 — 17.5 მმ-ს, სიგანე — 14.0 — 14.5 მმ-ს. საშუალო მარცვლის საშუალო სიგრძეა 14.5 — 16 მმ, სიგანე — 12.8 — 14.5 მმ. სქელკანიანია, უფრო ხორციანი და მცირედ წვნიანი. ჩვეულებრივი ტკბილი გემოთი. მარცვლის კანი ფიფქით (ცილით) მცირედ არის დაფარული.

მარცვალში 1 — 4 ცალი წიპწაა, სჭარბობს 2 წიპწა. ყოველ 100 მარცვალში საშუალოდ 200 — 220 ცალი წიპწაა. წიპწის სიგრძე აღწევს 7 — 7.5 მმ-ს, სიგანე — 3.5 — 4 მმ-ს. ყავისფერია, მუცლის მხრიდან კი, ღარების გასწვრივ, მოყვითალო. ქალაძა მოთავსებულია ზურგის მხარის შუა წელს ცოტაოდნად ქვემოთ. ფორმით მოგრძო-ოვალურია, იშვიათად მომრგვალო. ნისკარტის წვერი მოვანგისფროა, თვით ნისკარტი კი ოდნავ მოყვითალო. მისი სიგრძე აღწევს 1.5 — 2 მმ-ს.

აგრობიოლოგიური და სამეურნეო დახასიათება. ხულოს რაიონის სოფ. ჩაოს ზონაში შავშურას სავეგეტაციო პერიოდი 248 დღემდე აღწევს. კვირტების გამოღვიძება იწყება 2 — 4 აპრილიდან. ყვავილობის პირველი ნიშნები ემჩნევა 15 — 17 ივნისს, მასობრივ ყვავილობაში შედის 20 — 21 ივნისიდან და ამთავრებს 27 ივნისისათვის. ყურძენი შეთვალვას იწყებს სექტემბრის პირველიდან და სრულ მწიფობაში 22 — 25 ოქტომბრიდან შედის. ფოთოლცვენა ჩვეულებრივ იწყება 12 — 15 ნოემბრიდან და მთავრდება ნოემბრის ბოლო რიცხვებში.

ვაზი საშუალო ზრდა-განვითარებისაა. წლის კარგი ამინდის პირობებში ვეგეტატიური ნაწილები ნორმალურ განვითარებას აღწევს. სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ სუსტ გამძლეობას იჩენს. ფოთლების მასობრივად დაავადების შემთხვევაში რქები მთელ სიგრძეზე ვერ აღწევს სრულ მომწიფებას და ეს მოუმწიფებელი ნაწილები ზამთრის ყინვების გავლენით ზიანდება.

როგორც ხეშოთ იყო აღნიშნული, შავშურა მაღლარის სახით არის გავრცელებული. ვაზები მაღალ ხეებზეა აშვებული და სრულიად მოუვლელია. მიუხედავად ამისა, თუ კარგი ამინდი დაუდგა,

საკმაოდ დიდ მოსავალს იძლევა. ერთ რქაზე ხშირად ორი მტევანი ვითარდება. ერთი ძირი მალღარის მოსავალი ხშირად 35 — 40 კგ-ს აღემატება. მოსავლის გასადიდებლად და პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად აუცილებელია მისი გაშენება ნამყენების სახით დაბლარად ან ოლიხნარისებრი წესით. ამით გაადვილდება ყოველგვარი სამუშაო ოპერაციის დროულად და მაღალხარისხიანად შესრულება. ამას გარდა, შავშურას გაშენება, მსგავსად სხვა ადგილობრივ ჯიშებისა, უნდა წარმოებდეს სამხრეთ ან სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე, მზით უხვად განათებულ ფერდობზე.

სამეურნეო დანიშნულებით შავშურა ადგილობრივი მნიშვნელობის სუფრის ყურძნის ჯიშია. ყურძნის ორგანოლექტიკური მაჩვენებლებით მისი პროდუქცია შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე საკმაოდ ხარისხივანი თეთრი სუფრის ღვინის დასამზადებლად. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ჯიშს დადებითად აფასებს და ზოგიერთი მეურნე მას დაუმყნობლად ამრავლებს.

მტევნის საშუალო წონა 135 გრამია, 100 მარცვლის წონა საშუალოდ 201 გრამს აღწევს; აქედან კანი 17.1 გრამს შეადგენს. 100 მარცვალში 210 ცალამდე წიპწაა, წონით 8.2 გრამი. საშუალო მტევნის კლერტის წონა 6.4 გრამს უდრის, ხოლო წენის გამოსავალი 68.8%-ს აღწევს.

სოფ. ჩაოში, შავშურას ყურძნის სრული მწიფობის პერიოდში მასში შაქარი 18.9%-მდეა, ხოლო საერთო მკაფიანობა — 9.4%. სამხრეთ კალთებზე გაშენების შემთხვევაში რგი უეჭველად შაქრების მეტ რაოდენობას დაიკრავებს და ამასთანავე ლამაზად შეფერილი მარცვლებიც ექნება.

როგორც საკმაოდ ხარისხივანი პროდუქციის მომცემი სუფრის ყურძნისა და საღვინე ჯიში, შავშურა ყურადღების ღირსია. მისი გავრცელება მიზანშეწონილად მიგვაჩნია ხულოს რაიონის მთის პირად მდებარე სოფლებში, ზღვის დონიდან 800 — 1000 მეტრის სიმაღლეზე.

შ ა ვ შ უ რ ა

Листья средней или меньше средней величины, длиной 12.0 — 17.8 см и шириной 11.9 — 18.8 см округлые или поперек слегка овальные.

Черешковая выемка стрельчатая, с острым или округлым дном; лопасти выемки состоят из трех нервов. Встречается также лировидная равносторонняя, а иногда закрытая выемка, с узко-эллиптическим просветом и с соприкасающимися лопастями.

Верхние вырезки слабо разрезные или расположены в виде входящего угла; встречаются, но реже вырезки яйцевидной формы, почти с приближающимися сторонами и с округлым дном. Нижние вырезки слабо намечены.

Лист трехлопастный. Угол оконечной лопасти тупой.

Оконечные зубцы лопастей треугольные, с выпуклыми сторонами и острой вершиной, или треугольные, но с острой вершиной; встречаются зубцы и пиловидно-треугольной формы. Вторичные зубцы треугольные, с острой вершиной или пиловидно-треугольные.

Поверхность листа гладкая или сетчато-морщинистая; плоская, иногда края отогнуты вниз. Пластинка листа покрыта снизу тонким паутинообразным волокном.

Отношение черешка к длине среднего нерва 0.7 — 1.0; черешок голый и зеленого цвета, переходящего в слабый винно-красный цвет.

Плодоносные побеги средней толщины; светлокорицевого цвета. Узлы окрашены темнее, чем междуузлия. Длина междуузлий — 8 — 15 см.

Цветы обоеполые но функционально женские.

Появление первых признаков созревания винограда в Хулойском районе наблюдается с 1 сентября, массовое созревание наступает с 22 — 25 октября.

Длина ножки грозди 3 — 5 см, длина грозди 11 — 15 см, ширина — 5 — 9 см, количество ягод на грозди до 70 шт.


Общая форма грозди цилиндрическая или цилиндрическо-коническая и крылатая. Рыхлая, иногда средней плотности. Средний вес достигает до 135 гр. Длина ножки ягоды с подушечкой 5 — 7 мм, сама ножка зеленого цвета; подушечка бородавчатая и широко-коническая.

Ягода светло-янтарного цвета, средней величины, длиной 14.5 — 17.5 мм и шириной 12.8 — 14.5 мм. Овальной формы, посередине широкая, у конца округлая и симметричная, кожа толстая, мякоть малосочная и довольно мясистая, с обыкновенным сладким вкусом.

Количество семян в ягоде 1—4 шт, чаще — 2. Длина семени 7—7.5 мм, ширина 3.5—4 мм. Семя коричневого цвета, с желтоватым оттенком с брюшной стороны. Халаза удлинненно-овальная; длина клюва достигает 1.5—2 мм.

Шавшура довольно урожайный. Заслуживает внимания как столовый и частично винный сорт местного значения.

В настоящее время данный сорт в виде „маглари“, встречается довольно в большом количестве в Хулойском районе в сел. Чао, Фуртио, Алме, а также в окрестностях Хуло.



შავშურა — Шавшура

ჯ ა ვ ა ხ ე თ უ რ ა

აქარაში გავრცელებულ თეთრყურძნიან ჯიშებს შორის ჯავახეთურა და საკუთრებულ ყურძნებს იპყრობს, როგორც საადრეო და ამავე დროს მაღალ ხარისხოვანი პროდუქციის მომცემი სუფრის ყურძნის ჯიში. იგი ასწლოვანი მაღლარების სახითაა გავრცელებული სოფ. ჩაოსა და ფურთიოს მიდამოებში (ხულოს რაიონში).

წერილობითი მასალები აქარაში ჯავახეთურას გავრცელების შესახებ არ მოგვეპოვება. როგორც სახელწოდებიდან ჩანს, იგი თითქოს ჯავახეთიდან უნდა იყოს შემოტანილი. მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჯავახეთში როგორც ისტორიულად, ისე ამჟამადაც მევენახეობა სრულებით არ არის წარმოდგენილი; ეს მხარე საქართველოს მაღალმთიან ზონაში მდებარეობს, და სიტბოს ჯამის სიმცირე (გვიანი ვახაფხული, ნაადრევი ზამთარი) არ იძლევა მევენახეობის დარგის წარმოების შესაძლებლობას. ვფიქრობთ, რომ იგი მესხეთიდან უნდა იყოს გადატანილი ჯავახეთში და იქიდან ვინმე დაინტერესებული პირის მიერ შემთხვევით ზემო აქარაშიაც გავრცელებული. ამ მოსაზრებას ადასტურებს მესხეთში გავრცელებულ ცხენის ძუძუს (ქართლურ თითას) და აქარულ ჯავახეთურას ნაწილობრივი მსგავსება როგორც ამპელოგრაფიული ნიშნებით, ისე სამეურნეო დანიშნულებით (ფოთლების მორფოლოგიური აგებულებით, ყვავილის ტიპით, მტევნის მოყვანილობით, მარცვლის ფერით, ფორმით და სიდიდით. გარდა ამისა, სამეურნეო ღირებულებით ორივე ხარისხოვან სუფრის ყურძნის ჯიშთა ჯგუფს განეკუთვნება).

ადგილზე წარმოებული დაკვირვება ცხადყოფს, რომ აღნიშნული ჯიში კარგად შეგუებულია ზემო აქარის ეკოლოგიურ პირობებს და მიუხედავად მოუვლედობისა (მაღლარი ვახების მოვლა სიძნელის გამო არ წარმოებს), კარგი ამინდის პირობებში იძლევა უხვსა და მაღალხარისხოვან მოსავალს.

ბოტანიკური აღწერა. კვირტები გაშლის პერიოდში მომწვანოა და საგრძნობლად შეფერილი ღია წითლად. ზრდის კონუსი ღია მოწითალოა და საკმაოდ სქლად არის დაფარული მონაცრისფრო ბუსუსით. ზრდის კონუსიდან მომდევნო ახლად გაშლილი პირველი ფოთოლი ზედა მხრიდან მომწვანო-მონაცრისფროა, ღია წითელი ელფერით, და ორივე მხრიდან დაფარულია მონაცრისფრო-თეთრი ბუსუსით. ქვედა მხრიდან დასდევს მოწითალო ფერი. პირველი ფოთლის მომდევნო მეორე და მესამე ნორჩი ფოთოლი როგორც ზემოდან, ისე ქვემოდან საკმაოდაა შებუსვილი. შებუსვა შემდგომ ფოთლებზე თანდათან მცირდება. ბუსუსი ბეწვისებრია მონაცრისფრო, მოწითალო ელფერით.

ახალგაზრდა ყლორტი (12 — 15 სმ) მრგვალია და ღია მწვანე, ცალმხარეზე მოწითალო ელფერით. მცირედაა შებუსვილი მონაცრისფრო ბეწვისებრი ბუსუსით. შებუსვა უფრო მატულობს ყლორტის წვერისაკენ.

შემოსული რქა საშუალო სიმსხოსია და ღია ყავისფერი მუხლები უფრო მუქად არის შეფერილი. მუხლთშორისის სიგრძე აღწევს 7 — 12 სმ-ს.

ზრდა დამთავრებული ფოთოლი საშუალო სიდიდისაა. საერთო მოყვანილობით მომრგვალოა ან ოდნავ ოვალური. მცირედ დანაკეთულია; გვხვდება საკმაოდ დანაკეთული ფოთლებიც. ფოთლის საშუალო სიგრძე აღწევს 17.7 სმ-ს, სიგანე — 17.5 სმ-ს.

ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ვიწრო-თაღისებრია, თითქმის პარალელური გვერდებით, ან ელიფსური მოყვანილობისა; ამონაკვეთთა ნაპირები ერთმანეთზე მცირედაა გადადებული; გვხვდება აგრეთვე ჩანგისებრი ამონაკვეთი მახვილი ფუძით, რომლის ნაკვეთები შედგება სამი ძარღვისაგან.

ზედა ამონაკვეთი მცირედ არის ჩაჭრილი ან საკმაოდ შეჭრილი კუთხით ხასიათდება. გვხვდება აგრეთვე განიერ-ელიფსური მოყვანილობის დახურული ამონაკვეთი. ქვედა ამონაკვეთი მცირედაა ჩაჭრილი.

ფოთოლი სამნაკეთიანია. წვერის ნაკეთი ფოთლის ფირფიტასთან ბლაგვ კუთხეს ქმნის.


ნაკეთთა წვერის კბილები სამკუთხედისებრია, მომრგვალებული ან წამახვილებული წვერით; გვხვდება ხერხბილი-სამკუთხედისებრი მოყვანილობის კბილებიც. მეორადი კბილები ასევე სამკუთხედისებრია, მომრგვალებული ან წამახვილებული წვერით ან მომრგვალო-ხერხბილისებრია.

ფოთლის ქვედა მხარე მცირედაა შებუსხვილი; ზედა მხარე გლუვია ან ბადისებრად დანაოქებული-
ზედაპირი ბრტყელია; გვხვდება ძაბრისებრ-ლარისებრად მოხრილი ფოთლებიც.

მთავარი ძარღვები მცირედაა შებუსხვილი და ღია მწვანეა.

ფოთლის ყუნწის შეფარდება შუა მთავარ ძარღვთან უდრის 0.8 — 0.9 -ს; იგი შიშველია ღია მწვანე, რაც ფუძესთან იისფერში გადადის.

ყვავილი ორსქესიანია, უმეტეს შემთხვევაში ნორმალურად განვითარებული მტვრიანებუ-
კოთი. გვხვდება აგრეთვე ყვავილები დეფექტური მტვრიანებით. ყვავილში 5 მტვრიანაა, იშვიათად 4
და 6 მტვრიანაც. ყვავილედში ყვავილების რიცხვი 350 — 400 ცალამდე აღწევს (სურ. 58).



სურ. 58. ჯავახეთურას ყვავილი.

დიდი მტევნის ყუნწის სიგრძე 4 — 5 სმ-ია, მტევნის სიგრძე — 15 — 20 სმ, სიგანე — 8 — 11 სმ.
მტევანზე 80 — 180 ცალი მარცვალია. საშუალო მტევნის ყუნწის სიგრძე აღწევს 4 — 5 სმ-ს, მტევ-
ნის სიგრძე — 13 — 15 სმ-ს, სიგანე — 6.5 — 7.5 სმ-ს. მტევანზე 60 — 80 ცალი მარცვალია.

მტევანი ცილინდრულ-კონუსისებრია. ახასიათებს განტოტვა, რაც მტევნის სიგრძის ერთ მესამედს
აღწევს. აგებულებით თხელია, ზოგჯერ საშუალო სიმკვრივის. მტევნის ყუნწი და კლერტი ბალახისე-
ბრია და ღია მწვანე.

მარცვალი მოყვითალო-ქარვისფერია, თხელკანიანი, მეტად ტკბილი და სასიამოვნო გემოსი. მსხვილი
მარცვლის სიგრძე აღწევს 17 — 18.5 მმ-ს, სიგანე — 14 — 14.6 მმ-ს, საშუალო მარცვლის საშუალო
სიგრძე 14.5 — 17 მმ-ია, სიგანე — 12 — 13.2 მმ. ამრიგად, მარცვალი საშუალო სიმსხოსია, ოვალური
ან მოგრძო, შუა წელში უფრო განიერი, ბოლო მომრგვალებული აქვს და სიმეტრიულია. მარცვლის
კანი ფიფქით (ცვილით) მცირედ არის დაფარული.

მარცვალში 1 — 3 ცალი წიბწაა, სჭარბობს 2 წიბწა. წიბწის სიგრძე აღწევს 6.5 — 7 მმ-ს. სიგა-
ნე — 3 — 4 მმ-ს. ყვეისფერია. ქალაძა მოთავსებულია ზურვის მხარის თითქმის შუა ნაწილში. ფორ-
მით იგი ოვალურია. ნისკარტის სიგრძე აღწევს 2 — 2.5 მმ-ს.

აგრობიოლოგიური და სამეურნეო დახასიათება. ხულოს რაიონის სოფ. ჩაოს ზო-
ნაში ჯავახეთურას სავეგეტაციო პერიოდის საერთო ხანგრძლიობა ვაზის გაღვიძებიდან ფოთლების
დაცვენით 245 დღემდე აღწევს. კვირტების გამოღვიძება იწყება 1 — 3 აპრილიდან. ყვავილობის პირ-
ველი ნიშნები ემჩნევა 13 — 14 ივნისიდან და მთავრდება 25 ივნისამდე. ყურძნის შეთვალება იწყება
15 — 20 აგვისტოდან და მასობრივ სიმწიფეში შედის 4 — 5 ოქტომბრიდან. ფოთოლცვენას იწყებს
10 — 15 ნოემბრიდან და ამთავრებს ნოემბრის ბოლო რიცხვებში.

ვაზი ძლიერი ზრდისაა. სავეგეტაციო პერიოდის დასასრულისათვის ცალკეული რქები სიგრძით
2 — 2.5 მეტრს აღწევს.

სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ ჯავახეთურა სუსტ გამძლეობას იჩენს. განსაკუთრებით ძლიერ
ავადდება იგი ქრაქით. ამის შედეგად ფოთლები ნაადრევად ცვივა და რქები სრულ მომწიფებას ვეღარ
აღწევს. თუ კარგი ამინდი დაუდგა რქები ყურძნის მასობრივი მწიფობის პერიოდშივე მწიფდება და
ამ დროისათვის ღებულობს ჯიშის დამახასიათებელ ელფერს.

ჯავახეთურა უხვი მოსავლიანობით ხასიათდება. რქაზე ხშირად ორი მტევანი ვითარდება, მხოლოდ არათანაბარი სიდიდის. კარგი ამინდის პირობებში ერთი ძირი მალღარის მოსავალი 40 — 50 კგ -ს აღწევს. დაკვირვებით დასტურდება, რომ ეს ჯიში სოფ. ჩაოს ზონაში მალღარისხოვან პროდუქციის ბრძენად იქცევა. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ აღნიშნული სოფელი ჩრდილოეთისაკენ არის დაბრლილი და მზით ნაკლებადაა განათებული. სამხრეთ და სამხრეთ აღმოსავლეთით მდებარე ნაკვეთებში (ნაგაფი, ფურთიო) ეს ჯიში გაცილებით მაღალი ღირსების ყურძენს იძლევა. ამიტომ მისი შემდგომი გაშენება აუცილებელია წარმოებულ იქნეს მზით უხვად განათებულ ადგილებში; გარდა ამისა, აუცილებელია გამრავლება წარმოებდეს ნაშყენების სახით და დაბლარზე ფორმირება, მხოლოდ ამალღებული შტამბით. როგორც ძლიერი ზრდის ჯიში დასაშვებია მისი გასხვლა - ფორმირება — ოლიხნარული წესით, რამდენიმე სანაყოფოს დატოვებით.

ჯავახეთურას მტევნის საშუალო წონა 189 გრამია. 100 მარცვლის წონა უდრის 204 გრამს, აქედან კანი შეადგენს 13.6 გრამს. 100 მარცვალში 195 ცალამდე წიპწაა, წონით 6.1 გრამი. მტევნის კლერტის საშუალო წონა 5.9 გრამს აღწევს, ხოლო წვენის გამოსავალი 71.5% -ს.

ყურძნის სრული მწიფობის პერიოდში მასში შაქარი 21.3% -მდეა, საერთო მეთევიანობა — 9.1% -მდე. სამეურნეო დანიშნულებით ჯავახეთურა ხარისხოვან სუფრის ყურძნის ჯიშთა ჯგუფს მიეკუთვნება. ვაზის ძლიერ ზრდასთან ერთად იგი ავითარებს თხელი აგებულების და დიდ მტევნებს, მეტად ლამაზი მოგრძო მარცვლებით და მაღალი გემური თვისებებით. ამასთანავე იგი საყურადღებოა როგორც შედარებით საადრეო ჯიში. ზემო აქარის ზონაში ჯავახეთურა თითქმის ყველა ადგილობრივ ვაზის ჯიშს ასწრებს მომწიფებას (ყურძენი სრულ სიმწიფეს აღწევს 4 — 5 ოქტომბრიდან), რასაც უეჭველია დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მხარისათვის, — როგორც მაღალმთიან ზონისათვის. ამიტომ ზემო აქარაში მევენახეობის შემდგომ განვითარებას საფუძვლად უნდა დაედვას ჯავახეთურას ფართოდ გავრცელება.

Д Ж А В А Х Е Т У Р А

Листья средней величины, длиной 17.7 см и шириной 17.5 см. Округлые или слегка овальные. Черешковая выемка узкосводчатая, почти с параллельными сторонами или эллиптическая со слегка надвигающимися лопастями. Встречается также лировидной формы и с острым дном.

Верхние вырезки слабо выражены или расположены в виде входящего угла. Иногда встречаются закрытые вырезки эллиптической формы. Нижние вырезки слабо намечены.

Лист трехлопастный. Угол оконечной лопасти тупой. Оконечные зубцы лопастей треугольные, с округлой или острой вершиной; реже пиловидно-треугольные. Вторичные зубцы тоже треугольные с округлой или острой вершиной, иногда округло-пиловидные.

Поверхность листа гладкая, реже сетчато-морщинистая. По форме плоская, иногда воронковидно-желобчатая. Пластинка листа покрыта снизу слабой паутиной.

Отношение черешка к длине среднего нерва 0.8 — 0.9; черешок гбдый, светлозеленого цвета переходящего у основания в фиолетовый.

Плодоносные побеги средней толщины, светлокорицевого цвета. Узлы окрашены темнее, чем междоузлия. Длина междоузлий достигает 7 — 12 см.

Цветы обоеполые. Появление первых признаков созревания винограда наблюдается со второй половины августа массовое созревание наступает в первых числах октября.

Длина ножки грозди 4 — 5 см, длина грозди 13 — 20 см, ширина — 6.5 — 11 см. Количество ягод на грозди до 180 шт.

Общая форма грозди цилиндрическо-коническая, иногда крылатая, рыхлая, реже средней плотности. Вес грозди достигает 200 — 300 гр, в среднем 189 гр. Ножка грозди с гребнем травянистая и светлозеленого цвета.

Длина ножки ягоды с подушечкой 6 — 8 мм; зеленого цвета. Подушечка бородавчатая, реже гладкая и широко-коническая.

Ягода желтовато-янтарного цвета, средней величины, длиной 14.5 — 18.5 мм и шириной 12 — 14.6 мм; овальная или продолговатая, посередине широкая, у конца округлая и симметричная. Кожица почти тонкая; мякоть сочная и сладкая, с приятным вкусом.

Количество семян в ягоде 1 — 3 шт, чаще — 2. Длина семени 6.5 — 7 мм, ширина 3 — 4 мм; семя коричневого цвета. Халаза овальная. Длина клюва достигает 2 — 2.5 мм.

Джаваетура урожайный и по сравнению с другими местными сортами поспевает рано.

Полагаем, что сорт не местного происхождения.

Сорт заслуживает полного внимания и массового разведения в верхних районах Аджарии исключительно привитыми саженцами на соответствующих подвоях. В настоящее время Джаваетура встречается в виде „маглари“ лишь в районе Хуло.



საქართველოს
მეცნიერებათა
აკადემია



ჯავახეთურა — Джавахетура

საქართველოს მეცნიერებათა
აკადემია

მ ე ზ ი ბ ე რ ა

ქეჭიბერა აქარული თეთრყურძნიანი ჯიშია. გავრცელებულია მალღარების სახით ხულოს რაიონში, სოფ. ჩაოსა და ფურთიოს მიდამოებში.

ბოტანიკური აღწერა და სამეურნეო დახასიათება. კვირტები გაშლილ მუცხარეებში მოთეთრო-მონაცრისფროა და წვერთან გადაჰკრავს ოდნავ მოწითალო ელფერი. ზრდის მუცხარეებში მწვანო-მოწითალოა და ქეჩისებრად არის დაფარული მონაცრისფრო-თეთრი ბუსუსით. ახლად გაშლილი პირველი ფოთოლი ზედა მხრიდან მომწვანო-იისფერია, მოწითალო ელფერით და ქეჩისებრად არის დაფარული მონაცრისფრო-თეთრი ბუსუსით. მისი ქვედა მხარეც ქეჩისებრად დაფარული მოთეთრო ბუსუსით. პირველი ფოთლის მომდევნო მეორე და მესამე ფოთოლი ზედა მხრიდან მომწვანო-მოიისფროა, ღია მოწითალო ელფერით, და საკმაოდ სქლადაა დაფარული ბეწვისებრი ბუსუსით. ქვედა მხრიდან მათი შებუსვა თითქმის ქეჩისებრია, რაც შემდგომ მომდევნო ფოთლებზე თანდათან მცირდება.

ახალგაზრდა ყლორტი ღია მწვანეა და საკმაოდ დაფარული მონაცრისფრო ბუსუსით.

შემოსული რქა საშუალო სიმსხოსია და ყავისფერი. მუხლები უფრო მუქად არის შეფერილი. მუხლთშორისის სიგრძე აღწევს 7 — 14 სმ-ს.

ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალო სიდიდისაა. საერთო მოყვანილობით იგი მომრგვალო ან მცირედ განივ-ოვალურია. მცირედაა დანაკეთული; გვხვდება საკმაოდ დანაკეთული ფოთლებიც. ფირფიტის საშუალო სიგრძე 14.2 — 16.5 სმ-ია, სიგანე — 14.3 — 16.4 სმ.

ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი კვერცხისებრია და შედგება სამი ძარღვისაგან, მახვილი ან მომრგვალო ფუძით. გვხვდება აგრეთვე ელიფსური მოყვანილობის, ოთხი ძარღვისაგან შემდგარი ამონაკვეთები, ურთიერთზე მიახლოებული ნაკვეთებით.

ფოთლის ზედა ამონაკვეთს ღია და მცირედ ან საკმაოდ შექრილი კუთხე ახასიათებს. გვხვდება აგრეთვე ნაპრალისებრი ამონაკვეთი მახვილი ფუძით. ქვედა ამონაკვეთი მცირედაა ჩაჭრილი.

ფოთოლი სამნაკეთიანია. წვერის ნაკვეთი ფოთლის ფირფიტასთან ქმნის ბლაგვ კუთხეს.

ნაკვეთთა წვერის კბილები სამკუთხედისებრია, მახვილი ან მომრგვალო წვერით. ზოგჯერ ხერხკბილა-სამკუთხედისებრია ან ხერხკბილა, ცალი გვერდით ამოზნექილი.

ფოთლის ქვედა მხარე საკმაოდ შებუსვილია. ზედაპირი გლუვია ან ბადისებრად დანაკეთებული. ფირფიტა ბრტყელია ან ძაბრისებრ-ღარისებრად მოხრილი. იშვიათ შემთხვევაში ფოთლის ნაპირები ქვემოთაა ჩამოშვებული.

მთავარი ძარღვები მცირედ არის შებუსვილი და ღია მწვანეა.

ფოთლის ყუნწის შეფარდება შუა მთავარ ძარღვთან უდრის 0.8 — 1.0-ს. იგი შიშველია და მწვანე, ფუძესთან კი იისფერში გადადის.

ხულოს რაიონში ქეჭიბერას ყვავილობა იწყება 16 — 17 ივნისიდან და მთავრდება 26 ივნისამდე. ყვავილი ფუნქციონალურად მდედრობითია, იშვიათ შემთხვევაში გვხვდება ნორმალურად განვითარებული მტვრიანებით. ყვავილში 5 მტვრიანაა, გვხვდება 4 და 6 მტვრიანაც. ყვავილედში ყვავილების რაოდენობა 300 ცალამდე აღწევს (სურ. 60).

ყურძნის შეთვალეობა იწყება სექტემბრის პირველი რიცხვებიდან, ხოლო მასობრივ მწიფობაში შედის 25 ოქტომბრიდან.


ღიდი მტევნის ყუნწის სიგრძე აღწევს 4 — 4.5 სმ-ს, მტევნის სიგრძე — 14 — 17 სმ-ს, სიგანე — 7 — 8 სმ-ს, მტევანზე 90 — 110 ცალი მარცვალია. საშუალო მტევნის ყუნწის სიგრძე — 3.5 — 4.5 სმ-ია, მტევნის სიგრძე — 10 — 13 სმ, სიგანე — 5.5 — 7 სმ. მტევანზე 45 — 80 ცალი მარცვალია. მტევანს ახასიათებს განტოტვა, რაც თვით მტევნის სიგრძის ერთ მესამედს აღწევს.

მტევანი ცილინდრულია; გვხვდება ცილინდრულ-კონუსისებრი მოყვანილობის მტევნებიც. საშუალო სიმკვრივისაა, ზოგჯერ თხელიც. მტევნის საშუალო წონა აღწევს 100 გრამს. ყუნწი და კლერტი ბალახისებრია და მწვანე.

მარცვლის ყუნწის სიგრძე საჯდომი ბალიშით 4 — 5 მმ-ია. მწვანეა. საჯდომი ბალიში დამეჭვებულია, იშვიათად კი გლუვი. ფორმით განიერ-კონუსისებრია. მარცვალი სუსტად არის მიმაგრებული საჯდომზე.

მსხვილი მარცვლის საშუალო სიგრძე აღწევს 13 — 15.2 მმ-ს, სიგანე — 13 — 15 მმ-ს. საშუალო მარცვლის საშუალო სიგრძე 12 — 14 მმ-ია, სიგანე — 12 — 13.8 მმ.

მარცვალი ღია მწვანეა, საშუალო სიდიდის და მომრგვალო. შუა წელში გაგანთავსებულია მომრგვალებული აქვს და სიმეტრიულია. თხელკანიანია, მეტად წვნიანი და მცირე ხორციანი, სპეცი-



სორ. 6). ქეჭიბერას ყვავილი.

ფიკური მომთავო გემოთი. ზოგ წელიწადს მტევანს მასობრივი დაწვრილმარცვლიანება ახასიათებს. მარცვალი იმდენად თხელკანიანია და წვნიანი, რომ მცირე სიმალიდან მიწაზე ჩამოვარდნილი მტევანი მთლიანად იჭყლიტება.

მარცვალში 1 — 4 ცალი წიბწაა, სქარბობს 2 წიბწა. ყოველ 100 მარცვალში საშუალოდ 200 — 220 ცალი წიბწაა. წიბწის სიგრძე აღწევს 5 — 6.5 მმ-ს, სიგანე — 3 — 3.5 მმ-ს. ყავისფერია, მოყვითალო ელფერით. ქალაძა სუსტად არის გამოსახული და მოთავსებულია ზურგის მხარის შუა წელში. ფორმით თითქმის მომრგვალოა. ზურგის მხარე გლუვია. ნისკარტი მოყვითალოა; მისი სიგრძე 1.5 — 2 მმ-ია.

ქეჭიბერა საკმაოდ მოსავლიანი ჯიშია. ყურძენი არ ინახება და ტრანსპორტსაც ვერ იტანს. ახასიათებს წვეწის უხვი გამოსავლიანობა. მტევნები რქაზე სუსტადაა მიმაგრებული და ქარის მოქმედებით ადვილად ცვივა ძირს. სოკოვან ავადმყოფობათა და მეტადრე ნაცრის მიმართ საკმაო გამძლეობას იჩენს. მისი პროდუქცია შეიძლება გამოყენებულ იქნეს კონიაკის სპირტის დასამზადებლად.

ЧЕЧИБЕРА

Листья средней величины, длиной 14.2 — 16.5 см и шириной 14.3 — 16.4 см; округлые или слегка овальные.

Черешковая выемка яйцевидная, с острым или округлым дном. Лопasti выемки состоят из трех нервов. Встречается также эллиптическая, со скелетом из 4 нервов и с соприкасающимися лопастями.

Верхние вырезки открытые и слабо намечены или расположены в виде входящего угла. Встречаются также лировидные с узким устьем и острым дном. Нижние вырезки слабо намечены.

Лист трехлопастный. Угол оконечной лопасти тупой.

Оконечные зубцы лопастей треугольные, с острой или округлой вершиной. Встречаются также треугольно-пиловидные или пиловидные. Вторичные зубцы сходны с оконечными зубцами лопастей.

Поверхность листа гладкая или сетчато-морщинистая; плоская, иногда воронковидно-желобчатая. Пластинка листа снизу покрыта паутиновато-волосистым покровом.

Отношение черешка к длине среднего нерва 0.8 — 1.0; черешок голый, зеленого цвета, переходящего у основания в фиолетовый.

Плодоносные побеги средней толщины, коричневого цвета. Узлы окрашены темнее, чем междоузлия. Длина междоузлий достигает 7—14 см.

Цветы функционально женские.

საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
სამსახური



ჭეჭიბერა — Ччибѣра



Появление первых признаков созревания винограда наблюдается в начале сентября; массовое созревание наступает с 25 октября.

Длина ножки грозди 3.5 — 4.5 см, длина грозди — 10 — 17 см, ширина — 5.5 — 8 см; количество ягод на грозди до 110 шт.

Общая форма грозди цилиндрическая, иногда цилиндрическо-коническая, средней плотности, встречаются и рыхлые. Ножка грозди с гребнем травянистая и зеленая.

Длина ножки ягоды с подушечкой 4 — 5 мм, зеленая. Подушечка бородавчатая, реже гладкая и широко-коническая.

Ягода светлозеленая, средней величины, длиной 12 — 15.2 мм и шириной 12 — 15 мм, округлая, посередине широкая и симметричная. Кожица тонкая, мякоть очень сочная, с кисловатым вкусом. Виноград часто подвержен горошению.

Количество семян в ягоде 1 — 4 шт, чаще — 2. Длина семени 5 — 6.5 мм, ширина — 3 — 3.5 мм. Семя коричневого цвета, с желтоватым оттенком. Халаза почти округлая. Длина клюва достигает 1.5 — 2 мм.

Чечибера довольно урожайный сорт. Полагаем, что пригодится для коньячного производства. В настоящее время единичные экземпляры этого сорта в виде „маглари“ встречаются в Хулойском районе в сел. Чао и Фуртио, а также в окрестностях самого Хуло.

ტ ა ზ ი ძ უ რ ა



საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ტაგიძურა წითელყურძნიანი საღვინე ჯიშია. გავრცელებულია მაღლარების სახეობის ქობულეთის რაიონში — სოფ. ხუცუბნის, სამებისა, კვირიკეს და მუხაესტატეს მიდამოებში.

ადგილობრივ მოხუცთა გადმოცემით ირკვევა, რომ აღნიშნული ჯიში ქობულეთის რაიონში შემოტანილი ყოფილა ვინმე ტაგიძის მიერ, რომელსაც გაუშენებია იგი სოფ. ხუცუბანში მაღლარების სახით*). ვინაიდან ჯიშის ნამდვილი სახელწოდება დაკარგულა, მოსახლეობას მისთვის შემომტანის გვარი დაურქმევია (ტაგიძე და აქედან ტაგიძურა).

ტაგიძურას მორფოლოგიური ნიშან-თვისებები, როგორცაა: ყუნწის ამონაკვეთის ფორმა, ფოთლის შებუსვის ინტენსივობა, მტვრიანების რაოდენობა ყვავილში, მარცვლის შეფერვა და კონსისტენცია, აგრეთვე, აგრობიოლოგიური და სამეურნეო თვისებები, საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ იგი აქარის ვაზის აბორიგენულ ჯიშთა ჯგუფს ეკუთვნის.

როგორც გადმოგვცემენ, წარსულში აღნიშნული ჯიში მასობრივად ყოფილა გავრცელებული ქობულეთის რაიონის მთისპირა სოფლებში და გურიის მოსაზღვრე ადგილებში. ადგილობრივი მოსახლეობა მის პროდუქციას ძირითადად იყენებდა საოჯახო მოხმარების ღვინოების დასამზადებლად. ზოგიერთი მეურნე მისგან ამზადებდა აგრეთვე ყურძნის წვენს, ან ინახავდა ყურძენს აკიდობის სახით მთელი ზამთრის განმავლობაში.

ამჟამად ტაგიძურას გავრცელების არეალი მეტად შემცირებულია. მხოლოდ ქობულეთის რაიონშია გადარჩენილი მცირეოდენი მაღლარები, რომელთა მოსავლიანობა მეტად ცვალებადია. თუ კარგი ამინდი დაუდგა ტაგიძურა იძლევა უხვ მოსავალს და საკმაოდ ხალ და ხარისხოვან პროდუქციას.

ბოტანიკური აღწერა. კვირტები გაშლის პერიოდში მოთეთრო-მონაცრისფროა და ოდნავ გადაჰკრავს მოწითალო ელფერი. ზრდის კონუსი ქეჩისებრად არის დაფენილი თეთრი-მონაცრისფრო ბეწვისებრი ბუსუსით და დასდევს ოდნავ მოწითალო ელფერი. ახლად გაშლილი პირველი ფოთოლი ზედა მხრიდან მომწვანო-მოყვითალოა და საკმაოდ სქლად არის დაფარული მონაცრისფრო ბუსუსით. ქვედა მხრიდან შებუსვა ქეჩისებრია. ბუსუსი მოთეთროა და ხშირად დასდევს მოწითალო ფერი. ფოთლის ყუნწი მწვანეა და მცირედ არის დაფენილი მონაცრისფრო ბუსუსით. მომდევნო მეორე და მესამე ნორჩი ფოთლები ზედა მხრიდან მომწვანო-მოყვითალოა, მოწითალო ელფერით. მეორე ფოთოლი მცირედ და მესამე ძლიერ მცირედ არის დაფარული მონაცრისფრო ბუსუსით. ქვედა მხრიდან მათი შებუსვა ქეჩისებრია.

ახალგაზრდა ყლორტი მრგვალია. ღია მწვანეა და მცირედ არის დაფარული ბეწვისებრი ბუსუსით. შებუსვა მატულობს ყლორტის წვერისაკენ.

შემოსული რქა საშუალო სიმსხოსია. თითქმის ყავისფერია. მუხლები უფრო მუქად არის შეფერილი. მუხლთშორისის სიგრძე აღწევს 7 — 13 სმ-მდე.

ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალო სიდიდის ან საშუალოზე მცირეა. საერთო მოყვანილობით თითქმის მომრგვალო ან ოდნავ ოვალურია. მცირედ დანაკვთულია. მისი საშუალო სიგრძე აღწევს 13.8 სმ-ს, სიგანე — 13.7 სმ-ს.

ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი განიერ-ისრისებრია. ნაკვთთა კიდურები შემდგარია სამი ძარღვისაგან. გვხვდება აგრეთვე ჩანგისებრი ამონაკვეთი საკმაოდ ჩაღრმავებული ფუძით.

ზედა ამონაკვეთი უფრო ხშირად მცირედ არის ჩაჭრილი ან საკმაოდ შეჭრილ კუთხეს ქმნის. იშვიათად გვხვდება ჩანგისებრი მოყვანილობის ამონაკვეთი მომრგვალო ფუძით. ქვედა ამონაკვეთი ძლიერ მცირედ არის ჩაჭრილი.

ფოთოლი სამნაკვეთიანია. წვერის ნაკვეთი ფოთლის ფირფიტასთან ქმნის უფრო ხშირად ბლაგვ კუთხეს, იშვიათად — სწორს.


*) სოფ. ტაგიძეები ამჟამადაც არსებობს ხულოს რაიონში და შესაძლებელია ტაგიძურა ამ სოფლიდან იყოს გადმოტანილი ქობულეთის რაიონში. აღნიშნულ სოფელში, და საერთოდ მთელ დასავლეთ საქართველოში, ტაგიძურას მსგავსი ჯიში არ მოიპოვება.

ნაკვთთა წვერის კბილები სამკუთხედისებრია, წამახვილებული წვერით; ზოგჯერ ისევ სამკუთხედისებრია, მხოლოდ მცირედ მომრგვალებული წვერით ან ხერხბილა-სამკუთხედისებრია. მეორადი კბილები სამკუთხედისებრია, წამახვილებული ან მომრგვალებული წვერით.

ფოთლის ქვედა მხარე ქეჩისებრად არის დაფარული ბეწვისებრი ბუსუსით. მისი ზედა მხარე გლუვია, ზოგჯერ ბადისებრად არის დანაოქებული. ფირფიტა ძაბრისებრ-ღარისებრად არის მოხრილი. მთავარი ძარღვები ღია მწვანე ფერისაა და საკმაოდ შებუსუსული.



ფოთლის ყუნწის შეფარდება შუა მთავარ ძარღვთან უდრის 0.6 — 0.8 -ს. მკრთალი წითელი ღვიწახისფერია და მცირედ არის დაფარული ბეწვისებრი ბუსუსით. ყვავილი ორსქესიანია. მტვრიანები და ბუტკო ნორმალურადაა განვითარებული. ყვავილში 5 მტვრია-



სურ. 62. ტაგიძურას ყვავილი.

ნაა. გვხვდება აგრეთვე 4 და იშვიათად 6 მტვრიანაც. ყვავილების რიცხვი ყვავილედში 300 ცალამდე აღწევს (სურ. 62).

მტევნის ყუნწის სიგრძე აღწევს 6.5 — 10.5 სმ-ს, მტევნის სიგრძე — 20 — 35 სმ-ს, სიგანე — 8 — 12 სმ-ს.

მტევანი ცილინდრულ-კონუსისებრია და განტოტვილი. აგებულია თხელია, შუას ქვემოთ კი მკვრივად გათხლებული. მტევნის ყუნწი კლერტიით ბალახისებრია და ღია მწვანე.

მარცვლის ყუნწის სიგრძე საჯდომი ბალიშით აღწევს 5 — 6 მმ-ს. მწვანეა. საჯდომი ბალიში უფრო ხშირად დამეჭებებულია და განიერ-კონუსისებრი, იშვიათად ვიწრო-კონუსისებრია. მარცვალი საჯდომ ბალიშზე საკმაოდ მტკიცედ არის მიმაგრებული.

მარცვალი თითქმის შავია, საშუალო ან საშუალოზე უფრო მსხვილი. ფორმით მომრგვალო ან ოდნავ ოვალურია. მისი საშუალო სიგრძე აღწევს 13.5 — 18.5 მმ-ს, სიგანე — 13.0 — 18.0 მმ-ს. შუა წელში უფრო განიერია, ბოლო მომრგვალებული აქვს და სიმეტრიულია. საკმაოდ სქელკანიანია, უფრო წინა და წინა მხარე ხორციანი, ჩვეულებრივი ტკბილი გემოთი. შემფერავი ნივთიერება მხოლოდ კანში მოეპოვება. საჯდომი ბალიშის ბოქვებიც შედებილია. მარცვლის კანი ცვილით მცირედ არის დაფარული.

მარცვალში 1 — 4 ცალი წიპწაა, უფრო ხშირად გვხვდება 2 წიპწა. წიპწის სიგრძე აღწევს 6.5 — 7 მმ-ს, სიგანე — 3 — 4 მმ-ს. იგი ყავისფერია, ბოლო მუცლის მხრიდან ღარების გასწვრივ მოყვითალო. ქალაძა ოვალურია და მოთავსებული ზურგის შუა ნაწილში, ზურგის მხარე გლუვია. ნისკარტის სიგრძე აღწევს 2 მმ-მდე.

აგრობიოლოგიური დახასიათება. ქობულეთის რაიონის სოფ. ხუცუბნის ზონაში ტაგიძურას სავეგეტაციო პერიოდის საერთო ხანგრძლიობა, კვირტების გაფურჩქნიდან ფოთლის დაწყებასამდე, აღწევს 248 დღემდე. ვაზის გამოღვიძება იწყება მარტის ბოლოდან. კვირტების გამოფურჩქნა მიმდინარეობს 4 — 5 აპრილიდან. ყვავილობა იწყება 8 — 10 ივნისიდან და ამინდის ხელსაყრელ პირობებში 18 — 20 ივნისამდე მთავრდება. ყურძნის შეთვალევა იწყება აგვისტოს ბოლო რიცხვებში და მასობრივ სიმწიფეში ნოემბრის პირველიდან შედის. ფოთოლცვენა ჩვეულებრივ იწყება ნოემბრის

მეორე ნახევრიდან და მთავრდება დეკემბრის პირველ რიცხვებში. ხშირად ფოთოლცვენა აღრე მთავრდება, რაც გამოწვეულია სოკოვან ავადმყოფობათა მოქმედებით.

ტაგიძურა ძლიერი ზრდა-განვითარებისაა. სავეგეტაციო პერიოდის დასასრულისათვის რქების განვითარება სიგრძით 3 — 3.5 მეტრს აღწევს.

ყურძნის სრული სიმწიფის პერიოდისათვის რქები სრულ მომწიფებას აღწევს და მათი სიგრძის დამახასიათებელ ელფერს.

ტაგიძურას მალღარები არ სარგებლობს სათანადო მოვლით, ვინაიდან მეტად დიდ სიმაღლეზე ვითარდებიან. ამიტომ მათი მოსავლიანობაც ცვალებადია. ზოგიერთ წელს, ხელსაყრელ ამინდის პირობებში, მას ახასიათებს უხვი მოსავლიანობა. ამ შემთხვევაში თვითოეული ძირი ვაზი იძლევა 50 — 70 კგ ყურძენს. რქაზე ხშირად ორი მტევანი ვითარდება.

მეტად საინტერესოა ტაგიძურას მტევნის აგებულება. სხვა ადგილობრივ ჯიშებთან შედარებით მას უვითარდება მსხვილი და გრძელი მტევნები (20 — 35 სმ). მხოლოდ მტევანი შუამდგა შევსებული მარცვლებით, შუას ქვემოთ კი იგი თითქმის ცარიელია ან მასზე განვითარებულია 5 — 10 ცალი მარცვალი. ვინაიდან ტაგიძურას ყვავილის აღნაგობა სავსებით ნორმალურია, ამიტომ ამ მოვლენის მიზეზად, ჩვენის აზრით, მალღარობა უნდა ჩაითვალოს. როგორც აღვნიშნეთ ვაზები აშვებულა მალღარ ბებზე და თითქმის გაგარეულებულია. ვფიქრობთ, რომ კულტურულ პირობებში ჩაყენებით აღნიშნულ ნაკლს ჯიში გამოასწორებს და მოსავლიანობით იგი პირველ ადგილს დაიკავებს აქარის წითელყურძნიან ვაზებს შორის.

ცუდი ამინდის პირობებში ტაგიძურა განიცდის ყვავილცვენას, რაც 8 — 10% -მდე აღწევს. მტევანში წვრილი მარცვლები 3 — 4% -მდეა.

სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ სუსტ გამძლეობას იჩენს და განსაკუთრებით ავადდება კრაქისაგან.

სამეურნეო დახასიათება. ტაგიძურა სამეურნეო დანიშნულებით საღვინე ჯიშია. მისი პროდუქცია წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული ორდინარული ტიპის ღვინოების დასამზადებლად. 1934-35-36 წლებში ქ. ბათუმში დამზადებულმა ტაგიძურას ღვინომ დადებითი შეფასება მიიღო.

დიდი მტევნის წონა 400 გრამია, მცირესი კი — 145 გრამი. მარცვლების რაოდენობა მტევანზე მერყეობს 56 — 135 ცალამდე, საშუალოდ 80 ცალია.

მექანიკური ანალიზების მიხედვით მტევანში კლერტი შეადგენს 4% ს, კანი — 13.9% -ს, წიბწა — 3.6% -ს და წვენი — 78.5% ს.

100 მარცვლის საშუალო წონა 272 გრამია. 100 მარცვალში 225 ცალი წიბწაა, წონით 10 გრამამდე.

ტაგიძურას ყურძენი კარგად ინახება. ვაზზე დატოვებული, იგი დეკემბრის ბოლომდე ძლებს, მხოლოდ ქნობას განიცდის.

როგორც უხმოსავლიანი და ამავე დროს საკმაოდ ხარისხოვანი პროდუქციის მომცემი, ტაგიძურა საყურადღებო ჯიშია. მისი მასობრივად გავრცელება დასაშვებად მიგვაჩნია, მხოლოდ ნამყენების სახით, ქობულეთისა და ბათუმის რაიონების მთისპირა სოფლებში.

ТАГИДЗУРА

Листья средней или меньше средней величины, длиной 13.8 см и шириной 13.7 см, округлые или слегка овальные.

Черешковая выемка широко-стрельчатая, с плоским дном. Лопастные выемки состоят из трех нервов. Встречаются также лировидные и довольно глубокие.

Верхние вырезки чаще слабо выражены или расположены в виде входящего угла. Очень редко встречаются вырезки лировидной формы с округлым дном. Нижние вырезки едва намечены.

Лист трехлопастный; угол конечной лопасти тупой, реже — прямой.

Оконечные зубцы лопастей треугольные, с острой вершиной или треугольные со слегка округлой вершиной и треугольно-пиловидные. Вторичные зубцы треугольные с острой или округлой вершиной.

Поверхность листа гладкая, иногда сетчато-морщинистая и воронковидно-желобчатой формы. Пластинка листа покрыта снизу густым войлочным покровом.



საქართველო
ზოოლოგიური

ტაგიძურა — Тагидзура

Отношение черешка к длине среднего нерва 0.6—0.8; черешок со следами волосков, виннокрасного цвета.

Плодоносные побеги средней толщины, почти коричневого цвета; узлы окрашены темнее, чем междоузлия. Длина междоузлия достигает 7—13 см.

Цветы обоеполые.

Появление первых признаков созревания винограда наблюдается в конце августа, созревание наступает с 1 ноября.

Длина ножки грозди 6.5—10.5 см, длина грозди—20—35 см, ширина—8—12 см; количество ягод на грозди до 80 шт.

Общая форма грозди цилиндрическо-коническая и ветвистая; рыхлая. Недостатком этого сорта является осыпание верхней половины грозди, и в результате этого остаются примерно 5—10 шт. ягод. Ножка грозди с гребнем травянистая и светлозеленого цвета.

Длина ножки ягоды с подушечкой составляет 5—6 мм; зеленого цвета. Подушечка бородавчатая и широко-коническая; реже—узко-коническая.

Ягода почти черная, средней или выше средней величины, длиной 13.5—18.5 мм и шириной 13—18 мм. Ягода округлая или слегка овальная; посередине широкая, у конца округлая и симметричная. Кожица довольно толстая. Мякоть довольно сочная и мясистая, с обыкновенным сладким вкусом.

Количество семян в ягоде 1—4 шт., чаще 2. Длина семени 6.5—7 мм, ширина—3—4 мм; семя коричневого цвета. Халаза овальная. Длина клюва достигает 2 мм.

Тагидзура—виновый сорт. Очень урожайный. Дает довольно качественный материал для вина местного потребления, что подтверждено проведенной 1934-35-36 г. дегустацией при кафедре виноградарства СХИ Грузии имени А. П. Берия. В результате дегустации оно получило хорошую оценку, как тип легкого столового вина.

Сорт, как урожайный, заслуживает внимания и разведения особенно в предгорных зонах Кобулетского и Батумского районов, где данный сорт в настоящее время встречается в виде „маглари“ довольно в большом количестве.

ბ ა თ ო მ უ რ ა



ბათომურა წითელყურძნიანი ჯიშია. გავრცელებულია ასწლოვანი მალღარების რაიონებში და მახარაძის რაიონებში.

წერილობითი მასალები აქარასა და გურიაში ბათომურას გავრცელების შესახებ არ მოგვებოვებ. ამპელოგრაფიული ნიშან-თვისებით იგი თითქოს არ წააგავს პონტოური ვაზის აბორიგენულ ჯიშებს საქართველოს ფარგლებშიც არ გვხვდება მისი მსგავსი ჯიში, რომ ერთგვარი შედარება მაინც ვაწარმოოთ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აქარის მოსახლეობასთან წარსულში თურქეთის იძულებითი დაახლოების შედეგად, ამ უკანასკნელიდან განსაკუთრებით კი ყოფილი ჩვენი ტერიტორიიდან (კლარჯეთიდან, შავშეთიდან, ლივანიდან) შემოტანილ იქნა ვაზის ზოგიერთი ჯიში, რომელთა ნაშთებს თითო-ორიოლა ძირის სახით, ამჟამადაც ვხვდებით შუა და ზემო აქარის რაიონებში (ჯიშები: ჩაუში, მისკიეთა, ლივანურა, კლარჯული, შავშურა). შესაძლოა რომ აღნიშნულ ჯიშებთან ერთად ბათომურაც ზემოდასახლებული მხარეებიდან იყოს შემოტანილი; ამასთან, ჯიშის ნამდვილი სახელწოდება დაკარგულა და მიუღია იმ ადგილის სახელი, სადაც იგი მასობრივად იყო დანერგული და გავრცელებული (ქ. ბათომი, აქედან — „ბათომურა“).

ჩვენ მიერ ქ. ბათომის მიდამოებში ვაზის ადგილობრივი ჯიშების შესწავლის დროს, გარდა იზაბელასი (ადგილობრივი სახელწოდებით — „ადესა“), არც ერთი ჯიში არ გვიპოვია. ვაზის აბორიგენული ჯიშები აქარაში ფართოდ არის გავრცელებული მხოლოდ შუა და ზემო რაიონებში და აგრეთვე ქობულეთის რაიონის მთისპირა სოფლებში (სოფ. სამებაში, კვირიკეში, ხუცუბანში და სხვ.).

როგორც გადმოგვცემენ ფილოქსერისა და სოკოვან ავადმყოფობათა შემოჭრამდე ბათომურა ფართოდ ყოფილა გავრცელებული მალღარების სახით ქვემო აქარაში. ამჟამად მისი გავრცელების არეალი შეტად შემცირებულია. ხნოვანი ვაზების თითო-ორიოლა ძირი მალღარების სახით ამჟამად გვხვდება სოფ. კვირიკეში, ხუცუბანში (ქობულეთის რაიონში), ლისაურში და ქანიეთში (მახარაძის რაიონში).

ბოტანიკური აღწერა. კვირტები გაშლის პერიოდში მომწვანო-მოწითალოა და საკმაოდ სქლად არის დაფარული მონაცრისფრო ბეწვისებრი ბუსუსით. ზრდის კონუსი ღია მწვანეა, ცალ მხარეზე დასდევს მოწითალო ელფერი და დაფარულია მონაცრისფრო-მოთეთრო ბეწვისებრი ბუსუსით. ახლად გაშლილი პირველი ფოთოლი ზედა მხრიდან მოწითალო-მომწვანოა; სქარბობს მოწითალო ფერი და უმნიშვნელოდ არის დაფარული მონაცრისფრო ბუსუსით. მისი ქვედა მხარე მოწითალო-მომწვანოა და საკმაოდ სქლად არის დაფარული მონაცრისფრო ბუსუსით. ფოთლის ყუნწი მომწვანო-მოწითალოა და უმნიშვნელოდაა შებუსვილი. მეორე და მესამე ნორჩი ფოთოლი ზედა მხრიდან მომწვანო-მოწითალოა და შეტად მცირედ არის შებუსვილი. ქვედა მხრიდან კი საკმაოდ შებუსვილია.

ახალგაზრდა ყლორტი მრგვალია, ცალ მხარეზე ღია მწვანე და მეორეზე მოწითალო-იისფერი უმნიშვნელოდ არის დაფარული მონაცრისფრო ბეწვისებრი ბუსუსით.

შემოსული რქა საშუალო სიმსხოსია და ყავისფერი. მუხლები უფრო მუქად არის შეფერილი. მუხლთშორისის სიგრძე აღწევს 8—13 სმ-ს.

ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალო სიდიდისა ან საშუალოზე მცირეა. საერთო მოხაზულობით ოდნავ ოვალურია. ძლიერ მცირედ ან მცირედ არის დანაკეთული. ფოთლის საშუალო სიგრძე 14.1 სმ-ია, სიგანე 13.8 სმ.

ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი უფრო ხშირად ჩანგისებრია, ბრტყელი ფუძით. ამონაკვეთების ნაკვეთები სამი ძარღვისაგან შედგება. ზოგჯერ იგი ასევე ჩანგისებრია და ფუძე შემოფარგლულია ძარღვებით. გვხვდება აგრეთვე ისრისებრი ამონაკვეთები, ღრმად ჩაჭრილი და თანასწორ გვერდებიანი.

ზედა ამონაკვეთი ძლიერ მცირედ არის ჩაჭრილი. იშვიათად საკმაოდ შეჭრილ კუთხეს ქმნის. ქვედა ამონაკვეთი უმნიშვნელოდ არის ჩაჭრილი.


ფოთოლი სამნაკვეთიანია წვერის ნაკვეთი ფოთლის ფირფიტასთან ქმნის ბლაგვ კუთხეს იშვიათად

ნაკეთია წვერის კბილები უფრო ხშირად სამკუთხედისებრია, წამახვილებული წვერით, ან ასევე სამკუთხედისებრი, მომრგვალებული წვერით. გვხვდება აგრეთვე ხერხკბილა-სამკუთხედისებრიც. მეორეული კბილებიც მთავარი კბილების მსგავსია.

ფოთლის ქვედა მხარე ძლიერ მცირედ არის შებუსხვილი. ზედა მხარე ხშირად გლუვია, იშვიათად ბადისებრად დანაოჭებული. ფორფიტა უფრო ხშირად დაბრისებრ-ღარისებრად არის მოხრილი; გვხვდება აგრეთვე ბრტყელი ზედაპირის მქონე და ნაპირებით ზემოთ აწეული ფოთლები. მთავარი ძარღვები შიშველია და ღია მწვანე.

ფოთლის ყუნწის შეფარდება შუა მთავარ ძარღვთან უდრის 0.7 — 0.9-ს. იგი შიშველია და ღია მწვანედან იისფერში გადადის.

ყვავილი ფუნქციონალურად მდებარეობითია. იშვიათად გვხვდება ნორმალურად განვითარებული



სურ. 64. ბათონურას ყვავილი.

ყვავილებიც. ყვავილში 5 მტვრიანაა, გვხვდება 4 და 6 მტვრიანაც. მტვრიანები მოკლე და მოკაკულია. ყვავილედში ყვავილების რაოდენობა 250 ცალიამდე აღწევს (სურ. 64).

მტვევის ყუნწის სიგრძე 3 — 4.5 სმ-ია, მტვევის სიგრძე — 13 — 16 სმ, სიგანე — 8 — 10 სმ. მტვევანზე მარცვლების რაოდენობა 60 — 70 ცალიამდეა.

მტვევანი ცილინდრულია, იშვიათად ცილინდრულ-კონუსისებრი. საშუალო სიმკვრივისაა. მტვევის ყუნწი მცირე მანძილზე გახვევებულია. დანარჩენი ნაწილი — კლერტით ბალახისებრია და ღია მწვანე.

მარცვლის ყუნწი საჯდომი ბალიშით აღწევს 5 — 6 მმ-ს. იგი მწვანეა. საჯდომი ბალიში დამეჭებებულია და განიერ-კონუსისებრი.

მარცვალი მუქი წითელია. საკმაოდ მსხვილი ან მსხვილია. მისი სიგრძე აღწევს 16.8 — 21.5 მმ-ს, სიგანე 15.2 — 19.5 მმ-ს. ოვალურია, შუა წელში უფრო განიერი, ბოლო მომრგვალებული აქვს და სიმეტრიულია. სქელკანიანია, საკმაოდ ხორციანი და წვნიანი. ჩვეულებრივი ტკბილი გემოთი. შემფერავი ნივთიერებანი მხოლოდ კანშია მოთავსებული. მარცვალი მცირედ არის დაფარული ცვილით.

მარცვალში 1 — 4 ცალი წიბწაა, უფრო ხშირად გვხვდება 1 წიბწა. წიბწის სიგრძე აღწევს 7 — 9 მმ-ს, სიგანე — 4.0 — 4.5 მმ-ს. ღია ყავისფერია, მუცლის მხრიდან ღარებში კი მოყვითალო. ქალაქა კარგად არის გამოსახული და მოთავსებულია ზურგის მხარეს შუა ნაწილში. ფორმით იგი მოგრძო-ოვალურია. ზურგის მხარე გლუვია. ნისკარტის წვერი მოწითალო-წაბლასფერია, ხოლო თვით ნისკარტი მოყვითალო. ნისკარტის სიგრძე 1.5 — 2 მმ-ია.

აგრობიოლოგიური დახასიათება. ქობულეთის რაიონის სოფ. ხუცუბნის ზონაში ბათონურას სავეგეტაციო პერიოდის საერთო ხანგრძლიობა აღწევს 248 დღეს. კვირტების გამოფურჩქვნა იწყება აპრილის პირველი რიცხვებიდან. ყვავილობა მიმდინარეობს 5 — 8 ივნისიდან და ამინდის ხელშემწყობ პირობებში 18 — 20 ივნისამდე მთავრდება. შეთვალეების პირველი ნიშნები ემჩნევა აგვისტოს ბოლო რიცხვებში და მასობრივ სიმწიფეში 25 ოქტომბრიდან შედის. ფოთოლცვენა იწყება 15 — 20 ნოემბრიდან და დეკემბრის პირველ რიცხვებში მთავრდება.

ვაზის მწვანე ნაწილები სრულ მომწიფებას აღწევს ყურძნის მასობრივი სიმწიფის პერიოდისათვის. რქები ამ დროისათვის ჯიშის დამახასიათებელ ელფერს ღებულობს.

ბათომურა ძლიერი ზრდის ჯიშია. მისი მეტად ხნოვანი მალღარები (150 წლამდე) აღზრდილია მალღარ ხეებზე (20 - 25 მეტრი). ამის გამო ვაზები მოკლებულია სათანადო მოვლას. მიუხედავად ამისა, ცალკეული რქები სავეგეტაციო პერიოდის დასასრულისათვის სიგრძით 3 — 4 მეტრამდე აღწევს. მუზრანის საბჭოთა მეურნეობაში (ქართლში) 1939 წელს მოწყობილ ქართულ ვაზის ჯიშთა სანერგეში ბათომურას ნამყენები თავიანთი ძლიერი ზრდა-განვითარებით მკვეთრად გამოირჩეოდა დანარჩენი ჯიშებისაგან. სავეგეტაციო პერიოდის დასასრულისათვის ერთწლიან მტევანებს რქების სიგრძე 3 — 3.5 მეტრს აღწევდა.

იმის გამო, რომ ბათომურას ახასიათებს ფუნქციონალურად მდებრობითი სქესის ყვავილები და ამასთან ერთად მალღარად აღზრდის გამო იგი მოუვლელად არის, მოსავლიანობაც ნაკლები აქვს. ჯიშში განიკდის მასობრივ ყვავილცვენას. ამასთანავე, მტევანი მეტად წვრილმარცვლიანდება. ექვს გარეშეა, რომ კულტურულ პირობებში ჩაყენებით, აგრეთვე პერმოფროდიტული ყვავილების მქონე ვაზებს შორის გაშენებით, ბათომურა აღნიშნულ ნაკლს გამოისწორებს და რაოდენობრივად და ხარისხობრივად მალღარ პროდუქციას მოგვცემს.

სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ სუსტ გამძლეობას იჩენს. უფრო მეტად ავადდება ნაცრით.

სამეურნეო დახასიათება. ბათომურა სუფრის ყურძნის ჯიშია. ვინაიდან ამჟამად მისი გავრცელების არეალი მეტად შემცირებულია, ამიტომ ყურძნის გადამუშავებას ღვინოდ არ აწარმოებენ და მას მხოლოდ საქმელად ხმარობენ.

ვაზზე დატოვებული ყურძენი ძლებს მთელი ზამთრის განმავლობაში და კრეფენ მხოლოდ საქიროების მიხედვით. დაკრეფილი ყურძენი გახაფხულამდე ინახება, ამავე დროს ტრანსპორტსაც კარგად იტანს.

ბათომურას მტევნის საშუალო წონა აღწევს 92 გრამს. მტევანზე საშუალოდ 68 — 70 ცალი მარცვლია. საშუალო მტევანზე კლერტი შეადგენს 4.3% -ს, წიპწა — 4.5% -ს, კანი — 19.2% -ს და წვენი გამოსავალი 67.0% -ს. დიდი მტევნის წონა უდრის 112 გრამს, მცირესი — 81 გრამს.

100 მარცვლის საშუალო წონა 170 გრამია, 100 წიპწისა — 5.8 გრამი. 100 მარცვალში 187 ცალი წიპწაა, წონით 8.0 გრამი. ერთწიპწიანი მარცვლები შეადგენს 71% -ს, ორწიპწიანი 23% -ს, სამწიპწიანი — 4% -ს და ოთხწიპწიანი — 2% -ს. წვრილი მარცვლები სრულ მომწიფებას აღწევს ყურძნის მასობრივი სიმწიფის პერიოდისათვის და ხშირად წიპწას არ ავითარებს.

როგორც ადგილობრივი მნიშვნელობის სუფრის ყურძნის ჯიშში, ბათომურა ყურადღების ღირსია და მისი გამრავლება, ნამყენების სახით, მიზანშეწონილია ქვემო აჭარის ზონაში, მხოლოდ პერმოფროდიტული ყვავილების მქონე ვაზის ჯიშებთან შერევით.

БАТОМУРА

Листья средние или меньше средней величины, длиной 14.1 мм и шириной 13.8 см, слегка овальные, реже — поперечно-овальные.

Черешковая выемка лировидная, с плоским дном, или лировидная, но дно ограничено нервами. Лопастные выемки состоят из трех нервов. Встречаются также стрельчатые, равносторонние и глубокие.

Верхние вырезки слабо намечены, иногда расположены в виде входящего угла. Нижние вырезки очень слабо выражены.

Лист трехлопастный. Угол оконечной лопасти тупой, реже — прямой.

Оконечные зубцы лопастей чаще треугольные, с острой или округлой вершиной, реже треугольно-пиловидные. Вторичные зубцы по форме сходны с оконечными зубцами лопастей.

Поверхность листа гладкая; реже сетчато-морщинистая; по форме воронковидно-желобчатая, иногда плоская. Пластинка листа покрыта снизу тонкой паутиной.

Отношение черешка к длине среднего нерва 0.7 — 0.9; черешок голый и светлозеленого цвета.

Плодоносные побеги средней толщины; коричневого цвета. Узлы окрашены темнее, чем междоузлия. Длина междоузлий достигает 8 — 13 см.

Цветы функционально женские.

Появление первых признаков созревания винограда наблюдается в конце августа; массовое созревание наступает с 25 октября.



საქართველოს
საბუნებისმეტყველო
მეცნიერებათა
აкадеმიის
ბიბლიოთეკა

საქართველოს
საბუნებისმეტყველო
მეცნიერებათა
აкадеმიის
ბიბლიოთეკა

ბათომურა — Батомура

Длина ножки грозди 3.5 — 4.5 см, длина грозди — 13 — 16 см, ширина — 8 — 10 см. Количество ягод на грозди до 70 шт.

Общая форма грозди цилиндрическая; реже цилиндрическо - коническая; гроздь средней плотности.

Длина ножки ягоды с подушечкой составляет 5 — 6 мм, зеленого цвета. Подушечка бордовая, чашатая и широко-коническая.

Ягода темнокрасная, крупная, длиной 16.8 — 21.5 мм и шириной 15.2 — 19.5 мм; по форме овальная, посередине широкая, у конца округлая и симметричная. Кожица толстая, мякоть довольно сочная и мясистая.

Количество семян в ягоде 1 — 4 шт. Чаше 1. Длина семени 7 — 9 мм, ширина — 4 — 5.5 мм; семя светлокорицевого цвета, с брюшной же стороны желтоватая. Халаза овальная, спинная сторона гладкая. Длина клюва достигает 1 — 1.5 мм.

Батомура — красный столовый сорт местного значения. Очень урожайный. Виноград хорошо сохраняется и выдерживает транспорт.

Данный сорт встречается довольно в большом количестве в виде „маглари“, в Кобулетском и Махарадзевском районах. Сорт заслуживает внимания и разведения, особенно в пригородных микрорайонах г. Батуми и Кобулет.



საწურავი აქარაში გავრცელებული წითელყურძნიანი ჯიშია. მისი პროდუქტია ადგილობრივი მოხმარების ორდინარული ტიპის ღვინოების დასამზადებლად.

გამოკვლევით დასტურდება, რომ საწურავი აქარის ვაზის აბორიგენულ ჯიშთა ჯგუფს მიეკუთვნება. როგორც უხვმოსავლიანი და წვეწის დიდგამოსავლიანი ჯიში, წარსულში იგი ფართოდ ყოფილა გავრცელებული მაღლარების სახით შუა და ზემო აქარის რაიონებში (ქედაში, ხულოში). მის პროდუქციას ადგილობრივი მოსახლეობა იყენებდა საოჯახო ღვინოსა და ყურძნის წვეწის დასამზადებლად. თურქეთის მიერ ამ მხარის დაპყრობის შემდეგ, მოსახლეობის გამაჰმადიანების შემდეგ, ღვინის სმის აკრძალვასთან დაკავშირებით, საწურავის გავრცელების არეალი, სხვა საღვინე ჯიშების მსგავსად, საგრძნობლად შემცირდა. ამას ხელი შეუწყო აგრეთვე შემდგომში სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის გავრცელებამ. ამჟამად საწურავის მაღლარები მხოლოდ თითო-ორი ძირის სახით არის გადარჩენილი ხულოსა და ქედის რაიონებში (სოფ. ჩაოში, ფურთიოში, ვაიოში და სხვ.).

უკანასკნელ წლებში საწურავმა, როგორც უხვმოსავლიანმა ჯიშმა, მკვიდრ მცხოვრებთა ფართო ყურადღება მიიპყრო და იგი მასობრივად იქნა დანერგული დაბლარად, ნამყენების სახით, ქედისა და ხულოს რაიონის ქვემო ზონაში როგორც საკოლმეურნეო, ისე კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე.

ბოტანიკური აღწერა. კვირტები გაშლის პერიოდში მოთეთრო-მოწითალოა. ზრდის კონუსი ქეჩისებრად არის დაფენილი მონაკრისფრო-თეთრი ბეწვისებრი ბუსუსით. ახლად გაშლილი პირველი ფოთოლი ზედა მხრიდან მომწვანოა და კბილებთან დასდევს ღია წითელი ფერი. როგორც ზემოდან, ისე ქვედა მხრიდან ასისათებს ქეჩისებრი შებუსეა. ბუსუსი მონაკრისფრო-თეთრია, მხოლოდ პერიფერიისაკენ დასდევს მოწითალო ელფერი. ფოთლის ყუნწი ცალ მხარეზე ოდნავ მოწითალო-ისფერია და სქლად არის დაფარული ბეწვისებრი ბუსუსით. მომდევნო მეორე და მესამე ნორჩი ფოთოლი ზედა მხრიდან მომწვანო-ისფერია, მოწითალო ელფერით, და საკმაოდ დაფენილი ბუსუსით. ქვედა მხრიდან მათი შებუსეა ქეჩისებრია.

ახალგაზრდა ყლორტი მრგვალია, ცალ მხარეზე ღია მწვანე და ცალზე მოწითალო-ისფერი. მცირედ არის დაფარული მონაკრისფრო-თეთრი ბუსუსით, შებუსეა მატულობს ყლორტის წვერისაკენ.

შემოსული რქა საშუალო სიმსხოსია, ზოგ შემთხვევაში საშუალოზე მსხვილი. ღია ყავისფერია. მუხლთშორისის სიგრძე აღწევს 7 — 13 სმ-ს.

ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალო სიდიდის ან საშუალოზე დიდია. მისი სიგრძე 19,9 სმ-ია, სიგანე — 17,3 სმ. ფორმით ოვალურია და ღრმად დანაკვეთული, იშვიათად კი საშუალოდ დანაკვეთული.

ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ღიაა და ჩანგისებრი. ზოგ შემთხვევაში ამონაკვეთის ფუძეზე განვითარებულია ერთი უბრალო კბილი. ბუნებრივ მდგომარეობაში ყუნწის ამონაკვეთის ნაკვეთები ერთმანეთს მცირედ ეხება და შედგება სამი, იშვიათად ოთხი ძარღვისაგან.

ზედა ამონაკვეთი ღრმადია ჩაჭრილი და ბუნებრივ მდგომარეობაში მეტ წილად დახურულია. ამონაკვეთი ხშირად კვერცხისებრი მოყვანილობისაა; გვხვდება აგრეთვე ჩანგისებრი ამონაკვეთები, პარალელური გვერდებითა და მომრგვალებული ფუძით. ამონაკვეთის ფუძეზე ზოგჯერ განვითარებულია ერთი უბრალო კბილი. ქვედა ამონაკვეთი საკმაოდ ღრმად არის ჩაჭრილი და ფორმით ჩანგისებრია, მეტ წილად მომრგვალებული ფუძით. გვხვდება მცირედ ჩაჭრილი ამონაკვეთებიც, გაშლილი ნაპირებითა და მახვილი ფუძით.

ფოთოლი უფრო ხშირად ხუთნაკვეთიანია. წვერის ნაკვეთი ფოთლის ფირფიტასთან ქმნის პლაგეკუთხეს, იშვიათად სწორს.


ნაკვეთთა წვერის კბილები სამკუთხედისებრია, მახვილი წვერით, ან ხერხკბილა-სამკუთხედისებრია, წამახვილებული და მოკაუჭებული წვერით. მეორეული კბილები სამკუთხედისებრია, ამოხეჩილი გვერდებითა და მომრგვალებული ან მახვილი წვერით. იშვიათად ხერხკბილა-სამკუთხედისებრია. ფირფიტის ნაპირები კბილებითურთ მასობრივად შეფერილი მოწითალო-ყანვისფერად.

ფოთლის ქვედა მხარე ქეჩისებრად არის დაფენილი მონაცრისფრო ბეწვისებრი ბუსუსით. მისი ზედა მხარე გლუვია ან ბადისებრად დანაოქებული. ფირფიტა ძაბრისებრ-ღარისებრად არის მოხრილი. მთავარი ძარღვები საკმაოდ არის შეზუსვილი ნაცრისფერი ბუსუსით, ღია მწვანეა, ფუძესთან დონისფერში გადადის.

ფოთლის ყუნწის შეფარდება შუა მთავარ ძარღვთან უდრის 0.8 — 0.1 -ს. იგი შიშველყურისფერია ნისფერი.

ყვავილი ორსქესიანია. ბუტკო და მტვრიანები ნორმალურადაა განვითარებული. ყვავილში 5 მტვრიანაა, იშვიათად გვხვდება 4 და 6 მტვრიანაც. ყვავილედში ყვავილების რიცხვი 700 ცალამდე აღწევს (სურ. 66).

მტევნის ყუნწის სიგრძე 3.5 — 6.5 სმ-ია, მტევნის სიგრძე — 14 — 26 სმ, სიგანე — 9.5 — 17 სმ.



სურ. 66. საწურავის ყვავილი.

მტევანი ცილინდრულ-კონუსისებრია ან ცილინდრული. ძლიერ მკვრივია, გვხვდება საშუალო სიმკვრივის მტევნებიც. ხშირად მტევნის ყუნწის მუხლიდან განვითარებული განტოტვა 3 — 6 მარცვალს შეიცავს. მტევანს მასობრივად ახასიათებს ორი ფრთა, იშვიათად — სამი. მტევნის ყუნწი მუხლის შუამდე გახევებულია და რქის ფერისაა. კლერტი ბალახისებრია და ღია მწვანე.

მარცვლის ყუნწი საჯდომი ბალიშით აღწევს 5 — 7 მმ-ს. ღია მწვანეა. ბალიში მოყავისფროა, დაბეჭეპებული და განიერ-კონუსისებრი. მარცვალი სუსტად არის შიმაგრებული საჯდომ ბალიშზე.

მარცვალი მუქი წითელია, საშუალოზე მსხვილი. მისი საშუალო სიგრძე აღწევს 16.4 მმ-ს, სიგანე — 15.5 მმ-ს. მცირედ ოვალური და იშვიათად მომრგვალოა, შუა წელში უფრო განიერი, ბოლო მომრგვალებული აქვს და სიმეტრიულია. თხელკანიანია, მეტად წვნიანი (თქვლიაფა) და მცირე ხორციანი, უბრალო ტკბილი გემოთი. მარცვლის კანი საკმაოდ არის დაფარული ცვილით.

მარცვალში 1 — 4 ც. წიაჭაა, სქარბობს 2 წიაჭა. წიაჭის სიგრძე აღწევს 7 — 8 მმ-ს, სიგანე — 4 — 5 მმ-ს. მოწაბლისფრო ან ყავისფერია, მუცლის მხრიდან ღარებში კი მოყვითალოა. მომრგვალო ან მცირედ ოვალური, ქალაძა მოთავსებულია ზურგის შუა ნაწილში. ნისკარტი ოდნავ მოყვითალოა. მისი სიგრძე აღწევს 1.5 — 2 მმ-ს.

აგრობიოლოგიური დახასიათება. ქედის რაიონის სოფ. ვაიოს ზონაში საწურავის საეეგეტაციო პერიოდის საერთო ხანგრძლიობა, კვირტების გამოფურჩქენიდან ფოთლების დაცვენამდე, 242 დღეს უდრის. ეაზი გამოღვიძებას იწყებს მარტის ბოლოდან, კვირტების გამოფურჩქენა კი მიმდინარეობს აპრილის პირველი რიცხვებიდან. ყვავილობის პირველი ნიშნები ემჩნევა ივნისის დასაწყისში და 13 — 14 ივნისამდე მთავრდება. ყურძნის შეთვალება იწყება აგვისტოს მეორე ნახევრიდან და მასობრივ სიმწიფეში ოქტომბრის მეორე ნახევრიდან შედის. ფოთოლცვენა ჩვეულებრივ იწყება ნოემბრის პირველ ნახევარში და 1 დეკემბრამდე მთავრდება.

საწურავი ძლიერი ზრდის ჯიშია. განსაკუთრებით მეტად მძლავრად ვითარდება დაბლარად აღზრდილი ვაზები; სათანადო მოვლის შედეგად საეეგეტაციო პერიოდის დასასრულისათვის რქების სიგრძე სამ მეტრამდე აღწევს. რქები სრულ მომწიფებას ასწრებს ყურძნის მასობრივი სიმწიფის პერიოდისათვის.

მოსავლის პირველ ნიშნებს საწურავი იძლევა მეორე და უფრო ხშირად მესამე წელს, სრულ მოსავლიანობაში კი მეხუთე წლიდან შედის. ახასიათებს უხვი მოსავალი. ერთი ძირი დაბლარად აღზრდილი ვაზი ისხამს 3—4 და ზოგჯერ 5 კგ ყურძენს. რქაზე ხშირად ორი მტევანია. მოსავლიანობის კოეფიციენტი მერყეობს 1.6—1.8-მდე. მალღარზე საწურავის მოსავლიანობა მტევანების მოუვლელობის შედეგად მტევნები მომცრო და უბარაქო უვითარდება, საშუალო სიმკვრივის მტევნები მარცვლები წვრილია და დაავადებისას უფრო დაბალხარისხოვანი პროდუქციის მომცემია.

ვაზის ძველი ნაწილებიდან განვითარებული ყლორტები ჩვეულებრივ უმოსავლოა.

ყვავილცვენას და დაწვრილმარცვლიანებას ჯიში მცირედ განიცდის.

მარცვლების მომწიფება მტევანში უთანაბროდ მიმდინარეობს, რაც საწურავის დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა.

ადგილობრივი ვაზის ჯიშებთან შედარებით საწურავი უფრო მეტ გამძლეობას იჩენს სოკოვან დაავადებათა მიმართ.

წარმოებული დაკვირვებით დასტურდება, რომ აღნიშნული ჯიში უფრო ხარისხოვან პროდუქციას იძლევა სამხრეთით დახრილ მხით განათებულ ფერდობებზე. საწურავის შემდგომი განვითარება სწორედ ასეთ ადგილებში უნდა წარმოებდეს.

ქედისა და ხულოს რაიონებში ზამთრისა და გაზაფხულის ყინვების მოქმედებას ჯიში არ განიცდის. ვაზის გამოღვიძება და მისი შემდგომი განვითარება სავსებით ნორმალურად მიმდინარეობს.

სამეურნეო დახასიათება. საწურავი საღვინე ჯიშია. ამავე დროს, უხვმოსავლიანობისა და წვენის ბარაქიანად გამოსავლიანობის გამო, მისი პროდუქცია წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული ყურძნის წვენის დასამზადებლადაც.

ყურძნის მექანიკური და ქიმიური ანალიზები შემდეგ სურათს იძლევა: მტევნის საშუალო წონა 288 გრამია, 155 ცალამდე მარცვლით. საშუალო მტევანზე კლერტი შეადგენს 4.5%-ს, კანი — 8.4%-ს, წიპწა — 4.5%-ს და წვენის გამოსავალი — 82.3%-ს.

მსხვილი მტევნის წონა აღწევს 1 კგ-ს, ზოგჯერ 1.5 კგ-საც. მცირე მტევანი 200 გრამია. მტევანზე 120—365 ცალამდე მარცვალია.

100 მარცვლის საშუალო წონა უდრის 175 გრამს. 100 მარცვალში 202 ცალი წიპწაა, წონით 8.9 გრამი. ერთწიპწიანი მარცვლები შეადგენს 26%-ს, ორწიპწიანი — 53%-ს, სამწიპწიანი — 14%-ს და ოთხწიპწიანი — 7%-ს.

ყურძნის სრული მწიფობის პერიოდში შაქრიანობა მასში აღწევს 18—19%-მდე, საერთო მჟავიანობა — 10‰-მდე.

საწურავის ღვინის კუთრი წონა უდრის 0.9989-ს, ალკოჰოლი — 9.4%-ს, საერთო მჟავიანობა — 7.2-ს, მქროლავი მჟავეები — 0.83-ს, ალდეჰიდები — 0.008-ს, pH — 3.43-ს, ექსტრაქტი — 24.68-ს, ტანინი — 0.51-ს, შაქარი — 0.520-ს და გლიცერინი — 5.14-ს.

საწურავის ღვინო, როგორც მცირე ალკოჰოლიანი, ხანგრძლივად არ ინახება და ტრანსპორტსაც ვერ იტანს.

ყურძენი არ ინახება.

ორდინარული ტიპის მასობრივი მოხმარების ღვინოების დასამზადებლად და აგრეთვე ყურძნის წვენის წარმოებისათვის, საწურავი ფართო ყურადღების ღირსია და მისი გავრცელება სავსებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია მთელ დასავლეთ საქართველოს მთისპირად მდებარე რაიონებში.

ს ა წ უ რ ა ვ ი

Листья средней величины или крупные, овальные, реже округлые, длиной 19.9 см и шириной 17.3 см; глубоко разрезные.

Черешковая выемка открытая и лировидной формы. Лопать черешковой выемки состоит из 3-х и реже из 4-х нервов.

Верхние вырезки глубоко разрезные и большей частью закрытые, чаще яйцевидной формы. Встречаются также лировидные, с параллельными сторонами и с округлым дном. Нижние вырезки средней глубины и лировидны, с округлым дном. Встречаются также поверхностные вырезки в виде входящего угла и с острым дном.



საწურავი — Сацурავი

Лист чаще 5-лопастный. Угол конечной лопасти тупой, реже-прямой.

Оконечные зубцы лопастей треугольные, с острой и реже округлой вершиной. Встречаются также треугольно-пиловидные, с заостренной вершиной. Вторичные зубцы треугольные с выпуклыми сторонами и округлой или острой вершиной. Реже пиловидно-треугольные. Края листьев с зубчиками окрашены в красноватый цвет.

Поверхность листа гладкая или сетчато-морщинистая; по форме воронковидно-желобчатая или желобчатая. Пластинка листа покрыта снизу волосистым пушком серого цвета.

Отношение черешка к длине среднего нерва 0.8—1.0. Черешок голый и красновато-вишнего цвета.

Плодоносные побеги средней толщины, светло-коричневого цвета. Длина междоузлий достигает 7—13 см.

Цветы обоеполые.

Начальные признаки созревания винограда наблюдаются в первой половине августа. Массовое созревание наступает со второй половины октября.

Длина ножки грозди 3.5—6.5 см, длина грозди — 14—26 см, ширина — 9.5—17 см. Количество ягод на грозди в среднем 150—160 шт. Средний вес грозди достигает 288 гр, а отдельных гроздей — 1—1.5 кг.

Общая форма грозди цилиндрическо-коническая и цилиндрическая. Очень плотная; встречаются грозди также средней плотности. Ножка грозди до половины одеревеневшая; остальная часть с гребнем травянистая и светлозеленая.

Длина ножки ягоды с подушечкой 5—7 мм. Ножка светлозеленая; подушечка почти коричневого цвета, бородавчатая и широко-коническая.

Ягода темнокрасная, крупная, слабо-овальная, реже округлая, посередине широкая и у конца округлая. Кожица тонкая. Мякоть очень сочная и маломясистая, с простым сладким вкусом.

Количество семян в ягоде 1—4 шт, чаще — 2. Длина семени 7—8 мм, ширина — 4—5 мм. Семя каштанового или коричневого цвета. Халаза округлая или слегка овальная. Длина клюва достигает 1.5—2 мм.

Сацурави — винный сорт. Очень урожайный. При хорошем уходе с одного куста получается 3—4 кг винограда. Виноград не сохраняется и совершенно не выдерживает транспорта. По сравнению с другими сортами, грибные болезни переносит лучше. Вина, заготовленные в 1938—39—40 г. г. в районе Кеди из Сацурави, получили при дегустациях хорошую оценку, как тип легких красных столовых вин. Это создает возможность массового его распространения не только в Кеди, но и в предгорных районах западной Грузии для приготовления виноградного сока, а равно легких столовых вин массового потребления. В настоящее время Сацурави на «даблари» встречается в районах Кеди и Хуло. «Маглари» Сацурави встречается в тех же районах, в сел. Чао, Сихалидзе и Медзибна.



ცხენისძუძუ ვაზის ჯიშის ფართოდ ხმარებული სახელწოდებაა. ასე, მაგალითად, მას ვხვდებით კახეთში, ქართლში, მესხეთში, რაჭაში, გურიასა და აჭარაში. იგი ამ სახელს ატარებს მისი მარცვლების ცხენის ძუძუსთან მსგავსების გამო. აღნიშნულ რაიონებში ცხენისძუძუს სახელწოდებით გავრცელებული ვაზის ჯიშები არაიდენტურია და ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება ამპელოგრაფიული ნიშან-თვისებებით.

საქართველოს ფარგლებს გარეთ ცხენისძუძუ, თურქულად „ათმემეს“ სახელწოდებით, აღწერილი აქვს ს. ნ. ტიმოფეევის (21), რომელიც მას სუფრის ყურძნის ჯიშთა ჯგუფს აკუთვნებს. აკად. ი. ვ. ჯავახიშვილის მიხედვით (1), ცხენისძუძუს გადარქმევა „ათმემედ“ მომხდარა მას შემდეგ, რაც ართვინის ოლქის მოსახლეობას მაჰმადიანური სარწმუნოება მიუღია. ს. ნ. ტიმოფეევის მიერ აღწერილი ჯიში „ათმემე“ სავსებით იდენტურია შუა და ზემო აჭარის რაიონებში გავრცელებული ცხენისძუძუსი.

ადგილობრივი რკვევის საფუძველზე დადასტურდა, რომ ცხენისძუძუ, როგორც სუფრის ყურძნის ჯიში, წარსულში ფართოდ ყოფილა გავრცელებული მაღლარების სახით, განსაკუთრებით შუა და ზემო აჭარაში. მის პროდუქციას ადგილობრივი მოსახლეობა მხოლოდ ყურძნად იყენებდა და დიდი რაოდენობით ასაღებდა ქ. ბათუმის ბაზარზე.

სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის გავრცელების შემდეგ ცხენისძუძუს მაღლარები, ისე როგორც სხვა ჯიშები, საგრძნობლად შემცირდა. გადარჩენილი თითო-ორიოლა ძირი ამჟამად მოიპოვება მხოლოდ ქედასა და ხულოს რაიონების ზოგიერთ სოფელში (სოფ. დეკანაშვილებში, ფურთიოში, ვაიოში, სიხალიძეში).

ბოტანიკური აღწერა. კვირტები გაშლის პერიოდში მომწვანო-იისფერია, ოდნავ მოწითალო ელფერით და საკმაოდ სქლადაა დაფარული მონაცრისფრო-თეთრი ბუსუსით. ზრდის კონუსიკ სქლად არის შებუსვილი. ახლად გაშლილი პირველი ფოთოლი ზედა მხრიდან მომწვანოა, მუქი მოწითალო ელფერით. ქვედა მხარე მომწვანო-იისფერია, მოწითალო ელფერით და სქლად არის შებუსვილი. მომდევნო მეორე და მესამე ნორჩი ფოთოლი ზემოდან მუქი იისფერია, მოწითალო ფერით. ქვედა მხრიდან მეორე ფოთოლი უფრო მეტად არის შებუსვილი, მესამე კი — შედარებით მცირედ.

ახალგაზრდა ყლორტი ღია მწვანეა და მცირედაა შებუსვილი. შებუსვა უფრო მატულობს ყლორტის წვერისაკენ.

შემოსული რქა საშუალო სიმსხოსია და ყავისფერი. მუხლები უფრო მუქად არის შეფერილი. მუხლთშორისის სიგრძე აღწევს 8 — 13 სმ-ს.

ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალო სიდიდის ან საშუალოზე მცირეა და საერთო მოყვანილობით მომრგვალო ან ოდნავ ოვალური. მისი საშუალო სიგრძე აღწევს 15.3 სმ-ს, სიგანე — 15.0 სმ-ს.

ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი უფრო ხშირად ჩანგისებრია, მახვილი ფუძით. ამონაკვეთის ნაკვეთები შედგება სამი ძარღვისაგან. გვხვდება აგრეთვე ისრისებრი მოყვანილობის ღრმა ამონაკვეთები.

ზედა ამონაკვეთი ღიაა და მცირედ ჩაქრილი; იშვიათად საკმაოდაა ჩაქრილი და ქმნის ნასერეტი-სებრ კუთხეს. ქვედა ამონაკვეთი უმნიშვნელოდ არის ჩაქრილი.

ფოთოლი სამნაკვეთიანია. წვერის ნაკვეთი ფოთლის ფირფიტასთან ჰქმნის ბლაგვ კუთხეს, იშვიათად — სწორს.

ნაკვეთთა წვერის კბილები სამკუთხედისებრია, წამახვილებული წვერით, ან ასევე სამკუთხედისებრი, ამოზნექილი გვერდებითა და წამახვილებული წვერით. გვხვდება აგრეთვე ხერხებილა-სამკუთხედისებრი მოყვანილობის კბილებიც. მეორეული კბილები მთავარი კბილების მსგავსია.

ფოთლის ქვედა მხარე მცირედაა შებუსვილი. ზედა მხარე გლუვია. ფირფიტა ბრტყელია. გვხვდება ძაბრისებრ-ღარისებრად მოხრილი ფოთლებიც. მთავარი ძარღვები ძლიერ მცირედ არის შებუსვილი, ღია მწვანეა და ფუძესთან წითელ-ღვინისფერში გადადის.

ფოთლის ყუნწის შეფარდება შუა მთავარ ძარღვთან უდრის 0.8 — 1.0-ს. იგი შიშველია და ღია მწვანიდან ღვინისფერში გადადის.


ყვავილი ორსქესიანია. მტვრიანები და ბუტკო ნორმალურადაა განვითარებული. ყვავილში 5 მტვრიანაა; იშვიათად გვხვდება 4 და 6 მტვრიანაც. ყვავილების რიცხვი ყვავილედში 340 ცალამდე აღწევს.

მტევნის ყუნწის სიგრძე 3.5 — 4 სმ-ია, მტევნის სიგრძე — 11 — 17 სმ, სიგანე — 5.5 — 8.5/სმ.

მტევანი ცილინდრულ-კონუსისებრია; გვხვდება ცილინდრული მოყვანილობის მტევანიც. იგი საშუალო სიმკვრივისაა ან უფრო მკვრივი. მტევნის ყუნწი და კლერტი ბალახისებრია და მწვანე.

მარცვლის ყუნწის სიგრძე საჯდომი ბალიშით აღწევს 4 — 6 მმ-ს. მწვანეა. საჯდომი ბალიში დამეჭვებელია და განიერ-კონუსისებრი. მარცვალი საჯდომ ბალიშზე საკმაოდ მტკიცედ არის მიმაგრებული.

მარცვალი თითქმის შავია, საშუალო სიდიდის ან საშუალოზე მსხვილი. მისი საშუალო სიგრძე 16.5 — 20 მმ-ია, სიგანე — 13.2 — 15.5 მმ. ოვალურია ან მოგრძო, შუა წელში უფრო განიერია.



სურ. 68. ცხენისძუძუს ყვავილი.

ბოლო მომრგვალებული აქვს და სიმეტრიულია. ნაკლებ წვნიანი და უფრო ხორციანია, სასიამოვნო ტკბილი გემოთი. სქელკანიანია. კანი ადვილად სცილდება ხორცს. მარცვალი საკმაოდ არის დაფარული ცვილით.

მარცვალში 1 — 4 ცალი წიპწაა, უფრო ხშირად გვხვდება 2 წიპწა. წიპწის საშუალო სიგრძე აღწევს 6.5 — 7 მმ-ს, სიგანე — 3.5 — 4 მმ-ს. ღია ყავისფერია, მოწითალო ელფერით, შუკლის მხრიდან ლარების გასწვრივ კი მოყვითალო-ჩალისფერი. ქალაძა მოთავსებულია ზურგის მხარის თითქმის შუა ნაწილში. მოგრძო ოვალურია; იშვიათად მომრგვალოა და საკმაოდ არის გამოსახული. ნისკარტი მოყვითალოა და ხშირად გადაჰკრავს მოწითალო ელფერი. მისი სიგრძე აღწევს 2 მმ-ს.

აგრობიოლოგიური დახასიათება. ზულოს რაიონში ცხენისძუძუს სავეგეტაციო პერიოდის საერთო ხანგრძლიობა 235 — 240 დღეა.

სოფ. ჩოა მდებარეობს მაღალმთიან ზონაში, ზღვის დონიდან 1.000 მეტრის სიმაღლეზე, რის გამოც ვაზის ადგილობრივი ჯიშები და მათ შორის ცხენისძუძუც ვეგეტაციას ცოტა მოგვიანებით იწყებს. კვირტების გამოფურჩქენა მიმდინარეობს 10 აპრილიდან. ყვავილობის პირველი ნიშნები ემჩნევა 8 — 10 ივნისიდან და ამინდის ხელსაყრელ პირობებში 20 ივნისისათვის მთავრდება. ყურძენი შეთვალვას იწყებს აგვისტოს ბოლოდან ან სექტემბრის დასაწყისიდან და მასობრივ სიმწიფეში შედის 20 — 25 ოქტომბრიდან. ფოთოლცვენა ჩვეულებრივ იწყება ნოემბრის მეორე ნახევრიდან და 1 დეკემბრამდე მთავრდება.

ცხენისძუძუს ძლიერი ზრდა ახასიათებს. მიუხედავად მოუვლელობისა, მაღლარ ვაზზე ზოგიერთი რქის განვითარება სიგრძით 3 — 3.5 მეტრამდე აღწევს. უდავოა, რომ კულტურულ პირობებში ჩაყენების შედეგად ამ ჯიშის ზრდა-განვითარება კიდევ უფრო გაძლიერდება და მოსავლის ხარისხიც გაუმჯობესდება. მოსავლიანობის გასადიდებლად საჭირო იქნება მისი ფორმირება, ე. წ. ოლიხნარული წესით, თვითოეულ ვაზზე 3 — 4 საკავებლის დატოვებით.

რქები სრულ მომწიფებას აღწევს ყურძნის მასობრივი სიმწიფის პერიოდში და ამ დროისათვის ჯიშის დამახასიათებელ ელფერს ღებულობს.

მაღლარად აღზრდილი ცხენისძუძუს მოსავლიანობა ამჟამად მეტად ცვალებადია, ვინაიდან ის არ სარგებლობს სათანადო მოვლით და ამასთან სოკოვან ავადმყოფობათა მოქმედების შედეგად ყურძენი მასობრივად ავადდება. იგი უხვ მოსავალს იძლევა (40 — 50 კგ) მხოლოდ ზოგიერთ წელს, თუ

კარგი ამინდი დაუდგა. რქაზე ხშირად ორი მტევანია, იშვიათად ერთი. ვაზის ძველი ნაწილებიდან განვითარებული ყლორტები ჩვეულებრივ მოუსავლიანია.

არახელსაყრელი ამინდის პირობებში ჯიში განიცდის ყვაილცვენას, რაც 10% -მდე აღწევს. მტევანში წვრილი მარცვლების რაოდენობა მერყეობს 7 — 10% -მდე.

სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ ცხენისძუძუ სუსტ გამძლეობას იჩენს, განსაკუთრებით ძლიერ ავადდება ქრაქით.

სამეურნეო დახასიათება. სამეურნეო დანიშნულებით ცხენისძუძუ სუფრის ყურძნის ჯიშია და აჭარის წითელყურძნიან ჯიშებს შორის პირველი ადგილი უკავია. ახასიათებს ლამაზი მტევნები და მარცვლები და საკმაოდ მაღალი გემოვნებითი თვისებები. ვაზზე დატოვებული ყურძენი იანვრამდე ძლებს და არ ჭკნება, ხოლო დაკრეფილი, გაზაფხულამდე ინახება.

მტევნის საშუალო წონა 123.5 გრამია. საშუალო მტევანზე კლერტი შეადგენს 4.5% -ს, კანი — 21.5% -ს, წიპწა — 4.9% -ს, წვენი გამოსავლიანობა 70.1% -მდე აღწევს. მსხვილი მტევნის წონა 180 — 185 გრამია, მცირესი კი — 90 — 95 გრამი. მტევანზე მარცვლების რაოდენობა 47 — 80 ცალამდე მერყეობს, საშუალოდ 54 ცალს უდრის.

100 მარცვლის საშუალო წონა 217 გრამია. 100 მარცვალში 203 ც. წიპწაა, წონით 10.2 გრ-ში. ერთწიპწიანი მარცვლები შეადგენს 29% -ს, ორწიპწიანი — 45% -ს, სამწიპწიანი — 20% -ს და ოთხწიპწიანი — 6% -ს.

ყურძნის სრული სიმწიფის პერიოდში შაქრიანობა მასში 18 — 19.5% -მდე აღწევს, სვერთო შეავიანობა — 9.7% -მდე.

ადგილობრივი მოსახლეობისა და აგრეთვე აჭარის ყურორტების სუფრის ყურძნით უზრუნველსაყოფად ცხენისძუძუ ფართოდ უნდა იქნეს გაჭრელებული შუა და ზემო აჭარის რაიონებში ნამყენების სახით, სათანადოდ შერჩეულ, ფილოქსერის გამძლე საძირეებზე.

ЦХЕНИСДЗУДЗУ

Листья почти средней величины, длиной 15.3 см и шириной 15.0 см; округлые или слегка овальные.

Черешковая выемка чаще лировидная, с острым дном. Лопастей черешковой выемки состоят из трех нервов. Встречается также выемка стрельчатой формы и глубокая.

Верхние вырезки открыты и слабо разрезаны, реже расположены в виде входящего угла и щелевидной формы. Нижние вырезки очень слабо намечены.

Лист трехлопастный. Угол оконечной лопасти тупой, реже — прямой.

Оконечные зубцы лопастей треугольные, с острой вершиной или треугольные, но с выпуклыми сторонами и острой вершиной. Встречаются также треугольно-пиловидные. Вторичные зубцы треугольные, с острой вершиной или с выпуклыми сторонами и острой вершиной.

Поверхность листа гладкая; по форме плоская, реже воронковидно-желобчатая. Пластинка листа снизу покрыта тонким паутинообразным волокном.

Отношение черешка к длине среднего нерва 0.8 — 1.0, черешок голый, с различными оттенками от светлозеленого до виннокрасного цвета.

Плодоносные побеги средней толщины и коричневого цвета. Узлы окрашены темнее, чем междоузлия. Длина междоузлий достигает 8 — 13 см.

Цветы обоеполые.

Появление первых признаков созревания винограда наблюдается в первых числах сентября; массовое созревание наступает с 20 — 25 октября.

Длина ножки грозди 3.5 — 4 см, длина грозди — 11 — 17 см, ширина — 5.5 — 8.5 см; количество ягод на грозди до 100 шт.

Общая форма грозди цилиндрическо-коническая, реже цилиндрическая; средней плотности. Средний вес грозди достигает 123.5 грамм. Ножка грозди с гребнем травянистая и зеленого цвета. Полушечка бородавчатая и широко-коническая.

Ягода почти черная, средней величины или крупная, длиной 16.5 — 20 мм и шириной 13.2 — 15.5 мм; по форме овальная или продолговатая, посередине широкая, у конца округлая и симметричная. Мякоть менее сочная и достаточно мясистая, с приятным сладким вкусом. Кожица толстая.



ცხენისძე — ქენისძე

Количество семян в ягоде 1 — 4 шт., чаще — 2. Длина семени 6.5 — 7 мм, ширина — 3.5 — 4 мм; семя светло-коричневого цвета, с красноватым оттенком. Халаза овальная, реже округлая. Спинная сторона гладкая. Длина клюва достигает 2 мм.

Цхенисдзудзу — красный столовый сорт, местного значения. Урожайный. Встречается в виде „маглари“ довольно в большом количестве в районах Хуло и Кеди (сел. Деканашвилеби, Чао, Фургио, Вайо, Сихалидзе). Сорт заслуживает внимания и массового разведения в районах средней и верхней Аджарии.

361135341
303411101335

ვაიოს საფერავი



საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
სამსახური

ვაიოს საფერავი წითელყურძნიანი საღვინე ჯიშია. იგი გავრცელებულია მალაქოვსკის რაიონის რაიონში, სოფ. ვაიოს მიდამოებში. იძლევა საკმაოდ ხარისხივან მასალას წითელი სუფრის ღვინოების დასამზადებლად.

ქედის რაიონში მცხოვრებ მოხუც პირთა გადმოცემით, აღნიშნული ჯიში წარსულში ფართოდ ყოფილა გავრცელებული ამ რაიონის სოფლებში, მხოლოდ შემდგომ პერიოდში, რელიგიურ ნიადაგზე ღვინის სმის აკრძალვასთან დაკავშირებით, მის პროდუქციას მახობრივად იყენებდნენ ყურძნის წვენი და ბადაგის დასამზადებლად.

სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის მოქმედების შედეგად აღნიშნული ჯიშის მალაქოვითი თიქმის განადგურდა. ამჟამად გადარჩენილი ერთეული ძირები მოსავალს მხოლოდ ამინდის ხელსაყრელ პირობებში იძლევა.

ბოტანიკური აღწერა და სამეურნეო დახასიათება. ზრდის კონუსი სქლად შებუსვლია და გადაპკრავს ღია მოწითალო-იისფერი. ახლად გაშლილი პირველი ფოთოლი ზედა მხრიდან მომწვანოა, მოწითალო ელფერით და სქლადაა დაფენილი ბეწვისებრი ბუსუსით. ქვედა მხრიდან ქეჩისებრადაა შებუსვლი. ფოთლის ყუნწი მოწითალო-იისფერია და საკმაოდ შებუსვლი. მომდევნო მეორე და მესამე ნორჩი ფოთოლი ზედა მხრიდან ღია მწვანეა, ოდნავ მუქი იისფერი ელფერით. შებუსვა მეორე ფოთოლს საკმაოდ ახასიათებს, მესამეს კი — მცირედ. ქვედა მხრიდან მათი შებუსვა ქეჩისებრია. ბუსუსი ბეწვისებრია და მოთეთრო-ნაცრისფერი.

ახალგაზრდა ყლორტი ღია მწვანეა, ცალ მხარეზე დასდევს ღია იისფერი და მცირედაა შებუსვლი. შებუსვა ყლორტის წვერისაკენ უფრო ძლიერია.

შემოსული რქა თითქმის საშუალო სიმსხოსია და მკრთალი მოყვითალო. მუხლთშორისის სიგრძე აღწევს 7 — 12 სმ-ს.

ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალოზე მცირეა. საერთო მოყვანილობით მომრგვალო ან მცირედ განივ ოვალურია. მცირედაა დანაკვთული; გვხვდება საკმაოდ დანაკვთული ფოთლებიც. ფოთლის საშუალო სიგრძე აღწევს 13.4 სმ-ს, სიგანე — 13.7 სმ-ს.

ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი უფრო ხშირად ჩანვისებრია; გვხვდება ისრისებრი ამონაკვეთებიც. ყუნწის ამონაკვეთის ნაკვეთები სამი ძარღვისაგან შედგება.

ზედა ამონაკვეთი მცირედაა ჩაქრილი ან საკმაოდ შექრილ კუთხეს ქმნის. იშვიათად გვხვდება საკმაოდ ღრმად ჩაქრილი ამონაკვეთებიც. ქვედა ამონაკვეთი მცირედ არის ჩაქრილი.

ფოთოლი სამნაკვეთიანია. წვერის ნაკვეთი ფოთლის ფირფიტასთან ქმნის ბლაგვ კუთხეს.

ნაკვეთთა წვერის კბილები სამკუთხედისებრია, მახვილი წვერით, ან ხერხკბილა-სამკუთხედისებრი მახვილი წვერით. მეორეული კბილები სამკუთხედისებრია, მახვილი წვერით, და იშვიათად ასევე სამკუთხედისებრი, მხოლოდ ამოზნექილი გვერდებითა და მახვილი წვერით.

ფოთლის ქვედა მხარე ქეჩისებრად არის დაფენილი ბეწვისებრი ბუსუსით. ზედა მხარე გლუვია ან იშვიათად ბადისებრად დანაოქებული. მთავარი ძარღვები ღია მწვანეა და საკმაოდაა შებუსვლი ბეწვისებრი ბუსუსით. ფოთოლი ძარღვებ-ლარისებრად ან ლარისებრად არის მოხრილი.

ფოთლის ყუნწის შეფარდება შუა მთავარ ძარღვთან უდრის 0.8 — 1.0-ს. ყუნწი ღია მწვანეა და მცირედაა შებუსვლი მონაცრისფრო ბუსუსით.

ქედის რაიონში ყვავილობა იწყება ივნისის პირველი რიცხვებიდან და გრძელდება 13 — 15 ივნისამდე.

ყვავილი ორსქესიანია, ნორმალურად განვითარებული მტვრიანებით და ბუტკოთი. მტვრიანები წესიერადაა გადახრილი ბუტკოდან; იშვიათ შემთხვევაში მტვრიანას მდებარეობა ყვავილში პორიზონტალურია. ყვავილში 5 მტვრიანაა, იშვიათად გვხვდება 4 და 6 მტვრიანაც. ყვავილედში ყვავილების რიცხვი 300 ცალამდე აღწევს (სურ. 70).


ყურძნის შეთვალემა იწყება აგვისტოს ბოლო რიცხვებიდან; მასობრივ სიმწიფეში შედის ოქტომბრის პირველ ნახევარში.

მტევნის ყუნწის სიგრძე აღწევს 3 — 5.5 სმ-ს, მტევნის სიგრძე — 12 — 18 სმ-ს, სიგანე — 8 — 9.5 სმ-ს. მტევანზე 50 — 75 ცალიმდე მარცვალია.

მტევანი მეტწილად ცილინდრულ-კონუსისებრია, ზოგ შემთხვევაში ფრთიანი. საშუალო სიმკვრივისაა, ზოგჯერ თხელი. მისი საშუალო წონა 80 — 100 გრამს აღწევს. მტევნის ყუნწი მკვრივია და მკვრივია და მომწვანოა.

მარცვლის ყუნწის სიგრძე საჯდომი ბალიშით აღწევს 5 — 9 მმ-ს. მწვანეა. მარცვლის საჯდომი ბალიშით დამეჭვებულია და განიერ-კონუსისებრი, იშვიათად ვიწრო-კონუსისებრი. მარცვალი საჯდომ ბალიშზე საკმაოდ მტკიცედ არის მიმაგრებული. ბალიშის ბოქკოები შეღებილია მოწითალო-ღვინისფრად.

მარცვალი შეეია და საშუალო სიდიდის. მისი სიგრძე აღწევს 15.9 — 16.9 მმ-ს და სიგანე — 13.4 — 14.9 მმ-ს. მკირედ ოვალურია. შუაწელში უფრო განიერი, ბოლო მომრგვალებული აქვს და



სურ. 70. ვაიოს საფერავის ყვავილი.

სიმეტრიული. საკმაოდ სქელკანიანია და საკმაოდ მეტად წვნიანი, სასიამოვნო ტკბილი გემოთი. მარცვლის კანში შემფერავი ნივთიერება ბლომად მოიპოვება, ხორცში კი უმნიშვნელოდ. მარცვლის კანი ცელით საკმაოდ დაფარულია.

მარცვალში 1 — 6 ცალი წიპწაა, სქარბობს 3 წიპწა. წიპწის სიგრძე უდრის 6 — 7.5 მმ-ს, სიგანე — 3.5 — 4 მმ-ს. ზურგის მხრიდან ღია ყავისფერია, მუცლიდან კი მოყვითალო-ყავისფერი. ქალაქა თითქმის ოვალურია. ზურგის მხარე გლუვია. ნისკარტის წვერი მოგანგისფროა, თვით ნისკარტი კი მოყვითალო. მისი სიგრძე აღწევს 1.5 — 2 მმ-ს.

მწიფე ყურძენში შაქრიანობა აღწევს 20.4%-ს, საერთო მჟავიანობა — 9‰-ს. 100 მარცვალში 300 ცალი წიპწაა, წონით 11 გრამი. ერთწიპწიანი მარცვლები შეადგენს 3%-ს, ორწიპწიანი — 21%-ს, სამწიპწიანი — 50%-ს, ოთხწიპწიანი — 20%-ს, ხუთწიპწიანი — 5%-ს და ექვსწიპწიანი — 1%-ს. 100 მარცვლის წონა 207 გრამს უდრის.

როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, ვაიოს საფერავს ახასიათებს საკმაოდ დიდი მოსავლიანობა. ამინდის ზღვსაყრელ პირობებში ერთი ძირი მალღარი ვაზის მოსავალი 30 — 40 კილოგრამს აღწევს. ამავე დროს მას ახასიათებს წვეწის კარგი გამოსავლიანობა. ყურძნის გემოვნებითი თვისებები და აგრეთვე სრული სიმწიფის პერიოდში შაქრისა და სიმკვრივის ნორმალური შემცველობა (შაქარი 20.4% -მდე, სიმკვრივე — 9.0‰ -მდე) საშუალებას იძლევა მისი პროდუქცია გამოყენებულ იქნეს საკმაოდ ხარისხოვანი წითელი სუფრის ღვინის დასამზადებლად.

ვაიოს საფერავის ფართოდ გავრცელება დასაშვებად მიგვაჩნია ქედის რაიონის მთისპირა და სამხრეთით დახრილ ფერდობებზე ნამყენების სახით, ფილოქსერის გამძლე საძირებზე.

ВАЙОС САПЕРАВИ

Листья меньше средней величины, длиной 13.4 см и шириной 13.7 см, округлые или поперек слегка овальные.

Черешковая выемка чаще лировидная. Встречаются также выемки стрельчатой и реже сводчатой формы. Лопастни черешковой выемки состоят из трех нервов.

Верхние вырезки поверхностные и расположены в виде входящего угла. Нижние вырезки едва намечены.

Лист трехлопастный. Угол оконечной лопасти тупой.

Оконечные зубцы лопастей треугольные, с острой вершиной. Встречаются также треугольно-пиловидные с острой вершиной. Вторичные зубцы треугольные с острой вершиной, иногда треугольные но с выпуклыми сторонами и острой вершиной.

Поверхность листа гладкая, реже сетчато-морщинистая; по форме воронковидно-желобчатая. Пластинка листа покрыта снизу густым войлочным покровом.

Отношение черешка к длине среднего нерва 0.8—1.0; черешок светлозеленого цвета и слегка покрыт волосистым покровом сероватого цвета.

Плодоносные побеги средней толщины, бледножелтого цвета. Длина междоузлий достигает 7—12 см.

Цветы обоеполые.

Появление первых признаков созревания винограда наблюдается в конце августа; массовое созревание наступает в первой половине октября.

Длина ножки грозди достигает 3.0—5.5 см. Длина грозди—12—18 см, ширина—8—9.5 см. Количество ягод на грозди 50—75 шт.

Гроздь чаще цилиндрическо-коническая, средней плотности, реже рыхлая, ветвистая. Средний вес ее достигает 80—100 гр. Ножка грозди с гребнем травянистая, зеленоватого цвета.

Длина ножки ягод с подушечкой 5—9 мм., сама ножка зеленого цвета. Подушечка бородавчатая и широко-коническая, реже узко-коническая.

Ягода почти черная, средней величины, длиной 15.9—16.9 мм и шириной 13.4—14.9 мм, слегка овальная, посередине широкая и симметричная. Кожица довольно толстая. Мякоть более сочная и менее мясистая, с приятным сладким вкусом.

Количество семян в ягоде достигает 1—6 шт, чаще 3. Длина семени 6—7.5 мм, ширина—3.5—4 мм; со спинной стороны светло-коричневого цвета, а с брюшной—желтоватого. Халаза почти овальная; спинная сторона гладкая. Длина клюва достигает 1.5—2 мм.

Вайос Саперави—красный винный сорт; урожайный. Дает довольно качественный материал для приготовления столовых вин местного потребления. Встречается в виде «маглари» в Кедском районе, в сел. Вайо.

Сорт заслуживает внимания и массового распространения в Кедском районе и в нижней части Худейского района.

საქართველოს
სოფლისმეურნეობის
მეცნიერებათა
აкадеმიის
სამეცნიერო ცენტრი



ვაიოს საფურავი — Вайос Саперави

ბ უ ტ კ ო

ბუტკო აქარის უძველესი წითელყურძნიანი აბორიგენული ჯიშია.

აქარის რაიონებში და აგრეთვე შავშეთ-კლარჯეთში შავმარცვლიანი ბუტკოს არსებობა მოკლეურობისაა. წარსულიდან არის ცნობილი. აკად. ივ. ჯავახიშვილის (1) და აკად. ს. ჩოლოყაშვილის (2) მიხედვით, აღნიშნული ჯიში ფართოდ ყოფილა გავრცელებული ამ მხარეში შოთა რუსთაველის (XII საუკუნეში). ჯიშის ქართული სახელწოდება და აგრეთვე მისი მთელი რიგი სპეციფიკური თვისებურებანი საშუალებას გვაძლევს ბუტკო მივაკუთვნოთ პონტოს მხარის ვაზის ჯიშთა ჯგუფს.

ლიტერატურული წყაროების მიხედვით, აქარაში და რაჭის რაიონებში ყოფილა გავრცელებული თეთრყურძნიანი ბუტკოც. აქარის რაიონების შესწავლის დროს ჩვენ თეთრი ბუტკო არ შეგვხვდრია; რაჭაშიაც მისი არსებობა ამჟამად არსად არ არის აღნიშნული.

ადგილობრივ მოხუც პირთა გადმოცემით ბუტკოს პროდუქციას აქარის მოსახლეობა, ღვინის სმის აკრძალვასთან დაკავშირებით, იყენებდა ყურძნად ან ყურძნის წვენიც და ბექმეზის დასამზადებლად.

სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის მოქმედების შედეგად ბუტკოს გავრცელების არეალი ამჟამად შეზღუდულია. მისი ერთეული ძირი მალლარების სახით გავრცელებულია მხოლოდ ქედის რაიონის სოფ. ვაიოს მიდამოებში და მოსაგლიანობა უშუალოდ დამოკიდებულია მხოლოდ ამინდის პირობებზე. სოკოვან ავადმყოფობათა მოქმედების შედეგად ბუტკოს მალლარები ყოველწლიურად ნადგურდება და, თუ დროულად არ იქნა მიღებული სათანადო ზომები მის აღსადგენად, ჯიშს გადაშენება მოელოს.

ბოტანიკური აღწერა. ზრდის კონუსი ქეჩისებრად არის დაფენილი მონაცრისფრო ბუსუსით. ახლად გაშლილი პირველი ფოთოლი ზემოდან მომწვანო-მოწითალოა და სქლადაა შებუსვილი. ქვედა მხარეს დასდევს ღია წითელი ფერი და ქეჩისებრად არის დაფენილი მონაცრისფრო-თეთრი ბეწვისებრი ბუსუსით. ფოთლის უნწი მოწითალო-იისფერია და მსგავსად ფირფიტისა, სქლად არის შებუსვილი. მომდევნო მეორე და მესამე ნორჩი ფოთოლი ზედა მხრიდან მცირეოდნადაა შებუსვილი. ქვედა მხრიდან მეორე და მესამე ფოთოლი საკმაოდაა შებუსვილი.

ახალგაზრდა ყლორტი ღია მწვანეა. მცირედ არის შებუსვილი. შებუსვა უფრო ძლიერდება ყლორტის წვერისაკენ.

შემოსული რქა საშუალო სიმსხოსია. ღია ყავისფერია. მუხლები უფრო მუქად არის შეფერილი. მუხლოშორისის სიგრძე აღწევს 6 — 13 სმ-ს.

ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალო სიდიდის ან საშუალოზე მცირეა და საერთო მოყვანილობით მომრგვალო ან ოდნავ ოვალურია. ძლიერ მცირედაა დანაკვთული. ფოთლის საშუალო სიგრძე აღწევს 13.0 — 15.3 სმ-ს, სიგანე 12.5 — 15.0 სმ-ს.

ფოთლის უნწის ამონაკვეთი ისრისებრია, თანასწორგვერდებიანი და განიერი; ზოგჯერ თალისებრია, მომრგვალებული და განიერი ფუძით.

ზედა ამონაკვეთი მცირედ არის ჩაჭრილი. ქვედა ამონაკვეთი უმნიშვნელოდაა ჩაჭრილი.

ფოთოლი სამნაკვეთიანია. წვერის ნაკვეთი ფოთლის ფირფიტასთან ქმნის ბლაგვ კუთხეს.

ნაკვეთთა წვერის კბილები სამკუთხედისებრია, წამახვილებული წვერით, ან ასევე სამკუთხედისებრია ამოხეჩილი გვერდებითა და წამახვილებული წვერით; გვხვდება აგრეთვე ხერხებილი - სამკუთხედისებრიც. მეორეული კბილები მთავარი კბილების მსგავსია.

ფოთლის ქვედა მხარე საკმაოდაა შებუსვილი, ზედა მხარე კი გლუვია და ბრტყელი; გვხვდება ბადისებრად დანაკვთებული ფოთლებიც. მთავარი ძარღვები მცირედ არის შებუსვილი და ღია მწვანეა.

ფოთლის უნწის შეფარდება შუა მთავარ ძარღვთან უდრის 0.7 — 0.8-ს. იგი ძლიერ მცირედ არის შებუსვილი და მოწითალო-ღვინისფერია, ხოლო ფუძესთან იისფერში გადადის.


ყვავილი ორსქესიანია, ნორმალურად განვითარებული მტვრიანებით და ბუტკოთი. ზოგ შემთხვევაში მტვრიანები პორიზონტალურადაა დაწვენილი. ყვავილში 5 მტვრიანაა, იშვიათად გვხვდება ყვავილები 4 და 6 მტვრიანათი. ყვავილების რაოდენობა ყვავილედში აღწევს 250 ცალამდე (სურ. 72).

მტევნის ყუნწის სიგრძე 3 — 4.5 სმ-ია, მტევნის სიგრძე — 12 — 16 სმ, სიგანე — 6.5 — 7.5 სმ. მტევანი ცილინდრულ-კონუსისებრია, ზოგ შემთხვევაში ცილინდრული. თხელია, იშვიათად საშუალო სიმკვრივის. მტევნის ყუნწი კლერტით ბალახისებრი და მწვანეა.

მარცვლის ყუნწის სიგრძე საჯდომი ბალიშით აღწევს 4.5 — 6 მმ-ს. ღია მწვანეა. ბალიში დაშეკე-
ქებულია, იშვიათად გლუვი და განიერ-კონუსისებრი. მარცვალი საჯდომ ბალიშზე სუქი და მტკიცედ
არის მიმაგრებული.

მარცვალი თითქმის შავია. საშუალო სიდიდისაა. მისი სიგრძე აღწევს 14.5 მმ-ს, სიგანე — 14.3 მმ-ს. ფორმით მომრგვალოა, შუა წელში უფრო განიერი, ბოლო მომრგვალებული აქვს და სიმეტრიულია. თხელკანიანია, უფრო წვნიანი და მკირე ხორციანი, საკმაოდ სასიამოვნო ტკბილი გემოთი.

მარცვალში 1 — 6 ცალი წიპწაა, უფრო ხშირად გვხვდება 3 წიპწა. წიპწის სიგრძე აღწევს 6.5 — 7 მმ-ს, სიგანე — 3.5 — 4 მმ-ს. ზურგის მხრიდან წიპწა მოწითალო-ყავისფერია, მუცლის მხრი-



სურ. 72. ბუტკოს ყვავილი.

დან კი — მოყვითალო. ქალაძა ოვალურია და საკმაოდ გამოსახული. ზურგის მხარე გლუვია. ნისკარტი მოყვითალო-ყავისფერია. მისი სიგრძე 1.5 — 2 მმ-ს აღწევს.

აგრობიოლოგიური დახასიათება. ქედის რაიონის სოფ. ვაიოს ზონაში ბუტკოს სავეგეტაციო პერიოდის საერთო ხანგრძლიობა 235 — 240 დღემდე აღწევს. ვაზის გაღვიძება იწყება მარტის დასასრულს. კვირტების გამოფურჩქენა მიმდინარეობს 5 — 6 აპრილიდან. ყვავილობა იწყება 7 — 8 ივნისიდან და 20 ივნისამდე მთავრდება. შეთვალეების პირველი ნიშნები ემჩნევა სექტემბრის პირველ რიცხვებში და მასობრივ სიმწიფეში ოქტომბრის დასასრულს შედის. ფოთოლცვენა იწყება ნოემბრის პირველ ნახევარში და ამავე თვის ბოლო რიცხვებში მთავრდება.

იმის გამო, რომ ბუტკოს მალღარები არ სარგებლობს სათანადო მოვლით (სხვლა, ნიადაგის დამუშავება, მწვანე ოპერაციები, სოკოვან ავადმყოფობებთან ბრძოლა), რქების წვერები ხშირად სრულ მომწიფებას ვერ ასწრებს და ასეთი მოუწიფებელი ნაწილები ზამთრის ყინვების გავლენით ზიანდება.

ბუტკო ხასიათდება საშუალო ზრდა-განვითარებით. ექვს გარეშეა, რომ ამ ჯიშის კულტურულ პირობებში ჩაყენებით ვაზის ზრდა მნიშვნელოვნად გაძლიერდება და მოსავალიც გაიზრდება.

წლის კარგი ამინდის პირობებში ბუტკო უხვ მოსავალს იძლევა. ერთი ძირი მალღარი ვაზის მოსავალი 50 — 60 კილოგრამამდე აღწევს. რქაზე ხშირად ორი მტევანია, ზოგჯერ სამიც.

ყვავილცვენას ჯიში არ განიცდის. მტევანში წვრილი მარცვლების რაოდენობა 10%-მდეა.

სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ იგი სუსტ გამძლეობას იჩენს. განსაკუთრებით ძლიერ ავადდება ნაცრით.

სამეურნეო დახასიათება. ბუტკო საღვინე ჯიშია. როგორც უხვმოსავლიანი, მისი პროდუქტია წარმატებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს ადგილობრივი მოხმარების საკმაოდ ხალისიანი ღვინოების დასამზადებლად.

ყურძნის მექანიკური ანალიზის მიხედვით ბუტკოს მტევნის საშუალო წონა აღწევს 96 გრამს. მარცვლების რაოდენობა მტევანზე მერყეობს 60 — 65 ცალამდე. დიდი მტევნის წონა 163 გრამია, მკირესი კი — 55 გრამი.

100 მარცვლის საშუალო წონა 175 გრამს უდრის. 100 მარცვალში 315 ცალი წიბწაა, წონით 9.5 გრაძი. ერთწიბწიანი მარცვლები შეადგენს 3⁰/₀-ს, ორწიბწიანი — 14⁰/₀-ს, სამწიბწიანი — 51⁰/₀-ს, ოთხწიბწიანი — 30⁰/₀-ს, ხუთწიბწიანი — 1⁰/₀-ს და ექვსწიბწიანი — 1⁰/₀-ს.

მტევანში არსებული წვრილი მარცვლები, ნორმალურ მარცვლებთან ერთად, დროულად მწიფდება, ხოლო წიბწებს ხშირად არ ავითარებს.

ყურძნის სრული სიმწიფის პერიოდში შაქრიანობა მასში აღწევს — 19 — 20⁰/₀-მდე. სეროთა მკვანიობა — 9.8⁰/₀₀-მდე.

ყურძენი სახამთროდ არ ინახება.

როგორც უხვმოსავლიანი, წვევის დიდგამოსავლიანი და ამავე დროს საკმაოდ ხარისხოვანი პროდუქტის მომცემი, ბუტკო ყურადღების ღირსია და მისი მასობრივად გავრცელება დასაშვებად მიგვაჩნია ქვემო და შუა აჭარის მთისპირა სოფლებში ნამყენების სახით, სათანადოდ შერჩეულ ამერიკულ საძირებზე.



Б У Т К О

Листья средней или меньше средней величины, длиной 13.0 — 15.3 см и шириной 12.5 — 15.0 см; округлые или слегка овальные. Слабо разрезные.

Черешковая выемка стрельчатая, равносторонняя и широкая. Встречается также сводчатая выемка с округлым и широким дном.

Верхние вырезки слабо намечены или щелевидные. Нижние вырезки едва намечены.

Лист трехлопастный. Угол оконечной лопасти тупой.

Оконечные зубцы лопастей треугольные, с острой вершиной или треугольные, но с выпуклыми сторонами и острой вершиной. Встречаются и пиловидно-треугольные. Вторичные зубцы треугольные, с острой вершиной или треугольно-пиловидные.

Поверхность листа гладкая, плоская, иногда сетчато-морщинистая; пластинка листа покрыта снизу довольно густым паутинисто-волокнистым покровом.

Отношение черешка к длине среднего нерва 0.7 — 0.8; черешок листа покрыт слабым паутинообразным волокном вишневато-красного цвета, переходящего у основания в фиолетовый.

Плодоносные побеги средней толщины и светло-коричневого цвета. Узлы окрашены темнее. Длина междоузлий достигает 6—13 см.

Цветы обоеполые.

Появление первых признаков созревания винограда наблюдается в первых числах сентября; массовое созревание наступает в конце октября.

Длина ножки грозди 3 — 4.5 см, длина грозди — 12 — 16 см, ширина — 6.5 — 7.5 см, количество ягод на грозди варьирует от 60 до 65 шт.

Общая форма грозди цилиндрическо-коническая, иногда цилиндрическая; рыхлая, реже средней плотности. Ножка грозди с гребнем травянистая, зеленого цвета.

Длина ножки ягоды с подушечкой 4.5 — 6 мм; сама ножка светлозеленого цвета. Подушечка бородавчатая, реже гладкая и широко-коническая.

Ягода черная, средней величины, длиной 14.5 мм, шириной 14.3 мм. По форме округлая; кожица тонкая, мякоть более сочная и менее мясистая, с довольно приятным сладким вкусом.

Количество семян в ягоде 1 — 6 шт, чаще 3. Длина семени 6.5 — 7 мм, ширина — 3.5 — 4 мм; семя красновато-коричневого цвета, брюшко желтоватого цвета. Халаза овальная; спинная сторона гладкая. Длина клюва достигает 1.5 — 2 мм.

Бутко относится к древнейшим красным винным сортам Грузии и в частности, Аджарии.

Под влиянием грибных болезней и вредителя филлоксеры данный сорт подвергся массовой гибели, и уцелели лишь единичные экземпляры в виде „маглари“. Столетние лозы сорта Бутко в настоящее время встречаются в Кедском районе, в сел. Вайо, которые при благоприятных сочетаниях метеорологических условий дают обильный урожай и вместе с тем довольно качественную продукцию для приготовления красных столовых вин.

Сорт заслуживает внимания и массового разведения в предгорных селах средней и нижней Аджарии.

მ ტ რ ე დ ის უ მ ხ ა

მტრედისფება წითელყურძნიანი ჯიშია. გავრცელებულია მაღლარების სახით ქვემო გურჯისტანისა და ქვემო აჭარის მთისპირად მდებარე სოფლებში.



აკად. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით (1), ამ სახელწოდებით ყოფილა გაფრთხილებული ვახის ჯიში ქართლშიაც, მაგრამ მისი იდენტურობის დადგენა გურჯისტანში გავრცელებულ მტრედისფებასთან ამჟამად უკვე ძნელი ხდება, ვინაიდან ქართლში ამგვარი ვახის ჯიში არსად გვხვდება.

სამეგრელოს რაიონებში მტრედისფება „ტოროკუჩხის“ სახელით ყოფილა ცნობილი (ტორონჯი მეგრული სიტყვაა და მტრედს ნიშნავს). ამაზევე მიგვითითებს აგრეთვე აკად. ივ. ჯავახიშვილი. წარმოებული რკვევის შედეგად დადასტურდა, რომ აღნიშნული ჯიში სამეგრელოში ფართოდ ყოფილა წარსულში გავრცელებული, განსაკუთრებით ჯვარის, საჩინოს, ჯგალის, ლიას და ქვადუაშის მიდამოებში. ტოროკუჩხის ყურძნიდან ადგილობრივი მოსახლეობა საკმაოდ მაღალი ღარსების ღვინოს ამზადებდა და, როგორც გადმოგვცემენ, ღვინო ტოროკუჩხისა შენახვის უნარით და ტრანსპორტაბელობით ხასიათდებოდა. სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის მოქმედების შედეგად ამ ჯიშის მაღლარები სამეგრელოში უკვე განადგურებულია.

გურჯისტანის რაიონებში იგი მტრედისფებას სახელწოდებით იყო და არის დღესაც გავრცელებული. ადგილობრივ მოხუც პირთა გადმოცემით, წარსულში მტრედისფებას ყურძნიდან საკმაოდ მაღალი ღარსების ღვინოს ამზადებდნენ და იმავე დროს სუფრის ყურძნიდან იყენებდნენ. ამ მიზნით ყურძენს ხშირად დაუკრეფავს სტოვებდნენ ვახებზე და ჰკრეფდნენ საქაროების მიხედვით დეკემბერ-იანვარში.

სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის მოქმედების შედეგად მტრედისფება ამ მხარეშიაც თითქმის გადაშენდა. მისი ასწლოვანი მაღლარები ერთეული ძირების სახით ამჟამად კიდევ გვხვდება ქვემო გურჯისტანში და ქობულეთის რაიონის მთისპირად მდებარე სოფლებში. მაღლარად აღზრდის გამო ვახები მოუვლელია და მოსავალს მხოლოდ კარგი ამინდის პირობებში იძლევა.

ბოტანიკური აღწერა და სამეურნეო დახასიათება. ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალო სიდიდის ან საშუალოზე დიდია და საერთო მოყვანილობით მომრგვალო ან განივ-ოვალურია. საკმაოდ დანაკეთულია; გვხვდება მკირეოდნად დანაკეთული ფოთლებიც. ფოთლის საშუალო სიგრძე აღწევს 13.7 — 20.0 სმ-ს, სიგანე 15.1 — 19.5 სმ-ს.

ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი თაღისებრია, მომრგვალებული ან ბრტყელი. ფუძით. გვხვდება ჩანგისებრი ამონაკვეთებიც მომრგვალებული ფუძით.

ფოთლის ზედა ამონაკვეთი მკირეოდნად არის ჩაქრილი ან საკმაოდ შექრილი კუთხით ხასიათდება; გვხვდება აგრეთვე ჩანგისებრი ამონაკვეთი, თითქმის პარალელური გვერდებითა და მომრგვალო ფუძით. იშვიათ შემთხვევაში ფუძეზე განვითარებულია ერთი კბილი. ქვედა ამონაკვეთი მკირედ არის ჩაქრილი.

ფოთოლი სამნაკეთიანია. წვერის ნაკვთი ფოთლის ფირფიტასთან ქმნის ბლაგვ კუთხეს.

ნაკვთთა წვერის კბილები სამკუთხედისებრია, წამახვილებული ან მომრგვალებული წვერით; გვხვდება ხერხკბილა-სამკუთხედისებრი მოყვანილობის კბილებიც. მეორეული კბილები სამკუთხედისებრია წამახვილებული ან მომრგვალებული წვერით.

ფოთლის ქვედა მხარე ძლიერ მკირედ არის შებუსვილი. მისი ზედაპირი გლუვია ან ბადისებრად დანაოქებული. ფირფიტა ბრტყელია. გვხვდება ძაბრისებრ-ღარისებრად მოხრილი ფოთლებიც.

მთავარი ძარღვები ძლიერ სუსტად არის შებუსვილი და ღია მწვანეა.

ფოთლის ყუნწის შეფარდება შუა მთავარ ძარღვთან უდრის 0.7 — 0.9-ს. იგი მკირეოდნად არის შებუსვილი და ღია მწვანეა.

შემოსული რქა ყავისფერია. მუხლები უფრო მუქად არის შეფერილი. მუხლთშორისის სიგრძე აღწევს 6 — 13 სმ-ს.

მხარაძისა და ქობულეთის რაიონების მთისპირა სოფლებში მტრედისფებას ყურძნის შეთვალევა იწყება 1 სექტემბრიდან, ხოლო მასობრივ სიმწიფეში 25 ოქტომბრიდან შედის.

დიდი მტევნის ყუნწის სიგრძე აღწევს 4 — 4.5 სმ-ს, მტევნის სიგრძე — 15 — 17 სმ-ს, სიგანე — 7 — 7.5 სმ-ს, მტევანზე 100 — 125 ცალი მარცვალია. საშუალო მტევნის ყუნწის სიგრძე 3.5 — 4.5 სმ-ია, მტევნის სიგრძე — 14 — 15 სმ, სიგანე — 6 — 7.5 სმ, მტევანზე 40 — 70 ცალი მარცვალია.

მტევანი თხელია, ზოგჯერ საშუალო სიმკვრივის, ფორმით ცილინდრულ-კონუსისებრი. მისი საშუალო წონა 150 — 160 გრამს აღწევს. მტევნის ყუნწი და თვით კლერტი ბალახისებრია და მწვანე.

მარცვლის ყუნწის სიგრძე საჯდომი ბალიშით აღწევს 4 — 6.5 მმ-ს. მწვანეა. მარცვლის საჯდომი ბალიში დამეჭვებულია და განიერ-კონუსისებრი. მარცვალი საჯდომ ბალიშზე საკმაოდ მტკიცედ არის მიმაგრებული.

მსხვილი მარცვლის საშუალო სიგრძე 15.5 — 17.2 მმ-ია, სიგანე — 13.8 — 15 მმ. საშუალო მარცვლის საშუალო სიგრძე აღწევს 14.4 — 16.2 მმ-ს, სიგანე — 13.2 — 14.4 მმ-ს.

მარცვალი საშუალო სიდიდისაა და ოვალური, შუა წელში უფრო განიერი, ბოლო მომრგვალებული აქვს და სიმეტრიულია. მუქი წითელია, რაც სიშავეში გადადის. სქელკანიანია და საკმაოდ წვნიანი სასიამოვნო ტკბილი გემოთი. ფიფქით (ცვილით) მცირეოდნად არის დაფარული.

მარცვალში 1 — 4 ცალი წიპწაა. სქარბობს 2 წიპწა. ყოველ 100 მარცვალში საშუალოდ 180 — 200 ცალი წიპწაა. წიპწის სიგრძე აღწევს 8 — 8.5 მმ-ს, სიგანე — 4 — 5 მმ-ს. ღია ყავისფერია. ქალაძე მოთავსებულია ზურგის მხარის შუა წელში, ფორმით მომრგვალოა, ზურგის მხარე გლუვია. ნისკარტის წვერი მოყვითალოა და სიგრძით აღწევს 2 მმ-ს.

აღსანიშნავია მტრედისფებას მტევნის დაწვრილმარცვლიანება (პართენოკარპიულობა). მტევანში ნორმალურად განვითარებული მარცვლების გვერდით გვხვდება პართენოკარპიული მარცვლებიც. კარგად განაყოფიერებული მტევანში პართენოკარპიული მარცვლები თითო-ორთა ცალია. ცუდად განაყოფიერებული მტევანი მომეტებული რაოდენობით შეიცავს წვირულ მარცვლებს. იმ წლებში, როდესაც მტევნები პართენოკარპიულ მარცვლებს ავითარებს, ეს ჯიში მცირე მოსავალს იძლევა.

მტრედისფება საყურადღებოა, როგორც სუფრის ყურძნისა და საღვინე ჯიში. ვაზზე დატოვებული ყურძენი იანვრამდე ძლებს, ხოლო დაკრეფილი, როგორც გადმოგვეცემენ, გაზაფხულამდე ინახება. სოკოვანი ავადმყოფობანი დიდად ვნებს. ჯიში უდავოდ საყურადღებოა და მისი გამრავლება ნამყენების სახით დასაშვებად მიგვაჩნია სამეგრელოსა და გურიის რაიონებში, მხოლოდ უკეთ დასაყვავილებლად და, აქედან გამომდინარე, მოსავლის გასადიდებლად აუცილებელია მისი გაშენება ჰერმოფროდიტული უჯვრების მქონე ვაზის ჯიშებთან შერევით.

М Т Р Е Д И С П Е Х - А

Листья средней величины или крупные, длиной 13.7 — 20 см и шириной 15.1 — 19.5 см, округлые или поперек-овальные.

Черешковая выемка сводчатая, с округлым или плоским и глубоким дном; встречается и лировидной формы с округлым дном.

Верхние вырезки слабо намечены или расположены в виде входящего угла. Встречаются также и лировидные, почти с параллельными сторонами и округлым дном. Нижние вырезки слабо выражены.

Лист трехлопастный. Угол оконечной лопасти тупой. Оконечные зубцы лопастей треугольные, с острой или округлой вершиной. Встречаются также пилородно-треугольные. Вторичные зубцы треугольные, с острой или округлой вершиной.

Поверхность листа гладкая или сетчато-морщинистая; плоская, реже воронковидно-желобчатая. Снизу пластинка листа покрыта слабым паутинообразным волокном.

Отношение черешка к длине среднего нерва 0.7 — 0.9; черешок покрыт тонкой паутиной, светлозеленого цвета.

Плодоносные побеги коричневого цвета. Узлы окрашены темнее. Длина междоузлий достигает 6 — 13 см.

Появление первых признаков созревания винограда наблюдается в начале сентября; массовое созревание наступает с 25 октября.

Длина ножки грозди 3.5 — 4.5 см, длина грозди 14 — 17 см, ширина 6 — 7.5 см. Количество ягод на грозди до 125 шт.

Общая форма грозди цилиндрическо-коническая, рыхлая. Ножка грозди с гребнем травянистая и зеленая.

Длина ножки ягоды с подушечкой 4 — 6 мм; ножка зеленая. Подушечка бородавчатая и широко-коническая.

Ягода темнокрасная, средней величины, длиной 14.4 — 17.2 мм и шириной 13.2 — 15 мм; по форме овальная, посередине широкая, у конца округлая и симметричная. Кожица толстая. Мякоть довольно сочная и мясистая, с приятным сладким вкусом.

Количество семян в ягоде 1 — 4 шт, чаще 2. Длина 8 — 8.5 мм, ширина 4 — 5 мм; семя светло-коричневого цвета. Халаза округлая. Длина клюна достигает 2 мм.

Нужно отметить, что в некоторые годы ягоды этого сорта подвержены в гроздьях, среди нормально развитых ягод, встречаются также и партенокарпические. В годы горошения ягод получается весьма низкий урожай.

Мтретиспеха — столово-винный сорт. Виноград хорошо сохраняется. Сильно страдает от грибных болезней. Относится к древнейшим аборигенным сортам Гурии, встречавшимся в прошлом почти повсеместно, как в восточной, так и в западной ее части. В настоящее время единичные экземпляры данного сорта имеются лишь в Кобулетском районе граничащих с Гурией, а также в Махарадзевском районе, в сел. Лихаури.



მტრედისფეხა — Мтредиспеха



ალმურა წითელყურძნიანი საღვინე ჯიშია. გავრცელებულია მაღლარების სახით ზემო აჭარაში, სოფ. ალმეს მიდამოებში. ადგილობრივი მოსახლეობა მას უწოდებს „შავ ყურძენს“. უნდა აღინიშნოს, რომ უსახელო შავი ჯიშები აჭარაში, და მეტადრე ხულოს რაიონში, მრავლად მოიპოვება, რომლებიც ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება, როგორც ამპელოგრაფიული ნიშნებით, ისე სამეურნეო ღირებულებით. ჩვენ მიერ აღწერილი ალმურაც განსხვავდება სხვა ადგილობრივი წითელი ჯიშებისაგან, რის გამოც მას, როგორც უსახელო ჯიშს, უწოდეთ თვით სოფლის სახელი „ალმურა“ (სოფ. ალმე, და აქედან „ალმურა“).

მაღლარად აღზრდის გამო ალმურას ვაზები მოუვლელია და მოსავლიანობა ამინდზეა უშუალოდ დამოკიდებული. თუ კარგი ამინდი დაუდგა, იგი უხვ მოსავალს გამოიღებს და პროდუქციის ღირსებაც საკმაოდ მაღალი იქნება.

ადგილობრივ მოხუც პირთა გადმოცემით, ალმურა წარსულში ფართოდ ყოფილა გავრცელებული ზემო აჭარის სოფლებში. მის მოსავალს მოსახლეობა ძირითადად ყურძნად იყენებდა, ან ამზადებდა შესქელებულ ყურძნის წვენს ბადაგის სახით. სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის მოქმედების შედეგად ალმურას ნარგავები ამჟამად მნიშვნელოვნადაა შემცირებული და თუ დროულად არ მიექცა ყურადღება მის აღდგენას, უახლოეს ხანში ჯიშს გადაშენება მოელოს.

ბოტანიკური აღწერა. კვირტები გაშლის პერიოდში მოთეთრო-მონაცრისფროა, ღია მწვანე ელფერით. ზრდის კონუსი მოწითალო-იისფერია და სქლადაა დაფარული თეთრი-მონაცრისფრო ბუსუსით. ახლად გაშლილი პირველი ფოთოლი ზედა მხრიდან მომწვანო-იისფერია, მოწითალო ელფერით, და სქლადაა დაფენილი თეთრი-მონაცრისფრო ბუსუსით. ქვედა მხრიდან შებუსვა ქეჩისებრია და თითქმის ფირფიტის მთელ არეზე დასდევს მომწვანო-იისფერი, მოწითალო ელფერით. პირველი ფოთლის მომდევნო მეორე და მესამე ნორჩი ფოთლები ზედა მხრიდან მომწვანო-იისფერია, მოწითალო ელფერით. მეორე ფოთოლი ზემოდან საკმაოდაა შებუსვილი, ხოლო მესამე შედარებით მცირედ. ქვედა მხრიდან შებუსვა საკმაოა, რომელიც ზრდადამთავრებულ ფოთლებზე თანდათანობით მცირდება.

ახალგაზრდა ყლორტი მრგვალია და მცირეოდნად შებუსვილი მონაცრისფრო-თეთრი ბუსუსით. შემოსული რქა საშუალო სიმსხოსია და ყავისფერი. მუხლები უფრო მუქად არის შეფერილი. მუხლთშორისის სიგრძე აღწევს 6 — 11 სმ-ს.

ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალო სიდიდის. ან საშუალოზე მცირეა და საერთო მოყვანილობით მომრგვალო ან განივ-ოვალური. საკმაოდ დანაკეთულია; გვხვდება მცირედ დანაკეთული ფოთლებიც. ფოთლის საშუალო სიგრძე 11.7 — 13.0 სმ-ია, სიგანე 12.0 — 14.5 სმ.

ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ჩანგისებრია, მომრგვალო ფუძით ან ასევე ჩანგისებრი, ბრტყელი ფუძით. ამონაკვეთის ნაკვეთები შედგება სამი ძარღვისაგან; გვხვდება აგრეთვე ისრისებრი ამონაკვეთი, განიერი და მახვილი ფუძით.

ფოთლის ზედა ამონაკვეთი ღია და ნასვრეტისებრია ან ჩანგისებრი, ვიწრო ნასვრეტით და მომრგვალო ფუძით. გვხვდება დახურული ამონაკვეთიც, განიერ-ელიფსური ნასვრეტით. ქვედა ამონაკვეთი მცირედ არის ჩაჭრილი ან საკმაოდ შეჭრილი კუთხით ხასიათდება.

ძირითადი ნაკვეთები სამია. წვერის ნაკვეთი ფოთლის ფირფიტასთან ქმნის ბლიავ კუთხეს. ნაკვეთთა წვერის კბილები სამკუთხედისებრია, მომრგვალებული წვერით, ან ასევე სამკუთხედისებრი, ამოზნექილი გვერდებით და მახვილი წვერით; გვხვდება აგრეთვე ხერხბილა-სამკუთხედისებრი და ხერხბილა, ცალმხრივ ამოზნექილი გვერდებით. მეორეული კბილებიც ასეთივე მოყვანილობისაა.

ფოთლის ქვედა მხარე ძლიერ მცირედ არის შებუსვილი, ზედა მხარე კი გლუვია ან ბადისებრად დანაოქებული. ფირფიტა ბრტყელია. გვხვდება ძაბრისებრ-ლარისებრად მოხრილი ფოთლებიც.


მთავარი ძარღვები სუსტად არის შებუსვილი და ღია მწვანეა. ფოთლის ყუნწის შეფარდება შუა მთავარ ძარღვთან უდრის 0.7 — 0.9-ს. იგი შიშველია და ღია-მწვანე, რაც ფუძესთან იისფერში გადადის.

ყვავილი ორსქესიანია. მასში მასობრივად 5 მტვრიანაა. გვხვდება 4 და იშვიათად 6 მტვრიანატყვავილედში ყვავილების რიცხვი 350 ცალს აღწევს (სურ. 75).

დიდი მტევნის ყუნწის სიგრძე 2 — 2.5 სმ-ია, მტევნის სიგრძე — 14 — 15 სმ, სიგანე — 8 — 10 სმ. მტევანზე 100 — 120 ცალი მარცვალია. საშუალო მტევნის ყუნწის სიგრძე აღწევს 2 — 2.5 სმ-ს, მტევნის სიგრძე — 11 — 13 სმ-ს, სიგანე — 5.5 — 7 სმ-ს. მტევანზე 60 — 85 ცალი მარცვალია.

მტევანი ცილინდრულია; გვხვდება ცილინდრულ-კონუსისებრი მოყვანილობის მტევანებზე. მტევანის ყუნწი და კლერტი მკვერივია, იშვიათ შემთხვევაში საშუალო სიმკვრივისაა. მტევნის ყუნწი და კლერტი მკვერივია და ღია მწვანე.

მარცვლის ყუნწი საჯდომი ბალიშით აღწევს 4 — 6 მმ-ს. მწვანეა. საჯდომი ბალიში დამეკვებულია და განიერ-კონუსისებრი. მარცვალი საჯდომზე საკმაოდ მტკიცედ არის მიმაგრებული.



სურ. 75. ალმურას ყვავილი.

მსხვილი მარცვლის საშუალო სიგრძე 13 — 15 მმ-ია, სიგანე — 13 — 14.7 მმ. საშუალო მარცვლის საშუალო სიგრძე 12 — 13.5 მმ-ია, სიგანე — 12 — 13.4 მმ.

მარცვალი შავია, თითქმის საშუალო სიდიდის და მომრგვალო. შუა წელში უფრო განიერია, ბოლო მომრგვალებული აქვს და სიმეტრიულია. საკმაოდ სქელკანიანია, მეტად წვნიანი და მცირე ხორციანი, ჩვეულებრივი ტკბილი გემოთი. კანი ფიქქით (ცვილით) უხვადაა დაფენილი.

მარცვალში 1 — 4 ცალი წიპწაა; უფრო ხშირად გვხვდება 3 წიპწა. წიპწის სიგრძე აღწევს 6 — 6.5 მმ-ს, სიგანე 2 — 2.5 მმ-ს. მუქი ყავისფერია. ქალაძა მოთავსებულია ზურგის მხარის შუა წელში, ფორმით იგი ოვალურია, ზურგის მხარე გლუვია. ნისკარტის სიგრძე აღწევს 1.5 — 2 მმ-ს.

აგრობიოლოგიური და სამეურნეო დახასიათება. ხულოს რაიონის სოფ. ჩაოს ზონაში ალმურას სავეგეტაციო პერიოდის საერთო ხანგრძლიობა კვირტების გამოფურჩქენიდან ფოთლების დაცვენით 240 დღეს აღწევს. ვაზზე კვირტების გამოღვიძება იწყება 2 — 4 აპრილიდან. ყვავილობის პირველი ნიშნები ემჩნევა 10 — 12 ივნისიდან და ამინდის ხელსაყრელ პირობებში მთავრდება 22 ივნისამდე. ყურძენი შეთვალვას იწყებს 1 სექტემბრიდან და მასობრივ სიმწიფეში შედის ოქტომბრის შუა რიცხვებიდან. ფოთოლცვენა იწყება 10 — 15 ნოემბრიდან და ნოემბრის ბოლო რიცხვებში მთავრდება. ალმურას საშუალო ზრდა ახასიათებს. ამინდის ხელსაყრელ პირობებში რქები ნორმალურ განვითარებას აღწევს და სავეგეტაციო პერიოდის დასასრულისათვის ჯიშის დამახასიათებელ ელფერს ღებულობს.

როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, მაღლარად აღზრდის გამო ვაზების მოვლა არ წარმოებს, მიუხედავად ამისა, თუ კარგი ამინდი დაუდგა, ალმურა უხვ მოსავალს იძლევა. ერთ ძირ მაღლარზე ხშირად 35 — 40 კგ ყურძენი მოდის. რქაზე ხშირად ორი მტევანია განვითარებული; იშვიათად — ერთი. უხვ მოსავალთან ერთად ახასიათებს წვეწის უხვი გამოსავლიანობა. ექვს გარეშეა, რომ კულტურულ პირობებში ჩაყენებით ალმურას მოსავლიანობა კიდევ უფრო მეტად გაიზრდება და გაუმჯობესდება პროდუქციის ღირსებაც.

ყურძენი შენახვის უნარს მოკლებულია.

ადგილობრივ ჯიშებთან შედარებით სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ ალმურა საკმაოდ გამძლეობას იჩენს. სწორედ ამით უნდა აიხსნას ზემო აქარაში მისი მაღლარების უფრო მეტი რაოდენობით არსებობა.



საქართველოს
საბუნებისმეტყველო
მეცნიერებათა აკადემია

აღმურა — Алмура



ალმურას მტვევის საშუალო წონა აღწევს 145 გრამს. 100 მარცვლის წონა 206 გრამია, აქედან კანი შეადგენს 13.2 გრამს. 100 მარცვალში 260 ცალამდე წიბწაა, წონით 8.7 გრამი. კლერტის საშუალო წონა უდრის 5.1 გრამს, ხოლო წვევის გამოსავალი 74.8%-ს.

სრული მწიფობის პერიოდში ყურძენში შაქარი აღწევს 19%-ს, საერთო მკვებანობა 9.1%⁰⁰-მდე.

როგორც უხვმოსავლიანი და საკმაოდ ხარისხოვანი პროდუქციის მომცემი, ალმურა ყურძენის ღირსია და მისი გავრცელება ნამყენების სახით მიზანშეწონილად მიგვაჩნია ხულოსა და ქელის რაიონებში.

А Л М У Р А

Листья средней или меньше средней величины, длиной 11.7 — 13.0 см и шириной 12.0 — 14.5 см; округлые или поперек-овальные.

Черешковая выемка лировидная, с округлым или плоским дном. Лопастей черешковой выемки состоит из трех нервов. Встречается также стрельчатая, но широкая и с острым дном.

Верхние вырезки открыты и чаще щелевидны или лировидной формы, с узким просветом и округлым дном. Встречаются также закрытые вырезки, с широко-эллиптическим просветом. Нижние вырезки слабо выражены или расположены в виде входящего угла.

Лист трехлопастный. Угол оконечной лопасти тупой.

Оконечные зубцы лопастей треугольные, с округлой вершиной, или треугольные, но с выпуклыми сторонами и острой вершиной. Встречаются также пиловидно-треугольные или пиловидные. Вторичные зубцы сходны с оконечными зубцами лопастей.

Поверхность листа гладкая или сетчато-морщинистая; плоская, реже воронковидно-желобчатая. Пластинка листа снизу покрыта слабой паутиной.

Отношение черешка к длине среднего нерва составляет 0.7 — 0.9; черешок голый и светлозеленого цвета, переходящего у основания в фиолетовый.

Цветы обоеполые.

Плодоносные побеги средней толщины, коричневого цвета.

Узлы окрашены темнее, чем междоузлия. Длина междоузлий достигает 6 — 11 см.

В окрестностях сел. Алме (Хулойского района) массовое созревание винограда наступает со второй половины октября.

Длина ножки грозди составляет 2 — 2.5 см, длина грозди — 11 — 15 см, ширина — 5.5 — 10 см. Количество ягод на грозди до 120 шт.

Общая форма грозди цилиндрическая, иногда цилиндрическо-коническая; очень плотная, реже средней плотности. Ножка грозди с гребнем травянистая и светлозеленого цвета.

Длина ножки ягоды с подушечкой составляет 4 — 6 мм; сама ножка зеленая. Подушечка бородавчатая и широко-коническая.

Ягода черная, почти средней величины, длиной 12 — 15 мм и шириной 12 — 14.7 мм; округлая, посередине широкая и симметричная. Кожица почти толстая. Мякоть менее мясистая и очень сочная, с обыкновенным сладким вкусом.

Количество семян в ягоде 1 — 4 шт, чаще 3. Длина семени 6 — 6.5 мм, ширина — 2 — 2.5 мм; темно-коричневого цвета. Халаза овальная. Спинная сторона гладкая. Длина клюва достигает 1.5 — 2 мм.

Алмура — обильно урожайный сорт. Встречается на „маглари“ довольно в большом количестве в сел. Алме. Местное население называет его „Шави курдзени“ (черный виноград). Нужно отметить, что в верхней Аджарии много красных сортов винограда, отличающихся между собой ампелографическими признаками, тем не менее они носят общее наименование — „Шави курдзени“ и в отличие описываемого сорта от других, мы дали ему название той деревни, где этот сорт встречается в большом количестве (Алме — „Алмура“).

Сорт заслуживает внимания и массового разведения, особенно в районах Хуло и Кеди, для приготовления обычных вин местного потребления.

მ ა ხ ა თ უ რ ი

მახათური გურიასა და ქვემო აქარაში გავრცელებული წითელყურძნიანი ჯიშია.

სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის შემოჭრამდე იგი ფართოდ ყოფილა გავრცელებული მაღლარების სახით შუა და ქვემო გურიის სოფლებში, აგრეთვე ქობულეთის რაიონში — გურიის მოსაზღვრე ადგილებში. როგორც გადმოგვცემენ, ყურძენს ხშირად ვაზებზე ახალწილებზე წივებდნენ. როგორც ვაზზე დატოვებული, ისე აკიდოების სახით შენახული ყურძენი კარგად ინახებოდა მთელი ზამთრის განმავლობაში. გარდა ამისა, მისგან ამზადებდნენ აგრეთვე ღვინოს. მახათურის ღვინო ცნობილი ყოფილა გურიაში, როგორც ხალისიანი სასმელი, კარგი შენახვის უნარის მქონე და ტრანსპორტაბელური. ღვინო ტიკებით ხანგრძლივად მგზავრობის შემთხვევაშიაც კი არ ილახებოდა.

ამჟამად მახათურის გავრცელების არეალი მეტად შეზღუდულია. ერთეული მაღლარების სახით იგი შერჩენილია სოფ. ბახვში, ბაღდათში, შემოქმედში (მახარაძის რაიონში), კვირიკეში და ზემო სამებაში (ქობულეთის რაიონში). სოკოვან ავადმყოფობათა მოქმედების შედეგად ვაზები დაკნინებულია და მათ მცირე მოსავლიანობა ახასიათებს. მხოლოდ ამინდის ხელსაყრელ პირობებში იძლევა მახათური დიდი რაოდენობის და მაღალი ხარისხის მოსავალს.

ბოტანიკური აღწერა. ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალო სიდიდისაა და მომრგვალო ან ოდნავ ოვალური. მცირედ დანაკეთულია. ფოთლის საშუალო სიგრძე 15.0 — 16.0 სმ-ს აღწევს, სიგანე 14.0 — 14.7 სმ-ს.

ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ისრისებრია. ნაკვეთი შედგება სამი ძარღვისაგან. ამონაკვეთის ფუძე წამახვილებულია ან მომრგვალო; გვხვდება ჩანგისებრი და თანასწორგვერდიანი ამონაკვეთებიც.

ზედა ამონაკვეთი ღიაა და მცირედ ჩაქრილი ან საკმაოდ შეჭრილი კუთხით ხასიათდება. ქვედა ამონაკვეთი მცირედაა ჩაქრილი.

ფოთოლი სამნაკვეთიანია. წვერის ნაკვეთი ფოთლის ფირფიტასთან ქმნის ბლაგვ კუთხეს.

ნაკვეთთა წვერის კბილები სამკუთხედისებრია, წამახვილებული წვერით; გვხვდება აგრეთვე ასევე სამკუთხედისებრი, მომრგვალო წვერით, იშვიათად კი ხერხკბილა-სამკუთხედისებრი წვერის კბილები. შეორეული კბილები მთავარი კბილების მსგავსია.

ფოთლის ზედა მხარე გლუვია ან ბადისებრად დანაოქებული. ფირფიტა ძაბრისებრ-ღარისებრადაა მოხრილი; იშვიათად ბრტყელია. მთავარი ძარღვები საკმაოდაა შებუსხვილი და ღია მწვანეა.

ფოთლის ყუნწის შეფარდება შუა მთავარ ძარღვთან 0.7 — 0.9-ს უდრის. იგი მცირეოდნადაა შებუსხვილი და ღია მწვანეა, ფუძესთან კი იისფერში გადადის.

შემოსული რქა საშუალო სიმსხოისა და ყავისფერი. მუხლები უფრო მუქად არის შეფერილი. მუხლთშორისის სიგრძე აღწევს 6 — 11 სმ-ს.

ყვავილი ჰერმოფროდიტულია, მასობრივად ნორმალურად განვითარებული მტვრიანებითა და ბუტკოთი. გვხვდება აგრეთვე დეფექტური ყვავილები მოკლე და თითქმის ჰორიზონტალურად დაწოლილი მტვრიანებით. ყვავილში 5 და 6 მტვრიანაა, ზოგჯერ — 4. ყვავილედში ყვავილების რიცხვი 240 ცალამდე აღწევს.

დიდი მტევნის ყუნწის სიგრძე 4 — 5 სმ-ია, მტევნის სიგრძე — 13 — 16 სმ, სიგანე — 9 — 10 სმ. საშუალო მტევნის ყუნწის სიგრძე — 4 — 4.5 სმ-ია, მტევნის სიგრძე — 11 — 12 სმ და სიგანე — 7 — 8 სმ. მტევანზე მარცვლების რაოდენობა მერყეობს 50 — 70 ცალამდე.


მტევანი ცილინდრულ-კონუსისებრია. აგებულებით თხელია, ზოგჯერ საშუალო სიმკვრივის. მტევნის ყუნწი კლერტით ბალახისებრია და მწვანე.

მარცვლის ყუნწის სიგრძე საჯდომი ბალიშით აღწევს 4 — 6 მმ-ს. იგი მწვანეა. საჯდომი ბალიში დამეჭეპებულია და განიერ-კონუსისებრი; იშვიათად ვიწრო კონუსისებრია. მარცვალი საჯდომ ბალიშზე საკმაოდ მტკიცედ არის მიმაგრებული.

მარცვალი ღია შავია, საშუალო სიდიდის ან საშუალოზე ცოტაოდნად დიდი. მსხვილი მარცვლის იგრძე აღწევს 16 — 18.5 მმ-ს, სიგანე — 15.5 — 17 მმ-ს. საშუალო მარცვლის სიგრძე 15 — 16.5 მმ-ია,

სიგანე — 13.5 — 15 მმ. ფორმით ოვალურია, შუაწელში უფრო განიერი, ბოლო მომრგვალებული აქვს და სიმეტრიულია. სქელკანიანია, საკმაოდ ხორციანი და წვნიანი, სასიამოვნო ტკბილი გემოთი. კანი ფიფქით (ცვილით) მცირედ არის დაფარული.

მტევანში მარცვლები უთანაბრად მწიფდება, რაც მახათურის დამახასიათებელი თვისებაა.



მარცვალში 1 — 4 ცალი წიბწაა, უფრო ხშირად გვხვდება 2 წიბწა. წიბწის სიგრძე 6.5 მმ-მდეა. სიგანე — 3 — 3.5 მმ. ღია ყავისფერია. ქალაძა მოთავსებულია ზურგის მხარის შუა ნაწილში. ნაღვლიანად ქვემოთ. ფორმით ოვალურია. ზურგის მხარე გლუვია. ნისკარტის სიგრძე აღწევს 2 მმ-მდე.

აგრობიოლოგიური და სამეურნეო დახასიათება. ქობულეთის რაიონის სოფ. ზემოსამების ზონაში მახათურის სავეგეტაციო პერიოდი 245 დღეს აღწევს. ვაზზე კვირტების გამოფურჩქნა იწყება 3 — 4 აპრილიდან, ყვავილობა — 8 — 10 ივნისიდან და მთავრდება 22 ივნისამდე. შეთვალვას იწყებს აგვისტოს ბოლოდან ან სექტემბრის პირველიდან და მასობრივ სიმწიფეში შედის ოქტომბრის ბოლო რიცხვებიდან. ფოთოლცვენა იწყება 10 — 12 ნოემბრიდან და მთავრდება 30 ნოემბრისათვის.

მალარად აზრდით ვაზს საშუალო ზრდა და საშუალო მოსავალი ახასიათებს. ამინდის ხელსაყრელ პირობებში რქები მომწიფებას ასწრებს ყურძნის მასობრივი სიმწიფის პერიოდშივე და ჯიშის დამახასიათებელ ელფერს დებულობს. ერთი ძირი მალარის მოსავალი 20 კგ-ს აღწევს. რქაზე ხშირად 2 და 1 მტევანია განვითარებული, იშვიათად — 3. ყვავილების დეფექტურობის გამო მტევანი თხელია და ამავე დროს საკმაოდ დიდი რაოდენობით ავითარებს პართენოკარპიულ მარცვლებსაც. ყვავილობის პერიოდში თუ ცუდი ამინდები დაუდგა მეტად მცირე მოსავალს იძლევა. ექვს გარეშეა, რომ ნამყენზე გადაყვანით და სათანადო მოვლის პირობებში იგი როგორც რაოდენობრივად, ისე ხარისხობრივად მაღალი ღირსების პროდუქციას შოგვცემს.

სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ მეტად სუსტ გამძლეობას იჩენს.

სამეურნეო დანიშნულებით მახათური სუფრის ყურძნისა და საღვინე ჯიშია. ყურძნის გემური თვისებებით და საერთოდ ორგანოლექტიური მაჩვენებლებით ყურადღებას იპყრობს, როგორც ხარისხოვანი პროდუქციის მომცემი და ამიტომ მისი აღდგენა და ფართოდ გავრცელება მიზანშეწონილად მიგვაჩნია გურიისა და ქვემო აჭარის მთისპირა მიკრორაიონებში.

მექანიკური ანალიზების მიხედვით მახათურის მტევნის საშუალო წონა 140 გრამია. 100 მარცვლის საშუალო წონა 221 გრამს აღწევს, აქედან კანი შეადგენს 15 გრამს. 100 მარცვალში 210 ცალამდე წიბწაა, წონით 7.2 გრამი. საშუალო მტევნის კლერტის წონა 4.8 გრამს აღწევს და წვენის გამოსავალი 72.5%-მდეა.

ყურძნის სრული მწიფობის პერიოდში შაქრიანობა მასში 18.8%-მდეა, საერთო მტკავიანობა 9.2%-მდე.

М А Х А Т У Р И

Листья средней величины, длиной 15 — 16 см и шириной 14 — 14.7 см; округлые или слегка овальные. Слабо разрезные.

Черешковая выемка стрельчатая, с острым дном. Лопасти черешковой выемки состоят из трех нервов. Встречается также лировидной формы, равносторонняя.

Верхние вырезки открыты и слабо намечены; реже расположены в виде входящего угла. Нижние вырезки едва намечены.

Лист трехлопастный. Угол оконечной лопасти тупой.

Оконечные зубцы лопастей треугольные, с заостренной или округлой вершиной, реже пилородно-треугольные. Вторичные зубцы тоже треугольные, с острой или округлой вершиной, иногда пилородно-треугольные.

Поверхность листа гладкая, или сетчато-морщинистая и воронковидно-желобчатая, иногда плоская.

Отношение черешка к длине среднего нерва 0.7 — 0.9; черешок листа тонко-паутиновый, светло-зеленого цвета, переходящего у основания в фиолетовый.

Плодоносные побеги средней толщины; коричневого цвета. Узлы окрашены темнее. Длина междоузлий 6 — 11 см.

Появление первых признаков созревания винограда наблюдается в начале сентября; массовое созревание наступает в конце октября.

Длина ножки грозди 4 — 5 см, длина грозди — 11 — 16 см, ширина — 7 — 10 см; количество ягод на грозди до 70 шт.

Общая форма грозди цилиндрическо-коническая; рыхлая, иногда средней плотности. Ножка грозди с гребнем травянистая и зеленого цвета.

Длина ножки ягоды с подушечкой 4—6 мм, зеленого цвета. Подушечка бородавчатая и ширококоническая, реже узкоконическая.

Ягода почти черная, средней или несколько больше средней величины; длиной 15—18.5 мм и шириной 13.5—17 мм, овальная. Посередине широкая и симметричная. Кожица толстая; мякоть довольно сочная и достаточно мясистая, с приятным сладким вкусом.

Количество семян в ягоде 1—4 шт, чаще 2. Длина семени—6.5—7 мм, ширина—3—3.5 мм, семя светло-коричневого цвета. Халаза овальная. Спинная сторона гладкая; длина клюва достигает 2 мм.

Махатури относится к группе красных столовых сортов винограда, годен и на вино. Довольно; урожайный. От грибных болезней сильно страдает. Виноград хорошо сохраняется и выдерживает транспорт. Как передают местные жители, сбор Махатури в прошлом производили часто в январе—к праздничным дням.

До появления грибных болезней и филлоксеры «маглари» сорта Махатури встречались в большом количестве, особенно в средней и нижней Гурии, а также в Кобулетском районе, в деревнях граничащих с Гурией. В настоящее время, данный сорт встречается лишь в единичных экземплярах в сел. Бахви, Самеба, Квирик.

Сорт заслуживает внимания и разведения вместе с другими интересными сортами, в предгорных микрорайонах Гурии и нижней Аджарии.



საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
სამსახური

მახათური — Махатури

კოლოში



კოლოში აჭარაში გავრცელებული წითელყურძნიანი საღვინე ჯიშია. აკად. ივ. ჯავახიშვილის (1) და აგრ. ე. ნაკაშიძის (16) მიხედვით, წარსულში კოლოშის გავრცელების არეალი განისაზღვრებოდა მხოლოდ გურია-სამეგრელოთი, აჭარაში კოლოშის არსებობის შესახებ კი მათ არაფერი აქვთ აღნიშნული.

როგორც ლიტერატურული მასალებიდან ირკვევა, სამეგრელოს რაიონებში, კოლოშთან ერთად, წარსულში საკმაოდ ფართოდ ყოფილა გავრცელებული აგრეთვე „ჩეკოლოში“ ანუ თეთრი კოლოში. გურია-სამეგრელოში ჩვენ 10 წლის განმავლობაში ვაწარმოებდით ვაზის აბორიგენული ჯიშების შესწავლას, მაგრამ კოლოში ან „ჩეკოლოში“ არც ერთ რაიონში არ შეგვხვდებოდა. აღნიშნული გარემოება ჯერჯერობით ართულებს გურია-სამეგრელოსათვის კოლოშის აბორიგენობის საბოლოოდ დადგენის შესაძლებლობას.

კოლოშის გავრცელების არეალი ამჟამად მხოლოდ ხულოს რაიონით (აჭარა) განისაზღვრება. რაიონულ ცენტრთან ახლო მდებარე სოფელში (დეკანაშვილები) გვხვდება კოლოშის მეტად ხნოვანი მაღლარები. მაღლარად აღზრდის გამო მათი მოვლა თითქმის არ წარმოებს. მიუხედავად ამისა, ამინდის ხელსაყრელ პირობებში ჯიში დამაკმაყოფილებელი ზრდა-განვითარებითა და საკმაოდ ხარისხოვანი პროდუქციით ხასიათდება. მოსახლეობა მის მოსავალს ამჟამად მხოლოდ ყურძნად ხმარობს. ამისათვის ყურძენს ან ვაზებზე სტოვებენ და საქიროების მიხედვით კრეფენ, ან აკიდობენ სახით ინახავენ მთელი ზამთრის განმავლობაში.

ბოტანიკური აღწერა. კვირტები გაშლის პერიოდში მონაცრისფრო-თეთრია, მოწითალო ელფერი. ზრდის კონუსი ქეჩისებრად არის დაფენილი მონაცრისფრო-თეთრი ბუსუსით და ღია მოწითალო ელფერი დასდევს. პირველი ახლად გაშლილი ფოთოლი ზედა მხრიდან მომწვანო-იისფერია, მოწითალო ელფერით, და სქლად არის შებუსხვილი. ქვედა მხრიდან ახასიათებს ქეჩისებრი შებუსვა. ბუსუსი მოთეთრო-მონაცრისფროა და გადაჰკრავს მოწითალო-იისფერი. მომდევნო მეორე და მესამე ნორჩი ფოთლები ზედა მხრიდან მუქი მომწვანო-წითელია. მეორე ფოთოლი საკმაოდ და მესამე კი მკირედ არის დაფენილი ბუსუსით. ქვედა მხრიდან მათი შებუსვა ქეჩისებრია. ბუსუსი მოთეთრო-ნაცრისფერია და ბეწვისებრი.

ახალგაზრდა ყლორტი ღია მწვანეა, ცალ მხარეზე ოდნავ მოწითალო-იისფერი და საკმაოდ სქლად დაფენილი მონაცრისფრო ბუსუსით.

შემოსული რქა თითქმის ყავისფერია. მუხლები უფრო მუქად არის შეფერილი. მუხლთშორასის სიგრძე აღწევს 6 — 11 სმ-ს.

ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალო სიდიდისაა და საერთო მოყვანილობით თითქმის ოვალური. მკირედაა დანაკეთული; გვხვდება საკმაოდ დანაკეთული ფოთლებიც. ფოთლის საშუალო სიგრძე აღწევს 16.6 სმ-ს, სიგანე — 15.7 სმ-ს.

ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი დახურულია, უფრო ხშირად ვიწრო-ელიფსისებრი ნაპრალით. ამონაკვეთის ნაკვეთები ურთიერთს ან ოდნავ ეხება, ან საკმაოდ გადადის ერთმანეთზე. გვხვდება აგრეთვე ვიწრო-თალისებრი ამონაკვეთები მობრტყო ფუძით, რომელთა კიდურები საში ძარღვისაგან შედგება.

ზედა ამონაკვეთი დახურულია და საკმაოდ შექრილი კუთხით ხასიათდება. გვხვდება აგრეთვე მკირედ ჩაქრილი და იშვიათ შემთხვევაში ჩანგისებრი მოყვანილობის ამონაკვეთები, მომრგვალო ფუძით. ქვედა ამონაკვეთი მკირედ არის ჩაქრილი.

ფოთოლი სამნაკეთიანია. წვერის ნაკვეთი ფოთლის ფირფიტასთან ქმნის ზღაგვ კუთხეს, იშვიათად სწორს.

ნაკვეთთა წვერის კბილები სამკუთხედისებრია, წამახვილებული წვერით, ან ასევე სამკუთხედისებრია, ამოზნექილი გვერდებითა და წამახვილებული წვერით. გვხვდება, მხოლოდ იშვიათად, ხერხკბილა-სამკუთხედისებრი კბილებიც. მეორეული კბილები ძირითადად მთავარი კბილების მსგავსია.

ფოთლის ქვედა მხარე ქეჩისებრად არის დაფენილი ბუსუსით. ზედა მხარე გლუვია. ფირფიტაზე ზედაპირი ბრტყელია ან ძაბრისებრ-ღარისებრად არის მოხრილი. მთავარი ძარღვები საკმაოდ შე-
ბუსვილი და ღია მწვანე ფერიდან იისფერში გადადის.

ფოთლის ყუნწის შეფარდება შუა მთავარ ძარღვთან უდრის 0.6 — 0.8-ს. იგი შიშველია და ღია მწვანე, ფუძესთან კი იისფერში გადადის.

ყვავილი ორსქესიანია, ნორმალურად განვითარებული ბუტკოთი და მტვრიანებით. ზოგ შემთხვევაში ყვავილში ცალკეული მტვრიანა ძლიერაა გადახრილი ბუტკოდან. ყვავილში 5 მტვრიანაა და მტვრიანად გვხვდება 4 და 6 მტვრიანაც. ყვავილედში ყვავილების რაოდენობა 250 ცალიმდე აღწევს.

მტევნის ყუნწის სიგრძე 4 — 5.5 სმ-ია, მტევნის სიგრძე — 10 — 18 სმ, სიგანე — 5 — 9 სმ.

მტევნის საერთო ფორმა ცილინდრულ-კონუსისებრია. ზოგჯერ ცილინდრული. ძლიერ მკვრი-
ვია. მტევნის ყუნწი კლერტით ბალახისებრია და ღია მწვანე.

მარცვლის ყუნწის სიგრძე საჯდომი ბალიშით აღწევს 4 — 5 მმ-ს. ღია მწვანეა. საჯდომი ბალიში უფრო ხშირად გლუვია და განიერ-კონუსისებრი. მარცვალი საჯდომ ბალიშზე მტკიცედ არის მიმაგრებული.

მარცვალი მუქი ლურჯია (თითქმის შავი). საშუალო სიდიდის ან საშუალოზე მცირეა. მისი სიგრძე აღწევს 10.5 — 14.0 მმ-ს, სიგანე 10.4 — 13.7 მმ-ს. შუა წელში უფრო განიერია, ბოლო მომრგვალებული აქვს და სიმეტრიულია. უფრო ხორციანი და შედარებით მცირე წვნიანია, ჩვეულებ-
რივი ტკბილი გემოთი. სქელკანიანია. კანი ადვილად სცილდება რბილყულს. ცვილით მარცვლის კანი საკმაოდ არის დაფენილი.

მარცვალში 1 — 4 ცალი წიპწაა, სქარბობს 3 წიპწა. წიპწის სიგრძე აღწევს 6 — 7 მმ-ს, სიგანე — 3.0 — 3.5 მმ-ს. ყავისფერია, მუცლის მხარეზე ღარებში კი ოდნავ მოყვითალოა. ქალაძა მო-
თავსებულია ზურგის მხარის შუა წელში. იგი მოგრძო-ოვალურია და კარგადაა გამოსახული. ნისკარ-
ტის წვერი მოყვითალო-ყანგისფერია. მისი სიგრძე აღწევს 1.5 — 2 მმ-ს.

აგრობიოლოგიური დახასიათება. ხულოს რაიონის სოფ. დეკანაშვილების ზონაში კო-
ლოშის სავეგეტაციო პერიოდის საერთო ხანგრძლიობა 235 — 240 დღეს უდრის. ვაზის გაღვიძება იწყება აპრილის დასაწყისიდან. კვირტების გამოფურჩქვნა მიმდინარეობს 10 აპრილიდან. ყვავილობის პირველი ნიშნები ემჩნევა 12 — 14 ივნისიდან, მთავრდება 25 ივნისამდე. ყურძენი შეთვალვას იწყებს სექტემბრის პირველი რიცხვებიდან (4 — 5 სექტემბრიდან) და მასობრივ სიმწიფეში 1 ნოემბრიდან შედის. ფოთოლცვენა იწყება ნოემბრის მეორე ნახევრიდან და მთავრდება 1 დეკემბრამდე.

ვაზის ძველი ნაწილებიდან განვითარებული ყლორტები ჩვეულებრივ მოუსაველიანია. ჯიში ყვავილცვენას განიცდის 8 — 10% -მდე, დაწერილმარცვლიანებას 5% -მდე. სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ იგი სუსტ გამძლეობას იჩენს, განსაკუთრებით მეტად ავადდება ნაცრით.

კოლოშს ძლიერი ზრდა ახასიათებს. მიუხედავად მოუვლელობისა, მაღლარად მზარდი ვაზების ცალკეული ყლორტები სავეგეტაციო პერიოდის დასასრულისათვის სიგრძით 3 — 3.5 მეტრამდე აღ-
წევს. მას ახასიათებს აგრეთვე საკმაოდ უსვი მოსაველიანობა. რქაზე ხშირად თითქმის თანაბარი სიდი-
დის 2 მტევანი ვითარდება. ეჭვს გარეშეა, რომ კულტურულ პირობებში ჩაყენებით კიდევ უფრო გაძლიერდება მისი ზრდა და გაუმჯობესდება აგრეთვე პროდუქციის ხარისხიც. სოფ. დეკანაშვილების მიდამოებში კოლოშის მაღლარები ამჟამად გვხვდება ჩრდილოეთით დახრილ ფერდობებზე. ვინაიდან ამ ადგილებში მზის სხივების მოქმედება, დაჩრდილვის გამო, მცირეა, ამიტომ ყურძენში შაქრის მარა-
გი საკმაო ოდენობით არ გროვდება, რის გამოც პროდუქცია შედარებით ნაკლები ღირსებისაა. კოლოშისაგან ხარისხოვანი პროდუქციის მისაღებად იგი შემდგომში უნდა გაშენდეს მხოლოდ სამხ-
რეთით დახრილ, მზით განათებულ ფერდობებზე.

სამეურნეო დახასიათება. კოლოში ძირითადად საღვინე ჯიშია და, როგორც ხარისხო-
ვანი პროდუქციის მომცემი, აქარის წითელყურძნიან ვაზის ჯიშებს შორის საპატიო ადგილი უჭირავს. ვაზზე დატოვებული ყურძენი ძლებს დეკემბრის ბოლომდე და ტკნობას არ განიცდის, დაკრფი-
ლი კი გაზაფხულამდე ინახება.

მტევნის საშუალო წონა 195 გრამია. საშუალო მტევანზე 80 — 120 ცალი მარცვალია. მტევანზე კლერტი შეადგენს 5.7% -ს, კანი — 18.1% -ს, წიპწა — 4.8% -ს, წვენის გამოსაველიანობა — 70.9% -ს. დიდი მტევნის წონა 240 გრამს უდრის, მცირესი კი — 140 გრამს.



საქართველო
ენციკლოპედია



კოლოში — Колоши

100 მარცვლის საშუალო წონა 160 გრამია. 100 მარცვალში 266 ცალი წიპწაა, წონით 9.0 გრამი. ერთწიპწიანი მარცვლები შეადგენს 11% -ს, ორწიპწიანი — 28% -ს, სამწიპწიანი — 45% -ს და ოთხწიპწიანი — 16% -ს.

სოფ. დეკანაშვილებიდან (ხულოს რაიონი) აღებული მწიფე ყურძნის ტკბილში შაქრიანობა აღწევდა 17.5 — 18% -მდე, საერთო მყავიანობა — 9 — 9.5% -მდე.

როგორც ხარისხოვანი პროდუქციის მოპოვება, კოლოში ფართო ყურადღებას იპყრობს და მისი გამრავლება მიზანშეწონილად მიგვაჩნია ხულოს და ქედის რაიონებში, მხოლოდ ნამყენების სახით, სათანადოდ შერჩეულ, ფილოქსერის გამძლე საძირებზე და სამხრეთისაკენ დახრილ ნაკვეთებზე.

К О Л О Ш И

Листья средней величины, длиной 16.6 см и шириной 15.7 см; почти овальные.

Черешковая выемка закрытая, чаще узко-эллиптическая, с соприкасающимися или надвигающимися лопастями; иногда узко-сводчатая, с плоским дном.

Верхние вырезки чаще закрыты и расположены в виде входящего угла, с острым дном; встречаются также и лировидной формы, с округлым дном. Нижние вырезки едва намечены.

Лист трехлопастный. Угол оконечной лопасти тупой, реже прямой.

Отопечные зубцы лопастей треугольные с острой вершиной, или треугольные, но с выпуклыми сторонами и острой вершиной; встречаются также треугольно-пиловидные зубцы. Вторичные зубцы треугольные, с острой вершиной или с выпуклыми сторонами и острой вершиной.

Поверхность листа гладкая и плоская; реже воронковидно-желобчатая. Пластинка листа снизу покрыта густым войлочным покровом.

Отношение черешка к длине среднего нерва составляет 0.6 — 0.8; черешок — голый светлозеленого цвета.

Плодоносные побеги коричневого цвета. Узлы окрашены темнее. Длина междоузлий достигает 6 — 11 см.

Цветы обоеполые

Появление первых признаков созревания винограда наблюдается в начале сентября; массовое созревание наступает с первых чисел ноября.

Длина ножки грозди 4 — 5.5 см, длина грозди — 10 — 18 см, ширина — 5 — 9 см; количество ягод на грозди от 80 до 120 шт.

Общая форма грозди цилиндрическо-коническая; очень плотная. Средний вес грозди достигает 195 гр. Ножка грозди с гребнем травянистая, светлозеленая.

Длина ножки ягоды с подушечкой составляет 4 — 5 мм; светлозеленого цвета. Подушечка чаще гладкая, широко-коническая.

Ягода почти черная, средней или меньше средней величины, длиной 10.5 — 14 мм и шириной 10.4 — 13.7 мм; почти круглая, посередине широкая и симметричная. Мякоть малосочная, довольно мясистая, со сладким и приятным вкусом. Кожица толстая.

Количество семян в ягоде 1 — 4 шт, чаще 3. Длина семени 6 — 7 мм, ширина — 3 — 3.5 мм; коричневого цвета, с брюшной же стороны желтоватого цвета. Халаза удлинено-овальная. Длина клюва достигает 1.5 — 2.0 мм.

Колоши — красный винный сорт Аджарии. Обильно урожайный. Дает качественный материал для приготовления столовых вин массового потребления.

В настоящее время данный сорт встречается в виде маглари лишь в единичных экземплярах в сел. Деканашвилеби (Хулойский район).

Сорт заслуживает внимания и разведения, особенно в Хулойском и Кедском районах.

მეკრენხი წითელყურძნიანი ჯიშია. ს. ტიმოფეევის მიხედვით (21), რაც ჩვენი გამოკვლევებითაც დასტურდება, იგი გურია-აქარის აბორიგენულ ჯიშთა ჯგუფს ეკუთვნის. წარსულში მეკრენხი გურიაში საკმაოდ ფართოდ ყოფილა გავრცელებული, ე. წ. „მაკურენხის“ სახელწოდებით. გურიაში შერჩენილი მაკურენხის და აქარაში ამჟამად არსებული მეკრენხის ურთიერთ შედარებით შედგენა მტკიცდება მათი სრული იდენტურობა. მეკრენხის მხოლოდ სახელწოდება, გავრცელების არეალის აღნიშვნით, მოცემულია აგრეთვე აკად. ივ. ჯავახიშვილის (1), ე. ნაკაშიძის (16) და P. Violla-ს შრომებში. სხვა უფრო დაწვრილებითი ცნობები მეკრენხის შესახებ ამჟამად არსებულ ლიტერატურულ წყაროებში არ მოიპოვება. კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ წარსულში მეკრენხი ანუ მაკურენხი ფართოდ ყოფილა გავრცელებული მაღლარების სახით გურია-აქარის რაიონების მთისპირა სოფლებში. როგორც გადმოგვცემენ, მეკრენხის ყურძენს ძირითადად საქმელად ხმარობდნენ, რისთვისაც მას ხშირად ვაზებზე სტოვებდნენ შემოდგომა-ზამთრის განმავლობაში და კრეფდნენ მხოლოდ საჭიროების მიხედვით. ზოგიერთი მეურნე მეკრენხისგან ღვინოსაც ამზადებდა, მაგრამ, როგორც გადმოგვცემენ, იგი ხანგრძლივად არ ინახებოდა და ხარისხითაც ჩამოუვარდებოდა გურია-აქარაში გავრცელებულ უფრო საინტერესო ვაზის საღვინე ჯიშებს (ჩხავერს, ჯანს, მტევანდიდს, ბროლას, ხოფათურს).

მეკრენხის გავრცელების არეალი აღნიშნულ რაიონებში ამჟამად მეტად შეზღუდულია. სოკოვან ავადმყოფობათა მოქმედების შედეგად, მაღლარი ვაზები ყოველწლიურად ნადგურდება. თითო-ორი ვაზის ძირი ამჟამად კიდევაც შერჩენილი ქედისა (სოფ. ვაიო, ქედა) და მახარაძის რაიონებში (სოფ. შემოქმედი, ლიხაური, ბახვი). მაღლარად აღზრდის გამო მათი მოსავლიანობა მხოლოდ ამინდის ხელსაყრელ პირობებზეა უშუალოდ დამოკიდებული. ნამყენების სახით დაბლარად, მეკრენხი გაშენებულია ქედაში ვაზის საკოლექციო ნაკვეთში; მათი ზრდა-განვითარება, მოსავლიანობა და პროდუქციის ღირსება სავსებით დამაკმაყოფილებელია.

ბოტანიკური აღწერა. კვირტები გაშლის პერიოდში ქეჩისებრად არის დაფარული მონაცრისფრო თეთრი ბუსუსით. ზრდის კონუსიკ ქეჩისებრად არის შებუსვილი და გადაპკრავს მომწვანო-მოწითალო ელფერი. ახლად გაშლილი პირველი ფოთოლი ზედა მხრიდან მომწვანო-იისფერია, მოწითალო ელფერით და ქეჩისებრად არის დაფენილი ბუსუსით. მისი შებუსვა ქვედა მხრიდანაც ქეჩისებრია. მომდევნო მეორე და მესამე ნორჩი ფოთლები ღია მომწვანო-იისფერია. მეორე ფოთოლი უფრო სქლადაა შებუსვილი, მესამე კი მკირედ. ქვედა მხრიდან მეორე და მესამე ფოთლის შებუსვა ქეჩისებრია.

ახალგაზრდა ყლორტი მრგვალი და ღია მწვანეა. საკმაოდ სქლად არის დაფარული მონაცრისფრო-თეთრი ბეწვისებრი ბუსუსით.

შემოსული რქა საშუალო სიმსხოსი და მოყავისფროა. მუხლები უფრო მუქადაა შეფერილი. მუხლთშორისის სიგრძე აღწევს 6 — 17 სმ-ს.

ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალო სიდიდისაა და საერთო მოყვანილობით მომრგვალოა ან მკირედ ოვალური. მკირედ ან საკმაოდაა დანაკვთული. ფოთლის საშუალო სიგრძე აღწევს 15.4 — 15.8 სმ-ს, სიგანე 15.3 — 15.7 სმ-ს.

ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ჩანგისებრია, მახვილი ფუძით. კიდურების ნაკვეთები შედგება სამი ძარღვისაგან; გვხვდება აგრეთვე ელიფსური მოყვანილობის ამონაკვეთები, რომელთა ნაკვეთები ურთიერთს მკირედ ეხება და შედგება სამი ძარღვისაგან.


ზედა ამონაკვეთი მკირედაა ჩაჭრილი; იგი იშვიათად ქმნის საკმაოდ შექრილ კუთხეს. ქვედა ამონაკვეთი ძლიერ მკირედ არის ჩაჭრილი.

ფოთოლი სამნაკვეთიანია. წვერის ნაკვეთი ფოთლის ფირფიტასთან ქმნის ბლაგვ კუთხეს. ნაკვეთთა წვერის კბილები სამკუთხედისებრია, მახვილი ან მომრგვალებული წვერით; იშვიათად ხერხებილა-სამკუთხედისებრია. მეორეული კბილები მთავარი კბილების მსგავსია.

ფოთლის ქვედა მხარე ქეჩისებრად არის დაფარული ბუსუსით. მისი ზედა მხარე გლუვია და ზოგჯერ ბადისებრად დანაკვთებული. ფირფიტა ბრტყელია; იშვიათად ძაბრისებრ-ღარისებრად არის მოხრილი ან ნაპირებით ქვემოთაა ჩაშვებული. მთავარ ძარღვები საკმაოდაა შებუსვილი და ღია მწვანეა.

ფოთლის ყუნწის შეფარდება შუა მთავარ ძარღვთან უდრის 0.8 — 1.0-ს. ყუნწი ძლიერ მკირვდ არის შებუსევილი და ღია მწვანეა, ფუძესთან კი ღვინის ფერში გადადის.

ყვავილი ორსქესიანია. მტვრიანები და ბუტკო ნორმალურადაა განვითარებული. იშვიათ შემთხვევაში ზოგ ყვავილში გვხვდება დეფექტური მტვრიანებიც, განვითარებული მოკლე-მოკაკულ სამტვრე



სურ. 75. მეკრენჩხის ყვავილი.

ძაფებზე. ყვავილში ხშირად 5 მტვრიანაა; იშვიათად გვხვდება 4 და 6 მტვრიანაც. ყვავილების რაოდენობა ყვავილედში 300 ცალამდე აღწევს (სურ. 75).

მტვენის ყუნწის სიგრძე 5 — 9 სმ-ია, მტვენის სიგრძე — 10 — 16 სმ, სიგანე — 6 — 10 სმ.

მტვენის საერთო ფორმა ცილინდრულ-კონუსისებრია და განტოტვილი. აგებულებით თხელი და ზოგჯერ საშუალო სიმკვრივისაა. მტვენის ყუნწი კლერტით ბალახისებრია და ღია მწვანე.

მარცვლის ყუნწის სიგრძე საჯდომი ბალიშით აღწევს 6 — 8 მმ-ს. იგი მწვანეა, ფუძესთან კი ღვინისფერში გადადის, საჯდომი ბალიში დამეჭვებულია და განიერ-კონუსისებრი. მარცვალი საჯდომ ბალიშზე მტკიცედ არის მიმაგრებული.

მარცვალი შავ ფერში გარდამავალი მუქი წითელია, საშუალო სიდიდის ან საშუალოზე უფრო მსხვილი. სიგრძით 13 — 19 მმ, სიგანით 12.7 — 18.8 მმ. მომრგვალოა, შუა წელში უფრო განიერი, ბოლო მომრგვალებული აქვს და სიმეტრიულია. სქელკანიანია და ადვილად საღებო. უფრო მეტად ხორციანი და შედარებით ნაკლებ წვნიანია, სასიამოვნო ტკბილი გემოთი. მარცვლის კანი ცვილით საკმაოდ არის დაფარული.

მარცვალში 1 — 4 ცალი წიბწაა, უფრო ხშირად გვხვდება 3 წიბწა. წიბწის სიგრძე აღწევს 6 — 6.5 მმ-ს, სიგანე — 3 — 4 მმ-ს. თითქმის ყავისფერია, მოწითალო ელფერით, მუცლის მხრიდან ღარებში კი მოყვითალო. ქალაქა კარგადაა გამოსახული და მოთავსებულია ზურგის მხარის თითქმის შუა წელში. ფორმით მოგრძო-ოვალურია. ზურგის მხარე გლუვია. ნისკარტი მოყვითალოა და მისი სიგრძე აღწევს 1 — 1.5 მმ-ს.

აგრობიოლოგიური დახასიათება. ქედის რაიონის სოფ. ვაიოს ზონაში მეკრენჩხის სავეგეტაციო პერიოდის საერთო ხანგრძლიობა (კვირტების გამოფურჩქენიდან ფოთოლცვენის დამთავრებამდე) 235 — 240 დღეს უდრის. კვირტების გამოფურჩქენა იწყება 10 აპრილიდან. ყვავილობის პირველი ნიშნები ემჩნევა 10 — 12 ივნისისათვის, მთავრდება 23 — 25 ივნისამდე. ყურძნის შეთვალევა იწყება 1 სექტემბრიდან და მასობრივ სიმწიფეში ოქტომბრის ბოლო რიცხვებში შედის. ფოთოლცვენა იწყება ნოემბრის მეორე ნახევრიდან და მთავრდება დეკემბრის პირველ რიცხვებში.

მალღარად აღზრდილი ვაზების ზრდა საშუალო ან საშუალოზე ძლიერია. ექვს გარეშეა, რომ შტამბის დადაბლების, ფორმირების შეცვლისა და აგროტექნიკური ოპერაციების წესიერად ჩატარების შედეგად მეკრენჩხის ზრდა-განვითარება გაძლიერდება და პროდუქციის ხარისხიც ბევრად გაუმჯობესდება. ამას ადასტურებს ქელაში, ვაზის საკოლექციო ნაკვეთში გაშენებული მეკრენჩხის ნარგავები. ვაზის ზრდა საშუალოზე ძლიერია. ერთი ძირის მოსავალი 2.5 — 3 კგ-მდე აღწევს. რქაზე მასობრივად თითქმის თანაბარი სიდიდის ორი მტვეანია განვითარებული. მტვენისა და მარცვლის გარეგნული სილამაზითა და მაღალხარისხოვანი გემური თვისებებით აღნიშნული ჯიში სავსებით აკმაყოფილებს ხარისხოვან სუფრის ყურძნისადმი წაყენებულ მოთხოვნილებას.

ამინდის ხელსაყრელ პირობებში ერთი ძირი მალღარი ვაზის მოსავალი აღწევს 20 — 30 კგ-მდე. ვაზის ძველი ნაწილებიდან განვითარებული ყლორტები მოუსავლიანია.

ყურძნის მასობრივი სიმწიფის პერიოდისათვის რქები სრულ განვითარებას და მომწიფებას აღწევს და ამ დროისათვის ჯიშის დამახასიათებელ ელფერს ღებულობს.

შემოდგომის პერიოდში ხანგრძლივი წვიმების მოქმედების შედეგად, მეკრენჩხის მარცვლები სკდება. დამსკდარი მარცვლები ზიანდება მწერებისაგან და ამის შედეგად მისი მოსავლიანობა ^{საგრძობლად} მცირდება.

ჯიში განიცდის ყვავილცვენას, რაც 15⁰/₀-მდე აღწევს. მტევანში წვრილი მარცვლების მოსავლიანობა 2 — 3⁰/₀-ს შეადგენს.

სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ მეკრენჩხი სუსტ გამძლეობას იჩენს, განსაკუთრებით ძლიერ ავადდება ნაცრით.

სამეურნეო დახასიათება. მეკრენჩხი ადგილობრივი მნიშვნელობის სუფრის ყურძნის ჯიშია. ღვინისათვის იგი ნაკლები ღირებულების პროდუქციას იძლევა. მისგან დამზადებული ღვინო ნაკლებ ჰარმონიულია და ხანგრძლივი შენახვის უნარს მოკლებული. სამაგიეროდ ყურძენი კარგად ინახება და ტრანსპორტაბელურია. ვაზზე დატოვებული ყურძენი იანვრამდე ძლებს და არ ჭკნება, ხოლო დაკრეფილი, გაზაფხულამდე ინახება.

მტევნის საშუალო წონა აღწევს 100 გრამს. მტევანზე 60 ცალი მარცვალია. საშუალო მტევანზე კლერტი შეადგენს 6.0⁰/₀-ს, კანი — 19.6⁰/₀-ს, წიბწა — 3.6⁰/₀-ს, წვეწის გამოსავლიანობა — 65.0⁰/₀-ს. მსხვილი მტევნის წონა უდრის 135 გრამს, მცირესი — 80 გრამს. 100 მარცვლის წონა 158 გრამია. 100 მარცვალში 308 ცალი წიბწაა, წონით 7 გრამი. ერთწიბწიანი მარცვლები შეადგენს 3⁰/₀-ს, ორწიბწიანი — 16⁰/₀-ს, სამწიბწიანი — 51⁰/₀-ს და ოთხწიბწიანი — 30⁰/₀-ს. მწიფე ყურძენში შაქრიანობა აღწევს 17 — 18⁰/₀-მდე, საერთო მჟავიანობა — 9.1⁰/₀₀-მდე.

გურია-აქარის რაიონებში მოსახლეობის სუფრის ყურძნით უზრუნველსაყოფად დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მხარის მთისპირა სოფლებში სუფრის ყურძნის ჯიშების ფართოდ გავრცელებას. ამ მიზნით მეკრენჩხი, როგორც მალახარისხოვანი პროდუქციის მომცემი და საუკუნეთა მანძილზე აკლიმატიზებული გურია-აქარის რაიონებში, უდავოდ ფართო ყურადღების ღირსია. მისი გაშენება დაუბრკოლებლად უნდა იქნეს წარმოებული ნამყენების სახით სათანადოდ შერჩეულ ამერიკული ვაზის საძირებზე.

М Е К Р Е Н Ч Х И

Листья средние, длиной 15.4 — 15.8 см, шириной 15.3 — 15.7 см; округлые или слегка овальные. Черешковая выемка лировидная, с острым дном. Встречается также эллиптической формы с соприкасающимися лопастями. Лопастни выемки состоят из трех нервов.

Верхние вырезки слабо намечены; реже расположены в виде входящего угла. Нижние вырезки слабо намечены.

Лист трехлопастный. Угол оконечной лопасти тупой. Оконечные зубцы лопастей треугольные, с острой или округлой вершиной; встречаются также пилородно-треугольные. Вторичные зубцы по форме сходны с оконечными зубцами лопастей.

Поверхность листа гладкая; реже сетчато-морщинистая, по форме плоская или воронковидно-желобчатая. Пластинка листа снизу покрыта густым войлочным покровом.

Отношение черешка к длине среднего нерва 0.8 — 1.0; черешок со следами волосков и светло-зеленого цвета, переходящего у основания в виннокрасный цвет.

Плодоносные побеги средней толщины, коричневого цвета. Узлы окрашены темнее. Длина междоузлий достигает 6 — 17 см.

Цветы обоюполые. Появление первых признаков созревания винограда наблюдается в начале сентября, массовое созревание наступает в конце октября.

Длина ножки грозди 5 — 9 см, длина грозди 10 — 16 см, ширина 6 — 10 см; количество ягод на грозди в среднем 60 шт.

Общая форма грозди цилиндрическо-коническая и ветвистая рыхлая; иногда средней плотности. Ножка грозди с гребнем травянистая и зеленая.

Длина ножки ягоды с подушечкой 6 — 8 мм; зеленая, переходящая у основания в темновинный цвет. Подушечка бородавчатая и широко-коническая.

Ягода темнокрасная, переходящая в черный цвет, средняя или крупная, длиной 13 — 19 мм и шириной 12.7 — 18.8 мм; округлая, посередине широкая, у конце округлая и симметричная. Кожица

საქართველოს
სოციალისტური
რესპუბლიკის



მეკრეხი — Мекренчи

толстая, но хрустящая, которая в дождливые годы при полном созревании легко трескается; мякоть более мясистая, с приятным сладким вкусом.

Количество семян в ягоде 1—4 шт. чаще 3. Длина семени 6—6.5 мм, ширина — 3—4 мм. Семя почти коричневого цвета, с красным оттенком; брюшко желтоватого цвета. Халаза удлинненно-овальная. Длина клюва достигает 1—1.5 мм.

Мекренчи качественный красный столовый сорт. Довольно урожайный. Виноград хорошо сохраняется. Заслуживает внимания и массового разведения в районах Гурии и Аджарии. В настоящее время столетние „маглари“ данного сорта встречаются лишь в Кедском (сел. Вайо, Кедат и Махадзевском (Шемокмеди, Лихаури, Бахви) районах.

შავი ლივანურა



ქართული
ენციკლოპედია

შავი ლივანურა აქარაში გავრცელებული წითელყურძნიანი ჯიშია.

წერილობითი მასალები ამ მხარეში ლივანურას წარმოშობის შესახებ არ მოგვეპოვება. ადგილზე წარმოებული კვლევით მკვლავნდება, რომ ლივანურა არ არის აქარული წარმოშობის და, როგორც სახელწოდება გვიჩვენებს, შემოტანილი უნდა იყოს ლივანიდან. აქარის მხარეში მან თავისი განვითარებისათვის ხელშემწყობი ეკოლოგიური პირობები იპოვა, რის შედეგადაც ვაზების ზრდა-განვითარება და მოსავლიანობა სავსებით დამაკმაყოფილებელია.

ადგილობრივ მოხუც პირთა გადმოცემით, ლივანურა წარსულში მასობრივად ყოფილა გავრცელებული მაღლარების სახით შუა და ზემო აქარაში. მის პროდუქციას ძირითადად ყურძნად ხმარობდნენ, ამზადებდნენ აგრეთვე ყურძნის წვენსა და ბეჭმეზს საზამთროდ. სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის გავრცელებასთან დაკავშირებით ლივანურას მაღლარები მასობრივად განადგურდა. ამჟამად გადარჩენილია მხოლოდ მისი რამდენიმე ხნოვანი ძირი მაღლარად, ქედის რაიონში. ვაზებს ლონიერი ზრდა-განვითარება ახასიათებს და ამინდის ხელსაყრელ პირობებში მეტად უხვ მოსავალს იძლევა.

ბოტანიკური აღწერა. კვირტები გაშლის პერიოდში სქლად არის დაფარული მოთეთრო-მონაცრისფრო ბეწვისებრი ბუსუსით. ზრდის კონუსი ქეჩისებრად არის შებუსეილი და მომწვანო-მოწითალოა. ახლად გაშლილი პირველი ფოთოლი ზედა მარტიდან მომწვანო-მოწითალოა; სიწითლე უფრო მეტად ახასიათებს კბილების არეში. დაფენილია ქეჩისებრად მონაცრისფრო-თეთრი ბუსუსით. ფირფიტის ქვედა მხარეც ქეჩისებრადაა დაფენილი ბუსუსით და დასდევს მოწითალო ელფერი. მომდევნო მეორე და მესამე ნორჩი ფოთლები უფრო ხშირად მოწითალო-იისფერია. ზედა მარტიდან მეორე ფოთლის შებუსევა უფრო ძლიერია, ვიდრე მესამესი. ქვედა მარტიდან როგორც მეორე, ისე მესამე ფოთოლი ქეჩისებრადაა დაფენილი მოთეთრო-ნაცრისფერი ბუსუსით.

ახალგაზრდა ყლორტი მრგვალია და ღია მწვანე, ცალ მხარეზე მოწითალო ელფერით და საკმაოდ სქლად დაფენილი მონაცრისფრო ბუსუსით. შებუსევა ძლიერდება ყლორტის წვერისაკენ.

შემოსული რქა მოწაბლისფროა და საშუალო ან საშუალოზე მსხვილი. მუხლები უფრო მუქად არის შეფერილი. მუხლთშორისის სიგრძე აღწევს 8 — 16 სმ-ს.

ზრდადამთავრებული ფოთოლი თითქმის საშუალო სიდიდისაა და საერთო მოყვანილობით ოდნავ განივ-ოვალური. მცირეოდნადაა დანაკეთული. ფოთლის საშუალო სიგრძე 13.2 — 15.8 სმ-ია, სიგანე — 14.4 — 16.4 სმ.

ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი უფრო ხშირად დახურულია და ელიფსური მოყვანილობისაა. ამონაკვეთის ნაპირები ურთიერთზე მიახლოებულია ან მცირედაა გადადებული. ნაკვეთები შედგება სამი ძარღვისაგან. გვხვდება ვიწრო ელიფსური მოყვანილობის ამონაკვეთებიც, რომელთა ნაპირები ურთიერთზე საგრძობლადაა გადადებული.

ზედა ამონაკვეთი მცირედ არის ჩაჭრილი. იგი იშვიათად საკმაოდ შეჭრილ კუთხეს ქმნის. ქვედა ამონაკვეთი ძლიერ მცირედაა ჩაჭრილი.

ფოთოლი სამნაკეთიანია. წვერის ნაკეთი ფოთლის ფირფიტასთან ქმნის ბლაგვ კუთხეს.

ნაკეთთა წვერის კბილები სამკუთხედისებრია, მახვილი ან მომრგვალებული წვერით, ან ასევე სამკუთხედისებრი, ამოხნეკილი გვერდებითა და მომრგვალებული წვერით. მეორეული კბილება ასევე სამკუთხედისებრია, მახვილი ან მომრგვალებული წვერით, ზოგჯერ ხერხისებრ-სამკუთხედისებრია ცალგვერდ ამოხნეკილი, მომრგვალო წვერით.

ფოთლის ქვედა მხარის შებუსევა ქეჩისებრია, მისი ზედა მხარე გლუვია. ფირფიტა უფრო ხშირად ბრტყელია ან ძაბრისებრ-ღარისებრად არის მოხრილი; იშვიათ შემთხვევაში მისი ნაპირები ქვემოთ არის ჩაშვებული. მთავარი ძარღვები მთლიანადაა შებუსეილი და ღია მწვანეა.


ფოთლის ყუნწის შეფარდება შუა მთავარ ძარღვთან უდრის 0.8 — 0.9-ს. იგი ღია მწვანეა და ძლიერ მცირედ არის შებუსეილი მონაცრისფრო ბუსუსით.

ყვავილი ორსქესიანია. მტერიანები და ბუტკო ნორმალურადაა განვითარებული. ყვავილში 5 მტერიანაა, ზოგ შემთხვევაში გვხვდება 4 და 6 მტერიანაც. ყვავილედში ყვავილების რიცხვი 400 ცალამდე აღწევს (სურ. 81).

მტევნის ყუნწის სიგრძე 3.5 — 5 სმ-ია. მტევნის სიგრძე — 13 — 16 სმ, სიგანე — 8 — 11-სმ. მტევანი ცილინდრულ-კონუსისებრია, ზოგ შემთხვევაში უფორმო. აგებულებით თხელია, ზოგჯერ საშუალო სიმკვრივის. მტევნის ყუნწი და კლერტი ბალახისებრია და ღია მწვანე.

მარცვლის ყუნწის სიგრძე საჯდომი ბალიშით აღწევს 5 — 6 მმ-ს. მწვანეა. საჯდომი ბალიშის გლუვია და ვიწრო-კონუსისებრი, იშვიათ შემთხვევაში განიერ-კონუსისებრი. მარცვლის საჯდომი ბალიშზე საკმაოდ მტკიცედ არის მიმაგრებული.

მარცვალი თითქმის შავია, საშუალო სიდიდის, სიგრძით 14 — 16.5 მმ, სიგანით 13.5 — 15.8 მმ. მომრგვალო ან ოდნავ ოვალურია, შუა წელში უფრო განიერი, ბოლო მომრგვალებული აქვს და სი-



სურ. 81. შავი ლივანურას ყვავილი.

შეტრიულია. საკმაოდ წვნიანი და ხორციანია, სასიამოვნო ტკბილი გემოთი. სქელკანიანია. მარცვლის კანი ცვილით საკმაოდაა დაფარული.

მარცვალში 1 — 4 ცალი წიპწაა; უფრო ხშირად გვხვდება 2 წიპწა. წიპწის სიგრძე უდრის 6 — 7 მმ-ს, სიგანე — 3.5 — 4 მმ-ს. ღია წაბლისფერი ან ყავისფერია, მუცლის მხრიდან ღარებში კი თითქმის მოყვითალო. ქალაძე მოთავსებულია ზურგის შუა ნაწილს ცოტათი ქვემოთ. ფორმით მოგრძო-ოვალურია და საკმაოდ გამოსახული. ზურგის მხარე გლუვია. ნისკარტი მოყვითალოა და სიგრძით აღწევს 1.5 — 2 მმ-ს.

აგრობიოლოგიური დახასიათება. ქედის რაიონში შავ ლივანურას სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა 230 — 235 დღეს უდრის; ვაზის გაღვიძება იწყება აპრილის დასაწყისიდან. კვირტების გამოფურჩქვნა მიმდინარეობს 10 — 12 აპრილიდან. ყვავილობის პირველი ნიშნები ემჩნევა 10 ივნისიდან. ყურძენი შეთვალვას იწყებს აგვისტოს ბოლო რიცხვებიდან და მასობრივ სიმწიფეში 20 — 25 ოქტომბრიდან შედის. ყურძნის სიმწიფის პერიოდში, ხშირი წვიმების მოქმედების შედეგად, მტევანში მარცვლები სკდება და ღებება, რაც საგრძნობლად ამცირებს მოსავლიანობას და თვით მოსავლის ხარისხსაც. ფოთოლცვენა ჩვეულებრივ ნოემბრის მეორე ნახევრიდან იწყება და 1 დეკემბრისათვის მთავრდება.

ყურძნის მასობრივი სიმწიფის პერიოდისათვის ლივანურას რქები სრულ სიმწიფეს აღწევს და ამ დროისათვის ჯიშის დამახასიათებელ ელფერს ღებულობს. სავეგეტაციო პერიოდის დასასრულისათვის. ცალკეული რქები სიგრძით 5 მეტრს აღწევს. ღონიერ ზრდასთან ერთად, ლივანურას ახასიათებს უზვი მოსავლიანობა. რქაზე ხშირად ორი მტევანია განვითარებული, ზოგ შემთხვევაში გვხვდება სამიც. ამინდის ხელსაყრელ პირობებში, ერთი ძირი მაღლარი ვაზის მოსავალი აღწევს 50 — 60 კგ-მდე.

როგორც აღვნიშნეთ, ლივანურას ვაზები მაღლარად აღზრდის გამო მოუვლელია და მათ თითქმის გაველურებული სახე აქვს. ვქვს გარეშეა, რომ კულტურულ პირობებში ჩაყენების შედეგად, იგი მოგვეცემს რაოდენობრივად და ხარისხობრივად უკეთეს პროდუქციას.

როგორც ძლიერი ზრდის მქონე, ლივანურა ფორმირებული უნდა იქნეს ამაღლებული შტამბით, ე.წ. ოლიხნარის წესით ან განტოტვილ საყრდენზე (ფორჩხზე), რამდენიმე საკავებლის მიცემით (3 — 5)

და ვახვებს შორის 3.5 — 4 მეტრი მანძილის დატოვებით. ამგვარი ფორმირების შედეგად გააღვივდება ყოველგვარი აგროტექნიკური ოპერაციის ჩატარება და უზრუნველყოფილი იქნება როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი მაღალი პროდუქციის მიღება.

სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ შავი ლივანურა სუსტ გამძლეობას იჩენს, განსაკუთრებით ძლიერ ავადდება ნაცრით.

სამეურნეო დახასიათება. ლივანურა დანიშნულებით სუფრის ყურძნის ჯიშაა. ყურძნის გემოვნებით და ორგანოლექტიური თვისებების მიხედვით, მისი პროდუქცია წარმატებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე საკმაოდ ხარისხოვანი წითელი სუფრის ლეინოების დასამსხრქველად.

მტევნის საშუალო წონა აღწევს 200 გრამს. საშუალო მტევანზე 110 ცალი მარცვალია. საშუალო მტევნის კლერტი შეადგენს 4.5% -ს, კანი — 16.2% -ს, წიპწა — 4.3% -ს; წვეწის გამოსავლიანობა 76% -ს უდრის.

დიდი მტევნის წონა უდრის 329 გრამს, მცირესი კი 109 გრამს.

100 მარცვლის საშუალო წონა 170 გრამს შეადგენს. 100 მარცვალში 206 ცალი წიპწაა, წონით 8 გრამი. ერთწიპწიანი მარცვლები შეადგენს 25% -ს, ორწიპწიანი — 48% -ს, სამწიპწიანი — 23% -ს და ოთხწიპწიანი — 4% -ს.

მტევანში წვრილი მარცვალი 4 — 5% -მდეა, რომლებიც ნორმალურ მარცვლებთან ერთად მწიფდება და ხშირად წიპწას არ ავითარებს.

ვახზე დატოვებული ყურძენი დეკემბრის ბოლომდე ძლებს დაუქნობლად, დაკრეფილი კი მთელი ზამთრის განმავლობაში კარგად ინახება.

ყურძნის სრული სიმწიფის პერიოდში შაქრიანობა მასში 19 — 20% -მდეა, საერთო მცავეიანობა — 9.8% -მდე.

როგორც უხვმოსავლიანი და ამავე დროს საკმაოდ ხარისხოვანი პროდუქციის მომცემი სუფრის ყურძნის და საღვინე ჯიში, ლივანურა ფართო ყურადღების ღირსია და დასაშვებად უნდა იქნეს მიჩნეული მისი მასობრივად გავრცელება ქედისა და ხულოს რაიონებში.

Ш А В И Л И В А Н У Р А

Листья почти средней величины, длиной 13.2 — 15.8 см и шириной 14.4 — 16.4 см; поперек слегка овальные.

Черешковая выемка чаще закрытая и эллиптической формы, с соприкасающимися или со слегка надвигающимися лопастями; встречается также выемка узко-эллиптической формы, с надвигающимися лопастями. Лопастни выемки состоят из трех нервов.

Верхние вырезки слабо выражены; реже расположены в виде входящего угла. Нижние вырезки очень слабо намечены.

Лист трехлопастный. Угол оконечной лопасти тупой.

Оконечные зубцы лопастей треугольные, с острой или округлой вершиной, или же треугольные с выпуклыми сторонами и округлой вершиной. Вгориные зубцы тоже треугольные с острой или скруглой вершиной. Иногда пиловидно-треугольные и односторонне-выпуклые, с округлой вершиной.

Поверхность листа гладкая, чаще плоская; иногда воронковидно-желобчатая или с краями, отогнутыми вниз.

Пластинка листа покрыта снизу густым войлочным покровом.

Отношение черешка листа к длине среднего нерва 0.8 — 0.9; черешок покрыт тонким паутинно-образным пушком. Цвет черешка — светлозеленый.

Плодоносные побеги средней толщины, каштанового цвета. Узлы окрашены темнее, чем междоузлия. Длина междоузлий 8 — 16 см.

Цветы обоеполые.

Появление первых признаков созревания винограда наблюдается в конце августа; массовое созревание наступает с 20 — 25 октября.

Длина ножки грозди 3.5 — 5 см, длина грозди — 13 — 16 см, ширина — 8 — 11 см. Количество ягод на грозди в среднем 110 шт.

Общая форма грозди цилиндрическо-коническая; иногда бесформенная. Рыхлая, реже средней плотности. Ножка грозди с гребнем травянистая и светлозеленого цвета.



საქართველოს
საბუნებისმეტყველო
მეცნიერებათა
აკადემია




შავი ლივანურა — Шави Ливанура

Длина ножки ягоды с подушечкой 5 — 6 мм; сама ножка зеленая. Подушечка гладкая, реже бородавчатая и узко-коническая.

Ягода почти черная, средней величины, длиной 14 — 16.5 мм и шириной 13.5 — 15.8 мм; округлая или слегка овальная, посередине широкая, у конца округлая и симметричная. Мякоть довольно сочная и мясистая, с обыкновенным сладким вкусом. Кожица толстая.

Количество семян в ягоде 1 — 4 шт, чаще 2. Длина семени 6 — 7 мм, ширина $3.5 \frac{4}{\text{мм}}$; халаза почти удлинено-овальная. Длина клюва 1.5 — 2 мм.

Шави Ливанура — красный, довольно качественный винно-столовый сорт.  ~~Образно-вишневый.~~
Распространен в верхней Аджарии.

Как утверждают местные жители, сорт этот не местного происхождения и завезен из Ливана. Столетние экземпляры данного сорта в виде „маглари“ встречаются довольно в большом количестве в Кедском районе.

Сорт заслуживает внимания и массового разведения, особенно в предгорных микрорайонах Кедского и Хулойского районов.

მ ა თ ე ნ ა უ რ ი

მათენაური წითელყურძნიანი ჯიშია. გავრცელებულია მაღლარების სახით ხულოს რაიონში (სოფ. დეკანაშვილებში).

ამპელოგრაფიული ნიშან-თვისებათა მიხედვით, იგი აქარული ვაზის ამორიგენული ჯიშის მსგავსებას უნდა ეკუთვნოდეს. ადგილობრივ მოხუც პირთა გადმოცემით, მათენაური წარსულში ფართოდ ყოფილა გავრცელებული მაღლარების სახით და მოსახლეობა მის მოსაგაღს ძირითადად ყურძნად იყენებდა; ზოგ შემთხვევაში შესქელებულ ყურძნის წვენსაც ამზადებდა.

სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის მოქმედების შედეგად აღნიშნული ჯიშის ნარგავები მეტად შეიზღუდა. მაღლარად აღზრდის გამო ვაზების მოვლაც არ წარმოებს, რის შედეგადაც მათი მოსავლიანობა ცვალებადობს.

აკად. ი. ვ. ჯავახიშვილს (1) დასახელებული აქვს „თეთრი მათენაური“, რომელიც გავრცელებული ყოფილა აქარის რაიონებში. აღნიშნულ მხარეში ვაზის ადგილობრივი ჯიშების შესწავლისას ჩვენ თეთრი მათენაური არ შეგვხვედრია. შესაძლოა, რომ ასეთი ჯიში გავრცელებული იყო წარსულში და შემდგომ, სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის მოქმედების შედეგად, იგი გადაშენდა.

ბოტანიკური აღწერა. კვირტები გაშლის პერიოდში მომწვანო-ნაცრისფერია და სქლადაა დაფენილი მოთეთრო-მონაცრისფრო ბუსუსით. ზრდის კონუსი მომწვანო-მოწითალოა და ქეჩისებრად დაფენილი მონაცრისფრო-თეთრი ბუსუსით. ახლად გაშლილი პირველი ფოთოლი ზედა მხრიდან მომწვანო-იისფერია, მოწითალო ელფერით, და სქლადაა დაფარული ბეწვისებრი ბუსუსით. ქვედა მხრიდანაც მომწვანო-მოწითალოა და საკმაოდ სქლადაა შებუსვილი. პირველი ფოთლის მომდევნო მეორე და მესამე ნორჩი ფოთოლი ზედა მხრიდან მომწვანო-იისფერია, მოწითალო ელფერით, და მკირედაა შებუსვილი. ქვედა მხრიდან შებუსვა უფრო ძლიერია მეორე ფოთოლზე, ვიდრე მესამეზე. ბუსუსი ბეწვისებრია და მოთეთრო-ნაცრისფერი.

ახალგაზრდა ყლორტი ღია მწვანეა და მკირეოდნადაა დაფარული მონაცრისფრო-თეთრი ბუსუსით. შემოსული რქა საშუალო სიმსხოსია და თითქმის ყავისფერი. მუხლები უფრო მეტად არის შეფერილი. მუხლთშორისის სიგრძე 7—10 სმ-ს აღწევს.

ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალო სიდიდისაა და საერთო მოხაზულობით მომრგვალო ან ოდნავ-ოვალურია. საკმაოდ ან საკმაოზე მეტადაა დანაკვეთილი. ფოთლის საშუალო სიგანე 15.2—17.8 სმ-ია, სიგანე 15.0—16.3 სმ.

ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ელიფსურია და მომრგვალო. მისი კიდურის ნაკვეთი შედგება ოთხი ძარღვისაგან; ნაკვეთი ერთმანეთთან მიახლოებულია ან გადადებული. იშვიათად გვხვდება კვერცხისებრი ამონაკვეთი, მომრგვალო ფუძითა და მიახლოებული ნაპირებით.

ფოთლის ზედა ამონაკვეთი კვერცხისებრია, ვიწრო ნასვრეტით. მახვილფუძიანია. გვხვდება აგრეთვე დახურული ამონაკვეთი, განიერ-ელიფსური ნასვრეტით, და იშვიათად ღია ამონაკვეთი, საკმაოდ ჩაქრილი კუთხით. ქვედა ამონაკვეთი მკირედაა ჩაქრილი ან ვიწრო ნასვრეტისებრია.

ფოთოლი სამნაკვეთიანია. წვერის ნაკვეთი ფოთლის ფირფიტასთან ქმნის ბლაგვ კუთხეს, იშვიათად — სწორს.

ნაკვეთთა წვერის კბილები სამკუთხედისებრია, წამახვილებული წვერით, ან ხერხკბილა-სამკუთხედისებრი. მეორეული კბილებიც ასეთივე მოყვანილობისაა.

ფოთლის ქვედა მხარე ძლიერ მკირედ არის შებუსვილი და ისიც ძარღვების გასწვრივ. მისი ზედაპირი გლუვია ან ბადისებრად და ნაოქებული. ფირფიტა ბრტყელია, იშვიათად ძაბრისებრ-ღარი-სებრად არის მოხრილი.

მთავარი ძარღვები ძლიერ მკირედ არის შებუსვილი და ღია მწვანეა.


ფოთლის ყუნწის შეფარდება შუა მთავარ ძარღვთან უდრის 0.6—0.8-ს, იგი იშვიათად და ღია მწვანე, რაც ფუძესთან იისფერში გადადის.

ყვავილი ორსქესიანია. მასში 5 მტვრიანაა განვითარებული. იშვიათად გვხვდება 4 და 6 მტვრიანაც. ყვავილედში ყვავილების რიცხვი 350 ცალამდე აღწევს (სურ. 83).

დიდი მტევნის ყუნწის სიგრძე 4 — 5 სმ-ია, მტევნის სიგრძე — 13 — 14 სმ, სიგანე — 7 — 8.5 სმ. მტევანზე მან — 70 ცალი მარცვალია. საშუალო მტევნის ყუნწის სიგრძე აღწევს 4 — 5 სმ-ს, მტევანის სიგრძე — 11 — 12 სმ-ს, სიგანე — 5 — 7 სმ-ს. მტევანზე 40 — 50 ცალი მარცვალია. მტევანს განტოტვა ახასიათებს, რაც მტევნის სიგრძის $\frac{2}{3}$ -ს უდრის.

მტევანი თხელია, ფორმით ცილინდრულ-კონუსისებრი და განტოტვილი. მტევანს მარცვლის მარცვლის თვით კლერტი ბალახისებრია და ღია მწვანე.

მარცვლის ყუნწი საჯდომი ბალიშით უდრის 5 — 7 მმ-ს. მწვანეა. საჯდომი ბალიში დამეკეპებულია



სურ. 83. მათენაურის ყვავილი.

და განიერ-კონუსისებრი; გვხვდება გლუვი და ვიწრო-კონუსისებრი ბალიშებიც. მარცვალი საჯდომ ბალიშზე საკმაოდ მტკიცედ არის მიმაგრებული.

მსხვილი მარცვლის სიგრძე აღწევს 16.8 — 18.5 მმ-ს, სიგანე — 14.6 — 16 მმ-ს; საშუალო მარცვლის სიგრძე 15 — 17 მმ-ია, სიგანე — 13.2 — 14.5 მმ.

მარცვალი თითქმის შავია, საშუალო სიდიდის, მკირედ ოვალური, შუა წელში უფრო განიერი, ბოლო მომრგვალებული აქვს და სიმეტრიულია. მარცვლის კანი თხელია. შეტად წვნიანია, ნაკლებ ხორციანი, უბრალო ტკბილი გემოთი. მარცვლის კანი ფიფქით (ცილით) მკირედაა დაფენილი.

მარცვალში 1 — 4 ცალი წიპწაა, იშვიათად 5. სკარბობს 2 წიპწა. წიპწის სიგრძე აღწევს 7 — 8 მმ-ს, სიგანე — 3.5 — 4 მმ-ს. ღია ყავისფერია, მოყვითალო ელფერით, მუცლის მხარეზე ღარებში კი მოყვითალოა. ქალაძა მოთავსებულია ზურგის მხარის შუა წელში. ფორმით იგი მოგრძო-ოვალურია, იშვიათად მომრგვალო. ზურგის მხარე გლუვია. ნისკარტის სიგრძე 1.8 — 2 მმ-ია და მოყვითალო-ყანგისფერია.

ყურძნის მექანიკური ანალიზების მიხედვით მტევნის საშუალო წონა აღწევს 96 გრამს. 100 მარცვლის წონა 196 გრამია, აქედან კანი შეადგენს 14.8 გრამს. 100 მარცვალში 190 ცალამდე წიპწაა, წონით 8.7 გრამი. საშუალო მტევნის კლერტის წონა შეადგენს 4.3 გრამს, ხოლო წვეწის გამოსავალი 77.0% -ია.

მწიფე ყურძენში შაქრიანობა აღწევს 17.1% -ს, საერთო მჟავიანობა — 10% -ს.

აგრობიოლოგიური და სამეურნეო დახასიათება. ხულოს რაიონის სოფ. დეკანაშვილების ზონაში მათენაურის სავეგეტაციო პერიოდის საერთო ხანგრძლიობა 238 დღეს აღწევს. ვაზზე კვირტების გამოფურჩქნა იწყება 4 — 5 აპრილიდან. ყვავილობას იწყებს 11 — 12 ივნისიდან, ამთავრებს 22 ივნისისათვის. ყურძნის შეთვალემა იწყება აგვისტოს ბოლოდან ან სექტემბრის პირველი რიცხვებიდან; მასობრივ სიმწიფეში შედის 20 — 25 ოქტომბრიდან. ფოთოლცვენა იწყება 10 — 12 ნოემბრიდან, მთავრდება ნოემბრის ბოლო რიცხვებში.

ვაზი საშუალო ზრდისაა. სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ სუსტ გამძლეობას იჩენს. ვინაიდან მალღარი ვაზების მოვლას ვერ აწარმოებენ, ცუდ ამინდებში მწვანე ნაწილები მასობრივად ავადდება კრაქით და ნაცრით. ამის შედეგად მოსავალიც ნაღვერდება და რქებიც ველარ ასწრება მომწიფებას.



ფოთლების უდროოდ დაცვენის გამო. ამინდის ხელსაყრელ პირობებში, მათენაურს საკმაოდ უხვი მოსავლიანობა ახასიათებს. ერთი ძირი მალღარის მოსავალი 15 — 20 კგ -ს აღწევს. რქაზე ხშირად ორი და ერთი მტევანია განვითარებული, მხოლოდ არა თანაბარი სიდიდის; ზოგჯერ ერთი რქა სამ მტევანსაც ავითარებს. ვაზის ძველი ნაწილებიდან განვითარებული ყლორტები მოუსავლიანია.

სოფ. დეკანაშვილები, სადაც ეს ჯიშია გავრცელებული, მდებარეობს ჩრდილოეთისაკენ და ირგვლივ მთებით შემოზღუდულ ტაფობში. ვაზები ამის გამო მოკლებულია მზის უხვ განათებას, რის შედეგადაც მათენაურის ყურძენში შაქარი ნორმალური რაოდენობით არ გროვდება. უკვე იყო აღნიშნული, სრული მწიფობის პერიოდში ყურძენში შაქარი 17.1% -ს არ სცილდება. ექვს გარეშეა, რომ მზით უხვად განათებულ ფერდობებზე იგი უფრო ხარისხოვან მოსავალს მოგვცემს. ამავე დროს კულტურულ პირობებში ჩაყენებით (ნამყენზე გადაყვანით და აგროტექნიკური ოპერაციების სათანადო სიმაღლეზე დაყენებით) აღნიშნული ჯიშის ზრდა-განვითარება და მოსავალიც ბევრად გაუმჯობესდება.

სამეურნეო დანიშნულებით მათენაური სუფრის ყურძნის ჯიშია. ზემო აჭარის ეკოლოგიურ პირობებში იგი დიდი ხნის წინ არის აკლიმატიზირებული, ამიტომ ადგილობრივი მოსახლეობის სუფრის ყურძნით უზრუნველსაყოფად დასაშვებად მიგვაჩნია მისი გავრცელება ხულოს რაიონში — აჭარის წყლის ხეობის მარჯვენა მხარეზე, სამხრეთით დახრილ და მზით უხვად განათებულ კალთებზე.

МАТЕНАУРИ

Листья средней величины, длиной 15.2 — 17.8 см и шириной 15.0 — 16.8 см.; округлые или слегка овальные.

Черешковая выемка эллиптическая с соприкасающимися или с надвигающимися лопастями. Встречается, но реже — открытая, яйцевидной формы выемка с округлым дном. Лопasti выемки состоят из четырех нервов.

Верхние вырезки яйцевидные с узким просветом и острым дном; встречаются и закрытые вырезки с широко-эллиптическим просветом и реже открытые, в виде входящего угла.

Нижние вырезки слабо намечены, иногда щелевидны.

Лист трехлопастный. Угол оконечной лопасти тупой, реже прямой.

Оконечные зубцы лопастей треугольные, с острой вершиной или треугольно-пиловидные. Вторичные зубцы по форме сходны с оконечными зубцами лопастей.

Поверхность листа гладкая или сетчато-морщинистая; по форме плоская, реже воронковидно-желобчатая. Пластинка листа снизу, вдоль нервов покрыта очень тонким паутинообразным волокном.

Отношение черешка к длине среднего нерва 0.6 — 0.8; черешок голый и светлозеленого цвета; переходящего у основания в фиолетовый.

Плодоносные побеги средней толщины, почти коричневого цвета, узлы окрашены темнее. Длина междоузлий 7 — 10 см.

Цветы обоеполые.

Появление первых признаков созревания винограда наблюдается в начале сентября; массовое созревание наступает с 20 — 25 октября.

Длина ножки грозди 4 — 5 см, длина грозди — 11 — 14 см, ширина — 5 — 8.5 см. Количество ягод на грозди до 70 шт.

Общая форма грозди цилиндрическо-коническая и ветвистая, рыхлая. Ножка грозди с гребнем травянистая, светлозеленого цвета.

Длина ножки ягоды с подушечкой 5 — 7 мм; сама ножка зеленого цвета. Подушечка бородавчатая и широко-коническая; реже гладкая и узко-коническая.

Ягода почти черная, средней величины, длиной 15 — 18.5 мм и шириной 13.2 — 16 мм.; овальная, посередине широкая и симметричная. Кожица тонкая. Мякоть менее мясистая и более сочная, с обыкновенным сладким вкусом.

Количество семян в ягоде 1 — 5 шт, чаще 2. Длина семени 7 — 8 мм, ширина — 3.5 — 4 мм. Семя светлокориичное, с желтоватым оттенком. Халаза удлинненно-овальная; длина клюва 2 мм.

Матенаури относится к группе красных столовых сортов винограда Аджарии. Довольно урожайный. Местное население готовит из него сгущенный виноградный сок (бекмез), а иногда употребляет виноград в свежем виде.

„Маглари“ данного сорта встречается довольно в большом количестве в районе Хуло (в сел Деканашвилеби и Чао).



მათეზაური — Матенаური

პ რ ა კ ტ ი

პოვნის წითელყურძნიანი საღვინე ჯიშია. გავრცელებულია მაღლარების სახით ქედის რაიონში, ადგილობრივ მოხუც პირთა გადმოცემით, აღნიშნული ჯიში მათ წინაპრებს ტყიდან ჩამოუტანიათ, გაუშენებიათ და როგორც უხვ მოსავლიანი, შემდგომ პერიოდში ფართოდ გავრცელებულია ქედის რაიონის სოფლებში. ჯიშის სახელწოდება ვერ აღუდგენიათ და დაურქმევიათ „პოვნის“ სახელიდან. ადგილობრივი მოსახლეობა მის პროდუქციას წარსულში დასაწურად იყენებდა, ამზადებდა საოჯახო მოხმარების ღვინოებს, ხოლო შემდგომ პერიოდში — ყურძნის წვენს ან ბადაგს საზამთროდ. ყურძნად არ ინახავდნენ, ვინაიდან ადრე ღებებოდა.

სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის მოქმედების შედეგად პოვნის მაღლარები საგრძობლად შემცირდა. მცირეოდენი ნარგავების სახით იგი გავრცელებულია სოფ. სიხალიძეებისა და მეძიბნას მიდამოებში. მაღლარად აღზრდის გამო ვაზები მოუფლელია და მათი მოსავლიანობა უშუალოდ ამინდის პირობებზეა დამოკიდებული. თუ კარგი ამინდი დაუდგა, ვაზის ვეგეტატიური ნაწილები ღონივრად იზრდება და მეტად უხვ მოსავალსაც იძლევა.

ბოტანიკური აღწერა და სამეურნეო დახასიათება. კვირტები გაშლის პერიოდში მოთეთრო-მონაცრისფროა, მოწითალო ელფერით. ზრდის კონუსი მომწვანო-მოწითალოა, ოდნავ მოიისფრო ელფერით, და ქეჩისებრად არის დაფენილი მონაცრისფრო-თეთრი ბუსუსით. ახლად გაშლილი პირველი ფოთოლი ზედამხრიდან მომწვანო-იისფერია, მოწითალო ელფერით, და ქეჩისებრად შებუსვლილი მონაცრისფრო-თეთრი ბუსუსით. ქვედა მხრიდან ხშირად ასეთივე მომწვანო-იისფერია, მოწითალო ელფერით, და ქეჩისებრად არის შებუსვლილი. მომდევნო მეორე და მესამე ნორჩი ფოთლის ბუსუსი უფრო მონაცრისფროა. მეორე ფოთოლი ზემოდან უფრო მეტადაა შებუსვლილი, ვიდრე მესამე. ქვედა მხრიდან როგორც მეორე, ისე მესამე ფოთოლი ქეჩისებრად არის დაფარული მონაცრისფრო-თეთრი ბეწვისებრი ბუსუსით.

ახალგაზრდა ყლორტი ღია მწვანეა, ცალ მხარეზე დასდევს მოწითალო ფერი და საკმაოდ არის დაფარული მონაცრისფრო ბუსუსით.

შემოსული რქა საშუალო სიმსხოსია და მუქი მოწითალო. მუხლები უფრო მუქადაა შეფერილი. მუხლთშორისის სიგრძე აღწევს 7 — 15 სმ-ს.

ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალო სიდიდის ან საშუალოზე მცირეა და საერთო მოყვანილობით მომრგვალო ან ოდნავ განივ-ოვალურია. მცირედ ან საკმაოდ დაწვეთული. ფირფიტის საშუალო სიგრძე აღწევს 13.0 — 14.9 სმ-ს, სიგანე — 13.0 — 14.6 სმ-ს.

ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი განივ-თალისებრია, მომრგვალებული ან ბრტყელი ფუძით ან ასევე თალისებრია, მხოლოდ მეტად განიერი. იშვიათად გვხვდება ჩანგისებრი ამონაკვეთი. ნაკვეთის კიდური შედგება სამი ძარღვისაგან. ხშირად მისი ფუძე მომრგვალებულია.

ფოთლის ზედა ამონაკვეთი მცირედ ან საკმაოდ ჩაჭრილი, იშვიათად კი ნასვრეტისებრია. ქვედა ამონაკვეთი მცირედ არის ჩაჭრილი.

ფოთოლი სამნაკვეთიანია. წვერის ნაკვეთი ფოთლის ფირფიტასთან ქმნის ბლაგვ კუთხეს.

ნაკვეთთა წვერის კბილები სამკუთხედისებრია, წამახვილებული წვერით; გვხვდება ხერხკბილა-სამკუთხედისებრი და სამკუთხედისებრიც, ამოზნექილი გვერდებითა და წამახვილებული წვერით. მეორეული კბილები ხერხკბილა-სამკუთხედისებრია ან ხერხკბილაა, ერთი მხრივ ამოზნექილი გვერდით.


ფოთლის ქვედა მხარე ქეჩისებრია, ზედა მხარე გლუვი; გვხვდება ბადისებრად დანაოქებული ზედაპირის მქონე ფოთლებიც. ფირფიტის ზედაპირი ბრტყელია ან ნაპირებით ქვემოთ არის ჩაშვებული.

მთავარი ძარღვები საკმაოდ არის შებუსვლილი და ღია მწვანეა.

ფოთლის ყუნწის შეფარდება შუა მთავარ ძარღვთან უდრის 0.7 — 0.8-ს. იგი შიშველია და მწვანე, რაც ფუძესთან იისფერში გადადის.

ყვავილი ორსქესიანია ნორმალურად განვითარებული ბუტკოთი და მტვრიანებით. ზოგ შემთხვევაში მტვრიანა დეფექტურია. ყვავილში 5 მტვრიანაა, გვხვდება 4 და იშვიათად 6 მტვრიანაც. ყვავილედში ყვავილების რიცხვი აღწევს 250 ცალამდე (სურ. 85).

დიდი მტევნის ყუნწის სიგრძე 4'—5 სმ-ია, მტევნის სიგრძე — 15 — 17 სმ, სიგანე — 9 — 10 სმ. მტევანზე 65 — 85 ცალი მარცვალია. საშუალო მტევნის ყუნწის სიგრძე აღწევს 3,5 — 4 სმ-ს, მტევანის სიგრძე — 12 — 14 სმ-ს, სიგანე — 6,5 — 8 სმ-ს. მტევანზე 40 — 60 ცალი მარცვალია.



სურ. 85. პოვნის ყვავილი.

მტევანი ცილინდრული ან ცილინდრულ-კონუსისებრია და ნაკეთიანი. საშუალო სიმკვრივისაა; გვხვდება თხელი მტევნებიც; მტევნის ყუნწი და კლერტი ბალახისებრია და მწვანე.

მარცვლის ყუნწის სიგრძე საჯდომი ბალიშით აღწევს 5 — 6 მმ-ს. მწვანეა. საჯდომი ბალიშით უფრო ხშირად დამეჭვებულა, იშვიათად გლუვი. ფორმით უფრო განიერ-კონუსისებრია. მარცვალი საჯდომ ბალიშზე საშუალოდ არის მიმაგრებული.

მსხვილი მარცვლის საშუალო სიგრძე აღწევს 16 — 17.8 მმ-ს, სიგანე — 15.3 — 16 მმ-ს. საშუალო მარცვლის საშუალო სიგრძე 13 — 16.2 მმ-ია, სიგანე — 13.0 — 14.6 მმ.

მარცვალი მუქი წითელია (თითქმის შავი). საშუალო სიდიდისაა, ოდნავ ოვალური ან მომრგვალო, შუა წელში უფრო განიერი, ბოლო მომრგვალებული აქვს და სიმეტრიულია. თხელკანიანი, მეტად წვნიანი და მცირე ხორციანი, სასიამოვნო მოტკბო გემოთი. მარცვლის კანი ფიფქით (ცვილით) მტკრედ არის დაფენილი.

მარცვალში 1 — 4 ცალი წიპწაა; სქარბობს 3 წიპწა. წიპწის სიგრძე აღწევს 6 — 7 მმ-ს, სიგანე — 3.5 — 4 მმ-ს. ღია ყავისფერია, ნისკარტი მოყვითალოა. ქალაქა მოთავსებულია ზურგის მხარის შუა წელში. ფორმით ოდნავ ოვალურია. ნისკარტის სიგრძე 1 — 1.5 მმ-ია.

აგრობიოლოგიური და სამეურნეო დახასიათება. ქედის რაიონის სოფ. სიხალიძეების. ზონაში პოვნის სავეგეტაციო პერიოდის საერთო ხანგრძლიობა 240 დღეს აღწევს. ვაზზე კვირტების გაღვიძება იწყება 4 — 5 აპრილიდან. ყვავილობის პირველი ნიშნები ემჩნევა 7 — 8 ივნისიდან და მთავრდება 20 ივნისისათვის. შეთვალვას იწყებს აგვისტოს ბოლოდან ან 1 სექტემბრიდან და მასობრივ სიმწიფეში ოქტომბრის ბოლოდან შედის. ფოთოლცვენა იწყება 15 — 16 ნოემბრიდან, მთავრდება ნოემბრის ბოლო რიცხვებში.

ვაზი საშუალოზე ძლიერი ზრდისაა. სავეგეტაციო პერიოდის დასასრულისათვის რქების სიგრძე 2 — 2.5 მეტრამდეა. ამინდის ხელსაყრელ პირობებში რქები ასწრებს სრულ მომწიფებას ყურძნის მასობრივი სიმწიფის პერიოდშივე და ღებულობს ჯიშის დამახასიათებელ ელფერს.

ახასიათებს უხვი მოსავლიანობა. ერთი ძირი მაღლარი ვაზის მოსავალი 50 — 60 კგ-მდე აღწევს. რქაზე მასობრივად ორი მტევანი ვითარდება. ექვს გარეშეა, რომ კულტურულ პირობებში ჩაყენებით ვაზის ზრდა კიდევ უფრო მეტად გაძლიერდება, გაიზრდება მოსავალი და გაუმჯობესდება პროდუქციის ღირსებაც. უხვ მოსავალთან ერთად ახასიათებს წვეწის უხვი გამოსავლიანობა.



პოვნილი — Повнили

ადგილობრივ ჯიშებთან შედარებით, პოვნილი თითქოს საკმაო გამძლეობას იჩენს სოკოვან ავად-
მყოფობათა მიმართ; თუმცა ცუდ ამინდებში მისი მწვანე მასა საგრძნობლად ავადდება ქრატით. შედა-
რებით უფრო უკეთ უძლებს ნაცარს.

ყურძნის მექანიკური ანალიზების მიხედვით, მტევნის საშუალო წონა 200 გრამს აღწევს. 100 მარცხ-
ლის საშუალო წონა 189 გრამია, აქედან კანი შეადგენს 13.2 გრამს. 100 მარცხალში 215 ცალი
წიბწაა, წონით 8.5 გრამი. კლერტის საშუალო წონა 5.6 გრამია, ხოლო წვეწის გასოსავალი 80%
სოფ. სიხალიძეებიდან საანალიზოდ აღებულ მწიფე ყურძენში შაქრიანობა საშუალოდ 18.5%
გამოვიდა, ხოლო საერთო მეთაიანობა — 10%⁰-მდე.

სამეურნეო დანიშნულებით პოვნილი საღვინე ჯიშია. პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლების
მიხედვით, მისგან შეიძლება დამზადდეს ადგილობრივი მნიშვნელობის ორდინარული ტიპის ღვინო.
გარდა ამისა, იგი წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული ყურძნის წვეწის დასამზადებლად.

ყურძენი შენახვის უნარს მოკლებულია.
როგორც უხვმოსავლიანი და წვეწის უხვგამოსავლიანი ჯიში, ყურადღების ღირსია და მისი ფარ-
თოდ გაზრცელება დასაშვებად მიგვაჩნია ქედისა და ხულოს რაიონებში, მხოლოდ ნამყენების სახით
დაბლარად, სათანადოდ შერჩეულ ამერიკული ვაზის საძირებზე.

П О В Н И Л И

Листья средней или меньше средней величины, длиной 13.0 — 14.9 см и шириной 13.0 — 14.6 см.
Округлые или слегка поперек овальные.

Черешковая выемка широко-сводчатая, с округлым или плоским дном, иногда широкая.
Встречается и лировидной формы, с округлым дном, лопасти которой состоят из трех нервов.
Верхние вырезки слабо разрезаны или расположены в виде входящего угла. Нижние вырезки
слабо намечены.

Лист трехлопастный. Угол оконечной лопасти тупой.
Оконечные зубцы лопастей треугольные, с острой вершиной или треугольно-пиловидные и
треугольные, с выпуклыми сторонами и острой вершиной. Вторичные зубцы треугольно-пиловидные
или пиловидные и односторонне-выпуклые, а иногда треугольные, с острой вершиной.

Поверхность листа гладкая или сетчато-морщинистая; плоская, реже края листьев отогнуты
вниз. Пластинка листа покрыта снизу густым войлочным покровом.

Отношение черешка к длине среднего нерва 0.7 — 0.8; черешок голый, зеленого цвета, перехо-
дящего у основания в фиолетовый.

Плодоносные побеги средней толщины, красноватобурого цвета. Узлы окрашены темнее, чем
междоузлия. Побеги покрыты следами волосков. Длина междоузлий 7 — 15 см.

Цветы обоеполые.
В Кедском районе появление первых признаков созревания винограда наблюдается в конце
августа или в начале сентября. Массовое созревание наступает в конце октября.

Длина ножки грозди 3.5 — 5 см, длина грозди 12 — 17 см, ширина 6.5 — 10 см; количество ягод
на грозди от 40 до 85 шт.

Общая форма грозди цилиндрическая или цилиндрическо-коническая, иногда ветвистая. Сред-
ний вес грозди до 200 гр; гроздь средней плотности; встречаются и рыхлые грозди.

Длина ножки ягоды с подушечкой 5 — 6 мм, зеленая. Подушечка бородавчатая, реже гладкая
и широко-коническая.

Ягода темнокрасная, средней величины, длиной 13 — 17.8 мм и шириной 13.0 — 16.0 мм, округ-
лая или слегка овальная; посередине широкая и симметричная. Кожица почти тонкая. Мякоть очень
сочная и менее мясистая, с обыкновенным простым вкусом.

Количество семян в ягоде 1 — 4 шт, чаще 3. Длина семени 6 — 7 мм, ширина 3.5 — 4 мм,
светлокоричневого цвета. Халаза слегка овальная. Спинная сторона гладкая. Длина клюва 1 — 1.5 мм.

Повнили относится к группе красных винных сортов винограда Аджарии. Обильно урожайный.
Дает продукцию для приготовления ординарных вин местного значения; с успехом можно использо-
вать также и для виноградного сока.

Встречается в виде „маглари“ довольно в большем количестве в Кедском районе, в сел. Сиха-
лидзе и Медзибна.

Сорт заслуживает внимания и разведения в Кедском и Хулойском районах привитыми сажен-
цами на соответствующих подвоях.

ზემო აქარაში, ხულოს რაიონის სოფ. დეკანაშვილებში, ჩაოში, ფურთიოში და თვით ხულოს მიდამოებში ძალდარად გავრცელებულია წითელყურძნიანი ჯიში, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა ჯინეშს უწოდებს.

ადგილზე წარმოებული შესწავლით გამოირკვა, რომ აღნიშნული ჯიში წარსულში ფართოდ ყოფილა გავრცელებული ზემო აქარაში; მის მოსავალს ადგილობრივი მოსახლეობა ძირითადად ყურძნად ხმარობდა. ამისათვის ყურძენს ხშირად დაუკრეფავს სტოვებდენ ვაზებზე და საჭიროების მიხედვით კრეფდნენ მხოლოდ ან აკიდოების სახით ინახავდნენ მთელი ზამთრის განმავლობაში.

აკად. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით (1), ჯინეში ფართოდ ყოფილა გავრცელებული აგრეთვე შავშეთ-კლარჯეთში, ძირითადად მურღულის ხეობაში. ს. ტიმოფეევს (21), ბათუმის და ართვინის ოლქების მევენახეობის მდგომარეობის მიმოხილვისას, მოცემული აქვს ჯინეშის მოკლე აღწერილობა და მას სუფრის ყურძნის ჯიშთა ჯგუფს აკუთვნებს.

ჯინეშის თანამედროვე გავრცელების არეალი აქარაში მეტად შეზღუდულია. ზემოთ დასახელებულ სოფლებში იგი მხოლოდ ერთეული ძირების სახითაა გადარჩენილი. ვაზები მეტად ხნოვანია და მათი მოსავლიანობა მხოლოდ ამინდის პირობებზეა დამოკიდებული. ნამყენების სახით, დაბლარად, ჯინეშის მცირეოდენი ნარგავები გვხვდება ქედას (შუა აქარა) ვაზის ჯიშთა საკოლექციო ნაკვეთში.

ბოტანიკური აღწერა. კვირტები გაშლის პერიოდში მოთეთრო-მონაცრისფროა და მცირედ დასდევს მოწითალო ელფერი. სქლად არის დაფარული მონაცრისფრო-მოთეთრო ბეწვისებრი ბუსუსით. ზრდის კონუსი მომწვანო-ვარდისფერია მოწითალო ელფერით და სქლად დაფარული მონაცრისფრო-თეთრი ბუსუსით. პირველი ახლად გაშლილი ფოთოლი ზედა მხრიდან მომწვანოა და დასდევს მოწითალო ფერი. თითქმის ქეჩისებრადაა შებუსვილი. ეს შებუსვა მომდევნო მეორე და მესამე ფოთოლზე ზედა მხრიდან მცირდება, მათ შემდგომ მომდევნო ფოთლებზე კი სრულებით ქრება. ქვედა მხრიდან პირველი ფოთლის შებუსვა თითქმის ქეჩისებრია, მეორე და მესამე კი—საკმაოდ ან მცირედაა შებუსვილი.

ახალგაზრდა ყლორტი მრგვალია და ღია მწვანე, ცალ მხარეზე ოდნავ მოიისფრო ელფერით. მცირედ არის შებუსვილი, ბუსუსი ბეწვისებრია და მონაცრისფრო-თეთრი.

შემოსული რქა საშუალო სიმსხოსია და ღია ყავისფერი. მუხლები უფრო მუქად არის შეფერილი. მუხლთშორისის სიგრძე აღწევს 7 — 13 სმ-ს.

ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალო სიდიდისაა და საერთო მოყვანილობით განივ-ოვალური. მცირედაა დანაკვთული; იშვიათად გვხვდება საკმაოდ დანაკვთული ფოთოლიც. ფოთლის საშუალო სიგრძე 13.0 — 14.0 სმ-ია, სიგანე — 14.5 — 15.0 სმ.

ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი თალისებრია, მომრგვალებული ან ბრტყელი ფუძით; გვხვდება აგრეთვე ისრისებრი ამონაკვეთები, თანასწორი გვერდებითა და მომრგვალო ფუძით.

ფოთლის ზედა ამონაკვეთი ღიაა და მცირედ ჩაქრილი. გვხვდება საკმაოდ ჩაქრილი ამონაკვეთი მახვილი ფუძით, იშვიათად კი ჩანგისებრი მოყვანილობის, თითქმის პარალელური გვერდებითა და მომრგვალო ფუძით. ქვედა ამონაკვეთი ძლიერ მცირედ არის ჩაქრილი.

ფოთოლი სამნაკვეთიანია. წვერის ნაკვეთი ფოთლის ფირფიტასთან ქმნის ბლაგვ კუთხეს.


ნაკვეთთა წვერის კბილები სამკუთხედისებრია, წამახვილებული წვერით ან ხერხკბილა, ერთი მხრივ ამოზნექილი გვერდით; გვხვდება ხერხკბილა-სამკუთხედისებრი კბილებიც. მეორეული კბილები სამკუთხედისებრია, წამახვილებული წვერით ან ხერხკბილა, წაგრძელებული წვერით; იშვიათად ხერხკბილა-სამკუთხედისებრია.

ფოთლის ქვედა მხარე ძლიერ მცირედ არის შებუსვილი. ზედა მხარე გლუვია, იშვიათად ბადისებრად არის დანაკვებული. ფოთლის ზედაპირი ბრტყელია ან ძაბრისებრ ღარისებრად არის მოზრდილი. მთავარი ძარღვები მცირედ არის შებუსვილი და ღია მწვანეა.

ფოთლის ყუნწის შეფარდება შუა მთავარ ძარღვთან უდრის 0.8 — 1.0 -ს. იგი შიშველია და მოწითალო-ღვინისფერი, რაც ფუძესთან ღია სიმწვანეში გადადის.

ყვავილი ორსქესიანია, მხოლოდ დეფექტური. მტვრიანების უმრავლესობა მოკლე და მოკაკულია; ზოგ შემთხვევაში გვხვდება ნორმალურად განვითარებული მტვრიანებიც. ყვავილში 5 მტვრიანაა, იშვიათად გვხვდება 4 და 6 მტვრიანაც. ყვავილედში ყვავილების რიცხვი 400 ცალამდე აღწევს (სურ. 87).

დიდი მტევნის ყუნწის სიგრძე 2.5 — 3 სმ -ია, მტევნის სიგრძე — 12 — 15 სმ, სიგანე $\frac{5}{7}$ — $\frac{7}{11}$ სმ, მტევანზე 40 — 70 ცალი მარცვალია. საშუალო მტევნის ყუნწის სიგრძე აღწევს 2.5 — 3 სმ-ს, მტევანის სიგრძე — 11 — 12 სმ-ს, სიგანე — 4.5 — 5 სმ-ს. მტევანზე 35 — 40 ცალი მარცვალია.



სურ. 87. ჯინეშის ყვავილი.

მტევნის საერთო ფორმა ცილინდრულია, იშვიათად გვხვდება ცილინდრულ-კონუსისებრიც. ზოგ შემთხვევაში მტევანს ახასიათებს განტოტვა. აგებულებით თხელია, ზოგჯერ საშუალო სიმკვრივისა. მტევნის ყუნწი და თვით კლერტი ბალახისებრია და მწვანე.

მარცვლის ყუნწის სიგრძე საჯდომი ბალიშით 4 — 5 მმ -ია. მწვანეა. საჯდომი ბალიშში დამეკეპებულია და განიერ-კონუსისებრი. მარცვალი საჯდომ ბალიშზე საკმაოდ მტკიცედ არის მიმაგრებული.

მსხვილი მარცვლის საშუალო სიგრძე აღწევს 16.5 — 17.0 მმ-ს, სიგანე — 15.5 — 16 მმ-ს. საშუალო მარცვლის საშუალო სიგრძე 13.5 — 14 მმ-ია, სიგანე 13.0 — 13.2 მმ.

მარცვალი მუქი წითელ-ვარდისფერია, საშუალო სიმსხოსი, ფორმით ოვალური, შუა წელში უფრო განიერი, ბოლო მომრგვალებული აქვს და სიმეტრიულია. სქელკანიანია და საკმაოდ ხორციანი, ჩვეულებრივი ტკბილი გემოთი. მარცვალი მცირედ არის დაფარული ფიფქით (ცვილით).

მარცვალში 1 — 4 ცალი წიპწაა, სქარბობს 3 წიპწა. წიპწის სიგრძე აღწევს 7 — 7.5 მმ -ს, სიგანე 3.5 — 4 მმ-ს. ყავისფერია, მუცლის მხრიდან ღარებში მოყვითალო ელფერით. ქალაძა მოთავსებულია ზურგის მხარის შუა წელში; ფორმით თითქმის ოვალურია. ზურგის მხარე გლუვია. ნისკარტის სიგრძე 1.5 — 2 მმ -ია.

აგრობიოლოგიური და სამეურნეო დახასიათება. ხულოს რაიონში ჯინეშის სავეგეტაციო პერიოდი 240 დღემდე აღწევს. ვაზზე კვირტების გაღვიძება იწყება 4 — 5 აპრილიდან, ყვავილობა 13 — 14 ივნისიდან, რაც 25 ივნისამდე მთავრდება. შეთვალეების პირველი ნიშნები ემჩნევა აგვისტოს დასასრულს ან სექტემბრის დასაწყისში. მასობრივ სიმწიფეში შედის 20 — 25 ოქტომბრიდან. ფოთოლცვენას იწყებს 10 — 12 ნოემბრიდან, ამთავრებს დეკემბრის პირველისათვის.

ვაზს საშუალო ზრდა ახასიათებს. სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ სუსტ გამძლეობას იჩენს. ამინდის ხელსაყრელ პირობებში, როდესაც სოკოვან ავადმყოფობათა მოქმედება მცირეა, ჯიშების ვეგეტაციური ნაწილები ვეგეტაციის დასასრულისათვის სრულ მომწიფებას აღწევს და რქები ამ დროისათვის ღებულობს ჯიშის დამახასიათებელ ელფერს.

მაღლარად აღზრდის გამო ვაზები მოუვლეელია. მიუხედავად ამისა, თუ კარგი ამინდი დაუდგა, საკმაოდ უხვ მოსავალს იძლევა. სოფ. ჩაოს ზონაში ჯინეში შედარებით მდარე ღირსების პროდუქციის

იძლევა, ვინაიდან ვაზები ჩრდილოეთისაკენ დახრილ, მზით ნაკლებ განათებულ ფერდობებზეა გაშენებული. ფურთიოს ზონაში კი მას გაცილებით მაღალი ღირსების მოსავალი აქვს.

ქედაში, ვაზის საკოლექციო ნაკვეთში, გაშენებული ჯინეშის დაბლარი ვაზები, როგორც ზრდა-განვითარებით, ისე მოსავლობით სავსებით დამაკმაყოფილებელ შედეგს იძლევა. ერთი ძირი დაბლარი ვაზის მოსავალი 2.5 — 3 კგ-მდე აღწევს. ამავე დროს ყურძნის ღირსებაც საკმაოდ მაღალია; მტევნები და მარცვლები ვარდგული სილამაზითა და გემური თვისებებით აკმაყოფილებს ადგილობრივ მოხმარების სუფრის ყურძნისადმი წაყენებულ მოთხოვნებს.

ჯინეშის მტევნის საშუალო წონა 95 გრამია. 100 მარცვლის წონა 198 გრამს უდრის, აქედან კანი შეადგენს 16.2 გრამს, 100 მარცვალში 265 ცალამდე წიბწაა, წონით 8.1 გრამი. კლერტის საშუალო წონა 4.9 გრამია, ხოლო წვეწის გამოსავალი 71.5%.

სრული სიმწიფის პერიოდში ყურძენში შაქრიანობა აღწევს 18.0%-მდე, საერთო მეთიანობა 10.4‰-მდე.

ყურძენი კარგად ინახება. ვაზზე დატოვებული ყურძენი იანვრამდე ძლებს, მხოლოდ ქვნება. სამეურნეო დანიშნულებით ჯინეში სუფრის ყურძნის ჯიშია. ყურძნის გემოვნებითი და ორგანოლექტიკური მაჩვენებლების მიხედვით იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე ორდინარული ტიპის ღია-ვარდისფერი ღვინის დასამზადებლად.

ფიქრობთ, რომ ჯიშის კულტურულ პირობებში ჩაყენებით საგრძნობლად გაიზრდება მისი მოსავალი, გაუმჯობესდება პროდუქციის ხარისხიც. ამიტომ ჯინეშის აღდგენა და მასობრივი გაერცელება უნდა იქნეს წარმოებული სულოსა და ქედის რაიონებში ნამყენების სახით, სათანადოდ შერჩეულ ამერიკული ვაზის საძირებზე.

Д Ж И Ш И

Листья средней величины, длиной 13 — 14 см и шириной 14.5 — 15.0; попереk-овальные.

Черешковая выемка сводчатая, с округлым или плоским дном; реже стрельчатая и равносrонная, с округлым дном.

Верхние вырезки открыты и слабо выражены; реже расположены в виде входящего угла; встречаются также вырезки почти с параллельными сторонами и округлым дном. Нижние вырезки едва намечены.

Лист трехлопастный. Угол оконечной лопасти тупой.

Оконечные зубцы лопастей треугольные, с острой вершиной или пилovidные и односторонне-выпуклые. Встречаются также пилovidно-треугольные. Вторичные зубцы треугольные, с заостренной вершиной, реже пилovidно-треугольной формы.

Поверхность листа гладкая, реже сетчато-морщинистая; плоская, иногда воронковидно-желобчатая. Пластинка листа покрыта снизу редким паутинистоволосистым пушком.

Отношение черешка к длине среднего нерва 0.8 — 1.0; черешок голый и виннокрасноватого цвета, переходящего у основания в светлозеленый цвет.

Плодоносные побеги средней толщины, светлокоричневого цвета. Узлы окрашены темнее, чем междоузлия. Длина междоузлий достигает 7 — 13 см.

Цветы обоеполые; тычинки сидят на коротких тычиночных нитях.

Появление первых признаков созревания винограда наблюдается в начале сентября; массовое созревание наступает с 20 — 25 октября.

Длина ножки грозди 2.5 — 3 см; длина грозди 11 — 15 см; ширина 4.5 — 7 см. Количество ягод на грозди до 70 шт.

Общая форма грозди цилиндрическая; реже цилиндрическо-коническая; рыхлая, иногда средней плотности. Средний вес грозди 80 — 100 гр. Ножка грозди с гребнем травянистая и зеленого цвета.

Длина ножки ягоды с подушечкой 4 — 5 мм. Ножка зеленая. Подушечка бородавчатая и широко-коническая.

Ягода темно-розовая, средней величины, длиной 13.5 — 17 мм и шириной 13 — 16 мм; овальная, посередине широкая и симметричная, кожица толстая. Мякоть довольно сочная и мясистая, с обыкновенным сладким вкусом.



ჯიბეში Джинеши

Количество семян в ягоде 1—4 шт, чаще 3. Длина семени—7—7.5 мм, ширина—3.5—4.0 мм. Семя коричневого цвета; с брюшной стороны желтоватого цвета. Халаза почти овальная. Длина клюва 1.5—2 мм.

Джинеши столовый сорт местного значения. Довольно урожайный. Дает материал и для виноградарства и для виноделия.

В настоящее время единичные экземпляры данного сорта в виде „маглари“ встречаются в Хуло, в районском районе, в сел. Чао и Фуртио, а также в окрестностях самого Хуло.

ხარისთვალა (აჭარული)

ხარისთვალა ვაზის ჯიშის ფართოდ მიღებული სახელწოდებაა და მცირეოდენი ნარგავების სახით გვხვდება საქართველოს თითქმის ყველა რაიონში. ასე, მაგალითად, იგი გავრცელებულია ქახეთში, ქართლში, მესხეთში, იმერეთში, რაჭაში, სამეგრელოში, გვხვდება აჭარაშიც. მესხეთში, კერძოდ/ასპინძის რაიონში, გავრცელებულია, როგორც თეთრყურძნიანი, ისე წითელყურძნიანი ხარისთვალა.

წარმოებული დაკვირვებით დასტურდება, რომ აჭარაში გავრცელებული ხარისთვალა თავისი ამპელოგრაფიული ნიშნებით და სამეურნეო ღირებულებით მკვეთრად განსხვავდება საქართველოს სხვა რაიონებში გავრცელებულ ხარისთვალას ჯიშებისაგან.

აჭარული ხარისთვალა მარცვლების სიდიდით თითქოს ვერ ამართლებს თავის სახელწოდებას და ვფიქრობთ, რომ ეს არადაამახასიათებელი თვისება უნდა გამომდინარეობდეს თვით ვაზის აღზრდის პირობებიდან. გავრცელებულია მცირეოდენი ნარგავების სახით მაღლარად ქედისა და ხულოს რაიონებში (სოფ. ვაიოში, სიხალიძეებში, ფურთიოში, ჩაოში და თვით ხულოს მიდამოებში). როგორც აღვნიშნეთ ვაზები მაღლარად არის წარმოდგენილი და მათი მოსავლიანობა უშუალოდ წლის ამინდის პირობებზეა დამოკიდებული.

ბოტანიკური აღწერა და სამეურნეო დახასიათება. კვირტები გაშლის პერიოდში მომწვანო-მონაცრისფროა და ოდნავ დასდევს მოწითალო-იისფერი. ზრდის კონუსი მომწვანო-იისფერია, მოწითალო ელფერი, და საკმაოდ სქლად არის დაფარული მონაცრისფრო-თეთრი ბეწვისებრი ბუსუსით. ახლად გაშლილი პირველი ფოთოლი ზედა მხრიდან მომწვანო-მოწითალოა და სქლად არის შებუსვილი მონაცრისფრო-თეთრი ბუსუსით. თითქმის ასეთივე ფერისაა პირველი ფოთლის მომდევნო მეორე და მესამე ნორჩი ფოთოლიც, მხოლოდ მათ ზემოდან მცირედი შებუსვა ახასიათებს. შემდეგ ფოთლებზე ბუსუსი თანდათანობით ქრება. პირველი ფოთლის ქვედა მხარე მომწვანო-წითელია და საკმაოდ სქლადაა დაფარული მონაცრისფრო-თეთრი ბუსუსით. მეორე და მესამე ფოთლის ქვედა მხარე მცირედაა შებუსვილი.

ახალგაზრდა ყლორტი ღია მწვანეა, ცალ მხარეზე დასდევს მოწითალო-იისფერი. მცირედაა შებუსვილი მონაცრისფრო ბეწვისებრი ბუსუსით.

შემოსული რქა საშუალოზე მსხვილია და ყავისფერი. ნუხლები უფრო მუქად არის შეფერილი. ნუხლთშორისის სიგრძე აღწევს 8 — 13 სმ-ს.

ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალო ან საშუალოზე მცირეა და საერთო მოყვანილობით მომრგვალო ან ოდნავ ოვალურია. მეტად დანაკეთულია. გვხვდება საკმაოდ დანაკეთული ფოთლებიც. ფირფიტის სიგრძე აღწევს 12.7 — 16.2 სმ-ს, სიგანე — 12.8 — 14.5 სმ-ს.

ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ღიაა და თალისებრი მოყვანილობის, ბრტყელი ფუძით. ამონაკვეთის ნაკვეთები შემდგარია სამი ძარღვისაგან. გვხვდება აგრეთვე ისრისებრი მოყვანილობის ამონაკვეთი მახვილი ფუძით (ნაკვეთი შედგება ოთხი ძარღვისაგან). იშვიათ შემთხვევაში ამონაკვეთის ფუძეზე გვხვდება ერთი უბრალო კბილი.

ფოთლის ზედა ამონაკვეთი ღრმადია ჩაჭრილი ან საკმაოდ შეჭრილი კუთხით ხასიათდება. გვხვდება აგრეთვე დახურული ამონაკვეთი ვიწრო-ელიფსური ნასვრეტით. ქვედა ამონაკვეთი ასევე საკმაოდ ან ღრმადია ჩაჭრილი.

ფოთოლი სამ და ხშირად ხუთნაკეთიანია. წვერის ნაკვეთი ფოთლის ფირფიტასთან ქმნის ბლავვ კუთხეს.

ნაკვეთთა წვერის კბილები სამკუთხედისებრია, მომრგვალო წვერით, ან ხერხკბილა-სამკუთხედისებრი. გვხვდება აგრეთვე ხერხკბილა, წამახვილებული წვერით. მეორეული კბილები სამკუთხედისებრია, წამახვილებული ან მომრგვალო წვერით; ზოგჯერ სამკუთხედისებრია, ამოზნექილი გვერდებითა და წამახვილებული წვერით.


ფოთლის ქვედა მხარე შიშველია, მხოლოდ ძარღვების გასწვრივ დასდევს მცირეოდენი ბუსუსი. ზედაპირი გლუვია. ფირფიტა ბრტყელია ან ძაბრისებრი-ღარისებრად არის მოხრილი.

ფოთლის ყუნწის შეფარდება შუა მთავარ ძარღვთან უდრის 0.7 — 0.9-ს. იგი შიშველია და ღია მწვანე, რაც ფუძესთან სუსტ ღვინისფერში გადადის.

ბულოს რაიონში ხარისთვალას ყვავილობა იწყება 11 — 12 ივნისიდან და მთავრდება 24 ივნისამდე. ყვავილი ორსქესიანია, ნორმალურად განვითარებული ბუტკოთი და მტვრიანებით. ყვავილში 5 მტვრიანაა, იშვიათად გვხვდება 4 და 6 მტვრიანა. ყვავილედში ყვავილების რიცხვი 380 კალამდე აღწევს (სურ. 89).

ყურძნის შეთვალება იწყება სექტემბრის პირველი რიცხვებიდან, მასობრივ შეთვალვის დროს 20 — 25 ოქტომბრიდან.

დიდი მტევნის ყუნწის სიგრძე 3 — 4 სმ-ია, მტევნის სიგრძე — 13 — 14 სმ, სიგანე — 6 — 7 სმ. მტევანზე 65 — 75 ცალი მარცვალია. საშუალო მტევნის ყუნწის სიგრძე აღწევს 3 — 4 სმ-ს, მტევნის



სურ. 89. აჭარული ხარისთვალას ყვავილი.

სიგრძე — 11 — 12 სმ-ს, სიგანე — 5 — 5.5 სმ-ს. მტევანზე 35 — 60 ცალი მარცვალია. მტევანს ახასიათებს განტოტვა, რაც მტევნის სიგრძის ნახევარს აღწევს.

მტევანი თხელია და ცილინდრულ-კონუსისებრი, ცალფრთიანი და ხშირად განტოტვილი. იშვიათად საშუალო სიმკვრივისაა. მტევნის ყუნწი და კლერტი ბალახისებრია და ღია მწვანე.

მარცვლის ყუნწის სიგრძე საჯდომი ბალიშით აღწევს 4.5 — 5.5 მმ-ს. მწვანეა. საჯდომი ბალიში დამეჭვებულია და განიერ-კონუსისებრი. მარცვალი საჯდომ ბალიშზე საკმაოდ მტკიცედაა მიმაგრებული.

მსხვილი მარცვლის საშუალო სიგრძე 16.5 — 18 მმ-ია, სიგანე — 16 — 16.5 მმ. საშუალო მარცვლის საშუალო სიგრძე აღწევს 14 — 15.5 მმ-ს, სიგანე — 13.8 — 15 მმ-ს.

მარცვალი თითქმის შავია, საშუალო ან საშუალოზე მსხვილი, მომრგვალო ან ოდნავ ოვალური, შუა წელში უფრო განიერი, ბოლო მომრგვალებული აქვს და სიმეტრიულია. სქელკანიანია, ნაკლებ წვნიანი და უფრო ხორციანი. ფიფქით (ცვილით) მცირედ არის დაფარული.

მარცვალში 1 — 3 ცალი წიბწაა, იშვიათად აქვს 3 წიბწა, სქარბობს 1 წიბწა. წიბწის სიგრძე აღწევს 7 — 8 მმ-ს, სიგანე — 4 — 4.5 მმ-ს, ყავისფერია. ქალაძა მოთავსებულია ზურგის მხარის შუა წელის ცოტა ქვემოთ და მომრგვალოა ან ოდნავ ოვალური. ნისკარტის სიგრძე აღწევს 1.5 — 2 მმ-ს.

აჭარულ ხარისთვალას ძლიერი ზრდა ახასიათებს. კარგი ამინდის პირობებში იგი საკმაოდ უხვ მოსავალს იძლევა. ერთი ძირი მალღარის მოსავალი 30 — 35 კგ-ს აღწევს. რქაზე ხშირად ორი და ზოგჯერ ერთი მტევანია განვითარებული.

მტევნის საშუალო წონა 160 გრამია. 100 მარცვლის წონა 238 გრამს აღწევს, აქედან კანი შეადგენს 18.8 გრამს. 100 მარცვალში 138 წიბწაა, წონით 5.6 გრამი. კლერტის საშუალო წონა 5.1 გრამია, ხოლო წვეწის გამოსავალი 70%-ს აღწევს.

საფ. ჩაოდან საანალიზოდ აღებულ მწიფე ყურძენში შაქრიანობა 17.5%-ს, ხოლო საერთო მჟავიანობა 9.8‰-ს არ ასცილებია.

სამეურნეო შეფასებით აჭარული ხარისთვალი სუფრის ყურძნის ჯიშთა ჯგუფს ეკუთვნის, მაგრამ ყურძნის გემური თვისებებით და ორგანოლექტიკური მაჩვენებლებით იგი სავსებით ვერ აკმაყოფილებს სუფრის ყურძნისადმი წაყენებულ მოთხოვნილებას. ჩვენის აზრით ეს უარყოფითი თვისებები, როგორც

ზემოთ გვქონდა აღნიშნული გამომდინარეობს თვით ვაზის აღზრდის პირობებიდან: ვაზები მეტად ხნოვანია და მალლარად განვითარების გამო მოუვლელი; გარდა ამისა მალლარები გაშენებულია ჩრდილოეთისაკენ მეტად დაქანებულ და მზით ნაკლებ განათებულ ფერდობებზე. ვფიქრობთ, რომ კულტურულ პირობებში ჩაყენებით და შესაფერი ადგილმდებარეობის შერჩევით, აღნიშნული ჯიში მოგვცემს რაოდენობრივ დიდსა და ხარისხობრივად კარგი ღირსების პროდუქციას. ამ მიზნით მისი გაშენება ჯერჯერობით საჭიროდ მიგვაჩნია მხოლოდ საკოლექციო და ჯიშთა გამოყენებისათვის ვუთქვამთ.

Х А Р И С Т В А Л А (А д ж а р с к и й)

Листья средней или меньше средней величины, длиной 12.7 — 16.2 см и шириной 12.8 — 14.5 см; округлые или овальные.

Черешковая выемка открытая и сводчатая, с плоским дном. Лопасты состоят из трех нервов. Встречаются также стрелчатой формы с острым дном.

Верхние вырезки часто сильно разрезные и доходят до $\frac{1}{2}$ листа, иногда расположены в виде входящего угла. Встречаются также закрытые вырезки с узко-эллиптическим просветом. Нижние вырезки расположены часто в виде входящего угла, иногда глубокие.

Лист пятилопастный. Угол оконечной лопасти тупой.

Оконечные зубцы лопастей треугольные, с округлой вершиной, или треугольно-пиловидные и пиловидные с острой вершиной. Вторичные зубцы треугольные, с острой или округлой вершиной или же треугольные с выпуклыми сторонами и острой вершиной.

Поверхность листа гладкая и плоская, иногда воронковидно-желобчатая. Снизу лист голый и лишь со следами волосков вдоль нервов.

Отношение черешка к длине среднего нерва 0.7 — 0.9; черешок голый и светлозеленого цвета, переходящего у основания в слабо виннокрасный цвет.

Плодоносные побеги коричневого цвета. Узлы окрашены темнее. Длина междоузлий достигает 8 — 13 см.

Цветы обоеполые.

В Хулойском районе появление первых признаков созревания винограда наблюдается в начале сентября; массовое созревание наступает с 20 — 25 октября.

Длина ножки грозди 3 — 4 см, длина грозди — 11 — 14 см, ширина — 5.0 — 7 см. Количество ягод на грозди до 75 шт.

Общая форма грозди цилиндрическо-коническая, крылатая и часто ветвистая, рыхлая; ножка грозди с гребнем травянистая и светлозеленая.

Длина ножки ягоды с подушечкой 4.5 — 5.5 мм; сама ножка зеленая. Подушечка бородавчатая и широко-коническая.

Ягода черная, почти крупная, длиной 14 — 18 мм и шириной 13.8 — 16.5 мм; округлая или слегка овальная, посередине широкая, у конца округлая и симметричная. Кожица толстая; мякоть менее сочная и более мясистая, с обыкновенным простым вкусом.

Количество семян в ягоде 1 — 3 шт, чаще 1. Длина семени 7 — 8 мм, ширина — 4 — 4.5; семя коричневого цвета. Халаза округлая. Спинная сторона гладкая. Длина клюва 1.5 — 2 мм.

Хариствала — довольно урожайный по назначению столовый сорт, но дает продукцию ниже среднего качества. От грибных болезней сильно страдает. Встречается в виде „маглари“ в незначительном количестве в районах Кеди и Хуло, в сел. Вайо, Сихалидзе, Чао, Фуртио и в окрестностях самого Хуло.

Полагаем, что при соответствующем уходе и выборе местоположения, данный сорт даст хорошую, как по качеству, так и по количеству продукцию. С этой целью разведение указанного сорта считаем целесообразным предварительно на сортоиспытательном и коллекционном участках.



ხარისთვალა (აჭარული) — Хариствала (аджарский)

ქორქაულა



ქორქაულა აქარაში გავრცელებული წითელყურძნიანი ჯიშია.

წერილობითი მასალები ამ მხარეში ქორქაულას წარმოშობისა და განვითარების შესახებ არ მოიპოვება. ჯიშის ბოტანიკურ და სამეურნეო ნიშან-თვისებათა შესწავლის საფუძველზე ირკვევა, რომ ქორქაულა პონტოური წარმოშობისაა და აქარის ვაზის აბორიგენულ ჯიშთა ჯგუფს ეკუთვნის.

როგორც გადმოგვცემენ, წარსულში ქორქაულა ფართოდ ყოფილა გავრცელებული მაღლარების სახით შუა და ზემო აქარის რაიონებში (ქედაში, ხულოში). მის პროდუქციას ძირითადად ყურძნად ხმარობდნენ ან შესქელებულ ყურძნის წვესს (ბექმეზს) ამზადებდნენ.

სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის შემოჭრის შემდეგ ქორქაულას გავრცელების არეალი საგრძობლად შემცირდა. მაღლარების სახით იგი ამჟამად შერჩენილია მხოლოდ ხულოს რაიონში, სოფ. ჩაოსა და ფურთიოს მიდამოებში. ვაზები მეტად ხნოვანია, აშვებულია მაღალ ხეებზე, რის გამოც სათანადო მოვლას მოკლებულია.

ბოტანიკური აღწერა. კირტები გაშლის პერიოდში მომწვანო-მოწითალო-იისფერია, სქარბობს იისფერი. მცირედ არის დაფენილი მონაცრისფრო-თეთრი ბუსუსით. ზრდის კონუსიკ მომწვანო-მოწითალო-იისფერია და დაფარულია მონაცრისფრო-თეთრი ბეწვისებრი ბუსუსით. ახლად გაშლილი პირველი ფოთოლი ზემოდან მომწვანო-იისფერია, მოწითალო ელფერით, და როგორც ზემოდან, ისე ქვემოდან საკმაოდ არის დაფენილი ბეწვისებრი ბუსუსით. მომდევნო მეორე და მესამე ნორჩი ფოთოლი ორივე მხრიდან მცირედაა შებუსვლილი, რაც შემდგომ ფოთლებზე თანდათანობით ქრება.

ახალგაზრდა ყლორტი მრგვალია და ღია მწვანე. მცირედ არის დაფარული მონაცრისფრო ბეწვისებრი ბუსუსით.

შემოსული რქა საშუალო სიმსხოსია და წაბლისფერი. მუხლები უფრო მეტად არის შეფერილი. მუხლთშორისის სიგრძე აღწევს 7 — 15 სმ-ს.

ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალო სიდიდისაა და საერთო მოყვანილობით მომრგვალო ან ოდნავ ოვალურია. საკმაოდ ან საკმაოზე მეტადაა დანაკეთული. ფოთლის საშუალო სიგრძე 14.0 — 18.6 სმ-ია, სიგანე 14.4 — 16.9 სმ.

ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი განიერ-თაღისებრია, მომრგვალო ან ბრტყელი ფუძით, ზოგ შემთხვევაში ფუძეზე განვითარებული ერთი კბილით.

ზედა ამონაკვეთი ხშირად დახურულია და თითქმის უნასვრეტო. იშვიათად კვერცხისებრია, ფუძეზე განვითარებული ერთი კბილით. ქვედა ამონაკვეთი მცირედაა ჩაჭრილი ან საკმაოდ შეჭრილი კუთხით ხასიათდება. იშვიათად გვხვდება დახურული ამონაკვეთები ვიწრო ელიფსური ნასვრეტით.

ფოთოლი სამ და ხუთნაკეთიანია. წვერის ნაკეთი ფოთლის ფირფიტასთან ქმნის ბლაგვ კუთხეს, იშვიათად — სწორს.

ნაკეთთა წვერის კბილები სამკუთხედისებრია, მახვილი ან მომრგვალებული წვერით; გვხვდება ზერხკბილა-სამკუთხედისებრი მოყვანილობის კბილებიც. მეორეული კბილები ამავე მოყვანილობისაა.

ფოთლის ქვედა მხარე შიშველია. ძარღვების გასწვრივ დასდევს უმნიშვნელო ბუსუსი. ზედა მხარე გლუვია ან ბადისებრად და დანაკეთებული. ფირფიტა ბრტყელია ან ძაბრისებრი-ღარისებრად და მოხრილი. მთავარი ძარღვები ღია მწვანეა და ძლიერ მცირედ არის დაფარული ბუსუსით.

ფოთლის ყუნწის შეფარდება შუა მთავარ ძარღვთან უდრის 0.8 — 0.9-ს. იგი შიშველია და ღია მწვანე, რაც ფუძესთან ღვინისფერში გადადის.

ყვავილი ფუნქციონალურად მდებრობითია, მტვრიანები მოკლე ძაფებზეა და მოკაკულია. ყვავილში უფრო ხშირად 5 მტვრიანაა, ზოგ შემთხვევაში გვხვდება 4 და 6 მტვრიანაც. ყვავილების რაოდენობა ყვავილედში 360 — 350 ცალამდე აღწევს (სურ. 91).

მტევნის ყუნწის სიგრძე 3 — 5 სმ-ია, მტევნის სიგრძე 12 — 16 სმ, სიგანე — 6 — 8 სმ.


მტევნის საერთო ფორმა ცილინდრულ-კონუსისებრია, საკმაოდ მკვრივი და ზოგჯერ ვანტოტილი. მტევნის ყუნწი და კლერტი ბალახისებრია და ღია მწვანე.

მარცვლის ყუნწის სიგრძე საჯდომი ბალიშით აღწევს 4 - 6 მმ-ს. მწვანეთა საჯდომი ბალიშით დამკვეჭებულია და განიერ-კონუსისებრი. მარცვალი საჯდომ ბალიშზე საკმაოდ არის მიჩურბული.

მარცვალი თითქმის შავია, საშუალო სიდიდის, სიგრძით 12 - 15.5 მმ, სიგანით 12 - 15.3 მმ. მრგვალია, შუა წელში განიერი, ბოლო მომრგვალებული აქვს და სიმეტრიულია. საკმაოდ სქელკანიანია, ხორციანი, ჩვეულებრივი ტყბილი გემოთი. მარცვალი უხვად არის დაფარული მტკიცე მკვრივით.

მარცვალში 1 - 4 ცალი წიბწაა, უფრო ხშირად გვხვდება 3 წიბწა. წიბწის სიგრძე აღწევს 6.5 - 7 მმ-ს, სიგანე 3.5 - 4.5 მმ-ს. ყავისფერია, მუცლის მხრიდან კი, ღარების გასწვრივ, მოყვითალო. ქალბა მოგრძო-ოვალურია. ნისკარტი მოყვითალოა. მისი სიგრძე 1 - 2 მმ-ია.

აგრობიოლოგიური დახასიათება. ხულოს რაიონის სოფ. ჩაოს პირობებში ქორჭაულას სავეგეტაციო პერიოდის საერთო ხანგრძლიობა კვირტების გამოფურჩქვნიდან ფოთოლცვენის დამთავ-



სურ. 91. ქორჭაულას ყვავილი.

რებადღე 235 - 240 დღეს აღწევს. ვაზზე კვირტები გამოლვიძეას იწყებს 4 - 5 აპრილიდან. ყვავილობის პირველი ნიშნები ემჩნევა 12 - 13 ივნისიდან. მასობრივ ყვავილობაში შედის 16 - 17 ივნისიდან და ნორმალურ პირობებში იგი 25 ივნისისათვის მთავრდება. ყურძენი შეთვალვას იწყებს 1 სექტემბრიდან და მასობრივ სიმწიფეში ოქტომბრის ბოლო რიცხვებიდან შედის. ფოთოლცვენა ჩვეულებრივ იწყება 10 - 13 ნოემბრიდან და ამავე თვის ბოლოს მთავრდება.

ვაზს ახასიათებს საკმაოდ ღონიერი ზრდა-განვითარება. სავეგეტაციო პერიოდის დასასრულისათვის რქების სიგრძე 3 - 3.5 მეტრს აღწევს. ექვს გარეშეა, რომ სათანადო მოვლის პირობებში საგრძნობლად გაუმჯობესდება ამ ჯიშის როგორც ზრდა-განვითარება, ისე მოსავლიანობა და პროდუქციის ხარისხიც.

ქორჭაულას ამჟამად არსებული მალღარები სათანადო მოვლას მოკლებულია და გაგარეულებულ მდგომარეობაში იმყოფება. მიუხედავად ამისა, ამინდის ხელსაყრელ პირობებში ვაზებს საკმაოდ დიდი მოსავლიანობა ახასიათებს. რქაზე ხშირად თითქმის თანაბარი სიდიდის ორი მტევანია განვითარებული, ზოგ შემთხვევაში სამიც. ჯიშში განიცდის ყვავილცვენას, რაც 20%-მდე აღწევს. მტევანში პართენოკარპიული მარცვლები 2 - 3%-მდეა. ისინი სრულ სიმწიფეს აღწევს ყურძნის მასობრივი მწიფობის პერიოდისათვის და ხშირად წიბწას არ ავითარებს.

სხვა ადგილობრივ ჯიშებთან შედარებით ქორჭაულა მეტ გამძლეობას იჩენს სოკოვან ავადმყოფობათა, მეტადრე კრაქის მიმართ.

სამეურნეო დახასიათება. როგორც უკვე ითქვა, ქორჭაულას ახასიათებს ფუნქციონალურად მდებრობითი სქესის ყვავილები და სწორედ ამით აიხსნება მისი შედარებით ნაკლები მოსავლიანობა. მაღალი მოსავლის მისაღებად საჭიროდ მიგვაჩნია მისი გაშენება პერმოფროდიტული ყვავილების მქონე ვაზის ჯიშთა შორის.

სამეურნეო დანიშნულებით ქორჭაულა მიეკუთვნება საკმაოდ ხარისხივანი სუფრის ყურძნის დაღვინის ჯიშთა ჯგუფს.

ყურძნის მექანიკური და ქიმიური ანალიზების მიხედვით მტევნის საშუალო წონა აღწევს 164 გრამს. მტევანზე საშუალოდ 105 ცალამდე მარცვალია. საშუალო მტევანზე კლერტი შეადგენს 4.3%-ს.

კანი—14.4% -ს, წიპწა — 4.0% -ს, წვენი გაზოსავალი—76.3% -ს. დიდი მტვენი წონა 194 გრამია, მცირე კი — 116 გრამი. 100 მარცვლის საშუალო წონა 116 გრამია. 100 მარცვალში 277 ცალი წიპწაა, წონით 9 გრამი. ერთწიპწიანი მარცვლები შეადგენს 6% -ს, ორწიპწიანი — 30% -ს, სამწიპწიანი — 45% -ს და ოთხწიპწიანი — 19% -ს. ყურძნის სრული სიმწიფის დროს ტკბილში შიქრიანობა აღწევს 18 — 19.5% -ს, საერთო მკვებლობა — 9 — 10% -ს.

ვახზე დატოვებული ყურძენი ძლებს დეკემბრის ბოლომდე და არ ტკნება, დაკრეფილი ^{ეროვნული} გადმოგვცემენ, მთელი ზამთრის განმავლობაში ინახება.

ქორჭაულთა, როგორც საკმაოდ ხარისხოვანი პროდუქციის მომცემი ჯიში ინტერესს მოკლებული არ არის და მისი მასობრივად გაშენება მიზანშეწონილად მიგვაჩნია შუა და ზემო აჭარის რაიონებში.

К О Р К А У Л А

Листья средней величины, длиной 14.0 — 18.6 см и шириной 14.4 — 16.9 см. Округлые или слегка овальные.

Черешковая выемка широко-сводчатая, с округлым или плоским дном.

Верхние вырезки чаще закрыты и почти без просвета. Встречаются яйцевидной формы вырезки с однозубчатым дном. Нижние вырезки едва намечены или щелевидны; реже закрыты и имеют узко-эллиптический просвет.

Лист трехлопастный. Угол оконечной лопасти тупой, реже прямой.

Оконечные зубцы лопастей треугольные, с острой или округлой вершиной. Встречаются также треугольно-пиловидной формы. Вторичные зубцы сходны с оконечными зубцами лопастей.

Поверхность листа гладкая или сетчато-морщинистая; плоская, реже воронковидно-желобчатая. Лист снизу голый, только вдоль нервов имеется очень слабое опушение.

Отношение черешка к длине среднего нерва 0.8 — 0.9; черешок голый и светлозеленого цвета, переходящего у основания в виннокрасный.

Цветы функционально женские.

Появление первых признаков созревания винограда наблюдается в начале сентября; массовое созревание наступает в конце октября.

Длина ножки грозди достигает 3 — 5 см, длина грозди 12 — 16 см, ширина — 6 — 8 см; количество ягод на грозди до 135 шт.

Общая форма грозди цилиндрическо-коническая, средней плотности, иногда ветвистая. Ножка грозди с гребнем травянистая и светлозеленая.

Подушечка бородавчатая и широко-коническая.

Ягода почти черная, средней величины, длиной 12 — 15.5 мм., шириной 12 — 15.3 мм.; круглая, посередине широкая и симметричная. Кожица довольно толстая. Мякоть мало сочная и достаточно мясистая, с обыкновенным простым вкусом.

Количество семян в ягоде 1 — 4 шт, чаще 3. Длина семени 6.5 — 7 мм, ширина — 3.5 — 4.5 мм. Семя коричневого цвета. Халаза удлинено-овальная. Длина клюва достигает 1 — 2 мм.

Плодоносные побеги средней толщины; каштанового цвета. Узлы окрашены темнее, чем междоузлия. Длина междоузлий достигает 7 — 15 см.

Коркаула — довольно урожайный сорт. По назначению столово-винный, местного значения. Виноград хорошо сохраняется. От грибных болезней страдает мало. Заслуживает внимания и разведения в районах Хуло и Кеди.

В настоящее время Коркаула встречается в виде „маглари“ довольно в большом количестве в районе Хуло в сел. Чао и Фуртио.



ქოდი წითელყურძნიანი ჯიშია. გავრცელებულია მაღლარების სახით ხულოს (ქვემო აჭარაში).

აკად. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით (1) აღნიშნული ჯიში გურიაშიც ყოფილა გავრცელებული, კერძოდ ლანჩხუთსა და მის მიდამოებში. წარმოებული კვლევით გამოირკვა, რომ გურიაში, კერძოდ კი ლანჩხუთის ზონაში, ქოდი აღარ გვხვდება, რაც აძნელებს მათი იდენტიფიკაციის დადგენას. იგივე მეცნიერი აჭარულ ქოდას აღარებს ლეჩხუმურ „ტოქა“-ს და იგი მიაჩნია ამ უკანასკნელის ფონეტიკურ სახესხვაობად. უნდა აღინიშნოს, რომ ლეჩხუმური „ტოქა“, როგორც თეთრყურძნიანი, სრულიად განსხვავებული ჯიში უნდა იყოს და მას კავშირი არ უნდა ჰქონდეს აჭარულ წითელყურძნიან ქოდასთან. მეტად საინტერესო იყო ამ ორი ჯიშის ერთმანეთთან შედარება ამპელოგრაფიული ნიშნების მიხედვით, მაგრამ ტოქას აღწერილობის უქონლობა ამის შესაძლებლობას არ გვაძლევს. აღ. მ. ბოტაძეს კი რაქა-ლეჩხუმის ჯიშების დახასიათებისას (8) ჯიში „ტოქა“ მოხსენებულიც არ აქვს.

აჭარული ქოდას მეტად მოკლე აღწერილობა მოცემულია ს. ტიმოფეევის შრომაში (22). დასახელებული ავტორი ქოდას აკუთვნებს აჭარულ წითელყურძნიან ვაზის ჯიშთა ჯგუფს.

გურიის, სამეგრელოსა და აჭარის რაიონებში ვაზის აბორიგენული ჯიშების შესწავლისას გამოირკვა, რომ ქოდი წარსულში მხოლოდ ზემო აჭარაში ყოფილა გავრცელებული. იგი ამჟამადაც მხოლოდ აქ მოიპოვება. სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის შემოჭრამდე ქოდი ამ მხარეში ფართო მასივების სახით ყოფილა წარმოდგენილი. მის მოსავალს ადგილობრივი მოსახლეობა ძირითადად ყურძნად ხმარობდა. ამჟამად ქოდას გავრცელების არეალი შესუსტებულია და ვინაიდან ვაზები მაღლარად აღზრდის გამო მოუვლელია, მათი მოსავლიანობაც ცვალებადია.

ბოტანიკური აღწერა. ზრდის კონუსი მომწვანო-იისფერია ოდნავ მოწითალო ელფერიტ და საკმაოდ სქლადაა შებუსვილი. ახლად გაშლილი პირველი ფოთოლი ღია მწვანეა, ოდნავ მოწითალო ელფერიტ, და ორივე მხრიდან სქლად არის დაფენილი ბეწვისებრი ბუსუსით. შემდგომ ფოთლებზე შებუსვა მცირდება.

ახალგაზრდა ყლორტი ღია მწვანეა, ცალ მხარეზე კი ოდნავ მოწითალო-იისფერია. მცირედაა შებუსვილი. შებუსვა უფრო ძლიერდება ყლორტის წვერისაკენ.

ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალო სიდიდისაა და საერთო მოყვანილობით მომრგვალო ან ოდნავ ოვალური. საკმაოდ ან მცირედ არის დანაკვეთილი. მისი საშუალო სიგრძე აღწევს 14.2 — 17.4 სმ-ს, სიგანე 14.5 — 16.6 სმ-ს.

ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ჩანგისებრია, მომრგვალო ფუძით. ამონაკვეთის ნაკვეთები სამი ძარღვისაგან შედგება. გვხვდება აგრეთვე ჩანგისებრი, მაგრამ წამახვილებული წვერით, და ისრისებრი თანასწორი გვერდებით.

ფოთლის ზედა ამონაკვეთი ღიაა და საკმაოდ ჩაჭრილი, თითქმის პარალელური გვერდებითა და ზოგჯერ ფუძეზე განვითარებული ერთი კბილით. გვხვდება აგრეთვე ღია ამონაკვეთი, მცირედ ჩაჭრილი კუთხით. ქვედა ამონაკვეთი მცირედაა ჩაჭრილი ან საკმაოდ შეჭრილი კუთხით ხასიათდება.

ფოთოლი სამ და იშვიათ შემთხვევაში ხუთნაკვთიანია. წვერის ნაკვთი ფოთლის ფირფიტასთან ქმნის ბლაგვ კუთხეს, იშვიათად — მახვილს.

ნაკვთთა წვერის კბილები სამკუთხედისებრია, წამახვილებული ან მომრგვალებული წვერით. იშვიათად ხერხებილა - სამკუთხედისებრია, ერთი მხრივ ამოზნექილი გვერდითა და მახვილი წვერით. მეორეული კბილები ისეთივე მოყვანილობისაა.

ფოთლის ქვედა მხარე ძლიერ მცირედ არის შებუსვილი. ზედა მხარე გლუვია ან ბადისებრად დანაკელებული. ფირფიტა ბრტყელია; გვხვდება ნაპირებით ქვემოთ ჩამოწეული ფოთლებიც.


მთავარი ძარღვები ძლიერ მცირედ არის შებუსვილი და მწვანეა, რაც ფუძესთან სუსტ ლენისფერში გადადის.

ფოთლის ყუნწის შეფარდება შუა მთავარ ძარღვთან უდრის 0.7 — 0.9 -ს. იგი შეიშველია და ღია მწვანე, რაც ფუძესთან იისფერში გადადის.

შემოსული რქა ღია ყავისფერია. მუხლები უფრო მუქად არის შეფერილი. რქას ზოლიანობა არ ახასიათებს. მუხლთშორისის სიგრძე აღწევს 6 — 14 სმ-ს.

ყვავილი ფუნქციონალურად მდედრობითია (სურ. 93).

დიდი მტევნის ყუნწის სიგრძე 2 — 3.5 სმ-ია, მტევნის სიგრძე — 13 — 15 სმ, სიგანე — 6 — 9 სმ. მტევანზე 70 — 80 ცალი მარცვალია. საშუალო მტევნის ყუნწის სიგრძე აღწევს 2 — 3 სმ-ს.



სურ. 93. ქოდის ყვავილი.

ნის სიგრძე — 10 — 12 სმ-ს, სიგანე — 5 — 6 სმ-ს. მტევანზე 35 — 60 ცალი მარცვალია. მტევანს ახასიათებს განტოტვა, რაც მტევნის სიგრძის 1/3 -ს აღწევს.

მტევანი ცილინდრულ-კონუსისებრია; გვხვდება უფორმო და განტოტვილი მტევნებიც. აგებულია მკვრივად, ზოგჯერ საშუალო სიმკვრივის. მტევნის ყუნწი და კლერტი ბალახისებრია და მწვანე.

მარცვლის ყუნწის სიგრძე საჯდომი ბალიშით აღწევს 4 — 5 მმ-ს, მწვანეა. საჯდომი ბალიში გლუვია ან დამეჭვებულ და განიერ-კონუსისებრი; გვხვდება ვიწრო-კონუსისებრიც. მარცვალი საჯდომზე საკმაოდ მტკიცედაა მიმაგრებული.

მსხვილი მარცვლის საშუალო სიგრძე 14 — 15.7 მმ-ია, სიგანე — 13 — 13.2 მმ. საშუალო მარცვლის საშუალო სიგრძე აღწევს 13 — 14.2 მმ-ს, სიგანე — 12 — 13 მმ-ს.

მარცვალი თითქმის შავია, საშუალო სიდიდის, მომრგვალო ან მკირედ ოვალური, შუა წელში უფრო განიერია, ბოლო მომრგვალებული აქვს და სიმეტრიულია. სქელკანიანია, საკმაოდ წვნიანი და ხორციანი, ჩვეულებრივი ტკბილი გემოთი. მარცვლის კანი ფიფქით (ცვილით) მკირედ არის დაფარული.

მარცვალში 1 — 4 ცალი წიპწაა, სქარბობს 2 წიპწა. წიპწის სიგრძე აღწევს 6 — 7 მმ-ს, სიგანე — 3 — 3.5 მმ-ს. ღია ყავისფერია, მუცლის მხარეზე ღარებში კი ოდნავ მოყვითალო. ქალაძა მოთავსებულია ზურგის მხარის შუა წელში. ფორმით მოგრძო-ოვალურია. ზურგის მხარე გლუვია. ნისკარტის სიგრძე უდრის 1.5 — 2 მმ-ს.

აგრობიოლოგიური და სამეურნეო დახასიათება. ხულოს რაიონის სოფ. ჩაოს ზონაში ქოდის სავეგეტაციო პერიოდის საერთო ხანგრძლიობა 238 დღემდე აღწევს. ვაზზე კვირტების გამოღვიძება იწყება 2 — 4 აპრილიდან. ყვავილობას იწყებს 10 — 12 ივნისიდან, ამთავრებს 23 — 25 ივნისამდე. ყურძნის შეთვალება იწყება აგვისტოს ბოლოს ან სექტემბრის დასაწყისში და მასობრივ სიმწიფეში შედის 20 — 25 ოქტომბრიდან. ფოთოლცვენას იწყებს 12 — 15 ნოემბრიდან, ამთავრებს დეკემბრის დასაწყისში.

ვაზს საშუალო ზრდა ახასიათებს. კარგი ამინდის პირობებში ვეგეტატიური ნაწილები სრულ მომწიფებას აღწევს ყურძნის მასობრივი სიმწიფის პერიოდშივე. რქები ამ დროისათვის ჯიშის დამახასიათებელ ელფერს ღებულობს.

ამინდის ხელსაყრელ პირობებში ქოდს საკმაოდ უხვი მოსავლიანობა ახასიათებს. ერთი ძირი მაღლარი ვაზის მოსავალი 25 — 40 კგ-მდე აღწევს. რქაზე უფრო ხშირად ორი მტევანია განვითარებული. ზოგჯერ სამიც. ვაზის ძველი ნაწილებიდან წარმოშობილი ყლორტები მოუსავლიანია.

წარმოებული დაკვირვება ცხადყოფს, რომ აღნიშნული ჯიში რაოდენობრივად მეტს და ხარისხობრივად უფრო მაღალი ღირსების პროდუქციას იძლევა სამხრეთისაკენ მიმართულ, მზით უხვად

განათებულ ფერდობებზე (აქარისწყლის ხეობის მარჯვენა მხარე) და ამიტომ მისი შემდგომი გავრცელება სწორედ ამ ზონაში უნდა იქნეს წარმოებული.

სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ იგი მეტად სუსტ გამძლეობას იჩენს.

სამეურნეო დანიშნულებით ქოდი ადგილობრივი მნიშვნელობის სუფრის ყურძნის ჯიშია. მისი პროდუქტია წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული აგრეთვე ადგილობრივი მოხმარების ორდინარული ტიპის ღვინოების დასამზადებლად.

ვაზზე დატოვებული ყურძენი დეკემბრამდე ძლებს, ხოლო დაკრეფილი, როგორც გადსხვავებულ, მთელ ზამთარს ინახება.

ყურძნის მექანიკური ანალიზების მიხედვით ქოდის მტევნის საშუალო წონა 98 გრამია. 100 მარცვლის წონა 149 გრამამდე აღწევს, აქედან კანი შეადგენს 14.1 გრამს. 100 მარცვალში 230 ცალამდე წიპწაა, წონით 8.6 გრამი. კლერტის საშუალო წონა 5.1 გრამია, ხოლო წვეწის გამოსავალი 74%-ს შეადგენს.

მწიფე ყურძენში შაქარი აღწევს 18%-ს, ხოლო საერთო მეთვიანობა 9.2%-ს (სოფ. ჩაო).

ქოდი ყურადღებას იპყრობს როგორც ამორიგენული ასორტიმენტი თავისი მოსავლიანობითა და ყურძნის საკმაოდ მაღალი გემური თვისებებით; ამავდროს იგი საუკუნეთა განმავლობაში აღზრდილი და აკლიმატიზებულია აქარის ეკოლოგიურ პირობებში, რის გამოც მისი ფართოდ დანერგვანამყენების სახით მიზანშეწონილად მიგვაჩნია შუა და ზემო აქარის რაიონებში, განსაკუთრებით აქარისწყლის ხეობის მარჯვენა ზონაში.

Ч О Д И

Листья средней величины, длиной 14.2 — 17.4 см и шириной 14.4 — 16.6 см; округлые или слегка - овальные.

Черешковая выемка лировидная, с округлым или острым дном.

Верхние вырезки открытые и довольно разрезные, почти с параллельными сторонами и с острым или округлым дном; иногда открыты в виде входящего угла. Нижние вырезки слабо намечены; реже расположены в виде входящего угла.

Лист трехлопастный. Угол оконечной лопасти тупой, реже острый.

Оконечные зубцы лопастей треугольные, с острой или округлой вершиной; встречаются также треугольно - пилovidные, односторонне - выпуклые и с острой вершиной. Вторичные зубцы сходны с оконечными зубцами лопастей.

Поверхность листа гладкая или сетчато-морщинистая; плоская, края листьев иногда отогнуты вниз. Пластинка листа покрыта снизу редким паутинисто-волоконистым пушком.

Отношение черешка к длине среднего нерва 0.7 — 0.9; черешок голый и светлозеленого цвета, переходящего у основания в фиолетовый.

Плодоносные побеги светлозеленые. Узлы окрашены темнее. Длина междоузлий достигает 6 — 14 см.

Цветы функционально женские.

Появление первых признаков созревания винограда в окрестностях Хуло наблюдается в начале сентября; массовое созревание наступает с 20 — 25 октября.

Длина ножки грозди 2 — 3.5 см, длина грозди — 10 — 15 см, ширина — 5 — 9 см. Количество ягод на грозди от 35 до 80 шт.

Общая форма грозди цилиндрическо-коническая; иногда бесформенная и ветвистая; рыхлая, реже — средней плотности. Ножка грозди с гребнем травянистая, зеленого цвета.

Ножка ягоды с подушечкой 4 — 5 мм.; сама ножка зеленая; подушечка гладкая, иногда бородавчатая и широко-коническая, реже узко-коническая.

Ягода черная, средней величины, длиной 13 — 15.7 мм и шириной 12 — 13.2 мм; округлая или слегка овальная. Посередине широкая, у конца округлая. Кожица толстая, мякоть довольно сочная и мясистая, с обыкновенным сладким вкусом.

Количество семян в ягоде 1 — 4 шт, чаще 2. Длина семени 6 — 7 мм, ширина 3 — 3.5 мм, светло-коричневая. Халаза овальная. Длина клюва достигает 1.5 — 2 мм.

Чоди — довольно урожайный столово-винный сорт местного значения. Виноград, оставшийся на лозах, сохраняется до декабря. В настоящее время продукция данного сорта используется, главным образом, для приготовления бекмеза и бадаги; виноград употребляется и в свежем виде.

Встречается в единичных экземплярах в виде „маглари“ в Хулойском районе в сел. Чао и Фуртио, а также в окрестностях самого Хуло.



ჭაფი — Чоди



ჩ ხ უ შ ი

ჩხუში აქარის წითელყურძნიანი ვაზის აბორიგენული ჯიშია. იგი გავრცელებულია მადლიარების საბით ქედის რაიონში, სოფ. სიხალიძეებისა და ასამბაძეების მიდამოებში.

აკად. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით (1), აქარაში ყოფილა გავრცელებული თეთრყურძნიანი ჩხუშიც. ჩვენ კი რვა წლის განმავლობაში წარმოებული კვლევის შედეგად აქარის რაიონში აღმოვაჩინეთ შივი ჩხუში ვიპოვეთ, რომელსაც აქვე ვახასიათებთ.

ბოტანიკური აღწერა და სამეურნეო დახასიათება. კვირტები გაშლის პერიოდში მოწითალო-იისფერია და სქლადაა დაფარული მონაცრისფრო-თეთრი ბუსუსით. ზრდის კონუსი მომწვანო-მოწითალოა და ქეჩისებრადაა დაფენილი მონაცრისფრო-თეთრი ბუსუსით. ახლად გაშლილი პირველი ფოთოლი ზედა მხრიდან მომწვანო-იისფერია, მოწითალო ელფერით, და ქეჩისებრადაა დაფარული ბეწვისებრი ბუსუსით. ქვედა მხარის შებუსვაც ქეჩისებრია. პირველი ფოთლის მომდევნო მეორე ნორჩი ფოთლის ზედა მხარე საკმაოდ შებუსვილი მოწითალო ბუსუსით. ქვედა მხრიდან კი შებუსვა ქეჩისებრია და ბუსუსი მონაცრისფრო-თეთრი. მესამე ნორჩი ფოთოლი ზედა მხრიდან მომწვანოა მოწითალო ელფერით, და მცირედ არის შებუსვილი. მისი ქვედა მხარე ქეჩისებრია და ბუსუსი მოთეთრო-ნაცრისფერი.

ახალგაზრდა ყლორტი ღია მწვანეა და მცირედაა შებუსვილი მონაცრისფრო-თეთრი ბეწვისებრი ბუსუსით.

შემოსული რქა საშუალო სიმსხოსია და მოწაბლისფრო. მუხლები უფრო მუქად არის შეფერილი. მუხლთშორისის სიგრძე აღწევს 8 — 14 სმ-ს.

ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალო ან საშუალოზე დიდია. საერთო მოყვანილობით ოვალურია. საკმაოდ ან საკმაოზე მეტადაა დანაკვეთილი. ფირფიტის საშუალო სიგრძე 17.5 — 21.5 სმ-ია, სიგანე — 16.2 — 18.7 სმ.

ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ისრისებრია, მახვილი ფუძით. ამონაკვეთის კიდურები შედგება სამი ძარღვისაგან, ან ასევე ისრისებრია მომრგვალო ფუძით. იშვიათად გვხვდება კვადრატული მოყვანილობის თაღისებრი ამონაკვეთი.

ფოთლის ზედა ამონაკვეთი ღიაა და ღრმად ჩაქრილი, მახვილი ან მომრგვალო ფუძით, ზოგჯერ დახურული, განიერ-ელიფსური ნასვრეტით. გვხვდება აგრეთვე ღია ამონაკვეთი, მხოლოდ საკმაოდ ჩაქრილი. ქვედა ამონაკვეთი მცირედ არის ჩაქრილი ან საკმაოდ შექრილი კუთხით ხასიათდება.

ფოთოლი სამ და იშვიათად ხუთნაკვეთიანია. წვერის ნაკვეთი ფოთლის ფირფიტასთან ქმნის ბლავგ კუთხეს, იშვიათად — მახვილს.

ნაკვეთთა წვერის კბილები ღრმა სამკუთხედისებრია, წამახვილებული ან მომრგვალებული წვერით, ან ხერხკბილა-სამკუთხედისებრია; გვხვდება აგრეთვე ასევე ხერხკბილა-სამკუთხედისებრი, მხოლოდ ერთი მხრივ ამოზნექილი გვერდით. მეორეული კბილებიც ასეთივე მოყვანილობისაა.

ფირფიტის დაკბილვის ინტენსივობით, ჩხუში მკვეთრად განსხვავდება დასავლეთ საქართველოში გავრცელებულ ვაზის ჯიშებისაგან.

ფოთლის ქვედა მხარე ქეჩისებრია. მისი ზედაპირი გლუვია და უფრო ხშირად ბრტყელი. გვხვდება ძაბრისებრ-ღარისებრად მოხრილი ფოთლებიც.

მთავარი ძარღვები საკმაოდ არის შებუსვილი და ღია მწვანეა.

ფოთლის ყუნწის შეფარდება შუა მთავარ ძარღვთან უდრის 0.8 — 1.0-ს. იგი მცირედ არის შებუსვილი და ღია მწვანეა, რაც ფუძესთან იისფერში გადადის.

ქედის რაიონში ყვავილობა იწყება 8 — 9 ივნისიდან და 20 ივნისამდე მთავრდება. ყვავილი ორსქესიანია, მხოლოდ ფუნქციონალურად მდედრობითი. მასში 5 მტვრიანაა, იშვიათად გვხვდება 4 და 6 მტვრიანაც. ყვავილედში ყვავილების რიცხვი 340 ცალამდე აღწევს (სურ. 95).


ყურძნის შეთვალემა იწყება სექტემბრის პირველი რიცხვებიდან; მასობრივ სიმწიფეში შედის ნოემბრის პირველი რიცხვებიდან.

დიდი მტევნის ყუნწის სიგრძე აღწევს 3 — 4 სმ-ს, მტევნის სიგრძე — 13 — 14 სმ-ს, სიგანე — 7 — 7.5 სმ-ს. მტევანზე 40 — 60 ცალი მარცვალია. საშუალო მტევნის ყუნწის სიგრძე 4 — 5 სმ-ია, მტევნის სიგრძე — 11 — 12 სმ, სიგანე — 5 — 6 სმ. მტევანზე 25 — 40 ცალი მარცვალია.

მტევანი თითქმის ცილინდრულია და განტოტვილი. მასობრივად ახასიათებს ფრთხილყოფილებით თხელია. მისი საშუალო წონა 126 გრამამდე აღწევს. მტევნის ყუნწი და თვით კლერტი მასობრივად და მწვანე.

მარცვლის ყუნწის სიგრძე საჯდომი ბალიშით აღწევს 6 — 7 მმ-ს, მწვანეა. საჯდომი ბალიშით გლუვია და ვიწრო-კონუსისებრი. მარცვალი საჯდომ ბალიშზე საკმაოდ მტკიცედ არის მიმაგრებული.

მსხვილი მარცვლის საშუალო სიგრძე 17 — 18.5 მმ-ია; სიგანე — 16.4 — 17.2 მმ, საშუალო მარცვლის საშუალო სიგრძე აღწევს 14.5 — 16 მმ-ს, სიგანე — 14 — 15.4 მმ-ს.



სურ. 95. ჩხუშის ყვავილი.

მარცვალი თითქმის შავია, საშუალო სიდიდის, მომრგვალო ან ოდნავ ოვალური, შუა წელში უფრო განიერი და სიმეტრიულია. საკმაოდ სქელკანიანია, უფრო წვნიანი და მკირედ ხორციანი, უბრალო გემოთი. ხორცი საკმაოდ არის შეღებილი პიგმენტით. კანი ფიფქით (ცილით) მკირედ არის დაფარული.

მარცვალში 1 — 4 ცალი წიპწაა, სკარბობს 2 წიპწა. 100 მარცვალში საშუალოდ 180 — 190 ცალი წიპწაა. წიპწის სიგრძე აღწევს 6 — 7 მმ-ს, სიგანე — 3.5 — 4.0 მმ-ს. ყვეისფერია, მუცლის მხარეს ღარებში კი — მოჩაღისფრო. ქალაძა მოთავსებულია ზურგის მხარის შუა წელში; ფორმით ოვალურია და ძლიერ კარგადაა გამოსახული. ზურგის მხარე გლუვია. ნისკარტის წვერი მუქი-მოყვანისფერია. მისი სიგრძე აღწევს 1.5 — 2 მმ-ს.

ჩხუში საშუალო ზრდა-განვითარების ვაზია. თუ კარგი ამინდი დაუდგა, საკმაოდ უხვი მოსავლიანობა ახასიათებს, მხოლოდ პროდუქციის ხარისხი დაბალია.

სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ სუსტ გამძლეობას იჩენს.

სამეურნეო თვალსაზრისით ჩხუში ფართო ინტერესს მოკლებულია. მისი გაშენება დასაშვებად მიგვაჩნია მხოლოდ საკოლექციო და ჯიშთა გამოსაცდელ ნაკვეთებში შემდგომ დაკვირვებათა საწარმოებლად.

Ч Х У Ш И

Листья средней величины или крупные, длиной 17.5 — 21.5 см и шириной 16.2 — 18.7 см, овальные. Довольно разрезные.

Черешковая выемка стрельчатая, с острым дном или опять стрельчатая, но с округлым дном. Лопать черешковой выемки состоит из трех нервов. Встречается, но реже сводчатая выемка квадратной формы.

საქართველოს
საბჭოთავო ენციკლოპედია



ჩხუში — Чхуши

Верхние вырезки открытые и глубокие, почти с параллельными сторонами и с округлым дном, либо расположены в виде входящего угла. Встречаются также закрытые вырезки с широко эллиптическим просветом. Нижние вырезки слабо намечены, реже расположены в виде входящего угла.

Лист трех и реже пятилопастный. Угол оконечной лопасти тупой, реже острый.

Оконечные зубцы лопастей треугольные, с заостренной вершиной или пилевидно-треугольные. Вторичные зубцы по форме сходны с оконечными.

Поверхность листа гладкая, чаще плоская, реже воронковидно-желобчатая. Пластинка листа покрыта снизу густым войлочным покровом.

Отношение черешка к длине среднего нерва 0.8—1.0; черешок слабо покрыт паутинообразным волокном и светлозеленого цвета, переходящего у основания в фиолетовый.

Цветы функционально женские.

Плодоносные побеги средней толщины, каштанового цвета. Узлы окрашены темнее. Длина междоузлий достигает 8—14 см.

Появление первых признаков созревания винограда наблюдается в начале сентября; массовое созревание наступает с 1 ноября.

Длина ножки грозди 3—5 см, длина грозди 11—14 см, ширина—5—7.5 см. Количество ягод на грозди до 60 шт.

Общая форма грозди почти цилиндрическая, иногда ветвистая. Рыхлая, реже средней плотности. Средний вес грозди достигает 126 гр.

Длина ножки ягоды с подушечкой 6—7 мм; зеленого цвета. Подушечка гладкая и узко-коническая.

Ягода черная, средней величины, длиной 14.5—18.5 мм и шириной 14—17.2 мм; округлая или слегка овальная и симметричная; кожица довольно толстая; мякоть более сочная и мало мясистая, с простым вкусом.

Количество семян в ягоде 1—4 шт, чаще 2. Длина семени 6—7 мм, ширина 3.5—4.0 мм. Халаза овальная; спинная сторона гладкая. Длина клюва 1.5—2 мм.

Чхуши—довольно урожайный сорт. Столетние его экземпляры, встречающиеся в большем количестве в виде „маглари“ в Кедском районе, только в редких случаях дают урожай, ввиду того, что очень легко подвержены грибным заболеваниям. Сорт этот не представляет интереса, поскольку дает материал ниже среднего качества.

ღ ვ ა ნ უ რ ა

ღვანურა წითელყურძნიანი საღვინე ჯიშია. გავრცელებულია ერთეული ძირების სახით ხულოს რაიონში, სოფ. ჩაოლ, ფურთიოსა და სხალთას მიდამოებში.

წერილობითი ცნობები ჩვენში ვაზის ამ ჯიშის არსებობის შესახებ არ მოიპოვევით. აღმოჩენილი მოხუც პირთა გადმოცემით ირკვევა, რომ იგი წარსულში საკმაოდ ფართოდ ყოფილა გავრცელებული ზემო აქარის სოფლებში და მის მოსავალს ძირითადად ყურძნად ხმარობდნენ. ზოგ შემთხვევაში ამზადებდნენ აგრეთვე შესქელებულ ყურძნის წვენსაც საზამთროდ.

სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის მოქმედების შედეგად ღვანურას მალღარები ამჟამად თითქმის განადგურებულია. გადარჩენილი ვაზები მეტად მობერებულია და მალღარად აღზრდის გამო სათანადო მოვლასაც მოკლებული. ამის გამო იგი დამაკმაყოფილებელ მოსავალს მხოლოდ ამინდის ხელსაყრელ პირობებში იძლევა.

ბოტანიკური აღწერა. კვირტები გაშლის პერიოდში ღია მწვანეა, მოთეთრო-მონაცრისფრო ან მცირეოდნად მოწითალო ელფერით. ზრდის კონუსი მომწვანო-იისფერია და გადაჰკრავს მოწითალო ფერი. დაფარულია სქლად მონაცრისფრო-თეთრი ბუსუსით. ახლად გაშლილი პირველი ფოთოლი ზედა მხრიდან მომწვანოა, მოწითალო ელფერით, და სქლადაა დაფარული მონაცრისფრო-თეთრი ბუსუსით. ასეთივე შებუსვა ახასიათებს მის ქვედა მხარეს. პირველი ფოთლის მომდევნო მეორე და მესამე ნორჩი ფოთოლი ზედა მხრიდან მომწვანო-იისფერია, მოწითალო ელფერით; სტარბობს მოწითალო-იისფერი, და საკმაოდაა დაფარული მონაცრისფრო ბუსუსით. ქვედა მხარე მომწვანო-წითელია და ახასიათებს მცირეოდენი შებუსვა, რაც შემდგომ მომდევნო ფოთლებზე თანდათანობით მცირდება.

ახალგაზრდა ყლორტი მრგვალია და ღია მწვანე. ცალ მხარეზე ახასიათებს მცირეოდენი სიწითლე. საკმაოდ სქლადაა შებუსვილი მონაცრისფრო ბეწვისებრი ბუსუსით.

შემოსული რქა ღია ყავისფერია; მუხლებიც ასეთივე ფერისაა. მუხლთშორისის სიგრძე აღწევს 6 - 12 სმ-ს.

ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალოზე მცირეა და საერთო მოყვანილობით მომრგვალო ან ოდნავ განივ-ოვალურია. მცირედ არის დანაკვთული. ფოთლის საშუალო სიგრძე 10.7 — 13.8 სმ-ია, სიგანე — 11.0 — 13.9 სმ.

ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ჩანგისებრია, სამი ძარღვისაგან შედგება და მომრგვალო ფუძე ახასიათებს. გვხვდება აგრეთვე განიერ-ისრისებრი ამონაკვეთები, მომრგვალო ფუძით.

ფოთლის ზედა ამონაკვეთი მცირედ არის ჩაჭრილი. იშვიათად გვხვდება ნასვრეტისებრი და საკმაოდ ჩაჭრილი ამონაკვეთები. ქვედა ამონაკვეთი ძლიერ მცირედ არის ჩაჭრილი.

ფოთოლი სამნაკვეთიანია. წვერის ნაკვეთი ფოთლის ფირფიტასთან ქმნის ბლაგვ კუთხეს.

ნაკვეთთა წვერის კბილები სამკუთხედისებრია, წამახვილებული ან მომრგვალებული წვერით, ან ასევე სამკუთხედისებრი, ამოზნექილი გვერდებითა და მახვილი წვერით. გვხვდება აგრეთვე ხერხკბილასამკუთხედისებრი მოყვანილობის კბილები. მეორეული კბილები სამკუთხედისებრია, მახვილი ან მომრგვალო წვერით.

ფოთლის ქვედა მხარე მცირედ არის შებუსვილი. ზედა მხარე გლუვია. ფირფიტა ბრტყელია ან ძაბრისებრ-ღარისებრად არის მოხრილი.

მთავარი ძარღვები მცირედ არის შებუსვილი და ღია მწვანეა.


ფოთლის ყუნწის შეფარდება შუა მთავარ ძარღვთან უდრის 0.7 — 0.9-ს. იგი შიშველია და ღია მწვანე, რაც ფუძესთან იისფერში გადადის.

ყვავილი ორსქესიანია, ნორმალურად განვითარებული მტვრიანებით და ბუტკოთი. ყვავილში 5 მტვრიანაა, გვხვდება 4 და იშვიათად 6 მტვრიანაც. ყვავილედში ყვავილების რიცხვი 350 ცალამდე აღწევს (სურ. 97).

დიდი მტევნის ყუნწის სიგრძე 3.5 — 4 სმ-ია, მტევნის სიგრძე — 12 — 15 სმ, სიგანე — 6 — 8.5 სმ. მტევანზე 60 — 70 ცალი მარცვალია. საშუალო მტევნის ყუნწის სიგრძე აღწევს 3.5 — 4.5 სმ-ს, მტევნის სიგრძე — 10 — 11 სმ-ს, სიგანე — 5 — 5.5 სმ-ს. მტევანზე 30 — 40 ცალი მარცვალია. მტევნის ზედა ნაკვეთის სიგრძე ხშირად მტევნის სიგრძის $\frac{2}{3}$ უდრის.

მტევანი უფორმო, განტოტვილი და თხელია; გვხვდება ცილინდრული მოყვანილობის მტევანებიც. მტევნის ყუნწი და თვით კლერტი ბალახისებრია და მწვანე.

მარცვლის ყუნწის სიგრძე საჯდომი ბალიშით აღწევს 4 — 5 მმ-ს; მწვანეა. საჯდომი მარცვლის დამეკვებელია და განიერ-კონუსისებრი. მარცვალი საჯდომზე საკმაოდ მტკიცედ არის მიმაგრებული.



სურ. 97. ღვანურას ყვავილი.

მსხვილი მარცვლის საშუალო სიგრძე აღწევს 15 — 17 მმ-ს, სიგანე — 14.6 — 16.8 მმ-ს. საშუალო მარცვლის საშუალო სიგრძე 13 — 14.6 მმ-ია, სიგანე — 13 — 14 მმ.

მარცვალი თითქმის შავია, საშუალო სიდიდის; ფორმით მომრგვალო ან ოდნავ ოვალურია, შუა წელში უფრო განიერი, ბოლო მომრგვალებული აქვს და სიმეტრიულია. სქელკანიანია, მეტად წვნიანი და ნაკლებ ხორციანი, ჩვეულებრივი ტკბილი გემოთი. მარცვლის კანი ფიფქით (ცვილით) მცირედ არის დაფარული.

მარცვალში 1 — 4 ცალი წიპწაა, სკარბობს 2 წიპწა. წიპწის სიგრძე აღწევს 6 — 6.5 მმ-ს, სიგანე — 3.5 — 4 მმ-ს. ღია ყავისფერია, ხოლო მუცლის მხრიდან ღარებში მოყვითალოა. ქალაძა მოთავსებულია ზურგის მხარის შუა წელში. მომრგვალო ან ოდნავ ოვალურია. ნისკარტის წვერი მოყვანისფერია, თვით ნისკარტი კი ორივე მხრიდან მოყვითალო-ჩალისფერია. მისი სიგრძე აღწევს 1 — 1.5 მმ-ს.

აგრობიოლოგიური და სამეურნეო დახასიათება. ხულოს რაიონის სოფ. დეკანაშვილების ზონაში, ღვანურას სავეგეტაციო პერიოდი კვირტების გამოღვიძებიდან ფოთოლცვენის დამთავრებამდე 235 დღეს უდრის. კვირტების გამოღვიძება იწყება 4 — 5 აპრილიდან. ყვავილობის პირველი ნიშნები ემჩნევა 15 — 16 ივნისიდან და მთავრდება 25 ივნისამდე. ყურძენი შეთვალვას იწყებს სექტემბრის პირველიდან და მასობრივ სიმწიფეში ოქტომბრის ბოლო რიცხვებში შედის.

ვაზს საშუალო ზრდა ახასიათებს. რქები სრულ სიმწიფეს აღწევს ყურძნის მასობრივი მწიფობის პერიოდშივე და ამ დროისათვის ღებულობს ჯიშის დამახასიათებელ ელფერს.

სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ ღვანურა სუსტ გამძლეობას იჩენს და ცუდ ამინდებში მისი მწვანე ნაწილები ავადდება კრაქით. ამის შედეგად ფოთლების ნაადრევად დაცვენის გამო რქები წვერისაკენ ველარ ასწრებს მომწიფებას და ზამთრის ყინვების გავლენით იღუპება.

სოფ. დეკანაშვილების ზონაში ღვანურა საკმაოდ უხვ მოსავალს იძლევა, მაგრამ მიღებული პროდუქციის ღირსება მდარეა. ეს აიხსნება ვაზისათვის ამ ადგილმდებარეობის სრული შეუფერებლობით. სოფ. აღმესა და ფურთიოს მიდამოებში ნაკვეთების მზის სხივებით უკეთ განათების შედეგად მისი პროდუქცია საკმაოდ მაღალი ღირსებისაა. მისი შემდგომი გავრცელება უნდა წარმოებდეს სამხრეთით მიმართულ, მზით უხვად განათებულ ფერდობებზე.

ყურძნის მექანიკური ანალიზების მიხედვით ღვანურას მტევნის საშუალო წონა 130 გრამს უდრის. 100 მარცვლის წონა 178 გრამია, აქედან კანი 13.1 გრამს შეადგენს. 100 მარცვალში 245 ცალამდე

წიპწაა, წონით 7.0 გრამი. კლერტის საშუალო წონა 6.1 გრამს უდრის, ხოლო წვენის გამოსავალი 79.1%-ს აღწევს.

ყურძნის სრული მწიფობის პერიოდში შაქრიანობა მასში 18.2%-ია, საერთო მჟავიანობა 10.1%-ს არ აღემატება.

სამეურნეო დანიშნულებით ღვანურა საღვინე ჯიშია. ყურძნის გემური და ორგანოლექტიური მაჩვენებლების მიხედვით მისგან შეიძლება დამზადდეს ადგილობრივი მოხმარების ორდონაქტიური ტიპის ღვინო. გარდა ამისა იგი წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული ყურძნის წვენის დასამზადებლადაც. ყურძენი არ ინახება და ამავე დროს შორეულ ტრანსპორტს ვერ იტანს.

ღვანურა ფართო ღირებულებას მოკლებულია; ამიტომ მისი აღდგენა და გაშენება დასაშვებად მიგვაჩნია სხვა საინტერესო ვაზის ადგილობრივ ჯიშებთან შერევით, აგრეთვე საკოლექციო და ჯიშთა გამოსაცდელ ნაკვეთებში, — შემდგომ დაკვირვებათა საწარმოებლად.

Г В А Н У Р А

Листья меньше средней величины, длиной 10.7 — 13.8 см и шириной 11.0 — 13.9 см, округлые или слегка поперечно-овальные.

Черешковая выемка лировидная с округлым дном. Встречается также широко стрельчатой формы, с округлым дном. Лопasti черешковой выемки состоят из трех нервов.

Верхние вырезки слабо намечены; иногда щелевидные и расположены в виде входящего угла. Нижние вырезки едва намечены.

Лист трехлопастный. Угол оконечной лопасти тупой.

Оконечные зубцы лопастей треугольные с заостренной или округлой вершиной или треугольные, но с выпуклыми сторонами и острой вершиной. Вторичные зубцы треугольные, с острой или округлой вершиной.

Поверхность листа гладкая и плоская, иногда воронковидно-желобчатая; пластинка листа снизу покрыта тонким паутинистоволосистым покровом.

Отношение черешка к длине среднего нерва 0.7 — 0.9; черешок голый и светлозеленого цвета, переходящего у основания в фиолетовый.

Плодоносные побеги светлокорицевого цвета, средней толщины. Длина междоузлий достигает 6 — 12 см.

Цветы обоеполые.

Появление первых признаков созревания винограда наблюдается с наступлением сентября; массовое созревание начинается в конце октября.

Длина ножки грозди 3.5 — 4.5, длина грозди — 10 — 15 см, ширина — 5 — 8.5 см. Количество ягод на грозди от 30 до 70 шт.

Гроздь бесформенная, ветвистая, иногда цилиндрическая и рыхлая. Средний вес достигает 130 гр.

Длина ножки ягоды с подушечкой составляет 4 — 5 мм; ножка зеленая. Подушечка бородавчатая и широко-коническая.

Ягода почти черная, средней величины, длиной 13 — 17 мм и шириной 13 — 16.8 мм; округлая, посередине широкая и симметричная. Кожица толстая, мякоть более сочная и мясистая, с обыкновенным простым вкусом.

Количество семян в ягоде 1 — 4 шт, чаще 2. Длина семени 6 — 6.5 мм, ширина — 3.5 — 4 мм; семя светлокорицевого цвета. Халаза округлая или слабо овальная. Длина клюва достигает 1 — 1.5 мм.

Гванура — довольно урожайный сорт. Население готовит из него главным образом, сгущенный виноградный сок. Виноград не сохраняется. Данный сорт особого интереса не представляет, так как дает продукцию невысокого качества. От грибных болезней сильно страдает. В настоящее время указанный сорт встречается в единичных экземплярах в Хулойском районе, в сел. Фуртио, Схалта, Чао, а также в окрестностях самого Хуло.



საქართველო
სოციალისტური
რესპუბლიკა

ღვინის — გვანურა

ჭ ი პ ა კ უ რ ი

ჭიპაკური აქარაში გავრცელებული წითელყურძნიანი საღვინე ჯიშია.

წერილობითი ცნობები ჩვენში, კერძოდ აქარაში, ვაზის ამ ჯიშის წარმოშობისა და გავრცელების შესახებ არ არსებობს. ადგილობრივ მოხუც პირთა გადმოცემით ირკვევა, რომ იგი როგორც შედარებით საადრეო, წარსულში ფართოდ ყოფილა მაღლარების სახით გავრცელებული შუა აქარის სოფლებში. ადგილობრივი მოსახლეობა მის მოსავალს ძირითადად ყურძნად ხმარობდა, ზოგ შემთხვევაში კი ამზადებდა ყურძნის წვენს ან ბეჭმეზს საზამთროდ.

ამჟამად ჭიპაკურის გავრცელების არეალი მეტად შეზღუდულია. მისი ერთეული ძირები მაღლარის სახით გვხვდება მხოლოდ ქედის რაიონში, სოფ. ვაიოს ზონაში. ვაზები მეტად ხნოვანია; ამასთანავე, მაღლარად აღზრდის გამო სათანადო მოვლასაც მოკლებულია. ამიტომ მოსავალი და პროდუქციის ღირებაც ამინდის პირობებზეა უშუალოდ დამოკიდებული.

ბოტანიკური აღწერა. ზრდის კონუსი ღია მწვანეა, მოწითალო ელფერით, და სქლად არის შებუსვილი. ახლად გაშლილი პირველი ფოთოლი ღია მწვანეა, ნაპირებზე მოწითალო ელფერით და ორივე მხრიდან დაფარულია მოთეთრო ბეწვისებრი ბუსუსით. მომდევნო მეორე და მესამე ფოთოლზე ზედა მხრიდან შებუსვა მცირდება, ქვედა მხრიდან კი საკმაოდ სქლად არის დაფარული მონაცრისფრო-თეთრი ბეწვისებრი ბუსუსით. შემდგომ ფოთლებზე შებუსვა თანდათან მცირდება.

ახალგაზრდა ყლორტი ღია მწვანეა, ცალ მხარეზე ოდნავ მოიისფრო ელფერით. მცირედაა შებუსვილი. შებუსვა უფრო მატულობს ყლორტის წვერისაკენ.

შემოსული რქა საშუალო სიმსხოსია (8 — 10 მმ) და მომრგვალო. ღია ყავისფერია. მუხლები უფრო მუქად არის შეფერილი. მუხლთშორისის სიგრძე აღწევს 7 — 12 სმ-ს.

ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალო სიდიდისაა და საერთო მოყვანილობით მომრგვალო ან ოდნავ ოვალურია. მისი საშუალო სიგრძე 13.9 — 15.0 სმ-ია, სიგანე — 13.5 — 14.5 სმ.

ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ჩანგისებრია, მომრგვალო ფუძით. ნაკვეთი შედგება სამი ძარღვისაგან ან განიერ ელიფსურია ოთხი ძარღვისაგან შემდგარი, ურთიერთზე მიახლოებული ნაპირებით. გვხვდება აგრეთვე ღია ამონაკვეთი ფუძეზე განვითარებული ერთი კბილით.

ზედა ამონაკვეთი მცირედ ან საკმაოდაა ჩაქრილი, მომრგვალო ფუძით და მიახლოებული ნაპირებით. ქვედა ამონაკვეთი ძლიერ მცირედ არის ჩაქრილი. იშვიათად საკმაოდ შექრილი კუთხით ხასიათდება. ფოთოლი საშნაკვეთიანია. წვერის ნაკვეთი ფოთლის ფირფიტასთან ბლაგვ კუთხეს ქმნის.

ნაკვეთა წვერის კბილები სამკუთხედისებრია, მომრგვალებული წვერით ან ხერხკბილა-სამკუთხედისებრი; გვხვდება აგრეთვე სამკუთხედისებრი კბილები, ამოხნეკილი გვერდებითა და წამახვილებული წვერით. მეორეული კბილები სამკუთხედისებრია, წამახვილებული წვერით, ან ასევე სამკუთხედისებრი, ამოხნეკილი გვერდებითა და წამახვილებული წვერით.

ფოთლის ქვედა მხარე საკმაოდ შებუსვილია, ზედა მხარე კი გლუვია ან ბადისებრად დანაოჭებული. ფირფიტა ბრტყელია ან ძაბრისებრ-ღარისებრად არის მოხრილი.

მთავარი ძარღვები შებუსვილია და ღია მწვანე.

ფოთლის ყუნწის შეფარდება შუა მთავარ ძარღვთან უდრის 0.7 — 1.0-ს. იგი შიშველია და ღვინისფერია, რაც ფუძესთან იისფერში გადადის.

ყვავილი ორსქესიანია. მტვრიანები და ბუტკო ნორმალურად არის განვითარებული. ყვავილში 5 და 4 მტვრიანაა, ზოგჯერ კი 6 და 7. ყვავილედში ყვავილების რიცხვი 190 — 280 ცალამდე აღწევს.

ღიმი მტევნის ყუნწის სიგრძე 3.5 — 5 სმ-ია, მტევნის სიგრძე — 13 — 15 სმ, სიგანე — 7 — 8.5 სმ. მტევანზე 80 — 120 ცალი მარცვალია. საშუალო მტევნის ყუნწის სიგრძე აღწევს 3 — 4.5 სმ-ს, მტევნის სიგრძე — 10 — 12 სმ-ს, სიგანე — 5.5 — 6.5 სმ-ს. მტევანზე 60 — 75 ცალი მარცვალია.

მტევანი ცილინდრული ან იშვიათად ცილინდრულ-კონუსისებრია. საშუალო სიმკვრივისაა ან მკვრივი. მტევნის ყუნწი და კლერტი ბალახისებრია და მწვანე.

მარცვლის ყუნწის სიგრძე საჯდომი ბალიშით აღწევს 5 — 6 მმ-ს; მწვანეა. საჯდომი ბალიში გლუვია და ვიწრო-კონუსისებრი. მარცვალი საჯდომ ბალიშზე ძლიერ სუსტად არის მიმაგრებული.

მსხვილი მარცვლის საშუალო სიგრძე აღწევს 15 — 18 მმ-ს, სიგანე — 14.2 — 16.5 მმ-ს. საშუალო მარცვლის საშუალო სიგრძე 13 — 14.5 მმ-ს, სიგანე — 12 — 13.5 მმ.

მარცვალი ღია წითელია, საშუალო სიდიდისაა. მრგვალია ან ოდნავ ოვალური, შუა წელში უფრო განიერია, ბოლო მომრგვალებული აქვს და სიმეტრიულია. თხელკანიანია, მეტად წვენიანი და სუნიანი ხორციანი. მარცვლის კანი ფიფქით (ცვილით) უხვად არის დაფენილი.

მარცვალში 1 — 3 ცალი წიპწაა, სქარბობს 1 წიპწა. წიპწის სიგრძე აღწევს 6.5 — 8 მმ-ს, სიგანე — 3.5 — 4 მმ-ს. ღია ყავისფერია. ქალაძა მოთავსებულია ზურგის მხარის შუა წელში, თითქმის მომრგვალოა. ზურგის მხარე გლუვია. ნისკარტის სიგრძე აღწევს 1.5 — 2 მმ-ს.

აგრობიოლოგიური და სამეურნეო დახასიათება. ქედის რაიონის სოფ. ვაიოს ზონაში ჭიპაკურის სავეგეტაციო პერიოდი 240 დღით განისაზღვრება. ვაზზე კვირტების გამოღვიძება იწყება 4 — 5 აპრილიდან. ყვავილობა იწყება 5 — 6 ივნისიდან, მთავრდება 20 ივნისამდე. ყურძნის შეთვალება იწყება აგვისტოს პირველ რიცხვებში და მასობრივ სიმწიფეში შედის ოქტომბრის პირველი რიცხვებიდან. ფოთოლცვენას იწყებს ნოემბრის შუა რიცხვებში და ამთავრებს ნოემბრის ბოლოს.

ვაზს საშუალო ზრდა ახასიათებს. სავეგეტაციო პერიოდის დასასრულისათვის რქები სიგრძით 2 მეტრამდე აღწევს, ხოლო დამახასიათებელ ელფერს ღებულობს ყურძნის სრული მწიფობის პერიოდშივე. საშუალო ზრდასთან ერთად ახასიათებს საკმაოდ უხვი მოსავლიანობაც. ერთი ძირი მალლარი ვაზის მოსავალი 30 კგ-მდე აღწევს. რქაზე მასობრივად ორი მტევანი ვითარდება, მხოლოდ მტევნები უთანაბროა. ზოგ შემთხვევაში სამი მტევანიც ვითარდება. ვაზის ძველი ნაწილებიდან წარმოშობილი ყლორტები მოუსავლიანია.

სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ სუსტ გამძლეობას იჩენს. ამინდის არახელსაყრელ პირობებში როგორც მწვანე ნაწილები, ისე ყურძენი მასობრივად ავადდება, რის შედეგადაც მისი მოსავლიანობა მინიმუმამდე ეცემა. ექვს გარეშეა, რომ მალლარიდან დაბლარზე გადაყვანით და აგროტექნიკური ოპერაციების წესიერად ჩატარებით გაუმჯობესდება ზრდა და პროდუქციის ღირსებაც.

სამეურნეო დანიშნულებით ჭიპაკური საღვინე ჯიშია. მისგან შეიძლება დამზადდეს ადგილობრივი მნიშვნელობის ორდინარული ღვინო; შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე ყურძნის წვენი დასამზადებლად.

ყურძენი არ ინახება და ტრანსპორტსაც ვერ იტანს. ქარის ზემოქმედებით ადვილად ცვივა ძირს, რადგან მტევანი რქაზე და მარცვალიც საჯდომ ბალიშზე სუსტად არის მიმაგრებული.

ყურძნის მექანიკური ანალიზების მიხედვით, მტევნის საშუალო წონა 133 გრამს უდრის. 100 მარცვლის წონა 140 გრამია, აქედან კანი 12 გრამს შეადგენს. 100 მარცვალში 160 ცალი წიპწაა, წონით 5.3 გრამი. კლერტის საშუალო წონა 5.2 გრამია, ხოლო წვენი გამოსავალი 78.5%-მდე აღწევს.

მწიფე ყურძენში შაქრიანობა 18.6% -ია, საერთო მჟავიანობა 9.9%.

როგორც შედარებით საადრეო და საკმაოდ უხვმოსავლიანი ჯიში, ჭიპაკური ყურადღების ღირსია. მისი გავრცელება დასაშვებად მიგვაჩნია სხვა საინტერესო ჯიშებთან შერევით, მხოლოდ ნაშყენების სახით დაბლარად, ქედისა და ხულოს რაიონებში.

ЧИПАКУРИ

Листья средней величины, длиной 13.9 — 15.0 см и шириной 13.5 — 14.5 см, округлые или слегка овальные. Слабо разрезные.

Черешковая выемка лировидная с округлым дном. Лопастни выемки состоят из трех нервов; встречаются также широкоэллиптической формы, с соприкасающимися краями.

Верхние вырезки слабо разрезные или расположены в виде входящего угла. Нижние вырезки едва намечены.

Лист трехлопастный. Угол оконечной лопасти тупой.

Оконечные зубцы лопастей треугольные, с округлой вершиной, или треугольно-пиловидные. Встречаются также зубцы треугольной формы, с выпуклыми сторонами и острой вершиной. Вторичные



საქართველოს
სოციალიზმის

ჭიბაკური — Чипакури



зубцы треугольные с заостренной вершиной или треугольные, но с вышуклыми сторонами и острой вершиной.

Поверхность листа гладкая или сетчато-морщинистая; иногда воронковидно-желобчатая. Пластинка листа покрыта снизу паутинисто-волосистым покровом.

Отношение черешка к длине среднего нерва 0.7 — 1.0; черешок голый, виннокрасного цвета, переходящего у основания в фиолетовый.

Плодоносные побеги средней толщины; светлокоричневого цвета. Длина междоузлий достигает 7 — 12 см.

В окрестностях сел. Вайо появление первых признаков созревания винограда наблюдается в первых числах августа; массовое созревание наступает в начале октября.

Длина ножки грозди 3 — 5 см, длина грозди — 10 — 15 см, ширина — 5.5 — 8.5 см. Количество ягод на грозди до 120 шт.

Общая форма грозди цилиндрическая, реже плотная; ножка грозди с гребнем травянистая и зеленая.

Длина ножки ягоды с подушечкой 5 — 6 мм; зеленая. Подушечка гладкая и узко-коническая.

Ягода темнокрасного цвета, средней величины, длиной 13 — 18 мм и шириной 12 — 16.5 мм; по форме округлая или слегка овальная, посередине широкая и симметричная. Кожица тонкая, мякоть более сочная и мясистая.

Количество семян в ягоде 1 — 3 шт., чаще 1. Длина семени 6.5 — 8 мм, ширина — 3.5 — 4 мм; семя светлокоричневого цвета. Халаза почти округлая. Длина клюва 1.5 — 2 мм.

Чипакури — довольно урожайный сорт. По сравнению с другими местными сортами — раннего созревания. Виноград не сохраняется. От грибных болезней сильно страдает. Продукция используется главным образом для изготовления сгущенного виноградного сока, употребляют также в свежем виде.

Столетние «маглари» данного сорта встречаются довольно в большом количестве в сел. Вайо, (Кедский район).

Сорт заслуживает внимания и разведения в районах Кеди и Хуло исключительно привитыми саженцами на соответствующих американских подвоях.

ჩ ი ტ ი ს თ ვ ა ლ ა



ჩიტისთვალა გავრცელებულია ასწლოვანი მალღარების სახით ზემო აჭარაში (ხუტოვანი ჩაჩხაძისში). უფრო ხშირად იგი გვხვდება ტყისპირა ადგილებში. ვაზები გაშვებულია მალღარად მეტად მალღარ ხეებზე და თითქმის გავრცელებული სახე აქვთ მიცემული.

ამ სახელწოდებით გავრცელებულია ვაზის ჯიში აგრეთვე კახეთში. აკად. ს. ჩოლოყაშვილის მიხედვით (3), კახური ჩიტისთვალა თეთრყურძნიანია, პერმოფროდიტული ყვავილებით და სამეურნეო დანიშნულებით ხარისხოვან სუფრის ყურძნის ჯიშთა ჯგუფს ეკუთვნის. ჩვენს მიერ აჭარაში აღწერილი ჩიტისთვალა წითელყურძნიანია, შეიცავს ფუნქციონალურად მდებრობითი სქესის ყვავილებს და, როგორც მდარე პროდუქციის მომცემი, სამეურნეო ღირებულებას სრულიად მოკლებულია. ამრიგად, ერთნაირი სახელწოდებით ეს ორი ჯიში მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ისინი ერთმანეთს მხოლოდ მარცვლების სიმსხოთი ემსგავსებიან, უფითარდებათ წვრილი მომრგვალო მარცვლები და სწორედ ამიტომაც ეწოდებათ „ჩიტისთვალა“.

ბოტანიკური აღწერა და სამეურნეო დახასიათება. კვირტები გაშლის პერიოდში მოთეთრო-მონაცისფროა და როგორც წვერზე, ისე გვერდებზე გადაჰკრავს მოწითალო ელფერი. გაუშლელი ფოთოლაკების კბილები თითქმის წითელია. დაფენილია ქეჩისებრად მონაცისფრო-თეთრი ბუსუსით. ახლად გაშლილი პირველი ფოთოლი ზედა მხრიდან მომწვანო-იისფერია, მოწითალო ელფერით, და საკმაოდ სქლად არის დაფენილი მონაცრისფრო-თეთრი ბეწვისებრი ბუსუსით. ასეთივე შებუსვა ახასიათებს მის ქვედა მხარესაც, ოღონდ კბილების მხარე უფრო შეფერილია წითლად. პირველი ფოთლის მომდევნო მეორე და მესამე ნორჩი ფოთლები ზედა მხრიდან მომწვანო-იისფერია, მოწითალო ელფერით. მეორე ფოთლის როგორც ზედა, ისე ქვედა მხარე საკმაოდ სქლად არის დაფარული ბუსუსით, მესამეზე კი შებუსვა უფრო მცირეა.

ახალგაზრდა ყლორტი ღია მწვანეა და მცირედ არის დაფენილი მონაცრისფრო-თეთრი ბეწვისებრი ბუსუსით. შემოსული რქა საშუალო სიმსხოსია და მოყვითალო. მუხლები უფრო მუქად არის შეფერილი. მუხლთშორისის სიგრძე აღწევს 6 — 10 სმ-ს.

ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალო სიდიდისაა და საერთო მოყვანილობით მომრგვალო ან ოდნავ განივ-ოვალურია. ფირფიტა მცირედ ან საკმაოდ არის დანაკეთული. ფოთლის საშუალო სიგრძე აღწევს 12.2 — 16.8 სმ-ს, სიგანე 12.8 — 16.4 სმ-ს.

ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი თალისებრია, მომრგვალო ფუძით; ამონაკვეთის ნაკვეთები შედგება ოთხი ძარღვისაგან. გვხვდება სამი ძარღვისაგან შემდგარი თალისებრი ამონაკვეთიც, ბრტყელი ფუძით ან ჩანგისებრი, მიახლოებული ნაპირებით. ზოგ შემთხვევაში ფუძეზე გვხვდება ერთი უბრალო კბილი.

ზედა ამონაკვეთი უფრო ხშირად დახურულია და ვიწრო-ელიფსური მოყვანილობისაა; გვხვდება აგრეთვე ღია ნასვრეტისებრი და მცირედ ჩაქრილი ამონაკვეთები. ქვედა ამონაკვეთი მცირედ არის ჩაქრილი.

ფოთოლი სამნაკვეთიანია. წვერის ნაკვეთი ფოთლის ფირფიტასთან ქმნის ბლაგვ კუთხეს.

ნაკვეთთა წვერის კბილები სამკუთხედისებრია, წამახვილებული წვერით; ან ხერხკბილა-სამკუთხედისებრია. მეორეული კბილებიც ამავე მოყვანილობისაა.

ფოთლის ქვედა მხარე დაფარულია ბეწვისებრი ბუსუსით, ზედა მხარე კი გლუვია. გვხვდება ბაღისებრად დანაკეთებული ზედაპირის მქონე ფოთლებიც. ფოთლის ზედაპირი ბრტყელია ან ძაბრისებრ-ლარისებრად არის მოხრილი. მთავარი ძარღვები სუსტად არის დაფარული ბუსუსით და ღია მწვანეა.

ფოთლის ყუნწის შეფარდება შუა მთავარ ძარღვთან უდრის 0.6 — 0.8-ს. იგი შიშველია და ღია მწვანე, ფუძესთან კი იისფერში გადადის.


ხულოს რაიონში ყვავილობა იწყება 14 — 15 ივნისიდან და 24 ივნისამდე მთავრდება. ყვავილი ფუნქციონალურად მდებრობითია. მტვრიანები მთლიანად დეფექტურია — მეტად მოკლე და მოკაკული. ყვავილედში ყვავილების რიცხვი 280 ცალამდე აღწევს (სურ. 100).

ყურძნის შეთვალემა იწყება სექტემბრის პირველი რიცხვებიდან, მასობრივ სიმწიფეში შედის ოქტომბრის მეორე ნახევრიდან.

დიდი მტევნის ყუნწის სიგრძე აღწევს 4 — 5.5 სმ-ს, მტევნის სიგრძე — 10 — 14 სმ-ს, სიგანე — 4.5 — 6.5 სმ-ს, მტევანზე 50 — 70 ცალი მარცვალია. საშუალო მტევნის ყუნწის სიგრძეა 4.5 — 5 სმ, მტევნის სიგრძე — 9 — 10 სმ, სიგანე — 4.5 — 5.5 სმ. მტევანზე 35 — 45 ცალი მარცვალია.

მტევანი ცილინდრულ-კონუსისებრია; ვხვდება განტოტვილი და უფორმო მტევნებიც. მტევანზე ბით ძლიერ თხელია. მტევნის ყუნწი და თვით კლერტი ბალახისებრია და მწვანე, რაც თანდათანობით გადადის იისფერში.

მარცვლის ყუნწის სიგრძე საჯდომი ბალიშით აღწევს 5 — 6 მმ-ს, მწვანეა. საჯდომი ბალიში გლუვია, იშვიათად დამეჭვებული, ფორმით ვიწრო-კონუსისებრი და იშვიათად განიერ-კონუსისებრი.



სურ. 100. ჩიტისთვალას ყვავილი.

მარცვალი სუსტად არის მიმაგრებული საჯდომ ბალიშზე. მსხვილი მარცვლის საშუალო სიგრძე აღწევს 11 — 12.1 მმ-ს, სიგანე — 10.6 — 11.8 მმ-ს. საშუალო მარცვლის საშუალო სიგრძე 10.2 — 11.2 მმ-ია, სიგანე — 9.5 — 10.8 მმ.

მარცვალი მუქი წითელია. მომრგვალო ან ოდნავ ოვალურია, საშუალოზე მცირეა, შუა წელში უფრო განიერი და სიმეტრიულია. თხელკანიანია, მცირე ხორციანი და მეტად წვნიანი. მარცვლის კანი ფიფქით (ცილით) მცირედ არის დაფენილი.

მარცვალში 1—3 ცალი წიპწაა, სქარბობს 2 წიპწა, წიპწის სიგრძე აღწევს 6 — 6.5 მმ-ს, სიგანე — 3.5 — 4 მმ-ს. ქალაძა მოთავსებულია ზურგის მხარის შუა წელში. ფორმით ოვალურია. ნისკარტის სიგრძე აღწევს 1 — 1.5 მმ-ს.

ჩიტისთვალას საშუალო ზრდა ახასიათებს. სავეგეტაციო პერიოდის დასასრულისათვის რქები სიგრძით 1.5 — 2 მეტრამდე აღწევს, ასწრებს სრულ მომწიფებას და ჯიშის დამახასიათებელ ელფერს ღებულობს. მცირე მოსავლიანია. თუმცა ცალკეულ ყლორტებზე მასობრივად 3 — 4 მტევანს ვხვდებით, მაგრამ მტევნები მეტად პატარა, თხელი და წვრილმარცვლიანია.

მტევნის საშუალო წონა 65 გრამია. 100 მარცვლის წონა 109 გრამს აღწევს, აქედან კანი 9.5 გრამია. 100 მარცვალში 175 ცალამდე წიპწაა, წონით 5.4 გრამი. კლერტის საშუალო წონა უდრის 3.8 გრამს, ხოლო წვეწის გამოსავალი 80%-მდე აღწევს.

მწიფე ყურძენში შაქარი აღწევს 15.8%-ს, საერთო მჟავიანობა 10.2%-ს.

სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ ჩიტისთვალა საკმაო გამძლეობას იქნის და ამიტომ შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ კვლევითი მიზნებისათვის.

როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, იძლევა სავსებით დაბალხარისხოვან მასალას, რის გამოც იგი ინტერესს მოკლებულია.

ЧИТИСТВАЛА

Листья средние или меньше средней величины, длиной 12.2 — 16.8 см и шириной 12.8 — 16.4 см; округлые или поперек слегка овальные.

Черешковая выемка сводчатая с плоским или округлым дном. Лопастей черешковой выемки / состоят из 3 или 4 нервов. Встречаются также выемки лировидной формы с округлым дном.

Верхние вырезки чаще закрытые с узко-эллиптическим просветом. Встречаются также открытые, в виде входящего угла. Нижние вырезки слабо намечены.

Лист трехлопастный. Угол конечной лопасти тупой.

Оконечные зубцы лопастей треугольные с острой вершиной или треугольно-пиловидные. Вторичные зубцы сходны с окончными зубцами лопастей.

Поверхность листа гладкая или сетчато-морщинистая; плоская, реже воронковидно-желобчатой формы. Пластинка листа покрыта снизу волосистым покровом серого цвета.

Отношение черешка к длине среднего нерва 0.6 — 0.8; черешок голый, зеленого цвета, переходящего у основания в фиолетовый.

Плодоносные побеги средней толщины, темножелтоватого цвета. Узлы окрашены темнее, чем междоузлия. Длина междоузлий достигает 10 см.

Цветы функционально женские.

Появление первых признаков созревания винограда в окрестностях Хуло наблюдается в начале сентября. Массовое созревание наступает со второй половины октября.

Длина ножки грозди 4.5 — 5.5 см; длина грозди 9 — 14 см; ширина 4.5 — 6.5 см. Количество ягод на грозди от 35 до 70 шт.

Общая форма грозди цилиндрическо-коническая, ветвистая и часто бесформенная. Очень рыхлая.

Длина ножки ягоды с подушечкой 5 — 6 мм, сама ножка зеленого цвета. Подушечка гладкая, реже бородавчатая и узко-коническая.

Ягода темно-красная, длиной 10.2 — 12.1 мм и шириной 9.5 — 11.8 мм, меньше средней величины, округлая или слегка овальная и симметричная. Кожица тонкая; мякоть очень сочная и мало мясистая, с кисловатым неприятным вкусом.

Количество семян в ягоде 1 — 3 шт, чаще 2. Длина семени 6 — 6.5 мм; ширина 3.5 — 4 мм. Халаза овальная. Спинная сторона гладкая. Длина клюва 1 — 1.5 мм.

Читиствала — малоурожайный сорт. Интересна не представляет, так как дает продукцию весьма низкого качества, с кисловатым и неприятным вкусом. От грибных болезней не страдает.

Встречается данный сорт в виде „маглари“ довольно в большом количестве в Хуло и Деканашвилеби (Хулойский район).



ქართული
ბიბლიოთეკა



ჩიტისთვალი — Читиствала

ტყისუფრობა



ტყისუფრობა გავრცელებულია მალღარების სახით ზემო აჭარაში (ბულოს რაიონში), განსაკუთრებით ტყეებში და გზების სანაპიროებზე. ვახები თავის ნებაზეა მიშვებული მეტად მცირე ტყეებზე, რის გამოც თითქმის გავლურებულია.

აკად. ს. ჩოლოყაშვილს თავის შრომაში (3) მოხსენებული აქვს „ტყის ვაზი“, რომელიც გავრცელებულია კახეთში სიღნაღის რაიონში ხეივნების სახით. იგი თეთრყურძნიანია და სამეურნეო დანიშნულებით სუფრის ყურძნის ჯიშთა ჯგუფს მიეკუთვნება. მისივე განმარტებით აღნიშნული ჯიშის ვაზის მუშაკის მიერ ყოფილა ნაპოვნი ტყეში და აქედან შეუოქმევიათ მისთვის სახელი — „ტყის ვაზი“. ჩვენს მიერ აჭარაში აღწერილი ტყისუფრობა არსებითად განსხვავდება კახური ტყის ვაზის ჯიშისაგან, როგორც თერით და საერთოდ ამბელოგრაფიული ნიშნებით, ისე აგრობიოლოგიური თვისებებით და სამეურნეო ღირებულებით. აქარული ტყისუფრობა მეტად დაბალ ხარისხოვან პროდუქციას იძლევა, რის გამოც იგი სამეურნეო ღირებულებას სრულიად მოკლებულია.

ბოტანიკური აღწერა. კვირტები გაშლის პერიოდში ღია მწვანე ან მონაცრისფრო-წითელია. სიწითლე უფრო მეტად ახასიათებს ზრდის კონუსთან და აგრეთვე გასაშლელი ფოთოლაკების კბილებს საკმაოდაა დაფენილი მონაცრისფრო ბეწვისებრი ბუსუსით. ახლად გაშლილი პირველი ფოთლის ზედა მხარე და აგრეთვე მისი მომდევნო მეორე და მესამე ნორჩი ფოთოლიც ზედა მხრიდან შეფერილია მომწვანო-იისფრად, მოწითალო ელფერით, ორივე მხრიდან შებუსვა უფრო მეტად ახასიათებს პირველ ფოთოლს, შემდგომ ფოთლებზე კი შებუსვა თანდათანობით მცირდება. ბუსუსი ბეწვისებრია და მონაცრისფროა.

ახალგაზრდა ყლორტი მრგვალია და ღია მწვანე. ცალ მხარეზე მუჭი მოწითალო ელფერი ახასიათებს. დაფენილია მცირედ მონაცრისფრო-თეთრი ბეწვისებრი ბუსუსით. შებუსვა უფრო მატულობს ყლორტის წვერისაკენ.

შემოსული რქა საშუალო სიმსხოსია და მოყავისფრო. მუხლთშორისის სიგრძე აღწევს 7—11 სმ-ს.

ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალო სიდიდის ან საშუალოზე მცირეა. საერთო მოყვანილობით იგი მომრგვალო ან განივ-ოვალურია. მცირედ არის დანაკეთული; გვხვდება საკმაოდ დანაკეთული ფოთლებიც. ფირფიტის საშუალო სიგრძე აღწევს 12.6—15.6 სმ-ს, სიგანე—13.0—15.0 სმ-ს.

ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ჩანგისებრია, მომრგვალო ან ბრტყელი ფუძით; გვხვდება აგრეთვე თაღისებრი ფორმის ამონაკვეთები. ამონაკვეთის ნაკვეთები შედგება სამი ძარღვისაგან.

ზედა ამონაკვეთი მცირედაა ჩაჭრილი, იშვიათად კი საკმაოდ. ქვედა ამონაკვეთი უმნიშვნელოდ არის ჩაჭრილი.

ფოთოლი სამნაკვეთიანია. წვერის ნაკვეთი ფოთლის ფირფიტასთან ქმნის ბლაგვ კუთხეს.

ნაკვეთთა წვერის კბილები განიერ-სამკუთხედისებრია, მახვილი ან მომრგვალებული წვერით; იშვიათად ხერხკბილა-სამკუთხედისებრი. მეორეული კბილები უფრო ხშირად გუმბათისებრია; იშვიათად კი ხერხკბილა-სამკუთხედისებრი.

ფოთლის ქვედა მხარე თითქმის შიშველია და მხოლოდ უმნიშვნელო ბუსუსი დასდევს ძარღვების გასწვრივ, ზედა მხარე გლუვია. ფირფიტა ბრტყელი და იშვიათად ღარისებრი მოყვანილობისაა. მთავარი ძარღვები ღია მწვანეა.

ფოთლის ყუნწის შეფარდება შუა მთავარ ძარღვთან უდრის 0.8—1.3-ს. იგი შიშველია და თითქმის ღია მწვანეა.

ყვავილი ორსქესიანია, ნორმალურად განვითარებული ბუტკოთი და მტვრიანებით. ყვავილში 5 მტვრიანაა, იშვიათად გვხვდება 4 და 6 მტვრიანაც. ყვავილედში ყვავილების რიცხვი 380 ცალამდე აღწევს (სურ. 102).

ყურძნის შეთვალვება იწყება სექტემბრის ჩორველ რიცხვებიდან. მასობრივ სიმწიფეში შედის ოქტომბრის მეორე ნახევრიდან.


დიდი მტევნის ყუნწის სიგრძე აღწევს 3—4 სმ-ს, მტევნის სიგრძე—12—13 სმ-ს, სიგანე—7—9 სმ-ს. მტევანზე 65—70 ცალი მარცვალია. საშუალო მტევნის ყუნწის სიგრძე უდრის 2.5—3.5 სმ-ს, მტევნის სიგრძე—9—11 სმ-ს, სიგანე—5—7 სმ-ს. მტევანზე—40—60 ცალი მარცვალია.

მტევნის საერთო ფორმა ცილინდრულ-კონუსისებრია. ზოგ შემთხვევაში ყუნწის მუხლიდან კითარდება განტოტვა, რომელიც მტევნის სიგრძის ნახევრამდე აღწევს. მტევანი თხელი მარცვლები მტევანში უთანაბრად მწიფდება, რაც ამ ჯიშის დამახასიათებელ ნიშან-თვისებად უნდა ჩიონისკონს.

მარცვლის ყუნწის სიგრძე საჯდომი ბალიშით 4—5 მმ-ია. თითქმის მწვანეა. საჯდომი ბალიში დამეკვებულია და განიერ-კონუსისებრი, იშვიათად ვიწრო-კონუსისებრი. მარცვალი საჯდომ ბალიშზე საკმაოდ მტკიცედ არის მიმაგრებული.

მარცვალი მუქი წითელია. მისი საშუალო სიგრძე 10.1—12.0 მმ-ა, სიგანე—10.0—12.0 მმ. მარცვალი მცირეა, მრგვალი. შუა წელში განიერი ბოლო მომრგვალებული აქვს და სიმეტრიულია. სქელკანიანია, უფრო მეტად წვნიანი და მცირე ხორციანი. მარცვლის კანი მცირედ არის დაფარული ფიფქით (ცვილით).

მარცვალში 1—4 ცალი წიპწაა; უფრო ხშირად გვხვდება 1 წიპწა. წიპწის სიგრძე 5—6.5 მმ-ია, სიგანე—3—4 მმ. ყავისფერია, მუცლის მხრიდან კი მოყვითალო. ქალაქა მოგრძო-ოვალური-ზურგის მხარე გლუვია. ნისკარტის სიგრძე აღწევს 1—1.5 მმ-ს.



სურ. 102. ტყისყურძენას ყვავილი.

აგრობიოლოგიური და სამეურნეო დახასიათება. ხულოს რაიონში ტყისყურძენას სავეგეტაციო პერიოდი კვირტების გამოღვიძებიდან ფოთლების დაცვენამდე 235 დღეს უდრის. კვირტების გამოღვიძება იწყება 4—6 აპრილიდან. ყვავილობის პირველი ნიშნები ემჩნევა 9—10 ივნისიდან და მთავრდება 22 ივნისამდე. ყურძენი შეთვალვებს იწყებს აგვისტოს ბოლოს ან სექტემბრის დასაწყისში და მასობრივ სიმწიფეში შედის ოქტომბრის მეორე ნახევრიდან და მთავრდება ნოემბრის ბოლოს.

ვახს ძლიერი ზრდა ახასიათებს: სავეგეტაციო პერიოდის დასასრულისათვის რქა სიგრძით 3.5—4 მეტრამდეა. იგი სრულ სიმწიფეს აღწევს ყურძნის მასობრივი მწიფობის პერიოდშივე და ამ დროისათვის ჯიშის დამახასიათებელ ელფერს ღებულობს. რქა ხშირად 3—4 მტევანს ავითარებს, მაგრამ მტევნები მცირე ზომისაა და უბარაქო. ამის შედეგად აღნიშნულ ჯიშს მცირე მოსავლიანობა ახასიათებს.

მექანიკური ანალიზების მიხედვით ტყისყურძენას მტევნის საშუალო წონა 88 გრამია. 100 მარცვლის წონა 135 გრამს აღწევს, აქედან კანი 10.1 გრამია. 100 მარცვალში 167 ცალი წიპწაა, წონით 8.0 გრამი. საშუალო მტევნის კლერტის წონა 3.2 გრამია, ხოლო წვენი გამოსავალი 80.8%.

მწიფე ყურძენში შაქრიანობა 14.5% -ია, საერთო მეთვიანობა 10.7%.

როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, ყურძნის მდარე გემური თვისებებისა და მცირე მოსავლიანობის გამო ტყისყურძენა სამეურნეო ღირებულებას მოკლებულია. როგორც ძლიერად მზარდი და სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ შედარებით გამძლე ჯიში, მისი გაშენება დასაშვებია მხოლოდ კვლევითი მიზნისათვის ჯიშთა გამოსაცდელ და საკოლექციო ნაკვეთებში.

საქართველოს
სამეცნიერო აკადემია



ტყისყურძენა — ტკისკურძენა

Т К И С К У Р Д З Е Н А

Листья средние или меньше средней величины, длиной 12.6 — 15.6 см и шириной 13.0 — 15.0 см; попере́к овальные или округлые. Слабо разрезные.

Черешковая выемка лировидная с округлым или плоским дном. Встречается также выемка сводчатой формы. Лопастни черешковой выемки состоят из трех нервов.

Верхние вырезки слабо намечены; встречаются, но реже вырезки, расположенные в виде входящего угла. Нижние вырезки едва намечены.

Лист трехлопастный. Угол конечной лопасти тупой.

Оконечные зубцы лопастей широко-треугольные, с острой или округлой вершиной. Встречаются также зубцы пилородно-треугольной формы. Вторичные зубцы чаще куполообразны, реже треугольные и треугольно-пилородные.

Поверхность листа гладкая и плоская, реже желобчатая. Пластинка листа снизу почти голая, и лишь со следами волосков вдоль нервов.

Отношение черешка к длине среднего нерва 0.8 — 1.3. Черешок обычно голый и светлозеленого цвета.

Цветы обоеполые.

Появление первых признаков созревания винограда наблюдается в начале сентября. Массовое созревание наступает со второй половины октября.

Длина ножки грозди достигает 2.5 — 4 см, длина грозди — 9 — 13 см, ширина — 5 — 9 см. Количество ягод на грозди от 40 до 70 шт.

Общая форма грозди цилиндрическо-коническая, рыхлая. Средний вес грозди 88 гр. Ягоды на грозди поспевают неравномерно, что характерно для этого сорта.

Длина ножки ягоды с подушечкой 4 — 5 мм; ножка почти зеленая. Подушечка бородавчатая и широко-коническая, реже узко-коническая.

Ягода темнокрасная, меньше средней величины, длиной 10.1 — 12.0 мм и шириной 10.0 — 12.0 мм; круглая, посередине широкая и симметричная. Кожица толстая; мякоть сочная и мало мясистая.

Количество семян в ягоде 1 — 4 шт, чаще 1. Длина семени 5 — 6.5 мм, ширина — 3 — 4 мм; семя коричневого цвета. Халаза овальная. Длина клюва 1 — 1.5 мм.

Тискурдзена распространен в виде «маглари» в верхней Аджарии. Малоурожайный сорт, с мелкими гроздями и ягодами. Интересна не представляет ввиду своей низкокачественной продукции.



კიბურა ვარდისფერყურძნიან ჯიშთა ჯგუფს ეკუთვნის, გავრცელებულია თითო-ორიოლა ძირის სახით მალღარად ქედის რაიონში, განსაკუთრებით სოფ. სიხალიძეში, ასამბაძეში და თვით ქედის მიდამოებში.

წერილობითი მასალები ამ ჯიშის აქარაში წარმოშობისა და გავრცელების შესახებ არ მოგვეპოვება. ადგილობრივი მოხუც პირთა გადმოცემით და აგრეთვე ჩვენ მიერ წარმოებული დაკვირვებით დასტურდება, რომ კიბურა აქარულ ვაზის აბორიგენულ ჯიშთა წყებას მიეკუთვნება, რომელიც საუკუნეთა მანძილზე აღრზდილა და აკლიმატიზებულია ამ მხარის ეკოლოგიურ პირობებში. როგორც აღვნიშნეთ ვაზები მალღარად არის წარმოდგენილი; ამის გამო ისინი მოკლებულია სათანადო მოვლას, რის შედეგადაც როგორც მოსავლიანობა, ისე ყურძნის პროდუქციის ღირსება არადაამაკმაყოფილებელია.

ბოტანიკური აღწერა. ზრდის კონუსი მოწითალოა და ქეჩისებრად დაფარული მონაკრისფრო-თეთრი ბეწვისებრი ბუსუსით. ახლად გაშლილი პირველი ფოთოლი ღია მწვანეა, მოწითალო ელფერით და ორივე მხრიდან დაფარულია ბეწვისებრი ბუსუსით. მომდევნო მეორე და მესამე ფოთოლზე ზედა მხრიდან შებუსვა თანდათან მცირდება, ხოლო ქვედა მხარეზე უცვლელად რჩება. სიწითლე ამ ფოთლებზე ემჩნევა უფრო პერიფერიისაკენ.

ახალგაზრდა ყლორტი ღია მწვანეა, ცალ მხარეზე მუქი მოწითალო ელფერით. მცირედაა შებუსვილი. შებუსვა უფრო ძლიერდება ყლორტის წვერისაკენ.

ზრდამთავრებული ფოთოლი საშუალოზე მცირეა და საერთო მოყვანილობით მომრგვალო ან ოდნავ ოვალური. მცირედ დანაკვთულია. ფოთლის საშუალო სიგრძე აღწევს 11.8 — 13.2 სმ-ს, სიგანე 10.8 — 12.8 სმ-ს.

ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ისრისებრია, განიერი, მომრგვალო ან ბრტყელი ფუძით, ან ასევე ისრისებრია და განიერი, მხოლოდ მახვილი ფუძით.

ფოთლის ზედა ამონაკვეთი მცირედ არის ჩაქრილი ან ნასვრეტისებრია; გვხვდება ერთკბილიანი ამონაკვეთიც. ქვედა ამონაკვეთი მცირედ არის ჩაქრილი.

ფოთოლი სამნაკეთიანია. წვერის ნაკეთი ფოთლის ფირფიტასთან ქმნის სწორ კუთხეს, იშვიათად — ბლაგვს.

ნაკეთთა წვერის კბილები სამკუთხედისებრია; ამოზნექილი-გვერდებითა და წამახვილებული წვერით; გვხვდება ხერხკბილა-სამკუთხედისებრიც, ერთი მხრივ ამოზნექილ გვერდებიანი. მეორეული კბილები სამკუთხედისებრია, წამახვილებული ან მომრგვალებული წვერით, ან ხერხკბილა-სამკუთხედისებრია.

ფოთლის ქვედა მხარე საკმაოდ შებუსვილია, ზედა მხარე კი გლუვია ან ბადისებრად დანაოკებული. ფირფიტის ზედაპირი ბრტყელია, ზოგჯერ ნაპირებით ქვემოთკენ ჩამოზნექილი. მთავარი ძარღვები საკმაოდ შებუსვილია და ღია მწვანე.

ფოთლის ყუნწის შეფარდება შუა მთავარ ძარღვთან უდრის 0.6 — 0.8-ს. იგი სუსტად არის შებუსვილი და ღია მწვანეა.

ყვავილი ორსქესიანია. ნორმალურად განვითარებული ბუტკოთი და მტვრიანებით. ზოგ შემთხვევაში ყვავილში მტვრიანები ძლიერ გადახრილია ბუტკოდან. ყვავილში 5 მტვრიანაა, იშვიათად გვხვდება 4 და 6 მტვრიანაც. ყვავილედში ყვავილების რიცხვი 200 ცალამდე აღწევს (სურ. 104).

ღილი მტევნის ყუნწის სიგრძე 3.5 — 5 სმ-ია, მტევნის სიგრძე — 11 — 12 სმ, სიგანე — 6.5 — 8 სმ. მტევანზე 50 — 60 ცალი მარცვალია. საშუალო მტევნის ყუნწის სიგრძე აღწევს 3.5 — 4.5 სმ-ს, მტევნის სიგრძე — 10 — 11 სმ-ს, სიგანე — 6 — 7 სმ-ს. მტევანზე 40 — 50 ცალი მარცვალია.

მტევანი ცლინდრულ-კონუსისებრია. აგებულიებით თხელია. მისი ყუნწი და კლერტ ბალახისებრია და მწვანე.

მარცვლის ყუნწის სიგრძე საჯდომი ბალიშით აღწევს 5 — 7 მმ-ს. მწვანეა. საჯდომი ბალიშით დამეკვებულია; გვხვდება განიერ-კონუსისებრი და გლუვი ზედაპირის მქონე ბალიშებიც, მარცვალი საჯდომ ბალიშზე საშუალოდ არის მიმაგრებული.


მსხვილი მარცვლის საშუალო სიგრძე 14.8 — 16.2 მმ -ია, სიგანე — 14 — 15.5 მმ. საშუალო მარცვლის საშუალო სიგრძე აღწევს — 13 — 14.5 მმ -ს, სიგანე — 13 — 14 მმ -ს.

მარცვლი საშუალო სიდიდისაა, მომრგვალო, შუა წელში უფრო განიერი, ბოლო მომრგვალებული და სიმეტრიული. მუქი ვარდისფერია, სქელკანიანი, საკმაოდ წვნიანი და ხორციანი, უბრალო ტკბილი გემოთი. მარცვლის კანი ფიფქით (ცვილით) მცირედ არის დაფენილი.

მარცვალში 1 — 4 ცალი წიპწაა, სჭარბობს 1 წიპწა. წიპწის სიგრძე აღწევს 6 — 7 მმ -ს, სიგანე 3 — 4 მმ -ს. მონაცრისფრო-ყავისფერია, მუცლის მხრიდან ღარების გასწვრივ კი მოყვითალოა. ქალაძა მოთავსებულია ზურვის მხარის შუა წელში. ფორმით თითქმის ოვალურია. ნისკარტი მოყვითალოა. მისი სიგრძე აღწევს 1.5 — 2 მმ -ს.

აგრობიოლოგიური და სამეურნეო დახასიათება. ქედის რაიონის სოფ. სიხალიძეების ზონაში კიბურას სავეგეტაციო პერიოდის საერთო ხანგრძლიობა 240 დღეს აღწევს.

ვაზზე კვირტების გამოღვიძება 7 — 8 აპრილიდან იწყება. ყვავილობის პირველი ნიშნები ემჩნევა 9 — 10 ივნისს და ხელსაყრელ ამინდის პირობებში მთავრდება 20 — 22 ივნისს. ყურძენი შეთვა-



სურ. 104. კიბურას ყვავილი.

ლებას იწყებს აგვისტოს ბოლოს ან სექტემბრის დასაწყისში და მასობრივ სიმწიფეში შედის ოქტომბრის ბოლო რიცხვებში. ფოთოლცვენა იწყება 10 — 15 ნოემბრიდან და მთავრდება ნოემბრის ბოლოს ან დეკემბრის დასაწყისში.

ვაზს საშუალო ზრდა ახასიათებს. სავეგეტაციო პერიოდის დასასრულისათვის რქები სიგრძით 1 — 1.5 მეტრს აღწევს და ამ დროისათვის ჯიშის დამახასიათებელ ელფერს ღებულობს. რქაზე უფრო ხშირად ორი მტევანი ვითარდება, ზოგჯერ ერთი და იშვიათად — სამი. მაღლარად აღრზდის გამო თხელ მტევნებს ავითარებს, რის შედეგადაც მცირე მოსავალს იძლევა. ერთი ძირი მაღლარი ვაზის მოსავალი 10 — 15 კგ -ს არ აღემატება.

მექანიკური ანალიზების მიხედვით მტევნის საშუალო წონა 90 გრამამდეა. 100 მარცვლის წონა 196 გრამს აღწევს, აქედან კანი შეადგენს 14.3 გრამს. 100 მარცვალში 150 ცალი წიპწაა, წონით 6.4 გრამი. კლერტის საშუალო წონა 3.8 გრამია, ხოლო წვეწის გამოსავალი 75 % -ს აღწევს.

ყურძნის სრული მწიფობის პერიოდში მასში შაქრიანობა 17.1 % -ია, ხოლო საერთო მჟავიანობა — 10.8 ‰.

სოკოვან ავადმყოფობათ ვერ უძლებს. განსაკუთრებით ადვილად ავადდება კრაქით.

სამეურნეო თვალსაზრისით კიბურა ინტერესს მოკლებულია, ვინაიდან როგორც აღნიშნული იყო, მაღლარიდან მდარე ღირსების პროდუქციას იძლევა. შესაძლებელია კულტურულ პირობებში ჩაყენებით მისი პროდუქციის ღირსება გაუმჯობესდეს. ამ მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია იგი გაშენებულ იქნეს ნამყენების სახით ჯიშთა გამოსაცდელ და საკოლექციო ნაკვეთებში შემდგომ დაკვირვებათა ჩასატარებლად.


მსხვილი მარცვლის საშუალო სიგრძე 14.8 — 16.2 მმ -ია, სიგანე — 14 — 15.5 მმ. საშუალო მარცვლის საშუალო სიგრძე აღწევს — 13 — 14.5 მმ -ს, სიგანე — 13 — 14 მმ -ს.

მარცვლი საშუალო სიდიდისაა, მომრგვალო, შუა წელში უფრო განიერი, ბოლო მომრგვალებული და სიმეტრიული. მუქი ვარდისფერია, სქელკანიანი, საკმაოდ წვნიანი და ხორციანი, უბრალო ტკბილი გემოთი. მარცვლის კანი ფიფქით (ცვილით) მცირედ არის დაფენილი.

მარცვალში 1 — 4 ცალი წიპწაა, სჭარბობს 1 წიპწა. წიპწის სიგრძე აღწევს 6 — 7 მმ -ს, სიგანე 3 — 4 მმ -ს. მონაცრისფრო-ყავისფერია, მუცლის მხრიდან ღარების გასწვრივ კი მოყვითალოა. ქალაძა მოთავსებულია ზურვის მხარის შუა წელში. ფორმით თითქმის ოვალურია. ნისკარტი მოყვითალოა. მისი სიგრძე აღწევს 1.5 — 2 მმ -ს.

აგრობიოლოგიური და სამეურნეო დახასიათება. ქედის რაიონის სოფ. სიხალიძეების ზონაში კიბურას სავეგეტაციო პერიოდის საერთო ხანგრძლიობა 240 დღეს აღწევს.

ვაზზე კვირტების გამოღვიძება 7 — 8 აპრილიდან იწყება. ყვავილობის პირველი ნიშნები ემჩნევა 9 — 10 ივნისს და ხელსაყრელ ამინდის პირობებში მთავრდება 20 — 22 ივნისს. ყურძენი შეთვა-



სურ. 104. კიბურას ყვავილი.

ლებას იწყებს აგვისტოს ბოლოს ან სექტემბრის დასაწყისში და მასობრივ სიმწიფეში შედის ოქტომბრის ბოლო რიცხვებში. ფოთოლცვენა იწყება 10 — 15 ნოემბრიდან და მთავრდება ნოემბრის ბოლოს ან დეკემბრის დასაწყისში.

ვაზს საშუალო ზრდა ახასიათებს. სავეგეტაციო პერიოდის დასასრულისათვის რქები სიგრძით 1 — 1.5 მეტრს აღწევს და ამ დროისათვის ჯიშის დამახასიათებელ ელფერს ღებულობს. რქაზე უფრო ხშირად ორი მტევანი ვითარდება, ზოგჯერ ერთი და იშვიათად — სამი. მაღლარად აღრზდის გამო თხელ მტევნებს ავითარებს, რის შედეგადაც მცირე მოსავალს იძლევა. ერთი ძირი მაღლარი ვაზის მოსავალი 10 — 15 კგ -ს არ აღემატება.

მექანიკური ანალიზების მიხედვით მტევნის საშუალო წონა 90 გრამამდეა. 100 მარცვლის წონა 196 გრამს აღწევს, აქედან კანი შეადგენს 14.3 გრამს. 100 მარცვალში 150 ცალი წიპწაა, წონით 6.4 გრამი. კლერტის საშუალო წონა 3.8 გრამია, ხოლო წვეწის გამოსავალი 75 % -ს აღწევს.

ყურძნის სრული მწიფობის პერიოდში მასში შაქრიანობა 17.1 % -ია, ხოლო საერთო მჟავიანობა — 10.8 ‰.

სოკოვან ავადმყოფობათ ვერ უძლებს. განსაკუთრებით ადვილად ავადდება კრაქით.

სამეურნეო თვალსაზრისით კიბურა ინტერესს მოკლებულია, ვინაიდან როგორც აღნიშნული იყო, მაღლარიდან მდარე ღირსების პროდუქციას იძლევა. შესაძლებელია კულტურულ პირობებში ჩაყენებით მისი პროდუქციის ღირსება გაუმჯობესდეს. ამ მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია იგი გაშენებულ იქნეს ნამყენების სახით ჯიშთა გამოსაცდელ და საკოლექციო ნაკვეთებში შემდგომ დაკვირვებათა ჩასატარებლად.

К И Б У Р А

Листья небольшие, длиной 11.8 — 13.2 см и шириной 10.8 — 12.8 см, округлые или слегка овальные, слабо разрезные.

Черешковая выемка стрельчатая, широкая, с плоским или округлым дном.

Верхние вырезки слабо намечены или щелевидной формы, иногда на дне с одним простым зубцом. Нижние вырезки очень слабо выражены.

Лист трехлопастный. Угол оконечной лопасти прямой, реже тупой.

Оконечные зубцы лопастей треугольные, с выпуклыми сторонами и острой вершиной; встречаются иногда зубцы треугольно-пиловидной формы. Вторичные зубцы треугольные с острой или округлой вершиной.

Поверхность листа гладкая или сетчато-морщинистая; края листьев иногда отогнуты вниз. Пластика листа покрыта снизу паутиново-волосистым покровом. Отношение черешка к длине среднего нерва 0.6 — 0.8; черешок покрыт тонкой паутиной и светло-зеленого цвета.

Плодоносные побеги средней толщины и каштанового цвета. Узлы окрашены темнее, чем междоузлия. Длина междоузлий 6 — 9 см.

Цветы обоеполые.

В окрестностях Кеди появление первых признаков созревания винограда сорта Кибура наблюдается в начале сентября; массовое созревание наступает в конце октября.

Длина ножки грозди 3.5 — 5 см, длина грозди — 10 — 12 см, ширина — 6 — 8 см. Количество ягод на грозди до 60 шт.

Общая форма грозди цилиндрическо-коническая, рыхлая. Ножка грозди с гребнем травянистая и зеленого цвета.

Длина ножки ягоды с подушечкой составляет 5 — 7 мм; зеленая. Подушечка бородавчатая, реже гладкая и широко-коническая.

Ягода темнорозовая, средней величины, длиной 13 — 16.2 мм и шириной 13 — 15.5 мм; округлая, посередине широкая и симметричная. Кожица толстая. Мякоть довольно сочная и мясистая.

Количество семян в ягоде 1 — 4 шт, чаще 1. Длина семени 6 — 7 мм, ширина — 3 — 4 мм. Халаза почти овальная. Длина клюва 1.5 — 2 мм.

Кибура — мало урожайный сорт. Особого интереса он не представляет, ввиду того, что дает материал низкого качества. Сорт этот в прошлом не имел широкого распространения. В настоящее время столетние экземпляры его в виде „маглари“ встречаются в незначительном количестве в Кедском районе, в сел. Асамбадзе и Сихалидзе, а также в окрестностях Кеды.



კიბურა — Кибура

გურული, მეგრული და აჭარული ვაზის აბორიგენული ჯიშების
უმთავრესი ნიშან-თვისებები

ГЛАВНЕЙШИЕ ПРИЗНАКИ
АБОРИГЕННЫХ СОРТОВ ВИНОГРАДА ГУРИИ, МЕГРЕЛИИ И АДЖАРИИ

კლარჯული	თეთრი კამური	საკმიედა	სამარსი	თეთრი მამური	თქვლაფა
მახარაძის და ქობულეთის	ჩოხატაურის, ლანჩხუთისა და ვანის	ჩოხატაურის და მახარაძის	მახარაძის	ჩოხატაურის და სამტრედიის	ჩოხატაურის
მალღარი	მალღარი	მალღარი	მალღარი	მალღარი	მალღარი
50-60	40-60	50-60	50-55	40-50	30-50
სასუფრე	სასუფრე და საღვინე	საღვინე	სასუფრე	საღვინე	საღვინე
ღია მწვანე, მონაცრის-ფერი ელფერი; თხლად შებუსვით	თეთრი-მოწითალო ელფერი; შებუსვა ქეჩისებრი	მოთეთრო, ოდნავ მოწითალო ელფერი; შებუსვა ქეჩისებრი	მოთეთრო-მაცრისფერი; შებუსვა ქეჩისებრი	მოწითალო, შებუსვა ქეჩისებრი	ღია მწვანე, შებუსვა ქეჩისებრი
მცირედ შებუსვით	მცირედ შებუსვით	საკმაოდ შებუსვით	საკმაოდ ან მცირედ შებუსვით	საკმაოდ შებუსვით	საკმაოდ მცირედ შებუსვით
მწვანე, ცალ მხარეზე მოწითალო-იისფერი	ღია მწვანე	მომწვანო	მომწვანო	ღია მწვანე	ღია მწვანე, ოდნავ მოთისფრო ელფერით
ღია ყავისფერი	მოწვანისფრო ან მუქი წითელი	მოყვავისფრო	ღია ყავისფერი	ღია წაბლისფერი	რუხი მოწითალო
მომრგვალო, საშუალო	მომრგვალო, საშუალო	მომრგვალო, საშუალო	მომრგვალო, საშუალო	მომრგვალო, საშუალო ან საშუალოზე წვრილი	მომრგვალო, საშუალო
6-12	7-15	7-12	8-12	8-13	9-17
ჭერმოფროდიტული	ჭერმოფროდიტული	ჭერმოფროდიტული	ჭერმოფროდიტული	ფუნქციონალურად მდებარეობით	ჭერმოფროდიტული
180-250	250-630	260-600	140-230	110-165	180-320
5, იწვიათად 4 და 6	5, იწვიათად 4 და 6	5, ბოგეკო 4	5, იწვიათად 4 და 6	5, იწვიათად 4	5, იწვიათად 4 და 6
3	3	3	3	3	3
16.8	17.8-22.3	15.5-18.0	13-16	11.9-14.2	12.9-17.8
14.3	17.7-21.5	14.5-16.7	13.5-15.9	11.1-12.2	12.5-16.1
შიშველი, მარცხენა მცირედ შებუსვით	ქეჩისებრი	საკმაოდ შებუსვით	საკმაოდ შებუსვით	ქეჩისებრი	ქეჩისებრი
ღია და მცირედ ჩაჭრილი	ღია და მცირედ ჩაჭრილი	მცირედ ან საკმაოდ ჩაჭრილი	მცირედ ჩაჭრილი	საკმაოდ ჩაჭრილი	მცირედ ან საკმაოდ ჩაჭრილი
უწინაშენელოდ ჩაჭრილი	უწინაშენელოდ ჩაჭრილი	უწინაშენელოდ ჩაჭრილი	უწინაშენელოდ ჩაჭრილი	უწინაშენელოდ ჩაჭრილი	ძლიერ მცირედ ჩაჭრილი

ამკვეთი კარგად უნდა იცნოს მათი ხარისხი და მათი მუშაობის წესები. ამისათვის უნდა იყოს მათთან მჭიდრო კავშირი.

აგკელობრაფიული ნიშან-თვისებები	ორთნა	ოფულრა	წითლანი	ალდასტური	ნაკაშიძის ფანი	ხუშია
ჯიშის გავრცელების ადგილი (რაიონი)	მაზარაძის და ჩოხატაურის	ჩოხატაურის	ჩოხატაურის	ჩოხატაურის და ვანის	მაზარაძისა და ჩოხატაურის	ჩოხატაურის
ვაზის ფორმა	დაბლარი	მაღლარი	მაღლარი	მაღლარი	დაბლარი	მაღლარი
ხნოვანება (წლების მიხედვით)	15-20	50-60	50-60	40-50	15-25	25-30
ჯიშის სამეურნეო დანიშნულება	საღვინე	საღვინე	საღვინე	საღვინე და სასაფრე	საღვინე	საღვინე
ზრდის კონუსის ფერი და შებუსვა	მოწითალო, შებუსვა ქმისებრი	მოწითალო-ვანგისფერი, შებუსვა ქმისებრი	მოწითალო, სქლად შებუსვილი	მოწითალო, შებუსვა ქმისებრი	ღია მწვანე, მოწითალო მღვრითი, შებუსვა ქმისებრი	ღვთრი მონაცრისფერი, მოწითალო მღვრითი, შებუსვა ქმისებრი
ყლორტის შებუსვა	საკმაოდ შებუსვილი	საკმაოდ შებუსვილი	საკმაოდ შებუსვილი	ძლიერ მცირედ შებუსვილი	საკმაოდ შებუსვილი	საკმაოდ შებუსვილი
ყლორტის ფერი	ღია მწვანე, ცალ მხარეზე მოიისფრო	ღია მწვანე	ღია მწვანე, მოიისფრო ქაქვილი	ღია მწვანე, წვერისაკენ მოწითალო მღვრითი	ღია მწვანე	ღია მწვანე
რქის ფერი	მფავისფრო	მოყვითალო-ყავისფერი	მუქი მოწითალო	მუქი წაბლისფერი სუსტი ყავისფერი ხოლცებით	მუქი ყავისფერი	ღია ყავისფერი
რქის მოყვანილობა და სიმსხო	ნრგვალი, საშუალო	მომრგვალო, საშუალო	მომრგვალო, საშუალო	მომრგვალო, საშუალო მსვილი	მომრგვალო, საშუალო	მრგვალი, საშუალო
მუხლთშორისის სიგრძე სმ-ობით	8-11	7-12	12-17	10-18	6-11	10-12
ყვავილის ტიპი	ჭერმოფროდიტული	ფუნქციონალურად მდებარეობითი	ჭერმოფროდიტული	ჭერმოფროდიტული	ჭერმოფროდიტული	ჭერმოფროდიტული
ყვავილების რაოდენობა ყვავილედზე	600-650	200-220	250-540	300-500	500-700	380-400
მტვრიანების რაოდენობა ყვავილენი	5, იშვიათად 4 და 6	5, იშვიათად 4 და 6	5 და 4, იშვიათად 6	5 და 4, იშვიათად 6 და 7	5, იშვიათად 4	5 და 6, იშვიათად 4
ძირითადი ნაკეთების რაოდენობა	3	3	3	3	3	3
ფირფიტის სიდიდე სმ-ობით	16.1	11-12.1	17.8-20.2	16.6-20.3	16.9-20.5	13.3
ფირფიტის ქვედა მხარის შებუსვა	15.6	10.7-11.7	16.9-20.9	16.6-19.2	17.1-19.6	13.6
ზედა ამონაკვეთის ფორმა	ქმისებრი	ქმისებრი	ქმისებრი	ქმისებრი	ქმისებრი	ქმისებრი
ქვედა ამონაკვეთის ფორმა	მცირედ ან საკმაოდ ჩაკრილი	მცირედ ან საკმაოდ ჩაკრილი	მცირედ ან საკმაოდ ჩაკრილი	საკმაოდ ჩაკრილი ან კვერცხისებრი	დაბურული, გიწრა მღვრითი ნაკმალო	საკმაოდ ჩაკრილი ან გიწრა მღვრითი
	ოღნავ ჩაკრილი	ოღნავ ჩაკრილი	ოღნავ ჩაკრილი	საკმაოდ ან მცირედ ჩაკრილი	მცირედ ჩაკრილი	მცირედ ჩაკრილი

იქვემოთ მოცემულია მხოლოდ მათი ნაწილი, რომლებიც შეტანილია ამ ნაშრომში

აგველოზრავიული ნიშან-თვისებები	მცვივანი	პეტილური	ჩერცვლი	აფხაზურა	ჩეჭეში	ჩეში
ჯიშის გავრცელების ილელი (რაიონი)	ჩოხატაურის ცხაკაიას	წალენჯიხისა და ცხაკაიას	გიმეორისა და ხუგდიდის	წალენჯიხის	წალენჯიხის	გიმეორისა და ცხაკაიას
ვაშის ფორმა	მაღლარი	დაბლარი	დაბლარი	დაბლარი	დაბლარი	მაღლარი
ხნოკანება (წლების მიხედვით)	40-50	10-15	15-20	25-30	10-15	20-25
ჯიშის სამეურნეო დანიშნულება	საღვინე	საღვინე	სასუფრე	საღვინე	საღვინე	საღვინე
ზრდის კონუსის ფერი და შებუსვა	ღია მოწითალო, შებუსვა ქმისებრი	მთლიანად დაფარული თეთრი ბუსუსით	ღია მოწითალო, სქლად შებუსვილი	ღია მოწითალო, შებუსვა ქმისებრი	ღია მოწითალო, შებუსვა ქმისებრი	ღია მწვანე, მოწითალო ელფეით, საკმაოდ ძლიერ შებუსვილი
ყლორტის შებუსვა	საკმაოდ შებუსვილი	ძლიერ შებუსვილი, წვერისაკენ უფრო ძლიერად შებუსვილი	საკმაოდ შებუსვილი	მცირედ შებუსვილი	საკმაოდ შებუსვილი	მცირედ შებუსვილი
ყლორტის ფერი	ღია მწვანე	ღია მწვანე, ზოლებად დასდებს მოწითალო-ღვინისფერი	ღია მწვანე	ღია მწვანე, მოთისფრო ელფეით	ღია მწვანე, ცალმხარეზე მოწითალო ელფეით	ღია მწვანე
რქის ფერი	მუქი მოწითალო	მუქი მოწითალო	მოწითალო-ყვინფერი	ყვინფერი	მუქი ყვინფერი	ხვესფერი, ოდნავ მოწითალო ელფეით
რქის მოყვანილობა და სიმსხო	მრგვალი, საშუალოზე წვრილი	მრგვალი, საშუალო	მრგვალი, საშუალო	მრგვალი, საშუალო	მომრგვალო, თითქმის საშუალო	მომრგვალო, საშუალო
მუხლთშორისის სიგრძე სმ-ში	8-12	7-14	8-13	7-12	7-12	8-12
ყვავილის ტიპი	ჭერმოფროდიტული	ჭერმოფროდიტული	ჭერმოფროდიტული	ჭერმოფროდიტული	ჭერმოფროდიტული	ჭერმოფროდიტული
ყვავილების რაოდენობა ყვავილელებზე	100-150	80-150	130-140	280-460	150-190	350
მტვრიანების რაოდენობა ყვავილეში	5 და 6	5, იშვიათად 4	5, იშვიათად 4 და 6	5, იშვიათად 4	5 და 4, იშვიათად 6	5, ზოგჯერ 4 და 6
ძირითადი ნაკეთების რაოდენობა	3	3	მ, იშვიათად 5	3 და 5	3, იშვიათად 5	3
ფირფიტის სიდიდე სმ-ობით	9.1-11	17.0	16.7	16.1	14.5	13-14
ფირფიტის ქვედა მხარის შებუსვა	ქმისებრი	ქმისებრი	ქმისებრი	ქმისებრი	ქმისებრი	სქლად შებუსვილი
ზედა ამონაკეთის ფორმა	მცირედ ან საკმაოდ ჩაკრილი	მცირედ ან საკმაოდ ჩაკრილი	მცირედ ან საკმაოდ ჩაკრილი	ჩანვსებრი ან საკმაოდ ჩაკრილი	საკმაოდ ჩაკრილი ან ნაკრეტისებრი	ხშირად დაბურღული
ქვედა ამონაკეთის ფორმა	მცირედ ჩაკრილი	ოდნავ ჩაკრილი	მცირედ ჩაკრილი	საკმაოდ ჩაკრილი	მცირედ ჩაკრილი	უმნიშვნელოდ ჩაკრილი

საქართველოს მკვლევართა კავშირი

ნაკვეთის კვირების ფორმა	წესიერ-სამკუთხედისებრი, მახვილი წვერით	სამკუთხედისებრი, მახვილი ან მომრგვალი წვერით	სამკუთხედისებრი, წამახვილებული წვერით	სამკუთხედისებრი, მახვილი ან მომრგვალი წვერით	სამკუთხედისებრი, მახვილი ან მომრგვალი წვერით
ყუნწის ამონაკვეთის ფორმა	ისრისებრი ან ჩანგისებრი	ჩანგისებრი ან ვიწროკუთხედური	ჩანგისებრი თაღისებრი	ღრმა ისრისებრი, ინვითად ჩანგისებრი	ღრმა ისრისებრი, ინვითად ჩანგისებრი
ყუნწის შეფარდება შუა მთავარ ხარისხთან	0.5—0.8	0.6—0.8	0.6—0.9	0.6—0.9	0.7—0.9
მტევნის სიდიდე მმ-ობით	7—9	8—14	11—16	9—14.5	13—15
სიგანე	4—5	5—7	6.5—12	5—7	6—7.5
მტევნის ფორმა	ცილინდრული	ცილინდრული	ცილინდრული ან ცილინდრულ- კონუსისებრი	ცილინდრულ- კონუსისებრი	ცილინდრული ან ცილინდრულ- კონუსისებრი
მტევნის სიმკვრივე	თხელი ან საშუალო სიმკვრივის	საკმაოდ მკვრივი ან მკვრივი	საკმაოდ მკვრივი	საკმაოდ მკვრივი, ინვითად თხელი	საკმაოდ სიმკვრივის, ზოგჯერ თხელი
მარცვლების რაოდენობა მტევანზე	35—40	40—72	35—60	100—170	60—120
